

117
1966/3

მეტეოროლოგია

საქართველოს
საზღვაო-საჰაერო
საგარეო ურთიერთობების
საგარეო ურთიერთობების
საგარეო ურთიერთობების

1966



მნათობი

საქართველოს
შრომითი

საქართველოს ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შუარნაღი

წელიწადი 43-ე

№ 11

ნოემბერი, 1966 წ.

საქართველოს საბავთა მწერლების კავშირის ორგანო

შ ი ნ ა რ ს ი

ლ. ბრეწვეი — სიტყვა საქართველოს სს რესპუბლიკისათვის ლენინის ორდენის გადაცემისადმი მიძღვნილ საზეიმო კრებაზე	3
ვახტანგ გორგაძე — ორი მზე, ლექსი.	17
რევაზ შარვაშიანი — ლექსები, წიგნიდან „გამოღვიძება“	19
სერგი ჭილაია — ეპატერინე ჭიჭიჭიძე, ქრონიკა, წიგნი მეორე, გაგრძელება	28
იაკონტე ლისაშვილი — რუსთაველის მირონი, ლექსი	69
მედია კახიძე — ლექსი	70
ელიზბარ შაისურაძე — დაქარგული ოცნება, რომანი, წიგნი მეორე, გაგრძელება	71
თამარ ერისთავი — ლექსები	111
თენგიზ კაკუშაძე — ლექსები	112
შოს საღიღვემელი — ძველი ეგვიპტური ჰიმნი, ფრანგულიდან თარგმნა მანანა გიგინეიშვილი	113

კრიტიკა

გურამ კანკავა — ვმირი და რომანი	117
პროკოფი რატიანი — ნიკო ნიკოლაძის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შეხედულებათა ევოლუციის საკითხისათვის.	132

ორი დიდი თარიღის წინ

აკაკი ირემაძე — სერგო ორჯონიძე რკ (ბ) კავკასიის ბიუროს ხელმძღვანელი, დასასრული.	150
---	-----

800 კუსთაველი 800

გურამ ასათიანი — ფეხსიტყაოსანი და ქართული კლასიკური პოეტიკა.	154
--	-----

ლიტერატურული არქივიზა

ლელია ნანიტაშვილი — გრიგოლ ორბელიანის უცნობი წერილები	176
ელგუჯა შაღრაძე — გრიგოლ ორბელიანის დაბადების თარიღისათვის	179

წიგნების მიმოხილვა

ქემალ მჭედლიშვილი — შესტამბეთა დინასტია გრძელდება	181
იოსებ ბოცვაძე — „საქართველოს შოაშბე“	183
თამაზ ჩხენკელი — ვ. გაფრინდაშვილის ლექსების კრებული	187
პავლე ხმაღაძე — რამდენიმე შენიშვნა	190



მთავარი რედაქტორი გრიგოლ აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია:

დ. ბენაშვილი, თ. ბუაჩიძე, დ. ვამეზარ-
 დაშვილი, გ. მარგველაშვილი, ე. მაღრა-
 ძე, ბ. ძღენტი, ა. ხულაკაური, ა. ქუთა-
 თელი, ე. ყიფიანი (პ/მგ. მდივანი), ს. შან-
 შიაშვილი, ვ. წულუკიძე, გ. ჭიბლაძე.

ტექნორედაქტორი რ. ჩაყვტაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი,
 რუსთაველის პროსპექტი № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 8-55-11, პ/მგ.
 მდივის — 8-55-18, განყოფილებების — 8-55-15,
 8-55-17, 8-55-20.

ზელმოწერილია დასაბეჭდად 72/X1-66 წ. ქა-
 ლაღის ზომა 70×108. ანაწყობის ზომა
 7¹/₄×12¹/₂. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 12.
 პირობით ფორმათა რაოდენობა 16.

ფე 03372 ტრაფი 6200. შკეც. № 3678

საქ. კვ ეკ-ის გამოცემლობის პ/კომპინატი,
 თბილისი, ლენინს ქ. № 14.



აგსანავ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

საქართველოს სსრ-ის კავშირისთვის ლენინის მემორიალში
გადახევისათვის მიმართულ სპეციალურ კრებაზე

ძვირფასო აგსანავებო!

ჩვენს ქვეყანაში კარგ ტრადიციად დამკვიდრდა ჯილდოებით აღენიშნოთ თვალსაჩინო შრომითი მიღწევები. ჯილდოვდებიან ცალკეული პირები და კოლექტივები. ჯილდოვდებიან ქალაქები, ოლქები და მთელი რესპუბლიკები.

დღეს საპატიო ჯილდოს — ლენინის ორდენს იღებს საბჭოთა საქართველო. ეს არის დამსახურებული აღიარება დიდი წვლილისა, რომელიც ქართველ ხალხს შეაქვს ჩვენს საერთო დიად საქმეში — დედამიწაზე პირველი კომუნისტური საზოგადოების შექმნაში. ნება მიბოძეთ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის სახელით მხტვრავლედ მივულოცო ეს სასიხარულო ამბავი საქართველოს მუშათა კლასს, კოლმეურნე გლეხობასა და სახალხო ინტელიგენციას, ვუსურვო რესპუბლიკის ყველა მშრომელს ახალი წარმატებანი მუშაობა-სა და შემოქმედებაში, ბედნიერება ცხოვრებაში. (შეუხარე ტაში).

ამხანაგებო! აქ, ისევე როგორც ყველგან მთელ ჩვენს მიწაწყალზე, მკაფიოდ იგრძნობა მძლავრი დინამიზმი, რომელიც დამახასიათებელია საბჭოთა საზოგადოებისათვის. შუა საუკუნეების ციხე-კოშკების გვერდით შენდება ახალგაზრდა მშვენიერი ქალაქები, ჩქეფს შემოქმედებითი შრომა. თავისუფალ ადამიანთა ეს შრომა სახეს უცვლის ძველ მიწა-წყალს და ჰეშმარტ სასწაულებს ახდენს. წარმოიდგენ რა დღევანდელი საქართველოს ფართო ინდუსტრიულ პანორამას, მის აყვავებულ მინდვრებსა და ბაღებს, მისი შავიზღვისპირეთის დიდებულ კურორტებს, ხედავ, თუ რა საგულისხმო ცვლილებები მომხდარა ოქტენში. ისევე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე.

ეს ცვლილებები თავისთავად როდი მოვიდა. მათ წინ უძღოდა ექსპლოატაციისა და ჩავერის წინააღმდეგ, ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის ნამაკური ბრძოლის ხანგრძლივი წლები.

საქართველოს მშრომელები აქტიურად მონაწილეობდნენ რუსეთის მუშათა და გლეხთა რევოლუციურ ბრძოლაში ცარიზმის წინააღმდეგ, ბურჟუაზიისა და მემამულეთა წინააღმდეგ. ჩვენი კომუნისტური პარტიის ისტორიაში სამუდამოდ დარჩება მკაფიო ფურცლები კლასობრივი ბრძოლებისა, რომლებსაც ეწეოდნენ თბილისის, ბათუმის, ქიათურისა და საქართველოს სხვა სამრეწველო ცენტრების მუშები.

აქ, თბილისის რკინიგზის სახელოსნოებში, ნავთობის ქარხნებში, მარგანეცის მალაროებსა და ქვანახშირის შახტებში მოწოდებდა გაისმოდა ალორმა გაფარბის, ლადო კეცხოველის, ფილიპე მახარაბის, სერგო ორჯონიკიძის, იოსებ სტალინის, (ტაში), ალექსანდრე წულუკიძის, მიხა ცხაკაიასა და სხვა მგზნებარე რევოლუციონერების მძლავრი ბოლშევიკური სიტყვა, რომლებიც ქართვე-

ლი ხალხის რიგებიდან გამოვიდნენ. ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციაში ქართველ რევოლუციონერებთან ერთად მუშაობდნენ რუსეთის მუშაკლასის სახელოვანი შვილები — სერგეი კიროვი, მიხეილ კალინინი, (ტაში), უანის ფაბოლეტოვი, (ტაში), სომხეთისა და აზერბაიჯანის შესანიშნავი ბოლშევიკები — სურენ სპანდარიანი, სტეფანე შაუმიანი, (ტაში), ლეგენდარული კამო, (ტაში), მეშადი აზიზბეკოვი, ნარიშან ნარიშანოვი. (ტაში).

პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ლენინური იდეების ერთგულმა ამიერკავკასიის ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა ფსადაუდებელი წვლილი შეიტანეს რუსეთის ხალხთა ბრძოლაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის, მუშათა და გლეხთა ხელისუფლების დამყარებისათვის.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება მოასწავებდა ძირეულ შემობრუნებას ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში — დაიწყო ახალი ეპოქა — სოციალისტური განვითარებისა და ნამდვილი აყვავების ეპოქა.

ამ ვხის დასაწყისი ადვილი როდი იყო. მაგრამ, ეყრდნობოდა რა ჩვენი დიდი ქვეყნის ყველა ხალხის სოლიდარობასა და ძმურ დახმარებას, მშრომელი მასების შემოქმედებით ენთუზიაზმს, რესპუბლიკამ დაიწყო ლაშქრობა სოციალიზმისათვის. და თქვენ კარგად იცით, გახსოვთ, საკუთარი თვლით ნახეთ, როგორ იზრდებოდა და მტკიცდებოდა საქართველოს მრეწველობა და მისი სოფლის მეურნეობა, როგორ აყვავდა მოწინავე სოციალისტური კულტურა, როგორ გაახალგაზრდავდა ძველისძველი ქართული მიწა-წყალი.

დიდი სამამულო ომის მრისხანე ეამს ქართველი ხალხი, ყველა მოძმე საბჭოთა ხალხებთან ერთად, აღდგა საბჭოთა საშობლოს დასაცავად, ოქტომბრის დიად მონაპოვართა დასაცავად. საქართველოს თითქმის 600 ათასი შვილი — კომუნისტები, კომკავშირელები, უპარტიოები — იბრძოდა ფრონტებზე გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ. რუსების, უკრაინელებისა და ბელორუსების, სომხების და აზერბაიჯანელების, ჩვენი მრავალეროვანი საშობლოს ყველა ხალხის შვილების მხარდამხარ ომის მონაწილეობდნენ მოსკოვისა და ლენინგრადის დაცვაში, იცავდნენ მშობლიურ კავკასიას, სამკედრო-სასიცოცხლოდ იბრძოდნენ ლეგენდარული სტალინგრადის კედლებთან და კურსკის რკალზე, ძლევაშისილი მარშით მივიდნენ ბერლინში. 40 ათასზე მეტი ქართველი მეომარი დაჯილდოებულია მთავრობის ჯილდოებით. მათ შორის საუკეთესოებს მიენიჭათ საბჭოთა კავშირის გმირის საპატიო წოდება. დიდება ომის ვეტერანებს! (მქუხარე ტაში). ომის გმირთა საქმენი უკვდავია! (ხანგრძლივი ტაში).

ამხანაგებო! საბჭოთა საქართველოს შესანიშნავი წარმატებანი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში საქმით ადასტურებენ ჩვენი მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს დიდ ძალას, სოციალიზმის დაუშრეტელ შესაძლებლობებს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე აშენდა დაახლოებით ათასი მსხვილი სამრეწველო საწარმო. მათ შორის მთელ ჩვენს ქვეყანაში ცნობილი ამიერკავკასიის შავი მეტალურგიისა და ავტომობილმშენებლობის პირმშოები — რუსთავის მეტალურგიული და ქუთაისის საავტომობილო ქარხნები. საქართველოში ძლიერ განვითარდა ჩვენი ქვეყნისათვის ისეთი დიდმნიშვნელოვანი დარგი, როგორც არის შავი მეტალურგია. საქართველოსათვის სამრეწველო წარმოების ამ ახალ დარგში თქვენმა რესპუბლიკამ დიდხანია გაუქსწრო დასავლეთ ევროპის ბევრ განვითარებულ სახელმწიფოს.

შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ამჟამად საქართველო მრავალდარგოვანი, თანამედროვე მრეწველობის რესპუბლიკა გახდა. აქ შეიქმნა პირ-

ველხარისხოვანი ქიმიური საწარმოები, მანქანათმშენებლობა, მსხვილი საშენ-
 ნებლო ინდუსტრია, დიდად არის განვითარებული მსუბუქი და კვების მრეწვე-
 ლობა. ამ დარგების პროდუქცია — ლითონსაქრელი ჩარხები, სინთეზური ქიმი-
 კო, ელმავლები, ზუსტი ხელსაწყოები, წყალქვეშაფრთიანი კატარღები, ქსოვა-
 ლები, ფეხსაცმელი, კონსერვები, განთქმული ქართული ღვინოები კარგად ცნო-
 ბილია არა მარტო საქართველოში, არამედ ყველა მოძმე რესპუბლიკაში, ცნო-
 ბილია ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც. საბჭოთა საქართველოს მარკინი
 ნაწარმი ხომ მსოფლიოს 65 ქვეყანაში იგზავნება. ახლა რესპუბლიკაში მარტო
 ერთი კვირის მანძილზე უფრო მეტი სამრეწველო პროდუქცია მზადდება, კიდ-
 რე მთელი წლის განმავლობაში მზადდებოდა საბჭოთა ხელისუფლების დამყა-
 რებამდე.

ყველა ეს მიღწევა, უწინარეს ყოვლისა, საქართველოს მუშათა კლასის სა-
 ხელოვან საქმეთა ნაყოფად მიგვაჩნია.

საქმის ბრწყინვალე ცოდნითა და გმირული შრომით გაითქვეს სახელი სა-
 ქართველოს მუშათა კლასის ისეთმა წარმომადგენლებმა, როგორც არიან მე-
 ფოლადე ამირან ფანცულაია, სავტომობილო ქარხნის გამწყობი იოსებ ხაზა-
 რაძე, მაღაროელები პეტრე გოგატიშვილი და ქივიკო ადღეიძე, მემონტაჟე არამ
 ხოჯაიანი, მქსოველი ალექსანდრა გამყრელიძე, ამდიდავი ზაურ სიუკოევი, ზე-
 ინკლები ვასილ კაიგორაძოვი და ადილ იუსუბოვი და მრავალი, მრავალი სხვა.
 წარმოების მოწინავეთა მავალითი ალაფრთოვანებს რესპუბლიკის ყველა მშრო-
 მელს, უნერგავს მათ შრომისადმი კომუნისტურ დამოკიდებულებას.

სახელი და დიდება საქართველოს მუშათა კლასს! (ხანგრძლივი ტაში).

კარგად იმუშავეს ამ წლებში თქვენი მზიური რესპუბლიკის სოფლის
 მშრომელებმა. შესანიშნავა მეჩაიეებმა და მევენახეებმა, მებალეებმა და ჰე-
 ციტრუსეებმა, მემინდვრეებმა და მეცხოველეებმა, მექანიზატორებმა და მე-
 ბოსტნეებმა, საქართველოს სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მუშაკებმა
 გაამრავლეს მისი დოვლათი და შრომითი დიდება.

ჯერ კიდევ არც ისე დიდხნის წინათ ყველა ჩვენგანი სიტყვა „ჩაის“ უკვე
 შირებდა შორეულ ტროპიკულ ქვეყნებს. ბევრ მეჩაიეს ახსოვს, როგორ აცხა-
 დებდნენ ოცდაათიან წლებში კონსულტანტებად მოწვეული თვალსაჩინო სახ-
 ღვარგარეთელი სპეციალისტები, ჩაი საქართველოში ვერ იხარებსო. მაგრამ
 სექტიკური პროგრნოზების მიუხედავად რესპუბლიკაში ახლა შექმნილია მძლავ-
 რი მეჩაიეობის მეურნეობა. მარტო შეიღწეულის მანძილზე ქართველმა მე-
 ჩაიეებმა ფაბრიკებს გადასამუშაველად ჩააბარეს მილიონ ტონაზე მეტი ჩაის
 ფოთოლი. მოსარული ვარ აღვნიშნო, რომ წელს ახალი ხუთწლეულის პირველ
 წელს, ჩაის პლანტაციათა მშრომელები კვლავ ზრდიან ტემპებს. მათ სახელმწი-
 ფოს მიჰყიდეს 226 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი, ნაცვლად გეგმით გათვალისწი-
 ნებული 195 ათასი ტონისა. (ტაში). ვეჭვობ, რომ ჩვენი ქვეყნის ქალაქებისა
 და სოფლების ბევრ ოჯახში, და არა მარტო ჩვენი ქვეყნისა — სურნელოვანი
 ქართული ჩაის სმის დროს კეთილი სიტყვით მოიხსენიებენ თქვენი რესპუბლი-
 კის მეჩაიეებს. (ტაში).

ჩინებული შედეგებით ახარებენ საბჭოთა ადამიანებს მევენახეებიც. ისინა
 არ ჩამორჩებიან მეჩაიეებს და უკვე გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსა-
 თვის ყურძნის მიყიდვის 1966 წლის გეგმა. საბჭოთა კავშირში საქართველო
 ხალხის ისეთი საყვარელი პროდუქციის მთავარი მომწოდებელიც არის, როგო-
 რიც მანდარინი, ფორთოხალი, ლიმონია. თქვენი რესპუბლიკა კი ყველაზე
 ჩრდილოეთით მდებარეობს მსოფლიოს ყველა სუბტროპიკულ ზონას შორის,
 სადაც ციტრუსებს აშენებენ. ეს მარტივი და ადვილი საქმე როდია თქვენს კლი-

მატურ პირობებში. იგი მოითხოვს დიდ შრომისმოყვარეობას, სიბეჭითესა და ცოდნას. და უნდა ითქვას, რომ საქართველოს მეცირტუსებს მართლაც უჭირს ეს შესანიშნავი თვისებები. (ტაში).

სოფლის მეურნეობის სახელგანთქმული ოსტატები ცნობილი არიან შორს საქართველოს ფარგლებს გარეთ. ესენი არიან მეჩაიეები თამარ ყუფუნია და ტატიანა ჩხაიძე, მევენახეები ლევან მთვარელიშვილი და გიორგი შავაძე, მე-თამბაქოეები ზორენ ჩაქრიანი და ისა ხალილოვი, მექარხლე ვახტანგ გოგშელიძე, მებაღეები სერგი ბაციკაძე და გრაგოლ საჯაკევი, მწყემსი ყარამან გაგაძე და ბევრი სხვა ამხანაგი. სასიხარულოა, რომ რესპუბლიკაში განუზრტელად იზრდება ისეთ მეურნეობათა რიცხვი, რომლებიც წამყვანი გახდნენ პროდუქტების სიუბ-ვისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში.

დიდება საქართველოს მინდვრის მშრომლებს! ვუსურვით მათ ახალი წარ-მატებანი მუშაობაში ხალხის საკეთილდღეოდ, კომუნისმის საკეთილდღეოდ! (ხანგრძლივი ტაში).

ამხანაგებო! სამშობლოს მაღალი ჭილდო — ლენინის ორდენი — საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას ეძლევა მიღწევებისათვის არა მარტო მრეწველობისა და სოფლის მეურნეობაში, არამედ მეცნიერებისა და კულტურის დარგშიც.

საქართველო უძველესი კულტურის ჭევეყანაა. ამას კვლავ მოგვაგონებს დიდი პოეტისა და მოაზროვნის შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთაკის დღესასწაული. (ხანგრძლივი ტაში). რუსთაველი ქართველია, მაგრამ იგი მარტო საქართველოს როდი ეკუთვნის. რუსთაველი ეკუთვნის ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ყველა ხალხს. ამაზე აღფრთოვანებით და გულთბილად ილაპარაკეს სსრ კავშირის დიდ თეატრში გამართულ საზეიმო სხდომაზე. (ტაში). ამას ერთ-ხელ კიდევ მოწმობს „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ძეგლის გახსნა მოსკოვში. (ტაში). საქართველოსთან ერთად მთელი ჩვენი ჭევეყანა, მთელი პროგრესული კაცობრიობა აღნიშნავს პოეტის სახელოვან იუბილეს.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ქართულ კულტურას სრული აყვავების ყველა პირობა შეექმნა. დიდი ქართველი მწერალი ილია ჭავჭავაძე ოცნებობდა იმ დროზე. როცა მის სამშობლოში 20-30 ქართველი ინჟინერი მაინც იქნებოდა. ახლა რესპუბლიკაში ათეულ ათასობით ინჟინერია, ყოველ ათას სულ მოსახლე-ზე 45 უმაღლესი განათლების მქონე ადამიანი მოდის. ეს ძალიან კარგი მაჩვენებელია, ამხანაგებო.

თქვენი რესპუბლიკის მეცნიერთა მიღწევები უზრუნველყოფენ მათს სა-პატიო ადგილს საბჭოთა მეცნიერებაში. ფართოდ ცნობილია ქართული მათე-მატიკური სკოლის გამოკვლევები; მნიშვნელოვანი მეცნიერული შედეგები მი-იღეს ფიზიკოსებმა, ასტროფიზიკოსებმა, ქიმიკოსებმა, ფიზიოლოგებმა. მაღალი შეფასება დაიმსახურა აკადემიკოსების ნიკოლოზ ივანეს-ძე მუსხელიშვი-ლის, ივანე სოლომონის-ძე ბერიტაშვილის, ილია ნესტორის-ძე ვეკუასა და მეცნიერების ბევრი სხვა გამოჩენილი მოღვაწის შრომებმა. დარწმუნებული ვართ, რომ საქართველოს მეცნიერთა წვლილი საბჭოთა მეცნიერების განვითარებაში მუდამ დიდი და მნიშვნელოვანი იქნება.

ქართულმა ლიტერატურამ საუკუნეებში გამოატარა დემოკრატიზმისა და ნამდვილი ხალხურობის ტრადიციები. ბევრი მისი ნაწარმოები თარგმნილია სხვა ხალხების ენებზე. წარმატებით ვითარდება ქართული მუსიკა, საზვითი და თეატ-რალური ხელოვნება, კინემატოგრაფია.

ქართული კინოხელოვნების მიღწევათა საყოველთაო სახალხო აღიარებაა ფილმ „ჭარისკაცის მამის“ დამსახურებული წარმატება. (ტაში). შესანიშნავი

სახე, რომელიც ლენინური პრემიის ლაურეატმა სერგო ზაქარიამემ შექმნა, რეთი მართალი და მომზობლავია, რომ არ შეიძლება არ შევიყვარდეს, სწორედ ასეთი უბრალო, გულისხმიერი და თავმდაბალი, ამავე დროს დიდგმობით ვინათი გმირობით, სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულით მამები მილიონობით საბჭოთა ჭარისკაცებისა, რომლებმაც კაცობრიობა იხსნეს ფაშისტური ჭირისაგან. (მჭუხარე ტაში). შორს, საქართველოს ფარგლებს გარეთ აღიარებულია და სიყვარულით სარგებლობს ნიჭიერ ქართველ მწერალთა და კომპოზიტორთა, მხატვართა და მოქანდაკეთა ნაწარმოებები, ქართველ მსახიობთა და მუსიკოსთა საშემსრულებლო ოსტატობა.

ნება მიბოძეთ სოციალისტური საქართველოს მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ყველა მოღვაწეს, უძველესი და მარად ახალგაზრდა ქართული კულტურის შესანიშნავი ტრადიციების მემკვიდრეებსა და გამგრძობლებს ვუსურვო ახალი დიდი წარმატებანი მათს კეთილშობილურ შრომაში, რომელიც ჩვენი დიდი საბჭოთა სამშობლოს დიდებასა და აყვავებას ემსახურება. (ტაში).

ამხანაგებო! თქვენი რესპუბლიკის დიდ საქმეებზე რომ ვლაპარაკობ, მინდა აღვნიშნო ის მნიშვნელოვანი წვლილი, რომელიც საქართველოს ქალებმა შეიტანეს ამ დიდ საქმეებში.

ქმრებთან და ძმებთან ერთად ისინი თავდადებით შრომობენ ქარხნებსა და ჩაის პლანტაციებში, სკოლებსა და საავადმყოფოებში. ისინი დიდ საქმეს აკეთებენ — მზრუნველობით ზრდიან ბავშვებს — ჩვენი ქვეყნის იმედსა და მომავალს. სოციალიზმი ხომ ჩვენი პლანეტის ახალგაზრდობაა და სიმბოლურია, რომ ახალი ცხოვრების მშენებლობაში ასეთ დიდ როლს ასრულებს ახალგაზრდობა. საქართველოს ქალიშვილებსა და ჯაბუკებს, ისევე როგორც მთელ საბჭოთა ახალგაზრდობას, ჩვენ ყოველთვის ვხედავთ კომუნისტური ბრძოლის წინა ხაზზე, უფროსი თაობის გამოცდილება და სახელოვანი ტრადიციები ჩვენს ქვეყანაში მჭიდროდ შეერწყო მჩქეფარე ენერჯიას, სიხალისესა და გაბუღულ ახალგაზრდულ შემართებას. ეს არის ჩვენი გამარჯვებების, ჩვენი ძლიერების, ჩვენი წარმატებითი წინსვლის ერთ-ერთი წყარო.

ჩვენი საბჭოთა სამშობლო ამყოფს ქართველი ხალხის მიღწევებით და დიდად აფასებს მათ. წელს საქართველოს სამოცდაათ მუშას, კოლმეურნესა და მეცნიერს სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება მიენიჭა. ამავე დროს თქვენი რესპუბლიკის 11 ათასამდე მშრომელი დაჯილდოებულია სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით. ორდენოსანი გახდა ჭიათურის მარგანეცის ტრესტი და ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტი, თბილისის გვირაბ-მშენებლობის სამმართველო.

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დროშის დამამშვენებელი მეორე ლენინის ორდენი არის ჭილდო, რომელიც საქართველოს თვითებულ პარტიას მშრომელს სამართლიანად შეუძლია მიიღოს თავისი პირადი შრომის, კომუნისტური მშენებლობის საერთო საქმეში თავისი წვლილის შეფასებად. (ტაში).

ამხანაგებო! ქართველი ხალხის დიდი წვლილი ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის დიად საქმეში, თქვენი რესპუბლიკის შესანიშნავი მიღწევები სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში მოპოვებულია საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, რომელიც დიადი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მებრძოლი რაზმია. (ტაში).

ღირსეულად აღვნიშნავთ რა თქვენი რესპუბლიკის მუშათა კლასის, გლეხობისა და ინტელიგენციის შემოქმედებითს და შრომითს წარმატებებს, ისიც უნ-

და ითქვას, რომ ეს წარმატებანი, უთუოდ, შედეგია რესპუბლიკის საბჭოთა, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების დიდი ორგანიზატორული საქმიანობისა ჩვენი პარტიის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

ძვირფასო ამხანაგებო! თქვენი რესპუბლიკისათვის შიდალი ჯილდოს გაცემა დიდი და სასაზარულო მოვლენაა არა მარტო ქართველი ხალხისათვის, არამედ ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის ყველა ხალხისთვისაც. რუსეთი და უკრაინა, აზერბაიჯანი და სომხეთი, ყველა სხვა მოძმე რესპუბლიკა დღეს მსურველად ულოცავენ საქართველოს, სულითა და გულით უსურვებენ მას ახალ შრომითს გამარჯვებებს, ახალ დიდ საქმეებს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში. (ხანგრძლივი ტაში).

საბჭოთა ერების მსურველად დაინტერესება ერთმანეთის წარმატებით იმ ფაქტის კანონზომიერი გამოხატულებაა, რომ ყველას აქვს ერთი საერთო საქმე, საერთო მისწრაფებანი და იმედები, მიზნები და სურვილები. სწორედ ეს არის სათავე საბჭოთა საზოგადოების ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი მამოძრავებელი ძალისა — სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობისა. (ტაში).

აღამიანების მეგობრული ურთიერთობის სიმტკიცეს დადასტოვებდა განსაზღვრავს ერთად ცხოვრება და ერთად განცდილი. იგივე შეიძლება ითქვას ხალხთა ურთიერთობაზეც. აი უკვე ნახევარი საუკუნეა ჩვენი ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების მშრომელები ერთი ცხოვრებით ცხოვრობენ. კომუნისტთა პარტიის წინამძღოლობით ისინი ერთად უტევდნენ ცარაზმსა და კაპიტალისტურ წყაწყობილებას, აშენებდნენ სოციალიზმს, იცავდნენ სამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას ფაშისტური შემოსევის წინააღმდეგ სასტიკ ბრძოლაში. აღადგენდნენ სახალხო მეურნეობას და ამრავლებდნენ საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერებას ომისშემდგომ პერიოდში. თანამებრძოლებივით, მეგობრებივით, ძმებივით იზიარებდნენ ისინი ჭირსა და ღირსს. ერთად განვილილა სახელოვანმა და რთულმა გზამ გამოაწრთო ჩვენი ხალხების მეგობრობა, ქვეყნობადად ურღვევი გახდა იგი.

მაგარი, ამხანაგებო, საქმე მარტო ერთად განვილილი ისტორიული გზა და ტრადიციები როდია. იმ გარემოებას, რომ ინტერნაციონალისტური შეგნება ჩვენი აღამიანების სულიერი სახის განუყოფელი ნიშანი გახდა, განსაზღვრავს უწინარეს ყოვლისა საბჭოთა საზოგადოების სოციალისტური ბუნება, საბჭოთა ხალხების ურღვევი ერთობა და თანამშრომლობა კომუნისმისათვის ბრძოლაში.

ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობას დღეს სერიოზული ეკონომიური ბაზა აქვს. კარგად ცნობილია, რომ საბჭოთა ხელისუფლების წლებში შეიქმნა მოკავშირე რესპუბლიკებს შორის შრომის განაწილების განვითარებული სისტემა, რომელიც წინასწარ განსაზღვრავს ჩვენი ქვეყნის ყველა ერის ინტერესების მჭიდროდ გადახლართვას და, არსებითად, მათს შერწყმას ერთ საერთო-სახალხო ინტერესად.

თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა ხალხების ნაყოფიერ ეკონომიურ თანამშრომლობას, მათს ძმურ ურთიერთდახმარებას, ამას ყველგან ვხედავთ ჩვენს ცხოვრებაში. თქვენ კარგად გახსოვთ, მაგალითად, რომ ჯერ კიდევ ახლო წარსულში ამიერკავკასიის რესპუბლიკები ბევრ სიძნელეს განიცდიდნენ ელექტროენერჯის უკმარობის გამო. ახლა კი საქართველოს, აზერბაიჯანსა და სომხეთს ემსახურება ამიერკავკასიის ერთიანი ენერგოსისტემა, აქვთ ერთიანი სათბობ-ენერგეტიკული ბალანსი. საქართველოსა და სომხეთის ჰიდროელექტროსადგურების მუშაობის სწორი შეხამება აზერბაიჯანის ელექტროსადგურების მუშაობასთან ხელს უწყობს ამ უმნიშვნელოვანესი პრობლემის კომპლექსურ გადაჭრას მთელი ამიერკავკასიის ინტერესებისათვის.

დღეს წარმოუდგენელი იქნებოდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარება, ყარაღალ-აქსტაფა-თბილის-ერევანის ორჯონიკიძე-თბილისის გაზსადენები რომ არ იყოს. და განა მშვენიერად არ არის ის ფაქტი, რომ რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, რომელიც აზერბაიჯანის მადნით მუშაობს, მიღებს აწვდის ბელორუსიას, უზბეკეთს და ჩვენი ქვეყნის ბევრ სხვა რაიონს.

ცხოვრება წინ მიდის და ახალ ამოცანებს გვისახავს. უმნიშვნელოვანესი საერთო სახელმწიფოებრივი პრობლემების გადაჭრისას ჩვენ ამავე დროს კიდევ უფრო უნდა გავაფართოოთ და სრულფასოვან რესპუბლიკათა ურთიერთობა, კიდევ უფრო უკეთ მოვაწყოთ სამეურნეო მშენებლობის მდიდარი გამოცდილების გაზიარება, აგრეთვე კადრების გაცვლა. ლენინი მუდამ ხაზს უსვამდა, რომ საჭიროა თვითეული ერის თავისებურებათა და საჭიროებათა გულდასმით და ყოველმხრივ გათვალისწინება. ამასთანავე იგი გვასწავლიდა „...ბრძოლას ვიწრო-ეროვნული შეზღუდულობის, კარჩაეკტილობის, განკერძოების წინააღმდეგ, ბრძოლას იმისათვის, რომ გათვალისწინებული იყოს მთელი და საერთო, რომ კერძოს ინტერესები დაუმორჩილდეს ზოგადის ინტერესებს“. საერთო სახელმწიფოებრივი და ეროვნული ინტერესების პარამონიული შესამება მიაჩნია კომუნისტურ პარტიას ჩვენი საქმის წარმატების აუცილებელ პირობად.

რაც უფრო წინ მივდივართ კომუნისმის მშენებლობის გზით, მით უფრო წარმატებით ვითარდება ყველა საბჭოთა ერისა და ეროვნების ეკონომიკა, კულტურა, მტკიცდება მათი მშური თანამშრომლობა და ურთიერთდახმარება. სოციალიზმის, მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ძალა ის არის, რომ ისინი აახლოებენ ხალხებს, ამოძილებენ მათ. განუხრელად იცავს რა სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპებს, პარტია მთელ თავის პოლიტიკაში უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ხალხთა მეგობრობის განმტკიცებას, მათს მჭიდრო თანამშრომლობას ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის დიად საქმეში.

ჩვენს პარტიას დღეს კანონიერი სიამაყით შეუძლია თქვას, რომ მისი ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირმა დიდ გამარჯვებებს მიაღწია ისეთი დიდმნიშვნელოვანი და რთული პრობლემის გადაჭრაში, როგორც არის ერთი სახელმწიფოს ფარგლებში მრავალი ათეული ხალხისა და ეროვნების ერთად ცხოვრებისა და თანამშრომლობის პრობლემა. საბჭოთა მრავალეროვან სახელმწიფოში ხორცს ისხამს მისი ყველა დიდი და პატარა ხალხის საუკუნოვანი მოსურაფებანი. მაშ მოდით; ძვირფასო ამხანაგებო, კვლავაც გავუფრთხილდეთ საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობას, როგორც ყველაზე ძვირფას მონაპოვარს, როგორც კომუნისმისაკენ წარმატებითი წინსვლის საიმედო საწინდარს! (ტაში). ამხანაგებო!

ჩვენი ქვეყნის დიადი მიღწევები საზოგადოების ეკონომიური, სოციალური და სულიერი ცხოვრების ყველა სფეროში უდავოა. ყველაფერი ის, რაც დღეს გვაქვს და რითაც კანონიერად ვამაყობთ, საბჭოთა ხალხის შრომის, გონებისა და ენერჯიის საქმეა, ჩვენი კომუნისტური პარტიის იდეურ-პოლიტიკური და ორგანიზატორული საქმიანობის შედეგია.

პარტიის სწორი მარქსისტულ-ლენინური პოლიტიკა, ის, რომ ამ პოლიტიკას იწონებენ და მხარს უჭერენ ჩვენი ქვეყნის მშრომელები — აი რა არის სოციალიზმის ყველა მონაპოვრის მთავარი წყარო წარსულში და ყველა ჩვენი მომავალი გამარჯვების აუცილებელი პირობა.

საბჭოთა საზოგადოების განვითარების თვითეულ ისტორიულ ეტაპზე პარტია სახავს მორიგ აქტუალურ ამოცანებს, განსაზღვრავს მათი გადაწყვეტი-

გზებსა და მეთოდებს. ცნობილია, თუ რა დიდი როლი შეასრულეს ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში პარტიის XX-XXII ყრილობების გადაწყვეტილებების მიხედვით მალ საბჭოთა კავშირი კომუნისტური მშენებლობის ახალ დინამიკაში შევიდა. სკკპ XXIII ყრილობამ შეიმუშავა ეკონომიური და სოციალური პოლიტიკა, რომელიც კარგად ითვალისწინებს ამ ეტაპის პირობებსა და ცენტრალურ ამოცანებს. ჩვენი პარტიის პოლიტიკის მიზანია ყოველი ღონისძიებით გამოიყენოს სოციალისტური წარმოების უმდიდრესი რესურსები და შესაძლებლობანი საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესების ინტერესებისათვის, კომუნისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის შემდგომი განვითარების ინტერესებისათვის. ამ პოლიტიკის ძალაა მეცნიერული დასაბუთებულობა და რეალისტურობა, ის, რომ იგი საშუალებას გვაძლევს უზრუნველვეყოთ ჩვენი საზოგადოების თანაბარზიმიერად, მტკიცე წინსვლა კომუნისტურად.

ამას მოწმობენ ჩვენი მუშაობის უკვე პირველი შედეგები სკკპ XXIII ყრილობის შემდეგ.

თქვენ იცით, ამხანაგებო, რომ საერთო პროდუქციის წარმოების ცხრა თვის გეგმა მთელმა მრეწველობამ შეასრულა 103 პროცენტით. წინასწარი გამოანგარიშებით, სამრეწველო წარმოების მოცულობა მიმდინარე წელს 1965 წელთან შედარებით გადიდდება 8,2 პროცენტით, ნაცვლად გეგმით დასახული 6,7 პროცენტისა. გეგმის გადაჭარბებით გამოვუშვებთ დაახლოებით 5 მილიარდი მანეთის სამრეწველო პროდუქციას.

ამხანაგებო, განსაკუთრებით გვახარებს ჩვენი სოფლის მეურნეობის დიდი წარმატებანი. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მნიშვნელოვნად გააძლიერეს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება. გადიდდა მარცვლეული და ტექნიკური კულტურების მოსავლიანობა, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა, მეცხოველეობის პროდუქტიულობა. წინასწარი გამოანგარიშებით, სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია მიმდინარე წელს დაახლოებით 10 პროცენტით გადიდდება. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობაში წელს კარგად იშრომეს. მათ პირნათლად მოიხადეს ვალი საბჭოთა ხალხის წინაშე, საქმით უპასუხეს პარტიისა და მთავრობის დიდ ზრუნვას სოფლის მშრომელებისათვის.

წლებანდელი კარგი შედეგები, რა თქმა უნდა, თავისთავად როდი მოვიდა. ჩვენ ერთხელ კიდევ დავრწმუნდით, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაში არ არის იოლი გზები, არ არის ჯადოსნური ფორმულები. წარმატება მოაქვს მხოლოდ მოფიქრებულ, ხანგრძლივი ვადისათვის გათვალისწინებულ მოქმედების პროგრამას, და ასეთი პროგრამა ჩვენს პარტიას აქვს ახლა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის შემდეგ, პარტიის XXIII ყრილობის შემდეგ. მაგრამ თამამი მდევრულად და განუხრელად უნდა განვახორციელოთ იგი, უზრუნველვეყოთ რომ მთლიანად შესრულდეს ყველა დასახული ღონისძიება, ყველა გეგმა. ამ საქმეში უდიდესი როლი უნდა შეასრულოს პარტიულმა ორგანიზაციებმა როგორც სოფლად, ისე ქალაქად.

ახლა, როცა ნათლად გვესმის ჩვენს წინაშე დასახული ამოცანები, როცა თავი მოუტყარეთ ხალხის ენერჯიას, რაც მათი გადაჭრისათვის არის საჭირო, წინა პლანზე დგება საქმის სწორი ორგანიზაციის საკითხები. ყველა პარტიული, სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოს მუშაობის ნამდვილი ლენინური სტილი — აი რა არის ჩვენთვის ახლა განსაკუთრებით საჭირო.

ცხოვრება ყოველდღიურად გვასწავლის, რომ ჩვენს წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის საჭიროა რაც შეიძლება ნაკლები მყვირალა ფრაზები და კამპანიურობა, და რაც შეიძლება მეტი პასუხისმგებლობა, იმიჯ

უნარი, რომ საქმიანად, დინჯად ვერყვეოდეთ საქმის ვითარებაში, თავს არ ვერ-
 უღებდეთ მალაღმარდოვანი სიტყვებით და რეალისტურად ვაფასებდეთ რეალ-
 გორც შესაძლებლობებს, ისე სიძნელეებს, როგორც წარმატებებს, ვერაფერს
 ვანებებს. დაკვირვებულად, საფუძვლიანად მივუღებთ ყოველ პრობლემას —
 დიდსა თუ პატარას, გადაწყვეტილებები მივიღოთ ყოველმხრივი ანალიზის სა-
 ფუძველზე, ვიცოდეთ ჩვენი საქმიანობის შედეგების კრიტიკული შეფასება,
 გულისხმიერად და ყურადღებით მოვეკიდოთ ადამიანებს — ასეთი უნდა იყოს
 ყველა ჩვენი პარტიული ორგანიზაციის, ყველა კომუნისტის, და, უწინარეს
 ყოვლისა, ყველა ხარისხისა და რანგის ხელმძღვანელი მუშაკის მუშაობის სტი-
 ლი. (ტაში).

დიდი და რთული ამოცანები ისახება პარტიული ორგანიზაციების წინაშე
 სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის შემდგომი სრულყოფის შესახებ ყრი-
 ლობის გადაწყვეტილებათა განხორციელების მსვლელობაში. პარტიის ეკონო-
 მიური პოლიტიკის განხორციელება მოითხოვს მშრომელთა ფართო მასების აქ-
 ტიურ მონაწილეობასა და ინიციატივას, დემოკრატიული საწყისების განვითარ-
 ტებას საწარმოთა მართვაში. ეს კი ნიშნავს, რომ განსაკუთრებული მნიშვნელო-
 ბა ენიჭება პარტიულ ორგანიზაციათა პოლიტიკურ მუშაობას მშრომელებში,
 მათთვის პარტიის ეკონომიურ ღონისძიებათა მნიშვნელობის განმარტებას, მას-
 სების მობილიზაციას პარტიის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

დიდი ამოცანებია დასახული პარტიული ორგანიზაციების წინაშე კადრებ-
 თან, განსაკუთრებით სამეურნეო კადრებთან მუშაობის დარგში. ჩვენი კადრები
 ღრმად უნდა დაეუფლონ ეკონომიურ ცოდნას და მეურნეობის გაძლოლს ახალ
 მეთოდებს. პარტიული ორგანიზაციები უნდა დაეხმარონ მათ ამ საქმეში. კად-
 რებთან მუშაობა, მათი აღზრდა, სწორი განაწილება, იმ ყველაზე ნიჭიერი ადამი-
 ანების გაბედული დაწინაურება, რომლებსაც ახლის გრძნობა აქვთ, მუდამ
 იყო და კვლავ რჩება მთელი ჩვენი პარტიული მუშაობის ერთ-ერთ ძირითად
 რგოლად. კომუნისტებმა, რომლებიც სახალხო მეურნეობაში მუშაობენ, უნდა
 ვაიგონ, რომ პარტიის ეკონომიური პოლიტიკის განხორციელებისათვის ბრძო-
 ლა დღეს საქმისადმი მათი პარტიული დამოკიდებულების ერთ-ერთი მთავარი
 მაჩვენებელია.

ახალი ხუთწლიანი გეგმის შესრულების შედეგად საბჭოთა ქვეყანა კიდევ
 ერთ დიდ ნაბიჯს გადადგამს თავისი დიდი მიზნის მიღწევის გზაზე. კომუნისტ-
 ტური პარტია მტკიცედ არის დარწმუნებული, რომ მუშათა კლასი, კოლმეურ-
 ნე გლეხობა, ჩვენი ინტელიგენცია, მთელი საბჭოთა ხალხი არ დაიშურებენ
 მთელ თავის მძლავრ ენერჯიას, მთელ ძალებს იმ ამოცანების გადასაწყვეტად,
 რომლებიც ჩვენი კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობამ დასაბა. **(ხანგრძ-
 ლივი ტაში)**. 1967 წელი განსაკუთრებული წელი იქნება ჩვენი ქვეყნის ცხოვრ-
 ბაში. ამ წელს სახელოვანი ნახევარი საუკუნის იუბილეს გადავუხდით დიდ ოქ-
 ტომბრის რევოლუციას, რომელმაც ახალი ერა დაიწყო კაცობრიობის ისტო-
 რიაში. საბჭოთა ხალხს მკაფიოდ აქვს შეგნებული, რომ ამ ღირსშესანიშნავი
 თარიღის აღნიშვნის საუკეთესო ხერხია მოაპოვოს ახალი წარმატებანი ეკონო-
 მიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში. ჩვენი ქვეყნის საწარმოე-
 ბის, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მოწინავე კოლექტივებმა
 უკვე დაიწყეს სოციალისტური შეჯიბრება სახელოვანი წლისათვის აღსანიშნა-
 ვად. ისინი მოუწოდებენ ყველა მუშას, გლეხს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკს, მეც-
 ნიერს განახორციელონ ახალი ღონისძიებანი იმისათვის, რომ ჩვენი სამშობლო
 გახდეს უფრო მძლავრი და მშვენიერი, რომ იგი უფრო სწრაფად მოდიოდეს წინ
 კომუნისტისაკენ.

ამხანაგებო! თქვენ კარგად გესმით, რომ ჩვენი წინსვლა დამოკიდებულია არა მარტო იმაზე, თუ როგორ ვითარდება ეკონომიკა და კულტურა ქვეყნის შიგნით, რამდენად თანმიმდევრულად და მთლიანად სრულდება ჩვენი სოციალური დავალებანი. საბჭოთა კავშირში კომუნისტური მშენებლობის მსვლელობაზე ნაკლებ გავლენას როდი ახდენს საერთაშორისო ვითარებაც. აი რატომ არის, რომ პარტიის XXIII ყრილობამ ასეთი დიდი ყურადღება დაუთმო საგარეო-პოლიტიკური კურსის შემუშავებას მომავალი პერიოდისათვის. ყრილობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩვენ მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი კვლავაც განვასოციელოთ საგარეო პოლიტიკა, რომლის მიზანია ყველაზე ხელსაყრელი პირობები შევუქმნათ კომუნისტური მშენებლობას, განვამტკიცოთ სოციალისტური სისტემის ძლიერება და ერთობა, ყოველნაირად დავუჭიროთ შხარი ხალხთა ბრძოლას ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის, განვამტკიცოთ მშვიდობა და თავიდან ავიცილოთ ახალი მსოფლიო ომი, დავამკვიდროთ სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპი.


ჩვენი საგარეოპოლიტიკური საქმიანობა წარმატებით ვითარდება ყველა ამ მიმართულებით.

ამ ბოლო დროს ბევრი რამ გაკეთდა მოძვე სოციალისტურ ქვეყნებთან მეგობრობის, შეკავშირებისა და ურთიერთშინაობის განვითარებისათვის. სოციალისტური ქვეყნების ურთიერთობა სულ უფრო მჭიდრო, სისხლსავსე და მრავალფეროვანი ხდება. ჩვენს საერთო საქმესა და ყოველ მოძვე ხალხს კარგ სამსახურს უწევს შრომის სოციალისტური განაწილება, კულტურულ და მეცნიერულ ფასეულობათა სულ უფრო ფართო გაცვლა, რეგულარული კონსულტაციები საგარეო პოლიტიკის საკითხებზე.

ჩვენ მტკიცედ შეგვიძლია განვაცხადოთ, ამხანაგებო, რომ ამ ბოლო დროს სოციალისტურ თანამეგობრობაში, ისევე როგორც მსოფლიო კომუნისტურ მოძრაობაში, განსაკუთრებული ძალით მკლავდება მისწრაფება, რომ ერთად ვიმოქმედოთ მშვიდობისა და სოციალიზმის ინტერესებისათვის. ამის ნათელი გამოხატულება იყო ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა ივლისის თათბირი. ბუქარესტში მიღებული განცხადება ვიეტნამის თაობაზე და დეკლარაცია ევროპის მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების შესახებ პოლიტიკურად დიდად საგულისხმო და ხანგრძლივი მნიშვნელობის დოკუმენტებია.

ბუქარესტის დეკლარაციაში არა მარტო გამოამჟღავნებულია იმ საშიშროებათა წყაროები, რომლებიც ევროპას ემუქრება, არამედ ნაჩვენებიც არაა. თუ რა და როგორ უნდა გაკეთდეს, რათა ევროპამ, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის რევანშისტული წრეების გეგმებისა და ევროპისგარეშე ძალები-ჩარევის მიუხედავად, ბოლოს და ბოლოს შეძლოს საკუთარი უშიშროების პრობლემის გადაწყვეტა. კონკრეტული საქმიანი ფორმით გამოხატული მისწრაფება მშვიდობისადმი, კონსტრუქციული მიდგომა იმ პრობლემებისადმი, რომლებიც ევროპის ყველა ხალხს აწუხებს, სხვა მსოფლმხედველობის მქონეთა მონაწილეების ობიექტური გათვალისწინება — აი რით მიიპყრო ბუქარესტის დეკლარაციამ მთელი მსოფლიოს განსაკუთრებული ყურადღება.

სულ ცოტა ხნის წინათ საბჭოთა კავშირში გაიმართა ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, კუბის, მონღოლეთის, პოლონეთის, რუმინეთის, საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის პარტიების ხელმძღვანელთა და მთავრობების მეთაურთა შეხვედრები და საუბრები. გულითადობის, გულახდილობის ატმოსფეროში მიმდინარე ამ შეხვედრების მონაწილეებმა



ერთმანეთს გაუზიარეს მოსაზრებები საერთაშორისო პოლიტიკის ბევრ ურთი-
ერთსაინტერესო საკითხზე.

პრესის ცნობებიდან თქვენ იცით, რომ ჩვენი სტუმრები გაეცნენ საბჭოთა
ქვეყნებისა და ტექნიკის მიღწევებს, მათ შორის საბმელეთო ჯარების, სამ-
ხედრო-საპავრო ძალების შეიარაღების, კოსმოსური და სამხედრო-რაკეტული
ტექნიკის უახლეს ნიმუშებს.

ღიან, საბჭოთა აღამიანების ხელით გამოიქვედა მრისხანე იარაღი, შეიქმნა
ქვეშაირიტად უზარმაზარი ძალა, ჩვენი ქვეყნის, ჩვენი მეგობრებისა და მოკავ-
შირების უშიშროების საიმედო გარანტია. საბჭოების ქვეყანა გახდა მთელი კა-
ცობრიობის მშვიდობის, თავისუფლებისა და პროგრესის ურყევი ბურჯი. (ხან-
გრძლივი ტაში).

საბჭოთა ხალხმა კარგად იცის, რომ საერთაშორისო ურთიერთობის ყველა
დიდმნიშვნელოვანი საკითხი და, უწინარეს ყოვლისა, ომისა და მშვიდობის,
ხალხთა უშიშროების საკითხები წყდება შეუპოვარ და თავგანწირულ ბრძოლა-
ში, სადაც მშვიდობის, სოციალიზმისა და პროგრესის ძალების მოწინააღმდეგედ
იმპერიალისტური რეაქცია გამოდის. დღეს, რა თქმა უნდა, იმპერიალიზმი ვერ
არის იმდენად ძლიერი, რომ ჭიჭურ შეუტეოს იქ, სადაც მტკიცე, ერთსულოვან
წინააღმდეგობა მოეღოს. ახლა იგი ფრთხილობს, მიმართავს სხვადასხვა ხრი-
კებს, შემოვლითს მანევრებს, რათა გააძლიეროს რეაქციის პოზიციები, ხალხებს
გამოგლიჯოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა, რომლებიც მათ მძიმე ბრძო-
ლით მოიპოვეს, და ჩვენ, რა თქმა უნდა, ყოველთვის უნდა ვითვალისწინებდეთ
ამას და ფხიზლად უნდა ვადევნებდეთ თვალს იმპერიალიზმის ხრიკებს.

რა თქმა უნდა, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ისიც, რომ იმპერიალიზმი
შელს როდი იღებს უხეში ძალისა და უშუალო აგრესიის გამოყენებაზეც კი,
განსაკუთრებით იქ, სადაც შეამჩნევს ხოლმე თუნდაც ოდნავ ბზარს ანტიიმპე-
რიალისტურ ფრონტში. ამის მაგალითია ამერიკის შეერთებული შტატების და-
ნაშაულებრივი აგრესია ვიეტნამში.

დღეს, ვიეტნამში იმპერიალისტური თარეშის პირობებში, ერთიანი მოქმე-
დებისაღმი დამოკიდებულება ინტერნაციონალური პასუხისმგებლობის, პროგ-
რესის და რევოლუციის იდეალების ერთგულების გადაწყვეტი კრიტერიუმია.

ამასთან დაკავშირებით, მზნანაგებო, არ შეიძლება გადაჭრით არ დავგმოთ
ჩინეთის კომუნისტური პარტიისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ზელმძღ-
ვანელები. ჩინეთის ზელმძღვანელებმა ფეხქვეშ გათელეს პროლეტარული ინ-
ტერნაციონალიზმის პრინციპები და უარყვეს საბჭოთა კავშირისა და სხვა სო-
ციალისტური ქვეყნების ყველა წინადადება, რომელთა მიზანია შეთანხმებუ-
ლად იმოქმედონ მოძმე ვიეტნამის მზარდასაქერად. ეს დადასტურა თავისი გა-
დამწყვეტილებებით ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის
XI პლენუმმა. ამავე დროს ჩინეთი ერთადერთი სოციალისტური ქვეყანაა,
რომელიც უშუალოდ ესაზღვრება ვიეტნამს. და მის პოზიციას ამ მზრივ დიდი
მნიშვნელობა აქვს ვიეტნამელი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის მზარ-
დაჭერის მთელი საქმისათვის.

რაც შეეხება ჩვენს პოზიციას, იგი ნათელია — ეს არის პროლეტარული
ინტერნაციონალიზმის პოზიცია. საბჭოთა კავშირი კვლავაც განაგრძობს ღო-
ნასძიებებს სოციალისტური ქვეყნების შეკავშირებისათვის, კვლავაც ყოველ-
მზრივ დაეხმარება და მზარს დაუჭერს მებრძოლ ვიეტნამს. ჩვენ ვიცით, რომ
ვიეტნამის საკითხში ასეთსავე კურსს ადგანან სხვა სოციალისტური ქვეყნებიც.
სოციალისტური თანამეგობრობისა და მთელი მსოფლიო კომუნისტური
მოძრაობის ერთობა დიდმნიშვნელოვანი პირობაა, რომ წარმატებით გადაიჭრას

სხვა საერთაშორისო პრობლემებიც ხალხთა საკეთილდღეოდ. ჩვენ მტკიცედ ვართ დარწმუნებული, ამხანაგებო, რომ სოციალიზმის ერთობის ქვეყნებს შორისა და თავისუფლების საქმე გაიმარჯვებს. (ტაში). შეკავშირებაა საბჭოთა ხალხთა და თავისუფლების საქმე გაიმარჯვებს. (ტაში). შეკავშირებაა სოციალიზმის ყველა ქვეყნის, მთელი კომუნისტური მოძრაობის საარსებო ინტერესი. შეკავშირებაა მშვიდობის, სოციალიზმისა და პროგრესის საქმის ახალ გამარჯვებათა დიდმნიშვნელოვანი საწინდარი! (ტაში).

ჩვენი პარტია თანამიმდევრულად მუშაობს იმისათვის, რომ გააფართოვოს და განამტკიცოს თანამშრომლობა მსოფლიო ასპარეზზე რაც შეიძლება უფრო ფართო პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ძალებთან, რომლებიც იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან. ცხოვრებაში მჭიდროდ დაკავშირება აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და სოციალიზმის ინტერესები. დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო პრობლემების გადაჭრაში ამ ძალების თანამოქმედება ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების დიდი ფაქტორია ხდება.

ჩვენ მტკიცედ ვართ დარწმუნებული, რომ მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების ინტერესებისათვის თანამშრომლობა შესაძლებელია აგრეთვე დასავლეთის მთავრობებთან, პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეებთან, რომლებიც საღად აფასებენ საერთაშორისო ვითარებას, რომლებიც მზად არიან საქმით დაიკვიან სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპები. დროზე დადინახით სიახლე საერთაშორისო ცხოვრებაში, გავერკვეთ არა მარტო მოვლენათა საერთო მსვლელობაში, არამედ სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკის კონკრეტულ ტენდენციებშიც. იმ ქვეყნების პოლიტიკის ტენდენციებშიც კი, რომლებმაც სოციალური ბარიერები გვყოფს, — ეს ისევე საჭიროა, როგორც ის, რომ ფიზიკალ ვადევნებდეთ თვალს აგრესიული იმპერიალისტური ძალების ხრიკებს და ვხედავდეთ საფრთხეს, რომელსაც ისინი ქმნიან.

საერთაშორისო მშვიდობის განმტკიცების, ხალხთა თავისუფალი დამოუკიდებელი ცხოვრების უფლებათა დაცვის, სახელმწიფოთა ნაყოფიერი თანამშრომლობის განვითარების პროგრამით გამოდის საბჭოთა კავშირი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაშიც. ამის შავალითა საბჭოთა დელეგაციის საქმიანობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ახლანდელ სესიაზე. ისევე როგორც წინა წლებში, საბჭოთა კავშირმა სესიის მონაწილეთა განსახილველად წამოაყენა მთელი რიგი მომწიფებული და დიდმნიშვნელოვანი საკითხები. ეს არის ღონისძიებათა განხორციელება იმისათვის, რომ განუზრგვალდ შესრულდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დეკლარაცია სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩარევის შეუწყნარებლობის შესახებ და, მასთანადავ, აღიკვეთოს საერთაშორისო კონფლიქტების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი. ეს არის შესაბამისი პირობების უზრუნველყოფა ატომური იარაღის შემდგომი გავრცელების თავიდან ახაცილებლად, რასაც ყველაზე პირდაპირი დამოკიდებულება აქვს მშვიდობის ბედთან და შეესაბამება მთელი კაცობრიობის ინტერესებს. და, ბოლოს, ეს არის უცხოეთის სამხედრო ბაზების ლიკვიდაცია აზიაში, აფრიკასა და ლათინურ ამერიკაში, ურომლისოდაც ძნელია ვილაპარაკოთ ამ რაიონების ბევრი ქვეყნის ნამდვილ დამოუკიდებლობასა და უშიშროებაზე.

საბჭოთა აღამიანები, რა თქმა უნდა, ჯეროვნად აფასებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის — ყველაზე წარმომადგენლობითი საერთაშორისო ორგანიზაციის შესაძლებლობებს. მას შეუძლია გამოიხატოს და კიდევაც უნდა

გამონახოს ძალები, რათა მშვიდობის სასარგებლო ინსტრუმენტი გახდეს, სხვა-
 კოთა კავშირი მზად არის კვლავაც შეუწყოს ხელი გაერთიანებული ქრეზის მშენებელ
 განიხაციის ეფექტიანობის გადიდებას მისი წესდების ზუსტად დაცვით ნათეს
 ველზე.

საკვ ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა საერთაშორისო საქ-
 მებში მტკიცედ მისდევენ ლენინურ კურსს, რომელიც ერთსულოვნად დაადას-
 ტურა ჩვენი პარტიის XXIII ყრილობამ. ამ კურსს სრული გაგებით ეკიდება და
 მხარს უჭერს ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის ყველა ხალხი. ჩვენ არასოდეს არ
 დავხრით სოციალისტური ინტერნაციონალიზმის, მთელ პროგრესულ, ანტი-
 იმპერიალისტურ ძალებთან სოლიდარობის დროშას, ხალხთა თავისუფლებიან,
 თანასწორობისა და უშიშროების დროშას, რომელიც მალღა უჭირავს საბჭოთა
 კავშირის კომუნისტურ პარტიას. (მჭუხარე ტაში).

ამხანაგებო! დიდი ნდობა, რომლითაც ეკიდება ჩვენი ხალხი პარტიის საგა-
 რეო და საშინაო პოლიტიკას, უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებს ყველა კო-
 მუნისტს, ჩვენი ქვეყნის ყველა პარტიულ ორგანიზაციას. პარტია, მისი ცენტ-
 რალური კომიტეტი ყველაფერს იღონებენ, რომ გაამართლონ ეს ნდობა, რომ
 კვლავაც განამტკიცონ პარტიისა და ხალხის ერთობა, რომელიც საბჭოთა წყო-
 ბილების ძლიერების დაუშრეტელი წყაროა.

საქართველოს მშრომელებს, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანს,
 საკვ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებანი მიაჩნიათ ჩვენი სამშობლოს ძალიან
 და ძლიერების განმტკიცების მკაფიო და ნათელ პროგრამად.

ჩვენ ყველანი მტკიცედ ვართ დარწმუნებული, რომ ორდენოსანი საქარ-
 თველო, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და
 რესპუბლიკის მთავრობა კვლავაც კომუნისტური მშენებლობის ამოცანების სი-
 მალღეზე იქნებიან. (ტაში).

ნება მიბოძეთ, ამხანაგებო, წავიკითხო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს
 პრეზიდიუმის ბრძანებულემა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რეს-
 პუბლიკის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ. (ტაში).

„რესპუბლიკის მშრომელთა მიერ სამეურნეო და კულტურულ მშენებლო-
 ბაში მიღწეული წარმატებებისათვის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური
 რესპუბლიკა დაჯილდოვდეს ლენინის ორდენით“. (მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში).

დიდი სიხარულით ვასრულებ, ამხანაგებო, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს
 პრეზიდიუმის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომი-
 ტეტისა და საბჭოთა მთავრობის დავალებას — გადაეცე ლენინის ორდენი სა-
 ქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას. (მჭუხარე, ხანგრძლივი
 ტაში, ყველანი ფეხზე დგებიან).

ნება მიბოძეთ ერთხელ კიდევ მოვილოცოთ მაღალი ჯილდო და ვუსურგო
 საქართველოს მშრომელებს ახალი წარმატებანი სახალხო მეურნეობის და კულ-
 ტურის განვითარებაში. (ტაში).

ამხანაგებო! ჩვენ ერთმანეთს ვხვდებით დიდი დღესასწაულს — საბჭოთა
 ხელისუფლების 49-ე წლისთავის წინ. ნება მიბოძეთ საკვ ცენტრალური კომი-
 ტეტის, უმაღლესი საბჭოს, პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის სახელით

შევულოცო საქართველოს მშრომელებს დღესასწაული და ვუსურვო კეთილ-
დღეობა და ბედნიერება თვითეულ სახლს, თვითეულ ოჯახს. (მჭუხარე, ხან-
გრძლივი ტაში).

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს! (მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში).

გაუმარჯოს ჩვენი დიადი სამშობლოს ხალხთა ურღვევ მებრძობას! (მჭუ-
ხარე, ხანგრძლივი ტაში).

გაუმარჯოს სოციალისტური თანამებრძობის ყველა ხალხის ერთობაა და შეკავშირებას! (მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში).

გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან კომუნისტურ პარტიას, რომელიც მიუძღვის საბჭოთა ხალხს კომუნიზმისაკენ! (მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში).



პახვანგ მოკბანაი

მჩი მზე

პირვარდიანო ქართველო დედავ,
ეს რა დიდების შეესწარ ზეიმს,
ეგ თბილი გულიც, ამ მზესთან ერთად,
როგორ თანდათან მიიწევს ზევით.
შენი ძუძუთი გაზრდილ ვეფხვების
გზა-კვალს ყვავილთა რა შუქი მოსდევს.
მათი დროშების კალთებს ვემთხვევი
და მივულოცავ ლენინის ორდენს!

სხვა რა ვინატრო, მშობელო მიწავ,
აღსრულდა, რაც კი გულმა ისურვა,
ო, ერთს კი არა, მეცხრე ცას მისწვდა
და შეათე ცის ზღვაში მისცურავ.
ათასჯერ ვითხრა, მაინც ვერ შევძლებ,
რამდენიც უნდა სათქმელი მქონდეს,
დავკოცნი მე შენს მაღლიან ფესვებს
და მივულოცავ ლენინის ორდენს!

დედაენაზე დახრილ პატარებს,
რომ შლიან თრთოლით მშობლიურ ფურცლებს,
ყოველ სიტყვას რომ ღიმილს ატანენ
და იის ხელა გულები უცემთ.
რომ ოცნებობენ ლომ-არწივებად
ხვალის დღეების სივრცეში ქროდნენ,
მე ვუმღერ იმათ თავდავიწყებას
და მივულოცავ ლენინის ორდენს!

ვარსკვლავებს-ქართულ ასულთა ღიმილს,
ჩანჩქერებს-ქართველ ვაჟკაცთა ძარღვებს,
მტკვარს, რომ ღულუნებს, ვით შოთას სიმი
და ყოველ დილით გულის კარს აღებს.
მშვიდობის მაცნეთ მდგარო ვეფხვებო,
ცად რომ ააფრენთ საცაა კორდებს,
ო, ყველას, ყველას ერთად ვეხვევი
და მივულოცავ ლენინის ორდენს!

ვინც არ სჯერდება მიღწეულ სახელს,
აუშვებს აფრებს ახალ მდგლოთა,
კვლავ საოცრების სხივებში გაჰხვევს
და აღამაღლებს ჩვენს ქართველობას.



10.345

ვინაც გულს სწურავს, ვით ყურძნის მარცვალს,
 მუდამ სურს ძმობის მნათობად კრთოდეს,
 მინდა შევძახო ქართული ვაშა
 და მიველოცავ ლენინის ორდენს!

ეს ხმა, ეს ღელვა შეიკრას ფიცად,
 სულ ღაღადებდეს სიკეთის ენით,
 როგორც ორი მზე, რუსთველის მიწას,
 ლენინის ორი ორდენი შვენის.
 მჭერა, ამ დილას რა სითბო მოსდევს,
 სად მიგვაქანებს ეს შრომა, ვიცით,
 ჩვენ ღირსეულად დავიცავთ ორდენს,
 ვით მოწოდებას მშობლიურ მიწის!



ჩვენს მარჯვნივ

პოეტ რევაზ მარჯიანს 50 წელი შეუსრულდა. ვგვძღვით მის ახალ ლექსებს, ვულოცავთ პოეტს ორმოცდაათი წლისთავს და ვუსურვებთ ახალ ჯარჯვებებს შემოქმედებასა და მოღვაწეობაში.

„განთავის“ რედაქცია.

ლექსების წიგნიდან „გამოღვი ქება“
ენგური

მშფოთვარე ენგურს რა დაამშვიდებს,
კვლავ ძველებურად ებრძვის
ჭარაღებს,

წყაროს და წვიმას,
თოვლს შარშანწინდელს
თავეს ენაზე ალაპარაკებს.

განა ენგური კლდეს უშინდება? —
მუდამ იქნება

ასე თავნება,
ერთი კი ვიცი —
გაუჭირდება

ძველ კალაპოტთან გამოსალმება,

რადგან მან ეს გზა
ბრძოლით გაკვალა

და გზა უვალი ძლევით გაჰკვეთა.
არ შეუშინდა მისი ჭალარა
ტანჯვას,

ვაებას,
სასოწარკვეთას.

განა ოდესმე ბედს ემდუროდა,
მიგრიალებდა მუდამ შხარადან.
ბევრჯერ ადიდდა,

ბრძოლა სწყუროდა
და ბევრჯერ კიდევ დაპატარავდა.

მაგრამ ისევე დარჩა ენგურად
და ძველებურად ჰქუხს და ენგურობს.
შენ კი რას ფიქრობ, ამის შემყურე
გულო, სიამით ამორგებულო?

ოიდა ნანაილა

ოიდა ნანაილა,
მზე მწვავს სხვანაირად.

შენი ბრწყინვალეობა
სადღაც იმალება!
ირგვლივ ასი კოშკი
ასი მაჩუბია.

სხივი აირეკლეს
თეთრმა მყინვარებმა,
ალბათ, შენთა თვალთა
გამონაშუქია!
ოიდა ნანაილა.

ოიდა ნანაილა,
ირგვლივ ყვავილების

დიდი შუშპარია,
ზოგი მოციმციმე,
ზოგი შექმკრთალია
ალბათ, ქორწილია
ქრელი პეპლებია.
სათიბს ედებიან.

მაყრებს შეუტყვიით,
დაუფეთებიათ,
მისთვის დაფრინავენ
ასე სხვანაირად.
ოიდა ნანაილა.

ოიდა ნანაილა,
დილა — იმედია,

სული — დამტკვარია,
 გული — გამთბარია.
 ირგვლოვ ქედებია,
 მთებს რა შესძლებია!
 ყველა ქალიშვილი,
 ყველა დანიშნული
 მგონი თამარია!
 სადღაც ხეობაში
 ისმის შარიშური,
 გვლოცავს ლამარია!

ოიდა ნანაილა,
 მზე მწვავს სხვანაირად!
 გული ამიჩქროლა,
 ცისკენ გამიყოლა,
 დარდი დამაფიწყა,
 დარდი გამიქარვა,
 ლილე დამაფიცა
 დილის ნიაქარმა!
 როგორ? რანაირად?
 ოიდა ნანაილა!

ოიდა ნანაილა,
 ჩემი ალტაცება
 ენით არ ითქმება!

მზისკენ მივბიჯებ,
 ფრენაც შეიძლება
 რადგან შთაგონების
 ფრთები გამომება!
 ჩემი მთაგორების
 ექოს გაგონებამ
 მალა ამიტაცა,
 ცაში მატრიალა
 ჩემი სიხარულით
 ჩემი დარდიანა!

ღმერთო დიდებულო,
 დილა ამნაირი
 ბევრი მომასწარი,
 ბევრი გამითენე,
 გული გამიმთელე,
 რადგან ლილეს ბედი
 ჩემს ხელს აბარია,
 ეს დღე დიდებული
 ძველი ზღაპარია...

რისთვის ამიძგერდა
 გული სხვანაირად?
 ოიდა ნანაილა,
 ოიდა ნანაილა!

ბ ე ლ ა თ ი

კავკასიონზე მზე ჩადიოდა,
 ავარდა ალი უხარმაზარი,
 და მომეჩვენა, თითქოს წიოდა
 ცეცხლში მტურავი თეთრი ტაძარი.

იქნებ, დაეცა შავი ხონთქარი
 ანგელოსების მყუდრო სავანეს

და ნიაღვარი, რისხვით მომსკდარი,
 ლველფად გადიქცა მოსვლისთანავე?

იქნებ, მოვარდა შავი ავდარი
 და გუმბათს მისწვდა ცეცხლის
 ენებად...

ო, ღმერთო ჩემო,
 დარდი მაქმარე
 და მომაცილე ეს მოჩვენება!

ნუთუ ბუნის ხილი...

სადღაც ქრება, მიდის
 ყვაილების წყება,
 შეთვალული შინდის
 უცხო გაბრწყინება.

ღრო მიდის და მჯერა,
 რომ გზა მრჩება უკან,
 ძველი გულის ძგერა,
 ღორღიანი შუკა.



ქრება, მენანება
საყვარელი წლები,
როგორც ცისარტყელა,
ღრუბლებს შორის ვქრები.

ან რა ვუყო, მითხარ,
რაც დავტოვე უკან?
იქნებ, გამყვეს დიდხანს
ჩაუქრობელ შექაღ,

რაც დავფანტე გზაში
ლექსის ნაპერწკლებად
უცოდველი ბავშვის
სიმღერების წყება!

ღრო კი სწრაფად მიდის,
წვალეზაც და გარჯაც.
ნუთუ ბეწვის ხიდი
გასავლელი დარჩა?...

ღ რ მ ა!

ღროა, სიმღერის ღროა,
სიმი გასჭიმე ლალად
და თავისთავად მოვა
ამღერებული ტალდა.

ღროა, მიხედო კალამს —
სიცოცხლეს,
ნუგეშს,
იმედს,
ღღეს ნულარ აქცევ ზვალად,
ღროს ნუ წაიყვან მძიმედ.

ღროა, მზე იწვეს მალდა,
ქვეყანა ელის სათქმელს,
ღროს, ღროს სჭირდება ახლა
შენი სიტყვა და საქმე.

გასქერ, გაპყვეთე სწრაფად
მინდორი,
ყანა,
წყალი
და გადახედე ზღაპარს
ღღევანდელიობის თვალთ.

ღროა, მოსცილდეს კალამს
გადავიწყების ჟანგი,
გაფერე, შეგწვეს ძალა
სთქვა უკვდავების პანგი.

მამულს უბრუნებ ამაგს,
სთქვი, რალას უცდი ბარემ, —
შენგან მოელის ამას
შენი მშობელი მხარე!

იმ ნაშუი ჩემი ბედის განათვა

წინასწარ ვიგრძენ ბედნიერება,
რისთვისაც ასე ძალზე ვღელავდი,
მოფრინდა უცებ საკვირველება,
თხემზე დაეშვა თეთრად გელათი.

იფრინა. ალბათ, ბევრი იფრინა,
ხასხასა, მწვანე მკერდი მოქებნა
და თავს დავგვადგა უქრობ
გვირგვინად,
ერთგულთა ყმათა გასაოცებლად!

ეს იყო ძალა, რალაც ძლიერი
და ნაზი, როგორც დილის ნიავი.
იმ წამში გავხდი სვებედნიერი,
გალარჩენილი ჟამთა სიავეს.

იმ წამში ჩემი ბედიც განათდა,
რისთვისაც ასე ძლიერ ვღელავდი...
და ჩაუქრობი შექი მფარავდა
მზის,

სიხარულის,

ცის

და გელათის.

შენ. გზას და ღივს



შენც კარგად იცი,
ვინ ვარ,
და ნულარ ჩამთვლი არად.
არ ვარ თეთნულდის ყინვა,
ბარში

მოსული ქარად,
არც შემოდგომის თქვენი,
ბევნი

მოსული ღვარად,
ჩემი მამულის მზეში
ღმერთმა დამბადა სევანად.

მე ვარ ერთგული მოყმე,
საქართველოზე ვფიქრობ.
ეჰ, რა უდროოდ მოხველ

ჩემს საფეთქელზე, ფიფქო!
იქნებ,
უდროოდ მოველ,
იქნებ,
უდროოდ მივალ
და ახლა ვლოცავ ყოველ
კაცს,
ღღეს რომელსაც სცივა.

მე ყველაფრზე ვლელავ,
შუქით ავავსებ დიღვეს
და დაგიტოვებთ მძევლად
ამ გულს
შენ.
მზეს და
ლილვს.

წვიმიანი გოგონა

დრო მიდის სწრაფად.
მწველი დრო მიდის
და მოგონებებს ველარ ვცილდები.
მოულოდნელად ისევ მომინდით
შენ და ის წვიმა შარშანწინდელი.

გგონი მაისის იყო დამდეგი,
მეხმა რომ თავზე გადიგრილა
და აღარ ჩანდა თეთრი ყაზბეგი,
ჩამალულიყო ნისლში მთლიანად.

წამით გონება გადამინათა
იმ ელვამ, მაშინ რომ ჩაგვიქროლა,
და ყველაფერი გაუჩინარდა,
იყო და თითქოს
არა იყო რა!

ექვს ხმაც მესმის თეთრი, შორი მთის
და მაშინდელი ღრუბლით ვმძიმდები.
ვერ გამივია — რისთვის მომინდით,
შენ და ის წვიმა შარშანწინდელი?!

ქებათა ქება


ქებათა ქება ზღვას და მდინარეს,
გალაღებულ ტალღების ჩქეფას.
ვარსკვლავთა კრებას შუქმომდინარეს
სამარადისო ქებათა ქება!

ქებათა ქება
ბულბულის ყეფას,
სიყვარულისთვის ვინც სანთლად
ღნება,

მუხას და ტირიფს,
ღვიას და დეკას,
სამარადისო ქებათა ქება.

ქებათა ქება მზესა და მთვარეს,
საღლაც ბუჩქებთან მიყუყულ იას,
შენს დაუფიწყარ სიტბოს და ალერსს,
ყველაფერს, რასაც სიცოცხლე ჰქვია.

ქებათა ქება დიდების ზარებს,
რომლის ხმაც გულში არასდროს
წყდება.
სათაყვანებელ სამშობლო მხარეს
სამარადისო ქებათა ქება!



საქართველოს
წერა-ბეჭდვის
და დრამატული
თეატრის
წევრთა
კავშირის
სამდივნოს
გამგზავნი

თუ მოგაპაღე იხვე აპირებ

ბუნებამ თურმე მადლით აგავსო
და ყველაფერი მოგცა ბუნებამ,
მხოლოდ ფერმკრთალი და ულამაზო
იაგარ იყოს ყველა ცდუნება!

მხოლოდ ის არის გულდასაწყვეტი,
რომ წლები გახდნენ უფრო
ფრთამაღი,
ვაითუ მართლა ლექსში დაბერდი,
დაობდა შენი ტყვია-წამალი?

შენ ხომ ყველაფრის იყვე მტერი თუ ქა
ვინ ჩივის დაღლას და უძილობას,
დარჩი ისევე ალაღმართალი
და შეგჩრჩეს შენი გულგაშლილობა.

აქვე გულწრფელი და პირდაპირი,
სინათლით სავესე გქონდეს გონება,
თუ მომავალში ისევე აპირებ
ამ ქვეყანაზე კაცურ ცხოვრებას.

თუკვე გხვდები ვარ ათიერიან

ჩემს შეილიშვილს რვაგას

მოულოდნელად გავხდი ქორ-მახვში.
დაშიდგეს ტაბლა
და საკარცხული.

თანდათანობით აღსდგა ხსოვნაში
ჩემი ოჯახის დიდი წარსული.

თურმე მახვში ვარ
და მბრძანებელი,
ჩემი ლბილი ხმაც ხდება უხეში,
რადგან ეს მხრები უბერებელი
უცხად გაება ახალ უღელში.

თვალწინ განათდა ჩემი მერმისი.
მაგრამ მაინც ვარ გულდადაგული,
რადგან

მახვშისთვის შესაფერისი
წვერი არა მაქვს გადაბამბული.

შვილთაშვილების მართობს კრებულნი,
თითქოს ამომდის ახლად კბილები

და, ხაიდრევედ დაბრძენებელი,
ბალღებთან ერთად მეც ვიღიმები...

თუმც სათვალავში ჯერ არ მეშლება,
მაგრამ მაინც ვარ ხშირად მღუმარი.
ჩემს გაოცებას

და დაეჭვებას
ყურში ჩასძახის ხმა იღუმალი:

— მეტი სიღინჯე გმართებს, ბატონო,
რომ უფრო შიშვე ტვირთი ატარო,
წარბშეუხრეღად რომ უპატრონო
შენს გადიღებულ ახალ სამთავროს...

ჩანს, რომ მახვში ვარ ამიერიდან,
მხრებზე სიმძიმე მაწევს ზღაპრული,
მაგრამ ერთ რამეს მაინც ვერ

ვიტან,—
წვერი რომ არ მაქვს გადაბამბული.

საგაღიბი გზის ჩასვლის

ვორუდილა, რაშა,
დიღბანს იკაშკაშა!

ჩაღის, უხმოღ მიღის,
ხვალ კვლავ მოვა დიღად.
დაგვიტოვა ბინდი...
ვოიდა ვორუდილა.

ჩაღის, სითბოს სტოვებს,
ყანის სუნთქვა ისმის.

იღნის გაშლილ რტოვებს
სითბო შერჩათ მისი —
სიხარულის წიღად.
ვოიდა ვორუდილა.

ლამით უნდა გავძლოთ
 ვარსკვლავების შუქით,
 ვარსკვლავების კვარით,
 და მზის სხივის ნაცვლად
 შუქით — ცივი მთვარის,
 ვიდრე მოვა დილა.
 ვოიდა ვორუდილა.

ძილში ჩაეყოლოთ
 გაღიშება მზისა
 და იქნება ბოლოს
 ჩვენც გავვადოს ღირსად
 მისი მოწყალების,
 მისი დიდებისა!

არა ჩუმად ჩადის
 და დილამდე გვეტოვებს
 მე და დედის მანდილს,
 მე და იფნის რტოებს,
 მე და მწვანე სათიბს,
 მე და მუშა ფუტკარს.
 თვითონ ფუტკრისათვის
 არაფერი უთქვამს,
 რადგან იცის — ისევ,
 ოქროდ მოვიზიგებ.
 მოფრინდება დილად.
 ვოიდა ვორუდილა!

ყანობილი. 31 იანვარი. 1965

ყანობილი.
 თოვლი.
 თოვლი.
 აი რით ვარ კმაყოფილი.
 უპირველეს ყოვლის
 ხომლით
 და ქათქათა ყანობილით.

ამ ცის გუმბათს კარგად ვიცნობ,
 ამ ვარსკვლავებს ნათვალთვალებს.
 აქ დილის მზე
 უფრო ფიცხობს
 და თბილია ლამით მთვარე.

ყანობილი.
 ლურჯი ხუფი,
 ცისკენ მჭროლი ყანობილი
 და ვარსკვლავთა მთელი ჯგუფის
 განუყრელი მამობილი.

ცა, ჰაერი გამჭვირვალე,
 ოცნებაზე უფრო მჩატე,
 დღისით მზე და

ლამით მთვარე,
 ცის ლაყვარდში მოთვარუაბე.

რომელ თქვენგანს ახსოვს ოცხე,
 გული ცხელი,
 დარდი მწველი.
 და თუ გახსოვთ, გამიცოცხლეთ
 მოგონება ძველისძველი.

აქ სიმღერას სძინავს მრავალს,
 ფიქრებს,
 დარდებს
 და ოცნებას.
 თავისთავად,
 თავისთავად
 არაფერი გაცოცხლდება.

...ყანობილი ცისკენ მჭროლი,
 ოცნებებით კმაყოფილი,
 უპირველეს ყოვლის
 ხომლის,
 მერე ჩემი მამობილი.

გიორგი შაბაჩაშვილს

ბევრი ვეცადეთ შენს გადარჩენას,
 მაგრამ დაიმსხვრა მაინც აღმასი,
 თურმე სიკვდილსაც უყვარს არჩევა
 უფრო კარგის და უფრო ლამაზის.

მანაც ყველაზე კარგი მოგძებნა
 და გულის ყველა გზა გადაღობა,
 დალეწა ჩვენი ბევრი ოცნება,
 წაიღო ჩვენი ახალგაზრდობა.

მივინო, რასაც მის ვეშაღვდით,
თუმცა შენ ფხიზელი გყავდა დარაჯი.
გულსაც სცოდნია თურმე ღალატი,
გაგზვია ბნელში და სულდარაში.

მოულოდნელად და უცაბედად
გამკრა ელვამ და შემაჯანჯლარა

და სამუდამოდ თვალწინ ჩაბნელდა
ჩვენი ცხოვრების ერთი ფანჯარა.
და შენ რომ გძინავს ჩვენს დიდებულში,
ვერ ვგუება ჩემი გონება,
შენ, განუყრელი ძმა და ნუგეში,
საუბედუროდ — ხარ მოგონება!

მე გაზაფხულის მონა ვიქნები

მე ზამთარს ჩემს ფიქრს
ვერ ვავანდობ,
გამიჭირდება!

მეტად ძნელია
ზამთრისათვის
ფიქრის განდობა.

ასე მგონია,
სიკაბუევე
გამიფრინდება,

მოუსვენარი,
შფოთიანი
ახალგაზრდობა.

რა საჭიროა
ზამთრისათვის
ფიქრის განდობა,

როცა ჭერ ისევ გაზაფხულში
დავიარები,

როცა ჭერ ისევ
სიკაბუევე
მჭვია სახელად

და ჭერ სავსეა
ნაპერწყლებით
ჩემი თვალები,

როცა ქოჩორი
სიკაბუევის
ქართი ბიბინებს.

ბულბულის ფრთებით
დაფრინავენ
ჩემი ფიქრები.

ვიდრე ჩემს თვალზე
სიკაბუევის
ცრემლი ციმციმებს,

მე გაზაფხულის
მუხლმოყრილი
მონა ვიქნები!

ჩ ე რ ა დ ი

ჩერადი.
ჩემი სიტყვა ფერადი
როლის გაიქცა ჩქერად?
მითხარი, გულო, რისთვის ღელავდი,
თუ შენი სიტყვის გჯერა!

ჩერადი.
გზას ვერ გადათქვრავდი,
შორს იქნებოდი ჭერაც,
არ ყოფილიყო შენი გელათი,
შენი გიზგიზა კერა!

ჩერადი.
კალამს ვერ გაფერავდი,
მზეს არ დაეწყო მზერა,

არ მოალწევდა მაშინ შენამდე
წინაპრის გულისძგერა!

ჩერადი.
მთებს ვერ გადასერავდი,
ივლიდი აღმაცერად
და ახალ სიტყვას ვერ გაჰყვრავდი.
არ ექნებოდა ქლერა.

ჩერადი.
ჩემი სიტყვა ფერადი
იქცა თუ არა ჩქერად?
მითხარი, გულო, რისთვის ღელავდი,
თუ შენი სიტყვის გჯერა!



რ ო დ ის

როცა წვიმა მოდის,
ქვაფენილზე სხლტება,
ზევის კალაოტი
ღორღით აივსება.

როცა წვიმა მოდის,
წვიმა ძვლებშიც ატანს,
ეზნიქება ტოტი
მსხმოიარე ატამს.

როცა წვიმა მოდის,
შემოდგომას სცივია.
როდის,
როდის,
როდის,
გადაიღებს წვიმა?

მე რომ ეს ბედი...

ხომ შეიძლება სულ არ მენახე!
მე რომ ის ტყვია არ ამცდენოდა,
ვერ გიზილავდით
შენ და ვენახებს,
შორს ვიქნებოდი საქართველოდან.

ხომ შეიძლება
ბედი მწვეოდა
უსასტიკესი და დამზაფრავი,
წელთა ბურუსში ჩაინთქმებოდა
დღემდე უცნობი ჩემი საფლავი!

მე რომ ეს ბედი არ შქონებოდა,
ვერ გიზილავდით შენ და ვენახებს
და შეიძლება... —
როგორც ეგონათ —
მხოლოდდა ხსოვნას შემოვენახე.

მე რომ ის ტყვია არ ამცდენოდა,
დაიბუღებდა ბნელი თვალბში,
შორს ვიქნებოდი საქართველოდან.
სადღაც,
მარტოკა
ცივ სამარეში!

თუკი იმედი არ გაქვს გულისა...

მე გადავწყვიტე გული გავჰედო,
 უკანასკნელად ეს დავასკვენი,
 თორემ მიმუხთლებს
 ძველი ნაჭდევი
 და საუთარ გულს შემოვასკდები.

მე გადავწყვიტე
 გული გავკვერო,
 როგორც აწრთობდა რკინას ხალიბი,
 გავალამაზო,
 უფრო გავფერო
 და მივცე უფრო მყარი ყალიბი.

მე მინდა
 რკინის ფურცლით დაეფარო
 მივიწყებული ნაიარვეი,
 თორემ გაიგებს მთელი სამყარო,
 რომ გულმტკივანი დავიარევი.

თორემ საცაა
 ზღურბლს გადავცდები
 ჩემი ნახევარ საუკუნისა,
 მალალ მწვერვალებს
 როგორ ავწვდები.
 თუკი იმედი არ გაქვს გულისა!

ამიტომ მინდა
 გული გავჰედო
 და მივცე ისევ მყარი ყალიბი,
 ისე გავკვერო
 ძველი ნაჭდევი.
 როგორც აწრთობდა ფოლადს
 ხალიბი.



პეპსარინა

პეპსპეპე

ქრონიკა

წიგნი მეორე

მოგზაურობიდან დაბრუნებული აში-
ლი, ვითარცა საფრანგეთის არმიის
ოფიცერი, ალყირში გაიწვიეს. მას იქ
თან ახლდა ახლად ჯვარდაწერილი სა-
ლომე. ალყირში ისინი დიდხანს დარჩ-
ნენ, ბოლოს კი ისევ პარიზში დაბრუნ-
დნენ. უკვე ორი შვილის დედა იყო სა-
ლომე, როცა გადაწყვიტა საქართველო-
ში წამოსულიყო, რადგან ეკატერინე
შვილსა და სიძეს აქ ეპატიებოდა და
ზუგდიდში სასახლის აშენებას სთავა-
ზობდა.

ეკატერინე თვითონ ეწვია პარიზში
შვილსა და სიძეს და ისინი მუდმივ სა-
ცხოვრებლად ზუგდიდში გადმოიყვანა.

იმავე ზაფხულს საქართველოში
ცოლ-ქმარი ზუტნერებიც ჩამოვიდნენ.
ოდესიდან გემით ფოთში წამოსულ ზუ-
ტნერებს ეკატერინემ როზმორდუკი
დაახვედრა. ეს ის ფრანგი როზმორდუ-
კი იყო, რომელმაც დავით დადიანის
დახმარებით აბრეშუმის ძაფსახვევი ქა-
რხანა გამართა ზუგდიდს. როზმორდუკ-
მა ქართველი ქალი შეირთო და მუდმი-
ვად დარჩა ზუგდიდს საცხოვრებლად.
ეკატერინემ დადიანების ოჯახის ეს ერ-
თგული მეგობარი ცოლ-ქმარ ზუტნე-
რებს შეახვედრა. როზმორდუკმა, ქუ-
თაისის გამოვლით, გორდში აიყვანა ავ-
სტრიელი სტუმრები.

ბერტა საქართველოში დიდი გულის-
ფანცქალით მოდიოდა. მას მარტო ეკა-
ტერინე დედოფლისა და მისი შვილების
მიერ ზღაპრად დახატული საქართველო

კი არ აღეღებდა, არამედ ისიც, რომ
თბილისში თავისი გულის სატრფო,
ერეკლე ბაგრატიონი ეგულებოდა, რომ-
ელმაც სხვაზე გაცვალა. გულნატკენი
და გულდაწყვეტილი ბერტა ამ სასურ-
ველ კაცს თვალიდან ვერ იშორებდა და
ასე ჰქონდა გადაწყვეტილი: საქართვე-
ლოში ჩასვლისთანავე თბილისს მიაშუ-
რებდა, ერეკლეს თავის ქმარს წარუდ-
გენდა, ერეკლეს მეუღლეს გაიცნობდა
და მერე...

მერე? მერე? — ამ კითხვას ბერტა
თავის თავს უსვამდა, მაგრამ ვერ პოუ-
ლობდა პასუხს. პირველად გორდში
რომ ჩავიდა, დადიანებისათვის არც
უკითხავს ერეკლეს ამბავი, მაგრამ იქ
დიდხანს ვერ მოისვენა და ქმართან ერ-
თად თბილისს წასვლა გადაწყვიტა. მის
გულს ერეკლე ბაგრატიონი თბილისისა-
კენ ეძახდა.

იმ დღეს ბერტამ ეკატერინეს სთხოვა,
მე და ჩემმა ქმარმა თბილისს წასვლა გა-
დაწყვიტეთ, იქ ჩვენ არავინ გყავს
ნიცნობი და მეგობარი, ეგებ ვინმესთან
სარეკომენდაციო ბარათი გავატანო-
თო.

დედოფალმა მაშინვე დაწერა წერი-
ლი თავის ძმასთან, დავით ჭავჭავაძეს-
თან. მეორე დღესვე გაემგზავრნენ ზუ-
ტნერები თბილისს. ეკატერინესაგან გა-
მოგზავნილი სასურველი სტუმრები ჭა-
ვჭავაძეების ოჯახში პატივისცემით მი-
იღეს. ანამ სტუმრებს შვილები გააც-
ნო. ერთ მათგანს, რომელსაც სახელად
თამარს ეძახდნენ, შავი ძაძები ეცვა.
ბერტამ იმავე დღეს გამოარკვია, რომ
მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ერეკლე
ბაგრატიონი ვარდაცვლილა, თამარი,

მისი მეუღლე, ესლა თალხით მოსილი, ახალ გაცნობილ სტუმარს ცრემლმორეული უყვებოდა ამ ამბავს.

ბერტამ გულით შეიყვარა ერეკლეს ქვრივი თამარი და, სანამ თბილისში იყო, თითქმის ყოველდღე ხვდებოდა. მასთან საუბარში როგორღაც გულს აყოლებდა, ერეკლეზე ფიქრსა და ღარდს იქარგებდა. ზუტენერებმა თბილისი დატოვეს და ზუგდიდში დასახლდნენ; ზუტენერი აშღო მიურატის საზამთრო სასახლისა და სალხინოში საზაფხულო აგარაკის მშენებლობას ხელმძღვანელობდა.

პეტერბურგში მყოფ მეფის ადიუტანტს ნიკო დადიანს იმ წელს ქალიშვილი შეეძინა. შეიტყო თუ არა ეს ამბავი, გახარებულმა გრიგოლ ორბელიანმა წერილი აფრინა ეკატერინესთან. დედოფალს ქალიშვილის შექმნას ულოცავდა და სწერდა:

„ვეშმარტითა გულითადი სიხარულითა გილოცავ ნიკოს ქალსა, ესე იგი გილოცავ ბებიაობასა ლ-მან ნუ განაშროს თქვენის ოჯახისაგან კურთხევა თავის და მარადყოს გული თქვენი საესე მხიარულებითა და მგონია დროც იყოს“.

თვითონ ეკატერინე დიდად იყო გახარებული შვილიშვილის დაბადებით. თუმცა იგი ვაჟს მოელოდა, მაგრამ არც ქალის დაბადებას სცოდნია ნაკლები სიხარული.

სულ ცოტა დრომ გაიარა და დედოფალს შვილიშვილი გარდაეცვალა. ეკატერინე დამწუხრდა. დრო გადიოდა, მაგრამ შვილიშვილის დაკარგვით გაჩენილი იარა ვერ მოეშუშებინა.

გადიოდა თვეები, დღეები და ნიკოს ცოლს მეორე შვილი არ უჩნდებოდა. ეკატერინე ნერვულობდა, მემკვიდრეს ელოდა. რძალს ექიმები დაასია. წელიწადიც გავიდა და ეკატერინეს რძალი ფეხმძიმედ შეიქნა. გაიხარა დედოფალმა. უშვილოდ და უძეოდ არ გადაეგება დადიანების გვარი! ამას რომ ფიქრობდა, ეკატერინე დადიანების გვარის გადაშენებაში თავის ოჯახს გულისხმო-

ბდა, თორემ ისე დადიანების გვარში ვაჟებიცა და ქალებიც ცოტანი როდი იბადებოდნენ. თუ წინათ ეკატერინე ასე თუ ისე, მთელი სამთავროსათვის ზრუნავდა, ახლა თავის ოჯახის იქით არ იყურებოდა. მდგომარეობისა და ქონების დაკარგვის ავადმყოფური შიში დაუფლებოდა დედოფალს და ახლა მთელ ქვეყანას ედავებოდა და ებრძოდა. ხან გუბერნატორებს უჩიოდა, ხან მოსამართლეებს და იურისტებს. ახლა ყოველივე ამას ოჯახის გადაშენების შიში დაემატა. მაგრამ საბედნიეროდ ამ შიშს სულ მალე გამოეცალა ნიადაგი. ეკატერინე დღედღეზე ელოდა შვილიშვილს. ახლა მას მარტო ისღა გახდომოდა სანატრელად, რომ ვაჟი შესძენოდათ. მართლაც პეტერბურგიდან ვაჟიანობა ახარეს.

იმავე დღეს ეკატერინემ წერილი მისწერა თავის შვილს ნიკოს:

„მე ისევ გორდში ვარ და თითქოს მოვიხვეწე. დიდად გავიხარე შვილიშვილის შექმნით. თუ გიყვარდნე ჩემს მაგიერ აკოცე ჩემს რძალს, ღმერთსა ვთხოვ მათს კარგად ყოფნას. მე თუ მიკითხავთ, ისევ ცუდად ვარ. ორი დღის წინ მარტვილში ვიყავი, ჩემი დავითისა და თამარის საფლავი მოვიხანულე. წარსულის მოგონებამ მწუხარებით ამავსო, მოვთქვამ და ვტირი. მაგრამ აბა ვინ არის ჩემი გამკითხავი.“

იმ დღეს ჭყონდიდელი სწირავდა, ხალხიც დიდძალი დაესწრო. მერე მე მომმართა სიტყვით ჭყონდიდელმა. ზოგს არც კი სცოდნოდა, მე თუ ვიყავი იქ და ჩურჩულმა გადაუარა დარბაზს: „დედოფალი. დედოფალი“. დარბაზმა ექო გამოსცა. დიდად მეამა. ეტყობა ხალხს არ დაუკარგავს ჩემი სახელი, მგონია, არც დამკარგავს. ავი ვიყავი თუ კარგი, მათი სული და ხორცი ვიყავი. ჩემი ენაც გასაგები იყო მათთვის და სურვილებიცა. ესლა ვიდაც უტხოვები დაპატრონებიან ჩემს მამულს. ხალხს არც ენა ესმის მათი და არც სული უდგას მათი...“

წირვის შემდეგ სადილზე ამიმიწვია ჭყონდიდელმა. მთელი სამეგრელოს თა-

ვადანაურობა აქ იყო. ო, რომ იცოდე, ჩემო ნიკო, რამდენი საქებარი სიტყვა ითქვა. ახლა შენზე ამყარებენ დიდ იმედებს ამ კუთხის დიდებულნი. მათ გაუგიათ, რომ შენ დიდად მიღებული ხარ იმპერატორის კარზე და დარწმუნებულნი არიან, რომ მოწყალებას გაიღებს იმპერატორი. ეჰ, ვნახოთ, ალბათ ღმერთი არ გავგწირავს.

სადილის შემდეგ ეზოში ვავედი. სწორედ რომ დიდებული სადამო იყო. შენ დაკვირვებისარ მზის ჩასვლას მარტვილიდან? არა? მამ არ გინახავს ულამაზესი რამ. არა, ამის აღწერა არ შეიძლება. აქ ყველაფერი დიდებული და ლეთიური იყო. ზღვა ხელისგულივით მოჩანდა დაისით განათებული. ნელი ნიავი ჭროდა და გულის დასამშვიდებლად შრიალეზდა ძელქვის ხეები. მწუხრის ზარსა რეკდა ზოსიმე და ჩემს სულს ხედებოდა ხმები შორეული, იმქვეყნიური, ასე მეგონა ჩემი თამარი მეჩურჩულეა მეთქი. და მეც ხელები ვავშალე გულში ჩასახუტებლად. ვაი რომ ყოველივე ეს სიზმარი იყო, მოჩვენება იყო, მაგრამ ლამაზი სიზმარი, ლამაზი ზღაპარი! მაგრამ ეს ბედნიერი წუთებიც უშალე გაქრა და მე ისევ მარტო დავრჩი. ნიკო, მომიტევე ასეთი გადაჭარბებული სენტიმენტალობა, მაგრამ, ეტყობა მოვხუცი და გული არ შემორჩილება. სულ უბრალო რამეზე ვტირი და მოვთქვამ. ვიცი, რომ სულ მალე ჩემი მუდმივი სასუფეველი ეს დიდებული ადგილი იქნება.

ეხლა ჩემი ადგილი ჩემი დავითისა და ჩემი თამარის გვერდით არის და თუ მალე მოვკვდები, სული ჩემი ცოტათი მაინც მოისვენებს, შენ უკვე გზაზე დაყენებული შეგულები. შენ ცოლიც გყავს და შვილიც და ასე მეგონია, ყოველი მოვალეობა ამქვეყნად მოვითავე და მოვისტუმრე, მაგრამ სიბერესა და სიკვდილზე ფიქრი მაინც სევდასა მგვრის. გაუძილარი ყოფილა კაცის გული! ეს უცნაური წუთისოფელი, გტანჯავს თუ გახარებს, მაინც გიყვარს და მაინც ლამაზია თურმე. და მე ბუტბუტით ვამბობ:

ამაო, ამაო ყოველივე ამ ქვეყნად, ჩემი ცხოვრებაც ისე გაქრება, უხმ გაქრება ერთი წამისა...

ჩემამდის აღწევს მარტვილის ზარების რეკვა, ალბათ მწუხრის ლოცვას ამბობს ის წვერცანცარა ჩვენი ეპისკოპოსი და მე თვით მეცინება ახლა ჩემს თავზე. ან მოსვლა რა იყო და ამ ქვეყნად ჩემი, ან წასვლა რა არის? ასე უთავბოლოდ ამ წუთისოფლისა ვერა გამიგია რა! რაკი გამაჩინე, გამაძლე მაინც შენი ცქერითა, დამატკე ამ წუთისოფლის სიმშვენიერითა, ჩემი საქართველოს სიმშვენიერითა. ასეთი ფიქრები მიპყრობენ მე ამ სიბერის ქაშს, მაგრამ უშალე მომაგონდება ჩემი ბოთქარი ცხოვრება სავეს სიზარულითა, მოულოდნელობითა, აღტაცებითა, გაწილებითა და ცრემლებით სავეს და ისევ ვყუჩდება: კაცი გაუძილარია თურმე, რაც უფრო მეტ ხანს იცოცხლებ, უფრო მეტი გინდა თურმე, ბოლო არ უჩანს ჩვენს სურვილსა...

ღიახ, ეს ასე ყოფილა და ასე იქნება.

აჰა, ეს წერილიც დავასრულე...

დალილიმა დედოფალმა თავის საწოლ ოთახს მიაშურა. დაქანცულს, ფიქრებაშლილს და მოსვენებადაკარგულ დედოფალს იმ ღამეს მკვდარივით ეძინა.

გორდი! საქართველოს ერთი უმშვენიერესი ადგილი, ეს ულამაზესი სოფელი, სოფელი კი არა, დადიანების საგაზაფხულო აგარაკი, ცხენისწყლის ხეობის გაყოლებით კინჩხას მთების კალთებზეა გაშლილი. გორდი მიუვალი ადგილი იყო. მას აღმოსავლეთით ლეჩხუმის მთები, სამხრეთით ცხენისწყალი, ჩრდილოეთით თურჩის მთა, ხოლო დასავლეთით ოდიშის სოფლები ეკვრის. მაგრამ დადიანების ყმებმა მონური შრომით ერთი მხრით კი არა, ორი მხრით მისასვლელი გზა გაუკეთეს აგარაკს: ხელმარცხნივ — მარტვილიდან ნახარებოვოსა და სუხჩის გამოვლით, მარცხნივ — მათხოჯით ბომბუას ხილზე გავლით. ცხენისწყლის ყველაზე ვიწრო ადგილას გაშენებული ეს ხიდი უძველესი იყო, პომპეუსის აგებული. მერე ბერძნებს უკან დახვევისას დაუნგრევიათ. შემდეგ, მე-17 თუ მე-18

საუკუნის ბოლოს ვაზისაგან დაწნული სოფლური ხიდი აუგიათ. ამ საქმეს სათავეში ვილაყ დიდი ფეოდალი, ამ კუთხის მფლობელი ბომბუა ჩასდგომია და ხიდისათვის მისი სახელი მიუკუთვნებიათ. და ეს სახელი დღემდე შემორჩა, თუმცა მერე, ვაზის ხიდის ნაცვლად, რკინის თანამედროვე ხიდი აუგებინებია დავით დადიანს.

როცა ეკატერინე მარტვილს მონახულებდა, ნახარებოვო-სუბჩის გზით ადიოდა გორდში, ხოლო როცა ზუგდიდიდან მოდიოდა, დანელიების ბორნით, ხონისა და მათხოჯის გამოვლით, ბომბუას ხიდზე გავიდოდა და სოფელ ხიდისკარით ცხენისწყლის ხეობას აყვებოდა, რომელსაც მარჯვნივ ნიათის მთა და მარცხნივ თურჩას მთა ჰყოფდა, შემდეგ სოფელ დიდღვებუნას გამოივლიდა და დადიანების აგარაკი გორდიც მის ბოლოს ვაგაკებაზე იყო. ეს ვაკე ადგილი — 200 ქვევა მიწა — დავით დადიანმა ქვის ვალავით შემოაღობინა და ფოთლოვანი და წიწვოვანი ხეების ტყე და ხეხილის დიდი ბაღი გააშენა.

მანამდე ეს სააგარაკო ადგილი კაცია ჩიქოვანმა გაიჩინა და იქ პატარა ფიცრული სახლი და ქვის კარის ეკლესიაც ააგო. შემდეგ თვით ლევან დადიანის სიცოცხლეში დავით დადიანმა, მისი სიმამრის ალექსანდრე ჭავჭავაძის რჩევით, ამ ფიცრული სახლის ნაცვლად დიდი ორსართულიანი აგურის შენობა წამოჭიმა, ბაღიც ვადააკეთა, იტალიიდან მებაღე მოიწვია და ამ ორსართულიანი შენობის გარშემო ედემის ბაღი გააშენა, ეს მიდამო წალკოტად აქცია.

სასახლის ფართო აივანი თურჩას მთას ვაპყურებდა. ეს დიდი მთა ამ სასახლის წინ იყო ატუზული. სასახლეს გარშემო ოთხი დიდი ხეივანი შემოავლეს: სასახლის წინ ნაძვისა, რომელიც შესასვლელი რკინის ჭიშკრიდან იწყებოდა და წყაროსთან თავდებოდა; სასახლის უკან ძელქვისა — დიდი და გრძელი ხეივანი, რომელიც წყაროს წყალთან იწყებოდა და კინჩხის ვადასახედთან თავდებოდა, მარჯვნივ — ფიჭვნარის ხეივანი, მარ-

ცხნივ — ხეხილის დიდი ბაღი და ჭადრების ორი რიგი, რომელთა შორისაც ყვავილოვანი მოედანი იყო. რომლებსაც ეკატერინე მუდმივ საცხოვრებლად სამეგრელოში დაბრუნდა, 25 წლის წინათ გაშენებული გორდის ბაღი უღამაზესი იყო მთელ საქართველოში ზუგდიდის ბაღის შემდეგ.

აი ეკატერინე ისევე გორდშია და თითქოს მოისვენა სულიერად. ეხლა არსად არ უნდოდა ისე დიდხანს დარჩენა, როგორც გორდში. მისი სული გორდის მთებსა და ბაღს შეეთვისა, პატარა ბავშვივით დასჩემდა, ყოველ დილით უნდა შემოევილო ხეივნები. და როცა მოხუცებულსა და დავრომილს აღარ შეეძლო ეს ვრცელი ბაღი ფეხით დაევილო, ყოველ დილით ბეტლით უვლიდა ხეივანთა დაუსრულებელ გზებს, მერე საუზმობდა, მერე იძინებდა, მერე სადილის წინ ისევ შემოუვლიდა ბაღს, მერე საღამოს ხანს აივანზე იჯდა დაფიქრებული და მთებს ვაპყურებდა...

ერთ საღამოსაც ეკატერინე იჯდა და თურჩას მთას ვაპყურებდა.

— ეჰ, რა უცნაურად არის მოწყობილი ეს ცხოვრება! ადამიანი, რომელსაც ასე მოაქვს თავი, ყველაზე საცოდავი არსებაა ამ ქვეყნად... მე წავალ და ეს ხეივნი, ეს ხეივნები, ეს მოჩუხჩუხე მთის ნაკადულები, ეს ჩემი საყვარელი წყაროს წყლები კი ისევე დარჩებიან ასევე მშვენიერნი და დიდებულნი — ესა თქვა დედოფალმა, მწუხარებით ამოიოხრა და მერე ისევე თურჩას მთას გახედა.

უკვე ღამდებოდა. კინჩხის მთიდან ამოგორებული ძველი მთვარე ზედ თურჩის მთაზე დამდგარიყო და მთლად გაენათებინა. თითქოს ახლა შენაშნა ეკატერინემ ძირამდე თურჩის მთა. მთის წვერიდან დაყოლებით ძირამდე ეს ვეებერთელა მთა ნიაღვრებს შუაზე ვაფყო თეთრი ღარი. ეხლა ამ ღარით აგორებდნენ მოჭრილ ხეებს და ამ ღართვე მოედინებოდა ყოველ წვიმასა და თოვლში დიდი მდინარე.

ამის შემყურე დედოფალს რატომღაც დავითი მოავიწყდა.

— ოჰ, დადიანსაც შევი და გრუზა თმა ამ ლარივით შეაზე ჰქონდა გაყოფილი! — ეს სიტყვა აღმოხდა დედოფალს და უფრო დაღონდა. მთვარით განათებული თურჩის მთა ათას ფიჭრსა და მოგონებას აღუძრავდა დედოფალს. დედოფალიც დაკინებთ მისჩერებოდა მთვარიან ღამით განათებულ თურჩას და ისევ ფიჭრებს და მოგონებებს წაეღო მისი გონება...

— ერთ დროს მეც მთასავით დიადი და ზვიადი ვიყავი, ზვიადი და ამაყი. უფრო მეტიც. არც ერთ მთას, არც გომბორისას, არც ურთას და არც თურჩას თავს არ ვუყადრებდი, მაგრამ ვაი, რომ მე მივდივარ, ჩემი სიამაყეც იფერფლება და ეს ზვიადი მთები კი მარად აქ რჩებიან — ესა თქვა და ახლა სიმღერა მოუნდა მაგრამ სად იყო ძველებური სიმღერა და ეშხი. მაინც ლამაზად ააწყო ხმა:

— თუთა თუთარჩელა — მეგრული სიტყვებით მიმართა მთვარეს ეკატერინემ — თუთა თუთარჩელა... მე წავალ და შენ დარჩები. რარივად ანათებ შენ, მთვარეო, ამ ლამაზ მთებსა და ხეივანს, რა დიდებული და წარმტაცი ხარო თქვენ, ჩემო მთებო და ბაღო, მაგრამ ვაი, რომ ახლა ჩემს გულსა და სულს უკვე აღარ ანათებს ეს დიდებული მთვარე — მიჯნურთა მუღმივი დარაჯი და ტრფიალის მოწმე. არც მიჯნურად ვარგივარ მე ეხლა და არც მთვარის დარაჯად.

და ისევ დაადილინა ეკატერინემ: თუთა თუთარჩელა... — ეჰ, მაინც რად ზღვება ასე, მეც მინდა ჩემს მთებსა და ლამაზ ბაღთან ერთად ჩემს სულსაც ანათებდეს ეს მარად ახალგაზრდა და მარად უბერებელი, ულამაზესი მთვარე. რად დამბადა მე ღმერთმა მიჯნურობისათვის და თუ დამბადა, ამ ჩემი ლამაზი მთებრივით რად არ მომანიჭა უკვდავება. ან ამ მთვარესავით რად არ შემიძლია ისევ გავახალგაზრდავდე. ლამაზი ის არის, ვინც დაუბერებელია. ლამაზი ის არის, ვინც ახალგაზრდაა, აბა ჩემისთანა დაჩაჩანაკებულთან რა ხელი აქვს სი-

ლამაზესა და მიჯნურობას? არა, უნდა გამოვეთხოვო ერთხელ დედასა და დედოფალს სილამაზესაც, მიჯნურობასაც. სიხალგაზრდობასაც... მაგრამ ვაი, რომ ეს აღვივლი არ ყოფილა!

ეკატერინე დაღონებული შებრუნდა თავის საწოლ დარბაზში. მთელი ღამე ძილი არ მიჰკარებია, გათენებისას ჩაეძინა და ეზმანა: დაეთისა და თამარის საფლავი ამოეთხარათ და შიგ ეკლესიის დარბაზში დაეყარათ ჩონჩხად ქცეული მათი სხეული. უპატრონოდ მიტოვებული ქმარი და შეილი ეძებდნენ, ეძახდნენ ეკატერინეს. ისიც გაიქცა და როცა ეკლესიას მიაღდა, სწორედ მაშინ ვილაცამ კარი გაღებულა და შიგ არ შეულშვა. გაცოფდა დედოფალი, ეს რა უპატივცემულობა არისო, ბრძანა ეხლავე გააღეთ ეს კარიო, მაგრამ ყველამ ზურგი შეაქცია. გაცოფებულმა ხელი წაატანა ეკლესიის კარს, მაგრამ ვერაფერს გახდა, შემდეგ ის იყო გული შეუღონდა და იქვე დაეცა. მერე მოვიდნენ და კუბოში ჩაასვენეს. არც იკითხეს ცოცხალი იყო თუ მკვდარი, ისე დაჭედეს კუბოს თავი და გარეთ ეკლესიის გალავანში დამარხეს. იყვირა დედოფალმა, მაგრამ არავინ მოისმინა მისი ხმა. ახლა ეს ყვირილი ისე ხმამაღლა მოუვიდა, რომ სიზმარში გამოეღვიძა. თვალი გაახილა, უკვე გათენებული იყო. შეეშინდა. მაშინვე იხმო მოურავი და უთხრა: ახლავე გამაზადე ყველაფერი, მარტვილში უნდა წავიდეო. განცვიფრდნენ სასახლის კაცნი, დედოფალი გუშინ ამოვიდა გორდში მარტვილიდან და დღეს იქვე რათ ეშურებო, მაგრამ ხმის ამოღება ვერავინ ვერ გაბედა...

ეკატერინე აჩქარებდა ამაღას. ვერავის გაეგო, ვერავინ მიმხვდარყო რათ მიეჩქარებოდა დედოფალი მარტვილს. როცა ეკლესიაში შევიდა, ქმარისა და შეილის საფლავთან დაემხო (იქვე დაეთის საფლავთან იყო დასაფლავებული თამარი) და დიდხანს იტორა. ნამტირალევი დედოფალი ძლივს ააყენეს. მერე თვითონ დეკანოზი ეახლა დედოფალს და თავისთან წაიყვანა. მთელ დღე ხმა

არ ამოუღია დედოფალს. მეორე დღეს დილიდანვე ისევ ეკლესიას მიამშურა. მონაზვნების გალობით გული მოიოხა და იმავე საღამოს მეორე წერილი მისწერა თავის შვილს ნიკოს:

„ახლა შეიძლება ეს ბარათი გაგიკვირდეს, მაგრამ მე თვითონ არ ვიცი რა შემართება, უცნაური მოჩვენებები და მეუფლა, დამე არა მიძინავს და დღე არ მასვენებენ. გუშინწინ გორდიდან გამოვიქეცი და ისევ მარტივლს მოვაშურე. დღეს ცოტა დაემშვიდდი. ამ დილით მონაზვნები გალობდნენ და ისე მომეჩვენა, თითქოს იმ ქვეყნიდან გალობდნენ, თითქოს მამაშენი ამღერებდა ამ მონაზვნებს ჩემი სულის მოსალხენად. ისე ნაზი, ისე სევდიანი, გულის წარბტაცი, რაღაც განუთქორებელი იყო ეს გალობა, რომ მეც დავმშვიდდი. ეს საეკლესიო გალობა იმიტომ თუ გამოუყოფენიათ, რომ მგლოვიარენი და სულით ავადმყოფნი დაამშვიდონ. ეს ხმები ადამიანებს რაღაცნაირად იმ ქვეყანასთან აკავშირებს. თუ ეს გალობა იმ ქვეყნის ხმების გამოძახილია, ალბათ ის ქვეყანა უფრო ლამაზი და მშვენიერი იქნება, რაკი ეს იმქვეყნიური ხმები ასეთი მამებელია ჩემი გაწვრილებული სულისა.

ეჰ, მე მაინც ეს ქვეყანა მერჩია, მე ამ ქვეყნისათვის ვიყავი დაბადებული. მე ეს მიყვარდა, მე ეს მიწოდდა, მაგრამ ვაი რომ არავინ მანებებს მას და ეს-ლა გულს იმით ვიკერებ, რომ უფრო ნაირნაირი და უფრო მომხიბვლელი იქნება ის ქვეყანა, უფრო ჭრელი და ფერადოვანი, ჩემ ბაღებზე უფრო დამშვენებული წყაროებით და მდელოთი. დიახ, დიახ, ნეტარ არიან მორწმუნენი! ყოველ შემთხვევაში გუშინ იმ მონაზვნების სიმღერამ ასეთი გრძნობა გამიჩინა. ვიცი, რომ ახლა შენ დამძრახავ, ეს რა გრძნობები დაუფლებია დედაჩემსო, ეჰ, ნურაფერს გაუმტყუნებ დედაშენს, თურმე ესე სცოდნია სიბერეს. არა, შვილო, მარტო სიბერეს კი არა, სიბერესა და ავადმყოფობას. ამა მაშრას მივაწერო ჩემი ასეთი ფიქრები.

ახლა გაზახტულია. გარშემო ყველა-
3. „მნათობი“ № 11.

ფერი ყვავის და იცინის. ჩემი გული კი ტირის. გარეთ ალუჩა და ტყემალთ ყვავის და ჩემი გული კი მოსტყვამს (ტყვამს) რავს. გარეთ ჩიტების გალობას და ელურტულს სითბო მოაქვს ყოველი სულდგმულისათვის, ჩემი გული კი არაფერს იკარებს და დახურულია სიხარულისათვის. მე, ეკატერინე, ვისაც შვილებიც მყავს და შვილოშვილებიც, ტანტიც მქონდა და დიდებაც, მე ვისაც ეხლაც ცხოვრებისათვის თითქოს ყველაფერი მაქვს, მაინც მოვთქვამ და ვოხრავ, და არ იკითხავ რატომ? იმიტომ, ჩემო ნიკო, რომ მე უფრო სხვანაირად მესახებოდა ჩემი ცხოვრება. მე გულუბრყვილოდ მეგონა, რომ, შენ ოცი წლისა გახდებოდი თუ არა, იმპერატორი მოიღებდა მოწყალებას და მთავრად გაკურთხებდა, ისევ დაგვიბრუნებდნენ ჩვენს კუთხეს და ყოველივე ჩემს პირად გრძნობას ვკლავდი ამ საქმისათვის შეწირული. და რა გამოვიდა, მე, სრულიად ახალგაზრდა დაქვრივებულმა, ყველას უარი ვუთხარი. დავხურე გული ჩემი ყველასათვის იმ იმედით, რომ ტანტს ისევ დავიბრუნებდი, მაგრამ შენ თვითონ იცი რა გამოვიდა...

ახლა, როცა ამ წერილს გწერ, რომ მნახო, შეგეცოდები. ვერაფერი გადამიწყვეტია ამ საქმისა და შენგან მოველი რჩევას. დავრჩე ისევ აქ გორდში და მივანდო ჩემი ბედი ბუნების ძალას. ბუნება იყოს ჩემი მკურნალი თუ ისევ მანდ, პეტერბურგს. წამოვიდე და ექიმებს მივანდო სხეულიცა და სულიც. მე თვით ვერ გადამიწყვეტია და შენ მოგმართავ, შვილო ჩემო, ეგებ შენ მაინც უმკურნალო ჩემს სნეულ ფიქრებს.

დედოფალმა ბრძანა წერილი გაეზახვანათ ნიკოსთვის.

ორი დღის შემდეგ ეკატერინე ისევ გორდს დაბრუნდა.

* * *

მიხა მებუკე, გლეხთა აჯანყებაში მონაწილეობისათვის სალხინოს სასახლი-

დან რომ დაითხოვეს, დაღონდა და მოიწყინა. უსაქმო ხეტიალი მობეზრდა, მერე საღვინოელ ჩიქოვანს მოჯამაგირედ დაუდგა. დღით მემამულის ყანას თოხნიდა, ან წაქცეულ ღობეს ამაჯებდა, საღამოობით დიდი ცაცხვის ძირას თანასოფლელებს მთისა და ბარის ამბებს უყვებოდა. ასე მიდიოდა დღეები.

ერთ დღეს სოფელი ისევ ახმაურდა. მიხამ ისევ გამოათრია თავისი ბუკი და მთელი სოფელი შეყარა დიდი ცაცხვის ძირას. მერე თოდუები მოვიდნენ და უტუ მიქაეასაგან ჩაბარებული დროშა გაშალეს. მიხა ცაცხვზე აღოლდა და დიდ შტოს წითელი დროშა მიიბა. სოფელი ზემოზდა. ცაცხვის ძირას შეკრებულ ხალხს იმპერატორ ალექსანდრე მეორის ბრძანება წაუკითხეს ბატონყმობის გაუქმების თაობაზე. მაგრამ სოფლის სისხარული ხანმოკლე აღმოჩნდა: ბატონყმობა კი გაუქმდა, მაგრამ გლეხები პირში ჩალაგამოვლებული დარჩნენ, მიწა ისევ მემამულეებს დარჩათ. პირადი თავისუფლება, რომელიც მათ კანონმა არგუნა, მაინც დიდი ბედნიერება იყო.

მიხასაც გაუღიმა ბედმა: პატარა ეზოკარი გაიჩინა და ცოლი შეირთო. ერთი წლის თავზე ქალიშვილი შეეძინა. გამოცოცხლდა მიხა მებუკე, სოფლის კაცებში გაერია, პატარა ნათლობაც გამართა და ქალიშვილს სახელად დესი დაარქვა.

მაგრამ წუთისოფელი დიდხანს ვის ახარებს, რომ მიხა გავხარებინა. საწყალ გლეხკაცს მოულოდნელად ცოლი ავად გაუხდა და ორ დღეში გაათავდა კიდეც.

დაობლებული ქალიშვილი მიხამ წვალეებით გამოზარდა და როცა თერამეტი წლისა გაუხდა, კარზე მაქანკალი მოადგა. მალე ქალიშვილი ერთ მარტვილულ შექლებულ გლეხს მიათხოვა კიდეც. ახლა მთლად მარტო დარჩა მიხა მებუკე. უფრო დაღონდა და დადარდიანდა. მარტო ისლა ახარებდა, რომ ქალიშვილი და სიძე ერთმანეთს კარგად შეეწყნენ და სიამტკბილობით ცხოვრობდნენ. მერე ვაჟიშვილიც შეეძინათ და მიხა ბაბუა ვახდა.

ახლა ბაბუა მიხა ხშირი სტუმარი იყო ქალიშვილისა, მოხუცმა გლეხმა ხალხინოსა და მარტვილს შუა, მაგრამ ბოლოს, როცა ესეც გაუქირდა, ქალიშვილი თვითონ აკითხავდა შვილიშვილით. როცა ისინი მიდიოდნენ, მიხა ისევ მარტო რჩებოდა და დარდობდა. ამ დღეში მყოფ მიხას მეზობელი გლეხი შეუჩნდა:

— შენი არ მიკვირს, მიხა ბატონო, აბა რას ელოდები, დიდებული ქალიშვილი გყავს, მაგრამ იქიდან როგორ მოვიკვლის. მიიხედ-მოიხედე, თვალი გაახილე, ცხოვრება კიდევ წინა გაქვს, ნუთუ შენთვის გაწყდა ვინმე დედაბერი. მოიყვანე, სახლს გაგიტობოს, გულსაც გაგიტობოს, მოვიკვლის, დარდს გადაყრის.

ახლოს არ გაიკარა მიხამ მეზობლის ნათქვამი. მერე ეს მეზობელი ქალიშვილს შეუჩნდა: „ხომ ხედავ, როგორ იტანჯება მამაშენი, მისი ცოდვით შენც იტანჯები მისი შემხედვარე. მოდი შეერთოთ ვინმე ქრისტიანი, თუ გინდა მამა კიდევ იცოცხლოს“. ჯერ იკივლა მეზობლის ქალიშვილმა ამის გაგონებაზე, მაგრამ მერე და მერე ჰკუთაში დაუჭდა. ქმართან ერთად დესი სასურველი დედინაცვლის ძებნას შეუდგა. ამ ძებნაში ცოლ-ქმარს ვიღაც მაქანკალმა ნახუნავოში ერთი სიგუას ქალი უჩიჩია, კეთილი, პატიოსანი და ლამაზიაო, გაუთხოვარი ბერდება, უთუოდ წაჰყვება მამაშენსო. ახლა დესი ქმარს შეუჩნდა, ნახუნავო არც ისე შორს არის, მოდი წავიდეთ, ვნახოთ ის სიგუას ქალიო.

— ნახუნავოს მთებში, შე ქალო, ცუდი მისასვლელი გზებია, აბა შენ რა წაგიყვანს იქ, მარტო მე წავალ — უთხრა ქმარმა, ამის გამგონებ თავი მოიკლა დესიმ:

— შე უბედურო, სარკეში მაინც ჩაიხედე, მთლად დაბერდი, სიგუას ქალმა შენ რომ ვნახოს, ახლო არ გაგვიკარებს. იფიქრებს ამისთანა მოხუცის სიმამრი აღზათ მთლად გადაყრებული ვინმე იქნებო. ამიტომ მე უნდა წამოგყვე. მე შენზე ახალგაზრდა ვარ და ასეთ

ახლაზრდას რომ მნახავს, გული მოეცემა, ამის მამა ალბათ მოლად ბებერი არ იქნებაო.

დიდი კამათის შემდეგ შეთანხმდნენ და მეორე დღესვე გზას გაუდგნენ. მდინარე აბაშას რომ მიადგნენ, ფეხთ გაიხადეს და ფონი მონახეს. ძუკუმ შარვლის კალთები აიკალთა, დესიმ კაბის კალთა აიწია და ასე ხელისხელჩაყიდებულნი გავიდნენ მდინარეს. მერე ნახუნავოს აღმართს მიადგნენ. თავქვე რომ დაეშენენ, წინ პატარა დღეუ დახვდათ — ისქია. ისქიაზე აკაციის ხის ბოგირი გაედოთ. პირველი ძუკუ გავიდა. ბოგირი ირყეოდა, სიძემ ძლივს გააღწია ვალმა. ახლა დესი შედგა. ისქია პატარა მდინარე იყო, იქ კი, სადაც ხიდი გაედოთ, საკმაოდ დიდი ტბორი იდგა. საქმე ის იყო, რომ აქვე წისქვილი გაემართათ და მდინარე დაეგუბებინათ. დაგუბებულნი ისქია საკმაოდ დიდი მოჩანდა ამ ხიდიდან. შედგა თუ არა ფეხი დესიმ ბოგირზე, თვალები აუჭრელდა და უკუდგა, გასვლისა შეეშინდა და ქმარს გადასძახა მომეშველეო. ძუკუმ ურჩია ცხენით გადაალაჯე მაგ ბოგირს და ჩოჩვით გადმოდიო. ისმინა დესიმ ქმრის რჩევა და ცხენით ზედ შეაჯდა ჯოხით გადებულ ხის ბოგირს. გადააჯდა. მაგრამ გაჩოჩება ძნელი შეიქნა. ხორკლიანი იყო ეს აკაციის ხე და მოლად გამოღლიტა ბაყევი ქალს. წივილი-ვივილი ასტება დესიმ. ახლა კი იკადრა ძუკუმ მიშველება. მდინარეში ფეხით გააბოტა, წიწილასავით აიტაცა ცოლი და გაღმა გაიყვანა. ფათერაკს გადაურჩნენ და ისევ გზას გაუდგნენ. პატარა აღმართი მოათავეს და საჭილათ დაიწყეს. იქ პატარა ცაცხვის ძირას შეისვენეს: მერე ისევ გზას დაადგნენ. გზა კი არა, საცალფეხო ბილიკი იყო, რომელიც აკაციების, იელების, თხმელების, ალვისხეების, ნარეკლისა და ბარდების დაბურულ ტყეში მიიკლაკნებოდა. ახლა უფრო პატარა დღეს მიადგნენ. მაგრამ აქ ადვილად გადაურჩნენ ფათერაკს. გადაალაჯეს ამ ერთ მტკაველ დღეს, ერთი აღმართიც

აიარეს და ნახუნავოს მთების კალთებზე ჩიტის ბუდესავით მიდგმულნი ისქილი დახურული სახლემში გამორჩნდნენ. სახლებს ბოლი ასდიოდა და ზღვაური კვამლს მთებისაკენ ერეებოდა. შუადღისას მიადგნენ სიგუას ოჯახს. მაქანკალი იქვე ეზოს ჭიშკართან შემოეგება სასურველ სტუმრებს და წინ გაუძღვა. მერე სიგუას ქალმა ისლით დახურულ პატარა სამზარეულო სახლში შეიპატივეა სტუმრები.

ეზო პატარა იყო, მაგრამ ლამაზი და მოვლილი. ჭიშკრიდან ქოხამდე მისასვლელი საცალფეხო ბილიკი წვრილი ქვებით იყო მოკეცილი. მარჯვენა და მარცხენა მხარეს ერთ ქვევადის სიმინდის ყანა იყო, სახლის წინ კი ხელისგულისოდენა მწვანე მოლი. თვით ქოხის წინ თეთრი ვარდი ყვავოდა. შუაგულ ეზოში საჩრდილობელი დიდი თუთის ხე იდგა.

სტუმრები შინ შეიწვიეს. დღე იყო, მაგრამ ქოხში მაინც ბნელოდა. აყალო მიწით შელესილ ფაცხას სარკმელი არსად ჰქონდა დატანებული. მართალია, საკვამლის ქუჭრუტანიდან თეთრ ზოლად ატანდა მკრთალი სინათლე, მაგრამ შუაცეცხლი ბოლავდა და ვერაფერს გაარჩევდით ქოხში. ძუკუმ იქვე კერასთან სამფეხა სკამი — კვალა შენიშნა და, მოჰკრა თუ არა თვალი, ზედ დაჯდა. სხვები მის მაგალითს მიჰყვნენ.

კერიაზე, მოკაუტებულ ჯოხზე ჩამოკიდებულ კარდალში ღომისღომი თუხ-თუხებდა. კერასთან მოხუცი ქალი ჯოხზე აცემულ ქათამს ცეცხლის პირას ატრიალებდა. ქოხში საჭმლისა და საკაზმის მადისაღმძვერლი სურნელება იფრქვეოდა.

სტუმრების შემოსვლისთანავე კარდალი ჩამოხსნეს და ღომისღომი ჩაზილეს. მერე იქვე კედელზე მიყუდებული ტაბაკი — პატარა ოთხფეხა სუფრა დადგეს და პირდაპირ ზედ ტაბაკზე, ახლად გაშალაშინებულ ფიცარზე ჩოგანით ღომი დააგეს.

კერასთან ორი ქალი ფუსფუსებდა: საპატარძლო — ორმოც წელს გადაცი-

ლებული აღათი და ამ ქალის გამზრდელი მამიდა თეო. საპატარძლოს არავინ ჰყავდა მამიდაზე ახლობელი. დედმამა სულ პატარას დაეხოცა და მამიდა თეომ იცისრა მისი გაზრდა. არც გათხოვილა ამ ობოლი გოგოს შემყურე. ახლა თეოს დიდად უმტომდა მისი მოცილება, მაგრამ თავის მავალითზე იცოდა, რომ ქალის გაუთხოვრად დარჩენა დიდი უბედურებაა და ამიტომაც უარს როგორ იტყოდა ამ ღვთის დაწესებულ საქმეზე.

სამოც წელს მიღწეული თეო მარჯვედ დიასახლისობდა. დესი მაინც მიეშველა დიასახლისებს, შებრაწული ქათამი აქნა და ტაბაკზე დაფენილ კვახის ფოთლებზე დააღაგა. საპატარძლომ კი ნიგვზით შეკმაზული წვენი თიხის ჯამებზე დაასხა და ყველას ჩამოურია. ეს ჯამები ნამიკოლოვოში ეყიდნათ ამ კვირას მეზობლებს თეოსათვის. სტუმრები ტაბაკს გარს მოუსხდნენ და თეომ დიდი დოქით ადგისს ღვინო შემოიტანა. ძუკუმ ღვინოს ჰაშნიკი გაუსინჯა, ქება შეასხა და თვითონვე დაუსხა ყველას თიხის ჯამებზე. დესიმ არ დალია. მაშინ მთის წყაროს წყალი მოარბენინა საპატარძლომ. სტუმარმა ცივად გაოფლილი დოქი მოიყუდა და სულმოუთქმელად დალია. ამასობაში ძუკუ მესამე სადღეგრძელოს ამბობდა და ღვინოს აძალბდა მაჭანკალს, რომელმაც მხარი აუბა ღვინომოწყურებულ სტუმარს. ახლა მეორედ სვამდა დიასახლისის სადღეგრძელოს და რა სიტყვებით არ ამკობდა საპატარძლოს! აღათი კი ჩუმით იჯდა და გულგრილად შესცქეროდა ყოველივე ამას, თითქოს, იქ რასაც ამბობდნენ, მას არ შეეხებოდა. ძუკუ ახლა დიდ დიასახლისს აქებდა და ბოლოს ასე დაამთავრა ეს სადღეგრძელო:

— თეო ბატონო, თქვენ მარტო იმითმაც გეკუთვნით დიდი პატივისცემა, რომ ასეთი მშვენიერი ძმისშვილი გაგიზრდიათ. ჩვენ აუცილებლად დავმოყვრდებით და გჯეროდეთ ბედნიერი იქნება თქვენი გაზრდილი ჩემი სიმამრის ხელში.

ბოლოს ძუკუმ თქვა, არ შემიძლია ეს

სადღეგრძელო ამ პატარა ჯამით დაულოო და დიდი სასმისე, *მორცხე*.

აღათიმ პატარა დოქისშეგვარი კულა მოართვა და ღვინით გაუვსო. ძუკუმ სულმოუთქმელად გამოცალა. თეოს ესიაშოვნა, აქაც რომ გაზრდილს უქებდნენ, თან კი გული ეტკინა, როცა გაიფიქრა, ასეთ მშვენიერ გაზრდილს აუცილებლად წამართმევენო და მე რა მეშველება უიმისოდ დარჩენილსო.

ამ დროს მოხარული ჰყინტი სიმინდი და კვახი შემოიტანეს. ძუკუ ახლა სიმინდსა და კვახს მიეძალა. ახლა აღათი აქებდა კვახს:

— ეს, ბატონო, ახლა რომ თქვენ მიირთმევთ, ჰურა კვახია. აბა, მეორე გასინჯეთ, აი ეს დიდი გოგრა კვახი. ასეთი კარგი კვახი არსად იცის, როგორც აქ, — და ახლა ეს მეორენაირი კვახი შესთავაზა დესისა და ძუკუს. ძუკუმ ცოტა სული მოითქვა და ახლა მაჭანკალის სადღეგრძელო დალია: „ღმერთმანი, კარგი გემოვნება გქონია, რომ ასეთი ქალი შეურჩიე ჩემს სიმამრს“. მიიყუდა ეს დიდი კულა და გამოცალა. მეორე უღვაშებზე გადაისვა ხელი და მაგრად ჩაკოცნა მიღეული მაჭანკალი. მაჭანკალმა სული ძლივს მოითქვა და ძალით გააშვებინა სალტესავით შემორტყმული ხელები უკვე გვირჩინად გამომთვრალ ძუკუს.

გულუხვმა სუფრამ უზომოდ გაახარა ძუკუ და გაქნილ მაჭანკალთან ისევ სადღეგრძელოები გააბა. დესი საპატარძლოს ელაპარაკებოდა, მაგრამ ცალი თვალი და ცალი ყური ძუკუსაკენ ჰქონდა. და როცა შეიტყო, რომ ერთმანეთზე გადაკიდებული ქმარი და მაჭანკალი სადღეგრძელოს არ ათავებდნენ, დაყვავებით მიმართა:

— ახლა კი გვეყოფა, ვქამეთ, ვსვით, მოვილხინეთ, ბევრიც ვილაპარაკეთ. უკვე გვიანია, ბატონებო, მარტვილამდე ცოტა გზა როდი გვაქვს გასავლელი. ახლა კი მოვრჩეთ, ჩვენც ჩვენს გზას გვუდგეთ და ეს პატიოსანი ხალხიც მოვასვენოთ — დესიმ ხელი ჩამოსართმე-

ვად გაუწოდა საპატარძლოს. ალათი იმ ხელები გასაავსავა:

— არა, როგორ იქნება, ჩემო ბატონო, ასე ადრე წასვლა. სხვა არა იყოს რა, მეზობლები რას იტყვიან, ალბათ შიმშილით მოკლა სტუმრები და ასე ადრე გაექცენო.

არ გასჭრა დიასახლისის მუდარამი. დესი ახლო მივიდა საპატარძლოსთან, ლოყაზე აკოცა, მერე მამიდას ჩამოართვა ხელი და გარეთ გავიდა. მეტი გზა არ იყო, ძუკუც ადგა, კი არ ადგა, წელი ძლივს აითრია, ფეხზე დამდგარმა მინც გაავსო დიდი კულა, საყოვლადწმინდო დალია და გარეთ გამოვიდა.

რიგიანად გამომთვრალი ძუკუ ბანცალით მიაცილებდა ნახუნაოს მთის დაღმართზე თავის ცოლს და თან რაღაცას ბუტბუტებდა, ისევ მაჭანკალს ეღავებოდა თავის გუნებაში სადღეგრძელოებზე.

იმ პარასკევს ქვრივი მიხა ნოღალევეში შეახვედრეს სიგუას ქალს. ალათი იმ კვირას ავად გამხდარიყო და მთლად გაყვითლებულიყო. ახლად გამოჩევილი წიწილის ფერი ედო. ცოტა არ იყოს, გული ეტყინა მიხას, ეს ვინ შეურჩევიათ ჩემთვისო. კვლავ დააკვირდა. ახლა ყვითელ სახეზე ქერა ბუსუსები შეამჩნია და უკუდგა, მაგრამ ამ დროს მაჭანკალი ჩერბია საქმეში. მერე ლაპარაკი გააბა მიხამ სიგუას ქალთან და უფრო და უფრო მოეწონა. იმავე დღეს ნოღალევის სასაღილოში დანიშნეს სიგუას ქალი...

მეორე ცოლის შერთვამ მიხა გაახალისა, გამოეწყო, გამოიპრანჭა, ყოველ კვირას წვერს იპარსავდა. საღამოს გამობრძანდებოდა და დიდი ცაცხვის ძირას ხმამალა საუბრობდა თავის თანასოფლელებთან. მოილხინა, გაიხარა ქვრივმა, მეორედ ჭვარდაწერილმა მიხა მებუვემ, მაგრამ, დიდხანს ვერ იცოცხლა ახალი ცოლის ხელში იმავე წლის ბოლოს მიხა ავად გახდა. მთელი ერთი კვირა იწვა დაერდომილი ავადმყოფი. მარტვილიდან ქალიშვილი და სიძე დაიბარა. ძუკუც მაშინათვე წამოპყვა ატირებულ ცოლს. იმ საღამოს უფრო ცუ-

დად გახდა მიხა. ახლა მეზობლებიც დააბარებინა.

— მეზობლებო, შვილებო და შვილებო, შვილებო, მგონი სიკვდილი მეწვია, სიცოცხლე მწყურია, მაგრამ ეტყობა წასულია ჩემი საქმე. უფრო იმიტომ მწყურია, შვილებო, სიცოცხლე, რომ მინდა ამ ჩემს მეზობლებთან ერთად გლეხის ბედნიერებას შევეწრო. მაგრამ ეს ბედი ღმერთს ჩემთვის არ გაუმეტებია. ეხლა ერთი სათხოვარი მაქვს თქვენთან. — ესა თქვა და სასთუმალთან მიყუდებულ ბუეს შეხედა. მერე ხელით სწვდა, გაღმოიღო, უნდოდა შიგ ჩაებერა, მაგრამ შერცხვა და იქვე სასთუმალთან დადო. და ისევ მიმართა შვილებსა და მეზობლებს:

— უტუ მიქავამ ეს ბუეი მე თავისი საკუთარი ხელით ჩამაბარა, ურდუმის დროში კი თოდუებს დაუტოვა და გვიანდერმა ამ დროშასა და ბუეს საკუთარი თავივით გაუფრთხილდითო. ეს დროშია თქვენი ძმების სისხლით არის გაბანილი, ეს ბუეი კი ჩვენს ურდუმს ამ დროშასთან ერთად წინ მიუძღოდაო, დრო მოვა, ჩვენი ხალხი მოიკითხავს ამ დროშასა და ბუეს და ეს დროშია და ეს ბუეი ჩვენს ხალხს ისევ წინ წაუძღვებაო. გახსოვთ ამ რამდენიმე წლის წინათ ბატონყმობი: გაუქმებაზე რომ დიდი კრება გამართეს ჩვენი ცაცხვის ძირას? მაშინ მე მეგონა ეს დრო დადგა მეთქი, ჩემი ბუეი გამოვიტანე და მთელი დღე ვაყვირე. თოდუებმა ურდუმის დროშიც მოიტანეს. მე ისევ იმ ცაცხვზე ავლოლდი და დროშია ზედ დაკვიდე. მაგრამ ვაი, რომ თურმე არ დამდგარიყო ის დრო, უტუმ რომ გვიწინასწარმეტყველა. ის დროშია, თოდუებს რომ ებარა, მე ჩამოვიდე, შინ წავიდე და აქა მაქვს სასოებით შენახული. მაგრამ მე იმ დროს ვერ მოვესწრები, როცა ეს დროშია ისევ საჭირო გახდება...

ესა თქვა და ცრემლი მოერიო. ცოლმა რომ მიხას ცრემლი შენიშნა, მოთქმა წამოიწყო. ეს რომ მიხამ დაინახა, ხელები გასაავსავა, ცრემლები არ დამანახოთო და მერე ისევ განაგრძო:

— არა, ჩემო მეზობლებო და შვილებო, ის დრო კი აუცილებლად მოვა, უტუს ტყუილები არ უყვარდა. რაკი თქვა, მოვა ის დრო, ჩემი თხოვნაა ნება დამართოთ ეს ჩვენი ბუკი და დროშა ჩემს შვილიშვილს მიხას და ანდრი გეგეჰკორის შვილს დაუტოვო ანდერძად, რომ ჩვენი მავიერობა გასწიონ, რომ თოდუების ურდუმის დროშას გვერდით ამოუდგენენ ამ ბუკით.

ამის შემდეგ მიხამ ქალიშვილი მოიხმო: „აღლათ მე ხვალინდელი დღე დამიბნელდება, წადი, შვილო, და ხვალ დილით აქ მომგვარე ჩემი შვილიშვილი და გეგეჰკორის ბიჭი“.

მეორე დილას უფრო ცუდად შეიქნა მიხამ. იგრძნო სიკვდილის მოახლოება და შეწუხდა, რომ იკვირებდნენ. სწორედ ამ დროს გამოცხადდა მიხას ქალიშვილი ანდროს ბიჭით და თავისი შვილით. მიხამ თვალელები დაახამხამა. კმაყოფილების ნიშნად ჯერ თავის ქალიშვილს შეხედა, შემდეგ კი მომაკვდავმა მზერა შვილიშვილსა და გეგეჰკორის ბიჭს მიაშუქა:

— ანდრი რომ კვდებოდა, ასე დამიბარა, ამ ბუკსა და დროშას, — და სასთუმალიდან დროშა გამოიღო, — თვალისჩინივით გაუფრთხილდიო, თუ შენ სიცოცხლეში ამ დროშის გამოყენებას ვერ მოესწარი, ასევე ფრთხილად და სასობებით ვინმეს გადაეცი, რომ მომავალ თაობას გამოადგესო. ამიტომ დაგებარეთ. იმ პატარა ბიჭებში, რომელთაც ჩვენი თაობის ეს სახელოვანი დროშა უნდა შეინახონ, მოუარონ და, როცა საქმე და დრო მოითხოვს, გამოიყენონ, ყველაზე ღირსეული თქვენ მეგულებით. ეს ის დროშაა, რომელიც მამაშენისა და უტუ მიჭავას ჯარს წინ მიუძღოდა. ეს დროშა ჩვენი გლეხების სისხლით არის დაფერილი და, აბა თქვენ იცით, ჩემო შვილებო და შვილიშვილებო, თუ არ შეარცხვენთ.

მიხამ დახვეული დროშა გაშალა და ეამბორა. გეგეჰკორის ვაჟმაც, თხუთმეტი წლის ამ გონიერმა, ფხიზელმა, მოუსვენარმა და მკვირცხლმა ყმაწვილმა,

მის სასთუმალთან დაიჩოქა და ეამბორა დროშას. მერე ფეხზე წამოდგა დროშა გამოართვა მოხუცს და შეჰჭირდა.

— ვფიცავ მამაჩემის სახელს და თქვენს სახელს, კეთილო მოხუცო, რომ ამ დროშას, როგორც ხალხის ნამუსს, ისე წარვეუძმღვარებ ჩვენს ხალხს და შევასრულებ წინაპართა ანდერძს.

გეგეჰკორის ვაჟმა ისევ გულში ჩაიხუტა დროშა. დარბაზს ჩუმმა ქვითინმა გადაუარა.

— არა, აქ სატირალი არაფერია — გონს მოვიდა მიხამ — მოხუცი უნდა მოკვდეს. მივიღივარ. მაგრამ მწამს, რომ მომავალი თქვენია. ისიც მწამს, რომ ამ დროშას თქვენი თაობა არ შეარცხვენს.. ახლა წადით, მეზობლებო და შვილებო. ჩემ ცოლთან დამტოვეთ მარტო. მას ცალკე უნდა დაუტოვო ანდერძი.

მეზობლები გაიკრიფნენ ოთახიდან. ცოლი ახლო მივიდა მიხასთან. მიხამ პირი დააღო სათქმელად, მაგრამ სიტყვა პირშივე გაეჩხირა და ზოტინი აღმოხდა. იკივლა სიგუას ქალმა. მეზობლები ისევ შემოკვივდნენ ქოხში, მაგრამ მიხამ უკვე გათავებული იყო.

* * *

1876 წელს რუსეთმა თურქეთს ომი გამოუცხადა. საქართველოს მოწინავე ინტელიგენციას იმედი მიეცა, რომ ქართველთა ტომებით დასახლებული, თურქებისაგან უსამართლოდ მიტაცებული მიწა-წყალი ისევ დედა საქართველოს დაუბრუნდებოდა. ამ ამბის გამგონე ეკატერინე, რომელიც ამ ბოლო დროს ავადმყოფობდა, უცბათ გამოცოცხლდა და მზად იყო ძველებურად აეღო ხელში ხმალი, გადამქდარიყო თავის საყვარელ ბედაურზე და კვლავ ამხედრებულიყო თურქების წინააღმდეგ. დედოფალი ცთუნებამ გაიტაცა და ყოველდღე ომის ამბებს კითხულობდა.

25 მაისს ჩვენმა ჯარმა არდავანი აიღო. მთელმა საქართველომ იდღესასწაულა ომში გამარჯვება. ეკატერინემ გორდში დიდი ნაღიმი გამართა და თავისიანებს განუცხადა:

— არ შეიძლება შორიდან ვუყურო ამ ამბებს, ჩვენები ბევრნი წასულან ომში. ჩემი ნიკოც ფრონტზეა. ამბობენ, ვამებ დადიანი დაუპირათ და დაპირილი სენაკს ჩამოუყვანიათო. საქირთა დავებს მართო ამ დაპირილებს, ომის გმირებს, მე ხვალვე ზუგდიდს უნდა წავიდე...

მართლაც მეორე დღეს ეკატერინე დედოფალმა თავისი ამალით ზუგდიდს მიამშურა.

• • •

აკაკი წერეთლის უმცროსი და მატა ალექსანდრე (ვამეხ) დადიანზე იყო გათხოვილი. ვამეხი სამხედრო პირი იყო და 1876 წელს რუსეთ-თურქეთის ომში გაიწვიეს. ფრონტზე დაიჭრა და იმავე თვეს სამეგრელოში. საკუთარ სახლში გარდაიცვალა. გაიგო თუ არა სიძის დაპირის ამბავი, აკაკი მაშინვე გაეშურა სამეგრელოში, მაგრამ ვამეხს ცოცხალს ვეღარ მიუსწრო. აკაკი სიძის დამარხვას დაესწრო. აქვე იყო ეკატერინე დადიანი, რომელსაც პოეტი დიდი ამბით შეხვდა.

ეპისკოპოსმა ბესარიონ დადიანმა დედოფალი და პოეტი ოჯახში მიიწვია. აქ დიდხანს საუბრობდნენ ეკატერინე და აკაკი. საუბარში ეკატერინეს მაზლი გრიგოლ დადიანიც მონაწილეობდა, რომელსაც ფსევდონიმად „ყოლიდელი“ აერჩია. კოლხიდელი დიდად მეგობრობდა აკაკის, თუმცა იგი მამების პოზიციას და, კერძოდ, გრიგოლ ორბელიანს თანატურგანობდა. ეს ის წლები იყო, როცა მამათა და შვილთა დავა არ იყო გათავებული.

მოკითხვა-გამოკითხვის შემდეგ საუბარი სწორედ მამათა და შვილთა უთანხმოების საკითხზე ჩამოვარდა.

— ბატონო აკაკი, უნდა გამოგიტყდეთ და, ძველი თაობის წინააღმდეგ თქვენი ეგზომ ამხედრება დიდად საწყენია ჩვენთვის. არა, რა გვაქვს, ბატონო აკაკი, გასაყოფი და სამტრო, ისედაც ერთი მუჭა ვართ. — მორიდებით ეუბნებოდა კოლხიდელი აკაკის.

— ჩემს გულში, — ასევე გულწრ-

ველობით მიმართა აკაკიმ კოლხიდელს.

— არც შური, არც მტრობა, არც სხვა რამე უმგვანო საქმე არ დასახულს ჩემს გული მქონდა და მაქვს აღვსილი: მამულის ერთგულებით, მოძმის სიყვარულით, მომავლის იმედით, პატიოსნებითა და ყოველის კაცობრივი გრძნობით. აბა დამიმტკიცოს ვინმემ რამე უპატიოსნება. მე არავისი მეშინია, ვარდა ჩემი სინდისისა. უსინდისო საქმეში მე არ გავერევი. მაგრამ ვინც ეგონისტური გრძნობებით მოქმედებს და თავისი ბედნიერება საქართველოს ბედნიერებისაგან ვერ გაურჩევია, თავის ჩინისა და სამსახურში წარჩინებისათვის შეილსაც არ დაზოგავს, ასეთი ადამიანების პატრიოტობა მე არცა მწამდა და ვერც ვიწამებ. — ამ სიტყვებზე აკაკი ფეხზე წამოდგა.

ეკატერინეს აკაკის სახე სტუდენტობიდანვე ღრმად ჩაებეჭდა: მაღალი იყო, ახოვანი, მკერდსავსე, ხუჭუჭთმიანი, დიდრონი, წყლიანი, მეოცნებე თვალები სხვიოსანი შარავანდელით მოსავდა მის ნათელ სახეს. ტუჩებს ნეტარების ღიმილი დასთამამებდა. პირდაპირი იყო და შეუპოვარი. უყურებდა ეხლა ეკატერინე თმაში ქალარაშერეულ პოეტს. უყურებდა, სტუდენტ აკაკის ადარებდა და უფრო და უფრო იმსქვალეზოდა მისადმი პატივისცემით.

ეკატერინეს ენიშნა პოეტის ეს გადაკრული სიტყვები:

— როგორ, როგორ, ბატონო აკაკი, ჩინი და მედლები, თანამდებობა და წარჩინება როდის შემდეგ ვახდა საგინებელი? ვანა ჩვენი საქართველო ამ დიდებულებმა არ დაიცვეს, ამ დაწინაურებულმა თავადობამ არ დაიცვა? რათა ვართ უმადური, რათ ვივიწყებთ მათს ამავს დიდებულს? მაშ, გრიგოლ ორბელიანი საქართველოსათვის არა ღვრიდა სისხლს დაღესტანსა და ყარსში, ზაქათალასა და კახში?

აკაკიმ აღარ აცალა დედოფალს სიტყვის გაგრძელება და მოუტრა:

— გრიგოლ ორბელიანი სისხლს გურიამი ღვრიდა და თავის მოძმე გლე-

ხებს მათრახით უმასპინძლებოდა. ეს პატრიოტობა როდია, ჩემო დედოფალო. არა, მე არა მწამს ის კაცი, რომელიც გვარიშვილობით მოქმედებს, წარჩინებისა და ჩინებისათვის იბრძვის და საქართველოს სახელით კი ლაპარაკობს.

ახლა კოლხიდელი გამოეჭომაგა გრიგოლ ორბელიანს:

— თქვენ აპარბებთ, ბატონო აკაკი, მარტო გლეხებს ხედავთ და ჩვენს დამსახურებას კი ივიწყებთ.

— ღმერთმა დამიფაროს მე ასეთი ცოდვებისაგან — სიტყვა ჩამოართვა აკაკიმ — მე იმას ვამბობ, რომ მოღვაწე კაცისათვის კერძო და საზოგადო განუყოფელი უნდა იყოს. იმისთანა კაცისაგან, როგორც გრიგოლ ორბელიანი, ჩვენ მეტს მოვიტხოვთ. ჩვენი პირადი საზოგადოსთან უნდა იყოს შეღუღლებულ-შეკავშირებული. ჩვენ იმას ვებრძვი, ვისაც საქართველოს უკეთილდღეობა პირად კარიერად გადაუქცევია და ამ გზაზე ნაჭერ-ნაჭერ ჰყიდის ჩვენს მამულს, ჩვენს უფლებებს. მათი აზრით, საქართველოს კეთილდღეობა მათს კეთილდღეობას უდრას. ჩვენ კი მზადა ვართ საქართველოს თავი შევწიროთ და სხვებისგანაც ამას მოვიტხოვთ...

ახლა ეკატერინე შეესიტყვა აკაკის:

— როგორ, ღმერთო მომკალი, ჩვენ არ გაგვიწირავს თავი მამულისათვის? აბა, ვინ იბრძოდა, ბატონო აკაკი, ენგურის პირას თურქების წინააღმდეგ — და ხელი გრიგოლ დადიანისაკენ გაიშვირა — ან ვინ იბრძვის ეხლა და ვინ სწირავს თავის სიცოცხლეს მამულსა? აი ის კაცი, დღეს რომ დავმარხეთ, შენი დის ქმარი, მამულისათვის ბრძოლას არ შეეწირა? და მერე ვინ არიან ესენი? შენგან სასაცილოდ აღებული ჩინოსნები...

— ჩემო დედოფალო, — დინჯად გამოეპასუხა პოეტი — მომისმინე, ბრძოლა მარტო თოფით კი არ წარმოებს. ჩვენ დიხაც პატვის ვცემთ ყველას, ვინც კი მამულისათვის თავს

სწირავს ამ დიდსა და გაკიბულ ფრონტზე. მაგრამ ნუ დაგავიწყდება რაღაც ეს პატარა ენა ხშირად მეტს აკეთებს მამულისათვის, ვიდრე ხმალი და ზარბაზანი...

ეკატერინემ სიტყვა არ დაამთავრებინა აკაკის:

— როგორ, გრიგოლ ორბელიანი ამ მხრივ განა დასაწყუნია?

აკაკიმ კვლავ განაგრძო დაწყებული:

— არა, მე არ ვამბობ დასაწყუნია მეოქი, მაგრამ ჩემი აზრით, გრიგოლ ორბელიანმა ვერც გვარიშვილობით, ვერც წოდებით, ვერც პოეტობით იმდენი ვერ გააქეთა, რამდენიც მის ნიქსა და უნარს შეეძლო და ასე მგონია მის ღვაწლს ვაზვიადებთ.

ეკატერინე და გრიგოლ დადიანი ორივე გაცხარებით წინაღუდგა აკაკის: — არა, ბატონო აკაკი, გრიგოლ ორბელიანი მეფეა ჩვენი ქართული ენისა და დიდებული გვარიშვილი, მამულიშვილი. ჩვენ კი ვერ ვაფასებთ მის ღვაწლსა და შრომას და დიდ უმადურობას ვიჩენთ. მოვა სხვა თაობა, სხვა ხალხი, დაივიწყებს ამ პირადულ აზრებს და ღირსეულ ადგილს მიაკუთვნებს ჩვენს დიდებულ მამულიშვილსა და დიდებულ პოეტს.

— და გრიგოლი ჯერ კიდევ ბევრ რამეს გაუკეთებს ჩვენს მამულსა და ქართულ მწერლობას, — დაუმატა თავის მხრივ კოლხიდელმა...

ამ გაწიწმბებულ კამათში იყვნენ აკაკი და მისი თანამოსაუბრენი, როდესაც აივანზე ბესარიონ დადიანი ამობრძანდა და სტუმრები სადილად მიიწვია. კამათი სადილზედაც არ შეწყვეტილა...

გვიან გამოემშვიდობა აკაკი მასპინძლებს. გამომშვიდობებისას კოლხიდელმა ბოდიში მოიხადა პოეტის წინაშე და ჰკითხა: „ხომ არ გაწყენინეთ შესიტყვებით, ბატონო აკაკი?“

— მე, ჩემო გრიგოლ, მიჩვეული ვარ ასეთ წკიპურტებს და, როგორც ხედავთ, არც შევარჩენ ვინმეს რაიმეს. თუ, პირიქით, მე არ გაწყენინეთ ჩემი აქ მოს-

ვლით, დიდად კმაყოფილი მივდივარ აქედან.

მგოსანი ეკატერინეს ხელზე ეამბორა, გრივოდ დადიანს ხელი ჩამოართვა და ეზოდან გავიდა.

* * *

თუმცა ეკატერინეს ბავშვები პეტერბურგსა და პარიზში აღიზარდნენ, მაინც, დედის მეოხებით, ოჯახში წმინდად ინახავდნენ ქართულ ენას. ოჯახში უფროსებიც ქართულად ლაპარაკობდნენ და ბავშვებსაც გამუდმებით ქართული ენის მასწავლებელი ჰყავდათ: ჭერ ივანე კერესელიძე ასწავლიდათ, მერე კი პეტერბურგსა და საზღვარგარეთ თევდორე ხოშტარია. და აი, საზღვარგარეთიდან დაბრუნებულმა სალომემ იმავე დღეს წერილი მისწერა გრივოდ ორბელიანს. წერილი ქართულად იყო დაწერილი, ლექსთა მეფეს, ქართული ენის მპყრობელს, დიდად გაუხარდა ეს წერილი და იმავე დღეს პასუხიც დაუბრუნა.

„12 აგვისტოს, 1877 წ. წავკისით.

ჩემო გულის საყვარელო დისწულო სალომე! შენი წერილი, ქართულად დაწერილი, წინ მიდევს. შევგზარბი და სიხარულით ვამბობ: ქვეყანაზე მხოლოდ ერთი სალომე, რომლისა წერილსა აწკვითხულობ მეორმოცედ! კვითხულობ და მიმნელდება, როგორ გითხრა, ანუ ქეშარიტი მადლობა ჩემის სსოვნისათვის, და ანუ მართალი, წმინდა შენდამი სიყვარული! ღ-თმან გაკურთხოს შენც და შენი აშლიცა, და ჰყოს შან სიცოცხლე თქვენი ისე მხიარულ ნათლად, ვითარცა შუქი მათის დღისა.

მეტად მანუგეშე შენის ქართულის ენითა ჩემო მშვენიერო სალომე! და აბა როგორ არა ვმსთქვა სიმწართა: პარიველსა უნდა უყვარდეს ქართული ენა, უნდა იგი მსცდილობდეს მის შესწავებასა და საქართველოში კი ქართველნი ქალები უარსაჰყოფდნენ ქართულს ენასა, და შეურაცხებით, ტუჩებ-აშვებით ამბობდნენ „რა საჭიროა ამ დროს ქართული ენა“ .ეს სიტყვები ცხადად

გამოაჩენენ აწინდელს საზოგადოების სამწუხაროს მდგომარეობას, მის წყვეტებასა, გზის დაკარგვასა, უწყვარს თავისი სამშობლო ენა, მას, უეჭველია, არ უყვარს თავისი მშობელნიცა, თავისი წინაპრნიცა, თავისი მამულიცა! ენა არის შემენახველი მამაპაპის ყოფაცხოვრებისა მათის სარწმუნოებისა, ჩვეულებისა, ესე იგი თვით ისტორია! თუ კაცმა არ იცის მამა-პაპის ენა, მაშ, როგორ უნდა იცოდეს ვინ იყვნენ მისი მამა-პაპები, როგორ მსცხოვრობდნენ, რას ლაპარაკობდნენ, რას იმღეროდნენ, რა უხაროდათ. რასა მსწუხდნენ? ათასის წლის განმავლობაში, როგორ ებრძოდა ეს პატარა საქართველო სპარსთა, არაბთა, ოსმალთა, იმტრებსა, რომელთაცა აწ ებრძვის დიდი იმპერატორი დიდის რუსეთისა და უძნელდება ბრძოლა? რომელი ისტორია მოგვიხიბრობს ესრეთსა უმადლესსა სარწმუნოებისა და მამულის სიყვარულსა, როგორცა გამოაჩინეს საქართველოს უკანასკნელთა მეფეთა, ირაკლიმ და გიორგიმ, რომელთაცა თავის ნებით, თავის სურვილით დაჰსთმეს თავის სამეფო ტახტი, თავისი შვილები და მისცეს თავისი სამეფო რუსთ ხელმწიფესა, ოლონდ კი იცხოვროს საქართველომ მშვიდობიანად. სპარსელებმა ქეთევან დედოფლის გულზე ცეცხლი აანთეს და ისე ტანჯვით მოკლეს, და არ უარჰყო მან ქრისტიანობა! ვანა ამისთანა ერის ენა და ისტორია არ არის ღირსი შესწავლისა ქართველთა ქალებთან? და თუ მოვიგონებთ ძველთა მწერალთა, მელექსეთა, ღვთისმეტყველთა, მქადაგებელთა — მერწმუნე, ჩემო სალომე, ქართული ენა არ არის ისე დავრდომილი, როგორცა ჰგონიათ ახლანდელთა ინსტიტუტებსა და ამისათვის დაგიკოცნი გონიერ შუბლსა, რომ შენ ხარ პ-ლი მაგალითი ქართულის ენისა სურვილით სწავლისა. უწინაც ჩვენი ქალები იყვნენ დიდად ქებულნი ენის ცოდნითა, და მათგან ბევრნი იყვნენ დიდნი ორატორები, ვითარცა ბატონი-შვილები, ქეთევან, მარიამ, თეკლა. ესე-

ნი განვიდნენ ამა სოფელით და ახლანდელთა არც კი იციან საფლავნი მათნი: არც კი იციან, თუ ვისის მადლით და წყალობით ასე გულმოსვენებით, კეკლუცობით სეირნობენ გოლოვიინის პროსპექტზე შლეიფებ გაშლილნი? საფლავნი მეფის ირაკლისა და გიორგის აღარ იციან სად არს! — უბადრუკებმა აღარ იციან, რომ იმათი დედები იყვნენ დედუფლები ზრდილობისა, სილამაზისა. მაღალის გონებისა და ამისთანა ხასიათით მამაცი, თავგანწირულნი მამულისათვის! მაგრამ ახლა ვკხედავ, რომ ამ წერილში წაველ ძალიან შორს და უნდა მომიტევეთ რადგანაც ვჰსჩივი შენ წინაშე აწინდელის საზოგადოების მიმართვაზე.

ძალიან მიამა, რომ თამარ მეფის სახე ბეთანიაში მოგწონებიათ ეკატერინესაცა და შენც, რადგან უნდა მოგახსენოთ, რომ მე ვახლავარ იმ ლექსების დამწერი, და ცენზურამ ზოგიერთისა მათში დაბეჭდვა არ ინება, და აი სწორე, ნამდვილ მომირთმევია ჩემ სახსოვრად: სიბერემ წამართო წაილო პოეზიის ძალა, მაგრამ ვეცდები კი, თუ შევძელ მოვახერხო როგორმე და გადავთარგმნო შენი საყვარელი ლექსები; ოღონდ კი უნდა მომითმინო...“

1878 წლის თებერვალში ბერლინის ტრაქტატით ჩვენს ქვეყანას შეუერთდა არდაგანი, ყარსი, ბათუმი... ამ ამბებით აღფრთოვანებული გრიგოლ ორბელიანი თავის ახლობლებს, ნათესაეებს, მეგობრებს, მათ შორის ეკატერინესაც სწერდა: „დიდის იმპერატორის ძლიერებამ დასცა საუკუნოდ მაჰმადიანობა. დაუძინებელი მტერი ქრისტიანობისა, და ჩვენი ძმანი, ძველი ქართველნი აქ არა, ლივანა, ქობულეთი, ბათუმი გაანთავისუფლა ოთხასი წლის ტყვეობიდან და შეუერთა დედა საქართველოს, და აღასრულა იგი სასწაული რაც არ გვეგონა?! აღსრულდა დიდი საისტორიო საქმე სახსოვრად საუკუნეთათვის, რომლისა შედეგსა ეხლა ვერ მიხე-

დება გონება კაცისა და არის ხილული მხოლოდ: მისთვის, ვისისა ჩნებთ ბრუნავს სოფელი ეს და ყოველი მას შინა. მსოფლიო მიდის დანიშნულ მისგანვე გზაზე, მილიონნი ქრისტიანნი განთავისუფლდა. გაოცებას შეეუბუყვივარ და ვამბობ მხოლოდ, ეს რა ამბავია, დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, დიდება მართლმადიდებელსა მსახურსა მისსა, ჩვენსა ხელმწიფესა“.

გრიგოლ ორბელიანმა ცალკე მისწერა წერილი პრინცესა სალომე მიურატს: „ყოველად მოწყალემან ღმერთმა მისსა ძლევა ჩვენს ჯარსა და შეიმუსრა მტერი ქრისტიანობისა და საკუთრივ ჩვენი, ჩვენი საქართველოსი, რომლისა სისხლი ჯერ კიდევ ბევრი ადევს ოსმალსა და მარტო ამ დამარცხებით ვერ გაიხდის ჩვენს სისხლის ვალსა. ათასი წელიწადი ებრძოდენ მაჰმადიანნი პატარა საქართველოს. რათა? რას ვახდენდით? მართალია, ჩვენ ვაგვაოხრეს, მაგრამ არცა თუ თვითონ გაიხარეს! ჩვენ ვიყავით მიზეზნი, რომ რუსეთმა წაართვა სპარსეთსა ერევანი, ნახჩევანი, ყარაბაღი, თალიშის სახანო, შაქირ შირვანი, ბაქუ-დერბენდი და ყუბა. ოსმალეთსა — ახალქალაქი და ახალციხე და ახლა მესამედ ართმევს ყარსსა. აქედან დაინახავ, რომ ჯერ ოსმალთა არის კიდევ მოვალე ჩვენი! აი, როგორ ძვირფასია ქართველების წმინდა სისხლი“...

ოსმალეთიდან თბილისში დელეგაცია ჩამოვიდა ხიმშიაშვილის, აბაშიძის, ბეჩანიშვილისა და სხვა ქართველთა შემადგენლობით. ეს აჭარელი ძმები თბილისში დიდი ზემოთ მიიღეს. ეკატერინე დაესწრო ამ ნადიმს. აღფრთოვანებული დედოფალი გრიგოლ ორბელიანს ბრწყინვალე სიტყვას გაცხარებული ტაშისკერით აწყვეტინებდა. ორბელიანმა კი ამ ნადიმზე თქვა:

„ბატონებო, რას მოასწავებს დღეს ჩვენი აქ შეყრილობა? რა გვიხარიან, რას ვდღესასწაულობთ? კრება ესე წარმოვეიდგენს სასიხარულოს მას სანახავსა, როდესაც ერთის დედისა შეილში,

შვი ბედისა გამოდ განშორებულნი, დიდხანს ერთმანეთისათვის დაკარგულნი ანაზღაურებად, მოულოდნელად შეხვდნენ, იცნეს ერთმანეთი და გადაეხვივნენ გულითადი სიყვარულითა.

ჩვენი ევრეთევი საქართველოს შვილნი ვიყავით დაკარგულნი ერთმანეთისათვის საუკუნეების განმავლობაში, ბევრი ვიტანჯეთ შტერთაგან, ბევრი ვაოხრება გამოვიარეთ, მაგრამ მაინც კი არ დაგვივიწყებია დაშორებულნი ჩვენი ძმები, თვალი, გული გვეჭირა თქვენსკენ ბატონებო და ვინატროდით, როდის ამოვა ჩვენი მზე შეერთებისა...”

გრიგოლ ორბელიანს ცრემლები მოერია. ეკატერინე ფეხზე ადგა, გრიგოლთან მივიდა, გადაეხვია. დარბაზი მჭუხარე ტაშმა გააყრუა. ორბელიანმა ცრემლები მოიწმინდა და ისევ განაგრძო:

„და გვისმინა ღმერთმა. და დღეს ჩვენს შორის ვხედავთ დაშორებულსა ძმებსა. მოხარულნი, მადლობთ უფალსა და ვევედრებით, რათა შეერთება ეს ჩვენი იყოს უკუნეთ უკუნისამდე, შეურჩევლად! და დღეის იქით ღმერთმა, ჭირშიაც უნდა ვიყოთ ჩვენ ერთად, ვითარცა შვილნი დედა საქართველოსი“...

მთელი დარბაზი ფეხზე წამოდგა. ყველა ცდილობდა გადახვეოდა ნამდვილ ძმებს, აჭარებებს. დარბაზში სიხარულის და აღტაცების გუგუნე ისმოდა.

აჭარებლთა პატივსაცემად გამართულ სადილს, რომელიც დიმიტრი ყიფიანის თაოსნობით მოეწყო, 90-მდე კაცი და ქალი ესწრებოდა. მთელი თბილისის მოწინავე საზოგადოებრიობა, ვარდა ილია ჭავჭავაძისა. აქ იყო. ილია ამ დროს თბილისში არ იყო. დარბაზში მყოფთ მხურვალე ოვაცია გაუმართეს აჭარელ ძმებს, როცა სადილად დასხდნენ, შუაში გრიგოლ ორბელიანი დაბრძანდა, მარჯვნივ ხუსეინ ბეგ ბეჟან ოღლი მიუჯდა, მარცხნივ — შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი. ხუსეინ ბეგ აბაშიძე, სურმანიძე და ართვინის დეპუტატები თანმიმდევრობით ისხდნენ.

ახლა კი ყველა ფეხზე იდგა და ტაშს

უკრავდა. მერე, როცა ცოტა დაშვიდდა დარბაზი, ორბელიანმა სიტყვები დაასრულა:

— „ვინ არის, ღვთის გარდა, მიზეზი ესეთი ჩვენი გაბედნიერებისა? ყოვლად მოწყალე დიდი იმპერატორი, აღმდგენელი და მფარველი ძველისა ივერიისა“.

ამ სიტყვებზე მთელი დარბაზი ფეხზე წამოდგა. აკაკი წერეთელი ადგილზე შეიშმუნდა და არ ამდგარა. მასვე მიბაძვ მის გვერდით მჭდომმა ორმა ახალგაზრდამ, ისინიც არ ამდგარან ფეხზე. გრიგოლ ორბელიანმა აღმაცერად გახედა აკაკის. სწორედ ამ დროს აკაკის გვერდზე მჭდომი ახალგაზრდა კაცი ფეხზე წამოდგა და ხმამაღლა თქვა: „გაუმარჯოს, რუს ხალხს, გაუმარჯოს! ხალხის შვილები დაეცნენ ბრძოლის ველზე ჭობულეთისა და ბათუმის განთავისუფლებისათვის და ჩვენი მადლობაც მათ ეკუთვნით, უპირველეს ყოვლისა“...

დარბაზში უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა.

ეს მყუდროება აკაკი წერეთელმა დაარღვია:

„— ბატონებო! ბევრი ქართული ღმერთი გვინახავს, ხშირად დავსწრებივართ სუფრას, სადაც ჩვეულებრივ მოლხენა და გულგახსნილობა ყოფილა. მაგრამ ისიც კი არ დაგვრჩენია შეუნიშნავად. რომ ხანდახან ამ მოლხენის დროს ზოგიერთი მოლხინე ქართველის მხიარულ სახეს კმუნვის ღრუბელი გადაჰკვრია: თითქოს იმათ იმ დროს რაღაც სწყვეტდათ გულსა, თითქოს ისინი მაშინ რაღაცას ინაკლისებდნენ იმ მდიდარ სუფრაზე...“

დღევანდელი ღმერთი კი, ვხედავთ, სხვაგვარია: მხიარულება უნაკლო და სიხარული უღრუბლო!

და რას უნდა მივაწეროთ ეს? თუმცა თვითეული თქვენგანი კარგადა გრძნობს ამას, მაგრამ მე მაინც ვიტყვი, რომ ამის მიზეზია დროთა ვითარებისაგან დაშორებული ჩვენი მოძმეების, რომლის წარმომადგენლებიც აქა ბრძანდებიან,

დღეს ხელ-ახლად ჩვენთან შემოერთება და ძლიერად შეკავშირება...

დიახ, ბატონებო, დღეს ჩვენ შეგვიძლიან მივიღეთ ჩვენი წინაპრების საფლავებთან და ჩავსძახოთ, რომ მათი ანდერძი ჭერ კიდევ არ გაგვიფუჭვებია!

და რა იყო, ბატონებო, ის ანდერძი? აქ მე ნამეტანს არას ვიტყვი. ეს ანდერძი იყო: დედაენა და ერობა! ამაების საღიღებლად ბევრი შრომა გაუწევიათ და დიდი მსხვერპლი შეუწირავს ჩვენს ნეტარსენებულს მამაპაპათ.

პირველი, ესე იგი, ენა, ისე მდიდრულად შეუკახმავთ, და ისეთი გემოც მოუციოთ, რომ ჭერ კიდევ ვერ მოგვიხერხებია მისი დავიწყება და არა თუ ჩვენ, იმ ჩვენ მოძმეებსაც, რომელიც რამდენიმე საუკუნის განმავლობაში დაშორებულები გვყავდნენ, იმითაც კი შეურჩენიათ დედაენა ტკბილად სასაუბროდ.

მეორე, ესე იგი, ერობა, ისე მდიდრულად შეემუშავებით და ისეთგვარად აუბეჭდავთ, როგორც გარგვანი, ისე შინაგანი საკუთრად ქართველის ერის საკუთვნელ ნიშნებით, რომ დღესვე ქართველი ერთის შეხედვისთანავე იცნობა, ესევე ნიშნები დარჩენია ჩვენს მოძმეებსაც; ამის დასამტკიცებლად შორს ნულარ წავალთ, — საქაოა, რომ აქვე, აი სუფრაზე, მივიხედ-მოვიხედოთ...

ახლა ვხედავთ, რომ ჩვენი წინაპრების დანაპირები აქეთაც და იქითაც შენახულა და ამით ჩანს, რომ ჩვენს შორის ძმური კავშირი თურმე არასოდეს არ ყოფილა მოშლილი! დიახ, დღემდე თუ ცალკე-ცალკე შეგვინახავს ის ანდერძი, დღეს უფრო ადვილად და ძლიერად ავასრულებთ, თუ კი ძმურად მივცემთ ერთმანეთს ხელს, დავადგებით ერთს ვზას და მივმართავთ ერთს მიზანს, აქ ესეც უნდა მოვიხსენოთ, რომ იმ ჩვენს სამაგალითო მამა-პაპებს, სხვათა შორის, ერთი დიდი ღირსებაცა ჰქონდათ, მტრის და მოყვრის პასუხის გება, ვისაგანაც კი რამ კეთილი დაუნახავთ, ერთი ათასად გადაუხდიათ.

ამ ღირსებებს ნურც ჩვენ ვიჭნებით

მოკლებული: ვინც ჩვენ კეთილს გვიქადაგებს და ვინც აგვისრულუნს დანაპირებს, ჩვენც ვეცადოთ მისთვის სამაგიეროს გადაბდა და დავუმტკიცოთ სიყვარული... თუ ჩვენი მამა-პაპები ადვენებდნენ თვალს ქვეყნის მოძრაობას, ჩვენც ნუ ვიჭნებით თვალდახუჭული... მზად ვიყოთ, რომ ბედს, საიდანაც უნდა მოდიოდეს, კარი გაუღოთ, — და უბედობას ვეწინააღმდეგოთ! ეს იქნება იმ ანდერძის სისრულეში მოყვანა.

მაგრამ რომ კიდევ უფრო გაძლიერდეთ, ვიცნოთ ჩვენი თავი, დავაფასოთ ჩვენი წინაპრები და თვალყური ვადევნოთ ღროთა ვითარებას, საჭირო არის ვეცადოთ ჩვენი შეილების გამოზრდას... მივცეთ გზა განათლებას და შემდეგ იმათ ენერგიას და ცოდნას მამებმაც დაეხმაროთ ჩვენი გამოცდილება და ისე შეერთებულად ვიღვაწოთ, რომ ჩვენ წინაპრებთან პირშავად არ დავრჩეთ“.

აკაკის სიტყვას „მრავალყამიერი“ მოჰყვა. დარბაზში ვუგუხნებდა „მრავალყამიერი“ და ხალხი სიხარულის ცრემლებს იწმენდა. აკაკის შემდეგ დიმიტრი ყიფიანმა ილაპარაკა. მან ვრცლად მიმოიხილა საქართველოს ისტორია, ჩვენი წინაპრების გმირობა მოიგონა, ძველი თამარისდროინდელი საქართველოს ერთიანობა გაიხსენა და მერე სიტყვა გრიგოლ ორბელიანის დამოწმებით დაამთავრა: როგორც აქ გრიგოლ დიმიტრის ძემ ბრძანა, პატივისცემისა და დიდების სიტყვები რუს-ხელმწიფეს ეკუთვნის, დღეგრძელი იყოს ჩვენი დიდი იმპერატორიო.

ისევ ის ახალგაზრდა წამოდგა, აკაკის გვერდით რომ იჯდა. მან აჭარელი ძმები ადღეგრძელა, ისევ ომში დაღუპულები მოიგონა და ქართველი ხალხის სადღეგრძელო დალია. ამ სადღეგრძელოს პატივსაცემად აჭარელებმა „ფერხული“ იცეკვეს. ცეკვას ისევ სადღეგრძელო მოჰყვა, სადღეგრძელოს ისევ ცეკვა. ახლა რომელიღაც გენერალმა ეკატერინე დადიანი გაიწვია საცეკვაოდ. ეკატერინემ პატივისცემისა და მადლო-

ბის ნიშნად თავი დაუკრა და უარი თქვა ვაისტუმრა, ავად ვარო, ბრძანა...

დარბაზში დიდი მხიარულება იდგა, მაგრამ ეკატერინეს რატომღაც მძიმე აზრი აეკვიტა: ეს დარბაზი ორად არის გაყოფილი ამ დიდი მხიარულების ემსაც: ერთ მხარეზე არიან გრიგოლ ორბელიანი, დიმიტრი ყიფიანი და ჩვენი გენერლები, მეფე იმპერატორის ეს ერთგული მსახურნი, მეორე მხარეზე არიან აკაკი, სერგეი მესხი და ეს ახალგაზრდობა, არა, ნამდვილი ბრძოლა გამართული, ბრძოლა ფარული და აშკარა. ამის გაფიქრებაზე უფრო მოიწყინა დედოფალმა...

ეკატერინე წარსულის მოგონებით ცოცხლობდა. იმ საღამოს მას თვალწინ დაუდგა თავისი ქალიშვილობის წლები, თბილისი, ტოლ-ამხანაგები, საღამოები და ბალები. ახლა ისიც მოაგონდა, თუ როგორ იცეკვა დავით დადიანთან. მოაგონდა და გაელმია: „ლეკურს“ ჩემზე უკეთ ვერავინ ცეკვავდა, თუმცა გიორგი ერისთავმა ლექსიც კი უძღვნა დარია სულხანის ასულ ბეგთაბეგაშვილსო. მართლაც, დარია კარგი მოცეკვავე იყო. დედოფალმა იმეამად საკმაოდ გავრცელებული გიორგი ერისთავის ლექსის მოგონება სცადა, მაგრამ ვერა და ვერ ვაიხსენა, მხოლოდ პირველი სტრიქონები ახსოვდა. იმავე დღეს ზუგდიდიდან წერილი მისწერა ალექსანდრე ერისთავს:

„ჩემო ძვირფასო ძმავო ალექსანდრე! დიდი ხანია შენი მშვიდობის ამბავი არა ვიცი რა. იმედია ღვთის მადლით შენ და შენის შვილებით მშვიდობით იმყოფებით.

მე სულ შეუძლოთ ვარ. მაგრამ ჩემი სალომეს თავისი ქმრითა და შვილებით კარგად ყოფნით ვნუგეშობ — ჩემს ნიკოსაც ამ თვემდის მოველი, რომელიც მოდის ერთი თვის ვადით რომ მოუშვად თავის სიმამრს, სიდედრს და გრაფ ბარანოვს გორდს სადგომი. და შემდეგ

ისევ წავა თავის ცოლშვილის მოსყვანად. ანდრო მშვიდობით არის/მომშვიდ/სადაც მსახურებს პოსტოლტორში/დ. გთხოვთ, ჩემო ალექსანდრე, შენი შვილები და კნენა ვინც სიყვარულით მომიყვითხო.

თუ ჩემი სიყვარული გაქვთ, უთუოდ უნდა მიშოვნო გიორგი ერისთავის დაწერილი ლეკურის თამაშობაზე ბეგთაბეგოვის ქალისა. ნამდვილი მისი შეთხზული ლექსისაგან გადმომიწერო და გამომიგზავნო, რომლითაც დიდად დამავალებ. მშვიდობით ჩემო საყვარელო ალექსანდრე, ღმერთსა ვთხოვ შენს სიმრთელითა და ბედნიერებით ცხოვრებას.

დავშტები შენი ერთგული მთავრინა ეკატერინე.

8 მარტი, 1877 წელი. ქ. ზუგდიდი“.

ერთი კვირის შემდეგ ეკატერინეს ალექსანდრე პავლეს ძე ერისთავის წერილიც მოუვიდა და ლამაზად გადაწერილი გიორგი ერისთავის ლექსიც. ეკატერინე მთელ კვირას კითხულობდა და სწავლობდა ამ ლექსს. მან ხომ თავისი მამისა და ბარათაშვილის თითქმის ყველა ლექსი იცოდა ზეპირად. ახლა კი ცოტა გაუჭირდა ამ ლექსის ზეპირად დასწავლა, მაგრამ ბოლოს მაინც მოახერხა და ერთ დღეს სალომეს და აწილ მიურატს უთხრა კიდევ ზეპირად:

ენიაქნა დარია ბეგთაბეგოვისას

(ლეკურის თამაშობაზე)

დიდი ხანია თვალსა ჩემსა სოფლით
დალაღულს,
ტრფობს ღელვით ვაცივებულს. ამა ჩემსა
გულს
არ მივლია მექლისთავან საამოვნება;
მაგრამ ლეკურმა, ჩვენებურმა, ჩემი ვონება
განცვიფრებთა პოეტთ ცანა ზე აღიტაცა,
მუთოა შობებრეს, თვარა სხვაგვარ ვიტყოდ
რასმცა?
ეს ვინ მოფრინავს? ფერია თუ ციოთა
ნავარდობს,
მეჭლონი ნახა და იამა, მხარობს და მარდობს!
ერთი შეხედვით, ვით ყარყატი
ველგოდებრებით,
მოსტურავს ვგრე მშენეირად და
ხარხარებთ.

უფროთ ფეხთა თვალ ვერ კსწრებთი,
 როგორა მხმარობს,
 პაერთა ზვირთთა თვისის ფრთებით, ვითა
 განაპობს?
 ხედავთ მაგ ტანსა, გულს წამტანსა, ნორჩსა,
 მრხვეელსა,
 შეხვდეთ თმათა, შორათა შეათა, — შეენობენ
 წელსა,
 მკლავს მე ხელობის, ზესთა ფრთების
 უცხოლ ხმარება,
 აგრე მოჰფრინავს, თითქო შიწას არ ეკარება
 ვიშ მაგ სახესა, სინახესა, სულის სარკესა!
 მაგ ნახ ტრეხებუდ ვგ ღიმილი ვინ დაჯიწესა?
 ხედავთ, კაეები წვეულები, ტაშსა ჰყეუბიან,
 როგორ ცელქობენ, აშოკობენ, ეკონებიან?
 თი თვალები, მამვენები ლამაზის სახის,
 სახეც ცეცხლითა და ელუთა, სადგურნი
 ეშის,
 მოლით, მკვრეტელნი, ტაშის მკვრელნი,
 უთხართ შადლობა,
 დაელოკით მაგის ცხოვრება, ყმაწვილ-
 ქალობა,
 აწ მე შევაძკობ, თქვენ ქებისა დაქართ
 ტაში,
 ეს ლეში ეუძღვენ, მან მიიღოს ვითა შამაში.

იმ დღეს პარიზიდან ახლად დაბრუ-
 ნებულნი იონა მეუნარგია ესტუმრა დე-
 დოფალს. ეკატერინეს ზოგი რამ ვაგო-
 ნილი ჰქონდა მეუნარგიას შესახებ. იონ-
 ასს მამა დადიანების სასახლესთან დაა-
 ხლოებულნი კაცი იყო და, როცა 1873
 წელს შვილი თბილისის სემინარიის
 უკანასკნელი კურსიდან გაურიცხეს,
 როგორც პოლიტიკურად არაკეთილსაი-
 მედო, ეკატერინეს სთხოვა დახმარე-
 ბოდა მის აღდგენაში. მაგრამ არათფერი
 გამოვიდა ამ საქმიდან. დიდი მთავარი
 მიხეილ ნიკოლოზის ძე დიდად შეუ-
 რაცხუთი იყო თბილისელ სემინა-
 რიელთა მოქმედებით და ახლო არ გა-
 იყარა ეკატერინეს თხოვნა.

იონა მეუნარგია შვეიცარიას გაემ-
 გზავრა და იქ აკადემიაში ორი წელი
 სწავლობდა. მერე იქიდან პარიზს ვიდა-
 ვიდა საცხოვრებლად. პარიზში ვიქტორ
 ჰიუგო გაიცნო და დაუმეგობრდა. 1878
 წელს კი საქართველოში დაბრუნდა და
 „დროებასა“ და „ივერიაში“ დაიწყო მუ-
 შაობა, ამავე დროს ქართველთა შორის

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზო-
 გადოების გამგეობის მდივნად აირჩიეს.

იონა მეუნარგია აქტიურად მონაწი-
 ლეობდა ძველი ქართული ხელნაწერე-
 ბის შეგროვებაში. 1880 წელს „ვეფხის-
 ტყაოსნის“ ახალი ტექსტის გამოცემის
 თაობაზე მიმართვა დაიბეჭდა, რომელ-
 საც რაფიელ ერისთავი, იაკობ გოგება-
 შვილი და იონა მეუნარგია აწერდნენ
 ხელს. „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა
 შეგროვება დაიწყო.

იონას დავით დადიანის ბიბლიოთეკა-
 ში „ვეფხისტყაოსნის“ ორი ძველი ხელ-
 ნაწერი ეგულეობდა და ამ მიზნით სა-
 მეგრელოს ყოფილი დედოფალი მოინა-
 ხულა. ეკატერინეს მოეწონა ამ ჰყვანი
 და დაკვირვებული კაცის საუბარი და
 დახმარებას შეჰპირდა. ამის შემდეგ
 იონა მეუნარგია ხშირი სტუმარი იყო
 დედოფლისა.

იმამად მეუნარგია ალექსანდრე ჰაე-
 ვაძის შესახებ აგროვებდა მასალებს
 და ისევ ესტუმრა ეკატერინეს. იონა
 ფანქარბომარჯვებული იქდა დედოფლის
 თანსასთუმალთან და ეაჯებოდა:

— დედოფალო, მე განზრახული მაქვს
 ჩვენი გამოჩენილი მწერლების, თქვენი
 მამის, ნიკოლოზ ბარათაშვილისა და
 გრიგოლ ორბელიანის ცხოვრებისა და
 ღვაწლის აღწერა. ამას წინათ თბილისს-
 ში ვახლდით გრიგოლთან; დარბაზში,
 სამუშაო კაბინეტის თავზე, თქვენი დი-
 დი სურათი ჰქვია, გარშემო — ვორო-
 ნიკოვისა, ბარიატინისა და შამილისა.
 ვამიზარდა მის კაბინეტში რომ ვნახე
 თქვენი სურათი. ჰო, რა ტკბილი მოსა-
 უბრეა გრიგოლი, რას არ მომიყვია და
 რა არ მითხრა, განსაკუთრებით თქვენს
 ოჯახზე, თქვენზე და ნინოზე. ყველა-
 ფერს დიდი მღელვარებითა და ეშხით
 მიყვებოდა...

— გრიგოლი და ჩვენ ახალგაზრდო-
 ბისას უნდა გენახეთ, ახლა რა ვართ. ეპ,
 ისევ სურათმა თუ შეინახა ჩვენი ბედნი-
 ერი დღეები, ჩვენი ახალგაზრდობა!
 გრიგოლი იყო ჩვენი ძმობისა და მეგობ-
 რობის დუღაბი, ჩვენი სილამაზე იყო და

ჩვენი ეშხი. გრიგოლი ბედნიერი კაცია, არა, ბატონო იონა?

— მართალია, ოღონდ იმისი ის არ მომწონს, დედოფალო, რომ უცოლოდ გადაეყო.

— თურმე ამასაც ბედი უნდა! საცოლელ დანიშნული სოფიო ორბელიანი 1836 წელს გაუთხოვდა. ისიც უნდა გავიხილო, რომ გრიგოლს თურმე ჩემი დაც — ნინოც უყვარდა, მაგრამ ნინოს არ უნდოდა მეორედ გათხოვება. ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ ნინოს გრიგოლის ძმა ზაქარიაც ეკურკურებოდა.

ეს რომ უთხრა, ეკატერინემ ზაქარია ორბელიანის ბარათი ვადასცა საბუთების მძივებელ იონა მელნარგიას. ზაქარია სწერდა გრიგოლს:

„ბიჭო, არა გრცხვენია? რად მატყუებდი? შენ ჩემზე მეტად გყვარებია და ჩემ წინ მალაყებს რად თამაშობდი? ეხლა შენ დაგვრჩა ბურთი და მოედანო!“

— ამას წინათ, — განაგრძო ეკატერინემ, — ეს ბარათი გრიგოლმა გადმომცა და მითხრა, როგორც ჩანს, ნინოსთან ბედი არ მწყალობდაო. ჩემი დისა და სხვების შემყურე გრიგოლი უცოლოდ დარჩა. ისე კი დიდი მოტრფიალე იყო ქალებისა. — ამის თქმასზე ეკატერინეს სახე გაებადრა. თავისი ახალგაზრდობის დღეები გაახსენდა და გაუღიმა მელნარგიას — ჩანდონე და სიმხნევე კი შერჩა ჩვენს გრიგოლს.

— დიას, დედოფალო, ჯანზე კარგად არის ჩვენი გრიგოლი. ამ ოთხმოც წელს მიწვეულ კაცს მხსიერება და გონიერება კვლავ სალი და ნათელი აქვს. ეს იშვიათი ჭილდოა, რომელსაც შემომქმედი მხოლოდ რჩეულებს უწყალობებს. თქვენც ხომ ასევე ბრწყინვალედ შეგროხათ ყველა სიკეთე! ქვეყანაძებებისა და ორბელიანებს ღმერთი სწყალობთ. ღმერთი, ჩემო დედოფალო.

— არა, ჩემო იონა, ბედნიერება დიდხანს როდი გრძელდება. ადამიანები ნაფოტებია, იმ ხის ნაფოტები, რომელსაც ცხოვრების ხე ჰქვიათ. ცხოვრების მდინარე კი ისე ათამაშებს ამ ნაფოტებს

როგორც სურს. მე არ მინდოდა ასეთი სათამაშო ნაფოტი ეყოფილიყვნენ მინდოდა ჩემი ადგილი მეპოვნა ამ ქვეყანაზე. მერე რა! ცხოვრებამ თავისი გაიტანა და მეც ნაფოტად მაქცია. მაგრამ რაკი გსურს ვიამბო ჩვენი დიდებული წარსული, მე ამას სიამოვნებით შევასრულებ, რადგან მართლაც ბევრი რამ არის რომანტიკული და საინტერესო ჩემსა და ჩემი წინაპრების თავგადასავალში.

— მაპატიეთ, დედოფალო, ავადმყოფს რომ გაუწხებთ, ხომ მოგეხსენებათ, არქივების გადახედვას ყოველთვის მოესწრება კაცი, ზეპირად გადმოცემული ამბავი კი გაიფანტება დროთა ბრუნვაში. საყვარელი და დიდი ადამიანების — მამათქვენის, ბარათაშვილის და ორბელიანის ცხოვრება ყოველმხრივ უნდა შევისწავლოთ. რაკი ეს საქმე მე დავიკისრე, მეტი გზა არ არის, უნდა შეგაწუხოთ.

ეკატერინემ შორიდან მოუარა:

— ჩემი არ იყოს. მე როგორც ვამიგია, თქვენ, ბატონო იონა, მთელი ევროპა მოგივლიათ და დამეთანხმებით: ქართველი კაცი ბუნებით კეთილია, მშვიდობიანი, მეგობრის გამტანი და მტერთან შეუპოვარი, უფროსის მორჩილი, გაჭირვების მომთმენი, მამულის ერთგული და პურმარილიანი. ჰოდა, ეს თვისება უჩველ ჰქონდა მომადლებული მამაჩემის ოჯახსაც და დადიანების ოჯახსაც. მე, ამ ოჯახებში გაზრდილმა, კარგად ვიცი, რომ ბავშვის გონება თეთრი, დაუწერელი ქაღალდია, ან, როგორც ჩვენებური გლეხი იტყვის, ბავშვი ქვევრია, რასაც ჩასძახებ, იმასვე ამოგძახებს და, ჩვენც, რა სიკეთესაც ენერგავდით ოჯახში, იმ სიკეთით ვიყავით მერმე ცნობილი. ჩვენს ოჯახებში კი: გაღიები, მოურავები, მოახლეები, მეჭინბენი და სხვანი მუდამ ჩვენთან ერთად იყვნენ და არც არაფერი გქონდა სადაო. ყმასაც ბატონი მამასავით უყვარდა და, სულ ტყუილია, რასაც ახლა თქვენი გაზეთები და ჟურნალები ჩმახავენ, რომ ვითონც ბატონსა და ყმას მუდამ ჩხუბი ჰქონოდეთ. ეს ამ ბოლო დროს ჩვენმა

მტრებმა გამოიგონეს, რომ თავადიშვილებს ხალხი აუჯანყონ. იმავე მტრებმა გადაჰქედეს მე ის ეშმაკის ფეხი უტუ მუჭავა. ბოლოს ხომ მეც დამლუპეს და ისიც...

დედოფალს ბრაზი თვალეზე მოაწვა, ფიქრი დაებურა, აქ შეჩერდა, გონს მოვიდა და ისევ განაგრძო ამბავი. ახლა უკვე მამის ამბავს ჰყვებოდა და იონა მეუნარგიაც ყოველ სიტყვას იწერდა რვეულში...

შუალღე მოტანებული იყო, როცა დედოფალი და სტუმარი სადილად მიიწვიეს. სადილობის დროს ისევ ალექსანდრე ჭავჭავაძეზე იყო საუბარი. სადილს მორჩნენ თუ არა, დედოფალი თავის საწოლ ოთახში შევიდა, ხოლო იონა მეუნარგია სასტუმრო ოთახში შეიყვანეს დასასვენებლად. იონამ დედოფლის ნაამბობი სუფთად გადაწერა, მერე გადაწერილი გადაიკითხა. თავი ვერ შეიკავა და ასეთი შენიშვნა გაუკეთა ჩაწერილ ამბავს:

„აქედან იმ დასკვნის გამოტანა, რომ გლეხი თავის მდგომარეობით კმაყოფილი იყოს საზოგადოდ, ძნელი დასაჯერებელია. ვინ იცის, ეგებ ოდესმე... ოქროს საფუკუნეში... მაგრამ მას აქეთ ქვეყანამ რამდენჯერ იცვალა ფერი. გარდა ამისა, ხომ მებატონე გლეხის ოფლით ცხოვრობდა? კეთილშობილნი რას არ სჩადიოდნენ „არაკეთილად შობილებთან“, არბევ-აწიოკებდნენ, სცემდნენ, სტანჯავდნენ, საპყრობილეში ალბობდნენ, მზითვად ატანდნენ თავიანთ ქალებს, ეკლესიებს სწირავდნენ, ავირავებდნენ, ჰყიდდნენ... „გლეხკაცისა, სულის მეტი, ყველაფერი მებატონისა იყო“, როგორც ბრძანებდა მრისხანედ ვახტანგის კანონი.

ამგვარი „მამის“ სიყვარული გულკეთილ ქართველ გლეხკაცისათვისაც შეუძლებელი უნდა ყოფილიყო, ჩვენი აზრით...“

საღამოს მეუნარგია ისევ ეწვია დედოფალს.

ახლა კი სოფლის მღურვას მოჰყვა დედოფალი:

— ჩემო ბატონო, უმთავრესი სიმდიდრე კაცისათვის ჯანის სიმართლე ყოფილა. მე ყველაფერი შეჩნდა, წაბელიც, დიდებაც, პატივიც. — მერე სევდიანად გაიღმა და დაუმატა — დიას, მქონდა და ახლაც მაქვს ეს ყოველივე, მაგრამ მე ის არა მაქვს, რაც ყველაზე მთავარია ადამიანისათვის — ჯანმრთელობა. არა მაქვს ახალგაზრდობა, ეს საამო ბედნიერება, რომლის ტოლი და სწორი თურმე არა არის რა ამ ქვეყანაზე. დიას, მაშინ ვიყავი მე ბედნიერი, როცა მიჯნურს მეძახდნენ, მაშინ ვიყავი მე ბედნიერი, როდესაც მთელი ქვეყანა ჩემი მეგონა. შემდეგ დედოფალი გავხდი, სასახლე, ერთი კი არა, ოთხი ავიშენე, თავყვანისმცემელი და პატივისმცემელი დაულეველი მყავდა. ახლა კი რაღა ვარ? არც სიმდიდრეა ჩემთვის, არც სილამაზე, არც მიჯნურობა, არც სიმართლე ჯანისა, ვერც ექიმი დამიბრუნებს ახალგაზრდობას, ვერც ფულა და ვერც სიმდიდრე! აი რა მაწუხებს მე ახლა!

წავიდა ჩვენი ახალგაზრდობა და თან წაიღო ოცნებით სავსე ბედნიერი დღეები. მთელი ქვეყანა მე მაშინ ჩემი მეგონა, სიხარულით მიწაზე ვერ ვებტოდი, ოცნების ფრთებით დაფრინავდი, სული ზეცისაკენ, უსაზღვროებისაკენ მიიღტვოდა, ეძვი რა არის, ეშვოც არ შემპარვია, რომ ჩემი ბედნიერება მარადი იყო. თურმე ეს ახალგაზრდული სიბრძნე, დაუკვირებლობა და ბევრფერო აღტაცება ყოფილა. ცხოვრების ჯარამ ნიავს გაატანა ჩვენი ყვავილოვანი ოცნება. სული ეშვითა და უნდობლობით აღავსო, სარწმუნოებისათვის მაღალი საკურთხეველი დაამხო, გული ყინულივით გაცივდა და ახლა მას ველარაფერი გაათბობს ამ ქვეყნად! დიას, ყოველივე ამოება ყოფილა; ის იმედებიც, ასე რომ მიხატავდა საოცნებო მომავალს, გაქრა და გაკამბტვერდა. ვაი, რომ ჩვენ შორის მაშინ ყველაზე მართალი ის კოჭლი ტატო ყოფილა, მაშინ ბებრების მსგავსად რომ მოსთქვამდა და კვნესოდა. ჩვენ გულში დავცინოდით მაშინ ტატოს, მაგ-

რამ ვინ ყოფილა ჩვენ შორის ბრძენი, თვით ცხოვრებამ დაგვანახა. წარსულ დროზე სევდას მე ახლა ვერაფერი მიმსუბუქებს. შეგობრები და ახლობლებიც შემომეცალნენ: ნინო აღარა მყავს... აღარც სამთავრო, აღარც ტახტი დედოფლობისა... მოვიდა ჩვენს თავს წარღვნა და აღარსადა ჩანს საშველი... სად შევაფარო თავი!

ვაი, რომ სულ მალე გაქრება ჩვენი სახსენებელიც, აღიგვება ჩვენი გვარი და სახელი... გაგვძარცვეს, სული ამოგვაცალუს... ჭერ იყო და ტახტი მოშტაცეს, მერე იყო და, ყმები ჩამომართვეს, მერე ბანკებში დაგირავებული მამული ჩალის ფასად წამართვეს... მთელი ჩემი ქონება მოსამართლეებს, ვეჭილებსა და აპელაციებს მოუნდა და ასე განიავდა დადიანების დიდება. არა, ყველაფერ ამის ატანა აღარ შეუძლია ჩემს სულს და ზეკლინდელი დღისაც აღარა მწამს რა...

ახალგაზრდა მეუნარგია უსმენდა და უკვირდა: ნუთუ ასე გაუტყდა დედოფალს გული ცხოვრებაზეო. თუ მას, რჩეულს, ბედნიერებით, სიხარულით, ქონებით, პატივისცემით, მდგომარეობით ყელამდე სავსეს, სამღურავე ეთქმის ცხოვრების მიმართ, მაშინ სხვამ რა უნდა თქვასო, გაიფიქრა იონამ. მერე გაბედა და დედოფალს უთხრა:

— დედოფალო, თქვენ იმ რჩეულთ ეკუთვნით, ვისთვისაც გამჩენმა ღმერთმა არაფერი დაიშურა, არც ნიჭი, არც სილამაზე, არც სიბრძნე, არც დიდკაცობა და არც მბრძანებლობა. მთელ საქართველოში და კერძოდ კი ჩვენს ქუთხეში როგორ გცემენ პატივს, ჭეშმარიტად დიდ პატივს, მე ამას ჩემი თვალით ვხედავ. თქვენ აღამიანად კი არა, ღმერთად ჰყავხართ წარმოსახული ჩვენიანებს და ბევრჯერაც დაგიდასტურეს პატივისცემა და სიყვარული ამ აღამიანებში. თქვენ ტყუილად ემღუროთ ბედს, დედოფალო...

ეკატერინემ ისევ ამოიხზრა და ისევ მიიპყრო სევდიანი თვალელები ახალგაზრდა კაცს:

— გუშინ გრიგოლ ორბელიანის წერილი მივიღე, იგი ჩემსავით ემღუროს ბედს! „მე, ოზოლსა და ოხერტაილს...“ — ლი არა, შვილი არა, არშიყობა არა... ეპ სიცოცხლის ლაზათი წავიდა!“ — ასე ემღურის იგი ბედსა. აი ასეა, ჩემო იონა, ცხოვრება რთული რამ ყოფილა, ვიდრე მე მეგონა: შენ ახალგაზრდა კაცობარ და კარგად დაიხსომე ეს ყოველივე. ნურც ნურავინ გაგიტაცებს. მე თვით გრიგოლ ორბელიანმა მითხრა ამას წინათ, მთელ ქვეყანაზე არცერთი დედაკაცი არა ღირს იმად, რომ კაცმა ნახევარი ნეკი მოიჭრას მისთვისო. დღეს ასე ამბობს გრიგოლი, წინათ კი მზად იყო. ლამაზი მიჯნურისათვის თავიც დაედო. როგორ გგონიათ, რატომ ამბობს ახლა ასე? ცხოვრებამ, სიბერემ გაუტეხა გული ჩემსავით და ამიტომ ქალში არც სიხარულსა ხედავს, არც ბედნიერებას, არც მიჯნურობასა და არც სილამაზეს. რასაც მან თავისი ახალგაზრდობის წლები შესწირა, ახლა ასე უმადურად აფასებს. ასე ყოფილა და ასე იქნება...

მეორე დილასაც ეწვია მეუნარგია დედოფალს: იონას ჩვეულებად ჰქონდა დაწვრილებით გამოეძია და გამოეჩხრიკა მასალა, რომელიც ნათლად გააშუქებდა მწერლის ცხოვრებას. ძველ მწერალთა ცხოვრების ეს გატაცებული მადიებელი ცოცხალ, მომსწრე ხალხში ეძებდა საჭირო მასალას, რადგან აღწერილი და დაბეჭდილი ამ მწერლების ცხოვრებაზე არაფერი იყო თითქმის. და იგი ეკატერინეზე უფრო ცოცხალ მოწმეს ვის დაიგულებდა. ეკატერინეზე უკეთესად ვის ეცოდინებოდა ალექსანდრეს, ტატოს და გრიგოლის ცხოვრება.

და აი ახლა, როცა იონამ გრიგოლ ორბელიანზე ჩამოაგდო სიტყვა, ეკატერინეს მოეწონა ეს მკვირცხლი, ნიჭიერი, დაკვირვებული ახალგაზრდა და გულწრფელად უამბო ყველაფერი; რაც კი ახსოვდა და იცოდა გრიგოლ ორბელიანზე. რა არ უამბო, რას არ მოუყვა, ბოლოს თავის ნათქვამი ასე დაასრულა:

— გრიგოლი, ჩემი გრძგოლი! აი ვინ იყო ჩემი თაობის ქალების ჭეშმარიტი

მიწნური, სასიამოვნო გამართობი და მოსაუბრე, დარდიმანდი, ბრძენი, ხუმარა, მომლხენი და მოქეიფე. ჩვენ ყველას გვიყვარდა იგი გულწრფელი სიყვარულით. ჩვენგან მას ვინ ეტყოდა უარს ცოლობაზე, მაგრამ, რაც ჩემი და ნინო დაქვრივდა, მას დაადგა თვალი და სხვა არავინ ინდობა. ნინოს კი ჩათქმული ჰქონდა გრიბოედოვის შემდეგ არავის წაპყლოდა და აღასრულა კიდევ ჰქონდა სადმი მიცემული ეს ანდერძი. ახლა გრიგოლ ორბელიანის ჰქვრივად გადაგებას ამით ამართლებენ. ნამდვილად კი, ღმერთის წინაშე გრიგოლის დედის აღთქმა ასრულდა და, სწორედ ეს მინდა გიამბოთ: გრიგოლის მამა ზურაბ ორბელიანი მეფისნაცვალს ციციანოვს ხლებია ერევნის ექსპედიციაში. აქ ტყვედ ჩავარდნია მტერს. ხორეშანს, რომელიც გრიგოლზე ყოფილა ამ დროს ორსულად, აღთქმა დაუდგია ღმერთის წინაშე, რომ, თუ ტყვეობაში მყოფი ქმარი მშვიდობით დაუბრუნდებოდა, შვილი რომ ეყოლებოდა, ბერად აღკვეცდა. ზურაბი ცოცხალი დაბრუნდა. ხორეშანმა ლამაზი ბიჭუნა ბერობისათვის ვერ გაიმეტა, მაგრამ ღმერთმა მაინც აღასრულა აღთქმა დედისა — გრიგოლი უცოლოდ გადაეგო. თუმცა... რამდენად შეასრულა ბერის როლი გრიგოლმა, ამის განსჯა თქვენთვის მომინდვია, ბატონო, — დაასრულა სიტყვა დედოფალმა.

გორდში ეკატერინეს ერთი თვის შემდეგ ისევ ესტუმრა იონა მეუნარგია. დედოფალი ავად იყო, იწვა. გულის დაავადებას სულისხუნთვაც დამატებოდა და სულსა დაფავდა. შინაურებს ჯერ არც უნდოდათ იონა იმ ოთახში შეეშვათ, სადაც დედოფალი იწვა, მაგრამ სწორედ ამ დროს ავადმყოფმა ყური მოჰკრა კაცის ხმას და იკითხა: ვინ არისო. იონა მეუნარგია გეწვიათო, მოახსენეს. ეკატერინემ ფართოდ გაახილა თვალები, ოთახი მოათვალიერა, თითქოს მოსულ სტუმარს ოთახში დაეძებსო. მერე პირისფარეს მოუხმო და უბრძანა: „შემოუშვითო სტუმარი!“

იონა ფეხაკრეფით შევიდა, დედოფალთან ახლო მივიდა ედავნიწიებით დაუკრა თავი. ეკატერინემ ქვემოდან ამოხედა ფეხზე დამდგარ სტუმარს, გაუღიმა და ხელით ანიშნა დაჯექიო.

— ჩემო იონა, მე ისევ ავად ვარ. არავეს ვიღებ, მაგრამ თქვენი ცნობის-მოყვარეობის ამბავი ვიცი და თავათ მოვისურვე შემოსულიყავით. მამახმისა და გრიგოლის შესახებ რაც ვიცოდი და რაც გამახსენდა, ყველაფერი გითხარით. ტატოზე კი ბევრი რამ უთქმელი დამრჩა. ეგებ არც იყოს საჭირო ჩემი სულის საიდუმლო მთლად გადაგიშალოთ, მაგრამ ვიცი, დღეს თუ ჰვალ სიკვდილი მეწვევა და არ მინდა საიდუმლო ჩემი სულისა იმ ქვეყნად ისე წავიღო. რომ აქ არავინ იცოდეს. თქვენ, ვითარცა ტატოს ამბების მჩხრეკელს, მინდა გაცანდოთ ეს საიდუმლო... უკვე მოგახსენეთ, რომ ბარათაშვილმა თავისი ლექსების ორი კრებული თავისი ხელით გადაწერა და მიძღვნა.

აქ შეჩერდა ეკატერინე, წყალი მოითხოვა, წყაროს წყალი მოართვეს დედოფალს. დალია, სული მოითქვა და, როცა პირფარეში ოთახიდან გავიდა, ისევ განაგრძო ამბავი:

— ჰოდა, იმას მოგახსენებდით, ტატოს კრებული, როგორც ყველაზე ძვირფასი განძი, რაც კი მე გამაჩნდა, ყველგან და ყოველთვის თან დამქონდა, ერთ წუთს არ მომიშორებია.

პეტერბურგში, გაუთავებელ ყინვასა და ზამთარში, ის მათბობდა, ის მიცოცხლებდა... მერე თამარი მომიკვდა, ჩემი თამარი...

აქ გული აუჩოყდა დედოფალს და ტირილი დაიწყო. იონამ ვერაფრის თქმა მოახერხა, სკამზე ვერ ჩერდებოდა, უნდოდა რითმე ნუგეში ეცა მტირალი დედოფლისათვის, მაგრამ ხმა ვერ ამოიღო ამ მწუხარების ქაშს. მერე დედოფალმა ისევ მოითქვა სული, მოსვა წყალი.

— საჭარტველოში არ გამომიშვეს, ბავშვების ჯანმრთელობისათვის კი ჰაერის გამოცვლა იყო საჭირო. სადმე სამხრეთით უნდა წავსულიყავით და ის იყო

პარიზს წავედით. მაშინ ისე ვიყავი გონებადაკარგული და დამწუხრებული, რომ არაფერი მახსოვდა. პარიზში მაშინვე მოვიკითხე კრებული და, რომ არ აღმომაჩნდა, ძლიერ დავლონდი, მაგრამ აბა იქ რას გავაწყობდი, წერილი მოვწერე პეტერბურგში დაუყოვნებლივ გადმოვგზავნათ ეს კრებული ჩემთვის, მაგრამ პასუხი არა ჩანდა...

1866 წელს ისევ პეტერბურგში დავბრუნდით მაშინათვე მოვიძიე ტატოს ლექსები არსად აღმოჩნდა. თურმე ეძებდნენ და ვერსად ენახათ. ასე თვალსა და ხელს შუა გაქრა ჩემთვის ძვირფასი განძი. ბევრი ვიღონე, მაგრამ ამით საქმეს ვერ ვუშველე, ვერსად ვერ მივაკვლიე. მაშინ, მართალი გითხრა, ძალიან შემეშინდა. შელოცვილი ნივთივით, ავგაროზივით იყო ჩემთვის ეს კრებული, და მის დამკარგავს კიდევ ერთხელ ჩამწყდა გული.

მერე ისევ აირია ჩემი ცხოვრება, სრულწლოვან ნიკოს ძალით ათქმევინეს უარი სამთავროზე და ტახტი მიიტაცეს, მერე ხომ ავიყარენით. და უფლებაყრილნი და ტახტწართმეულნი აქ ჩამოვედით ბევრი დაპირებებითა და შეწყალებით...

წავიდა და წავიდა ცუდად ჩვენი საქმე. დღემდე ვერ გამოვიდა, როგორ მოხდა, რომ ეს კრებული ასე გაქრა ჩემი სახლიდან. ვეძებ და ვეძებ, მაგრამ ამაოდ...

ასე მგონია, ახლა იმიტომ ვარ ასე ავად, რომ ბოროტმა ძალებმა მომპარეს ის ძვირფასი განძი, განძი ჩემი სულისა...

ტატოსაგან მოძღვნილი ეს კრებული, როგორც შელოცვილი თილისმა, ისე მიფრავდა მე უბედურს, და აი დავკარგე იგი და დავკარგე ტახტი, დავკარგე მშვიდობა სულისა... სული ჩემი თან წაპყვა იმ ლექსებს და ახლა მეძახის, მიხმობს იმ ქვეყნად იგი... რა ვარ მე ახლა? მთლად გაძარცვული და ყველასგან მოტოვებული...

გული მეუბნება, რომ სულ მალე მოვკვდები, სულ მალე გავეცლები ამ ქვეყანას.

აქ ისევ შეჩერდა დედოფალი, სული შეეხუთა და ბრძანა ფანჯარა გასდგომოდა მერე ისევ მოითქვა სული და სტუმარს მიუბრუნდა:

— ყველაფერი, რაც გითხარით, დამახსოვრეთ, არ შემეძლო ეს არ მეთქვა ვისთვისმე და ყველაზე მეტად თქვენ ჩავთვალეთ ამის ღირსად, რაჟი ხელი მოვიკიდიათ ტატოს ცხოვრების შესწავლისათვის... გულახდილად გეტყვით, რომ არც ვნანობ ახლა სიკვდილს. მართალია, არ დავმალავ, ძალიან მიყვარდა სიცოცხლე, მიჩვეულიც ვიყავი განუზივრებულად ცხოვრებას და არაფერი მაკლდა ამ ქვეყნად: არც მიჯნურობა, არც მეგობრობა, არც დიდკაცობა... ეს ყველაფერი უხვად მქონდა ღვთისაგან ნაბოძები და არც რას ვემდური ამ წუთისოფელს (თუმცა ცოტა ზიანი როდი მომაყენა ამ გაუტანელმა წუთისოფელმა), მაგრამ ცოტა ხანს კიდევ მინდოდა მეცხოვრა, მე ხომ აქ შეილები მჩხემა, ეს ჩემი სისხლი და ხორცი! მინდოდა ცოტა ხანს კიდევ ვყოფილიყავი მათთან. მაგრამ რომ არ გამოდის!...

ახლა ისე ავად ვარ, რომ ასეთ ყოფნას სიკვდილი მირჩევნია. ეტყობა დადგა ქამი გავეცალო ამ ქვეყანას... ამასაც გეტყვი: ეს ქვეყანა ადვილად გასამტეხელი როდია... თავისთავად ეს წუთისოფელი ლამაზია და მშვენიერი, მაგრამ მე იმ ქვეყანაშიაც მეგულემა სულის ნაწილი: ჩემი დავითი და ჩემი თამარი... ვერც ამას დავიმაღავ, ჩემი ტატოც. ალბათ, დავითიც მამატიებს და ტატოც, თუ რაზე შეცოდება მიმიძღვის მათს წინაშე. ისე კი, ამ ქვეყანაზე ჩვენ ყველანი ცოდვილი ვართ, ჩემო იონა!

იონა მეუნარგია გაფაციცებით იწერდა რკეულში დედოფლის ყოველ სიტყვას, არაფერი გამოჰპარვია მის მახვილსმენას.

ეკატერინემ ამბის თხრობა დაამთავრა. ისევ მოსვა წყალი და სტუმარს შეხედა. ისევ წერდა. ეამა დედოფალს, რომ მის ნათქვამს ეს ახალგაზრდა კაცი ასეთი ყურადღებით ეკიდებოდა და გაუღიმა კიდევ.

იონა დაიბნა, ვერ მიმხვდარიყო რას ნიშნავდა ეს გაღიმება: მოწონებას თუ დაცინვას. ამის ვერ შემცნობმა წერა მიატოვა, რვეული დაკეცა და ფანქართან ერთად აჩქარებით ჯიბეში ჩაიღო; ადგა, წასასვლელად მოეშადა, დედოფალი თვალს არ აცილებდა მის მოქმედებას. ამან უფრო დააბნია სტუმარი. მან აღარ იცოდა ისევ დამჯდარიყო თუ გასცლოდა იქაურობას. სწორედ ამ დროს პირისფარეში შემოვიდა. მეუნარგიამ ამით ისარგებლა, გონს მოეგო, მოწიწებით თავი დაუკრა დედოფალს, მადლობა გადაუხადა და ფეხაკრეფით გავიდა.

• • •

ზუგდიდიდან სტუმრად ამოსული ავსტრიელი მეგობრები ბერტა და გუნდაკარი იმ საღამოს გორდის აივანზე ისხდნენ ეკატერინესთან. ბერტა დედოფალს იმ გეგმებს აცნობდა, მას და მის ქმარს რომ ჰქონდათ ჩაფიქრებული, თან თავისი ქმრის გუნდაკარის მიერ სამეგრელოზე დაწერილი ახალი მოთხრობების ამბავს უყვებოდა:

— ჩემი ქმრის ერთ მოთხრობას „დარეჯანი“ ჰქვია. ახლა მეც ვწერ მოგონებებსა და მოთხრობებს. მოგონებთა მთავარი გმირი თქვენ იქნებით, ჩემო დედოფალო, რადგან მე თქვენგან ვისწავლე სიყვარული და პატივისცემა ადამიანისა და თქვენი თავაზიანი მოწვევით შევიყვარე საქართველო. საქართველო, ლეგენდებისა, ზღაპრებისა და გმირების ეს საოცარი ქვეყანა, მე მეორე სამშობლოდ დამისახავეს და მინდა მას თქვენი და ჩემი საქართველო ვუწოდო. და რაკი მწერლობას მოვკიდეთ ზელი, ზუტენერებს მოვალეობად მიგვაჩნია საქართველო და მთელი კავკასია უცხო მკითხველსაც გაეაცნოთ. და ასე დაუკავშირდით ამ ქვეყანას და გვინდა ეს გულითადი სიყვარული ჩვენს მკითხველებსაც ჩავუნერგოთ. თუ ამას შეეძლებო, მაშინ ჩვენს მოვალეობას საქართველოს წინაშე მოხდილად ჩავთვლით

და ჩვენზე უბედნიერესი არავის იქნება ამ ქვეყანაზე.

მეუნარგის

მართლა, დედოფალმა ამას წინასწარ თბილისში გახლდით. იქ ახალგაზრდა ქურნალისტი გავიციანით — ბატონი მეუნარგია. ის თურმე აქაური ყოფილა. დიდებული მკოდნეა ფრანგული ენისა. მან ჩაგვაგონა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნა. საქმეში დახმარებასაც შეგვპირდა.

— მეუნარგია ჰქვიანი და განათლებული კაცია. თუ თქვენ ამ საქმეს ხელს მოჰკიდებთ, მეც არაფერს დავიშურებ, რომ ეს საქმე შესრულდეს. ჩვენ „ვეფხისტყაოსანზე“ დიდი არაფერი გაგვაჩნია. ის არის ჩვენი ნუგეშიც, ამედიც და სასოებაც. და დიახაც მიხარია, რომ ეს გიფიქრიათ. დიდად დაგიმადლით, თუ ამ საქმეს მონაღობებით მოეკიდებით.

ეს ის დრო იყო, როდესაც თბილისში გრიგოლ ორბელიანის თავმჯდომარეობით „ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემის ტექსტის დამდგენი კომისია შედგა. ამ კომისიის მდივნად იონა მეუნარგია აირჩიეს. მას უკვე ჰქონდა საუბარი ეკატერინე დადიანთან იმ ძველი ხელნაწერების თაობაზე, რომლებიც დადიანების სასახლეში ინახებოდა. მეუნარგია ახლა ისე იყო გართული ამ საქმით, რომ თბილისში ჩამოსულ ყველა უცხოელს ემუდარებოდა, თარგმნეთ „ვეფხისტყაოსანი“. და აი, გაიცნო თუ არა ზუტენერები, მაშინათვე „ვეფხისტყაოსნის“ გერმანულ ენაზე თარგმნა შესთავაზა და სტუმრადაც მიიწვია ისინი სოფელ ცაიშში.

იონა მეუნარგია მთელ ოთხ თვეს არ მოსცილებია ზუტენერებს. მის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგულ ენაზე ნათარგმნი ტექსტი ფრანგულის კარგად მკოდნე ზუტენერებს დიდად უადვილებდა მუშაობას. არც ამას დასჯერდა მეუნარგია. ყოველ დღე ოთხ-ქექს საათს გვერდით ეჯდა ძვირფას სტუმრებს და ჯერ სიტყვასიტყვით უთარგმნიდა თვითელ სტრიქონს, მერე კი საქართველოს ისტორიას მოუთხრობდა. ამ მონათხრობში ბერტას ყველაზე უფრო თამარის ამბავი ზიზღავდა.



— დიახ, „ვეფხისტყაოსანი“ თამარის სადიდებლად და საქებრად არის დაწერილი. ყოველი ქართველი კაცი ამაყობს ამ ქართველი ქალის სახელით. თამარი ქართულმა ეკლესიამ წმინდანად ჩაირიცხა, ხალხმა კი ვაადმურთა. საქართველოში ყოველ ციხეს, ყოველ ტაძარს თუ გამოქვაბულს თამარის სახელი ჰქვია. თამარამდის რამდენიმე დიდებული მეფე გვყავდა. ქართველმა კაცმა არც მათ დააკლო პატივისცემა და დიდება. ვახტანგის დროში, დავითის დროში საქართველოს იფარავდა ყოველი განსაცდელის ეამს. დავითისაგან შემომტკიცებულ დიდ საქართველოს თამარი, როგორც მხედართმთავარი და დედა, ისე გადაეფარა, დაიცვა, გაამშვენიერა და გაალამაზა. და რუსთაველმაც სწორედ ამ ულამაზეს და უმამაკეს ქალს მიუძღვნა თავისი „ვეფხისტყაოსანი“. ამბობენ, უყვარდაო რუსთაველს თამარი. შართალია თუ არა ეს ამბავი, არ ვიცი, მაგრამ ის კი ნამდვილია, რომ თამარის საქართველოს სული ტრიალებს ამ „ვეფხისტყაოსანში“. „ვეფხისტყაოსნის“ ყოველი სტრიქონი თამარის საგმირო საქმეებითა და დიადი სულით არის გაბრწყინებული. და აი, გაბრძანდით ეხლა ჩვენს სოფელში, პირველივე შემხვედარი გლეხი გააჩერეთ და ჰკითხეთ „ვეფხისტყაოსანზე“ რამე და ნახავთ, რომ იგი უყოყმანოდ მოგიგებთ: რუსთაველს თამარი უყვარდა და მის ქებას უძღვნა ეს პოემაო. რამდენიც არ უნდა ეცადოთ, ვერ დააჩუმებთ. რომ ეს ასე არ არის. ასე სწამს ხალხს თავისი სახელოვანი წინაპარი, ასე აღიძებს თამარ მეფეს...

იონა მეუნარგია მართო ძველ ამბებს კი არ უყვებოდა ავსტრიელ სტუმრებს, არამედ საქართველოს ყოველ კუთხესაც აცნობდა, ქორწილებში, დღეობებში, ნათლობაში, ტირილში დაჰყავდა. ზღუტნერებიც ნახულსა და გაგონილს ყველაფერს აკვირდებოდნენ და შემდეგ ყოველივე ეს გამოსახულებას პოულობდა მათ მიერ დაწერილ წიგნებსა, წერილებსა და მოგონებებში...

იმ დღეს იონა მეუნარგია გრიგოლ დადიანს ესტუმრა. იონა უკვე შინაური კაცი იყო დადიანების ოჯახში. ჯერ კიდევ მამის მხრივ დამყარდა ეს შინაური ნაცნობობა. ახლა კი იონა მთელ საქართველოში იყო ცნობილი წერილებითა და საზოგადო მოღვაწეობით. იონა გრიგოლ დადიანზე ამზადებდა მასალებს და ამის გამო ხშირი სტუმარი იყო კოლხიდელისა. იმ დღეს კი იონას და კოლხიდელის საუბარი განსაკუთრებული იყო. იგი საქართველოს დღევანდელ დღე შეეხებოდა.

— იონა, ახლა ისეთი დრო დადგა, — ამბობდა დადიანი, — რომ ყოველმა შეგნებულმა ქართველმა თავისი მოღვაწეობის მთელი ძალა და ღონე ჩვენს სამშობლოს ბედს უნდა შეალოს, დიახ, საქართველოს ბედს. ასეთი მძიმე დღეები არასოდეს ჰქონია ქართველს, თვით მტრების შემოსევის დროსაც. როცა მტერი შემოგვესეოდა ხოლმე, ჩვენი მამა-პაპის კვალზე, ქულზე კაცი გამოგვყავდა, ხმლითა და იარაღით ვებრძოდით შემოსეულ ღუშმანს. მაშინ ვიცოდით, ვინ იყო ჩვენი მტერი. ახლა კი ისეთი დრო დადგა, რომ ფრონტზე კი არა წყდება ბედი ქართველთა, არამედ თვით შიგნით, საქართველოში. ხშირად ეს უჩინარი მტერი ისე გვეპარება ხოლმე და სულს გვხდის, რომ არც კი ვიცოთ მისი ვინაობა, არც ის ვიცით, საიდან მოდის და ვინ არის. იღუპება, იღუპება საქართველო, თუ არ მივხედეთ...

— მეც მანდა ვარ, ჩემო გრიგოლ, უნდა მივხედოთ ჩვენს სამშობლოს, ჩვენს ჭვეყანას! ბატონო გრიგოლ, ილიას წერილები „ბ-ნ იანოვსკის წერილისა გამო“ წაიკითხეთ? სწორედ რომ ყველაფერი აირია. მე ილიას კარგად ვიცნობ; ის ისეთი დინჯი და წინდახედული მოღვაწეა, ტყუილუბრალოდ არ წამოიწყებდა ამ დავას ჩვენი სკოლების გამო. ჩანს ისევე გვიტყვენ ემ რუსიფიკატორები. ეტყობა სერიოზულად არის საქმე. ამ ორ დღეში თბილისში ვაპირებ წას-

ვლას და დაწვრილებით გავიგებ ყოველივეს. ისე კი, მე ასე მგონია, დღევანდელი საქართველო ილიას, აკაკის, ნიკო ნიკოლაძის და მათს გუნდს ეკუთვნის. აწინდელი საქართველოს ბედი მათს ღვაწლსა და შრომაზე ჰკიდია.

სიტყვა არ ჰქონდა დამთავრებული კოლხიდელს, რომ გრიგოლ დადიანმა სიტყვა გააწყვეტინა:

— როგორ, როგორ? მაშ ისე გამოდის, რომ ჩვენ წყალი უნდა ვნაყოთ, არა? ჩვენ წილი არა გვქონია ამ ახალ საქართველოში! წილწარმთეული და უფლებამწარმთეული ვყოფილვართ! არა, ჩემო იონა, გრიგოლ ორბელიანს, დიმიტრი ყიფიანს, რაფიელ ერისთავს...

აქ შეჩერდა დადიანი. თავისი თავის დასახელებაც უნდოდა, მაგრამ თავი შეიკავა.

— არა, მე არაფერი მესმის, რა ხდება ჩვენს ქვეყანაში. ახალი თაობა მეტისმეტ უპატივცემულობას იჩენს ძველი თაობის მიმართ. ეს არ გამოვა, ჩემო იონა, არ გამოვა-მეთქი!

— მეც სავსებით გეთანხმებით, ბატონო გრიგოლ. — დიღომბატიურად უკან დაიხია იონამ, — არც მე მომწონს ზოგიერთთა გამოხტომები, ოღონდ, უნდა ვაგებდეთ და გითხრათ, ძველ თაობათა გზას, ძველ შეხედულებებს გადახედვა და გადაიჩნჯვა უნდა.

— რას ჰქვია გადახედვა და გადაიჩნჯვა! სწორედ ეს არის ჩვენის მხრივ ძველთა უპატივცემულობა. მოიგონეთ, სულ რამდენიმე წლის წინათ ვინ იცავდა საქართველოს ყარსთან და ენგურთან, დაღესტნის მთებში და ყირიშის მისადგომებთან. ჩვენი თაობა, ჩემო იონა, ჩვენ ვზიდეთ ეს მძიმე ტვირთი, ჩვენ შევინახეთ საქართველო, ჩვენა ვართ მისი პატრონი და მომვლელი, და არც დაეუთმობთ ვისმე ჩვენს-აუგად მოხსენიებას, ჩვენს განქიქებას.

კოლხიდელისაგან ასეთ გაბრაზებას არ მოელოდა და იონამ უფრო უკან იახიხია.

— არა, ბატონო გრიგოლ, მე ჩვენი მამა-პაპის საგმირო საქმეთა დავიწყე-

ბას კი არ მოგახსენებთ, მე ის მინდოდა მეთქვა... იონა დაიბნა და ლუღლუღებით წარმოთქვა: — დიახ, ჩვენ ახლა შეთანხმებული მოქმედება გვინდა, გამოთმველობა კი არა, შეთანხმებული მოქმედება, ერთობა ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

იონამ ამ უკანასკნელ სიტყვას რატომღაც განსაკუთრებით გაუსვა ხაზი და თვალბეში შეაჩერდა მეფის რუსეთის გენერალს. მერე ისევ გააგრძელა:

— ერთობა, დიახ, ერთობა გვინდა და ამ გზაზე ხალხის მხარდაჭერა, ბატონო გრიგოლ. ხალხი დიდი ძალაა, ხალხი მოქმედებს ახლა ყველგან. მე წლებულს დავბრუნდი საფრანგეთიდან რუსეთის გზით და ახლა იქ ძველსავე და ახალსავე, ყველას მთელ გამოჩენილ ინტელიგენციას ხალხი აკერია პირზე.

ისევ შეხედა თვალბეში გრიგოლ დადიანს და თვალის გასწორებაც ვერ მოასწრო, რომ ისევ შეაწყვეტინა სიტყვა დადიანმა:

— დიახ, ხალხი! შენ ტყუილად გკონია, რომ მე ხალხის წინააღმდეგი ვიყო. მაგრამ ნუთუ მარტო ეს ქალამნიანი გლეხია ხალხი და ჩვენ, რომელთაც გვიზიდავს ტვირთი, ერისა, ხალხი არ ვართ? მერე, იონა ჩემო, შენ, ალბათ, ისიც მოგეხსენება, რომ, როცა ჩვენში ეკატერინეს წინააღმდეგ ხალხი აბუზღუნდა, მე მაშინაც ხალხს ეშვერდი მხარს.

აქ კოლხიდელს კიდევ უნდოდა ეთქვა მწარე სიტყვები, მაგრამ თავი შეიკავა.

— ჰო, იმას მოგახსენებდით, ეკატერინემ მაშინ ჩვენი არ შეისმინა, ჩვენს რჩევას ანგარიში არ გაუწია, ხალხს ფეხი დააბიჯა და კიდევაც დაკარგა ტაბტი. ეს ასეა, ჩემო იონა, მაგრამ ამ საბუთით არავისა აქვს უფლება თავადიშვილობა აუგად მოიხსენიოს და ლანძლოს. თავადიშვილებს ანგარიში უნდა გავუწიოთ. დიახ! ხალხმა უნდა გაუწიოს ანგარიში მათ, რადგან თავადიშვილობა მუდამ მეთაური იყო ხალხისა, წინ მიუძღვდა. აბა, გაიხსენე საქართველოს ისტორია, რა სასწაული ჩაუდენიათ ჩვენს წინა-

რებს, როგორ დაუცავთ ჩვენი მამული, როგორ უსახელებიათ ქართული ხმალი კარგად გაიხსენე და მერე მელაპარაკე ხალხის სახელით.

— კი, ბატონო, კი...

თვითონაც არ იცოდა რას ნიშნავდა მისი „კი ბატონო, კი ბატონო“. მერე კი დაბნეულმა მეუნარგიამ გაბედა სიტყვის გაგრძელება:

— მე ასე მგონია, ჩემო გრიგოლ, ნებით თუ არ დავუთმეთ, ძალით წაგართმევს ხალხი, ხალხს ეკუთვნის მომავალი...

ახლა კი გაცხარებით შეუტია დადიანმა მეუნარგიას:

— რას ჰქვია წაგართმევს? ვინ წაგ-

ვართმევს იმას, რაც ღმერთსა და მეფეს მოუცია. თუ თქვენ იმ ბრძოლებს უგლებთ ყურს, მაშინ მე ისე უნდა უგლებთ ამ სახლიდანაც გამომობრძანებენ და მას თავისად გამოაცხადებენ. არა, წართმევაზე ნუ წავა საქმე, თორემ, მამა გიციხონდათ, ჩვენი ხმალი არ დაქანგებულა. ჩაგებულა და, როცა საჭირო გახდება, ისევე ამოფრინდება ქარქაშიდან და ჰაერში გაიბრიალებს. დიახ, დიახ! ეს იცოდეს ყველამ და მაშინ ასე იოლად აღარ ილაპარაკებთ ხალხზე.

კოლხიდელი ისე გაცხარებით ამბობდა ამ სიტყვებს, რომ მეუნარგია იძულებული გახდა დადუმებულიყო.

ანაკლიდან მოწერილი წერილები

იმ შემოდგომას ეკატერინე თავისი შვილებით ანაკლიაში ისვენებდა. იქიდან მისწერა ეს წერილები ელენე ორბელიანს.

„25 აგვისტო.

დაო ელენე, მე ახლა ანაკლიაში ვარ. კარავი გავამართვინე ზღვის პირას და მთელი ოჯახი აქ ვისვენებთ. რომ ჩამოხვიდოდე, ელენე, დიდად გამახარებდი, ოღონდ ვერ გეტყვი, შენ თავათ გაიხარებდი თუ არა ჩემთან ყოფნით. სულ დავკარგე მშვიდობა სულისა. ისე ვარ დაღონებული, ისეთი შავი ფიქრები მასევა, რომ მნახო — შეგეცოდები. ამ ბარათსაც იმიტომ ვწერ, რომ ცოტათი გული მოვიოხო შენთან საუბრითა. ვიცი, რომ გამოგებ. შენ თუ არა, აბა ვის გავანდო ჩემი სულის მდულარე მწუხარება. ჩემთვის შენ ისეთი იყავი, როგორც ჩემი და ნინო და მანანა იყვნენ. ამ გაუტანელმა წუთისოფელმა ჩემს ნინოს სულ ადრე დაახურა კუბოს ფიცარი. მანამდე ფიქრადაც არ მომივიდოდა, თუ უნინოდ გავძლებდი, მაგრამ ხომ ზედავ, გავძელი, მაგრამ ვაი ამისთანა გაძლებას. მერე იყო და, მანანა გამოკვეცალა. შენლა დამრჩი ჩემი ყმაწვილ-

ქალობის მეგობრად და მესაიდუმლედე და ახლა შენ მოგმართავ, მაგრამ შეშინია, ჩემმა დარდმა შენც არ შეგაწუხოს.

მე, სამეგრელოს დედოფალს, ახლა ისე მექცევინა, როგორც ქუჩის მაწახწალას. ყოველდღე მე და ჩემი შვილები სასამართლოში დავრბივართ. ვილაცხები ჩემსავე მამულს მედავებიან. ვაი, სადამდის მივიდა ჩემი საქმე! ამდენმა ბრძოლამ, დარდმა და ფიქრმა ისე დამალა, რომ მნახო, — ვერ მიცნობ. მოზღვაებული სევდა ისე მამუნჯებს, რომ ეს ბარათიც რიგიანად ვერ დამიწერია. მჭმუნვარე ფიქრები ისე დამესია გორდში, რომ ლამის ვავგოყდე. თუმცა მე იქ შვილებიცა მყავდა და შვილიშვილებიც, მაინც გამოვიქეცი. ჩემი გორდის ბუნებაც დიდებულა და ჰავაც, მაგრამ მაინც ვერ მოვისვენე იქ უძირო სევდით შეპყრობილმა. გამოვემშვიდობე ჩემს საყვარელ მთებსა და ჩანჩქერებს და აქ ზღვას მოვაშურე, მაგრამ ვაი, რომ აქაც ვერ ვისვენებ!

მოვიდა ჩვენზე წარღვნა და არც ჩანს ძალა, რომელიც გადაგვარჩენს ამ უბედურებისაგან. ჯერ იყო და, საქართველოში მეფობა გააუქმეს და ამის კვა-

ლობაზე სამთავრო ჩვენი და მთელი საქართველო რუსეთს შეუერთდა, მერე რუსის ჯართან ერთად ბრძოლაში ჩვენმა თავდადებამ ქართველობაც ასახელა და ქართული ხმალიც. მთელი ამ სამოცი წლის მანძილზე რამდენი ქართველი დაიჭრა და დასახიჩრდა ამ ომში, რამდენი სამუდამოდ გამოესალმა ჩვენს საყვარელ ქვეყანას და რუსეთს ერთგულება დაუმტკიცა. მაგრამ რა, ყურადღება არავენ მოგვაქცია. თანდათანობით ჩამოგვაქვეითეს. მერე ახალი უკანით ყმებიც წაგვართვეს და მამულიცა. ახლა მოგვაყენეს სუღიები, აღკოცატი, აპელაციები და ლამის სული ამოგვართვან. ბედნიერების დღეები და ოცნებისაგან აღტაცებული სიხარული წავიდა ჩვენგან. ახლა ეს ოხერი სიკვდილი კარს მიკაჯუნებს. ბარემ მორჩეს და გათავდეს ყოველივე! ამასწინათ გრიგოლ ორბელიანი მწერდა იმედდაკარგული: „ცხადად ჩანს რისხვა ჩვენზედა მოვლენილი... ხმა საიდუმლო მესმის. აქამდის იცხოვრეთ, კმარა, გეყოფათ, აიყარენით. ეპე, ილუპება, ილუპება საქართველოს თავდაზნაურობა. საცაა მოვა წარღვნა და შთანთქავს ყველას. იქნება ერთი ორი ბედნიერი ოჯახი მოჰყვეს ნოეს კიდობანში, თორემ სხვა ერთიანად უნდა გაქრეს დედამიწიდან“. ღვთის რისხვა არის ჩვენზე მოსული, ღვთის რისხვა! ვაი, რა უსამართლობაა ჩვენს თავზე! ჩემო ელენე; ვხედავ ჩემს ასეთ გაწყალებასა, ვიყურები აქეთ-იქით და არავინა მყავს თანამგობნობელი, რომ ვინმემ ხმა გამცეს. ისევ შენ მოგმართავ, ჩემო სიყრმის მეგობარო და დაო დაუვიწყარო.

ცხოვრება რთული ყოფილა. ჩვენ ახალგაზრდობისას კინალამ გადაგვიღდეს ერთმანეთს: თვითონ შენ გინდოდა დავითი წაგერთმინებნა ჩემთვის. მერე ის იყო, შენ ზაქარიას წაპყევი და ჩვენ მეგობრებად დავრჩით. მაინც ბედი თანაბარი გვერგო: შენც აღრე დაქვრივდი და მეც. ისე კი დები ვიყავით, ვართ და ვიქნებით, სანამ პირში სული გვიდვას.

ნუ დაიხარებ, დაო, და წერილით მაინც მომაწვდინე შენი ხმა. **„შენი ეკატერინე დალიანი“.**

„1 სექტემბერი.

ზომ ასე გერივით მექცევინ ყველგან, და ჩემს ქვეყანას მაინც არაფერი არ მიჩვენებია!

ჰე, დაილოცოს ჩვენი საქართველო! უცნაური და ზღაპრული ქვეყანაა! შენი იცი, ელენე, რომ მთელი მსოფლიო მომივლია. არცერთი ქვეყანა არ დამრჩენია უნახავი, გარდა ამერიკისა და, უნდა გითხრა გაუზვიადებლად, მე საქართველოსთან ქვეყანა არსად მინახავს და უცხოებაში მყოფი მეც ყველგან გრიგოლ ორბელიანის სიტყვებს ვდუღუნებდი: „სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა“.

ო, რა კარგად უთქვამს ეს სიტყვები ჩვენს კურკას. ოღონდ არ უთხრა, თორემ თავს გაუფა ისედაც თავსდაჯერებულს. არა, ხუმრობა თავისთვის იყოს, როცა ამ სტრიქონებს წერდა ეს ჩვენი დიდებული პოეტი, ალბათ, ყოველი ქართველის გულში იმზირებოდა.

ჰო და, იმ სხვათა ქვეყანაში ბევრი რამ ვნახე დიდებული და საუცხოო, მაგრამ იქ საქართველო მაინც ვერ ვიპოვე. იქნებ იმიტომ, რომ საქართველო ჩვენია და შვილს თავის დედა ურჩევნია მზეთუნახავ სხვის დედას? არა, მარტო ამიტომ არა!

ალბებშიც გამივლია, — დიდად საუცხოო რამ იყო, მაგრამ ჩვენი ქვეყნის ალბების პატრონს, ჩვენი ყაზბეგის, ჩვენი შუამთის, ჩვენი ლეზარდისა და ბაკურიანის შვილს ვერ წარმომათქმევინა გაკვირება მისმა ნახვამ. მე თბილი იტალიაც ვნახე, ციტრუსებით განთქმული. სიძველეებითა და მღუგუნუებით მდიდარი; ნაირნაირი ვენახებით, საუცხოო მთებითა და ბარით განთქმული საფრანგეთიც ვნახე. იქაც ზღვაც თბილია და ხმელეთიც. ცაც ისევე ლურჯია, როგორც ჩვენში, მაგრამ მე არსად მინახავს ერთ ქვეყანაში ისეთი ნაირნაირობა ბუნებისა, როგორც ჩვენშია.

მუდამ თოვლითა და ყინულით დაფარული სუსხიანი ყაზბეგის მთებიდან ჩვენი შავი ზღვის ნაპირებამდე, სადაც მუდამ მავნოლია და პალმები ყვავის, ხუთასიოდე ვერსია, მაგრამ ყოველ ნაბიჯზე ისე იცვლება ბუნება, რომ ერთი აღვლილი მეორეზე უკეთესია, ერთი მეორესა სჯობს და პირველობა მაინც ვერც ერთისათვის ვერ მივინიჭებია. ასე ეს მხოლოდ საქართველოშია. თუმცა იმ ქვეყნების ბუნებაც მომეწონა და ხალხიცა და გულითაც დავლოცე ის ქვეყნები, მაგრამ საქართველო მაინც სხვაა. ამიტომაც ასე ველოლიავეზოდი და იქ სხვა ქვეყანაში მყოფს მუდამ მენატროდა სამშობლოს ხილვა.

თვალი თვალს დაშორდება და გული გადასხვაფერდება — უთქვამთ ჩვენს წინაპრებს. მე საქართველოდან შორს ვიყავი, მაგრამ მუდამ თვალწინ მესახტა ხატება მისი. საქართველოს ისეთი დიდი და ბრიალა თვალეები აქვს, რომ მისი მზერა ყველგან მწვდებოდა და მის სხივოსნობას იქიდანაც ველაციცებოდი.

ჰო, დამილოცნია ჩვენი საქართველო! ბებერის ლოცვა მას შეერგება, რადგან მე მისთვის არაფერი მენანებოდა და არც დამიშურებია რამე! დამილოცნია, დამილოცნია საქართველოს მთა და ბარი, საქართველოს ცა და მიწა. საქართველოს სილამაზე მწვეავს და მათბობს, მათბობს და აცოცხლებს ჩემს ბებერ ძელებსა. ვაი, როგორ მენანება ასეთი სილამაზის დატოვება! ამ წუთისოფელში ყველაფერს დასასრული აქვს და აბა მე ვინ დამტოვებს სამუდამოდ ამ ქვეყანაზე? ალბათ, მეც სულ მალე მეტყვის, მშვიდობითო ჩემი საქართველო. ძნელია, ძნელია ამის წარმოდგენა, მაგრამ, რომ ვიცოდე ის ქვეყანა, საითაც ჩემი საქართველო გამისტუმრებს, ისეთივე ლამაზი იქნება, როგორიც ჩემი ქვეყანაა, მე მაშინაც გოდებთ შევხვდებოდი სიკვდილს, რადგან ვიცი, რომ ჩემი ბებერი ძელები სხვაგან ვერსად ვერ გაიხარებს. ამიტომაც ასე მეშინია სიკვდილისა. მე გორდიდან სიკვდილისაგან დაშინებული, მთებისაგან

შეშინებული გამოვიქციე, ახლა ბედი ჩემი ზღვას მივანდე და ამ წერტილს აქედან გწერ. ასე მგონია, სანამ შენ მეგობრები, შენი გახსენება და ჩვენი ყმაწვილქალობის მოგონება გაჰფანტავს უკუნეთს. ჩემო ელენე, ჩვენ ორი დავრჩით ახლა იმ ქალებიდან, რომელთა ბედი ასე იყო ურთიერთგადანასკველი და მოგონება იმ დღეებისა ისევე მიახლებს ახალგაზრდობას. ამიტომ ვერ ვისვენებ, ყოველდღე ბარათს გწერ შენ, ახლა ამ ქვეყნად დარჩენილ ერთადერთ ჩემს მეგობარს და, ღმერთსა ვთხოვ შენს მშვიდობასა.

შენი ეკატერინე“.

„ნ სექტემბერი.

ხომ გახსოვს ჩვენი ანაკლია, ელენე ჩემო. მე ახლაც თვალწინ მიდგას ის დღეები, შენ რომ ზუგდიდს გვეწვიე ქუთაისიდან ჩემი ნინოთი. მერე ჩვეც ანაკლიაში წამოვედით. მაშინაც სამნი ვისხედით, შენ, ნინო და მე. ჰაუ, რა ბედნიერი დღე იყო მაშინ! ახლა კი მე სულ მარტო ვარ, სულ მარტო. თუმცა შვილები და შვილიშვილები თავს მახევიან, მაინც საშინელ მარტოობას განვიცდი და შენ მინდა მოგაწვდინო ჩემი ხმა და ფიქრი. ვიცი, რომ მარტო შენ გაიგებ ზრახვებს ჩემის სულისას.

ვზივარ ახლა აქ, ზღვის პირას. ხელა, სულ ხელა ეთამაშება ტალღები ნაპირს. ზღვა ანკარაა, ჩვენი ტეხურის ფერი, ლურჯად მოლივლივე. ზღვა მტრედისფერია და არ მესმის, შავი ზღვა რატომ დაურქმევიათ. არც ფერი აქვს შავი და არც დიდად ავია, რომ სიავის გამო დაერქმევინათ შავი. ალბათ, ჩვენს ძელებს სხვა სახელი ჰქონდათ მისთვის დარქმეული. მე მგონია, რომელიღაც უცხოელმა შეარქვა მას სახელად შავი ზღვა, რადგან შორიდან შეხედა, ახლოს კი არ უნახავს, გულით არ უტარებია, მკლივებით არ უნარჩარებია მისი ტალღები! მი მას მტრედის ზღვას შევარქმევდი, რადგან მტრედისფერია და, როცა წყნარად სთვლემს, მტრედით ღუღუნებს ან მტრედის ფრთებივით შრიალებს.

ზოლო როცა დედას, ფაფარაყრილი ლომივით ღრიალებს. მისი ღრიალი აშინებს ყველას. მე კი მაშინაც მიყვარს, როცა დედას. მისი დედა მის ძლიერებასა და შემართებას გვაძენობს, მისი სიცოცხლისუნარიანობას გვიმტკიცებს და ყველა ადამიანსაც ხომ ის იტაცებს, რაც ძლიერია და ღონიერი, დაუდგრომელი და შეუპოვარი. გახსოვს, ელენე, ჩვენ მამაკაცებშიაც იმათ ვარჩევდით, ვინც უფრო მშფოთვარე და ძლიერი იყო. მამაკაცი, რომელსაც აღელვება და აფეთქება არ შეეძლო, მამაკაცი, რომელიც ყველაფერს გულგრილად უცქეროდა, ჭირივით გვძულდა.

მამაკაცი ზღვასავით დაუდგარი უნდა იყოს, ზღვასავით შემართული და ყალყზე შემდგარი. ხომ ასეა, ელენე, არა? ჩვენ ხომ ასეთი მამაკაცები გვიყვარდა. არა? ახლაც ზღვა არის ჩემი იდეალი, ზღვასავით მსურს ვიყო დაუდგარი და მუდამ ბობოქარი, მაგრამ ვაი, რომ ძალღონე არ მომდევს!

შენ მწერ, გული რათ გაგტეხიაო, მე ხომ შენზე უფროსი ვარ და ასეთი შავი ფიქრები არ მერევიაო. ჩვენს ასაკში, ელენე, თურმე ქალი იმდენი წლისაა, რამდენისაც მოჩანს. მე კი ეს ხუთი წელია ისე მოვტყდი და დაბერდი, რომ ოთხმოცი წლის ბებერსა ვგვევარ.

ო, რა ძნელი ყოფილა სიბერე! ეს ოხერი გული მაინც ბერდებოდეს კაცი-სა! გუშინწინ ექიმმა გამსინჯა და მითხრა ოთხმოცი წლის ბებრის გული გაქვსო. მე არაფერი ვუპასუხე. აბა, როგორ გავაგებინო ექიმს, რომ გული კი არა მაქვს დაბერებული, არამედ ჩემი სხეული დაუძლურდა და დაბერდა. ამიტომაც ისევ ძველებურად, ჩვენებურად მიმიწევს გული ახალგაზრდობისაგან და შენც, ჩემო ელენე, ისევ ახალგაზრდა წარმომიდგენინარ. ასე მგონია, ისევ ის თვალციმციმა, ცქრილა გოგონა ხარ, ყველას რომ ატყვევებდი, ყველას რომ აჯადოებდი და ჩვენ ერთმანეთს იმაში ვეჭიბრებოდით, თუ ვის უფრო მეტ საალერსო სიტყვას გვეტყოდნენ მამაკაცები.

კო, რა დიდებული დღეები იყო მაშინ! ახლა კი სულ სხვაა.

მომიკითხე შენები, დაშვილები შენი შვილიშვილები.

შენი ეკატერინე.

„9 სექტემბერი.

ვერა და ვერა, ვერ მოვიშორე, ელენე ჩემო, თავიდან აკვიტებული ფიქრები. ო, რა ძნელი ყოფილა ეს ოხერი სიბერე! სიბერემ წამომიჭროლა და დამაჩოქა, ქედი მომანრევინა და სევდით ამაგსო. ჩვენებურად, ლოცვა ჰგონიათ, როცა ეტყვიან ერთმანეთს კეთილად შეაბერდითო. დაბერება იგივე სიკვდილია, ზეზეური სიკვდილი. ბებერი არავის უნდა, არავის სჭირდება. მე ახლა ზღვის პირას ვზივარ თბილად შეფუთვნილი. ჩემს გვერდით ჩოხა-ახალუბში გამოწკიპული გვანჯი დადიანი დგას, ძველ ამბებს მიყვება და მით მართობს. სხვები ყველანი, ტანგახდილნი, თევზებით ყრიან ზღვის ნაპირას, ქვიშაზე-ზოგნი, შავ ზღვაში შეცურებულნი, ტყარცალით იკლებენ აქაურობას. ზღვაა ამ ახალგაზრდობის ბურთი და მოედანი. ახალგაზრდობა ვერ ძღება ზღვით, ზღვა კი დაუღვევია და დაუღვეველი. ახლა ჩემს გვერდით ნიკოს ბიჭი ჭყუმბალაობს ზღვაში, ჩემი პატარა შვილიშვილი. დედა უჯავრდება და ის მაინც ზღვისკენ მიიწევს, საიდუმლოებით ამოუწურავი მისი სივრცე იტაცებს.

სიცოცხლე დგას ირგვლივ. ზღვა, ზღვა ეძახის ყველას. მე კი მარტო მაყურებელი ვარ ამ ადუღებულ სიცოცხლისა, ამ მღელვარე სიცოცხლისაგან განზე გამდგარი მაყურებელი და მოგონებით, მხოლოდ მოგონებით ვირთობ თავს. ელენე, ჩვენც ხომ ვიყავით მათსავით ახალგაზრდები, სიცოცხლეს, ბედნიერებას მათსავით დაწაფებულნი! ო, რა ცუდია სიტყვები: „ჩვენც ვიყავით!“ რაც იმას ნიშნავს, რომ ახლა ის აღარა ვართ, რაც ვიყავით.

ღიახ, მეც ვიყავი ახალგაზრდა, მეც ვიყავი მიჯნური. მე დედოფალიც ვიყავი, ქვეყნის მმართველი. ახლა? ახლა

ადარე დედოფალი ვარ და ადარე ახალგაზრდა, არც მიჯნური ვარ და არც ქვეყნის საქმე შეეხება! დიან, ვიყავი და ახლა აღარა ვარ! რაც უფრო უკვირდება ამას, მით უფრო მიკვდება გული, მით უფრო გაგიჟებამდე მწვანია ისევ ვიყო მიჯნური... და აქ დავსვამდი მე წერტილს. არც დედოფლობას ვინატრებდი და არც დიდკაცობას, ოღონდ ისევ მომინდოს ნიჭი ახალგაზრდობისა, ისევ აღდგეს ნიჭი მიჯნურობისა...

ჰოი, შენ წარსულო და მუდამ გულისტყვილით მოსაგონარო ახალგაზრდობე! შენი ფასი არაფერი ყოფილა ქვეყანაზე! ცხოვრება იქ არის, სადაც ახალგაზრდობაა. ახალგაზრდობა და ცხოვრება ერთი ყოფილა, ერთი რანდით გარანდული. დიან, გულახდილად გეტყვი, ჩემო ელენე, მე ხანდისხან ისე შეჩვენება, თითქოს მშურს ამ ახალგაზრდობის ბედი. ჰო, იქნებ, მართლაც შურს მოხუცს ახალგაზრდისა, როცა ის წუწუნებს და უსწორებს ახალგაზრდას ყველაფერს ძველის სახელით, იქნებ ამით ქიშპობას უცხადებს. ქიშპობას თუ მტრობას, ჰა? მიპასუხე, ჩემო კეთილო!

შენ ასეთი გრძობები არ გეუფლება, ჩემო მეგობარო? მე კი, როცა გავიფიქრებ, რომ ეს ყველაფერი შურით მომდის, ჩემი თავი შემეზიზნება ხოლმე, მაგრამ, მგონი, ეს ასეა საერთოდ. ახლა ჩემს გარშემო ეს მოფუსფუსე ახალგაზრდობა ხარობს, ხმაურით აყრუებს აქაურობას. ეჯიბრებიან ერთმანეთს ცურვაში, ყვინთვაში, ზემოდან ტომამში. ვაეები და ქალები ერთმანეთს თვალბში შესცივინებენ, კამათობენ, დაობენ, რაღაცას ეძებენ, ეტრფიან გამხელილად და მალულად! ხშირად ერთ ქალიშვილს ორი და სამი ვაჟი უყვარს ერთდროულად, ან პირიქით, ერთი ვაჟი ორსა და სამ ქალიშვილს ეპოტინება, და არის ერთი შეჯიბრება, მიწვევ-მოწვევა და შეცილება.

მე ახლა არც არავინ შეცილება და არც არავინ ვეცილები. მე ახლა შეცილება არაფერში არ შემიძლია, გარდა

სიკვდილისა. და აბა სიკვდილზე ვის იპოვნი შემცილებელსა და მტრულს! ასეთი შავი ფიქრებით შემეპოტინებდა მე გვანჯი დადიანი მანუგეშებს. მაგრამ მე შევატყე ამ ჩემი ხნის კაცს, რომ, როცა მე მელაპარაკება, თვალები ისევ ახალგაზრდებისაკენ გაუბრძის. მე მისი მზერა სწორედ მაშინ დავიჭირე, როცა ის დაეინებით მიამიძვირდა ერთ ახალგაზრდა ქალიშვილს. ვერ მოვითმინე და პირდაპირ მივანახლე: არა გრცხვენიათ, ბატონო გვანჯი, როგორ გეკადრებათ ასეთი ჩაცმებული მზერა, ისინი შეილება შეგვეყვრიან მეტეი. იბტიბარწამხდარმა დადიანმა ასე მიპასუხა: დედოფალო, გული კაცისა ოხერი ყოფილა, გულის კარნახით თვალები განზე გამიბრძის, თორემ რა საკადრისია ჩემისთანა ბებრუხანასათვის თავი გაუყადროს ამ ძუძუმწოვრებსო. ეს რომ თქვა, კისერი ისევ იმ ახალგაზრდებისაკენ მიიგრება და უცხად გიყვივით გადიხარხარა. ამ ხარხარში ცრემლი და სინანული შევნიშნე.

დიან, ჩვენ მივტირით ჩვენს დაქარგულ ახალგაზრდობას, ჩვენს გარდასულ ბედნიერ დღეებს. და ვტირით ჩუმიად და სხვის დაუნახავად, ხშირად კი ისე საჯაროდაც, როგორც გვანჯი დადიანი. ვაი, რა უსამართლოა ეს წუთისოფელი! მგონი, თავი მოგაბეზრე, ელენე, ჩემი ბებრული ბუნდუნითა, მაგრამ, ასე განსაჯე, ახლა ისეთ გუნებაზე ვარ, ეს წერილი რომ არ მომეწერა, ალბათ, დარდისაგან გული გამისკდებოდა. მომიტევე, თუ გული გატყინო, ჩემო დაო...

შენი ეკატერინე დადიანი“.

„16 სექტემბერი.

ჩემო ელენე, მე ისევ ანაკლიაში ვარ. ვზივარ ისევ სულ მარტო და ვხედავ, რომ არავის ვჭირდები. თვით ეს გვანჯი დადიანიც თავაზიანობის გამო მომინახულებს ხოლმე, თორემ სხვა მხრივ თვალები და გული იმ ახალგაზრდებისაკენ გაუბრძის. დადიანმა იცის, რომ მე მას ვერ მივანიჭებ იმ სიამოვნებას, რომელსაც ახალგაზრდობაში შორიდან ხე-

დავს და ჰერეტს. ვერ მივიანიქვებ და ამიტომ გაურბის თვალეზი, როგორც თვითონ ამბობს ხოლმე. თვალი სვამს და თვალი სვამსო, ხომ გაგიგონია, ჩემო ელენე. ბრძნული ნათქვამია. ცხოვრება და ბედნიერება, სილამაზე და ხალისი იქ არის, ახალგაზრდობაში.

გვანჯი მე თავაზიანობით არ მტოვებს, თორემ თავის გამოუტნობ სულის წადილს იქ ეძებს, ახალგაზრდობაში, ჩემთან ვერ პოულობს იმას, რასაც იგი ეძებს, ისევე, როგორც მე ვერ ვპოულობ მასთან ჩემს დაკარგულ ახალგაზრდობას. ეს ორივემ ვიცით და ერთმანეთს მაინც ვატყუებთ ჩვენი თავაზიანობით. ასევე თავაზიანობით მოვლენ ხოლმე ის ახალგაზრდები, მომიკითხავენ, თავს დამიკრავენ და, ერთი სული აქვთ, სანამ გამეტყუებინან. მერე გარბიან და ახალგაზრდობაში, სიცოცხლეში გადაეშვებიან. განა, ელენე, ჩვენც ასე არ ვიქცეოდით? გახსოვს, როგორ გვაზებებდნენ თავს თავიანთი ბებრული ბუზღუნით ჩვენი უფროსები, როგორ გავუბრბოდით ჩვენც ყოველივე ამას და ჩვენ ჩვენს ტოლებში ვეძებდით და ვეწაფებოდით ცხოვრების სიტყვოს! დიახ, ვიცი, ეს ყოველივე და ამიტომ უფრო მალიზიანებს ჩემი ეს მდგომარეობა. უფრო და უფრო მინდა დაუბრუნდე ახალგაზრდობას. ეჰ, ღმერთო ჩემო, თურმე გაუშაძლარი და აუვსებელი ყოფილა ადამიანი.

შენი ეკატერინე დადიანი“.

..23 სექტემბერი.

ჩემო ელენე. ვერ წარმოიდგენ, ისე ცუდადა ვარ. ახლა თავის ტკივილებიც დამემატა და მეტ ღროს ვწევარ. მე, ეკატერინე დადიანი, რომელსაც ცხოვრების ბედნიერების ფილა გამომიტლია და სიმწარეც ბევრი მინახავს, ის, რაც მიცხოვრია, ერთი დღე მგონია. ვწუხვარ და მოვთქვამ სიკვდილის წინ. ახალგაზრდობით გაუშაძლარი ვარ. გულს მიკლავს, რომ ასე დაეჩაჩანაკდი და არც არავის ვპირდები, არც არავის მეძებს.

ადამიანი ძალზე არ უნდა დაბერდეს. უმჯობესია იმ ასაკში მოკვდნეს, როდესაც იგი სჭირდებათ, როცა მასს წერა კიდევ შეუძლია ბევრ სხვას გაეჯიბროს და შეეცილოს, როცა ჰყვავის და იფურჩქნება, მაშინ სიკვდილსაც სიკვდილი ჰქვია და ბევრსაც დასწყვეტს გულს და დაიტირებენ კიდევ. დაიტირებენ იმ დაკარგული სიამოვნების გამო, რომლის მინიჭება საზოგადოებისათვის მას ვერ კიდევ შეუძლო. პიროვნებას ხომ მხოლოდ იმ სიამოვნების გამო სცემენ თავყვანს, რომელსაც იგი საზოგადოებას ანიჭებს, იმის გამო, რითაც იგი ეხმარება ნათესაეებს და მეგობრებს. ბებერს აღარა აქვს ამ სიამოვნების მინიჭების ნიჭი, რა გინდ კარგი მსახიობიც არ უნდა იყოს და რაც არ უნდა ეცადოს ასე მოაჩვენოს თავი. ამიტომ, სიბერეში სიკვდილი ორმაგი სიკვდილია. ბებრის სიკვდილი არავის გაუკვირდება, ასე იტყვიან, დრო იყოო მისი სიკვდილისა და მოკვდაო. საშინელებაა, როცა ასე კვდები, როცა არავისა სტყენს გულს შენი სიკვდილი და არც არავინ გიგლოვებს დიდხანს.

მაგრამ, ელენე ჩემო, კაცის ცხოვრება ხომ ისედაც ხანმოკლეა და, რომ უფრო ახალგაზრდა მოკვდეს, მაშინ ვინლა ააშენოს ეს ქვეყანა და რადგან კაცნი გვქვიათ, შვილნი ამ წუთისოფლისა, ჩვენი ვალია მივსდიოთ მას და უფრო მეტი ვაკეთოთ, რომ ჩვენი სახელი შთამომავლობას დარჩეს; ვინც ადრე კვდება, ის ცოტას აკეთებს. ვინც დიდხანს ცოცხლობს, ბევრს შესძლებს. რაც მეტს ვაკეთებ, მით უკეთესია ქვეყნისათვის. ჩვენ ჩვენი შვილებისათვის, ჩვენი შვილიშვილებისათვის, საზოგადოებისათვის ვცხოვრობთ. ყველაფერს მათთვის ვაკეთებთ. ამიტომ, შენ მართალი ხარ, მართალს იწერები, ჩვენც ხომ ერთ ღროს ბევრი მოტრფიალენი გვყავდაო, ჩვენც ხომ ბევრს ვაკეთებდით ჩვენი საზოგადოებისათვის, ჩვენც ხომ შემოგვნატროდნენო. დიახ, მართალია, ყოველივე ეს ასე იყო, შენც კარგად იცი, ჩემო ელენე, რომ ზაფხულს ზამთარი

შესცვლის, ზამთარს — ისევ ზაფხული. ზაფხულისა და გაზაფხულის შრომას, მის ნაყოფს შემოდგომაზე ითვლიან ხოლმე. ასევეა ადამიანების ბედიც. ჩვენს შრომასაც დაითვლიან, ჩვენს გარჯასაც შეაფასებენ, და მე ჩემი მსაჯულის წინაშე არ შევკრთები, რა გინდ მკაცრიც არ უნდა იყოს იგი. ვიცი, რომ მე მუდმივ ზამთარში გადავალ. ჩემი გაზაფხული ჩემი შვილები და შვილიშვილების ცხოვრება იქნება. მე მწამს, რომ ჩემი შვილები და შვილიშვილები დამიკვიდრებენ თავიანთ გულში სამუდამო ხსოვნასა და უკვდავებას, მაგრამ მე ისიც ვიცი, რომ შთამომავლობა ჩემს შეფასებას დაიწყებს. ყველაფერს, რაც მე თავგანწირვით ჩამიდენია, ზღაბრად ჩასთვლიან და ზოგ ისეთ რამეს მომაწერენ, რაც არც კი დამსიზმრებია.

ღრო გამქურდავს, მაგრამ ჩემი სახელის წაშლას ვერ შესძლებს, და სიკვდილის შემდეგ ჩემი ხატება ჩემი შთამომავლობისა და ჩემი მეგობრების გულში იცოცხლებს. ალბათ, ისინიც თავიანთ შვილებსა და შვილიშვილებს გადასცემენ ჩემს სახელსა და საქმეს. და მე, ვით ლეგენდა, ხალხში გადავალ, ჩემს ხალხში ვიცოცხლებ, ვიცხოვრებ. ალბათ, ზოგნი ჩემს სილამაზეს მოიგონებენ, ზოგი ჩემს სიმამაცესაც არ დაივიწყებს, არც იმას ჩამითვლიან დანაშაულად, რომ ჩვენ, ჩემო ელენე, მიჯნურობის ტრფილნი ვიყავით.

არ დაგიმალავ და იმასაც გეტყვი, რომ ზოგი რამ შეიძლება არც მამატიონ. იმასაც გაიხსენებენ, რომ ცოტათი მკაცრი ვიყავი ზელქვეითების მიმართ. მაგრამ მე მწამდა შიში შეიქმს სიყვარულსაო. თუმცა მე არც იმას ვივიწყებდი, რომ რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია, სიყვარულის ხარჯვაში არასოდეს ვყოფილვარ ძუნწი, მაგრამ ვიცი, რომ ბევრ რამეს ცუდსაც მომაწერენ. ახლაც ხომ წერენ ჩემზე; მკაცრი იყო, დაუნდობელი, ხელისუფლების მოყვარული, პირადი განდიდების მძიებელი, ავი დედოფალი... ალბათ, ჩემი სიკვდილის შემდეგ უფრო მეტსაც იტყვიან.

მე მინდა შენც იცოდე, ჩემო ელენე, რომ დაუნდობელი და მკაცრი მტრების მიმართ ვიყავი, ბოროტებათა მოყვარული ჩამიდენია. ჩემი ბრძანებით არცერთი კაცი სიკვდილით არ დაუსჯიათ, თუმცა ბევრი მყავდა მტერიცა და დედოფლობაში მოცილევ. დიახ, ერთი კაციც არ გამიმეტებია სასიკვდილოდ, როცა სხვები ათასობით ხოცავდნენ თავიანთ მოსმეებს. მე არასოდეს მიღალატნია ჩემი ქვეყნისათვის, ჩემი ხალხისათვის. არც ძალა დამიზოგავს მისთვის, არც ღონე, არც ნიჭი და არც მონღოშობა. ქალს კი არა, ვაეკაცს არ შეეძლო ისე გამკლავებოდა ყოველმხრიდან შემოსეულ მტრებს, როგორც მე ვუმკლავდებოდი. არავისა აქვს უფლება აუგად მომიხსენიოს. დიახ, ელენე, ასე მგონია, რა გინდ მკაცრიც არ უნდა იყოს ჩემი განმსჯელი, იგი ვერ წაშლის ჩემი ხალხის ისტორიაში ჩემს ამაგს. მე მწამს, რომ ეს ასე იქნება.

ეგებ ვცდები, ჩემო ელენე, ეგებ ვაზვიადებ ჩემს დამსახურებას? შენ ყველაზე კარგად იცი ჩემი ცხოვრება. ამიტომაც შენ გწერ ამ ჩემი სულის აღსარებას და ვთხოვ სამართლიანი იყო და მაცნობო შენი აზრი.

შენი ბარათი მივიღე. მადლობა გახსენებისათვის და კეთილი სურვილისათვის. სიკეთე და ბედნიერება ნუ მოგაკლოს უფალმა.

შენი ეკატერინე.

„27 სექტემბერი.“

ჩემო სასურველო დაო ელენე. შენი წერილი მივიღე. სამჯერ წავიკითხე და კიდევ მინდა მისი წაკითხვა. ო, რა კეთილი ხარ, ჩემო ელენე! მე ვიცოდი შენი გულის ამბავი, მაგრამ არ მეგონა თუ ასე მიიტანდი გულთან ჩემს ახლანდელ მდგომარეობას. შენ მწერ და მანუგეშებ, სანამ საქართველოში ყურძენს დასწურავენ და კაცის სამადლობელ სიტყვას იტყვიან, ჩვენ მუდამ მოგვიგონებენო... განსაკუთრებით შენ მოგვიგონებენო, მეუბნები. ალბათ, ცოტას აქარბებ ჩემს შეფასებაში. მაგრამ, მე

დიდად შეამა ეს ქება და, მართლაც, დავიჯერე, რომ მომიგონებენ.

დიან, მომიგონებენ, ვემახსოვრები ჩემს მეგობრებს, ნათესაებს. შენ მაინც არ დამივიწყებ, ჩემო ელენე, შენ მაინც იტყვი ჩემზე სიმათლეს. შენ, ჩემი შვილები და შვილიშვილები არ დამვიწყებთ, და მე ბედნიერებად ესეც მეთყობა...

შემდეგ... შემდეგ მოვა სხვა თაობა, რომელსაც ჩემი პირადი ნაცნობობა არ ექნებათ. შენ ხომ იცი, ელენე, რომ ახლა გამოვარკვიე, თურმე აღამიანებს მარტო მამა და პაპა ახსოვთ, იმის უწინდელი კი მათთვის ყველაფერი უცნობია, თუ ვინმემ არ გამოიძია, არ გამოიკითხა. მე რატომღაც მჯერა, რომ ჩემს გამოძიებასაც დაიწყებენ, ჩემს წერილებსა და სურათებსაც მოიკითხავენ, ჩემს შვილებსა და შვილიშვილებსაც მოათხოვნიან ჩემს თავგადასავალს, რაც ახსოვთ და რაც არ ახსოვთ, ათქმევინებენ. ჩემს ნაცნობებს და მეგობრებსაც გამოიძიებენ, იმასაც გამოიძიებენ, როგორი ვიყავი პირად ცხოვრებაში და რა გამოცემები ჩემი ქვეყნისათვის. და თუ მოახერხებენ, რომ ყველაფერი ეს სიმათლით აღადგინონ, მე არაფერი შემრცხვება მომავალი თაობის წინაშე. მე ახლა ამ იმედებით ვცხოვრობ და ვსულღამულობ. და ასე ამყადაც ვწერ ამ ბარათს, შენი წერილით გამხნეებულნი.

შენი ეკატერინე“.

ეკატერინემ ბარათი დაასრულა და ხელიც მოაწერა, მაგრამ უცბად თავში სულ სხვა აზრები მოუვიდა და ისევ განაგრძო წერა:

„პო, ახლა სულ სხვა აზრები მომივიდა, იმის საწინააღმდეგო აზრები, რაც ზემოთ მოგწერე. იქნებ, არც გავახსენდე ვისმე ჩემი სიკვდილის შემდეგ. ეგებ სიკვდილმა უშალ წაშალოს ჩემი სახელიცა და ჩემი საქმენიც! აი რა მაშინებთ ყველაზე უფრო: სიბერეში სიკვდილი და სიკვდილის შემდეგ სახელის წაშლა.

ვზივარ ისევ ანაკლიის პირას და

ზღვას ვაცქერდები. ზღვა სულ ნელა ირხვეა და თვინიერად ფშვინავს, ახლა ზღვაურმა წამოაუარა და მისი ზედაპირი ლურჯმა ტალღებმა დაწინწკლეს. ნიავისაგან აგორებული ტალღები, თვალზე გადაბრუნებული ხარები თუ გინახავს, იმას წააგავს. ლურჯ ფონზე ეს გადატრიალებული ტალღები თეთრად მოჩანს. ვზივარ, ვუყურებ ასეთ საოცარ სახეცვლას ზღვისას და ისევ ის აზრი მიტრიალებს: რათ არ შეიძლება აღამიანების ასეთი ფერისცვლება! რა იქნება, სიბერეს რომ ისევ ახალგაზრდობა მოსდევდეს! პოი, მაშინ მე სულ სხვანაირად ვიცხოვრებდი. მე ხომ ყველაზე კარგად ვიცი ჩემი შეცდომები და პირველი მე თვითონ გამოვანწორებდი ჩემს შეცდომებს, ჩემს ქვეყანასაც მეტად გამოვადგებოდი და ჩემს მამულსაც. მაგრამ ყველაფერი ეს ამოფიქრია...

ვზივარ, ვფიქრობ და ფიქრს დასასრული არ უჩანს. უცბად ტანი ერთბაშად ამებურძგნა, თითქოს ჭიანჭველები შემომესია. წამოვდექი, ეს ბარათი განზე გადავდევი და მომინდა, გავიყებოთ მომინდა ტანს გამეხადა და ზღვაში შევცურებულოყავი, შორს გამეცურა, ტალღათა ჭილილში დამემტკიცებინა, რომ მე ისევ ისა ვარ, რაც ვიყავი. უცბად, მართლაც, წინდები გავიხადე და ფეხი ცხელ ქვიშაზე დავდგი, დავდგი და თითქოს ცხელი ქვიშის სითბო ტანში გადამოიღვრა. ჩემს სხეულში ახალგაზრდობის სისხლი ამიანდა, ჭავჭავაძეთა სისხლი. ვძლიე ავადმყოფ სხეულს და ერთბაშად ზღვასთან გავჩნდი, კაბა ავიკაიწე და წყალში შევდგი ფეხი. ზღვა მუხლებამდე მომწვდა და სიამისაგან გავინაბე. თვლები დავხუტე და ზღვაში უფრო ღრმად შესვლა დავიწყე. ხომ იცი, ანაკლიაში ზღვის ნაპირი ისეთი კარგია, რომ ერთი კილომეტრი რომ გაიარო, ზღვა მუხლებს არ ასცილდება. და მეც მივებობ ზღვას და რაღაც უჩვეულო სიხარული შემიღდა ტანში. არ ვიცი რით გათავდებოდა ჩემი ეგზომ აღტყინება, უცებ გვანჯი დადიანს რომ არ მოეკიდა ხელი და ნაპირზე არ გამო-

ვეყვანე. ახლა ისევ ზღვის ნაპირას ვსხედვართ მე და გვანჯი და ისევ ძველ ამბებს ვიგონებთ.

გახსოვს? — მეუბნება გვანჯი დადიანი და იგონებს, როგორ გავრეკეთ თურქები სამეგრელოდან. იგი ქება-დიდებას მიძღვნის. შენისთანა მამაცი ქალი ომში კი არა, ლბინშიაც არ შემხვედრიაო. მე შეამება მისი ქება და სულგატრუნული ვუსმენ. მერე მე თვითონ ვაქებ გვანჯი დადიანს, როგორც უებრო ცხენოსანსა და უშიშარ მხედარს... ახლა გვანჯი მისი მადლობას და ასე „გახსოვს“ და „მახსოვს“ იწილო-ბიწილოთი ვირთობთ თავს მოგონებით, ძველის მოგონებით ვცხოვრობთ, დღევანდელ დღეზე ვდღეშვართ, ზვალინდელს შიშით შევყურებთ...

ვაი, რა ადრე დასრულდა ყოველივე და მაინც არ ვემდური ბედს. ერთი კაცის პირობაზე მეც შემძლია ვთქვა, რომ ცუდად არ მიცხოვრია, წინაპართა სახელი არ შემობლაღავს, დიდება და პატივი არ დამიკლია ჩემი შვილებისა და ჩემი მამულისათვის, თავგამოდებით მიშრომია და თავშეწირვით მიომია. ერთ კაცს ხომ ამაზე მეტი არც მოეთხოვება, არა, ჩემო ელუნე?

მშვიდობით, ჩემო სასურველო დაო. მშვიდობა ნუ მოაკლდეს შენს საქმესა და შენს სახელს.

შენი ეკატერინე დადიანი“.

მინაწერი: „წერილი დიდი გამოძივიდა, დაო, და მე თვით არ ვიცი, რათ ავტყდი ასე. თუ რამ ზედმეტი ნახო ამ ბარათში, ისიც მაპატიე, როგორც ბევრჯერ გიპატიებია ხოლმე“.

ავტორის მინაწერი: ბევრგან ვხხრივე და ვეძიე ეკატერინეს წერილები, და რაც რამ ვიპოვენე მუზეუმებსა და ბიბლიოთეკებში, ზელნაწერებსა და მემუარებში, — ყველაფერი გამოვიყენე ამ წიგნში, ხოლო რაც ვერ ვიპოვენე, ის ფანტაზიით შევავსე. ანაკლიიდან მოწყრილი ეს წერილებიც (ისე, როგორც ბევრი სხვა) ჩემი ფანტაზიის ნაყოფია

და თუ რამ შეეცოდე, მაპატიოს ეკატერინეს ამრდილმა.
ანაკლიიდან ისევ გორდს ვეწერებ დედოფალი.

იმ წელს იონა მეუნარგია გრიგოლ დადიანის ცხოვრების აღწერას შეუდგა. ჯერ ის დაწერა, რაც გავგონა და იცოდა დადიანზე. გრიგოლ დადიანის ცხოვრების აღმწერელმა ასე დაიწყო:

„...კაცი, რომელიც ავირჩიე მე საგნად ამ ჩემი წერილისა, სამეგრელოს მთავრის, ლევან დადიანის ძე გრიგოლი, არ არის არც დიდი მწერალი, არც დიდი საზოგადო მოღვაწე, არც დიდი ისტორიული პირი, რომლის ბიოგრაფიას საზოგადოება წიგნთ-საცავებში კითხულობდეს, რომლის თავგადასავალი საჯარო მოთხოვნილებას შეადგენდეს, როგორც ჩვენი დროებისათვის, ისე მომავლისათვის. იმ ტანის კაცზე, როგორც არის გრიგოლ დადიანი, საზოგადოება ნამსახურებით სიას კითხულობს, სანამ ცოცხალია, და ნეკროლოგს, რა რომ მოკვდება. ბიოგრაფია ეკუთვნის მხოლოდ განსხვავებულ პირთ, რომელთაც განსაკუთრებული სამსახური გაუწიეს მამულს, მეცნიერებას, ხელოვნებას, მწერლობას.

ეს მე კარგად ვიცი და, თუ, მიუხედავად ამისა, მაინც განმიზრახავს პატივი ვსცე დადიანს მისი ცხოვრების აღწერით, ეს იმისათვის, რომ ვიღებ ჩემს თავზე კანდიერებას წარუდგინო მკითხველს ისეთი გვარი მწერლობისა, რომელშიც მთავარ მოქმედ პირად იქნება დადიანი — თვითონ თუნდ პატარა კაცი, მაგრამ, მაინც, ისტორიული პირი, ქმა და შვილი სამეგრელოს მთავართა, რომელსაც იყო დრო, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თავის სამშობლოში, და დღეს პქვს ინტერესი ძველ დროთა წარმომადგენელი კაცისა, და მერე თვით ეს ჩვენი ძველი დრო თავისი ჩვეულებითა, ზნეობით, საზოგადოების ცხოვრების წესწყობილებით. მწერლობით და სხვ.

ამგვარად დადიანი ღერძი იქნება ამ თხზულებებისა; მის პიროვნებას უნდა ვარს შემოეყრას ყველაფერი ის, რაც კი შეეხო იმის ცხოვრებას ამ თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში.

თუ ეს განზრახვა ავსარულე, ეს ჩემი მცირე ნაწერი ბიოგრაფიაც იქნება დადიანისა და სამეგრელოს წარსული დროების მოკლე სურათიც, და ამით, იმედი მაქვს, დაიმსახურებს საზოგადოების ყურადღებას და ამ ჩემს შრომას უმაღლესად არ ჩამოტარებს.

დღეს და ზეალ კი არა, შორს ჩვენგან, ამ საუკუნის შემდეგ, როცა კაცი მოსიურვებს იმ პირთა გაცნობას, ვინც იყვნენ იმ დროს, როცა საქართველოს ერთ-ერთი სამთავრო, სამეგრელო, შეურთდა რუსეთს და ლევან დადიანის ტახტზე მოიდგა ფეხი მზრის მოხელეობამ, ცნობის მოყვარე კაცი გრიგოლ დადიანში იპოვის პირამოდებულ ნიმუშს ამ ძველი დროის საზოგადოებისას. უმკველია, იმაზე უფრო შესანიშნავი და ტიპური პირები იპოვებოდნენ ამ დროს სამეგრელოში, მაგრამ მე ამ კაცს მოვსწრებივარ და მსურს მისი სურათი არ მივსცე დავიწყებას.

ნეტავ ვისმე, ჩემსავით მოცლილ კაცს, აეწერა თამარის დროის კაცი, იმისი ტანისამოსი, ჩვეულება, ქცევა, ლაპარაკი და სხვ... რა დიდად დაავალებდა ის ჩვენს ისტორიას, რა გვარად დაასურათებდა ის ერთობ სიტყვაძვირ „ქართლის ცხოვრებას“...

მეორე დღეს იონა მეუწარგია ლეჩხუმში ესტუმრა გრიგოლ დადიანს და მთელი კვირა არ მოსცილდა, ვიდრე დაწვრილებით არ გამოჰკითხა ყოველივე, რაც აინტერესებდა მისი ცხოვრების აღმწერელს. კოლხიდელი მოთმინებით უსმენდა და უპასუხებდა. შინ რომ დაბრუნდა, მეუწარგამ კვლავ განაგრძო აღწერა დადიანის ცხოვრებისა:

„იმ დროს, როდესაც მე ვწერ ამ ცხოვრების აღწერას, დადიანი არის ერთადერთი ქართველი გენერალ-ადიუტანტი და უზუცესი მხედარი კავკასიის არმიისა, რომელსაც 66 წელი აფიცრად

უმსახურნია ხელმწიფისა და მამულისათვის.

ერკინეშვილი

დალესტინის ომის შემდეგ, როცა დადიანმა სამხედრო სამსახურს თავი გაანება და თბილისს დასახლდა. აქ ცხოვრობდა ის ათი-თორმეტი წელიწადი, სანამ არ გარდაიცვალა მისი მეუღლე ტერეზია გურიელის ასული. ამის შემდეგ იმან დაავდო საზოგადოება მუხრან-ბატონთა, ორბელიანთა, სუმბათიანთა, თარხნიანთა, ერისთავთა, ჭავჭავაძეთა, პლატონ იოსელიანისა, რომელთანაც იმას ჰქონდა დიდი განწყობილება, და გადმოსახლდა ქუთაისს, სადაც ის ატარებს წელიწადში შვიდ-რვა თვეს. დანარჩენ ხანს ის ცხოვრობს ლეჩხუმის მთებში, ბერი გელოვანისეულ სოფელ სურამუშში, რომელიც იმას ნაბოძები ჰქონდა მთავრის ლევან დადიანისაგან.

დადიანი დგას ახლა ბერად, მარტოდ მარტო, იმისათვის, გრიგოლ ორბელიანის თქმისა არ იყო, არც ცოლია, არც შვილი, არც ნათესავი, მისი ვეებერთელა, ორსართულიანი სახლი ბალახვანის ქუჩაზე მარტო მას და იმის ამაღას უჭირავს. მის ამაღას კი შეადგენენ: მეჯინებე კურაძეალი, მოლარე, ფარეში, დენშიკი, მზარეულთ-უზუცესი, მზარეული, კიდევ მზარეული, ბიჭი, კიდევ ბიჭი, კიდევ ერთი ბიჭი, მრეცხავი, კიდევ მრეცხავი, ერთიც შეკრავი (ტერეზიას ნათლული) და ერთიც მისი ხელზე მოსამსახურე, ერთგული აღდგომელა, ყველა ბიჭების ბატონი აღდგომელა, რომელზედაც თვით დიდმა მთავარმა ნიკოლოზ მიხეილის ძემ მოსწერა ერთხელ დადიანს დეპეშის ბოლოს: აღდგომელა მომიკითხო.

— შენი მტერია, მე რომ საქმე დამე-მართოს: პოლიმ რომ საქმელი არ გამოიკეთოს, დათიკომ ღვინო არ დამალე-ვინოს, დენშიკმა სამოვარი არ ამიდუ-ლოს, აღდგომელამ პირი არ დამაბანიოს და ტანთ არ ჩამაცვას, — ჩიჩია (გლახავი) ვიქნები, სამოწყალო და მეტი არაფერიო. — იტყვის ხანდახან დადიანი.



მისი ყოველდღიური ცხოვრების სურათი არ არის ინტერესსმოკლებული და მე ამიტომ წარმოვიდგენთ ამ სურათს ალექსანდრე ორბელიანის კილოზე.

მისი ღამის გამთენებელი (ფანჯრების გამღები) აღდგომელა შევიდა მასთან დილის შვიდ საათზე და გააღვიძა. დადიანი წამოდგა, ხალათი გაიხადა, ჩაიცვა, პირჯვარი გადაისახა, ნაწილიან ხატს, რომელიც მუდამ გულზე უკიდია, ემთხვია, და გამოვიდა დარბაზში, თუ აივანზე, საცა დათიკომ შოართვა ჩაიკურთხათ და რძით, ან ღვინით. ჯერ ჩაის არ შორჩომია, რომ აღდგომელამ დაუწყო წინ სიგარი, მუდმშტუკი, დანა, ასანთი, და დადიანი დაეწაფა მისს საყვარელ სიგარას.

სიგარის დროს იმას კაცი ნუ მიუჯარება. სიგარი მისი დილის დაუჯდომელია, მისი ფიქრებისა და ფანტაზიის ამშლელი, მისი მესაიდუმლე, მისი მეგობარი... გუშინ რაც მოხდა იმის გარშემო, სიგარმა და ამან ერთად უნდა განიკითხონ, დღეს რაც უნდა მოხდეს, ერთად უნდა არჩიონ. ერთხელ, როცა სამეგრელოს თავადაზნაურთა საქმეების გამო უნდა ვხლებოდი, მასთან ერთად ბარონ ნიკოლაისთან წასასვლელად, მე შევედი იმასთან დილა ადრინად.

— ბატონო, ბარონზე გადასწყვიტეთ რამე? — ვკითხე მე.

— ჯავრი ნუ გაქვს, მე სიგარი მოვსწიო, — მიპასუხა მან.

სიგარს მოყვება დილის ვაზეთების კითხვა, მერე აივანზე სეირნობა, თავისიანებთან ლაპარაკი და „ვიზიტები“, ჯერ უფრო დაახლოებული კაცებისა, შემტეს ნაწილად ძღვნიანებისა და მერე გარეშე პირთა ოფიციალური „ვიზიტები“, როგორც ამ „ვიზიტების“ დროს, ისე საზოგადოდ ყოველთვის თუ არ განსაკუთრებული შემთხვევის მიზეზით, როგორც მაგ., წვეულება ან ხელშეწყობის დღეობა, როდესაც პირადად იმასთან მიღის, ჩვეულებისამებრ, გენერალიტეტი, დადიანი უბრალო სამოქალაქო სერტუკში ზის შინ ვლადიმირის

ჯვარით ყელზე განუშორებლად. უბრალო, ძღვნიანი „ვიზიტები“ ერთი რამ ცერემონიაა. ჯერ შემოდის სწრაფ პატარა ბიჭი „ჟადნოსით“, რომელზედაც აწყვია: ყველი, ვაშლები, ზურჩხელი და სხვა ამგვარი სანოვავე. ამას მოსდევს მეორე ბიჭი ქათმით, ინდაურით, გოჭით, ანუ უფრო ხშირად მოხარშული ხბოთი, როცა მეძღვნე ლეჩხუმელია; მესამე ბიჭს მოყავს ცხვარი, მეოთხე მოეზიდება ღომის მარცვალს, მეხუთე კოცა ღვინოს, როცა მეძღვნე ლეჩხუმელია, და ტიკტორას, როცა ის იმერელია, ან მეგრელი. ბოლოს შემოდის თვითონ მეძღვნე, რომელიც მდაბლად თავყვანს სცემს დადიანს და კოცნის მის კალთას და ხელებს.

— ოჰ, აგაშენოს ღმერთმა, მაღლობელი ვარ! შინ როგორა ხართ, ან ბატონები როგორ არიან? — მიესალმება მასპინძელი მეძღვნეს და მერე: ჰე, თუ ჩემი სიყვარული გაქვთ, კარგად შემინახეთ. ამ კაცს აქამეთ რამე და უჩემოთ არ გაუშვათ.

„უჩემოდ არ გაუშვათ“ ნიშნავს საჩუქრის მიცემას.

ძღვნიანი ბიჭები რომ გალაგდება, დადიანი ერთხანს წიგნებს კითხულობს. ან ჭადრაკს ითამაშებს ან მორფის წიგნით ხელში და შემდეგ დაიწყება ისევე ვიზიტები.

— ბატონო, ვლადიმერ ჩიქვანი გეაბლათ!

— მობრძანდეს.

— ბატონო, ერთი ვილაც რუსი გეაბლათ, ბატონის ნახვა მინდაო.

— ვინ რუსია, რა უნდა ჩემთან? ხომ ხედავთ, დრო არა მაქვს. უთხარი სძინავს-თქვა.

დრო არა აქვს იმას, როცა მეტად შეაწუხებენ ან ფულის თხოვით, ან რეკომენდაციის თხოვით მთავრობასთან.

სტუმართან დადიანი თავაზიანია. თუ სტუმარი იმასთან დაახლოებული კაცია, ლაპარაკში სულ მუდამ გესმის დადიანის „კი-კი“, „მე ნუ მოგიკვდე“. „თუ ჩემი სიყვარული გაქვს“. თუ კოცა შორეულია და თან რუსი „Видна-

зите себе“ ჩვეულებრივის „მობრ-
ძანდით“ და „დაბრძანდით“-ს მაგიერ,
იმისაგან უფრო ზშირად „მოდი“ და
„დაჯექი“ გესმით. რაც უნდა იყოს, ის
მინც ჩამონათალია იმ დროების, რო-
ცა უბრალო კაცი ვერ ელაპარაკებოდა
დაუჭოქებლად მთავრის ოჯახის წევრს.
„თქვენი ჳირიმე“ იმის კარაბადინში
არ წერია. ჩვეულებრივს, დაბაბა-
ლურს ნაცვალსახელს „თქვენი“-ს ის
უმეტეს ნაწილად „შენზე“ სცვლის.

დუნდუკოვა, ლევან მელიქიშვილს,
გრიგოლ ორბელიანს, გაბრიელ ეპისკო-
პოსს ის „შენ“-ობით ელაპარაკებოდა,
როგორც ამ ნაცვალსახელით ის ემუსაი-
ფება შერემეტეის, ბარონ ბრიუგენს.

ვიზიტების დროს ერთი სიგარიც უნ-
და მოიწიოს. ეს არის სალაღობო სიგა-
რი, ჩვეულებრივად მომცრო ტანისა,
რომლის წევას მოჰყვება „ვეფხისტყაო-
სანი“ ან სხვა რამ წიგნი.

მერე მოდის საუზმე.

— არ ვიცი, რა გაქვს დღეს საუზმედ.
აბა, ერთი პოლი მომიხმეთ!

პოლი არის მისი მზარეული. გვარად
ბაქრაძე, რომელმაც თავისი ხელობა
ზეღმიწვევით კარგად იცის.

— პოლი, საუზმედ რას გვაქმევ?

— პირველად მოგართმევ, ბატონო.
კრავს, მარილწყალში მოხარშულს, ღო-
მით, მერე ქათამს ჩახობილს და სხვა
ამგვარად, ბოლოს ნამცხვარს ან კიდევ:

— პირველად მოგართმევ, ბატონო,
„უსტრიცას“..

— კარგი, მაშ მუორეს ნულარ იტყვი.
მე ოსტრიცას მეტს არას ვჭამ. სხვა რაც
იყოს, ნიკო ფაღავას მიართვით, მოუქ-
რიდა ლაპარაკს დადიანი.

12 საათი რომ შესრულდება, საუზმე
მზად არის ქვემო სართულში. მაგრამ
სანამ დაბლიდან მისი დათიკა არ ამოვა
და არ მოახსენებს „მზათ არის“, თვით
შერემეტევი რომ მოვიდეს, ისიც ვერ
დასძრავს იმას ადგილიდან.

საუზმეს და სადილს დადიანი იწყებს
და ათავებს, როგორც ნამდვილი ბაგრა-
ტიონი. იმით, რასაც ფრანცუზები უწო-

დებს fetic და ჩვენებურად შეიძლება
ითარგმონს ახირებულად ჩქოჩენულად.

მალიდან რომ ჩამოვხედავარ, მისი
ქუდდახურული (მოხუცი მხედარი, რო-
გორც განსვენებული ივანე მუხრან ბა-
ტიონი, სახლშიაც მომეტებულ ხანს ქუ-
დიანად ზის), ის მოუჯდება სუფრას ისე,
როგორც ჩამოვიდა, და მოიხდის ქუდს
ცოტა ხნის შემდეგ, როცა იგემებს პირ-
ველ ლუქმებს, მაგრამ ამ ქუდს იმას კა-
ცი ვერ ჩამოართმევს ის თვითონ უნდა
გადაისროლოს და ერთს პატარა სკამზე
შეაგდოს, რომელიც ჩვეულებრივად
მარჯვენა კედელთან დგას. თუ ვერ შე-
აგდო, სხვა ვერაფერს ვერ ახლებს ხელს
ძირს დავარდნილ ქუდს, ის თვითონ
უნდა წამოადგეს, აიღოს ქუდი, მივიდეს
ისევ თავის ალაგას და იქედან ხელახ-
ლა ესროლოს და შეაგდოს. ეს ქუდი
გადაგდება, როგორც ვეჭვობ, თერმო-
მეტრია მისთვის, მაჩვენებელი სიბერე-
სა. ნამდვილი მოხუცებული ის მაშინ
იქნება, როცა იმას დაეზარება ამ ქუდის
აღება-გადაგდება.

ქამის დროს უთუოდ სამ-ოთხგვარი
სხვადასხვა ღვინო უნდა იყოს მის სუფ-
რაზე და სხვათა შორის ერთი ბოთლი
დაბალი ღვინოც, რომელსაც „სახარ-
ჯოს“ ეძახდნენ მის სასახლეში. მისი
მეღვინეთუხუცესი სხვადასხვა სახე-
ლებს ეძახის ამ ღვინოებს.

— ეს რა ღვინოა, დათიკა?

— განია, ბატონო (განი ნიშნავდა გე-
ლოვანის ღვინოს).

— ეს?

— ჩინია, ბატონო (ჩინი იყო ჩიქვა-
ნის ღვინო).

საქმელებს მის სუფრაზე, კარგი მა-
დის გარდა, ზმები დახვდებოდა მზამზა-
რულად. კალმასს — ეკალმა ბიღზე
გადავიგდო, ხბოს — ოზ-ბოვში რა მექ-
ნა! ღომს — კამეჩის ღოღო მიყვარს.
ნესეს — გაიანე სვინტრს კრეფდა ბალ-
ში და სხვ.

სუფრაზე რომ დაჯდება, იმას რამდე-
ნიმე მოსამსახურე თავს ადგია, და მათ-
ში უთუოდ ერთი პატარა ბავშვია, რო-

მელიც იმან უნდა მოიკითხოს თავის კერძიდან.

როცა ის დაუძახებს ან სერიოზულს, ან მელიტროშკას და ესენი მიცუნცულდებიან მასთან, დადიანი აიღებს ხელში ან ბალს, ან გარჩეულ თხილს, ან ყურძნის მარცვალს და დაუძახებს:

— შოშია!

— წიბ-წიბ! ხმას ყოფენ ესენი და მიუახლოვდებიან დაღებულ პირებით, რომელშიც მოხუცი ჩაუღებს ხილულობას.

მერე წამოდგება სცენაზე მისი აღდგომელა სიგარით, მუნდშტუციით, დანით.

სიგარი ამ დროს საკმლის მოსანელებელიც არის და ძილისპირიც.

ნასაუზმევს ერთი საათის ძილი და ძილის შემდეგ კიდევ სიგარი. ე. ი. კიდევ ფიქრი 15-20 წამის განმავლობაში შემდეგ სეირნობა ეტლით ან რიონის სადგურისაკენ, ან ლეჩხუმის გზაზე. მელასი და საქათმის არ იყოს, დადიანს თავი სულ მუდამ ლეჩხუმისაკენ უჭირავს.

სადამო ხანს კიდევ სტუმრობა. კიდევ კითხვა წიგნებისა და ექვს საათზე სადილი. ნასადილევს ან ჭადრაკი, ან უფრო იშვიათად ბოსტონი და ვინტი.

ჭადრაკის თამაში იმას დიდად უყვარს და კარგადაც თამაშობს. რაც უკეთესი მოთამაშებია ქუთაისში, იმასთან იყრიან თავს. მორჯის სახელი იმის გარშემო წარმოითქმის იმ გვარისავე პატივით, როგორც ნაპოლეონისა.

ბოსტონისა და ვინტის მისი მუდმივი პარტნიორები არიან მალევესკი, აკოფოვი და დათა ლორთქიფანიძე, მასთან ვინტის თამაში წვალეზაა, რომ მოგება არ იყოს, როცა ლაპარაკის ჯერი იმასთან მოვა. იმან ყველას უნდა კითხოს, შენ რა სთქვი, შენ რა. ხანდახან საქმე იქამდე მიდის, რომ იმასაც არ დასჯერდება და მოიკითხავს იმასაც „მე — მე, რა ვთქვი?“.

თამაში უმეტეს წილად იმით თავდება, რომ მალევესკი ჩაიღებს ჯიბაში 20-40 მანეთს.

პირი გულის თარჯიმანიც, ვინაც უთქვამს, გრ. დადიანი არ უტყულებს ხეში. მისი ხეაშიადის მეთაურიც იქნება ლია.

გრ. დადიანზე იმას ამბობენ, რასაც გრიგოლ ორბელიანზე: ყიზილბაში არისო. ამ წოდებით ქართველი ხალხი გამოსახავს ისეთ სიტყვადაცულ კაცს. რომელიც პირში მხოლოდ სასიამოვნო სიტყვას გვეტყვის და ქეშმარიტ სიტყვას საპირუქანიოდ ტოვებს. გრ. ორბელიანს თხოვა კნ. ბაბალე ბართაშვილმა, თამასუქზე ხელი მომიწერო. ორბელიანმა უარი ვერ უთხრა, მაგრამ ქალი რომ შინ წავიდა ვექსილის მოსატანად, უკან ქალაღი გაადევნა: გეთაყვა, კენინა, უარის თქმა ვერ გაგიბედე, მაგრამ თამასუქზე ხელს ვერ მოგიწერო.

რომ დააკვირდე კაცი, ას კაცზე ოთხმოცდა ათი მაინც ამგვარია. — ასეა, ესე სოფელი, მაგრამ ამ 90-ს ყურადღებას არავინ არ აქცევს, სანამ „ყიზილბაშობა“ სიცრუის წრეს არ გადავამართალია, როცა კაცი თვლსაჩინო არის და როცა ეს კაცი 80 წელი ცხოვრობს, მეტადრე იმერეთში, მაშინ ყველა იტყვის—ეს კაცი სპარსეთის ზრდილობისა არის, დაუნდობელიაო.

როგორც ყოველთვის და ყველგან, სოფელი ამ შემთხვევაშიაც უსამართლოა.

დადიანი დამადებულა ამ საუკუნის დამდეგს, როცა ჩვენში სხვადასხვაგვარი ჩვეულება და ზრდილობა იყო, ვიდრე ახლა.

ახლა რო ჩაი წინ დაგიდგას ბიჭმა და შენ შეეკითხო: ჩაი მომიტანეო? ის გაკვირვებული შემოგხედავს: მე კი რამდენჯერ შეესწრებივარ დადიანისაგან ამგვარ კითხვებს: ჰო, მოსულხარ? წვიმს? ხედავს რომ მოსულა, ხედავს რომ წვიმს, მაგრამ ის მაინც კითხულობს, თუმცა არავითარი ცუდი განზრახვა მას არ აქვს.

თავდაპირველად იოანე წერეთლის შეგირდმა და შემდეგ იოანე ბატონიშვილის ხელდადებულმა, შეგობარმა გრიგოლ დადიანმა პოემა „რუხის

ბრძოლით“ დაიწყო ქართულ მწერლობაში შემოსვლა... მას მთელი მისი სიცოცხლე შერჩა ამ მისი მოძღვრის კილო წერისა და ლაპარაკისა. ეს კილო არის ძველი, ჩვენი საეკლესიო წიგნებისა, ან უფრო ანტონ კათალიკოსისეული, სქოლასტიკური. ტყუილად კი არ ეტყოდა დავით დადიანი თავის ძმას — პრტყლად იცი ლაპარაკიო, ქართულაა წერაო.

„დღეს ცეზარის ცხოვრებასაც არა-ვინ კითხულობსო“. — მითხრა ერთხელ ამ ურწმუნომ. — როდესაც მე წავუყვითხე მას „გირგოლ ორბელიანის ცხოვრება“. ვამბობ „ურწმუნომ“ იმიტომ, რომ ეს სხვა დროიდან ჩვენსა ჩარჩენილი მოხუცი, ნამდვილი სკეპტიკოსია, რომელსაც ბევრი არა სწამს რა ჩვენი დროებისა მისი აზრით — ძველი დრო სჯობდა ეხლანდელს. ძველად უფრო ზრდილნი იყვნენ, ვიდრე ახლა. ძველად უფრო კარგ ქართულს ლაპარაკობდნენ და უფრო კარგად წერდნენ, ვიდრე ამ საუკუნის დამღვეს.

ათასში ერთხელ თუ სადმე მოეწონა

იმას ახლანდელი დაწერილი თავადებით ამბობს: „ჩვენ მფიქრე მფეხეები-სო“, უფრო უმეტესად კი: „ჩამ დაწერილებს იგი ფიგლი-მიგლის ეძახის.

ამგვარი მოხუცისათვის ეს ჩვენი ქვეყანა ედემი არ არის და კაცი ზეციერ ანგელოზნი. პირიქით. ქვეყანა ეკლით არის მოფენილი და კაცი უფრო ბორბტისაკენ მიდრეკილი. სამაგიეროდ, სოფელიც ამავე საწყაულით მიუწყავს ამ მკაცრ მოხუცს. იმერეთში, ლეჩხუმში, სამეგრელოში, საცა დადიანი ატარებს ცხოვრებას, იგი არის გაერმოცული ისეთი საზოგადო პატივისცემით, როგორც შეშვენის მის ჩამომავლობას და ჰასაქს, მაგრამ ხალხის სიყვარული, რომელსაც წმირად უღირსნიც კი იმსახურებენ. იმას არა აქვს. სოფელი ასე აზობს: „ამდენი ხანი ქვეყანაზე ცხოვრობს და აბა რა გავვიკეთაო?!“.

ამგვარი კაცის ცხოვრება, შეიძლება, ყველაათვის არ იყოს საინტერესო, მაგრამ პირადი კმაყოფილება და სიამოვნება ერთი წუთისა არის და კაცი და მისი ხასიათი საუკუნო...

დასასრული იქნება

იაკინთა ღისაშვილი

რუსთაველის მირონი

ყოველი კუთხე მოვიარე საქართველოსი,
ენახე მწვერვალი მარადიულ თოვლით ნაბურღი,
ცა ლურჯთვალემა, სასწაული გაშლილ მდელღოსი,
ზღვა ვერცხლისფერი, დაწმენდილი და განაბული.

თავს ვეკითხები: ესოდენი მშვენება სრული
ვინ მოგვანიჭა, ვინ აკურთხა ქვეყანა ჩემი? —
„შოთას მირონმა, — უკვდავების ჩაპბერა სული,
ო, დაილოცოს, დაილოცოს მისი გამჩენი!“ —

საიდან გაჩნდა მგალობელი ვარსკვლავსადარი? —
ვდგავარ და ბურანს მივეცევი გაოცებული, —
„ეს ღვთაებრივი რუსთაველის სამშობლო არი,
აქ მიწაც მისი მადლითაა მირონცხებული,

სადაც ბალახიც რუსთაველის შუქით ამოდის,
სადაც ვენახი მისი ბროლის ცრემლით ნაპყური
ხარობს, იზრდება, — ძუძუმტკბარი გვალხენს მარადის
და ქუხს, გუგუნებს სადღეგრძელო მამაპაპური“.

ისევ ჩამესმა ხმა ციური, როგორც ზღაპარი, —
გავშორდი მიწას ბარაქიანს, — ველიანს, შთიანს,
ახლა ზღვასთან ვარ, — უკან დარჩა ჩონჩხი ნაპრაღის,
ზღვის ენჭებშიაც რუსთაველის თვალეზი კრთიან.

და სუნთქვა ზღვისა რუსთაველის სუნთქვაა თითქოს,
ისიც ზღვასავით შეტყველებს და ცოცხლობს მარადის
მშობელ მიწაწყლის სიმღერებით სხეულს რომ ითბობს
და დროდან დროში შექმოსილი შუბლით გადადის.

ენახე მესხეთში გენიოსი სახე გამთბარი,
პიტალო კლდეში ოქროფუნჯით გამოხატული,
მას ველარ ანგრევს დროთა სეტყვა, კლდეთა ნაპრაღი,
ვინც განადიდა, აამაღლა სიტყვა ქართული.

„როგორ გადარჩა სახე ქვაში გაცოცხლებული?“
მე გავეფიქრე და პასუხიც მომესმა იქვე:
„ქვებიც ცოცხლობენ მისი სიტყვით მირონცხებული,
შენც დაიხარე, მუხლმოდრეკით დაემხე პირქვე“.

ვდგევარ და ბურანს მივეცევი გაოცებული,
სადაც ბალახსაც რუსთაველის შუქი გადადის
აქ მიწაც მისი მადლითაა მირონცხებული
და ყოველივე, ყოველივე ცოცხლობს მარადის.

მერეა კახიძე

• • •

შენი ვაეკაცური ხმა და ლექსი
დუმს, ვით თქვენული საწნახელი.
ძმაო, შე უღმერთო, ხმა გამეცი,
ასე ცუდუბრალოდ სად წახვედი?

დარდი შენეული ვილას ვუთხრა,
ვაჰმე, შავი მიწა დაგხალისობს,
გული ანაწილე ისე უხვად,
ველარ გაიმეტე სათავისოდ.

ვილა შეუყენებს აპეურებს,
ძმაო, შენს გასაწევ საძნე ურემს?
ვილა დააბრუნებს შენებურად
შენგან გაუკვალავ ანეულებს?

ვაი, შენეულ მზეს შენად არ თვლი,
წახველ, სიმცხუნვარე გაგყვა ველის,
მაინც, როგორ იყავ ყველასათვის
ასე ძვირფასი და საყვარელი!



დაპირვული ოცნება

რომანი
წიგნი მერაბ

სტუმრები წავიდნენ. მასპინძლები სახლში დარჩნენ. თედომ ვახტანგის მიცემული ფული ჯიბიდან ამოიღო და ჩიტოს გაუწოდა.

— შეინახე. მომავალ კვირას ლენინ-გორში წავალ და ბურჟაყებს ჩამოვიყვან.

ჩიტომ ფული გამოართვა ქმარს. ყოველ შემთხვევისათვის დათვალა, როგორც სჩვეოდა ხოლმე, და გაკვირვებით წამოიძახა:

— თედო, ორასი არ ემართა ვახტანგს?

— შერე?

— აქ სამასია?

— სამასი კი არა, ხუთასი არ ვინდა? — მკვახედ უბასუხა ვახტანგის წასვლით განაწყენებულმა თედომ.

— სამასია! არა გჯერა რომ გეუბნები?

— კარგად დათვალე, შეგეშლებოდა!

— კიდევ შენსას გაიძახის!... სამასია-მეთქი. ადამიანო. მოდი და, ახლა შენ დათვალე!

თედომ ფული გამოართვა და დათვა-ლა. მართლა სამასი იყო.

გაუკვირდა.

— ნუთუ შეეშალა?.. არა მგონია, შეშლოდა! გაიფიქრა და თვითონვე დასკვნა: ალბათ, არ უნდოდა სხვასაც გაეგო, ასი თუმანი მეტი რომ მომცაო. მაგრამ ეს „სხვა“ ვილა არის? ნელი?

თედომ ტუჩები აბრიაცა და ფული ისევ ჩიტოს მისცა.

— შეინახე! ვახტანგს როცა ვნახავ, გამოუარკვევ, რაშია საქმე.

ჩიტო სახლში შევიდა. თედო ისევ

სტუმრასთან მივიდა, პირი ქალაქისაკენ ქნა და ტახტზე ჩამოჯდა.

სალამოვდებოდა. ჩამავალი მზე ნელ-ნელა იკრებდა სხივებს დედამიწიდან. გახურებულ ქალაქს ბინდი ფარავდა.

თედო ფიქრებმა გაიტაცა. აგონდებოდა ვახტანგის განვლილი ცხოვრება, სტუდენტობა, სწავლისაღმი დაუოკებელი წყურვილი.

ის წუთებიც გაახსენდა, ამ გაზაფხულზე, როგორ გაკვირებული მიადგა და ორასი თუმანი ესესხა, ვალებში რომ იყო ჩაფლული და ყველაფერი ლომბარდში ჰქონდათ დაგირავებული. აგონდებოდა ყოველივე ეს და, ცოტა არ იყოს, კიდევაც უკვირდა ასე უცბად მისი გამდიდრება.

XIII

კვირა დღე იყო. საბურთალოს ბაზარს უამრავი მყიდველი და გამყიდველი მისწოდებოდა. „ტალკუჩაკზე“ რომ ვერ დატეულიყვნენ, ბაზრის გვერდითა ქუჩებშიც გაშლილიყვნენ და გახურებულ ალებ-მიცემობა გაეჩალებინათ.

საქართველოს სამხედრო გზიდან ბეგოს „სახაშემდე“ იმდენ ხალხს მოეყარათავი, რომ იტყვიან, ნემსი არ ჩავარდებოდა. ბეგოს ცინესავით შეკრული ეზოს მაღალ კედელზე საკეულიანტებს ლურსმნები დაერქოთ და ზედ ნაირ-ნაირი საქონელი გამოეფინათ. ფინამკრეფებს არც ეს უბანი დაეიწყებოდათ დაუყნოსავი. მუშაობის აზარტში შესულები სწრაფად დალაჯებდნენ ხალხში და ხალისიანად ჰყიდდნენ ქვეითრებს.

დილის შვიდი საათიდან თორმეტ საათამდე ვახტანგი ბაზრის მთავარ შემოსასვლელს არ მოსცილებია ქვეითრე-

ბი წინდაწინ შეევესო თავის ხელწერით და ახლა მოხევესა და ჩანიშვნას ვერ ასდიოდა.

სამი თვე არც კი იყო, რაც იგი საბუროთალოს ბაზარზე მუშაობდა. კმაყოფილი იყო თავისი სამსახურით. ათას ხუთასი მანეთი, რომელიც ყოველდღიურად უმტკივნეულოდ მიჰქონდა სახლში, სრულიად საკმარისად მიაჩნდა. ამ ფულს იგი „ტკბილ ლუკმას“ უწოდებდა, რადგან მისი შოვნა არაერთად საფრთხესთან არ იყო დაკავშირებული. ამიტომაც სასტიკად გაუბოდა „ირანსკებს.“ ეს უკვე უნამუსობააო, ამბობდა, და თავისი შემოსავლით ძალზე კმაყოფილი იყო.

ახლაც გახურებულ მუშაობაში იყო გართული ვახტანგი. უშვებდა და უშვებდა ნისიად ქვითრებს, მოხევეს ვერ ასდიოდა. თორმეტ საათამდე ორასი ქვითარი გაყიდა და მთავარ შემოსასვლელს მოსცილდა. იფიქრა: მოდი, ასე გავყვები, საკოსტუმე ნაჭრებს გავივლი ხალიჩებს გვერდით ჩაუვლი, აკორდონის გამყიდველებს გაუუსინჯავ ქვითრებს, ბოლომდე ჩავალ და იქიდან ახლა მეორე მხარეს ამოვყვებიო.

ის იყო გაიარა ორიოდ ნაბიჯი, რომ ხალხში ვართანა დაინახა. გაჩერდა. შორიდან დაკვირვებით შეათვალიერა „მოუსვენარი თავგი“, რომელსაც კისერი წაეგრძელებინა, ფეხის ცერებზე აწეულიყო და ვილაცას უთვალთვალებდა.

მისმა დანახვამ უნებურად ერთი ამბავი გაახსენა ვახტანგს თავის ბავშვობიდან.

მაშინ პატარა იყო. თოთხმეტ-თხუთმეტი წლის იქნებოდა. ნოდელის ხეობით მტკვრიდან სახლში ბრუნდებოდა. რიყზე ყვავი შენიშნა, ერთ ადგილს დასტრიალებდა.

მეთევზეებისაგან გაგონილი ჰქონდა, ყვავი როცა წყალს დასტრიალებს, თევზი ეგულებაო.

მაშინვე გავარდა იმ მიმართულებით, სადაც ყვავი წრიალებდა. ყვავი გაფრინდა. იმ ადგილას, დაწყვეტილ ტოტში, პართლაც დაინახა უზარმაზარი ორაგუ-

ლი, რომელიც მორვეიდან გამოსულიყო და თხელ წყალში ძლიერ ედაცუნებოდა.

მეზღიერთევა

ვახტანგმა თევზი დაიჭირა და ვახაობულმა ძლიერ აიტანა სახლში.

ახლა სწორედ ეს წუთები წარმოუდგა თვალწინ. ვართანა რატომღაც იმ ყვავს შეადარა და უნებურად გაიფიქრა: ალბათ ის თავის „ორაგულს“ დასტრიალებს და მისი ხელში ჩაგდება უნდაო.

ახლოს მივიდა. შეუმჩნევლად უკან ამოუდგა. იმ მიმართულებით გაიხედა, საითაც ვართანა იშვრებოდა.

ლუღხანის გვერდით თვალი მოჰკრა კაბარდინის ძვირფას პლანხებში გამოწყობილ ორ წარმოსადგე ქალს, რომელთაც ვეებერთელა ჩემოდნები ედგათ წინ და ვილაცას ელოდებოდნენ.

ქალები მდიდრულად იყენენ ჩაცმულნი. შუახანს მიტანებული იქნებოდნენ. თავიანთი მოხდენილი გარეგნობით ყველას ყურადღებას იპყრობდნენ. ერთი შეეგვრემანი იყო, შავთვალწარბა. მეორე ქერა. არც ქართველებს გავდნენ. არც რუსებს, არც სომხებს. ებრაელები იქნებიანო, გაიფიქრა. „მოუსვენარ თავგს“ მკლავი დაუჭირა და თავისაკენ შემოატრიალა.

— რას უყურებ, ვართან, ეგრე გამტერებული? — უთხრა მან.

— ავერ, იმ ქალებს ხედავ? — ხელი გაიშვირა ვართანამ ლუღხანისაკენ, — მსხვილი სპეკულიანტები არიან. ეტყობათ, ახლა ჩამოვიდნენ მოსკოვიდან. ან ლენინგრადიდან. თავიანთ მუშტარს ელოდებიან.

— ვინ არიან მაგათი მუშტრები?

— ადგილობრივი სპეკულიანტები! არ იცნობ მენაშეს, შიმშონს, შალომს? იმათთან არიან დაკავშირებულნი. უფრო სწორად, ეს ქალები ამარაგებენ მათ ძვირფასი ნაჭრებით.

— შენ რა იცი, შენიშნული გყავს?

— როგორ არა! ახლა თუ რამე ჩამოიტანეს, ყველაფერს იმათ დაუტოვებენ. მერე წაელენ და დაიკარგებიან. ალაჰმა უწყის, საით გაფრინდებიან, რო-

მელ მიმართულებით .ორი კვირის, ან ერთი თვის შემდეგ ისევ გამოჩნდებიან, აი იმ დიდი ჩემოდნებით, ცოტახანს დარჩებიან აქ და, ისევ გაქრებიან... ვახტანგი ჩაფიქრდა.

— კი მაგრამ... რომლები არიან ეს სპეკულიანტები, აზრზედ არა ვარ!

— აბა როგორ ვითხრა, — თვალის კილოები დაქიმა ვართანამ, — აი, აქ რომ დგანან ხოლმე, ერთი ძალიან სქელია, გაბერილი. ოქროს კბილებიანი. პირში მუდამ სიგარეტი აქვს გარკობილი...

— ჩერჩილი? — სიტყვა შეაწყვეტინა ვახტანგმა.

— ხო, ხო... ჩერჩილი! — ბრინწიანი ხმით ჩაიხიბხითა ვართანამ და ჭიანი კბილები გამოაჩინა, — მეორე კიდევ მაღალია, სრული, დიდთვალემა. ისეთი შეხედულება აქვს, თითქოს თვალები ბუდიდან უნდა გადმოუვარდესო.

— განგსტერი! — ღიმილით წამოიძახა ვახტანგმა, — ასე შემაქვს ეგენი ჩემს სიაში.

— დიახ, განგსტერი, ნამდვილად განგსტერი!... — უფრო ხმამაღლა ჩაიხიბხითა ვართანამ და ობერაციისაგან დამახინჯებული, დაქმუქნილი ყბა გვერდით შეატრიალა. — შენ რა კარგი სახელები დაგირქმევია. მე ამერიკულ კინოებში მინახავს მსგავსი ტიპები.

უნდა ეთქვა ვახტანგს, კინოში მაინც თუ დადიხარ, შე უბედუროო, მაგრამ თავი შეიკავა.

— მესამეს მე გეტყვი, ვინც არის, — უთხრა მან და „მოუსვენარ თავის“ ცბიერ თვალეში ჩააცქერდა.

მართლაც რომ საოცრად მოძრავი: ეშმაკის თვალეები ჰქონდა ვართანას. ამ თვალეებიდან ყოველგვარ სისაძაგლეს ამოიკითხავდით.

ვართანამ კეფა მოიფხანა და კოლეგას თვალი გაუსწორა.

— მესამე იცი რომელია? მაღალი, წარმოსადეგი. სიმბათიური შესახედაობის ვაჟაკი რომ არის. ჭრელ ჰალსტუხს რომ ატარებს და ყოველთვის ჯიბეებში ხელეზაწყობილი დგას. მე მას ჯენტლ-

მენს ვეძახი. მართლაც, ვინ იფიქრებს, რომ სპეკულიანტია. ყველაფერი ბობა დამშვენდებოდა.

— სწორად შეგინიშნავს, შიმშონს მაგას ეძახიან! — უთხრა ვართანამ, — მაგრამ მაგათ ჯგუფში მარტო ეგენი კი არ არიან, თხუთმეტამდე კაცი იქნება გაერთიანებული.

— როგორ? ეგენი ჯგუფებად არიან? — გაიკვირვა ვახტანგმა.

— მამო როგორ გგონია? — ჩაეცინა ვართანას, — მაგრამ ყველა კი არა. მხოლოდ მსხვილ სპეკულიანტებს აქვთ ასეთი წესი. მაგალითად: საკოსტუმე ნაპრების გამყიდველებს. საპალტოე და საკაბეებით მოვაპრეებს და სხვა.

— შერე და, ის შიმშონია თუ „ჯენტლმენი“, როგორც მე ვუწოდებ მას, რომ არ ვაპრობს? არასოდეს დამინახავს რაიმე გაეყიდოს. მუდამ ჯიბეებში ხელეზაწყობილი დგას.

— ვერც დანიხავ! — ღიმილით უთხრა ვართანამ, — შიმშონი. საერთოდ, არაფერს არ ყიდის. მაგის ხელობა ვაპრობა არ არის. მაგას სხვა საქმე აბარია. დიდი საქმე!...

— რა საქმე? — მოუთმენლად ჰკითხა ვახტანგმა.

ვართანა შეეყოყმანდა. არ ეგონა ასე დეტალურად თუ დაუწყებდა ვახტანგი გამოკითხვას. სახეზე სერიოზული გამომეტყველება შილო და ესლა უპასუხა:

— შიმშონი ვალდებულია მთელი დღე მანდ იდგეს, ეგრე. ჯიბეებში ხელეზაწყობილი და თავის ამხანაგებს გვერდიდან არ მოშორდეს. მათთან იტრიალოს. რატომ? დასწყევლოს ეშმაკმა, რას გაიგებ მაგათ ამბავს.

— რატომ? რატომ ტრიალებს მათ შორის, რა დიდი საქმე აბარია? — არ მოეშვა ვახტანგი „მოუსვენარ თავის“ შეატყო, რომ მას ყველაფერის თქმა არ უნდოდა.

— რატომ და... მე ახლა სადა მცალია შენთან სალაპარაკოდ. — მკვახედ უპასუხა ვართანამ, — ხომ ხედავ, ჩეკი გაუყიდავი მჩჩება!

— მოიცა! — მწყარალად შეუბღვირა ვახტანგმა და წასასვლელად მომზადებული ვართანა თვალებით გახერცა. — არ მეტყვი?

ვართანას თვალის კილოები დაეძაბა. ცოტა არ იყოს, კიდევაც შეფიქრიადა.

— სხვა რა უნდა ვითხრა, რაც ვიცოდი, ვითხარი და გავათავე შორჩა! მე ახლა ჩეკი უნდა გავყიდო. აი, რამდენი მაქვს გაუყიდავი?

„მოუსვენარმა თავმა“ ქვეთრის შეკვრა თვალთან მიუტანა, მაგრამ უცბად გაახსენდა, რომ შეკვრის ქვეშ „ირანსკები“ ეწყობდა და ხელი ისევ სწრაფად დაუშვა დაბლა. თან ვახტანგს ჩააცქერდა თვალბუდეში, ხომ არ დაინახაო. რომ დარწმუნდა, არ დაუნახაო, გვერდით შეტრიალდა, ნაბიჯი გადადგა, მაგრამ ვახტანგმა უკანნიდან ხელი ჩაავლო მაჯაში, რომელშიაც ქვეთარი ეჭირა, მარწუხით მოუჭირა, ისევ თავისკენ შემოატრიალა და მკაცრად შეუტია.

— ეს რა არის, ირანსკებს ყიდი, ხომ?!

ვართანა გაფუქდა. სახეზე სიყვიით-ღემ გადაჰკრა. მოღრეცილი ყბა, უფრო მოეღრეცა.

— გაგხეთქავ შუაზე, შე მოუსვენარო თავგო, შენა!

— მერე რა მოხდა, ფულს შენ არ აკეთებ? — ძლივს ამოიღო ხმა „მოუსვენარმა თავმა“.

— ფულს რომ ვაკეთებ, განა ირანსკებს ვყიდი!

— შე რა ვიცი, შენ რას ჰყიდი!

— უყურე ამ მამაძალს, — თავი გააქნია ვახტანგმა, — ახლა პირდაპირ დირექტორთან წაგიყვან შენი ირანსკებიანა!

ვართანა დაიბნა, წახდა, თავგვივით აწრიბინდა.

— თუ ძმა ხარ, მომეშვი და გეტყვი. ეგ რა ვაქცაობაა დირექტორთან წამიყვანო. თუ არა და... მარტო მე ხომ არ ვუშვებ ირანსკებს, — აწრუწუნდა ვართანა, — გაგნიძე და დათიკო დღეში ას-ას ცალს ასაღებენ.

ვახტანგმა ხელი გაუშვა. ვართანამ

ირანსკები ჯიბეში ჩაიწყო. თავისუფლად ამოისუნთქა და უთხტა:

— მოდი, ყველაფერს შეგიჩვენებ. შონი საერთოდ არაფერს არ ყიდის მაგის ხელობა ვაჭრობა არაა. მაგას სხვა საქმე აბარია, დიდი საქმე... შიმშონი მაგ ჭკუფის ატამანია, მფარველია, სულის ჩამდგმელი ღმერთია. ერთი სიტყვით, შიმშონი ყველაფერია!...

— როგორ, ყველაფერი?! — გაკვირვებით იკითხა ვახტანგმა.

— დიას, ყველაფერია შიმშონი. უფრო სწორად, შიმშონი ურთიერთდამხმარე სალაროს დირექტორია.

— რაო?! — გაკვირვებით წამოიძახა ვახტანგმა, — ურთიერთდამხმარე სალაროს დირექტორია? რომელი ურთიერთდამხმარე სალაროს დირექტორი, რას ლაპარაკობ, ხომ არ გაგიყდი. ვერაფერი გამიგია!


ვართანამ ეშმაკურად გაიღიმა.

— რომელი და, გეტყვი. სპეკულიანტებს თავიანთი ურთიერთდამხმარე სალარო აქვთ. ამ სალაროში გაერთიანებული არიან ათი-თხუთმეტი კაცი. ყოველ საღამოს, როდესაც ვაჭრობას დაამთავრებენ და მოგებას გაინაწილებენ, თვითიული წევრთაგანი შიმშონს ას-ას მანეთს აძლევს. ეს თანხა შიმშონის განკარგულებაშია. როდესაც რომელიმე სპეკულიანტი ჩავარდება, ამ ფულით შიმშონმა უნდა უშველოს მას. საერთოდ, სალაროს დირექტორად სპეკულიანტები ნიშნავენ ყველაზე უფრო შანსიან, გამოქეპილ კაცს, რომელსაც ხელი მრუწვდება ყველგან, სადაც კი საჭიროება მოითხოვს. ახლა გასაგებია?

ვახტანგმა გაკვირვებისაგან პირი დაალო და ჩახტია გაახსენდა. ისიც ხომ შიმშონივით ჯიბეში ხელბზაწყობილი დგას ხოლმე თავის ბიჭებში.

— გასაგებია! — უპასუხა მან, — ალბათ შიმშონსაც ცალკე აძლევენ ფულს, არა?

— რა თქმა უნდა! დღეში სპეკულიანტის მოგება რაც არის. იმდენ თანხას შიმშონს უგროვებენ. ისე რომ, შიმშონის ყოველდღიურ შემოსავალზე არც



შენ იტყობი უარს, არც მე, ჩვენ კიდევ რა გვიშავს. მე მგონი, არც ერთი მინისტრი არ იტყობდა უარს. მაგრამ შიმშონის სალაროში რაც ფულია, ის რომ ჩვენ მოგვცა, მთელი სიცოცხლე გვეყოფოდა.

ვახტანგს გაეცინა.

— მაინც რამდენი იქნება?

— დასწყევლოს ეშმაკმა, აბა, რა ვიცი, რამდენი იქნება. რაც მე აქ ვშოშობ, ამათაც სულ აქ ვხედავ.

— რამდენი წელიწადია რაც შენ აქ ვშოშობ?

— თითქმის მთელი ომის პერიოდი!

— ომში არ იყავი?

— ბარო ტო! არ ვიყავი რომელია. აბა ეს ყბა, საიდანა მაქვს გაგლეჯილი? — ეს სიტყვები ისეთი ტონით წარმოთქვა ვართანამ, თითქოს მთელი გერმანია მას დაემარცხებინოს.

— ადრე ჩამოხვედი, ალბათ!

— ორმოცდღარ წელში. მას შემდეგ აქა ვარ!

— მაშ არც შენ გექნება შიმშონზე ნაკლები თანხა! — არ მოერიდა ვახტანგს.

— ეგ რა სათქმელია?... — ცბიერად ჩაელიმა ვართანას, — მე აქ პურის ფულს თუ ვშოულობ, ეგ არის!

— კარგი, კარგი, ნუ წუწუნებ!

— ჩემმა მზემ, ოცი თუმანი რომ გავაკეთო, მეტი არა!

— ასი თუმანისა მარტო ირანსკები ვიდევს ჯიბეში, ვის ატყუებ?

— არა, შენი თავის მზემ.

— რაღა ჩემი, შენი ქეციანი თავი დაიფიცე!

— სამი-ოთხი ცალი თუ მექნება, ისიც დღევანდელი დაბრუნებული. არა გჯერა? თუ გინდა ამოვიღო!

— ამოიღე!

— კარგი, თუ ძმა ხარ... რად გინდა ამისთანები! — გაიღრია ვართანამ და უკან დაიწია.

— ახლა ეს მითხარი, მოუსვენარო თავგო. — პირში მოხალა ვახტანგმა, — შენ რამდენსღა გაძლეეს შიმშონი თავის ზაზინიდან?

— მე? — გულზე ხელი დაიდო ვართანამ, — მე რატომ უნდა მომეცეს, მე ხომ ობეხეო არა ვარ!

— მაშ დავიჯერო, არაფერს გაძლევენ?

— არაფერს, ჩემმა მზემ!

— გეყოფა ახლა! — შეუტია ვახტანგმა.

ვართანამ ისევ გაიღრია.

— ჩემმა მზემ, ერთ ათთუმნიანს თუ გადმომიგდებენ ხოლმე, შიგადაშიგ, რომ მათი საიდუმლოება არ გავცე. მილიციას არ შევატყობინო, — გამოტყდა ვართანამ.

— გასაგებია! — დინჯად წარმოსთქვა ვახტანგმა. და ისევ კაბარდინის პლანხებში გამოწყობილ ქალებისაკენ გაიხედა, — ეგენი ქეითრებს არ იღებენ?

— არ იღებენ!

— რატომ?

— ჯანდაბას მაგათი თავი, აბა, რა ვიცი, რატომ!

— მაშ ახლა რომ მივიდეთ, არ აიღებენ?

— ვცადოთ!

— ნამდვილად უნდა ვცადოთ. თუ არ დაგემორჩილდნენ, მაშინ ღირექციაში წაიყვანათ და გამოვარკვიოთ, რა ხალხნი არიან. მუშაობაშიც ჩაგვეთვლება.

— ნამდვილად სწორს ამბობ, — ხრინწიანი ხმით ჩაიჭირქილა ვართანამ, — ვარაზნაშვილი სულ იმას გაიძახის, ერთი სპეკულიანტი ვერავენ დაიჭირეთო, სპეკულიანტებს ხელს უწყობთო, მათთან ხართ გათქვეფილებიო.

— მართალი ხარ, ვართან, მაგრამ ვარაზნაშვილი იმასაც ამბობს, რომ ბაზარში მილიციაა გამოყოფილი და დასაქვრი ვინც არის, ის დაიჭერსო.

— მე უკვე აღარ ვიცი, ვინ დავიჭირო და ვინ არა!

— მე კი ვიცი! — ირონიული ღიმილით დასძინა ვახტანგმა, — თუ ისეთი სპეკულიანტი მიგვვარე, რომელსაც მასთან კავშირი აქვს, გეტყვის: შენ საქმეს მოუარე, დაჭერა რა ვაყვაცის ხელობაო. ხოლო თუ უცხო დააკავე, მაშინ

მადლობასაც გადაგიდხის. სპეკულიანტების დაჭერა, როგორც მილიციას ეთვლება მუშაობაში, ისე ვარაზანაშვილს, რადგან ზემდგომი ორგანოები მასაც ავალებენ ამ საქმეს. ახლა სასტიკი ბრძოლაა გამოცხადებული სპეკულიაციის წინააღმდეგ.

ვახტანგი ქალებისაკენ გაემართა და ვართანას უთხრა, შენც მომყევით.

ახლოს მივიდნენ. ქალები საუბარში იყვნენ გართულნი და მათი მისვლა არც გაუგიათ, სანამ ქვითარი არ მოსთხოვეს.

— კი მაგრამ, ქვითარი რატომ უნდა ავიღოთ, ჩვენ ხომ არაფერს ვყიდით, პირიქით, ვყიდულობთ!

— ნამდვილად? — ირიბად ახედა ვახტანგმა.

— თქვენ გეშლებათ, ახალგაზრდაე!

— ღიმილით მიმართა შევგვრემანმა.

— ნამდვილად გეშლებათ! — ღიმილითვე დაუდასტურა მეორემ.

— შე მგონი, არაფერი მეშლება, თქვენ უნდა გეშლებოდეთ. აიღეთ ქვითარი და გადაიხადეთ თხუთმეტ-თხუთმეტი მანეთი! — ვახტანგმა ქვითარი მოუხია.

ქალებმა წარბები შეყარეს.

— თქვენ სცდებით, ამხანაგო! ნატაშა, წარმოვიდგენია რა შეურაცხყოფას გვაყენებს ეს ახალგაზრდა?

ნატაშამ სახე შეიკრა.

— თქვენ ვინ გგონივართ, თუ იცით, — შეკახედ შეუტია ვახტანგს, — ამ წუთში მილიციას გამოვუძახებთ და პასუხს გაგებინებთ შეურაცხყოფისათვის, გესმით, თუ არა? ნინა, — მიუბრუნდა ნატაშა ამხანაგს, — მიდი ერთი, მილიციელი მოიყვანე!

ნინამ აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა და რადგან მილიციელი ვერ დაინახა, ისევ ვახტანგს მიმართა.

— მიბრძანდით ამ წუთში იქით, საიდანაც მოსულხართ! სპეკულიანტი თქვენ სახლში გეყოლებათ, უსინიდისო... ვერ გაგორჩევიათ ოჯახის ქალი ბაზრის ქალისაგან.

— იდიოტი! — დაუდასტურა ნატაშამ, — რამდენად სულელი უნდა იყოს,

რომ ვერა გრძნობს, რა შეურაცხყოფას გვაყენებს. მაგრამ ეპატუბნე ახალგაზრდაა.

ნატაშა ახლა ვახტანგს მიუბრუნდა.

— ბოდიში მოიხადეთ ამ წუთში თავხედობისათვის და წაბრძანდით. გესმით, თუ არა? თუ ბოდიშს არ მოიხდით, მაშინ პასუხს გაგებინებთ, სადაც საჭიროა!

ვახტანგი გაშრა, დაიბნა. ვართანას ხომ არ შეეშალათ, გაიფიქრა და „მოუსვენარ თავგმა“ უსიამოვნოდ შეხედა.

„მოუსვენარმა თავგმა“ ვახტანგს თვალი უყო, მაგათ ეგრე იციანო და ერთერთ ჩემოდანს ხელი სტაცა. ვახტანგი მეორე ჩემოდანს დასწვდა.

— წამობრძანდით ღირექციაში, — მკაცრად უბრძანა ვახტანგმა, — იქ გამოვარკვეეთ, ვინც ბრძანდებით და შეურაცხყოფას ვინ ვის აყენებს!

ქალები ჩემოდნებს ჩაებლაუტნენ.

ვართანამ და ვახტანგმა ჩემოდნებიანად დაითრიეს ისინი.

ქალები ჯერ გაჯიუტდნენ, წინააღმდეგობა გაუწიეს, მაგრამ მალე დარწმუნდნენ, რომ ვერაფერს გახდებოდნენ და მოტყდნენ.

— კარგი, თანახმა ვართ, მოგვიხიეთ ქვითარი, ფულს გადავიხდით! — უთხრეს მათ.

— ახლა უკვე გვიანაა! — მტკიცედ უპასუხა ვახტანგმა.

— ორმაგად გადავიხდით! — შეეხვეწა ნინა.

— სამმაგი იყოს... ათმაგი!... — ამბობდა ნატაშა.

— არავითარ შემთხვევაში! — შეუტია ვართანამ, — თქვენი საქმე, თქვენ თვითონვე გააფუჭეთ. თავის დროზე რომ ჩეკი აგელოთ, ეს არ დაგემართებოდათ. მაგრამ ახლა, ველარც ჩეკის აღება გიშველით. წამობრძანდით ღირექციაში და იქ გამოვარკვიოთ, ვინ ბრძანდებით.

ვართანასა და ვახტანგს შიშველ მიჰქონდათ ჩემოდნები. სპეკულიანტები დაბნეული მისდევდნენ გვერდით. შტაბზარში რომ გაიარეს, „მოუსვენარმა თავგმა“

ვემა ჩემოდანი დაბლა დაავდო და ხენეშით წამოიძახა.

— მოიცა, ცოტა შევისვენოთ!

ვახტანგი ვერ მიუხვდა ჩანაფიქრს. გაჩერდა.

— ღვთის გულისათვის, დაგვანებეთ თავი და გვითხარით, რამდენი გინდათ! — ჩემად წასჩურჩულა ნატაშამ ფინამკრეფებს. რედუკული გახსნა, ცხერისახოცი ამოიღო და მსუქან, ლაქლაქა სახიდან ოფლი მოიწმინდა.

ვახტანგი მიხვდა, ეს სიმწრის ოფლი იყო.

სპეკულიანტის სიტყვებზე ვართანამ თვალეზი დააპყიტა. ჯერ ნატაშას რედუკული შეათვალა, ეგონა, ფული უნდა ამოიღოსო, მაგრამ ფულის მაგივრად, ცხერისახოცი რომ დაინახა. ვახტანგისკენ მიატრიალა ყბამოქცეული სახე და თვალეზში ჩააქცერდა.

ვახტანგმა მის სახეზე ამოიკითხა. ცხერის ფარაში შეეარდნილო, მადააღმრული მგლის სიხარბე. ვართანას ისე ვასდიდებოდა წვრილი, წრუწუნანსმაგვარი თვალეზი, თითქოს ბუდიდან უნდა ამოუხტნენო.

ვართანას სიხარბე მასაც გადასდებოდა. მოუსვენრობა დაეტყო. ადგილზე აწრიალდა. გაახსენდა ანტონის სიტყვები: ბაზარი და ნამუსი ერთმანეთში ვერა თავსდებიანო. აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. ელაღატა თუ არა ნამუსისათვის. ხელი აეღო თუ არა ნამუსზე. ნამუსზე, რომელიც ადამიანის ყველაზე ძვირფას საუნჯედ მიაჩნდა. რომელსაც ყველაზე დიდ ღირსებად სთვლიდა. ბოლოს დაძლია ცდუნება, ისევ კეთილმა გაიშარჯვა მის შეგნებაში, უგულოდ ჩაიქნია ხელი და ჩემოდანს დასწვდა.

— აბა, წავიდეთ!

სპეკულიანტები შეიშმუშნენ. აწრიალდნენ. ვართანამაც ძალაუნებურად წამოავლო ჩემოდანს ხელი და ხასიათწამხდარი უკან გაპყვა.

— რად გინდათ ჩვენი გაფუჭება, — ისევ ჩემად ვადუჩურჩულა ნატაშამ. —

ხუთიათას მანეთს მოგცემთ და თავი დაგვანებთ!

ვახტანგი კვლავ სდუმდა.

— არ გინდათ ხუთი ათასი მანეთი? — ახლა ვართანას მიუბრუნდა ნინა — ათიათასი მანეთი იყო, ჯანდაბას!..

ვართანამ ჩემოდანი გაავდო ხელიდან.

— რა მძიმეა ეს ოხერი, წელი მომწყვიტა ამისმა ორევა! — წამოიძახა ვახტანგის გასაგებად და სპეკულიანტებს თვალთ ანიშნა, მაგას უთხარიო.

ვახტანგი შეჩერდა.

— მოუსვენარო თავგო, ვიცი რისი წელისტიკივილიც გაქვს. წამოავლე მაგ ჩემოდანს ხელი, თორემ მეორე ღრანქსაც მოგიღრეცავ! — უთხრა გაბრაზებით.

ვართანა ჩემოდანს დასწვდა. აბუხლუნდა.

— ღვთის გულისათვის, ოცი ათას მანეთს მოგცემთ, მეტიც არა გვაქვს! — აქეთ-იქიდან ამოუდგნენ ვახტანგს სპეკულიანტები.

— არავითარ შემთხვევაში! — მოკლედ უპასუხა ვახტანგმა, — მეორედ აღარ გამიბედოთ მაგისთანა რამ!

— ნატაშა, ათი მე მაქვს და ოცდაათი მივცეთ! რაც არის, არის!.. — წარმოსთქვა ნინამ და ვახტანგს მკლავში ხელი მოკიდა.

— მოიცა, ახალგაზრდავ. ციხეში რომ ჩავსხდეთ, რა შეგრჩება? მითხარი, შეგრჩება რამე? აი, ოცდაათი ათასი მანეთი... აიღეთ და ჩვენ ჩვენს გზაზე წავალთ.

ვახტანგი ხმას არ იღებდა, მხრით მიარღვევდა ხალხს. ვართანა კი, უკან მისდევდა ჩანჩალოთ, გაუგებრად ბურღღუნებდა და თან მაგარ-მაგარ გინებას უთვლიდა კოლეგას გუნებაში.

ხალხს ვასცდნენ. გადახურულ დახლებისაკენ დაეშენენ. კანტორას მიუახლოვდნენ.

სპეკულიანტებმა ერთხელ კიდევ სცადეს თავიანთი ბედი. შეშინებულებმა ხეწინა დაუწყეს და ბოლოს, ორმო-

ცდაათათასი მანეთი შეაძლიეს, მაგრამ რომ იტყვიან, ვახტანგმა ქვა ააგდო და თავი შეუშვია. რაკი დარწმუნდნენ, არაფერი გამოვიდოდა. ხელი ჩაიჭნიეს, ჯიუტ ფინამკრეფს სახეში მიაფურთხეს და გამწარებულებმა შესძახეს:

— ჩვენ ჩავსხდებით, მაგრამ შენ ჭამა არ გკოდნია. დაგწყველოს ღმერთმა, შენისთანა ახალგაზრდა კაცი ჩვენს სი-
ცოცხლეში არ შეგვხვედრია.

ვახტანგი ვაბრაზდა, ვერაფერი უპასუხა. ისინი დირექტორს წარუდგინა კაბინეტში.

— პატივცემულო, პეტო იოსებოვიჩ, აი, ეს სპეკულიანტები დაეკავეთ! — მოახსენა მან.

— კეთილი! — დინჯად წარმოსთქვა ვარაზანაშვილმა და ქალები თავით-
ფეხამდე შეათვალიერა. ეტყობოდა, პირველად ხედავდა მათ.

— წადი, „ტალკუჩახე“ გავარდი და რომელი ფინამკრეფი ქალიც შეგხვდეს, სასწრაფოდ აქ მომგვარე! — უთხრა ვარაზანას.

— ამ წუთში, პეტო იოსებოვიჩ! — არ დააყოვნა „მოუსვენარმა თავმა“. სწრაფად გაიჭრა კარში და მცირე ხნის შემდეგ, როხროხა ანიჩკა შემოიყვანა.

ანიჩკამ გაკვირვებით შეხედა ვარაზანაშვილს: რაშია საქმე, რატომ მიბარებ-
სო, მაგრამ ქალები რომ დაინახა, სახე გახსნა და მიხედა დამახების მიზეზს.

დირექტორის ბრძანებით ჩემოდნები გახსნეს. ჩემოდნებში ოც-ოცი ცალი ინგლისური საკოსტუმე ნაჭერი „ბოს-
ტონი“ აღმოჩნდა.

ვარაზანაშვილს თვალები გაუბრწყინ-
და. როგორც წელიწადი ვართანას, ამასაც აღებუქდა სახეზე გაუმძლარი მგლის მალა.

ზეზე წამოდგა. ქალები ხელახლა შე-
ათვალიერა და ანიჩკას უბრძანა:

— გაჩხრიკე!

„ბებერმა ძროხამ“ ეშმაკურად ჩაი-
ლიმა. ღიმილზე შეატყობდით, რომ იგი ამ საქმის დიდი ოსტატი იყო. პირვე-
ლად საფულეები გაუსინჯა ქალებს, შიგ-
ფული რომ ვერ ნახა, გარდა სამგზავრო

თანხისა, უბეში ჩაუყო ხელი, მუქმე-
ბის ქვემოთ მოუფათურჯა და და-
ცხირისახოცში გამოკრულად: ~~ქვემოთ~~
ნების მთელი შეკერა ამოაცალა თვი-
თელს.

— დათვალეს. ნატაშას ორმოცდაათი
ათასი მანეთი აღმოაჩნდა, ნინას — სა-
მოცი ათასი.

ვარაზანაშვილს თვალის კილოები
დაეძაბა. ერთ ადგილას მოუსვენრად
აწრიალდა. ბოლოს ველარ მოითმინა.
ფინამკრეფებს მკაცრად გადახედა და
ხმაშალა იყვირა:

— სად მოგყავდათ აქ. თქვე შობელ-
ძალებო, თქვენა!

ვახტანგი სახტად დარჩა. არ მოელო-
და ვარაზანაშვილისაგან ამ სიტყვებს.
ფინამკრეფებზე უარესი ეს ყოფილაო,
გაიფიქრა და უნებურად ანიჩკას შეხე-
და. ანიჩკაც დამცინეად მისჩერებოდა
მას.

ახლა ვართანას მიაპყრო შზერა. ვარ-
თანა ნახევრად შეშლილს ჰგავდა. მაგი-
დაზე დახროვილ წითელ ათუთმინანებს
დაჭყეტილი თვალებით დასცქეროდა
და სიხარბისაგან ხშირ-ხშირად ნერწყვს
ყლაპავდა.

— პატივცემულო უფროსო, — ჩუ-
მად წაიხურულა ნატაშამ, — შეიძლე-
ბა ცალკე დავრჩეთ?

ვარაზანაშვილმა უარის ნიშნად თავი
გააქნია.

— ვიცი, რაც უნდა მითხრათ, —
მშვიდი, წყნარი ხმით მიმართა მან, —
სამწუხაროდ, მე ვერაფერს დაგეხმარე-
ბით, მით უმეტეს, ამდენ ხალხში...

ბოლო სიტყვები ვარაზანაშვილმა და-
ლზე დაბალი ხმით წარმოსთქვა. რომ
თანამშრომლებს არ გაეგოთ, მაგრამ ვა-
ხტანგმა მაინც გაიგონა.

— ანიჩკა, — მიმართა ისევ „ბებერ-
ძროხას“, — შეადგინე აქტი!

ანიჩკამ აქტი შეადგინა. აქტში ჩაწე-
რილი იყო ფულისა და საკოსტუმე ნაჭ-
რების რაოდენობა. აქტი ვარაზანაშვილ-
მა ვახტანგს გაუწოდა, თან ვართანას
გადახედა, შენც ვეხებო და უთხრა:

— ეს ქალები, როგორც დაეკავეთ, ისე

ახლა მილიციაში წაიყვანეთ და ამ აქტთან, ფულთან და საკოსტუმე ნაჭრებთან ერთად ჩააბარეთ. გასაგებია?

— მე რატომ უნდა წაიყვანო, — უკმაყოფილოდ წამოიძახა ვართანამ, — ვინც დაიჭირა, იმან წაიყვანოს!

ვახტანგმა ირიბად შეხედა „მოუსვენარ თავს“.

— მარტო ვერ წაიყვანს. როგორც მოყვანაზე დაეხმარე. ისე წაყვანაზე უშველე. გასაგებია?

ვართანა უსიამოვნოდ აბუზღუნდა. ჩემოდანს დასწვდა.

ვახტანგმა აქტი და ფული გაზეთში შეაბვია, იღლიაში ამოიღო, სპექულიანტებს უთხრა, წავიდეთო და თვითონ მეორე ჩემოდანს წამოაგლო ხელი.

ბაზრის უკანა მხრიდან კარში გავიდნენ, მალე მილიციის შენობას მიადგნენ და უფროსის კაბინეტის კარი მორიდებით შეაღეს.

მაგიდას მოსჯდომოდა მილიციის ფორმაში კობხად გამოწყობილი, ზორბად ჩასუქებული, შუახნის შავგვრემანი კაცი. წითლად გლავლავებული ლოყები ლუარსაბივით დაჭვიდებოდა განიერ ყუბბზე, სამკეცი ლაბაბი გულზე დაბჭენოდა, მოკლე კისერი მხრებში ჩასძრომოდა და ისეთი ცივი გამოხედვა ჰქონდა, კაცი თვალს ვერ გაუსწორებდა.

ვახტანგის დანახვაზე უფროსი წელში გასწორდა. უცნობი ახალგაზრდა აღმაცერად შეათვალიერა და თავის ოდნავი დაქნევით ანიშნა, შემოდიო.

კაბინეტში ჯერ ვახტანგი შევიდა, მერე სპექულიანტი ქალები მიჰყვნენ. ბოლოს ვართანამ შეათრია ჩემოდანი.

უფროსს თვალები გაუბრწყინდა მათ დანახვაზე. მოღუშული სახე გახსნა. გაკვირვებით წარბები აჭიმა და შემოსულნი თავითფეხამდე შეათვალიერა.

— ამხანაგო მაიორო, ჩვენ საბურთალოს ბაზრის ფინამკრეფები გახლავართ,

— მოახსენა ვახტანგმა, — ამ ერთი საათის წინ ეს ორი სპექულიანტი დავაკვეთ ბაზარში. გაჩხრეკის დროს თვითულს აღმოაჩნდა ოც-ოცი ცალი ინ-

გლისური საკოსტუმე ნაჭერი და ფული. ერთს ორმოცდაათათათასი მანეთი, მეორეს კი სამოციათასი. აი აქტი და ნაჭრები ერთად გირდგნენ საკოსტუმე ნაჭრებს და ფულს ასათიათას მანეთს.

ვახტანგმა ჩემოდანი დაღო. იღლიაში ამოჩრილი, გაზეთში შეხვეული ფული გახსნა და აქტთან ერთად მაიორს მაგიდაზე დაუწყო.

თვალეზგაბრწყინებული მაიორი სკამიდან ფეთიანივით წამოვარდა, სახიდან ცივი გამოხედვა გადიყარა, რიგითი მილიციელივით გაიჭიმა, ფეხი ფეხზე მიარტყა, ხელი მალლა ასწია და ხმამალლა შესძახა:

— გიცხადებთ მადლობას საუკეთესო მუშაობისათვის, ამხანაგო ფინამკრეფებო!

— გმადლობთ, ამხანაგო მაიორო. — თქვენი გვარი? — მიმართა ვახტანგს.

— სიღამონიძე, ბატონო!

— თქვენი?

— შამიკონიანი, ამხანაგო უფროსო!

— ამხანაგო შამიკონიანო და ამხანაგო სიღამონიძე, — ხელახლა გაიჭიმა მაიორი, — გიცხადებთ მადლობას საუკეთესო მუშაობისათვის, სპექულაციის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. თქვენი მოვალეობაც არის დაგვეხმაროთ მუშაობაში ამ ნაძირალებისა და მუქთამუქამელების ასალავმავად. ყოჩაღ! კარგი ვაყვაცები ყოფილხართ. იმედია არ შეანელებთ ყურადღებას და კვლავაც დააკავებთ ისეთ მსხვილ სპექულიანტებს, როგორიც ესენი არიან!

— ვეცდებით, ამხანაგო მაიორო! — აქეთ-იქიდან წამოიძახეს ვართანამ და ვახტანგმა.

მაიორი სკამზე დაჯდა. ფული და საკოსტუმე ნაჭრები დათვალა და ფინამკრეფებს ღომილით, უფრო სწორად, სიხარულით მიმართა:

— თავისუფლები ხართ! ამით კი ჩვენ მოუველით!

ფინამკრეფებმა დინჯად დატოვეს მილიციის უფროსის კაბინეტი.

— მართლაც იდიოტები, — თავისთ-

ვის წამოიძახა ვახტანგმა, — თხუთმეტი მანეთის გულსათვის არ გაიფუჭეს თავი? ახლა ეს მითხარი, ვართან, რამდენს მიუსჯიან?

— ეშმაკმა იცის, — ხელი ჩაიჭინა ვართანამ, — მიუსჯიან ასე, ოც-ოცდახუთ წელიწადს.

— რას მეუბნები?! უბედურები. ნეტა სულაც არ გადავყროდი, თუ ასე წავიდოდა საქმე, რაც არ უნდა იყოს, ქალუბი არიან, მეცოდება...

XIV

მეორე დღეს ვახტანგი ისევ ბაზრის მთავარ შემოსასვლელთან იდგა. როგორც კვლავ, ახლაც მოემარჯვებინა ქვიორები და ავტომატური სისწრაფით ურიგებდა სპეკულიანტებს.

მუშაობაში გართულმა, ვერც კი შენიშნა, როგორ წამოადგნენ თავს ნინა და ნატაშა.

ვახტანგმა თვალებს არ დაუჭერა. ხომ არ მელანდებო, გაიფიქრა და ისინი ხელახლა შეათვალა. მათ ცარიელი ჩემოდნები ეჭირათ ხელში და მსუბუქად მოჰქონდათ.

— გამოგიშვებს? — ველარ მოითმინა ვახტანგმა და წინ გადუღდა.

— იდიოტ! — ზიზღით მიამახა ნატაშამ.

— დურაკ! — პირდაპირ მიახალა ნინამ, — მაშ რა გეგონა, ციხეში ჩავვალ-პობდნენ? მანამდე ნურაფერსა სკამ, ციხეში ჩავლბეთ. მაგრამ ერთს კი გეტყვი: შენ ჭამა არ გცოდნია და ღმერთმა ნურც მოგცა მაგის შნო!

სპეკულიანტებმა გზა განაგრძეს. ორიოდ ნაბიჯი რომ გაიარეს, ისევ შედგნენ, ვახტანგისაკენ შემობრუნდნენ, ენა გამოუყვეს.

— მოდი, ქვითარი ავილოთ, არ გინდა? — მიამახა ნატაშამ და თან დაუმატა — დურაკ!

— იდიოტ! — გაიმეორა ნინამ და შორიდან მიაფურთხა. შერე ერთმანეთში რაღაც წაილაპარაკეს და საკოსტუმე ნაპრების გამყიდველებისაკენ წავიდნენ.

ვახტანგი გაოცებული დარჩა. სპეკუ-

ლიანტებს თვალი გააყოლა და გაკვირვებულმა თავი გადააქნია.

ის იყო გვერდით შეტრიალდა, რომ ხალხში ვართანა დაინახა.

— ვართან! — შესძახა ადგილიდანვე, — მოდი აქ, რაღაც უნდა გაჩვენო!

მოუსვენარ თავეს არ ესიაშოვნა მისი დანახვა, მაგრამ ხათრი მაინც არ გაუტეხა, წელათრეული წამოვიდა.

— იმ ქალებს იცნობ? — უთხრა მისვლისთანავე და საკოსტუმე ნაპრის გამყიდველებისაკენ გაახედა.

— ვინ ქალებს? — თვალები ფართოდ გააღო ვართანამ.

— ავერ, იქ რომ დგანან, ვერ ხედავ?

— აა... ვხედავ, როგორ არ ვხედავ, — სახე გახსნა ვართანამ, — მაშ რა გეგონა, არ იცოდი, რომ ასე მოხდებოდა?

ვახტანგმა გაკვირვებით ჩახედა თვალეში „მოუსვენარ თავეს“.

— მთლად არიფი ყოფილხარ. მე კი მეგონა, რომ შენ გამოცდილზე გამოცდილი კაცი იყავი. აფსუს, რა ორმოცდაათითასი მანეთი დავკარგეთ! დამანებე თავი, მე შენთან ლაპარაკი არა მსურს! — ხმამალა იყვირა „მოუსვენარმა თავმა“ და თავის გზას გაჰყვა.

ვახტანგმა ვართანას გააყოლა თვალი.

— ამ ბაზარს ნათი უნდა დაასხა და სპეკულიანტებ-ფინამკრეფებთანად გადაწვა! — გაბრაზებით წარმოთქვა მან. ჭერ ვარზანაშვილის გუშინდელი ნათქვამი მოაგონდა: თქვე შობელძაღვლებო, აქ სად მოგყავდათო. შემდეგ ანტონის სიტყვები: „ბაზარი და ნამუსი ერთმანეთს ვერ ეგუებიანო“.

— მართალია ანტონი! — დაასკვნა გუნებაში, — სად ბაზარი, სად ნამუსი? ამათი ერთად შეგუება განა შეიძლება? არაერთარ შემთხვევაში!...

ანიჩკას დამცინავმა ღიმილმა ხომ ცეცხლი მოუკიდა გულზე.

ყველაფერს იფიქრებდა ვახტანგი, მაგრამ იმას კი ვერ წარმოიდგენდა, თუ დღეს ნატაშასა და ნინას შეხვდებოდა.

— იდიოტ!

— დურაკ! — ისევ ყურში ჩაესმოდა ეს სიტყვები, — მაშ რა გეგონა, ციხეში

ჩავლებოდით? მანამდე ნურაფერს, სკამ, ციხეში ჩავლპეთ. მაგრამ ერთს კი გეტყვი: შენ ქამა არ გკოდნია და ღმერთმა ნურც მოგცა მაგის შნი!

ვახტანგი ფიქრებში ჩაეფლო, სულ დაავიწყდა ქვითრის გაყიდვა. ახლა ვართანას სიტყვები გაახსენდა: „რა ორმოცდაათიათასი მანეთი დავკარგეთო“, მერმე ანიჩკას „ირანსკები“, ბეგოს სახაშეში რომ დარჩა. ბოლოს გაღორებულ ალი მამედოვისა და კოჭლი გოგია ვარამაშვილის ხარბი სახეები წარმოუდგა თვალწინ და ყველაფერი ერთმანეთში აირია.

ძლივს დააღწია ფიქრებს თავი. გონზე რომ მოვიდა, დაინახა, ბაზარი საესე იყო ხალხით და შემოსასვლელში კანტიკუნტად მოდიოდნენ სპეკულიანტები.

საათზე დაიხედა. თორმეტი იყო. ამ დროისთვის ორი შეეკრა ქვითარი პქონდა ხოლმე გაყიდული, ახლა კი ნახევარიც არ გაუყიდა. შემოსასვლელს ზღაზვნით მოსცილდა და „ტალყუჩას“ თავკვე დააყვა. გაჭირვებით მიარღვევდა ხალხს, ხალათზე ღილეები დააწყდა.

საკაბეების გამყიდველ ბიჭებს შიადგა. ბიჭებს ჩვეული ხალისით გაეშალათ ფარჩეული და ომბიანად გაპყვიროდნენ:

— პა პა პა... რა საქონელია, რა საკაბეებია! მობრძანდით, იაფად მოგცემთ! ბიჭების შუა ვახტანგმა ჩახტია დაინახა, ჯიბეებში ხელუბჩაწყობილი. მას ჩესუნჩის ახალი კოსტუმში ეცვა და უდარდელად პაპიროსს აბოლებდა.

— ურთიერთ დახმარების საღაროს ღირეჭტორი! — ირონით ჩაიღიმა ვახტანგმა.

ჩახტამაც შენიშნა ვახტანგი. შორიდანვე გაუღიმა, თვალი ჩაუყრა და მისკენ წამოვიდა.

— საღამ ალუიქუმ, — თათრულად მიესალმა, მეგობრობის გამომხატველი ენტით ხელი ჩამოართვა და უთხრა: — ფაშისტმა გაგნიძემ უკვე დავასწრო ჩეკის მოცემა.

— არაფერია! ხან ის დამასწორებს. ხან — პე! — უპასუხა ვახტანგმა.

— ამ ბოლო დროს შენ ვარგი ბიჭი გახდი!

— აქამდე არ ვიყავი ^{ვარკენული} ^{ზიგლიორთქა}

— აბა, როგორ ვითხრა... თუმცა მამინ გამოუცდელიობით მოგდიოდა. ალბათ, ვარაზანაშვილის სიტყვები მოგისხდა, არა? — გამომცდელად დააცქერდა ჩახტია.

— რა მოვახსენო!

ჩახტიამ გაიცინა.

— რა თქმა უნდა.. თქვენ ჩვენი ცხოვრობთ, ჩვენი გიდგათ სული და, ჩვენ კი გვებრძვით. ეს არ არის სამართლიანი, უსინდისობაა. ხომ მართალია?

ვახტანგმა არაფერი უპასუხა.

— რა თქმა უნდა, მართალია, — ვანაგრო ჩახტიამ, — ახლა შენ, სულ ცოტა, ორასი ათასი მანც გექნება მოგროვილი.

ვახტანგმა ირიბად შეხედა ჩახტიას. მიხვდა, სადაც უკაცუნებდა.

— მინც რის თქმა გინდა, ამით?

— ვერ მიხვდი?

— პირდაპირ სთქვი, ვაყაცურად. რა შორიდან მივლი?

— რატომაც არ გეტყვი პირდაპირ. კი არ მეშინიან. ჩვენ თუ ვაკეთებთ ფულს, ჩვენზე ნაკლები არც თქვენ ხართ. მაგრამ საქმე ის არის, რომ ჩვენ სახელი გაფუჭებული გვაქვს, თქვენ კი არა. ჩვენ სპეკულიანტებს გვეძახიან. თქვენ კი ფინანსკრეფებს. ჩვენი სპეციალობა სამარცხვინოდ ითვლება, თქვენი კი სასახლოდ. მაგრამ ჩვენს შორის არავითარი განსხვავება არ არის. გასაგებია?

— ამით რა გინდა თქვა, ჩემი დაბმა გინდა?

— როგორც გინდა, ისე მიიღე. — თვალი თვალში გაუყარა ჩახტიამ, — ჩვენი გაფუჭება თუ ადვილია, არც თქვენია ძნელი. გასაგებია? ეს უნდა იცოდეს ყოველმა ჩეკის გამყიდველმა, რომელიც ბაზარში მუშაობს.

ვახტანგი ჩახტიას დააცქერდა.

— მაგ სიტყვებში სცდები. შეიძლება. ჩვენთანაც ნახო ისეთი ზნედაცემული ადამიანები, რომლებიც თავიანთი უსინ-

დისობით თქვენზე მეტი იყვნენ, მაგრამ ყველა ერთ ტომარაში კი არ უნდა ჩაყარო, ერთი საზომით კი არ უნდა მიუღვე!

— არა, ბიჭო, პირზემით აიცილებ! — ღმილით უთხრა ჩახტიამ, — ვაქვაცურად სთქვი, მოუყარე თუ არა აქას თავი? — ჩახტიამ თითები გაუსვა თითებს.

— ყოველ შემთხვევაში იმის მეათასედი მანაც არა, რამდენიც თქვენს ხაზინაში ინახება! — მოურიდებლად მიახალა ვახტანგმა.

ჩახტიამ წარბები შეკრა.

— რომელ ხაზინაში?

— რომელი ხაზინის დირექტორიც თქვენ ბრძანდებით! — უკმეხად უპასუხა ვახტანგმა.

— არ მესმის! — თვალები გაუფართოვდა ჩახტიას. სახეზე წითელმა ელფერმა გადაჰკრა.

— ძალიან კარგად გესმის!

ჩახტიამ კბილები გააკრაქუნა, მაგრამ თავი შეიკავა. მიხვდა, ვახტანგმა ყველაფერი იცოდა.

— დავანებოთ ამაზე ლაპარაკს თავი, — ხელი ჩაიჭინა ჩახტიამ, — მე ახლა პური ისე მომწვივდა, სიამოვნებით შეეჭამდი ჩოლახ აბასას გაკეთებულ მწვადს. წავიდეთ! — ვახტანგს მკლავზე ხელი მოჰკიდა ჩახტიამ.

— გმადლობთ. მე ჯერ ერთი, არ მშინ და მეორეც, ქვითარი გაუყიდავი მრჩება. შემდეგისათვის იყოს. ახლა კი საქმეს უნდა მივხედო! — უთხრა ვახტანგმა და მკლავიდან ხელი გააშვებინა.

ჩახტია შეცბუნებული ჩააცქერდა თვალბში.

— ჩემთან პურის ჭამა არ გინდა?

— რატომაც არა, — სახე გახსნა ვახტანგმა, — მაგრამ ხომ ვითხარი, ქვითარი გაუყიდავი მრჩება. ამაზე თარსი დღე ჯერ არ შემხედრია, რაც აქა ვმუშაობ.

— რამდენი გრჩება გაუყიდავი, მოხიე. მე გაგისაღებ! — ჩახტიამ ჯიბისაკენ წაიღო ხელი.

— როგორ გეკადრება! — უკან დაიხია ვახტანგმა.

— მოხიე-მეთქი.. რამდენიც გინდა... ფულს მე გადავიბდი, კლონდ ახლა ნუ გამაწბილებ, თითო მწვადე შეეჭამო!

— გაძლევ პატიოსან სიტყვას, როცა გინდა, სადაც გინდა, იქ წავიდეთ პურის საქმელად, ოღონდ ახლა მომეშვი, ჩემი საქმე გავაკეთო!

— ნამდვილად?

— ნამდვილად!

— პირობა პირობაა, ხომ? კარგი!

ჩახტიამ მოკუმშული ხელის თითები ტუჩებთან მიიტანა, აკოცა და ამ ძველი, კინტორი "ეესტით ვახტანგს გზა დაულოცა.

ვახტანგი პირდაპირ ჩაჰყვა ბაზარს.

— მოხვდა გულის ფიცარში? — გუნებაში წამოიძახა და გაეცინა, — ვნახოთ, ვინ ვის დააბამს!..

უცბად ვარაზანაშვილი გაახსენდა: „ალბათ, მაგათთან არის დაკავშირებული, ფულს აძლევენ და იმიტომაც მფარველობსო“, — გაიფიქრა და გაკვირვების ნიშნად თავი გააქნია:

— ღმერთო ჩემო, რა ბნელით მოცულნი საიდუმლოებაა ეს ბაზარი!

მიტკლის გამყიდველ ქალებს მიაღდა. ქალებს ჩვეული ხალისით გაეშალათ მიტკალი და ყიდდნენ. მთელ დღეს მზის ქვეშ დგომით ისე გაშავებულ იყვნენ, თითქოს ზღვიდან ეს-ესაა დაბრუნებულანო. სახეზე ოფლი წურწურით ჩამოსლილათ და კაბის კალთით იწმენდნენ.

ვახტანგს ყოველთვის ეზარებოდა ამ ქალებისაკენ გავლა და ქვითრების გასინჯვა, რადგან ისინი ფულსა და ქვი თარს უბეში ინახავდნენ, რომ ადვილად არ ამოეცალათ ან არ დაეკარგათ.

ვერ იტანდა, როცა ის ქალები ოფლში დამბალ. სველ ქვითარს უბიდან ამოიღებდნენ და გაუწვდიდნენ.

ფულსაც ზიზღით იღებდა მათგან.

ახლაც გვერდი უნდა აეჭკია ამ ქუჩყიანი სპექულიანტებისათვის, რომ უკანად ვიღაცამ მკლავში ხელი მოკიდა.

გვერდით შეტრიალდა. მის წინ ბებური ხაჩიკა იდგა და ხელში კაკოია რუხამის მიერ გაცემული „ირანსკი“ ეჭირა.

— ეგ რა არის, ძია ხაჩიკ, ირანსკია?



— მერე ვისი, არ იკითხავ? — ხაჩიკამ თავი ასწია მალა, — კაკოია რუხაძისა! მაგ მამაძალს რომ ჰკითხო, გეტყვის: „ირანსკებს“ არ ვუშვებო, ფულს ვერ ვავეთებო, პურის ფულზე ძლივს გამოვდივარო. საწყლად მოაქვს თავი. თუ საწყალია, თუ არაფერს აკეთებს. მაგას ვუჩვენებ ახლა!...

ვახტანგს გაეცინა. მიხვდა, ხაჩიკას სადაც სტკიოდა. ალბათ, კაკოია ფულს არ აძლევს და იმიტომაც, ასე ჰიკვიცებსო, გაიფიქრა.

— საწყალი კაცია, ძია ხაჩიკ, არ გააფუჭო, ღარქტორს არ აჩვენო!.. — შეეხევეწა იგი.

— ღირქტორს კი არ ვაჩვენებ, მაგრამ... არაფერი საწყალი არ არის!.. აი თუ საწყალია... ახლაც იტყვის „ირანსკებს“ არ ვყიდო?

ხაჩიკამ ხელი მოკიდა ვახტანგს, ტუჩები უფროსან მიუტანა და ჩუმად წასჩურჩულა:

— იმ ლამაზს ხედავ? — თვალთ ანიშნა ერთ ახალგაზრდა ქალზე, რომელიც სპეკულიანტების გვერდით იდგა და ხელში სანოვავის ჩანთა ეჭირა.

ვახტანგი ვერ მიხვდა, ვისზე ეკითხებოდა.

— აგერ პირდაპირ, გაბერილი „პროვიზიონკა“ რომ უჭირავს, შეხედე!

ვახტანგმა ქალი შეათვალიერა. გათხივლილი ჩანდა. ოცდახუთი წლისა იქნებოდა. მალალი იყო, წარმოსადგეი, სიმპათიური შესახედაობისა. თეთრი, კამკამა სახე და ნუშის მოყვანილობის დიდრონი შავი თვალები ჰქონდა. კონტად მოყვანილი, იასამნისფრად შეღებილი ტუჩები ისე ლამაზად ამოებურცოდა, თითქოს ვიღაცას გაბუტვიაო. მისი მოხდენილი გარეგნობა ყოველ ქალიშვილს შემურდებოდა.

ვახტანგს ძლიერ მოეწონა ეს ქალი. რატომღაც ეგონა, რომ იგი ბაზრის ქალი არ იყო და რაღაც შემთხვევას უნდა გამოეგდო ამ ჭუჭყიან მორევში.

— კი... ვხედავ, მერე? — უთხრა ხაჩიკას და თვალეში ჩააცქერდა.

— მერე და, ის ქალი უნდა დააკავო!

— სპეკულიანტია?

— მაშ, ვინ იქნება!

— რომ არა ჰგავს სპეკულიანტს, ხაჩიკამ ბებრულად ჩაიხიბთხითა.

— მაგისთანა ლამაზ ფერიებს ცოტას ხედავ ამ ბაზარში?

— ვხედავ, მაგრამ მაგას რომ არაფერი ეტყობა?

— შენ კი გაიხარე... გაჭირვებამ განა მაგაზე უკეთესი ლამაზი და უკეთესი ოჯახის ქალები არ გამოიყვანა ამ ბაზარში. მაგალითად, აქ გავიცანი ჩვენი თეატრების ცნობილი მსახიობები, რომლებიც ბევრ ისეთ რამეს ყიდდნენ, რაც კანონით აკრძალულია. და განა მარტო მსახიობები? ეე... შენ სადა ხარ?... ამ ქვეყანაზე არ ცხოვრობ? ბაზარში არ მუშაობ? — ხაჩიკას თვალები გაუბრწყინდა თავისივე სიტყვებზე.

— კი, მაგრამ ნამდვილად იცი, რომ სპეკულიანტია? — კვლავ შეეკითხა ვახტანგი.

— სიგნალი შემოვიდა, ის ჩანთა პირველი ხარისხის მიტკლით ჰქონია სავესე.

— მერე და, მიტკალს მაგის მეტი არაფერი ყიდის? აბა ამ ქალებს შეხედე, როგორ გაუშლიათ. მაშინ ყველა უნდა დააკავო.

— ეგ უკვე ჩემი საქმე არ არის. მე რაც მითხრეს, ის უნდა გავაკეთო! — მტკიცედ წარმოსთქვა ხაჩიკამ.

— ვინ დაგავალა?

— არც ესაა შენი საქმე. თუ ძალიან გაინტერესებს, მერე გეტყვი!

— რახან ასეა, შენ დააკავე, რაღა მე?

— დაგაკავებდი, მაგრამ არ გამოვა. წელან შემწიშნა, ბაზრის თანამშრომელი რომ ვარ და ამიტომ ჩემს თვალწინ არ გაყიდის. თუ არ გაყიდა, ისე ზომ ვერ დაიჭერ? გეტყვის: ვიყიდეო. მოდი და დაუშტყავე, რომ არ იყიდა. ზედ უნდა დაიჭირო, გესმის? როცა ყიდის, მაშინ უნდა დაადგე თავზე. აფსუსს, რატომ ანიჩკა არ არის აქ!..

— მერე სად წაიყვანო?

— ჩემთან მოიყვანე! აგერ, აქ ვიტრიალებ. ვასაგებია? მიდი ახლა და უკან მიპყე. ხელიდან არ გაგიფიქინდეს!

— გასაგებია — წარმოსთქვა ვახტანგმა.

ხაჩიკა წავიდა. ვახტანგმა ქვითარი გიბეშა ჩაიდო და ქალს შორიასლო შემოუღარა.

ქალი ფეხს არ იცვლიდა ადგილიდან. გამყიდველებს მისჩერებოდა, როგორ ყიდდნენ მიტკალს. ბოლოს თვითონაც შეინძრა. მიტკალს მთლიანად ამოღებდა რომ ვერ გაბედა, ჩანთა ოდნავ გადახსნა, გამოაჩინა და სპეკულიანტებს ჩამოუღარა, ხომ არ აიღებთო.

ვახტანგი სწორეთ ამ დროს წაადგა თავზე და ჩანთაში ხელი ჩაავლო.

— თქვენ დაკავებული ხართ, ქალბატონო. გთხოვთ წამოზრძანდეთ ღირეჭიკაში!

ქალი შეერთა. შიშისაგან ფერი დაეკარგა და მთელი ტანით აცახცახდა.

— გენაცვალეთ, მე სპეკულიანტი არა ვარ. გეფიცებით ადამიანობას, რომ პირველად გამოვედი ამ ბაზარში. არასოდეს არაფერი გამოიყიდა... გთხოვთ გაემიშვათ!... არასოდეს აქ აღარ მოვალ! არ მოვალ, გესმით? არ მოვალ!... გამიშვიეთ! ქალმა ტირილი დაიწყო.

— კი, მაგრამ... თუ არ ყიდით, მამ რატომ გამოგიტანიათ ეს მიტკალი? პასპორტი გაქვთ? სად მუშაობთ?

— მასწავლებელი ვარ, ბატონო, სკოლაში ვმუშაობ! თქვენი ჰირომეთ, გამიშვიეთ, ნუ წამიყვანთ, ნუთუ ოდნავი ადამიანობა არა გაქვთ?

— რა ექნა, გენაცვალე, მიბრძანეს და რომ არ წაგიყვანოთ, არ შემიძლია! — უთხრა ვახტანგმა და მასწავლებლის ხსენებაზე გული შეეკუმშა. ელვისისსწრაფით გაურბინეს თავში ავქალის საშუალო სკოლაში გატარებული დღეების მოგონებებმა და თავისი ყოფილი კოლეგების ცხოვრებაც თვალწინ წარმოუდგა.

შეეცოდა. ქალის მუდარით წარმოსთქმულმა სიტყვებმა გული აუჩუყა. მისმა პონხიბლაგმა სახემ, თვალეშში ჩაბუდეულმა ახალგაზრდულმა ეშხმა და სიწინარარემ განზრახვაზე ხელი ააღებინა.

— თქვენი ჰირომეთ, — იმეორებდა

ქალი — ქართველი არა ხართ, შედით ჩემს მდგომარეობაში. გეფიცებით: სინდისს, პატროსნებას, რომ სპეკულიანტი არა ვარ... პირველად გამოვედი აქ. მე გამომიყვანა გაჭირვებამ, გესმით? გაჭირვებამ გამომიყვანა ამ დასაქცევში... პირველად გამოვედი და უკვე ჩავვარდი... ძალიან გთხოვთ მამატიოთ... ეს ერთხელ მამატიოთ... არასოდეს აქ აღარ გამოვალ... არასოდეს...

ქალი ტიროდა და მთელი ტანით თოთოდა.

ერთი აყლაყულდა, ახმახი სპეკულიანტი მასწავლებელს გამოეჭომაგა. ცბიერი ღიმილით ვახტანგს წინ გადაუდგა და საკმაოდ მაღალი ხმით, რომ ქალსაც გაეგონა, უთხრა:

— რად გაცდა, რომ მიგყავს, ეს ქალი ფულსაც მოგცემს და ჰამაც...

ვახტანგმა წიხლით მოიშორა აყლაყულა და თანაც მაგარი შეუეჭრთხა.

აყლაყულამ გინება ისევ უკან დაუბრუნა და ბუზღუნით გაშორდა მათ.

— კი გენაცვალე, — მიმართა ქალმა მუდარით, — მე ფული არა მაქვს, რომ მოგცეთ. აი ეს ჩანთა, თქვენი იყოს. ილონდ გამაშვიეთ!

ქალმა სიტყვის თქმა არ აცალა, ხელი ეშვა და წაასვლელად შეტრიალდა.

— მოითმინეთ, ქალბატონო, — მიმართა ვახტანგმა, — წაიღეთ თქვენი ჩანთა უკან და წადით. მხოლოდ გაფრთხილებთ, აქ აღარ მოხვიდეთ. სულერთია, ეს გათახსირებულები ჩაგაგდებენ! ვახტანგმა სპეკულიანტებს გადახედა. მიხვდა, რომ ის ქალი მათი „გაყიდული“ იყო, რათა კონკურენტი მოეშორებინათ.

ქალმა ყურადღება არ მიაქცია ფინამკრეფს. ჩანთა ხელში შეატოვა და შერღულივით გავარდა.

— ნოიცი! — შესახა ვახტანგმა, მაგრამ ქალი აღარ ჩანდა ზღვა ხალხში. ის იყო, ხაჩიკაც წამოადგა თავზე.

— რა ჰქენი? — უთხრა მან, და „მსხვერპლი“ რომ ვერ დაინახა, სახე მოედუნა.

— ჩანთა შემატოვა ხელში და გაიქცა! — უბასუხა ვახტანგმა.

ჩაიკამ ვახტანგი ბაზრის მეორე მხარეს გაიყვანა და ჩანთა გახსნა. ჩანთაში ორმოცდაათი მეტრი მიტკალი იყო.

— ეე... ვერ მოქცეულხარ კარგად! — პუზღუნით უთხრა ჩაიკამ.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ორმოცდაათიათასი მაინეთის საქე დამაჯარგვინე. ეს მიტკალი კი, რა ეღიარება. ბევრი-ბევრი ხუთი ათასი მანეთი, მეტი ღირს არა?

ვახტანგმა კინაღამ სახეში სთხლიშა ჩაიკას. მისვდა, რომ არავის დაუვალებია მისთვის იმ ქალის დაქვრება.

— ბებერი ქოფავო! — უნდოდა ეუვირა და თანაც მაგრად შეეწვლია, მაგრამ თავი შეიკავა, რადგან ჩაიკა მათი კონტროლიორი იყო და მას არა მარტო საქმის გაკეთება, გაფუჭებაც შეეძლო.

ჩაიკამ მიტკალი სპეკულიანტს გადასცა გაასაყიდად. სპეკულიანტმა იქვე, მათ თვალწინ გაყიდა და ხუთასი თუმანი ისევ ჩაიკას დაუბრუნა.

ჩაიკამ ფული გადათვალა, ორასორმოცდაათი თუმანი ვახტანგს გაუწოდა და უთხრა:

— აბა, ნახევარი შენ, ნახევარი მე. ძმურად გავიყოთ. მხოლოდ მეორედ აღარ დაგეშართოს ასეთი რამ. ჩვენ ახლა ორმოცდაათიათასი მანეთი დავკარგეთ.

ვახტანგმა უარი უთხრა ფულის აღებაზე.

— როგორ გეკადრება, პურის ჭამა არ გინდა? — შეუტია ჩაიკამ. — შენ ირანსკებსაც არ უშვენ!

— რა იცი, რომ არ ვუშვენ! — ზედარ შეუხედავს. ისე ჰკითხა ვახტანგმა.

— მე ყველაფერი ვიცი, ჩემო სტუდენტო (ჩაიკა სტუდენტს ეძახდა ვახტანგს), ვერავინ ვერაფერს გამოშაპარებს. თუ ვინმე ბებერი ჩაიკას მოტყუებას იფიქრებს, არაფერი გამოუვა. რამდენჯერ ვცაღე შენი გაშვებული ირანსკი დამეჭირა, მაგრამ ვერ დავიჭირე. ვერ დავიჭირე იმიტომ, რომ შენ ირანსკებს არ ყიდი, რატომ მერე? — ჩაიკა თვალბში ჩააქვრდა ვახტანგს, გეშინიან? ნურაფრისა გეშინიან,

ჩემო სტუდენტო. შემოწმებაზე თუ ვინმე მოვა, ატყეჩაი მე ვარ, ვახტანგი ჩაიკა ატყეჩაი. სამი დღით უფრო ვიცი. შემოწმებაზე ვინც უნდა მოვიდეს, ბაზრების სამმართველოდან წინდაწინ მაცნობებენ ხოლმე, ამა და ამ დღეს, თქვენთან მოდის, ესა და ეს კაცი და ყველაფერი როგვრე იყოსო. მეც ფინანსკრეფებს ვაფრთხილებ, მაგრამ ყველას კი არა. აი, შენნაირ კარგ ბიჭებს. — ჩაიკამ ეშმაკურად ჩაიხიტიხითა, — აბა, რა გგონია, მე ბებერ ჩაიკას მეძახიან!

ამ სიტყვებთან ერთად ჩაიკამ ფული შუაზე მოკეცა და ვახტანგს ზედა ჭიბუში ძალით ჩაუღო.

— ახლა ყველაფერი როგვრეა, ჩემო ძმაო, — უთხრა ბოლოს და აღერსიანად მხარზე დაჰკრა ხელი. — გვალიდან რამდენიც გინდა, იმდენი მისცე ირანსკი. მხოლოდ გახსოვდეს, ყოველ საღამოს ხუთი თუმანი უნდა ჩამოხვიდე. ამ ფულს თავისი დანიშნულება აქვს და ყველას საქმეს აკეთებს. აბა, როგორ გგონია, ბაზრების სამმართველოდან ისე კი არავინ გაგვაფრთხილებს.

ჩაიკა წავიდა. ვახტანგი დალურსმულივით შერჩა ადგილს. გაოცებული იყო. არასოდეს იფიქრებდა იმას, რაც ახლა ჩაიკამ უთხრა და რაც მან გააკეთა. უყურე ერთი, რა ყოფილა ეს ბებერი ძალღიო. გაიფიქრა და უცხად ჩახტიას სიტყვები გაახსენდა: „ჩვენზე ნაკლებ ფულს არც თქვენ აკეთებთ, მაგრამ საქმე ისაა, რომ ჩვენ სახელი გაფუჭებული გვაქვს, თქვენ კი არა. ჩვენ სპეკულიანტებს გვეძახიან, თქვენ ფინანსკრეფებს. ჩვენი სპეციალობა სამაზრცხინოდ ითვლება, თქვენი კი სისახელოდ. მაგრამ ჩვენს შორის არავითარი განსხვავება არ არისო“!

— მართალია ჩახტია, — ამბობდა ვახტანგი, — აბა რითი განირჩევინ ერთმანეთისაგან ის გათახსირებული და ეს ბებერი ძალღიო. ნავთი კი არა, ბენზინი უნდა გადაასხა, ცეცხლი წაუკიდო და საბურთალოს ბაზარი ერთიანად გადაწვიო.

ჭიბუში ხელი ჩაიყო, ჩაიკას ჩადებუ-

ლი ორასორმოცდაათი თუმანი ამოიღო, გადაშალა და უგულოდ დააქვერდა.

თვალწინ წარმოუდგა ის ახალგაზრდა მასწავლებელი ქალი. თითქოს ახლაც ჩაესმოდა ყურში მისი სიტყვები: „გეფიცებით სინდისს, პატიოსანებას, რომ სპეკულიანტი არა ვარ... პირველად გამოვედი აქ. მე გამომიყვანა გაპირებებამ, გესმით? გაპირებებამ გამომიყვანა ამ დასაქვერში.. გთხოვთ მაპატიოთ, შეხვიდეთ ჩემს მდგომარეობაში...“

— ვინ იცის, მართლაც, რა გაპირებებამ გამოაგდო ის საწყალი ქალი, — ფიქრობდა ვახტანგი, — ვინ იცის, რა მდგომარეობა აქვს სახლში.

და ხელახლა გაახსენდა ავჯალის საშუალო სკოლის კედლებში გატარებული დღეები. დაღლილ-დაქანცული. ნახევრად მშვიერი რომ ბრუნდებოდა ხოლმე სახლში და ნელი ცხვირაბზუებული ხედებოდა.

— კი მაგრამ, რა სინდისით უნდა მოვიხმარო ეს ფული? — შეეკითხა თავის თავს, რა ნამუსით უნდა წავიღო სახლში?

ვახტანგს შეზიზღდა თავისი თავი. შეზიზღდა ბაზარი, სამუშაო, ეს ქვეითრები, ეს ფული. ყველაფერი შეზიზღდა, რაც ამ ბაზართან იყო დაკავშირებული. ხაჩიკა რომ ახლა აქ ყოფილიყო, პირში მიაფურთხებდა. გულს გაუხსნიდა და იმ უგულო გულში ჩააფურთხებდა.

ფულს ხელი მოუჭირა და კინაღამ შუაზე გადაანია. ქვეითრებიც მოკმუქნა. ფანქარი დაბლა დაავდო, რომლითაც ხელს აწერდა და ფეხით გადაამტვრია. როგორ უნდოდა შევარდნილიყო დირექტორის კაბინეტში... შევარდნილიყო და ფული და ქვეითარი სახეში ესროლა ვარაზანაშვილისათვის, გასიებული თავში დაერტყა. დაერტყა და ეთქვა: „თქვენ ყველანი ჭიბვირები, კომბინატორები, თაღლითები, აფერისტები, მეჭრთამეები, მამაძაღლები. ზნედაცემული ადამიანები ხართ, რომლებსაც არ გააჩნიათ არც გული, არც სული და არავითარი სხვა ადამიანური ღირსებები“. მერე ზურგი შეექცია მათთვის და კვლავ დაბრუნე-

ბოდა პედაგოგის კეთილშობილურ საქმიანობას ავჯალის სკოლაში. სადაც გზასაცდენილი ბავშვების აღზრდას მუშაობდნენ.

ის იყო მოსწყდა ადგილს, რომ ხალხში ანტონი და ხაჩიკა შენიშნა. ხაჩიკა რაღაცას ელაპარაკებოდა ანტონს და თან ხმამაღლა ხითხითებდა. ალბათ, ორიათას ხუთას მანეთს კარგ ხასიათზე დაეყენებინა.

ვახტანგი ახლოს მიიქრა მათთან. მოკმუქნული ფული პირდაპირ სახეში ესროლა ხაჩიკას, მერე საყელოში მოკიდა ხელი, მაგრამ მოქაჩა და მთელი ძალით შეანჯღრია.

— ბებერო ძაღლო, ვის უბედავ შენ ასეთ რამეს?! — შებყვირა კბილების კრაქუნით და საყელოთი მაღლა აიტაცა. ხაჩიკას სული შეუგუბდა და თოვზე ჩამოკიდებულსავით ფეხების ქნევა დაიწყო.

ანტონმა ხელიდან გამოგლიჯა ხაჩიკა, რომელსაც ფერი წასვლოდა სახეზე და შეშინებულს სიტყვა ვერ დაეძრა.

— კბილებს დაგაძრობ, ბებერო მელავე. — არ ცხრებოდა ვახტანგი, — რაც შენა ხარ, სხვაც ისა გგონია. უსინდისო, გათახსირებულო. გაგისეთქვამაგ მაიმუნ თავს.

ვახტანგს სახეში უნდა გაერტყა ხაჩიკასათვის, მაგრამ თავი შეიკავა. ანტონსაც ზიზღით გადახედა და პირდაპირ კანტორისაკენ დაეშევა.

ანტონი გაოცებული დასცქეროდა ბებერ მელას და ვერ მიმხვდარიყო, რა მოხდა.

XV

სწრაფად გაირბინა ერთმა წელიწადმა. ორმოცდარვა წლის სექტემბერი უდგა. თბილისის ქუჩები აგარაკებიდან დაბრუნებული ახალგაზრდებით გავსილიყო და მათი მხიარული ქრიაშული სიტყვების მარადიულ ჰიმნივით გაისმოდა.

საბურთალოს ბაზარს ახლა უფრო მეტი ხალხი მისწყდომოდა, ვიდრე ოდეს-

მე. მყიდველი და გამყიდველი ერთმანეთში არეულიყო და მათი გაუთავებელი აყალმაყალი, შეერთებული ერთ მთლიან ზუზუნად, ვპირთა მოედნამდე აღწევდა.

სპეკულიანტებს ხალისიანად გაეშალათ ფართო ასორტიმენტის საქონელი და გასურებული ვაჭრობა გაეჩაღებინათ.

რა გინდა სულო და გულო, რომ აქ არ ჰქონდათ გამოტანილი: აბრეშუმი თუ შალეული, ფარჩეული თუ ტილოს ნაწარმი, შეკერილი თუ შეუკერავი, ჩვენი თუ საზღვარგარეთული.

ერთი სიტყვით, ჩიტის რძის გარდა, ყველაფერს ყიდდნენ, და მყიდველიც ბუზივით ესეოდა.

ვახტანგი ახლა უფრო მეტი მონდომებით, მეტი ხალისით დარბოდა ბაზარში და მუშაობის აზარტში შესული ქვითარს ქვითარზე ყიდდა. მაგრამ იგი აღარ იყო ის ვახტანგი, პირველად რომ მოვიდა აქ. მოვიდა იმ რწმენით, რომ სპეკულიანტებისათვის ბრძოლა გამოეცხადებინა, რათა მიწისაგან პირისა აღეგავა ძველი ცხოვრების ეს უკანასკნელი მოჰვიანები, რომელთა ველური სახეები ზიზღსა ჰკვირდა.

პირიქით. ვახტანგი ახლა უფრო მეტად დაუახლოვდა მათ. ბაზარში ერთი წლის მუშაობამ იგი თავის ყაიდაზე გარდაქმნა. რომ იტყვიან, ბაზარმა თავის ქვაბში მოხარშა.

ალბათ, ისე არასოდეს გამართლებულა ძველი ქართული ანდაზა: ხარი ხართან დააბი, ან ფერს იცვლის, ან ზნესო, როგორც ეს ვახტანგზე გამართლდა.

პირველად თუ სასტიკი წინააღმდეგი იყო „ირანსკებს“ გაშვებისა, ახლა იმასაც მიჰყო ხელი.

მას უკვე აღარ აკმაყოფილებდა უმეტოვნეულოდ აღებული ორიათასამდე მანეთი, რომელიც ყოველდღიურად მიჰქონდა სახლში.

მან კარგად იცოდა, რომ „ირანსკებს“ ყველა ფინამკრეფი ყიდდა. მე რაღა გამონაცლისი ვარო. ფიქრობდა, და

დღეში ორმოცდაათამდე „ირანსკს“ ახალეზბდა.

ბოლოს არც ეს იკმარა. თანდათან უმატა და ასამდე „ირანსკს“ უშვებდა.

მარტო „ირანსკებიდან“ ათასხუთასამდე მანეთი რჩებოდა დღეში. ნისიებიდან და უკან დაბრუნებული, ხელახლა გაყიდულ ქვითარებიდან აღებულ ორი ათასამდე მანეთს ეს ათასხუთასი მანეთიც ემატებოდა და ახლა უკვე სამიათას ხუთას მანეთამდე მიჰქონდა სახლში ყოველდღიურად.

მაგრამ ნათქვამია, მადა ჭამაში მოდიხო და. რაც უფრო მეტ ფულს შოულობდა ვახტანგი, იმდენად უფრო მეტი და მეტი უნდოდა, რომ ეშოვნა. ბოლოს გადაწყვიტა ესარგებლა თავისი სამსახურებრივი ყველა უფლებით და ხელი მიჰყო სპეკულიანტების „გაფუქვნას“.

ისე არავე იცოდა სპეკულიანტებისა თუ გადამყიდველების ფსიქოლოგია, როგორც მან. დეტალურად შეისწავლა მათი ბნელით და საიდუმლოებით მოცული საქმიანობა. მიავნო ამ საქმიანობის ყველა ზერელს, ყველა წვრილმანს, ყველა ძაფს, რომლის არცოდნა, ამ უკანასკნელ ხანს, ძალზე აწვალებდა.

უფრო ღრმად ჩაიხედა მათი მრავალფეროვანი ცხოვრების საიდუმლოებაში. ხელში ჩაიჭირა მთელი ბაზრის სპეკულიანტები, დაწყებული საკოსტუმე ნაჭრების მსხვილი საქმოსნებიდან, ვათავებული წვრილი მოვაჭრეებით. ხელში ჩაიჭირა და ყველასთან კიდევაც გამოიხანა საერთო ენა.

შემშონი, ჩახტია და სხვა მათი მსგავსი ბანდების ყოველს შემძლე „ღმერთები“ ახლა უკვე ვახტანგის ძმაცაცები იყვნენ. ისინი თავიანთ მდიდარ ხაზინიდან ყოველდღიურად გარკვეულ თანხას აძლევდნენ.

მისი საუკეთესო მეგობრები გახდნენ აგრეთვე ნინა და ნატაშა. სულ გენაცვალეთი ელაპარაკებოდნენ ვახტანგს და. როცა კი შორეულ მგზავრობიდან დაბრუნდებოდნენ, არამარტო ფულს აძლევდნენ, ნაირ-ნაირი საჩუქრები ჩამოჰქონდათ მისთვის.

ხან ზაფხულის ღამებზე ხალხს ჩამო-
უტანდნენ, ხან საზღვარგარეთულ ფეხ-
საცმელს. ზოგჯერ ცოლისთვის ისეთ
რამეს შეურჩევდნენ, რაც თბილისში არ
იშოვებოდა, და ამით უფრო მეტად გა-
ხარებდნენ მას.

ასევე ხელში აიყვანა და თავის გავ-
ლენის ქვეშ მოიქცია ვახტანგმა ბაზრის
წვრილფეხა ნაძირალები: ეგრეთწოდებ-
ული სიახანდისტები, აჯოისტები, აფ-
ერისტები, ქურდბაცაცები, მტაცებლე-
ბი, ყომარბაზები, ბანქოს მოთამაშენი.
ლატარიის კერძო მებატონენი, ღვეზე-
ლის კერძო გამყიდველები (ალახმა უწ-
ყის, რისგან და როგორ აკეთებდნენ ამ
ღვეზელს), და მრავალი მათი მსგავსი
ორფეხები, რომლებიც თბობას ქსელი-
ვით გაბმულიყვენენ მთელს ბაზარში და
უბაზროდ ისე არ შეეძლოთ ცხოვრება,
როგორც თევზს უწყლოდ.

სპეკულიანტები მათ ბაზრის ტილს
უწოდებდნენ და სასტიკად სძულდათ,
რადგან „მუშაობაში“ ხელს უშლიდ-
ნენ.

ამ გადაგვარებულებს ვახტანგი ქვი-
თარს არ აძლევდა და კანონით არც
შეიძლებოდა მიცემა, მაგრამ ისინიც
აიძულა ყოველდღიურად თითო ქვით-
არის საფასური გადაეხადათ მისთვის.

ვახტანგს ახლა აღარ უხდებოდა ბა-
ზარში წინწალი და ჩხუბი ქვითარების
გასასადებლად. სპეკულიანტები თვი-
თონ მიდიოდნენ მასთან. რომელ შესას-
ვლელთანაც ის გაჩერდებოდა, იქ სხვა
ფინამკრეფი ვერ ბედავდა მისვლას; იც-
ოდნენ, რომ ქვითარს ვერ გაყიდდნენ
და მის სიახლოვეს ყველა გაურბოდა.

აღარც ნისიის აკრეფისას უხდებოდა
წვალემა და სპეკულიანტების ძებნა. ეს
საქმეც მშვენიერად მოაგვარა. ყველა
კლიენტმა, რომელიც კი მისგან ქვი-
თარს ღებულობდა, კარგად იცოდა ერ-
თი ახალი წესი. წესი, რომელიც ვახტან-
გმა დააქანონა და მისი დარღვევა ისევე
არ შეიძლებოდა, როგორც დილით სპე-
კულიანტებისათვის ფულის გადახდევო-
ნება.

ზუსტად სამი საათიდან ოთხის ნახე-

ვრამდე ვახტანგი დგებოდა ბაზრის
შუა, კუბრაშვილის ელექციონარში ამ
დროის მონაკვეთში სპეკულიანტების მი-
დიოდნენ დანიშნულ ადგილას და ვახ-
ტანგს ანგარიშს უსწორებდნენ. ფულ-
თან ერთად უბრუნებდნენ ქვითარს, რო-
მელსაც მაშინვე ყიდდა.

თუ რომელიმე სპეკულიანტი ამ „კა-
ნონს“ დაარღვევდა, მეორე დღეს, ოცი
მანეთის მაგივრად, ვალდებული იყო,
ორმოცი მანეთი გადაეხადა, ესეიგი, ორ-
მაგი. ამ „კანონის“ საფუძველზე აუკ-
რეფავი ნისიები თითქმის აღარ რჩე-
ბოდა.

გარდა ამისა, იგი კარგი ავტორიტე-
ტით სარგებლობდა ბაზრის კომიტეტში.
მთელს ბაზარში ერთ-ერთ ყველაზე სა-
უკეთესო ფინამკრეფად ითვლებოდა.
„ტალკუნკაზე“ ყველაზე მეტ ქვითარს
ვახტანგი ყიდდა და კოჭლი გოგია ვა-
რამაშვილისა და ალი მამედოვის შემ-
დეგ, ყველაზე მეტი თანხაც მას შეჰქონ-
და გენოს ხაზინაში.

ბაზრის სამმართველომ მას მადლობა
გამოუცხადა კარგი მუშაობისათვის.
გაოცებული იყო, ეცინებოდა: მადლო-
ბას რაში მიცხადებენ, — ამბობდა გუ-
ნებაში. — იმიტომ რომ ამდენ ფულს
ვაკეთებო?

გენო ყოველთვის აღტაცებით ხვდე-
ბოდა ვახტანგს. აქებდა და აქებდა ფი-
ნამკრეფებთან, ცაში აპყავდა ქებით.
ვახტანგმა კარგად იცოდა რაც ალაპა-
რაკებდა მოხუც ბუხალტერს და ამი-
ტომაც ყოველ საღამოს მზად ჰქონდა
მისთვის წითელი სამთუმნიანი.

ასევე კარგი თვალით უყურებდნენ
ბებერი ხაჩიკა და დირექტორის მოად-
გილე, მაგრამ ამ ბოლო დროს, ვარაზი-
ნაშვილი ცოტა არ იყოს, დაბლვერილი
და ცხვირჩამომშვებული ხვდებოდა.

— ნეტა რატომ მიყურებს ასე მწყრა-
ლად, რა უნდა ჩემგანო. — ამბობდა
გუნებაში და ჭერ-ჭერობით ვერ ეპოვნა
მიზეზი.

ერთი სიტყვით, ვახტანგი ახლა ჰვე-
ლას მეგობარი შეიქნა. ყველას პირზე
ეკერა მისი სახელი და მთელს ბაზარში

ყველა იცნობდა. იცნობდნენ როგორც კარგ მეჩუქეს, რომელსაც, მათი აზრით, არავის „გაფუჭება“ არ უნდოდა. სპეკულიანტები პარტიისციემით ეპყრობოდნენ, რადგან მისგან დაჭერილი კაცი ჭერ არ ენახათ.

ასეც იყო ვახტანგი არამც თუ ვინმეს აკაეებდა, პირიქით, კიდევაც მფარველობდა მათ.

სპეკულიანტებმა ვახტანგი შეიყვარეს, როგორც „ნამდვილი ვაჟაკი“, რომელსაც „თვითონაც უყვარდა ჭამა და სხვასაც არ უშლიდა, რომ ეჭამა“. თანაც უხაროდათ, რომ იგი ბოლოსდაბოლოს მოტეხეს და საერთო ენა გამონახეს, ფინამკრეფებიდან როგორც ყველაზე უფრო საშიშ და გაუტანელ პიროვნებასთან.

მსხვილა საქმოსნები ამ ამბავს თავიანთ გამარჯვებად სთვლიდნენ. უფრო თავისუფლად გრძნობდნენ ბაზარში თავს. განსაკუთრებით შიმშონი ამყოფდა. ვახტანგი კი გულში იციინოდა, რადგან მისი ყოველდღიური შემოსავალი ახლა უკვე ხუთიათას მანეთს აღწევდა.

აღარც პურისჭამას ერიდებოდა მათთან, აღარც ქეიფს. საკმარისი იყო ბაზრის ტერიტორიაზე მდებარე რომელიმე სასადილოში ან ლუღხანაში შესულიყო, რომ იმ წუთში რამდენიმე სპეკულიანტი უკან შეყვებოდა. სიამოვნებით ლებულობდა მათ მიწვევას, და, დღეში რამდენჯერაც არ უნდა ეჭამა პური, ფული არ ეხარჯებოდა.

ღირექციაშიც უფრო კარგი ავტორიტეტით სარგებლობდა. გარდა იმისა, რომ მას ყველაზე მეტი ფული შეჰქონდა სახელმწიფო ხაზინაში და გეგმას ათმაგი გადაჭარბებით ასრულებდა, ღირექტორთანაც გამოიანახა საერთო ენა.

მაღე მიხვდა ვარაზანაშვილის დაბღვერის მიზეზს. ანტონისაგან გაიგო, რომ ფინამკრეფები მას ყოველთვიურად ათას-ათას მანეთს აძლევდნენ.

არც ვახტანგს დაუხევიდა უკან. დარწმუნდა, რომ უამისოდ არ შეიძლება და და ათასი მანეთის ნაცულად, ათას-სუთასი მანეთი მიჰქონდა.

მას შემდეგ ვარაზანაშვილი სულ შეიცვალა. ვახტანგს ყოველთვის უღიმიოდა, შეხვედრის დროს საღმრთო მხარეებზე რებდა, მეგობრულად ეპყრობოდა. თათბირებზე მუდამ აქებდა და კარგი მუშაობისათვის მადლობას მადლობაზე უცხადებდა.

ხანიკა ხომ ნამდვილი ძმაკაცი გახდა მისი. როგორც კი დაინახავდა, სიხარულით სახე გაუნათებოდა და ალტაცებით შესძახებდა: ჩემმა მზემ, შენისთანა ყმაწვილი, დუნიაზე არ მეგულებო.

მას აღარც კი ახსოვდა ის ამბავი, ერთხელ კინალამ რომ წაახრჩო ვახტანგმა. ყოველ საღამოს ორმოცდაათ მანეთს ლებულობდა მისგან და ძალზე კმაყოფილიც იყო.

დღეს უფრო მეტი მონდომებით მუშაობდა ვახტანგი. ასე იცოდა, როცა ხალხი მოზღვავედებოდა, ერთი სული ჰქონდა, სანამ სახელმწიფო ქვეითრებს გაასაღებდა და მერე თავის საქმეს შეუდგებოდა.

ახლაც გავეშებული დალაჭებდა ხალხში და ქვეითარს ქვეითარზე აძლევდა სპეკულიანტებს. მოხეევას ვერ ასდიოდა. მთელ ტალუქჩკას უვლიდა გარშემო, ძირის ძირობამდე და გაუხინჯავს არც ერთ უბანს არ გაუშვებდა. ყველგან ასწრებდა ქვეითრების ჩამორიგებას. ცდილობდა, რაც შეიძლება, მეტი ქვეითარი გაეცა, რომ მეტი ფული დარჩენოდა. ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა შუბლზე. კოსტიუმზე ღილები დააწყდა.

აქამდე თუ ბაზრის თავში მსხვილ საქმოსნებთან უყვარდა ტრიალი და მთავარ შემოსასვლელს არ სცილდებოდა, ახლა ნისთვის სულ ერთი იყო. ყველგან ერთნაირად ყიდდა ქვეითარს, სადაც მოხედებოდა.

ქვეითრების სწრაფად გაყიდვას ისიც უწყობდა ხელს, რომ ქალაღში აღარ ინიშნავდა სპეკულიანტებს თავიანთი გარეგნული ნიშნებით, რასაც დრო სჭირდებოდა.

აძლევდა ზეპირად, აძლევდა ყველას, ვინც შეხვდებოდა. აძლევდა სწრაფად, რომ სხვას არ მოესწრო. და რომ გე-

კითხათ, ვისზე ჰქონდა გაცემული ქვითრები, ათ კაცს ვერ დაგისახელებდათ. მაგრამ ყოველ მათგანს თვალის ერთი გადავლებით ამოიცნობდა იმ ზღვა ხალხში, როგორც კარგი მეცხვარე ამოიცნობს ხოლმე თავის ცხვარს ათასი სულისაგან შემდგარ ფარაში.

აი, ჯერ პირველი საათი არ იყო და სამი შეკვრა ქვითარი დაარიგა. დაარიგა და კიდევ თავისუფლად ამოისუნთქა. მერე შარლის წინა პატარა ჯიბიდან ასამდე კობტად დაუთოებელი „იონანსკი“ ამოაცოცა და ორ შემოვლაზე გაასალა.

ვახტანგი ახლა უკვე დამშვიდებული იყო. საჩქარო და სასწრაფო არაფერი ჰქონდა. ოთხის ნახევრამდე შეეძლო პურიც ეჭამა და კიდევაც დაესვენა. სახელმწიფო გეგმატ შესრულებული ჰქონდა და თავისიც. ოთხის ნახევრიდან კი კვლავ ჩაებმებოდა გაწამაშიაში დაბრუნებული ქვითრების გასასაღებლად.

ფანქარი ჯიბეში ჩაიღო და პირდაპირ ქალის წინდების გამყიდველებისაკენ გაემართა. ჯერ ახლოს არ მისულიყო, რომ შორიდან იმ ახალგაზრდა მასწავლებელს მოჰკრა თვალი, შარშან ჩანთა რომ შეატოვა ხელში. მისი დანახვა არც გაკვირვებია, რადგან უკანასკნელი ერთი კვირის მანძილზე თითქმის ყოველდღე ხედავდა აქ, ამ ადგილას, წინდებით მოვაჭრე სპეკულიანტ აზას გვერდით. ხედავდა ერთს და იმავე პოზაში, ჩანთით ხელში. მაგრამ ის ჩანთა არასოდეს დაუნახავს მას გახსნილი.

ქალი, როგორც კი თვალს შეაგლებდა მათკენ მიმავალ ვახტანგს, მაშინვე შეტრიალდებოდა და ზურგს შეაქცევდა, არ დამინახოსო. მაგრამ გამოცდილ ფინამკრეფს რა გამოეპარებოდა. გრძნობდა, რომ მასწავლებელი ტყუილა არ იყო ბაზარში მოსული. არ უნდოდა უხერხულ მდგომარეობაში ჩაეყენებინა და ისე ჩაუვლიდა გვერდით. ერთხელაც არ მიიხედავდა მისკენ.

ახლა კი, რატომღაც მოუნდა გამოლაპარაკებოდა. ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა სპეკულიანტთა იმ ჯგუფს, რომ-

ლის შუაგ ის ქალი იდგა და ზრდილობიანად მიმართა:

მეგობრებო!

— მაჩვენეთ თქვენს ქვითრებს!
— მე არაფერს ვყიდი, ბატონო! — დაიბნა მასწავლებელი და ვახტანგს შიშნარევი თვალებით შეხედა.

— აი.. თქვენ ის ქალბატონი არ ბრძანდებით, შარშან რომ დაგაკავეთ? — უთხრა ისეთი ხმით, თითქოს მას შემდეგ პირველად ხედავსო.

თანხმობის ნიშნად ქალმა თავი დაუქნია. ვახტანგმა დაკვირვებით შეათვალიერა ეს მყვალთვალე მასწავლებელი და ახლა უფრო მეტად მოეწონა, ვიდრე მაშინ.

— რაზედ შეწუხებულხართ? — ჰკითხა ცნობისმოყვარეობით.

— ისე! — მხრები აიჩეჩა ქალმა და სახე ვარდისფრად შეუფაქლდა. — არ შეიძლება ბაზარში მოსვლა?

— როგორ არ შეიძლება! — ძალაუნებურად გაუღიმა ვახტანგმა. — თქვენისთანა ლამაზ ქალებს ჩვენ ყოველთვის მივესალმებით, მაგრამ სიმართლე მითხარით, ხომ არაფერს ყიდით?

ქალი შეირხა და სახე უფრო შეუფეროიანდა.

— არაფერს, ბატონო! — უთხრა შემკრთალმა. — აქ ახლოს ვცხოვრობ, სურსათის საყიდლად გამოვვდი და ახლა სახლში მივდივარ!


— ნამდვილად? — თვალეში ჩააცქერდა ვახტანგი.

— ნამდვილად! — ენა დაება ქალს.

— როგორ დავიჭერო!.. ერთი კვირია, აქ, ბაზარში გხედავთ და, არა მგონია, ტყუილა იდგეთ. მითხარით სიმართლე და ვაძლევთ პატიოსან სიტყვას, რომ მე პირიქით დავგებმარებით!

ქალი დაიბნა ვახტანგის სიტყვებზე. სახეზე წამოენთო. მზერა ველარ გაუსწორა და თავი დაბლა დახარა.

— ნუ გრცხვენიათ. ნურც გეშინიათ ნურაფრის, — განაგრძო ვახტანგმა, — ხომ გითხარით, პირიქით, დავგებმარებით. ბოლოს და ბოლოს შეცპედაგოვი ვარ პროფესიით. სანამ ბაზარში მოვიდოდი, ავჭალის საშუალო



სკოლაში ვმსახურობდი მასწავლებლად. ახლა კი, ხომ მიყურებთ, სად ვარ. ძილშიაც კი არ დამესიზმრებოდა, თუ ოდესმე აქ ამოვყოფდი თავს. რას ვიზამთ... ასეა ცხოვრება დღეს. იმისათვის, რომ ადამიანმა თავი გაიტანოს, ყველაფერს კადრულობს. ალბათ, თქვენც გაჭირვებამ გამოგავდოთ ამ ბაზარში, და ვრცხვენიათ. თანაც გეშინიათ, არ ჩავარდეთ.

ვახტანგის გულწრფელად წარმოთქმულ სიტყვებზე ქალი მოლბა. დასძლია შიშისა და სირცხვილის გრძნობა. თავი მალლა ასწია, თვალი თვალში გაუყარა და დაბალი, ნაზი ხმით უთხრა:

— კი... ვყიდი!...

— რას ყიდი?

— ქალის წინდებს!...

— ხელში რომ არაფერი გიჭირავთ?

— ამ ქალს ვაყიდვინებ! — გვერდით მდგომ აზას გადახედა, — მაგრამ მჭერა თქვენი, რომ ისე აღარ მომეჭყევი, როგორც ადრე. მით უმეტეს, ჩვენ კოლეგები ვყოფილვართ.

— როგორ გეკადრებათ! გეფიცებით სინდისს, რომ მაშინაც ჩემი ბრალი არ იყო. უფროსებმა მიბრძანეს თქვენი დაკავება და არ შემეძლო სხვანაირად მოქცეულიყავი. მე მაინც გამოვიჩინე თქვენდამი სულგრძელობა, გაგიშვით. თუმცა, რა გამოვიდა. ჩანთა ხელში შემატოვეთ!...

— ჩანთას ვინ ჩიოდა! — ოღნავ ჩაეცინა ქალს ტუჩებში.

ვახტანგმა სხვანაირად მიიღო მისი ღიმილი.

— არა გჯერათ, რომ გეუბნებით?

— როგორ არა მჭერა, უღრმესი მადლობელი ვარ თქვენი და ამიტომაც გულახდილად გელაპარაკებით. იმედია, გამიგებთ და ცუდი თვალთ არ შემომხედავთ. რა თქმა უნდა. მეც მდგომარეობამ გამომიყვანა ბაზარში და როგორც თქვენ, არასოდეს ვიფიქრებდი, თუ ოდესმე აქ სპეკულიანტების გვერდით მომიხდებოდა დგომა.

ამ სიტყვებზე ქალს სახე მოელრუბლა.

— გათხოვილი ხართ?

— დიახ, გათხოვილი ვარ!

— ქმარი სად მუშაობს? ქალმა თავი შეიკავა.

— სახელი რა გქვიათ?

— აუცილებელია, რომ გითხრათ?

— თქვენი ნებაა, მაგრამ ჩვენ ზომილიდან მეგობრები ვართ.

— ფაცი მქვიათ, მხოლოდ ძალიან გათხოვთ, მეტს ნურაფერს მკითხავთ!

— ეგრე იყოს! — ღიმილით მიმართა ვახტანგმა და ფაცის თვალბეჭდში ჩააცქერდა.

ფაციმ ერთხანს გაუსწორა მზერა, მაგრამ მერე შერცხვა და თავი დაბლა დახარა.

— კარგი, ჩემო ფაცი, ამით დავამთავროთ ჩვენი საუბარი. მიგულე მეგობრად. ნურაფრისა შეგეშინდება. გამლევ პატიოსან სიტყვას, რომ უბატონოდ ხმას ვერავინ გაგცემს ამ ბაზარში. სანამ მე აქა ვარ. ვეცდები ის მიტკალი უკან დავაბრუნებინო იმას, ვინც შეიტყაუნა. თუ მიტკალი არა, ფული მაინც...

— დიდი მადლობელი ვარ ასეთი თანაგრძნობისათვის, — სიხარულით სახე გახსნა ფაციმ, მაგრამ მიტკალს მოვეშვათ. ის უკვე წასული ამბავია და ნულარ გავიხსენებთ. ამის შემდეგ ქვითარს ყოველთვის თქვენგან ავიღებ ხოლმე, კარგი?

ვახტანგს გაეცინა.

— კარგი, კარგი! — უთხრა და კუპრაშვილის ღუქნისაკენ გასწია, სადაც ნისიები და ქვითრები უნდა აეკრიფა სპეკულიანტებისაგან.

• • •

მას შემდეგ ვახტანგი ყოველდღე ხვდებოდა ფაცის. მუშაობის დროს რამდენჯერმე ჩამოუვლიდა ხოლმე წინდების გამყიდველებს, სადაც ის ტრიალებდა. გამოელაპარაკებოდა, გაუცინებდა. ქვითარი თუ არა ჰქონდა აღებულო, მოუხვებდა, მისცემდა. თან ხუმრობით დააყოლებდა, ხეირი ნახეო. მერე

გამხნეებდა. თუ ვინმემ რამე გითხრას, შემატყობინეო, და წავიდოდა.

ფაცი ძალზე კმაყოფილი იყო ვახტანგის გაცნობით, მისი ასეთი ყურადღებიანი მოპყრობით. ვახტანგის სახით იგი ერთგულ მფარველს ხედავდა. ახლა აღარ ეშინოდა. თავისუფლად გრძნობდა თავს.

დილით, როგორც კი ბაზარში შედგამდა ფეხს, მაშინვე ვახტანგს მონახავდა. თავშეკავებული ღიმილით მიესალმებოდა და აზნათვის ქვითარს გამოართმევდა.

იმ ამბავმა უფრო გააოცა ფაცი, როცა ვახტანგმა ზუთითასი მანეთი მიუტანა და უთხრა: აჰა, შენი მიტკლის ფულიაო.

ფაციმ უარი განაცხადა ფულის აღებაზე, მაგრამ ვახტანგმა ძალით ჩაუდო ჯიბეში. თანაც დაარწმუნა: იმას გამოვართვი, ვინც შენი მიტკალი შეიტყუაუნაო.

რა იცოდა ფაციმ, რომ ვახტანგი ტყუოდა. ამ საკითხზე მას კრიტიკ არ დაუძრავს ზაჩიკასთან, რადგან ბებერ მელას კაპიკს ვერ ამოაღებინებდა ჯიბიდან.

ფაცი მოხიბლა ვახტანგის გულკეთილობამ. ყველაზე უფრო მეტად მოსწონდა მისი უბრალოება, გულწრფელობა და, რაც მთავარია, ის გულთბილი დამოკიდებულება, რომელსაც ყოველგვარი ანგარების გარეშე აკეთებდა იგი; იმ ანგარების გარეშე, მამაკაცებს რომ სჩვევიათ ქალების მიმართ.

ამ მხრივ ფაცი იდეალურ ახალგაზრდად სთვლიდა ვახტანგს, რომელსაც მისი ფიქრით, სხვა არაფერი აინტერესებდა, გარდა დახმარებისა, მეგობრობისა. ამხანაგობისა და სიკეთისა. მამაკაცის ასეთი დამოკიდებულება ქალისადმი ფაცის ადამიანის ყველაზე დიდ ღირსებად მიაჩნდა და ამიტომაც მალე განიმსჭვალა მისდამი პატივისცემის გრძნობით.

პირველად თუ პირივით ეზარებოდა ბაზარი და სპეკულიანტებთან დგომა ჭოჭოხეთად ეჩვენებოდა, ახლა კიდე-

ვაც მოუხაროდა აქეთ. თვითონაც არ იცოდა, რა იყო ამის მიზეზი. რატომ სწყუროდა ვახტანგთან შეხვედრასა და საუბარი. თვალებით დაეძებდა ზღვა ხალხში მის ნაკვალევს და, როგორც კი შენიშნავდა, დახურული გული გაეხსნებოდა, სუნთქვა შეეკვრებოდა და რაღაც უცნაური გრძნობა დაეუფლებოდა.

ბოლო ხანებში ვახტანგმაც შენიშნა ფაცის რაღაც ცვლილება, რაღაც უჩვეულო განწყობილება თავისთავისადმი, რომელიც ადრე ამ თავშეკავებულ ქალში არასოდეს შეუმჩნევია. ხედავდა, შეხვედრის დროს როგორ წითლდებოდა, და მისი დიდრონი, ნუშის მოყვანილობის მაყვალა თვალები რაღაც ამოუცნობი სევდით ივსებოდა. დიახ. ვახტანგი გრძნობდა ყოველივე ამას, მაგრამ სხვანაირად არასოდეს უფიქრია. პირიქით, ფაცის თვალებში მხოლოდ უსახლერო მადლობას კითხულობდა, რაც მისი ფიქრით, გამოწვეული იყო იმ ადამიანური დამოკიდებულებით, რომელსაც მის მიმართ იჩენდა.

XVI

ნელიმ მიაღწია თავის მიზანს. ოცნება სინამდვილედ გადაექცა. ცხოვრება მოაწყო ისე, როგორც მას უნდოდა. რომ იტყვიან, გაძღა ნაირ-ნაირი ტანსაცმლის ყიდვით. არ დაუტოვებია არც ერთი ახალი ფასონი, რომლის მიხედვით არ შეეკრა, კაბა იქნებოდა, ფეხსაცმელი, თუ სხვა რაიმე ჩასაცმელი.

მან საკომისიო მალაზიაში შეიძინა შავი კარაკულის ძვირფასი პალტო, რომლის ყიდვა მოსვენებას არ აძლევდა და რომელიც ოცდაათითასი მანეთი დაუჯდა. ასევე ქპრისთვის შეაკერინა რამდენიმე ხელი კოსტუმი, ფეხსაცმელები, ნაირ-ნაირი ზაფხულის პერანგები. უყიდა ჭრელ-ჭრელი პალსტუხები, წინდები.

ახლა იმდენი ტანსაცმელი ჰქონდათ ცოლსაც და ქმარსაც, თვითონაც არ იცოდნენ, რომელი ჩაეცვათ.

ტანსაცმელთან ერთად ნელიმ შეიძინა ოქროს ძვირფასი ბეჭდები, გულსამკაულები, იშვიათი ნაკეთობის საყურეები, სამაჯურები, ოქროს საათები, ერთი თავისთვის, ერთიც ქმრისთვის.

გარდა ამისა, ოჯახი მოაწყო ისე, როგორც ოცნებობდა.

პირველ რიგში სახლს გაუყვითა რემონტი, რომელიც ორმოცი ათასი მანეთი დაუჯდა. მერე გაყიდა ძველი ბარგი-ბარხანა და სპეკულიანტს რიგიდან ჩამოატანინა ახალი, საზღვარგარეთული საძილე თუ სასადილო ოთახების მთლიანი მოწყობილობა, კაბინეტი, კარებზე ჩამოსაფარებელი დიდი ფარდები, სადილისა და ჩაის კურონები. ვერცხლის დანა-ჩანგალი, სამი გერმანული ბროლის ქალი; ერთი — დიდი დარბაზისათვის, ორიც — პატარა ოთახებისათვის, და ოჯახისათვის მრავალი სხვა საჭირო მოწყობილობა.

ერთი სიტყვით, ნელიმ აისრულა თავისი წადილი.

ახლა მას, ცხოვრების მხრივ, არაქცოდა ამხანაგებიდან და ნაცნობ-მეგობრებიდან ვინმე შეეძრებოდა, თვით პალიკო ბეთანელის ოჯახიც კი ვერ გაუტოლდებოდა.

ამ წარმატების მოთავედ და სულას ჩამდგმელად იგი თავის თავს თვლიდა. რადგან მან, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, ქმარს შეუჩინჩხარა და ამ ცხოვრების ქუთახზე მოიყვანა.

ნელის ახლა თავისზე ბედნიერი არაკინ ეგულებოდა ამხანაგებიდან. არამცოთუ ამხანაგებიდან, მთელს თბილისში არავინ მიაჩნდა თავიანთზე უკეთესი მაცხოვრებელი. სანებლიძეების ოჯახში ფუფუნებით აღზრდილმა ქალმა კვლავ ძველებურად გამალა ხელები, ძველებურად დაიწყო გალობა.

მათ ოჯახში ახლა უფრო ხშირად იყრიდნენ თავს მახლობლები, მეგობრები, ნათესაეები. თანდათან უფრო ხშირად ეწყობოდა ქეიფი, წვეულებები, მხიარული შეხვედრები, საღამოები.

თითქმის ყოველდღე მათთან იყვნენ ლაურა დიასამიძე, რინა ბაღრიძე, ნახი

თუხარელი და სხვები. ხშირად ნელიმთან სადილობდნენ და ერთად ცეკვებდნენ.

ნელიმ სპეციალურად აყიდვინა ვახტანგს დიდი მაგნიტოფონი საზღვარგარეთული ჯაზური სიმღერებით, ვალსებით და ლამის კაბარეტების მოდერნული ცეკვებით.

დღესაც დიდი ფუსფუსი, მზადება და მხიარულება იყო სანებლიძიანთ... უკაცრავად სიღამონიძიანთ ოჯახში. ნელი ერთი კვირის გამოსული იყო სამშობიარო სახლიდან. ქალიშვილის დაბადებამ, რომელსაც რიტა დაარქვეს, უდიდესი სიხარული გამოიწვია ოჯახში. დედას ჰგავსო, ამბობდნენ ნელის ამხანაგები. პირწავარდნილი ვახტანგიც, გააძახოდა ნელი. ცხვირი მალხაზს უგავსო, ამბობდა თათია, და იყო ერთი მკითხაობა, ვის უფრო ჰგავდა პატარა რიტა, დედას, მამას თუ ნელის უდროოდ დეკარგულ ძმას მალხაზს.

ძეობაში ნელის დაპატიყდებული ჰყავდა ყველა თავისი ახლო ამხანაგი, როგორც ქალიშვილებიდან, ისე ვაჟებიდანაც. კარის მეზობლები და ნათესაეები.

ბოლო ვახტანგის მხრიდან: თედო თავისი ჩიტოთი, პეტო ვარაზანაშვილი, ანტონ ტალიაშვილი. შალვა კელიძე, გენო დიდებულისძე, სამსონ ნამორაძე, ლამაზი ვარა ბასილაშვილი და ვარაზანაშვილის განუყრელი მძაკაცები: ალი მამედოვი და კოჭლი გოგია ვარამაშვილი, ურომლისოდაც არსად დაიარებოდა ვარაზანაშვილი. მათთან ერთად ვახტანგს დაპატიყდებული ჰყავდა საბურთალოს ბაზრის შევარდნები: შიმშინი, მენაშე, შალომი, ნინა, ნიტაშა. ჩახტა და ათამდე კიდევ სხვა მათი ამხანაგი.

და რაც მთავარია, ძეობაში მოწვეულნი იყვნენ აგრეთვე ყველაზე უფრო ძვირფასი და პატივსაცემი ადამიანები, ნელის სიტყვებით რომ ვთქვათ, მათი ოჯახის „ღმერთები“, ვინც ამ ცხოვრების დიდებას აზიარეს. ესენი გახლდნენ პროკურორი პალიკო ბეთანელი და მისი მეუღლე ქალბატონი დარეჯანი.

ნელი აღრიანად გამოწყობილიყო ძვირფას ტანსაცმელში. მას ეცვა შავი ხავერდის გრძელი სათეატრო კაბა, გულზე ოქრომკედლით მოქარგული. პატარა ფეხებს უცნაური მოდის, ნიანგის ტყავისაგან შეკერილი იტალიური ფეხსაცმელები უმშვენებდა. (ეს ფეხსაცმელები ნინამ და ნატაშამ ჩამოუტანეს საჩუქრად ლენინგრადიდან). წვრილი ძეწყვით გულზე ოქროს დიდი მედალიონი ჩამოეკიდა. მედალიონზე გამოსახული იყო თამარ მეფის პორტრეტი. ეს მედალიონი ოქრომკვედლებისაგან იყიდა ნელიმ. ნელის თითები ძვირფასი თვლებით მოჭედვითი ბაჯალლო ოქროს ბეჭდებით ჰქონდა საფე. ყურებზე ოქროსივე საყურეები ეკეთა. მაჯა მომინანქრებული სამაჯურით დაემშვენებინა. თმები მოდაზე დაეყენებინა, ტუჩები და ფრჩხილები მწიფე შინდისფრად შეეღება. ახალ მოლოვინებულს ოდნავ ფერმკრთალი იერი მიეღო და თავისი ნაზი გარეგნობით ზეციურ ანგელოსს ჩამოჰგავდა.

ვახტანგიც ახალ კოსტუმში იყო გამოწყობილი. თეთრ ქათქათა ხალათზე ცისფერი პალსტუხი გაეკეთებინა, საბურთალოს მზის ქვეშ სახის კანი ბრინჯაოსფრად გახდომოდა და ეს უფრო მეტ ვაჟაკურ იერს აძლევდა.

დღეს სამსახურში არ გასულა ვახტანგი. სიბარულით ფეხზე ძლივს იდგა. სტუმრების მოლოდინში სახლში ტრიალებდა და სუფრის თადარიგს შესდგომოდა.

დილას ორჯერ იყვნენ ბაზარში ის და თედო. ბლომად იყიდეს ქათმები, ინდაურები, წიწილები, გოჭები, თევზეული. ხიზილალა და ნაირ-ნაირი ხილი.

შოთი პური გუშინვე შეუკვეთეს თონეში რაჭველებს და ამ დილით მანქანით მოიტანეს. კარგი ღვინო პალიკომ ამოვინა ნაცნობ მეღვინესთან. ნამცენარი და ტკბილეული უკვე დაკვეთილი ჰქონდათ დაბლა, სამაქარლამოში.

ვახტანგმა სპეციალურად დაიჭირავა რესტორანიდან ორი მზარეული, რომ

საქმელები გაეკეთებინათ და მთელ დამეს მომსახურებოდნენ.

რიტას შეძენით გაბარებულმა ცელქმარი არაფერს იშურებდა იმისათვის, რომ ძეობა ლაზთიანი ყოფილიყო, სტუმრები კმაყოფილნი წასულიყვნენ და ოჯახი დალოცვილი დარჩენილიყო.

ერთი სიტყვით, დიდი მზადება იყო ოჯახში. მზარეულები თავიანთ საქმეს შესდგომოდნენ და ოსტატურად სწვაოდნენ გოჭებს. წიწილებს. ამზადებდნენ გემრიელ კერძებს. იყო ერთი ტრიალი და ფუსფუსი.

ჩიტო მზარეულებს ეხმარებოდა. თედო კი ვაჟაკურად ტრიალებდა და მამაკაცის საქმეს სულ ის აკეთებდა: — შენ არ შეგშვენის ზურგზე რამე აიკოდო, მე კი მხოლოდ ამისათვის ვარ დაზადებული, — ეუბნებოდა ვახტანგს და საქმეს ცეცხლივით ეღებოდა.

მესამე სართულზე მარტომ ამოვიდა ყუთებით ლიმონათები და ოცდახუთი ტრიალი კასრებით ღვინო. მარტომ ამოიტანა თონის პური. მარტომ წამოიღო ბაზრიდან სურსათით გავსებული მძიმე ჩანთები. ბიძაშვილს არაფერზე აკიდებინებდა ხელს და, რაც საქმე გამოჩნდებოდა, ყველაფერს თვითონ აკეთებდა.

ქმარს არც ჩიტო ჩამორჩებოდა. ეს პატარა ტანის, სუსტი ქალი, თავისი ცოცხალი, დაუდგრომელი ბუნებით ყველას ანცვიფრებდა.

— ასეთი მომსახურე პერსონალი რომ გვეყავდეს რესტორანში, მეტი რაღა გვინდოდაო, — გაიძაბოდნენ მზარეულები და ზალს აცინებდნენ.

ჩიტო კი ყურადაც არ იღებდა ამ ქებას.

— ნეტა რა არის ვასაკვირი, — ამბობდა გუნებაში, — ჩვენ სუყველა შრომის შეილები ვართ და განა საქმის გაკეთება უნდა დაგვეზაროსო?

ჩიტოს უფრო სხვა რამე აკვირვებდა. იგი გაოცებული იყო ვახტანგის მდიდრულად მოწყობილი ოჯახის ნახვით.

სიღარიბეში და ობლობაში გაზრდილი ქალი ომარასა და ლოტკინის გო-

რას არ გასცილებია. ლოტკინის გორაზე ორი-სამი კაცი თუ შეედრებოდა მათ ცხოვრების მხრივ. თავისი თავი ყველაზე მდიდრად მიაჩნდა ჩიტოს და ღმერთს მადლობას სწირავდა, რომ არასოდეს არ აკლდათ შავი პური.

ახლა კი, როდესაც თავიანთი ცხოვრება ვახტანგის ცხოვრებას შეადარა და თავიანთი ქვატალახა სახლი — მათ სახლს, გაკვირვებისაგან პირი ღია დარჩა. ოჯახის მოწყობილობამ ზომ მთლად გადარია ქალი. მას არასოდეს ენახა და ვერც წარმოედგინა თუ საერთოდ არსებობდა ამისთანა ავეჯი.

გაოცებული შეჰყურებდა გემოვნებით განლაგებულ საძილე თუ სასადილო ოთახების მოწყობილობას. კაბინეტს, ბროლის ძვირფას ქაღებს, ხალიჩებითა და ლამაზი სურათებით დამშვენებულ კედლებს და თავი სიზმარში ეგონა.

მოვიდა სუფრის გაწყობის დროც. თედომ და ვახტანგმა მაგიდა გასწიეს. ეს მაგიდა ნელიმ სპეციალურად გააკეთებინა ხელოსნებს, იმ ვარაუდით, რომ დარბაზს ერთი კუთხიდან მეორე კუთხემდე გასწვდნოდა და ბევრი ხალხი დატეულიყო. რაც მთავარია, სხვა მაგიდის ჩადგმა არ დასჭირებოდა, რადგან ჩამატებული მაგიდა, მათი აზრით, აღწნობდა სუფრას და უკარგავდა ლაზათს.

თათიამ ახალ-ახალი ძვირფასი სუფრები გამოიღო კარადიდან და მაგიდას გადააფარა. შემდეგ აჩხარუნდა ჭურჭელი. ქეთინო მაღალაშვილი, რომელსაც დავალებული ჰქონდა სუფრის გაშლა, თავის საქმეს შეუდგა. ჩიტომ მზარეულებს თავი მიანება და ქეთინოსთან გადმოინაცვლა. იგი ჭურჭელს უხიდავდა მას. ის კი თავის გემოვნებით ალაგებდა მაგიდაზე.

ერთი საათის შემდეგ სუფრა უკვე მზად იყო. სუფრაზე ბლომად დახვავდა ნაირ-ნაირი საჭმელები. ირგვლივ მადის აღმძვრელი საამო სურნელები დატრიალდა.

ათვერ ჩამოჰკრა კედლის საათმა. დე-

რედანში ზარი აწკრიალდა. კარი გაიღო და მოწვეულმა სტუმრებმა ჩაუღწეულა დაიწყო დენა.

აი, გამოჩნდნენ ნელის ამხანაგებიც: რინა ბადრიძე, ლაურა დიასამიძე, ნაზი თუხარელი, ჭუმბერ ვაშაყმაძე, გური გამრეკლიძე და სამი კიდევ სხვა მათი მეგობარი. მათ ერთად მოეყარათ თავი, მზიარული სიცილ-კისკისით შემოიშართნენ ოთახში და ცოცხალი ყვავილების თავიულებით მიულოცეს ამხანაგს ქალის დაბადება.

მათ უკან მოჰყვნენ პეტო ვარაზან-შვილი, ქილვაშიანი ალი მამედოვი, მისი საყვარელი ლამაზი ვარა ბასილა-შვილი, კოკლი გოგია ვარამაშვილი, ლურჯ კოსტუმში გამოწყობილი ანტონ ტალიაშვილი, ოფიცრის მუნდირში გამოწყობილი შალვა ჭელიძე და ბებერი ხაჩიკა ხაჩატურიანი. ხაჩიკა ვახტანგს არ დაუპატიჟია, მაგრამ თვითონ წამოყოლოდა კოლეგებს.

ვარაზანაშვილს ჩესუნჩის თეთრი კოსტუმი ჩაეცვა და ტომარასავით იყო გაბერილი. ხოლო ლამაზი ვარა ისე მოხდენილად გამოწყობილიყო მოდურ ტანსაცმელში, კაცი ვერ იფიქრებდა. თუ ის ბაზრის ფინანსკრეფად მუშაობდა და სპეკულანტებში იქნებოდა გათქვეფილი.

ყველას საჩუქრები ეჭირა ხელში. გარდა ძვირფასი ნივთებისა, არ დავიწყებოდათ პატარა რიტა და იმისთვისაც წამოედოთ სათამაშოები. ვარაზანაშვილს ეტლი ეყიდა, ლამაზ ვარას დიდი დედოფალა, ხაჩიკას — „განკა-ესტანკა“. ალი მამედოვს — წითელი ბურთი.

ვახტანგი კარებში შეეგება თავის კოლეგებს, თითქოს დიდი ხანი არ უნახავსო, სათითაოდ ჩამოართვა ხელი, შინ შეიპატიჟა და ოჯახობა გააცნო.

ხაჩიკამ უკანასკნელმა ჩამოართვა ნელის ხელი. მერე ვახტანგს მიუბრუნდა და ყველას გასაგონად უთხრა:

— ვახტანგჯან, ჩვენი ფეხი კეთილი იყოს თქვენს ოჯახში. მართალია, არ დამპატიყე, მაგრამ მე მაინც მოვედი. სად არის შენი ბარიშნი?

— ჩემს ბარისნას სძინავს, ძია ხაჩი,
— უპასუხა ვახტანგმა და თან ბოდინო
მოუხანდა: ჩემი ბრალი არ არის, ვერ
გნახეო.

— გიცოცხლოს ღმერთმა, ისეთი გო-
გო გაიზარდოს, დუნიაზე არ იყოს მა-
გისტანა.

— გმადლობთ, ძია ხაჩი, გმადლობთ!
— ღიმილით უთხრა ვახტანგმა. თან ან-
ტონსა და შალვას გადახედა, რომლე-
ბიც ჩუმჩუმად იცინოდნენ.

სტუმრები კიდევ მოჰყვნენ ერთმა-
ხეთს. მათ შორის იყვნენ ნინა, ნატაშა.
შიშმონი, შალომი, მენაშე, ჩახტია და
სხვები. მათაც საჩუქრები ეჭირათ ხელ-
ში.

ბოლოს გამოჩნდა ლამაზ ტანსაცმელ-
ში გამოწყობილი პალიკო ბეთანელი,
თავისი ერთგული შეუღლით, დარეჯან-
ით. როგორც ხელი, დარეჯანიც ძვირ-
ყას ტანსაცმელში იყო გამოწყობილი
და ხელის თითები ბაჯაღლო ოქროს ბე-
ჭლებით ჰქონდა სავსე.

ვარაზნაშვილმა, როგორც კი დაინა-
ხა ოთახში შემოსული პალიკო, იმ წუ-
თას სკამიდან წამოიწია და გაღიმებულ-
სახით შესძახა:

— პალიკო დავიდოვიჩს ვახლავართ!
პალიკო დავიდოვიჩს ჩემი კეთილი სა-
ლამი!

პალიკომ სტუმრებს საერთო სალამ-
მისცა და ვარაზნაშვილისაკენ გაემარ-
თა. ვარაზნაშვილმა ხელი მაგრად ჩა-
მოართვა პროკურორს და პატივისცემის
ნიშნად თავისი სკამი შესთავაზა.

პროკურორმა მიიღო ეს პატივისცემა.
თვითონ ვარაზნაშვილის სკამზე ჩა-
მოჯდა, მას კი სხვა სკამი შესთავაზა.

სტუმრების მოსვლამ მზიარულება და
სიხალისე შემოიტანა ოჯახში. ქეიფია
დაწყების მოლოდინში ზოგი წარდს მი-
უყდა, ზოგმა კარტის თამაში გააჩაღა
ხელის ამხანაგებმა მავნიტოფონი მო-
მართეს და ცეკვაში ჩაებნენ.

თედო და ჩიტო როიალის გვერდით
დამსხდარიყვნენ და იქიდან ათვალე-
რებდნენ სტუმრებს. ჩიტო ახალგაზრ-
დების ცეკვას მისჩერებოდა, თედოს კი

თვალეები გასდიდებოდა, ხან ვარაზნა-
შვილს შეხედავდა, ხან პალიკო. ბეთ-
ანელს, ხან ალი მამედოვს და ნატას
კოჭლ გოგია ვარამაშვილს.

უცხად ხალხში მზიარული სიცილ-
კისკისი დაიჩნდა. ბებერი ხაჩიკა ლამაზ
ვარასთან მიცუნტულდა, მკლავში ხელი
მოჰკიდა და საცეკვაოდ გაიწვია.

ლამაზმა ვარამ ჯერ ტუჩი აუბზუთა ხა-
ჩიკას, მაგრამ ვარაზნაშვილის მწყალო-
ბელი ღიმილი რომ შენიშნა, ესაიამო-
ნაო, გაიფიქრა. ირიბად გადახედა ალი
მამედოვს, რომელიც წარდს თამაშობდა
ვარამაშვილთან, და ფაშფაშა ტანის
რბევით მიჰყვა ხაჩიკას ნებას.

ანტონმა ჰელიძეს შეხედა. ერთი
ფუტრე ამ ბებერ მელას, აღარ ხუმრობ-
სო, — უთხრა და ხმამაღლა გადაიხარ-
ხარა.

ხაჩიკა მართლაც არ ხუმრობდა. ცა-
ლი ხელით მაგრად ჩაებლუჯა ლამაზ ვა-
რას ხელი, მეორე წელზე შემოეხვია და
ისე მსუბუქად დაჰქონდა ბებერი ტანი.
თანაც ისე ოსტატურად აკეთებდა წრეს,
სტუმრები გაოცებული შესაქეროდნენ
კოჭლ გოგიას და ალი მამედოვს წარ-
დის თამაში დაეწყებოდათ. გამტერ-
ბულნი მისჩერებოდნენ.

ვარაზნაშვილი გულთანად ბითბითებ-
და. პალიკოც იცინოდა. ბოლო თედოს
გაღმოვარდნას გახდომოდა დიდი თვა-
ლები და წარამარა ჩიტოს ეტყოდა: —
ჩიტო, აბა შეხედე, ის ბებერი რა ა-
ბავშიაო.

ხაჩიკამ დაამთავრა ვარასთან ცეკვა.
ხელი უშვა და ყველას გასაგონად მი-
მართა:

— ვარაჯან, შენ უკვე დაბერდი, აღარ
შეგიძლიან. მამ ბოდიში და ამ ახალ-
გაზრდას ვაცეკვებ!

ხალხში ხელახალი სიცილ-კისკისი
დაიჩნდა. ხაჩიკა გვერდით შეტრიალდა
და რინა ბადრიძე გამოიწვია საცე-
ვაოდ.

რინამ არ გააწბილა მოხუცი ხაჩიკა.
სახე მზიარულად გახსნა, გამომწვევით
მხერა ანტონსა და შალვა ჰელიძეს ეს-
როლა და ცეკვაში ჩაება.

ხაჩიკამ წინა და ნატაშაც აცუკვა. ცუკვით რომ დაიღალა კოლეგებს ამაყად გადახედა და წრე ისევ ახალგაზრდებს დაუთმო.

— ძია ხაჩიკ, რა მშვენიერი ცუკვა გცოდნიათ! — ეშმაკურად მიმართა ანტონმა.

— ვა.. ჩემისთანა ცუკვა დუნიაზე კაცმა არ იცოდა, მაგრამ ეხლა მოვსუსტდი.

ყველამ ხმამაღლა გადინახარა.

— გვჯერა, ძია ხაჩიკ, გვჯერა! — სიკილით იგუდებოდა ანტონი.

დამთავრდა თამაში. ახალგაზრდებიც ცუკვით დაიღალნენ. ვახტანგმა პალიკოს წასაჩუქრებლა, თამადად შენ იქნებით, და სტუმრებს სთხოვა ადგილები დაეკავებინათ.

სუფრას შემოუსხდნენ. პალიკო თამადის ადგილას გამოიჭიმა. მას მხარა დაუმშენა პეტო ვარაზანაშვილმა. ვარაზანაშვილის გვერდით ლამაზი ვარა მოთავსდა, ვარას გვერდით ალი მამედოვი. შემდეგ გამწკრივდნენ კოჭლი გოგია ვარაშვილი, ანტონ ტალიაშვილი, შალვა ჭელიძე, ბებერი ხაჩიკა ხაჩატურიანი და სხვა სტუმრები. ნულია ამხანაგები მაგიდის მეორე მხარეს მოთავსდნენ.

პალიკომ ყანწი ასწია და ამ ქვეყნად პატარა რიტას დაბადების სადღეგრძელო დალია.

დაიწყო ჭიფი.

XVII.

ოქტომბრის შუა რიცხვები იყო. საბურთალოს ბაზარს ახლაც უამრავი მყიდველი და გამყიდველი ეტანებოდა. გახურებული ვაჭრობა არ წყდებოდა გათენებიდან დაღამებამდე.

ვახტანგი კვლავ „ტალკუჩაზე“ ტრიალებდა. ჯერ თორმეტი საათი არ იყო და ოთხი შეკვრა ჭვითარი დაერიგებინა. ახლა აღარ ჩქარობდა. ხან მაღლა აყვებოდა ბაზარს, ხან დაბლა.

წინდების გამყიდველ ქალებს წელან რამდენჯერმე ჩაუარა გვერდით, მაგრამ

ფაცის თვალი ვერსად მოჰკრა. დიღობა ჭვითარი რომ მისცა, მას შემდეგ არ დაუნახავს. ნეტა სად წავიდაო გაიფიქრა და ახლაც იქით გასწია.

ჯერ არ მიახლოვებოდა მათ, რომ ფაცის მეგობარი სპეკულიანტი ახა გულგახეტილი მივარდა მასთან და უთხრა:

— ფაცი დაიჭირეს, გესმის? ფაცი დაიჭირეს!..

ვახტანგი სახტად დარჩა.

— ვინ დაიჭირა ფაცი, რას მეუბნები?! — გაკვირვებით შესძახა და აზას ნამტირალეგ თვალბში ჩააცქერდა.

— ვართანამ დაიჭირა, თქვენმა მეჩემე! — სული ძლივს მოითქვა ახამ.

— ვართანამ?! — გაოცებით წარმოსთქვა ვახტანგმა და შუბლი შეიყრა, — როდის, როდის დაიჭირა?

— ნახევარი საათი იქნება!

— მერე სად წაიყვანა?

— თქვენთან, კანტორაში!

— უშოვნეს რამე?

— ის ჩანთა სავსე პქონდა ქალის წინდებით. მეც იქ ვიყავი!

— რას მეუბნები! მერე შენ გამოგიშვეს?

— გამომიშვეს. ერთი წყვილის გარდა, სხვა ვერაფერი მინახეს. აქტზე ხელი მომაწერინეს და მითხრეს: ბაზარში აღარ დაგინახოთო. ფაცი კი გაჩხრიკენს, ჯიბეში სამი ათასი მანეთი უპოგენეს, ის ფული ჩულქებთან ერთად ჩამოართვეს და ცალკე ოთახში შეაგდეს. ახლა, აღბათ, მილიციაში გადაგზავნიან.

ახამ ტირილი დაიწყო.

— შენი ჭირიმე, უშველე რამე, დაჩაგრული ქალია, მას თავისი დარდიც ეყოფა! — შეეხვეწა ახა.

ვახტანგი ჩაფიქრდა. მისი სიტყვებუ „დაჩაგრული ქალიაო“, გულზე მოხვდა. უნდა ეკითხა: დაჩაგრული რატომ არისო, მაგრამ ეს კითხვა უადგილოდ მოეჩვენა. თვითონაც გრძნობდა, ფაცის თავზე, რაღაც ამბავი რომ ტრიალებდა.

გამბრახებულმა ჭვითარი ჯიბეში ჩაიღო და პირდაპირ ვართანას საძებნელად წავიდა. ბოლმა ახრჩობდა. ამ წუთას

რომ შეხვედროდა, შუაზე გაგლეჯდა. ალბათ, ფულის დატყუება უნდოდა და, რომ არაფერი გამოუვიდა, იმიტომ წაიყვანაო, ფიქრობდა და სიბრაზით აღარ იცოდა, რა ექნა.

„ტალუქჩას“ ორჯერ შემოუარა გარშემო. ზღვა ხალხში ვერაფერს გახდა. ხელახლა გასწია საპალტოე ნაჭრებისა და გაყიდვებისაკენ, სადაც ბოლო დროს უყვარდა ხოლმე ქვეითების ყიდვა, მაგრამ ვერც აქ იპოვნა.

უკან შეტრიალდა. ის იყო, კანტორისაკენ უნდა წასულიყო, რომ საკოსტუმე ნაჭრების გაყიდვების პირდაპირ, ლუდხანაში თვალი მოჰკრა „მოუსვენარ თაგვს“. იგი მენამესთან იდგა, ხელში ქაფმოგდებული, ლუდით სავსე ჭიქა ეჭირა და გემრიელად წრუბავდა ცოც-ცივ ლუდს. თან რაღაცას ელაპარაკებოდა მენაშეს და ჩაბრინწული ხმით ხრთხითებდა.

ვახტანგი პირდაპირ ლუდხანაში შეიჭრა. ვართანას მძლავრად ჩაჰკრა თავში ხელი. მერე ყელში სწვდა, კედელზე მიაკრა და წაუჭირა.

ვართანას თვალი დაუბნელდა. ხრიკი დაიწყო. მენაშემ ხელიდან გამოგლიჯა ერთგული ფინამკრეფი.

— ვადაი, ნუ სცემ, შენი ჭირიმე, შენ გენაცვალე! რჯულის მადლმა, შემოგაკვებდა. ვადაი! — შეეხეწა მენაშე. მაგრამ ვახტანგმა ყურადღება არ მიაქცია.

— მითხარი, რატომ დააკავე ის ქალი?! — კბილების კრაჭუნით უთხრა „მოუსვენარ თაგვს“ და გაფითრებულ სახეზე დააქკერდა.

„მოუსვენარმა თაგვმა“ სული მოითქვა და შეშინებულმა იკითხა:

— ვინ ქალი?!

— წინდების გაყიდველი, მასწავლებელი ქალი!

— შე არ დამიკავებია!

— მაშ ვინ დააკავა, შენი!.. კიდევაც რომ მატყუებს! — ვახტანგმა მოურიდებლად შეაგინა ღედა.

— ჩემი ბრალი არ იყო! — თავი იმართლა ვართანამ.

— მაშ ვისი ბრალი იყო?.. — ვახტანგმა ხელი ასწია და კიდევ უნდა გავრტყა სახეში, მაგრამ თავი შეეკავა — ფული არ მოგვცა და იმიტომ წაიყვანე, არა? ისლა დაგჩა დაუციცლავი?.. მაგ მოღრეცილ ყბას მეორე მხარეს მოგიღრეცავ. შე მამაძაღლო, შენა! მე რომ შენსავით ნამუსზე ხელი ავიღო და მაგ გზით დავიწყო ფულის შოვნა, ღლეში ათიათას მანეთიანი ვიქნებოდი! სათითაოდ დაგაძრობ კბილებს შე გაუმაძლარო წრუწუნავ, შენა! — ვახტანგმა კიდევ აღმართა ხელი და ახლა კი მართლა უნდა ჩაერტყა სახეში, მაგრამ ისევ მენაშე გადაეღობა წინ.

— ვადაი, ნუ სცემ, შენი ჭირიმე, შენ გენაცვალე... რჯულის მადლმა, შემოგაკვებდა, ვადაი... თავს დაილუბავე!..

„მოუსვენარი თაგვი“ შიშისაგან კანკალებდა და ცხვირსახოციით ლუდით გაწუწულ სახეს იმშრალებდა.

— არა გვერა, რომ გეუბნები? — წრიბინებდა ვართანა, — დირექტორმა მითხრა და დაეკავა... მე რა შუაში ვარ?

— დირექტორმა კი არა, სამმართველოს უფროსმა გითხრა! — არ ცხრებოდა ვახტანგი, — ვარაზანაშვილი როდის ერეოდა მაგისთანა საქმეებში და გვითითებდა: ესა და ეს სპექულიანტი მომიყვანეთო? შენ იმიტომ დააკავე ის, გეგონა ნინასა და ნატაშასავით ორმოცდაათიათას მანეთს შემოგაძლევდა. ოხ, შენი ღედა!..

ვახტანგმა ერთხელ კიდევ ჩაათხლიშა ვართანას თავში, მერე უკან გაბრუნდა და პირდაპირ კანტორისაკენ გასწია, რომ ვარაზანაშვილი ენახა, შეხეწუნოდა და ფაცი გაეთავისუფლებინა.

დირექციის შენობაში მარტო გენო დახვდა.

— სად არის ვარაზანაშვილი, ძია გენო? — მოუთმენლად ჰკითხა ვახტანგმა.

— ახლა აქ იყო, მგონი, პუროს საქმეულად წავიდნენ ისა და ალი!

— რომელ სასაბილოში იქნებიან, ვერ მეტყვი?

— პირდაპირ, ყაფაზების გადასწევ-

რიც, — უპასუხა გენომ და თვალბში ჩააცქერდა, — რაშია საქმე?

— არაფერი!

— რახან არაფერი, ეგრე იყოს!... — აღარ ჩააცვივდა გენო.

ვახტანგმა კანტორა დასტოვა. სასადილოში შევიდა.

— ძია სიკო, მითხარი შენი ჭირიმი, ჩვენი დირექტორი აქ ხომ არ შემოსულა?

— აგერ იქ ზის, — ხელი გაიშვირა ოფიციალურმა პატარა ტიხარისაყენ, რომელსაც წინ ფარდები ჰქონდა ჩამოფარებული.

ვახტანგი ტიხართან მივიდა და ფარდა გასწია.

პატარა, მყუდრო ფარდულში მაგადას შემოსხდომოდნენ პეტო ვარაზანაშვილი და ალი მამედოვი. სუფრა პურმარილით დაემშვენებინათ და გემრიელად მიირთმევდნენ.

ვარაზანაშვილს მხიარული სახე ჰქონდა, თვალები ეშმაკურად უბრწყინავდა. ვახტანგი რომ დინახა, გაბადრული სახე კიდევ უფრო გაეხადრა და ერთგული თანამშრომელი სუფრაზე მიიწვია.

— მოდი, დაჯექი, პური მოგშივდა?

ალი მამედოვმა კოლეგას სკამი შესთავაზა და მესამე ჭიქა ღვინით შეავსო. ვახტანგი სკამზე დაჯდა.

— ჩვენი გამარჯვებისა იყოს, — ჭიქას ხელი წამოავლო ვარაზანაშვილმა. თანამშრომლებს მიუჯახუნა. მერე ასწია და ისე გამოცალა. წვეთი არ დაუტოვია შიგ.

— პეტო იოსებოვიჩ, ერთი სათბოვარი მაქვს შენთან! — უთხრა ვახტანგმა, როცა უფროსმა მაგიდაზე ცარიელი ჭიქა დადგა.

— საქმეზე მოხვედი, თუ პურის საჭმელად? — არ აცალა ვარაზანაშვილმა სიტყვის დამთავრება.

— პური წელან გჭამე!

— მაშ ცოტა მოიცადე, ხასიათზე მოვიდე, თორემ შეიძლება უარი გითხრა! — ამ სიტყვებზე ვარაზანაშვილმა ხმამაღლა გაღიხარხარა.

დანაყრდნენ. პეტო იოსებოვიჩმა გა-

უეთის ნახევით ქონიანი ტუჩები მოიწმინდა და ვახტანგს მიმართა:

— ახლა მითხარი, რაშია საქმე გაქვს?

— ერთი ჩემი მახლობელი ქალი დაგიაყვებიან და ის უნდა გაანთავისუფლო!

— ვინ ქალი? — წარბები შეეკუმუნვარაზანაშვილს და მთვარესავით გაბადრული, გასხივოსნებული სახე უცბად მოედრეშა.

— ვართანამ რომ დააკავა, ის! თითქოს ცივი წყალი გადაასხესო, ისე გახდა ვარაზანაშვილი.

— უყურე ერთი... — თავი გადააქნია მან და თან ალი მამედოვს გადახედა, რომელსაც ცბიერი ღიმილი ტუჩებზე შეჰყინვოდა. მერე ისევ ვახტანგს მიაკურთხეა. მაგიდაზე ხელი დაჰკრა და უთხრა: — ნეტავი ეგ არ გეთქვა და სხვა რაც გინდა, გეთხოვა!

ვახტანგი სახტად დარჩა. მიხვდა ყველაფერს. მიხვდა, რომ ვართანა არასტყუოდა. რომ ვარაზანაშვილმა განგებ დააკავებინა ფაცი, რათა დაქერით შეეშინებინა და მასთან თავისი ველური საწადელი შეესრულებინა.

— ღორი! — გუნებაში წარმოთქვა მან და აღეღვებისაგან თავი შეიკავა.

— კი, მაგრამ რა მახლობელია შენი? — თვალბში ჩააცქერდა ვარაზანაშვილი.

— ნათესავია, პეტო იოსებოვიჩ, არა გჯერა?

— არა მჯერა! ვაჟკაცურად მითხარი და შენი ხელით გამოგაშვებინებ!

— ჩემი სტუდენტობის მეგობარია!

— თუ ნაშა? — აღარ მოერიდა ვარაზანაშვილი.

— არა, სინდისს გეფიცები!

— ხომ გეუბნები, მითხარი ვაჟკაცურად და გავუშვებ! შენი ხელით გამოგაყვანინებ! — არ მოეშვა ვარაზანაშვილი.

— ხომ ვითხარი, სტუდენტობის მეგობარია-მეთქი. ჩვენ ერთად ვსწავლობდით უნივერსიტეტში. ამხანაგები ვართ.

— კარგი, კარგი, შენ შალვა ჭელიძე შოატყუე, — არ დაიჯერა ვარაზანაშვილმა, — ჯმრინაია?

— კი, ჯმრინაია!

— აგაშენოს ღმერთმა, ძმაო, იღბალი გქონია. სიმართლე ვითხრა, მთელი ერთი თვე მაგის გამოქვრახზე ვფაქრობდი და ძლივს მოვიგდე ხელში. შენს ადგილას, ვინც არ უნდა ყოფილიყო, არ დავუთმობდი, მაგრამ... რა გაეწყობა... მერე რა ქალია! ჰა ალი, რას იტყვი შენ? — ვარაზანაშვილმა ალის გადახედა და ტუჩები გააწყლავდა.

ალიმ უშნოდ გაიღრიალა.

— ნუ გეწყინებათ, პეტო იოსებოვიჩ, მაგრამ ეგ ქალი პატიოსანია და ვინც არ უნდა სცადოს მასთან საქმის დაქერა, არაფერი გამოუვა! — დარწმუნებით უთხრა ვახტანგმა.

— რას მეუბნები! — ირონიით ჩაიცივნა ვარაზანაშვილმა.

— ნამდვილად!

— კარგი თუ ღმერთი გწამს, ეგ კი არა, მაგაზე უკეთესი ქალები ყოფილან, ჩემო ვახტანგ, რომ უკისრიათ...

— შეიძლება, — სიტყვა შეაწყვეტივნა ვახტანგმა, — მაგრამ მაგაზე არ დაიჯერებ.

— ნუ დაიჯერებ! ვისურვებ წარმატებას. — ვარაზანაშვილმა ღიმილით ხელი გაუწოდა ვახტანგს, — წამოდი და შენ თვითონ გამოიყვანე, ეგ შენი პატიოსანი ანგელოზი. კარგი სიტყვაა?

— ჩემზე იყოს, პეტო იოსებოვიჩ, დიდი მადლობელი ვარ! — ვახტანგი სკამიდან წამოხტა, ჯიბეზე ხელი იკრა და სიკოსთან მივიდა.

— რამდენია, ძია სიკო, ჩვენი დანახარჯი?

— გადახდილია, ბატონო, ნუ სწუხდებით! — დაამშვიდა სიკომ.

ვახტანგი ვარაზანაშვილისაკენ შემობრუნდა.

— ვინ გადაიხადა, პეტო იოსებოვიჩ!

— აზრზედ არა ვარ!

მეზობელ ტიხარის ფარდებიდან ჩახ-

ტიამ ღრეკით გამოყო ჭორფლიანი სახე.

— ჩახტია, შენა ხარ, შიჭოჭო! — გაუღიმა ვარაზანაშვილმა, — გმადლობთ პატივისცემისათვის!

— არაფრის უფროსო! — მიუგო ჩახტიამ და ისევ შეაცურა ჭორფლიანი თავი ფარდების უკან.

— საოცარია, — თქვა ვარაზანაშვილმა გაკვირვებით, როცა კარში გავიდნენ. — რომელ რესტორანშიაც არ უნდა შევიდე საქეიფოდ, ფულს ყოველთვის სხვა იხდის. ზოგჯერ ისეთი კაცი გამოყოფს ცხვირს, აზრზედ არა ვარ. დასწყევლოს ღმერთმა, ყველა სპეკულიანტადაა გადაქცეული.

თავის სიტყვებზე ვარაზანაშვილს თვითონვე გაეცინა.

კაბინეტში შევიდნენ. ვარაზანაშვილმა უჯრიდან გასაღები ამოიღო და ვახტანგს გაუწოდა.

— წადი. გამოიყვანე და აქ მომგვარე შენი დედოფალი!

ვახტანგმა გასაღები გამოართვა, კარში გავიდა, კანტორის გვერდითა ოთახის კარი გააღო და შიგნით შევიდა.

ნამტირალევი და შიშისაგან გაფითრებული ფაცი სკამზე იჯდა და, ვახტანგი რომ დაინახა, ზეზე წამოვარდა.

— ვახტანგ, შენი ჭირიმე, მიშველე რამე! — დანახვისთანავე შესძახა შემკრთალმა ქალმა.

— ნუ გეშინიან, ფაცი. — უთხრა ვახტანგმა. — ზომ ვითხარი, უბატონოდ ხმას ვერავინ გაცემს-მეთქი. წამოდი ჩემთან, თავისუფალი ხარ!

— ოხ... ღმერთო ჩემო... — ფაციმ მშვიდად ამოიხუნთქა, — აზამ ვითხრა, რომ დამიჭირებს?

— კი, აზამ ვითხრა! რამდენი ხანაა რაც აქა ხარ?

— ერთი საათი იქნება! მე ულთხარო აზას, ჩქარა, ვახტანგს შეატყობინე-მეთქი. კიდეც კარგი, დროზე გიპოვნა!..

— არაფერია ფაცი, დამშვიდდი, გამამხნევებელი ღიმილით შესცინა ვახტანგმა, — მილიციაშიც რომ წაეყვანა.

მინც გამოვიყვანდი. შენ ვახტანგს არ იცხობ კარგად.

— როგორ არ გიცნობ, — სახე გახსნა ფაციმ, — ოო, რომ იცოდე, რა მადლობელი ვარ შენი. ალბათ, ჩემს სიკოცხლეში ვერ გადაგხვდი ამ სიკეთეს. შე მეგონა, უკვე დავიღუპე-მეთქი. ფაციმ დამშვიდდა.

— წამოდი. ღირექტორთან შევიდეთ! — ვახტანგმა ხელი დაუქირა.

— ღირექტორთან რაღა მინდა? — ქურციკებით შეერთა ქალი და თვალუბრით ხელახლა ჩაუდგა შიშის გრძნობა.

ვახტანგი დაკვირვებით დააქერდა ფაციმს სახეზე და ერთხელ კიდევ დარწმუნდა, რომ იგი ძალზე ლამაზი და მიმზიდველი იყო; რომ მის გამოხედვაში ერთოდა მეტად თავისებური, ქალური რაღაც, რომლითაც უნებურად იტაცებდა ყოველი მამაკაცის ყურადღებას და მისი დღევანდელი დაქერის მიზეზიც სწორედ ეს „რაღაც“ უნდა ყოფილიყო.

— შითხარი, რა გვინდა ღირექტორთან? — გაუშეორა ფაციმ კითხვა.

— წინდები და ფული უკან ხომ უნდა გამოართვა?

— მერე მოგვეცემს?

— როგორ არა, წავიდეთ!

თვალეში ნათელი ჩაუდგა ფაციმს.

კარში გამოვიდნენ. ღირექტორის კაბინეტში შევიდნენ.

— თქვენ ორმოცდაათი წყვილი ქალის წინდა და სამიათასი მანეთი ფული აღმოგაჩნდათ, ქალბატონო, — წარბები შეიქრა ვარახანაშვილმა. — მილიციის რამ გადაგაგზავნოთ, სასტიკად დაგაგვიან. ამიტომ შევდივარ თქვენს მდგომარეობაში და განთავისუფლებთ. მხოლოდ ბელი მომიწერეთ აქტზე, რომ დღეის შემდეგ საბურთალოს ბაზარში აღარაფერს გაყიდით, გასაგებია?

— გასაგებია, ბატონო! — უპასუხა ფაციმ და ქალღალღზე ხელი მოუწერა.

— თავისუფალი ხართ! აი თქვენი სამიათასი მანეთი ფული და წინდები, წაბრძანდით და მეორედ აღარ მოხვდეთ ჩვენს ხელში, თორემ მაშინ ვერაფერი გისწიოთ.

ვარახანაშვილმა ფული და წინდები გაუწოდა და პირზე ხერწყვილი დაკრძა ერთხელ კიდევ შეათვალა ჩემს სწიპას მოსადეგი, მაყვალთვალემა ქალი.

ფაციმ ფულთან ერთად წინდებიც გამოართვა, მადლობა გადაუხადა და კარში გავიდა.

მცირე ხნის შემდეგ ვახტანგიც გაქცა უკან.

— ახლა რა ვქნა? — ჰკითხა ფაციმ, როცა „ტალკუჩახე“ გავიდნენ, საბლში წავიდე, თუ...

— საბლში რა დაგრჩენია, მიეცი ახას და გააყიდვინე!

— კიდევ რომ დამაკაონ?

— ნუ გეშინიან! ბელსაც ვერაფერს დაგაღებს! ვარახანაშვილი ვალდებულია ასე მოქცეულიყო. ეს ამბავი მუშაობაში გვეთვლება. დღეიდან უბატონოდ ხმას ვერაფერს გაგვემს და, თუ ვინმე გახედა, იმაზე უარესი დაემართება, რაც ვართანას.

— ენახებე?

— ვეჩხებე!.. თუმცა იმისი რა ბრლი იყო...

— აბა ვისი? — თვალეში აქციტა ფაციმ.

— ვისი და, მაგ ღორის!

— ეგ რა შუაშია, ვართანამ დამიჭრა!

— ვართანამ იმიტომ დაგიჭირა, რომ მაგან უბრძანა!

— მერე და, ჩემი რა ინტერესი აქვს, პირველად ვნახე დღეს.

— ის ინტერესი აქვს, რომ მოეწონე!

— მოეწონე?!

— დიახ, მოეწონე!

— შერე?!

— მერე და შენთან საქმის დაჭერა უნდოდა. უფრო სწორად, შენი ჩაბრძენება უნდოდა! — ვახტანგს გაუციოდა. ფაციმ სახტად დარჩა.

— ცხოველი! — ზიზღით წამოიძანა მან. — ამ გზით უნდა ქალთან დაახლოება?

— როგორც სჩანს!

— აღარაფერს ჩაუწყლებდი!.. ილიოტი!

— არა და, გაგაფუჭებდა!

— იქ ჯდომხა არ სჯობია, მაგ რეგვენთან საქმის დაჭერას?

— გააჩნია, ვისთვის რა სჯობია! ეხ... ჩემო ფაცი, მოვეშვით ამ საკითხზე ლაპარაკს. მე ახლა ჩემს საქმეს შევეუდგები, შენ კი, შენსას მიხედ. საღამომდე კიდევ შეეხვდებით!

— აღარ შემიძლიან დგომა, დავილაღე. — უთხრა ფაციმ, — წავალ სახლში, ღავისვენებ და საღამოს ექვს საათზე თერთმეტსართულიანი სახლის წინ დაგელოდები. მხოლოდ ამ პირობით, თუ მე ვიქნები შენი მასპინძელი, კარგი?

— მპატივობ? — თვალები გაუბრწყინდა ვახტანგს.

— კი... გპატივობ, თუ შეკადრებ! არ გინდა ჩემთან გამოვლა?

— რატომაც არა, სიამოვნებით წამოგყვები, სადაც მეტყვი. ჩვენ ხომ მეგობრები ვართ, კოლეგები.

— რა თქმა უნდა!.. შემძულდა გაზარდი. მთელი ეს სპეკულიანტობა. სიმართლე გითხრა, ჩემი თავიც კი შემძულდა. ჭოჭოხეთად მეჩვენება აქაურობა. ვერ ვიტყვი რა მაკაეებს აქ, ამ ჭურღმულში. მე კმაყოფილი ვარ იმით, რომ შენ გაგიცანი. შენში დავინახე ნამდვილი ადამიანი, რომელმაც გამოგო. ამიტომაც გულახდილად გთხოვ, სადმე გავიაროთ, თუნდაც გასეირნება დავარქვით ამას. წავიდეთ ბოტანიკურ ბაღში, მთაწმინდაზე ან ფუნიკულორზე. მე მინდა იქ ცოტა გულს გადავაცოლო და სხვა რამეზე ვილაპარაკოთ. ვილაპარაკოთ თუნდაც ჩვენს განვლილ ცხოვრებაზე, აწმყოზე, მომავალზე. თანახმა ხარ?

— თანახმა ვარ!

— მაშ კარგი!.. როგორც გითხარი, ექვს საათზე თერთმეტსართულიანი სახლის წინ დაგხვდები, არ მალოდინო. ნახეაქდის!..

ფაცი წავიდა. ვახტანგი ადგილზე ვაიყინა. თუმცა მისი მდგომარეობის ძვირსახე არაფერი იცოდა, მაგრამ გრძნობდა, რომ ამ გულჩათბობილ ქალს რაღაც აწუხებდა, რაღაც სტანჯავდა, რო-

მელსაც, მისი აზრით, უნდოდა დაბნარება, გაგება, რჩევა-დარჩევნის მიცემა, ვულის გაკეთება და მგვგობრულსაქტელის გაწყდა.

უცლად გაახსენდა, რომ დღეს დილარინიაში უნდა წასულიყო ნელითან ერთად. პოლონური ჯახი იყო ჩაშალული თბილისში, და ბილეთებიც ნაცილი ჰქონდათ.

— არ წავალ! — გაიფიქრა მან და კვლავ ფაცის ამბავმა ჩააფიქრა, — რა საცოდავი არსებანი ყოფილან ქალები...

ვახტანგს კვლავ თვალწინ წარმოუდგა ვარაზანაშვილი. მისი ოსტატურად „დაგებული მახე“, რატომაც, ობობას ქსელად მოეჩვენა. თითქოს ხედავს, ათასნაირად დახლართულ ქსელის შუაზის, დიდი, შავი ობობა და თავის მსხვერპლს დარაჯობს. აგერ, გაებმება ქსელში უმწეო, უსუსური არსება და შავი ობობაც დააცხრება ზემოდან.

ვარაზანაშვილი იმ დიდ, შავ ობობად წარმოუდგა ვახტანგს, ფაცი კი იმ სუსტ, უმწეო არსებად, რომელიც უკვე გაბმული იყო მახეში. მე რომ არ გამოვინაოდი, ნამდვილად შეახრამუნებდა, — გაიფიქრა და მისი სიტყვები გაახსენდა:

— ეგ კი არა, მაგაზე უკეთესი ოჯახის ქალები ყოფილან, ჩემო ვახტანგ, სავა საშუალება რომ არ ჰქონიათ, უკისრიათ...

— მართლაც ცხოველი! — ვარაზანაშვილის მისამართით თქვა მან და ფიქრებიდან გამოერკვა.

საათზე დაიხედა. უკვე სამის ნახევარი ზღებოდა. ნისიებს ავკრეფო, — გაიფიქრა და კუბრაშვილის დუქნისკენ გასწია.

მალე ის კუბრაშვილის დუქნის წინ იღგა და მოუთმენლად ელოდებოდა თავის კლიენტებს.

აი, გამოჩნდნენ პირველი „მერცხლებიც“, შიმშონი, ჩახტია, მენაშე. მათ ნოკუყენნ შარვალ-ხალათებისა და იარღლის გამყიდველი სპეკულიანტები. შემდეგ სხვები. როგორც მორევიდან გაძოსული თევზის ქარავანი, ისე გამოეყინნენ მისკენ. მათ წინდაწინ გამოზადე-

ბული ფული და ქვითრები ეჭირათ ხელში და, სხვას რომ არ შეეჩინია, ჩუმად აძლევდნენ.

ვახტანგი მორჩა ფულის აკრფვას და დაბრუნებული ქვითრების გაყიდვას შეუდგა. საპალტოე ნაჭრების გამყიდველებთან ვართანა შეეფეთა. „მოუსვენარმა თავგმა“ ირიბად ახედა და გაუგებარი ბურტყუნით შეტრიალდა უკან.

— მოიცა, ვართან, რას გამირბიხარ! — დაუძახა ვახტანგმა.

„მოუსვენარი თავგი“ შემობრუნდა.
— მამატიე თუ ძმა ხარ, — ბოდისის მოხდით მიმართა მან, — დამნაშავესხვა ყოფილა და შენ კი ტყუილა გეჩხებე.

— ჯერ მცემო და მერე ბოდისი მოიხადო? იფ! რა კარგია! — გამოაჯვარა ვართანამ, — მამ მოდი, გაგარტყამ და ჯერ ბოდისს მოგახედი, კარგი?

ვახტანგს გაეცინა.
— კარგი! მოდი გამარტყი! — უთხრა და ლოყა მიუშვირა.

ვართანა თვალეში ჩააცქერდა. ვერ გაბედა გაერტყა.

... თავი დამანებე! — შეჰყვირა გაბრაზებულმა და უკან გაეპარდა.

— ანიჩკას მოკითხვა გადაეცი, ვართან! — სიტყვა დაადევნა ვახტანგმა და თავისი საქმე განაგრძო.

XVIII

სრულ ეჭვს საათზე. ლამაზ ტანსაცმელში გამოწყობილი ფაცი, თერთმეტსართულიანი შენობის წინ იდგა და მოუთმენლად ელოდებოდა ვახტანგს. თმები კოხტად დაეყენებინა, ტუჩები შინდისფრად შეუღება, ხელში პატარა საფულე ეჭირა.

იგი გაჩერებულიყო ტროტუარის ნაპირზე, ქვის გრძელი საფეხურების გასწვრივ. ფოთლებშეყვირებული დიდი გერანოს ქვეშ და უხმოდ იგერიებდა ჰამაკაცების ცნობისმოყვარე მზერას.

ფაცი ყურადღებას არავის აქცევდა. თითქოს ვერც ამჩნევდა მათ ქურდულ გამოხედვას. მოუსვენრად ტრიალებდა

ერთ ადგილზე და თვალმოუშორებლად გაჰყურებდა საქართველოს საზღვარი გზას, საიდანაც უნდა მოსულიყო ვახტანგი.

აგერ გამოჩნდა ისიც. მალალი, მხრებში გაშლილი ვაჟაკი, დიდი ნაბიჯებით მოდიოდა მისკენ. საპარიკმაბეროში პირი გაეპარსა და სუნამოთი დანამული მუქი წაბლისფერი თმა ლამაზად გადაეკარცხნა უკან.

ფაცის თვალეში გაუბრწყინდა მის დანახვაზე. იმანაც თავის მხროვ გაუცინა შორიდან. ისინი გრძობობგამოუმცლანებელ შეყვარებულეზივით შეხედნენ ერთმანეთს.

— ხომ არ დავიგვიანე, ფაცი? — ჩვეული ღიმილით უთხრა ვახტანგმა და ქალი შეათვალიერა, თითქოს პირველად ხედავსო. ახლა უფრო მეტად მოეწონა. ამ ტანსაცმელში ერთი-ორად ლამაზი და მიზიდველი ეჩვენა.

ფაციმ დაიჭირა ვახტანგის ქურდული მზერა, ამ უკანასკნელ ხანს რომ ამჩნევდა ხოლმე, მაგრამ არაფერი აგრძობინა. თვალეში ღიმილით ჩააცქერდა და უპასუხა.

— ცოტა, მაგრამ არაფერია. წავიდეთ!

— წავიდეთ... სად აჯობებს?

— სადაც შენ გინდა! შე თანახმა ვარ... თუნდაც პარიზში, ლონდონში, ან ნიუ-იორკში!.. — ფაციმ კეკლუცად გაიცინა.

— პარიზის, ლონდონის და ნიუ-იორკის რა მოგახსენო, მაგრამ ფუნიკულორზე ასვლა, მე მგონი, ყველას აჯობებდა, შენ რას იტყვი?

— ხომ გითხარი. სადაც გსურს... თანახმა ვარ, ოლონდ დროზე, ვინმე ნაკონობმა არ დაგვიანახოს.

— კარგი! — თქვა ვახტანგმა და პირველივე შემხვედრი მანქანა გააჩერებინა. ჯერ ფაცი შეუშვა მანქანაში, მერე თვითონ შევიდა. გვერდით მოუჭდა და შოფერს უთხრა, ფუნიკულორზე აგვიყვანეო.

შავტუხა შოფერმა ირიბად შეათვალიერა ეს ახალგაზრდა ქალ-ვაჭი. სირ-

ქარე ჩართო და გეზი ფუნიაქლორისკენ აიღო.

მალე ისინი ფუნიაქლორის პლატოზე იდგნენ და იქიდან დაჰყურებდნენ მტკვრის ხეობაში გადაშლილ ქალაქს.

ბინდდებოდა. გრილი, მშვენიერი საღამო იდგა. პლატო სავესე იყო მოსიერ ნე ხალხით. რესტორნის შენობიდან ჯახის სასიამოვნო ხმა იღვრებოდა.

— წავიდეთ რესტორანში, — უთხრა ვახტანგმა და ფაცის თვალებში ჩახედა, — ისე დავიდალე. სიარულის თავი არა მაქვს. იქ ცალკე ოთახში დავსხდეთ, ვისაუბროთ, თანაც ვისაზილოთ. დღეს ხომ ჩვენ არაფერი გვიჭამია.

ვახტანგმა ხელი მოჰკიდა ფაცის ტუტველ მკლავზე. მას შეტად შეკრიფი, ნაზი კანი ჰქონდა, ყრუანტელის მომგირელი.

ფაცი შეყოყმანდა.

— ჰირივით მძულს რესტორანი, — მცირე ფიქრის შემდეგ თქვა მახ, — რატომღაც შგობია, რომ იქ ცუდი ყოფაქცევის ქალები დადიან. მაგრამ მე მაინც არ გაგიტეხ ხათრს. მით უმეტეს, რომ ცალკე ვისხდებით. წამოვალ იმ პირობით, თუ კი მე ვიქნები შენი მახპინძელი, კარგი?

ფაცის გაეცინა.

— რას ამბობ, ფაცი, — ღიმილით მიმართა ვახტანგმა, — შეურაცხყოფას რატომ მაყენებ? ფულის მეტი რა მაქვს! ვახტანგმა მკლავში ხელი გამოსდო, მაგრამ ფაციმ ვააშვებინა. თვითონ გაუყარა და ნელი ნაბიჯით გაჰყვა გვერდით.

მეორე სართულზე ავიდნენ. ღია ესტრადანზე ჯახი უკრავდა რომელიღაც ვალსს. ახალგაზრდები ცეკვაში ჩაბმულიყვნენ.

ფაციმ ისე გაუარა გვერდით, არც მიუხედავს. დერეფანში შევიდნენ, თავისუფალი პატარა ოთახი დაიკავეს და სკამებზე დასხდნენ.

— ასე არა სჯობია? აბა შეხედე, რა დიდებულად მოსჩანს თბილისი! — ვახტანგმა ფარდა ასწია და ფაცის წინ მარჯულად ზღაპრული სილამაზით გადაიშა-

ლა მწუხრში გახვეული დედაქალაქი. სადაც ახლა ინთებოდა ენუქტრულამპიონები.

გეგზეიქთეკა

— ოხ, ღმერთო ჩემო, როგორ მიყვარდა წინათ ფუნიაქლორი... — გულზე ხელი დაიღო ფაციმ. კიდევ რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ ამ დროს კარი გაიღო და ოთახში თეთრ ხალათში გამოწყობილი ახალგაზრდა ოფიციანტი ქალი შემოვიდა. ოფიციანტი ღამაზი იყო, ქერა, ცისფერთვალემა. მან ცნობისმოყვარეობით შეათვალიერა ახალგაზრდა წყვალი და დამტყრეული ქართულათ მიმართა.

— რას ინებებთ, ბატონო?

— მოგვიტანეთ შემწვარი წიწილაორი, ორი ბოთლი ქინძმარაული, მწვადი, ლიმონათი, ხიზილალა, შოკოლადი ნამცხვარი. ერთი სიტყვით, მოგვიტანეთ თუ რაიმე გაქვთ კარგი! — ზედინხედ მიაყარა ვახტანგმა.

— რად გინდა ამდენი, ვინ უნდა ჰმოს? — უთხრა ფაციმ.

— იყოს, რა გენაღვლება! — წამოიძახა ვახტანგმა და ოფიციანტს ანიშნა, შენ საქმეს მიხედო. მე რე ისეც ფაცის მიუბრუნდა და დინჯად მიმართა:

— ზო... იმას ამბობდი ფაცი, ძალიან გიყვარდა ფუნიაქლორზე ამოსვლა, არა?

— ძალიან! ომამღე ხშირად დავყავდი მამას. მამა საათობით იდგა ხოლმე იმ ადგილზე, სადაც წელან ჩვენ ვიდუქით და გულამგერებული გადაჰყურებდა თბილისს. იგი გატაცებული იყო ნეენი ქვეყნის წარსულით. პროფესიით ინჟინერ-მშენებელმა ბრწყინვალედ იცოდა საქართველოს ისტორია. ვის არ უყვარს თავისი სამშობლო. მაგრამ მამას რომ უყვარდა, ტყუილია... მე ხშირად მისაყვედურია მისთვის: რატომ ამ გზით არ წახვედი-მეთქი ცხოვრებაში. მამას გაუცინია და უთქვამს: რა მნიშვნელობა აქვს, რომელი გზით წახვალ ცხოვრებაში. კაცმა თუ თავისი ქვეყნის წარსული არ იცის, ის მის შვილად არც ჩიითვლებაო.

ფაცი გატაცებით ლაპარაკობდა. ვახტანგი კი მდუმარედ უსმენდა.

— სად არის მამა? ვინა გყავს სახლში? — ჰკითხა ბოლოს.

ფაცი ერთ წუთს შეჩერდა, ამოიოხრა, განავრძო.

— მამა ყირიშში წევს ძმათა სასაფლაოზე, დედა კიდეც სახლში, გულით ავადმყოფია. მყავს დაი ჩვიდმეტი წლისა და ძმა თხოთმეტის. ყველა უბედურება ამ ომში მოიტანა. ომში იმსხვერპლა მილიონობით ადამიანთა სიცოცხლე. ომში აუბნია თავგზა მილიონობით ადამიანებს. ომი რომ არ ყოფილიყო, ალბათ, მამა ისევ სახლში იქნებოდა და ჩემი ცხოვრებაც არ წავიდოდა ამ გზით.

— ასე ყოფილა, ჩემო ფაცი, — ღრმად ამოიოხრა ვახტანგმა, რომელიც ფაცის სიტყვებს ჩაეფიქრებინა, — ომი რომ არ ყოფილიყო, მე, ალბათ, ხუთი წლის წინ დავამთავრებდი ასპირანტურას და ახლა ხარისხიც დაცული მექნებოდა. კაცი ვიქნებოდი ცხოვრებაში. ახლა კი, ხომ ხედავ ბაზარნიკად ვმუშაობ საბურთალოს ბაზარზე და ასპირანტურაში შესვლა, რომელიც ჩემი ცხოვრების იდეალს წარმოადგენდა, ერთხელაც არ გამხსენებია.

წუთით დუმილი ჩამოვარდა. თეთრბალათიანი ოფიციანტი თამამად შემოვალა ოთახში და საკმელები შემოიტანა.

— ასე უცბად? — ღიმილით ახედა ვახტანგმა ახალგაზრდა ქალს.

— კი ბატონო! — უპასუხა ქალმა და საკმელები მაგიდაზე დააწყო, — მწვადიც მალე იქნება!

ქალმა კარები გაიხურა. თითქოს არ უნდოდა საუბრისთვის ხელი შეეშალა.

ვახტანგმა ღვინო დაასხა. ჰიქა ჰიქას მიუჭახუნა და უთხრა:

— ჩვენს გაცნობას გაუმარჯოს, ფაცი, კარგი?

— გაუმარჯოს, მაგრამ მე ღვინოს არა ვსვამ!

— ქინძმარაულია, ღიმილით თუ სასკელი. სხვა თუ არა, ჩვენი მეგობრო-

ბის, ჩვენი გაცნობის სადღეგრძელო მაინც ღომ უნდა გამოცალოს!

— კარგი, დავლევ! — ფაციმორფუნათი გაცნობის სადღეგრძელო წარმოსთქვა და ჰიქა დაცალა, — მართლაც, მშვენიერი ღვინოა ქინძმარაული, სასამოვნო დასაღვევი...

ვახტანგმა ორი ჰიქა ღვინო კიდეც დააღვეინა ფაცის, და...

— აქის მეტს აღარ დავლევ, — თქვა მან, — უკვე მომეკიდა. მომეცი პაპიროსი, მინდა მოვწიო.

ვახტანგმა კოლოფით გაუწოდა. ფაციმ პაპიროსი აიღო, მოუკიდა, მოსწია. ხველება აუტყდა და თვალებიდან ცრემლები გადმოსცვივდა.

ვახტანგს გაეცინა, მაგრამ მალე ისეუ შეიკრა შუბლი. ფაცი ტიროდა. ტიროდა უნაოდ. ჩუმად, თვალებით...

— რატომ ტირი?! — გამოცებით ჰკითხა ვახტანგმა.

ფაცის გული ამოუჭდა. პაპიროსი დაავლო.

— მე თვითონ არ ვიცი, რატომ ვტირი!

— მითხარი, რატომ ტირი?!

— აბა როგორ გითხრა! — ფაცი გვერდით გადაიხარა და ვახტანგს მხარზე თავი დაადო.

ვახტანგმა ხელი მოხვია კისერზე, თავი გადაუწია და თვალეში ჩააცქერდა.

ფაციმ მზერა გაუსწორა. თვალეში ცრემლით ჰქონდა სავსე. მდუმარედ შესცქეროდა.

— ფაცი! — დაიჩურჩულა ვახტანგმა. ფაცი ხმას არ იღებდა.

— ფაცი — ხელახლა გაიმეორა მან. ფაცი ისევ ცრემლმორეული შესცქეროდა.

— ფაცი! — მესამედ გაიმეორა ვახტანგმა.

ფაცის კვლავ თვალეში გაშტერებოდა. ვახტანგმა უყურა, უყურა. მერე დაიხარა და ტუჩებში აკოცა.

ფაცი შეირხა. უცბად ჭვითინი წასკდა. ვახტანგს ხელები შემოხვია და მკერდზე მიეხურა. მთელი გრძნობით, მთელი გა-

ტაცებით ეკვროდა გულზე და თან ჩიოთინებდა.

— რატომ ტირი ფაცი?... მითხარი, რატომ ტირი. ქმართან არა ხარ კარგად? — ჩასძახოდა ვახტანგი და უკონიდა ტუჩებს, სახეს, თმას.

ოთახში ოფიციალტი ქალი შემოვიდა, მწვადი შემოიტანა. ეს სურათი რომ დაინახა, კარებში გაჩერდა და მწვადი ხელში გაუშეშდა.

— მობრძანდით. მობრძანდით! — დარცხვენით მიმართა ვახტანგმა.

ფაცი გასწორდა. ცრემლები მოიწმინდა. ოფიციალტი საინით მწვადი მაგიდაზე შემოღვა. მტრალ ქალს ქურდულად შეხედა და კარში გავიდა.

ვახტანგმა ხელახლა მოხვია ფაცის ხელი, გულზე მიიკრა. მერე თავი გადაუწია და დააქცერდა.

იგი აღარ ტიროდა. წყლიანი თვალები მისთვის გაესწორებინა.

ვახტანგმა კიდევ უფრო მძლავრად მოზიდა ქალი თავისაკენ და საკონილად დაიხარა. ფაციმ ცხელი ტუჩები შეაგება და წელანდელზე უფრო მკიდროდ მიეკრო მკერდზე.

— მე არ მაინტერესებს, შენ ცოლშეილი გყავს თუ არა. — ნაწყვეტ-ნაწყვეტად ეუბნებოდა ის. — ამას ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს. თუ ცოლშეილი გყავს, ღმერთმა კარგად ვიმყოფოს, თუ არა და, კარგი ქალი შეგერთოს. მე მინდა ჩვენ მეგობრები ვიყოთ, გესმის? კი არ გეგონოს აგეილო. არა! რომც გადაწყვიტო ჩემი ცოლად შერთვა, მაინც არ წამოგყვები. არ წამოგყვები იმიტომ, რომ მე ქმარი მყავს. მართალია, არ მიყვარს, მაგრამ ჩემი სურვილით გავყე და სიკვდილამდე მასთან დავრჩები. მხოლოდ მე მინდა ჩემი მეგობარი იყო. მეც ხომ ადამიანი ვარ. მეც ხომ გამაჩნია გული, სული. ვარ ისეთივე აგებულების, როგორც თქვენ. მეც მინდა მეგობარი... მეგობარი. რომელიც გამიგებს, ჩასწვდება ჩემს სულს. ჩემს გულს, ჩემს გრძნობებს.

ფაციმ თავი გაინთავისუფლა ვახტანგის

ვის მკლავებისაგან და ნახი, წყნარი ხმით მიმართა:

— დაასხი ღვინო, წამოწოდებე ღვინო!

ვახტანგმა ღვინო დაასხა. ფაციმ დალია.

— ალბათ, გიკვირს ჩემი ასეთი სითამამე, არა? — თვალებში ჩააცქერდა ვახტანგს, — რას იზამ... ადამიანი ზოგჯერ ასეთ ხასიათზეც დგება თურმე. შეიძლება ცუდი ყოფაქცევის ქალად ჩამთვალო. ათასი რამ იფიქრო ჩემზე, მაგრამ გეფიცები ადამიანობას, გეფიცები ყველას, თუ ვინმე ძვირფასი გამაჩნია ამ ქვეყნად, რომ მე წმინდა ვარ ჩემი სინდისის, ჩემი პატიოსნების წინაშე, წმინდა ვარ ჩემი ქმრის წინაშე, რომელიც არ მიყვარს. დიახ, არ მიყვარს. არ მიყვარს კი არა, ჯოჯოხეთად მიმაჩნია მასთან ცხოვრება. აგერ ხუთ წელზე მეტია, რაც ჩვენ ერთად ვართ, მაგრამ არასოდეს მიღალატია მისთვის. არამც თუ მიღალატია, აზრადაც არ მომსგლია სხვა ვინმე გამეჩინა, მიუხედავად იმისა, იგი ჩემზე ოცდახუთი წლით უფროსია და ათას ვინმეს გადმოუგლია ჩანგალი. მე არ ვიცი, როგორ მოხდა შენთან ყოველივე ეს... ალბათ, იმიტომ, რომ შენ მე ძლიერ მაგონებ იმას, ვინც ოდესღაც მთელ ქვეყანას მერჩინა...

ფაცის ხელახლა მოერია ტირილი. თვალებში ცრემლები ჩაუგუბდა.

— დიახ, — განაგრძო ფაციმ გაბზარული ხმით, სვენებასვენებით. — შენ მე ძლიერ მაგონებ იმას, ვისთანაც მრავალი ტუბილი მოგონება მაკავშირებს და ვინც ჩემი ცხოვრების იდეალს წარმოადგენდა. ისიც შენსავით მალალი იყო, მხრებში გაშლილი. მასაც შენსავით ღიღრონი ცისფერი თვალები და მუჭი წაბლისფერი, თმა ჰქონდა. იმასაც ისევე დიდი, მტკიცე ნაბიჯებით უყვარდა სიარული, როგორც შენ. წელან, როდესაც თერთმეტსართულიან სახლთან გელოდებოდი და დაგინახე, ის წარმომიგდა თვალიწინ. შემრცხვა, თორემ ავტირდებოდი...

ფაციმ ცრემლები მოიწმინდა თვალე-
ბიდან. განაგრძო.

— იგი სმოლენსკთან ჩამოავდეს გერ-
მანელებმა. მფრინავი იყო. ორმოცდა-
ერთ წელს დაამთავრა საავიაციოს სას-
წავლებელი. რამდენჯერმე კიდევაც ვი-
ყავი სანახავად. ოში რომ დამთავრ-
და, მისმა ამხანაგებმა გვითხრეს: სა-
პაერო ბრძოლის დროს მტრის სამი
თვითმფრინავი გაანადგურა და მერე
თვითონ დაიღუპაო. მისი ცხედარი ზარ-
ხეიმით დაასაფლავესო.

ფაცი ერთ წუთს შეჩერდა, ისევ გა-
ნაგრძო.

— მისი და მამის დალუპვის დებეშა
ერთ დღეს მივიღეთ. წარმოიდგინე, რა
მდგომარეობაში ჩავვარდებოდით. დედა
კინალამ გათავდა დარდისაგან. ერთი
კვირის შემდეგ ინფარქტი დაემართა და
ექვსი თვე საავადმყოფოში იწვა. ჩემი
დაი და მშა მამის პატარები იყვნენ.
ძლიერ გაგვიბირდა ცხოვრება, ლუკმა-
პურის შოვნა. დამხმარე არაყინ გვეყა-
და. როგორც იყო, იმ წელს დავამთავრე
გაპირვებით უნივერსიტეტი და ერთ-
ერთ სკოლაში ნახევარ განაკვეთზე და-
ვიწყე მუშაობა. მაგრამ მოგესხენებათ,
ომის წლებში ნახევარ განაკვეთზე აღე-
ბული ხელფასით რას გახდებოდი, ოთ-
ხი სულსაგან შემდგარ ოჯახში. გაპირ-
ვებამ სულ დაგვაიწყა მწუხარება.
ალარც მშა გვახსოვდა, არც ჩემი საქმ-
რო. ჩვენი ყოველდღიური ფიქრი იყო,
როგორმე გაგვეტანა თავი, რომ შიმში-
ლით არ ამოვმწყდარიყავით. ბევრი ვი-
ფიქრე და სხვა საშუალება რომ ვერ გა-
მოვხატე, გადავწყვიტე გავთხოვილიყავ.
ღიახ, გავყოლოდი ისეთ კაცს, რომე-
ლიც გაპირვებიდან გვიხსნიდა. იმის და-
ლუპვის შემდეგ, ჩემთვის სულ ერთი
იყო, ვის წაყვებოდი. არჩევანში არ
შევედიოდი, რადგან ჩემი ტოლები ყვე-
ლა ომში იყო წასული. მამის კარგი სა-
ქმროც ისეთივე ძნელი საშოვნელი
იყო, როგორც ლუკმა-პური. რა თქმა
უნდა, მე დედას არაფერი ვუთხარი
ამის შესახებ და თვალი ჩვენს ეზოში
მცხოვრებ ერთ მარტოხელა კაცს და-

ვადგი, რომელიც ამჟამად ჩემი მშობაა.
იგი მამის ორმოცდაათი წლის იყო... მა-
ლაზის დირექტორად მუშაობდა, მარტო
ტო ცხოვრობდა სახლში და ფულსაც
კარგად შოულობდა. მას ისედაც მოე-
წონდი და ამის საბაბი რომ მივეცი,
მთლად გადირია კაცი. ერთ მშვენიერ
დღეს დამიმარტოხელა და მითხრა: ცო-
ლად თუ გამომყვები, დღესვე შევირ-
თავო. მე თანხმობა განუუცხადე და ვუ-
თხარი, დედას მოლაპარაკებოდა. მეო-
რე დღეს მეუბნელი მოგზავნა ჩვენთან,
შუამავლად და დედას ჩემი თავი სთხო-
ვა. დედა სასტიკი წინააღმდეგი წავიდა.
მერე მე ჩავერიე საქმეში, დავარწმუნე
დედა, რომ მეც მომწონდა და, როგორც
იყო, დავითანხმეთ... იგი, მართლაც, კე-
თილი კაცი გამოდგა. დიდი სიკეთე გა-
უწია ჩვენს ოჯახს, ომის პერიოდში, გა-
პირვებულ დროს. ის რომ არა, ალბათ,
შიშნულით ამოვწყდებოდით. დღესაც
დიდ პატივს სცემს დედას, და-მშას. მე
ხომ პირდაპირ თავზე მევლება, აღარ
იცი, როგორ მანამ მოვხსოვს, როგორ
მოიგოს ჩემი გული. სულ ერთავად თვა-
ლებში შემომცქერის... მიუხედავად
ამისა, ჩემი გული მაინც ცივი და ულ-
მობელი გამოდგა მის მიმართ. ვერა და
ვერ შევიყვარე. ვერა და ვერ შევეთვი-
სე... ვიფიქრე დრო ყველაფრის მკურ-
ნალია და, ალბათ, დროთა განმავლო-
ბაში მეც შევეჩვევი-მეთქი. მაგრამ პი-
რიქით მოხდა. რაც დრო გადის,
ევრძნობ, რომ იგი ჩემთვის არაააობაა.
მეჩავრება, მეზიზღება... მასთან წოლა
სიკედელია ჩემთვის, ტანჯვაა, ჯოჯოხე-
თია. რამდენჯერ გადავწყვიტე, მივე-
ტოვებინა და გავტოვოლიყავ შორს,
შორს, სადაც ველარასოდეს შევხვდებო-
დი, მაგრამ ვერ გავბედე. მას გაგიყე-
ბით ვუყვარვარ და. ეს რომ გამეკეთე-
ბინა, ალბათ, ერთ დღეს ველარ იცოცხ-
ლებდა... ვარდა ამისა, ჩემს მხრივ, ეს
იქნებოდა დიდი უსინიდისობა. უფრო
მეტცი... უსინიდისობაზე უფრო უსინი-
დისობა. რადგან მას ჩემი სურვილით
წაყე. უფრო სწორად, ძალით ავეკიდე.
მან კი, ჩემი ოჯახი იხსნა დალუპვისა-

გან. როგორი ამბავია, მიატოვო კაცი, რომელსაც ამდენი სიკეთე მიუძღვის შენს მიმართ? დავმორჩილდი ბედს და გადავწყვიტე სიკვდილამდე მასთან ვიყო. ვიცხოვროთ ერთად, სანამ პირში სული ვვიდგას... რა თქმა უნდა, მე მას პატვის ვეცემ, როგორც ქმარს, როგორც ჩვენი ოჯახის მფარველს. მე ის მეცოდება და ვერავეითარ შემთხვევაში ვერ მიატოვებ.

ფაცი გაჩუმდა. თვალებიდან ისევ მოიწმინდა ცრემლები, სული მოითქვა და განაგრძო.

— მაგრამ, როგორც გითხარი, ჯოჯოხეთია მასთან ცხოვრება. მასთან წოლა სიკვდილია ჩემთვის, ტანჯვაა, წამებაა. გინდა ხესთან დავწოლილვარ, გინდა მასთან, ერთი და იგივეა. მის გვერდით ვერავეითარ ადამიანურ სიბობს ვერ ვგრძნობ. იგი ჩემთვის ცივია, როგორც სამარის ქვა.

ფაცის ტანში გააყრეოლა, ვახტანგს ხელები შემოხვია და მთელი ძალით გულზე მიეხუტა.

— ხომ გითხარი, მე არ მაინტერესებს. შენ ცოლშვილი გყავს, თუ არა, — განაგრძო მან და ცრემლიანი თვალები გაუსწორა, — ამას ჩემთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. თუ ცოლშვილი გყავს, ღმერთმა კარგად გიმყოფოს, თუ არა და, კარგი ქალი შეგერთოს. ისეთი კარგი, როგორც შენა ხარ. მე მინდა ჩვენ მეგობრები ვიყოთ. მეც ხომ ადამიანი ვარ. მეც ხომ მინდა მეგობარი. მეგობარი, რომელიც გამიგებს, ჩასწვდება ჩემს სულს, ჩემს გულს, ჩემს გრძნობებს...

ფაციმ ახლა კისერზე შემოხვია ხელები. ვახტანგმა უფრო მძლავრად მოხიდა იგი და იგრძნო, როგორ თრთოდა და კანკალებდა მის მკლავებში ეს ვნებამოჭარბებული ქალი...

— ქმარმა თუ იცის ყოველივე ეს? — კითხა ბოლოს ვახტანგმა.

— როგორ არა... ყველაფერი იცის. იცის, რომ არ მიყვარს. ეჭვიანია, საშიშელი ეჭვიანი. ახლა, ალბათ, სახლში წრიალებს და თვალი გზისკენ უჭირავს,

როდის მივალ. ამ ბოლო დროს ცუდი ამბავი შეემთხვა. ამხანაგეჭყე ულაღატეა და მალაზიაში ბლომად დანაყლისსაქალმოჩნდა. ცოტა გაწყდა, არ დაიჭირეს. ფული დააყრევინეს და სამსახურიდან მოხსნეს. ერთი წელი უმუშევარი იყო. გავეჭირდა. სახლიდან რალაცეები გავყიდეთ და დანაკლისი იმით დავეფარეთ. ამ ზაფხულს უნივერსალში დაიწყო მუშაობა გამყიდველად. წინდები იქიდან გამოაქვს.

— მერე გიშვებს ბაზარში?

— პირველად წინააღმდეგი იყო, მაგრამ ამასაც შეეჩვია. იცის, რომ მე ცუდს არაფერს გავაკეთებ, თუმცა... — ფაცის ნაძალადევად გაელიმა. ვახტანგს ხელახლა მოეხვია და მკერდზე მიეკრო, — ოხ... ღმერთო ჩემო, არასოდეს ვიფიქრებდი მის შემდეგ, თუ კიდევ ვინმე შემიყვარებოდა, თუ კიდევ მეღირსებოდა რაიმე სიხარული. გამოგიტყლები. მე საერთოდ არ მიგრძენია, რა არის მამაკაცი. შეყვარებულთანაც ძლიერ თავშეკავებული ვიყავი. ხელის მოკიდების უფლებას არ ვაძლევდი. ერთხელ მაცოცა და იმაზედაც ჩხუბი ავუტეხე. ორ თვეს არ ველაპარაკებოდი. ბოდიშს მიხდიდა. აღარ გავაკეთებო. სულელი... მე თვითონ მიკვირს მაშინდელი ჩემი საქციელი...

ფაცი გაჩუმდა, მცირე ხნის შემდეგ ისევ განაგრძო.

— ალბათ, გიკვირს, აქამდე როგორ გავძელი პატიოსნად, რომ მეგობარი არ მოვნახე. რა თქმა უნდა, თავისთავად დაგებადება ეს კითხვა. მაგრამ ამაზე არც მიფიქრია და არც მქონია სურვილი როდისმე მეფიქრა, შენთანაც შემთხვევით მოხდა. მე მეზიზღება მამაკაცები, რომლებიც ქალს მუშტრის თვლით უყურებენ და უნდათ მხოლოდ იმისათვის, რათა თავიანთი ველური სურვილი დაიკმაყოფილონ. როგორც, მაგალითად, ვარაზანაშვილს უნდოდა ჩემთან კავშირის დაქერა. ეს ხომ ველურობაა, ზნედაცემულობაა, გათახსირებაა. ვერ ვიტან ასეთ მამაკაცებს და ისინი ჩემს თვალში მონანან როგორც საქონელი, როგორც

ცხოველები. შეიძლება ვცდები, მაგრამ მე შემში დავინახე სწორედ ის ღირსება, რაც სხვაში არ შემიმჩნევია. ამას დაემატა ის ამბავიც, რომ შენ მაგონებ იმას, ვინც ოდესღაც საკუთარ თავს მერჩივნა, და როგორც წელან ვითხარი, ჩემი ცხოვრების იდეალს წარმოადგენდა. სწორედ ამ ორმა ამბავმა გადამღვმევეინა ეს ნაბიჯი, რომელიც ჩემდა უნებურად დღეს გადავდგი. იმედოვნა სხვანაირად არ მიიღებ ჩემს სითამამეს და გამოგებ ისე, როგორც მე მესმის. გამოგებ? — ფაცი თვალებში ჩააცქერდა ვახტანგს.

— გაგიგებ!.. გაგიგებ! — თავის დაქნევით უთხრა ვახტანგმა, — ლენინოს აღარ დაღვე?

— არა, გმადლობთ! მე იმიტომ დავლიე ლენინო, რომ შენთან გულწრფელი და თამამი ვყოფილიყავი. და აი, როგორც ხედავ, ყველაფერი ვითხარი, რაც მაწუხებდა. შეხედე, რა ლამაზადაა განახლებული თბილისი!

ფაცი ზეზე წამოდგა. ვერანდაზე გადაეყუდა. მერე ვახტანგისაკენ შემობრუნდა და სთხოვა, ისიც მისულიყო.

ვახტანგი წამოდგა. ახლოს მივიდა. მხარზე ხელი გადასდო და თბილისს გადახედა.

ელექტროლამპიონების ზღვაში ჩაძირული დედაქალაქი თვალის მომპრეულ კიფობდა და მის ზღაპრულ სილამაზეს რალაც თავისებური სიხალისე შეჰქონდა ახალგაზრდა წყვილის განწყობილებაში.

— ღმერთო ჩემო, რა დიდებულია, — აღტაცებით წარმოთქვა ფაციმ და ვახტანგს ღმილით შეანათა შეუქამდგარი თვალები, — მე ახლა ისეთ განწყობაზე ვარ, ისეთი განცდა დამეუფლა, თითქოს ჩემს დაზულ სულში, რალაც სიხარულის სხივმა შეანათა, სხივმა, რომელმაც ბურუსივით ვახია წლების განმავლობაში გულში ჩაბუდებული დარდი და ვარამი... ისე მგონია, თითქოს ახლა დავიბადე, ცამდე ავმადლდი. მე ძლიერ ბედნიერი ვარ შენთან შეხვედრით, შენი გაცნობით...

— მოდი, მაგ სხივს გაუმარჯოს, ფაცი. — სიტყვა შეაწყვეტინა ვახტანგის ბედით ჩაფიქრებულმა ვახტანგმა ქვას წამოავლო ხელი, — მე მინდა შენ გაგიმარჯოს, შენი სადღეგრძელო მინდა დავლიო. თანახმა ხარ?

— მე კიდევ შენ სადღეგრძელოს დავლიე. კარგი?

— კარგი, ასე იყოს!

მათ ჭიქები მიუჯახუნეს და ლენინო ბოლომდე დაცალეს.

* * *

ლენინის მოედანზე დაცილდნენ ფაცი და ვახტანგი ერთმანეთს. ვახტანგი გაოცებული იყო. ფაციის ტრაგიკულმა მდგომარეობამ მწარედ ჩააფიქრა. შეეცოდა, გული ეტყინა. აი, თითქოს ცხადად წარმოუდგა თვალწინ მისი გაქირვებული ოჯახი, ავადმყოფი დედა, დამამა, ომში დაღუპული მამა, მტრის ტყვეით განგმირული საქმრო.

— რა ბედნიერი იქნებოდა ფაცი, ეს ომი რომ არ ყოფილიყო, — ფიქრობდა ის, — ახლა მას ტყბილი ოჯახი ექნებოდა და სიცოცხლე ვარდ-ყვავილებით მოფენილი.

...რაც დრო გადის, ვგრძნობ, რომ იგი ჩემთვის არარაობაა, — აგონდებოდა მისი სიტყვები, — მეჯავრება, მეზიზღება. მასთან წოლა სიკვდილია ჩემთვის, ტანჯვაა, ჯოჯოხეთია. რამდენჯერ გადავწყვიტე მიმეტოვებინა და გავქცეულიყავ შორს, შორს სადაც ვერასოდეს შევხვდებოდი, მაგრამ ვერ ვავებდე. მას გაგიყვებით ვუყვარვარ და ოჯახიდან ჩემი წასვლა, მისი სიკვდილი იქნებოდა. დავმორჩილდი ბედს და გადავწყვიტე დავრჩე მასთან. ვიცხვროთ ერთად, სანამ პირში სული გვიდგას.

— საცოდავი... რამხელა სულის ადამიანია, რა დიდი გრძნობების პატრონი, — ამბობდა ვახტანგი გულში, — თავისი სიხარული მსხვერპლად მიუტანა ოჯახს, ნუთუ ღირსი არაა სიყვარულისა?... ოხ, ომო... წყეულიმც იყოს შენი მომგონი...

ისევ ბაზარი წარმოუდგა თვალწინ.

საბურთალოს ბინძური ბაზარი, სადაც თავს იყრიდნენ ყველა რჭულისა და ყველა ზნის გადაგვარებული ადამიანები, რომელთა შორის ფაციც ტრიალებდა. უცბად ეს ბაზარი ბინძურ, დამყაყებულ მორევად მოეჩვენა მას, ქვეწარმავლებით სავსე მორევად, რომელთა შორის დაცურავდა ეს უსუსური, უმწეო არსება და, ვინ იცის, როდის დაიძირებოდა მის მღვრიე ფსკერზე.

ვახტანგი ღრმად დააფიქრა ფაციც მწარე ბედმა. მისმა კალაპოტიდან ამოვარდნილმა ცხოვრებამ სადღაც თავის თავიც გაახსენა. განა ისიც ისეთივე შემთხვევით არ იყო გადმოვარდნილი ამ ბაზარში, როგორც ფაცი? განა იგივე ვარემოებამ არ უბიძგა, მიეტოვებინა ეთერი და შეერთო ნელი? რა იქნა მისი იდეალი, მისი ოცნება? სად გაფრინდა, რომელ მხარეს? სად დარჩა ასპირანტურა და მეცნიერების მაღალი მწვერვალებისადმი დაუოკებელი ლტოლვა? სად არის ეთერი, მისი პირველი სიყვარული, მისი საოცნებო არსება? ფაციც ომმა მოსტაცა თავისი სიცოცხლე, მაგრამ მას ვინ მოსტაცა? მათ მა-

გივრად რა უჭირავს ხელში? რა შერჩა? ბაზარი? ფული? და განა მერტვ ფულია საქმე? ვინ არიან მისი ხუთღმსწორი ძარვნი? ჩახტია, მენაშე, შიმშონი, შალომი. ნინა, ნატაშა? განა იმითმ ეწვალეზოდა ღიღილო ამდენს, რომ მისი შვილი ვარაზანაშვილის, ალი მამედოვის, კოჭლი გოგია ვარაზაშვილის, ხაჩიკას, ვართანას, ანიჩკას, „ფაშისტი“ გაგნიძის და სხვათა მისთანათა კოლეგა და თანამზრახველი გამხდარიყო? მათ ბინძურ ქვაბში მოხარშულიყო?

ასე ღრმად არასოდეს ჩაფიქრებულა ვახტანგი. ასე ღრმად არასოდეს დაჰკვირვებია თავის მდგომარეობას. მიხვდა, დაიხ მიხვდა, რომ მისი ბედი, მართლაც, სადღაც ჰგავდა ფაციც ბედს. წელან თუ ფაციც მდგომარეობამ ჩააფიქრა და შეეცოდა, ახლა საკუთარი თავი წარმოუდგა საცოდავ არსებად. ასე მწვევედ არასოდეს უგრძვნია თავის დამცირება. თავის არაკაცობა, უგულუბელყოფა თავისი მეობისა, ვაჟკაცობისა, ადამიანობისა, მოქალაქეობისა. და როცა ფიქრებიდან გამოერკვა, ფეხათრეული წავიდა სახლისაკენ.

დასასრული იქნება

თამარ ჯარსთავი

* * *

საქართველოში მერცხლები ინდოეთიდან და
არაბეთიდან მოფრინავენ.

გაზაფხულობით, როცა წვიმა
ცის კალთას რეცხავს
და ყვავილები სუფრას შლიან
ისევ ლზინისას,
საქართველოში რომ შეხვდება
მერცხალი მერცხალს,
ამბავს იტყვიან ნესტანის და
თინათინისას.

შე რომ ამოვა და უეცრად
ლამე შემცბარი
გაერიდება სიელვარეს
ახალ დილისას,

საქართველოში ვზად შეხვდება
მერცხალს მერცხალი.
და ამბავს ჰკითხავს ძმადნაფიცი
ავთანდილისას.

კიდევ მრავალჯერ დაილევა
ლამე ფერმცხრალი,
მზისკენ წაიღებს მიწის სუნთქვას
ქარი ველისა,
საქართველოში კვლავ შეხვდება
მერცხალს მერცხალი,
როგორც ოცნება ნესტანის და
ტარიელისა.

სიმაღლე

აღებულ მწვერვალს აღარ ჰქვია
უკვე სიმაღლე,
ის სხვა სიმაღლის მისადგომთან
ისევ ძირშია;
ერთ მთაზე ასვლით ჯერ მთასვლელი
მუხლებს იმაგრებს, —
ეს სხვა მთებისკენ დაწყებული
იერიშია.

სიმაღლეებო, ჩვენი სული
იმით აღზარდეთ,
რომ თქვენს აღმასვლას ამა ქვეყნად
არა აქვს ბოლო,

მოგყვებით ზევით, დავიღლებით
კიდევ ამ გზაზე,
თქვენ კი ახალი ბრძოლისათვის
გვაქეზებთ მხოლოდ.

და ამ სწრაფვაში სიჭიუტე
მუდამ თან გვახლავს,
და ემსგავსება სული ცეცხლში
ჩაგდებულ ლითონს, —
თქვენთან ჰილილში აღმოვაჩენთ
სივრცეებს ახალს
და იმ სიმაღლეს, რაიც თურმე
ჩვენშია თვითონ.



თანამის კაკუშაძე

ღაგვიანება

თავდაფიწყების გუთანი მოხნავს
დღეებს, რომლებიც შენგან მიდიან;
ნუ გამაგონებ შენს ამოხერას,
გული ისედაც ბეწვზე ჰკიდია.

როგორ გავუძლო მოლოდინს ამდენს,
ისევ მჭირდება შენი ნუგეში,
და წუთებს, როგორც სუსხიან
ატმებს,
ვწყვეტავ და ვიწყობ შიშველ უბეში

* * *

თითქოს კლდეები ცვივიან ხევში.
ისე გიგონებ, გრუხუნო შორი,
რომელი დროის რომელ კუთხეში.
მითხარ, დაგიხვდე და გეამბორო?
მე კვლავ ვინახავ იმ ძველ სახელებს
და თითქოს იმ ძველ სამოსელს
ვიცმევ.
ციხფერო ცაო, იცისარტყელე,
უა მომეხვიე, უსაზღერო სივრცე!

—•••—

მზის სარდიანები

თქველი ეგვიპტის მკვრივების ფართონ ხანათონისა და მისი თანამოცხადის
დედოფალ ნეფერტიცისა

ეს ჰიმნი 3400 წლის წინადა ამოკვეთილი ფართონ ეხნათონისა და დედოფალ ნეფერტი-
ციის სამარხის კედლებზე.

ამენპოტეფ მეოთხემ ნაყოფიერი ევალი დააჩინა ეგვიპტის ცხოვრებას. საუკუნეთა მან-
ძილზე ქურუმთა წრეში საიდუმლოდ დაცული ძველთაძველი სიბრძნე ფართონმა ყველასათვის
გასაგებ მზის კულტზე დაიყვანა, გონებამთევზდომელ სამყაროს მოსწყვიტა და მზეს მიაპყრო
ერის უტრადღება. ფართონმა სახელიც კი შეიცვალა და ეხნათონი (მზის სასურველი) შეირქვა.
მანვე გადაიტანა ტახტი მზის ქალაქში — ახეთათონში. მზეს უხედავთ მისი მეუღლის დედოფალ
ნეფერტიციის სახელშიც (სრულად — ნეფერნეფერიუათონ). ეხნათონმა მზე აღიარა ხალხთა შე-
მაყავშირებელ ძალად, განურჩევლად რასისა და სოციალური მდგომარეობისა. ყოველი კაცი
მზის წილია, ამდენად ყველა ძმა და მოყვასია ერთმანეთისა (შდრ. რუსთველის „მზე უშენოდ
ვერ იქმნების, რათგან შენ ხარ მისი წილი“ და „ვარდთა და ნებეთა ეინათგან მზე სწორად მო-
ეფინების“). ეხნათონის ჰუმანურ იდეებს მოჰყვა კულტურისა და ხელოვნების დიდი გამო-
ცოცხლება. ეგვიპტური ქანდაკების საქვეყნოდ ცნობილი შედეგები, მათ შორის დედოფალ
ნეფერტიციის სკულპტურული პორტრეტი, სწორედ ამ დროს შეიქმნა „მოქანდაკეთუბუნების“
თუთმისის მიერ.

ეხნათონის ჰიმნი უძველესია სრულად მოღწეულ ეგვიპტურ საგალობელთაგან. იგი თარგ-
მნილია ცნობილი ფრანგი ეგვიპტოლოგის მასპეროს ბწყარედის მიხედვით.

დიდება შენდა, ჰოი, ათონ! სიცოცხლის მომნიჭებელო, მზევ დაუვალაო!
ცათა შემოქმედო, ხმელთა გამამყარებელო, ზღვათა გარეშემომზღუდელო
დაუშრეტელო, შექმონამატო!

აღმობრწყინდი აღმოსავლეთით და განანათლე კიდენი სოფლისანი,
ცათა მეუფევე, ძლევეთ მოსილო!
მადლით დაქნათი დედამიწას.

შუქი შენი იღვრება ყოველში, რაიც შენ შექმენ, ყოველთა დამბადებელო,
„რა“, შემოქმედო, უფალო შენთა შექმნილთა!

ტრფობას სთესს ნათელი შენი, ცათა დაუტევენელო!

შორეულთ, მადლით გვიალერსებ, მახლობელია შენთა სხივთა კრთომა.

ვით იდიდოს სიმდაბლე შენი, მადალო!

დაუსაბამოვ, უსასრულოო, ღმერთო მხოლოო, უპირატესო ყამთა!

დღე ფხაკრფით მიჰყვება ცის თაღზე შენს სვლას, ეტლთა ცვალებას.

ჩაესვენები ცის დასავალზე, მოგვეშორები, შუქს დაგვიძვირებ.

შენგან გაყრილი ქუშდება მიწა, ილევა, კნება.

ყოვლისმომსერელი სიკვდილი დაძრწის.

ბნელა, ვითარცა ცივ სამარეში.

ნუ მოგვეშორები, ბნელისა დამნთქმელო,

მართლმსაჯულო ყოველთა დაბადებულთა,



მაცხოვარო მოკვდავთა!
 უკვდავების ნათლით გამოგვიჩინდი,
 განკვეთე ძალი ბოროტისა,
 წყვდიადისა განაჭარვე მეუფება,
 ბნელსა მყოფთ ნათლად აღმოუწოდე!
 აისის ეამს კვლავ აღმობრწყინდები ცისკიდურზე,
 შუქმოიფეგე მზეო, ძლევაშემოსილო, დიდებულო ათონ!
 წყვდიადს წამახული ისრებივით შეესევა შენი სხივები,
 ბნელი შეიმუსრვის, იშვებს ცა და ქვეყანა.
 განმგებელო ყოველთა ქმნულთა შენთა!
 შენ მიეც კაცთ ძალი ზე აღმართვისა.
 ისინი გვაშს განიბანენ, სამოსს იმოსენ,
 ზეაღპყრობილი ხელებით ზეცად ლოცვას აღავლენენ,
 სადიდებლად შენდა, ყოველთა მეუფეო!
 მაშვრალი ერი შრომას ეწევა,
 ნახირი საძოვრებს მიაშურებს;
 შენსკენ იწვდიან რტოებს ცად აზიდული ხეები,
 შენდამი ღტოლვა აღმოაკენებს თესლს.
 და ზრდის, რათა ამალღდეს და მოგიახლოვდეს.
 შენდა ესწრაფის ყოველი, მანათობელო, მაცოცხლებელო, მზეო ზენათა!
 დაბურულ ტევრთაგან შენდა მოიღტვიან ფრინველნი ცათანი,
 უკიდევგან სივრცეს სერავენ
 და გალობით ეგებებიან შენს აღმობდომას.
 შენი სურვილი ფრთას აშლევინებს ზეცის ბინადართ.

ჰე, მზეო, დამბადებელო, შეუხებელო ნათელო ზეციერო!
 ნავები აღმა ჰკვეთენ დინებას, წყალი გზას უტევს მათ.
 ზღვის ფსკერს ანათებს ნათელი შენი;
 თევზები ფართხალებენ, წყლიდან შენამდე ამობტომა სურთ, ყოველთა
 სასურველო!

შენ გააღვივე ნაყოფი დედის წიადში,
 შემოქმედო, ღმერთო ყოველთა, და ჩაუყენე თესლი მამაკაცთ;
 სულს უდგამ ჩვილს ქალის საშოში;
 მოწყალეო, ნუგეშინის სცემ აცრემლებულ ბაღს
 და ყოველს დედის ძუძუს აწოვებ.
 უზუშთაესო, ელვარეო, ყოვლად ქებულო!
 შენ შთაბერე სული ყოველთა.
 შობის დღეს, ოდეს დედის სხეულს ეყრება ბავშვი,
 შენ გაუპობ პატარას ბაგეს, ყოველ სატკივარს შენ დაუამებ.
 შენ მიეც ძალი სიცოცხლისა კვერცხში წიწილას;
 უცნაურო და მიუწვდომელო, ერთო, უთქმელო,
 შენი სურვილით წამოიჩინა, შენი სურვილით გამოტეხს ზღუდეს
 და წივილით ამცნებს სამყაროს თავის გაჩენას,
 და პოი, საოცრებაგ, ახალგამოჩეილი პაწია ფეხებით დაიარება.

ვით აღინუსხოს სიქველე შენი, შეუფრობელო მზეო!
 გული შენი გარდაჰქმენ დედამიწად,
 დაბადე ხალხი, საქონელი, წვრილი პირუტყვი.
 შემოქმედო ხმელეთის მკვიდრთა, ფეხით მოარულთა!



დამბადებელი ცის ბინადართა, ფრთით მაფრენალთა!
შენ შექქმენ უცხო სამეფონი, ასურეთი, ნუბიელთ მხარე.
შექქმენ ეგვიპტე.

ყოველ კაცს ადგილს განუწესებ, მამულს უბოძებ,
წარუშარბოვ გზას სიმართლისას, ენას განურჩევ.
დიდო გამრიგევე, შენ მიეც კაცთ ტანადობა და კანის ფერი.
შენ განასხვავე უცხო თესლი მეგვიპტელთაგან.
სამყაროს მიღმა შექქმენ ნილოსი

და ზესკნელიდან იგი ქვეყნად წარმოადინე,
მწყურვალთა ასვი წყალი,
მშიერი განაძლე პურითა,
შიშველი შემოსე სამოსლითა.

შენ მიეც ნილოსს ძალი ზეციდან წარმოადინებისა;
შენ ჩააყენე მათთა უნაგირა თხემებში წყალსავსე ტბები.
უღაბნო განაზოხე, ნაყოფი კეთილი აღმოაცენე,
შენ აჭეჭილე ყანა.

წელიწადის დრონი განაწესე,
რათა სიცოცხლე წარუშართო შენთა შექქმნილთა.
ქვეყანას ზამთარი მოუვლინე განსაახლებლად,
მცხუნვარე ზაფხულით დაუთბე შენგან გაჩენილთ.
შენ შექქმენ მზერამიუწვდომელი სიმრგვლე ცისა,
რათა ამაღლდე და სამყაროს ზემხედველი ცნობით უპკრიტო,
ოდეს კირჩხიბსა ჰზი.

ცხოველი ათონის ზატით მოგვევლინები, მთიებო შუქმფინარევი!
აღმობრწყინდები, ბნელს გაგვინათებ,
ჩაესვენები, კვლავ მოიქცევი.
შენ შექქმენ მრავალფერობა ქვეყნისა,
ერთარსებაო, შენ ხარ ყოველში!
მალლით დაჰნათი დედამიწას, მზეო ძლიერიო!
ჩემს სულში დაგივანია, ცათა მეუფევი!
ჩემებრ ვერვინ გქვრეტს, ძვი ვარ შენი.

ეპა, მზეო, გარეშე უწერელო, საქვრეტად თვალშეუდგამო
აღმოსვლა შენი სიცოცხლეს ბადებს,
შენს ჩასვენებას სიკვდილი მოაქვს.
მოწყალეო,

წინამძღვარო შეცთომილთა,
თავმდებო ბრალეულთა!
ცხოვრება საუკუნო დაუმკვიდრე ერსა ჩემსა,
გლოვისა წილ სიხარული აუწყე,
აშორე ყოველი საცთური ამა სოფლისა!
შენ განამტკიცე ჰირვეული და ურვეული,
ძვირხილული და ნაკლულევანი!
შენ აღადგინე დაცემული, დანთქმული, დავიწყებული!
ნუგეშინის ეც ზარგანხდილთა,
ძლევა მალლით მოჰმადლე ერსა!
გეაჭები,

მწყალობელი გლახათა,
 შემკრებელი განზნულთა,
 ზღუდეც და შემწეც ვნებულთა!
 მეოხ ეყავ ერსა,
 ბუნება მისი აღიყვანე ზეცისა სუფევასა.
 ნათება შენი სურდა სულსა ჩემსა,
 ჩემის ცხოვრების სასოო,
 ისმინე ლალადი ეხნათონისა, ძისა შენისა,
 შენი ნათელის წილისა.



ფრანგულიდან თარგმნა მანანა შივინიძე.



**გმირი
და რომანი**

ამ ცოტა ხნის წინ არჩილ სულაკაურმა გამოაქვეყნა პირველი წიგნი რომანისა „ოქროს თევზი“. ყველაზე საინტერესო, ჩვენი აზრით, ისაა, რომ ეს ნაწარმოები მართლაც რომანია სავსებით თანამედროვე გაგებით, ლიტერატურული აზროვნების სპეციფიკით. ნაწარმოები მოქმედების სიღრმისა და მნიშვნელობის თვალსაზრისით საკმაო მოცულობისაა, დინამიური და მრავალპლანოვანია სიუჟეტური გზების მიგნების მხრივ.

რომანის შემეცნებითი „პათოსი“ მის სოციალურობაშია. ავტორი სოციალურად აზროვნებს, და ნიშანდობლივია, რომ ინტიმურ-ადამიანური გრძნობები და ქცევები სოციალური კუთხით არის განსჯილი და შემოწმებული. შეიძლება ითქვას ისიც, რომ ამ წმინდა სოციალურ კრიტერიუმში არის მწერლის სიძლიერე და სისუსტეც ერთდროულად. როდესაც მწერალი ამგვარ პლანში გვაწვდის ადამიანთა ცხოვრების სურათებს, მაშასადამე, მას ცხოვრების გარე პირობებსა თუ გარესამყაროს შესახებ ჩამოყალიბებული აქვს ერთიანი თვალსაზრისი და მისი მსოფლგაგება მომწიფებულია; მისი კრიტიკული პლატფორმა საიმედოა და მტკიცე.

მეორე მხრივ, ზოგჯერ ეს სოციალური ტენდენცია თრგუნავს ადამიანური ქცევების და გრძნობების განსჯის სხვა კრიტერიუმს, მისგან განსხვავებული ლიტერატურულ საზომებს და მათ ფასეულობას ერთგვარ ფარგლებში თუ

ჩარჩოში ათავსებს. თუმცა ისიც შეიძლება ითქვას, რომ არჩილ სულაკაურმა ამ რომანში იპოვა გამოსავალი. მისთვის, არსებითად, სოციალურია ის, რაც ზნეობრივია და არაზნეობრივია, რაც ანტისოციალურია. ამგვარად, მწერალმა მოახერხა ეთიკურ-ლიტერატურულ ბაზაზე გაეფართოვებინა „სოციალურის“ შინაარსი და თვით მნიშვნელობაც. მორალი სოციალური კატეგორიაა, ადამიანის მორალური სახე უმაღლესად და აღიბეჭდება მის საზოგადოებრივ საქმიანობაში. წინააღმდეგობრიობა, რაიმე შეუსაბამობა ანდა თვით გამოწვევისივე ამ საკითხში ავტორისათვის არ არსებობს. ერთი განსაზღვრავს მეორეს; ავტორის ძალა მის შემოქმედებითს, „ლიტერატურულ“ სწორხაზობრიობაშია. ეს პრინციპული სწორხაზობრიობა ავტორის მოქალაქეობრივი აქტივობის დადასტურებაა. ამგვარია, ნაწილობრივ, მისი შეხედულება მწერლობაზე; ასეთია, ნაწილობრივ, მისი ლიტერატურული პატივმოყვარეობის საგანიც. ასეთი თვალსაზრისი რომანისათვის, ჩვენი აზრით, თუმცა სწორხაზობრივია, მაგრამ მაინც გარკვეული და მტკიცეა.

ადამიანთა საზოგადოებრივ-შრომითი ურთიერთობა და სიყვარულის პრობლემა, ოჯახური წესიერების თუ მეგობრობის მოტივი, ადამიანის მარტოდ დარჩენისა თუ საზოგადოებრივ ბოროტებასთან (ანტისოციალურ პიროვნებასთან) ბრძოლის საკითხი ავტორს ერთი განზომილებით აქვს განსჯილი და შეფა-

სებული. ეს ერთიანი თვალსაზრისი, ჩვენი აზრით, თუკი საესეებით მისაღებია, მაინც არასაკმარისია.

უნდა ითქვას, რომ ფსიქოლოგიური ვითარების გამოშხატველი, სულიერი მოძრაობის სათუთი ნახატი ხშირად დასაზუსტებელია. ფსიქოლოგიური არგუმენტაციის სისწორე და ნამდვილობა ნიჭიერი ავტორის მიმართ პირველხარისხოვანი მნიშვნელობის პრეტენზიაა—მისი შემდგომი შემოქმედებითი ზრდისა და კვალიფიცირებისათვის.

რომანის გამოქვეყნებული ნაწილი იკითხება ინტერესით და ხშირად დაძაბული ყურადღებით. ამას ხელი შეუწყო არა მარტო იმ ვარემოებამ, რომ ნაწარმოებში ერთმანეთს უპირისპირდება და მოქმედების განვითარების ცენტრალურ თემად თუ ბაზად იქცევა ბნელი წარსულის საქმოსანი-კომბინატორის ნიკო კორინთელის (მეტსახელით „შავი ნიკო“) პიროვნების უარყოფითობა (მთელი სოციალური განზოგადებით) და დათო ნათიშვილის ახალგაზრდა ინჟინრის, ქმედითი რიგიანობა, პრინციპულობა. ამ ორი გმირის გარშემო, შესაბამისად, დგანან მათი თანამოაზრეები, თითქმის თანამებრძოლები. ასეთი პოლარული ხასიათის მოვლენების გარშემოა „თავმოყრილი“ და წარმოდგენილი ის სოციალური თუ პირად-ინტიმური გრძნობები და ქცევები, რომელნიც რომანში ქმნიან კადეც მის სულისკვეთებას და იდეურ-თემატურ დატვირთვას.

რომანში ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენს დათო ნათიშვილი. ავტორი შეეცადა ეს შინაგანი კეთილშობილებით დაჭილდოებული ადამიანი საესეებით თანამედროვე ტიპის ქართულ ახალგაზრდად დაეხატა. როგორ მოახერხა ავტორმა ამ საპატიო ამოცანის მხატვრულად გადაწყვეტა? პირველ რიგში მწერალი ცდილობს დახატოს ისეთი ადამიანი, რომელსაც თავისი ცხოვრების, პირადი ბედნიერებისა და მოქალაქეობრივი ღირსების მოსაპოვე-

ბლად თუ დასაცავად სჭირდება საკმაოდ სერიოზული დაბრკოლებების გადალახვა. როგორი ხასიათისაა ეს წინააღმდეგობები და დაბრკოლებები? როგორც ზემოთქმულიდან უნდა იყოს გასაგები, ისინი აშკარად საზოგადოებრივ ხასიათს ატარებენ.

როგორც კი რომანის გმირი ცხოვრების სარბიელზე გამოდის, მის რიგიან და კეთილ საქმიანობას გამუდმებით ემუქრება არა მარტო ბნელი კომბინატორი „შავი ნიკო“, არამედ თვით საკუთარი მამა, პლატონ ბარამიძე. ამ უკანასკნელს სურს ისევე „ააწყოს“ ცხოვრება მისმა უმცროსმა ვაჟმა, როგორც ის ამას თვითონ სჩადის. პლატონ ბარამიძე ყრუ-მუნჯთა არტელში მუშაობს (თუმცა ის ინვალიდი არაა) და ბნელი მაქინაციებით წარმართავს თავის საქმოსნობას. ის „შავი ნიკოს“ პარტნიორია და მის საქმოსნურ ქსელშია გაბმული. ავტორი საკმაოდ მახვილგონიერად გვიხატავს მის კარიერას და მის პიროვნულ ქცევებსაც. პლატონ ბარამიძეს თავისი მოგონილი „სიყრუე“, რომლის წყალობითაც ის ამგვარი ტიპის დაწესებულებაში მუშაობს, მაშინაც არგია, როდესაც სურს წაუყრუოს ნიკო კორინთელის ენერგიულ გამოთქმებს ან დამამკირებელ დასაქმებას და თავისი მლიქვნელობა, ერთგვარად ამნაირი გზით უნდა შენიღბოს.

„პლატონი სხევაბადრული შესცივინებდა ნიკოს, — წერს ავტორი, — ხოლო როცა ეს უთხრა, საზე დაეკაბა, ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს ხელი გაეკო მას ეუბნებოდნენ. ნიკომ ბევრ ჩაქნია, ვითომ არაფერი გვეშველებაო, და უსიტყვოდ ანიშნა ის, რაც წელან სიტყვით უთხრა. პლატონი ვაგიდა და მალე შემობრუნდა უკან.“

ნუთუ, თავის მეგობარსაც ატყუებდა, რომ ყრუ იყო? ნამდვილად ატყუებდა მეგობარი („შავი ნიკო“ — გვ) ათასგვარ შეურაცხყოფელ სიტყვებს ეუბნებოდა იმ იმედით, რომ პლატონს არ ესმოდა, ხოლო პლატონი ყველაფერს ამას უსიტყვოდ იტანდა, არა მარტო იტანდა, ქლესურად შეპლდობოდა სახეში. რისთვის დაიყრუა და დაიმუნჯა ამ კაცმა თავი? იქნებ, მართლა ყრუ იყო და დათომ არ იცოდა? დათოს უკვე აღარ შეეძლო აქ ყოფნა....“ (გვ.149).

დათოს მამა, უფრო სწორად, მამობილი, რა თქმა უნდა, ყრუ არაა. მაგრამ, ეკუთვნის იმ ჯურის ადამიანებს, რომლებიც თავს იყრუებენ მაშინ, როდესაც ეს მათ ხელს აძლევთ, და საკმაოდ ფიზიკური მეთვალყურეობა შეუძლიათ, როდესაც საქმე მათ კეთილარსებობას შეეხება. საკუთარ ოჯახში, წესით, ის კარგად არ უნდა გრძნობდეს თავს; უფროსი ვაჟი, სამამულო ომის მონაწილე, ბრესტის დაცვის ეპოპეის გმირი, მირიან ნათიშვილი მას საკმაოდ უნდობლად და უკაცურად ეკიდება, რადგან მისი ფასი კარგად იცის. დათო ერთი საბედისწერო შემთხვევის წყალობით (ნიკო კორინთელი მას მშენებლობაზე დასჭირის და ამგვარად სამშენებლო მასალას გაიტაცებს) პლატონის უშუალო მოწინააღმდეგე და ბრალმდებელი ხდება. ცოლთანაც პლატონი „ბედნიერი“ აღარაა და ბედნიერებას ოჯახის გარეთ ეძებს. მაგრამ მიუხედავად ამგვარი ვარაუდ-მიზეზებისა, ორივე გერი ტოვებს ოჯახს, ილტვიან მისგან და პლატონი ჭრჭერობით მტკიცედ გამოიყურება თავის ოჯახურ ციხე-სიმაგრეში.

მართალია, დათო და მისი ახლო მეგობრები — ეურნალისტები — ფარხმალს არ ყრიან და მეთოდურად ებრძვიან ამ ანტისაზოგადოებრივ ადამიანებს, მაგრამ რომანის პირველ ნაწილში მათ აქტიურ შემტევ საქმიანობას ჭერეალური შედეგი არ გამოუღია. იმედია, შემდეგ ნაწილში ავტორი გვიჩვენებს, რომ რეალური შედეგების მიღწევა იოლი არაა, თუმცა გამოსავალი ყოველთვის შეიძლება მოიხაზოს; ეს გამოსავალი, საერთოდ, ავტორის აზრით, შეუწყლებელი და პრაქტიკული ბრძოლა და დაპირისპირებაა. რიგიანი ადამიანის ნებისყოფა და ნათელი რწმენა უპირისპირდება სოციალურ მანკიერებას და პიროვნულ რეტროგრადობას.

როგორც ითქვა, დათო ნათიშვილი საესეებით თანამედროვე ადამიანის ფიქრებითა და ემოციებით ცხოვრობს,

ითქვა ისიც, რომ ის საზოგადოების აქტიური და გონიერი წევრია; მაგრამ მხატვრობის თვალსაზრისით, კარგია, რომ მთავარი გმირის ეს აქტიური დამოკიდებულება ცხოვრების ფორმებისადმი არაა სტემატურად ნაჩვენები, და ამდენად მისი როლიც საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობისა არაა გადაჭარბებული. დათოსთვის ნაცნობია ერთგვარი დაეჭვება საკუთარ ძალაში, ნაცნობია შიში მოქმედების თუ მოსაქიდებლის დაძლევაში, ნაცნობია თავისებური უკმარობის გრძნობა და ერთგვარი გაურკვევლობაც თავის საბოლოო მიზნებისა და, განსაკუთრებით, „ბრძოლის“ (პირობითად რომ ვთქვათ) საშუალებებში.

დათოს ეგონა, — გვაცნობებს ავტორი, — რომ დაახლოებით იცოდა, მასზე რას ფიქრობდნენ, რა თქმა უნდა, შეფასებაში ცდებოდნენ, მაგრამ ოდესმე ხომ უნდა დაუმტკიცოს მათ თავისი სიმართლე. ნუთუ ასე ძნელია საკუთარი სიმართლის დამტკიცება?

დათო გრძნობდა, მის თავისუფლად მოქმედებას ვილაყები ბოჭავდნენ. ეს ვარაუდობა მით უმეტეს აწუხებდა, რომ დარწმუნებული იყო, ცუდს არაფერს აკეთებდა. პირიქით, შეეძლო სხვებისათვის ბევრა რამ სასარგებლო გაეკეთებინა, მაგრამ ზოგიერთ მის მოქმედებას ეპვი უშვებდა და სწორედ ეს ეპვი ბოჭავდა და ბორკავდა დათოს.

მზალი და მშინარა არახოდეს ყოფილა, მაგრამ, როდესაც დაეჭვდნენ მის სიწმინდესა და სიმართლეს, ამათუ დაეჭვდნენ, დაადანაშაულებს კიდევ, დათომ გამბედაობა დაჰკარგა, ეშინოდა, კიდევ არ დაეჭვებულაყენენ მის პატიოსნებაში, კიდევ ახალი წრდილი არ შეეყენებინათ მისი სახელისათვის“. (გვ. 123).

დათო, მართლაც მდიდს მამობილის სახლიდან და მიემგზავრება ენგურაქესის მშენებლობაზე, თუმცა მას თბილისშიც შეეძლო დარჩენა და სამუშაოს გამოხატვა. ნიშნავს თუ არა ეს, რომ დათომ საბოლოოდ დასთმო საკუთარი შემტევი პოზიცია? მკითხველს უკვე სჯერა, რომ ეს ასე არაა. მშობლიური ქალაქიდან წასვლა, სადაც მას შეხვდა მრავალი ტყვილი და დაბრკოლება, გაქცევის არ ნიშნავს. ჩვენ არ გვძნდა გავუსწროთ ამბებს და წინასწარმეტყველებას შევეუ-

დგეთ, მაგრამ დათოს ეს აქტი გვინდა გავიგოთ და შევაფასოთ, როგორც სულიერ ძალთა ახალი მოკრებების და ახალ შეტევების მზადების ადამიანურ მიჯნად.

კიდევ ერთ საინტერესო სახეს ვხვდებით რომანში. ეს არის მირიან ნათიშვილი. ავტორს ის ჩაფიქრებული აქვს, როგორც ყველაზე რთული და ფსიქოლოგიურად ღრმა მხატვრული პერსონაჟი, მაგრამ გამოქვეყნებულ ნაწილში ის ძუნწი მინიმუმებით, ოდნავ ქარაგმული მხატვრული შტრიხებით და საკმაოდ ეპიზოდური ჩვენებით არის შემოფარგლული. ჩვენ ვივებით, რომ ის სამამულო ომის მონაწილეა, ბრესტის გმირია, რომელიც შემდეგ ტყვედ ჩავარდა, მაგრამ ფრანგ პარტიზანებთან ერთად ებრძოდა ფაშისტებს; შემდეგ მირიანი, როგორც ტყვედნამყოფი სასაჯელს იხდის მაგადანში, სადაც მას მრავალი ფათერაკი გადახდომია, ხოლო მშობლიურ სახლში დაბრუნების შემდეგ წერს მოთხრობებს და, საერთოდ, საკმაოდ კარჩაკეტილ, გულჩაობრობილ ცხოვრებას ეწევა; ის თითქოს ერთგვარი იდუმალებით მოცული პიროვნებაა.

იგი სტოვებს პლატონ ბარამიძის ოჯახს, როდესაც მისი გმირობის საქმე საქვეყნოდ გამოაშქარავდება, და ჩანს, რომ ემზადება ცხოვრების ახლად დაწყებისათვის, რომელიც, თუკი მკითხველის გუშანი არ გვღალატობს, ბევრად უფრო ნათელი და სასიხარულო უნდა ვაზღვის მისთვის.

რომანში არის საკმაოდ რთული სასიყვარულო ინტრიგა, მაგრამ, ჩვენ აზრით, ამ ინტრიგას მკვეთრი ნახატი არა აქვს, და მხატვრული პროზის მოთხოვნების შესაბამისად მეტ დაკონკრეტებასა თუ ვრცობის სისწორეს საქიროებს. მკითხველი მხოლოდ ბუნდოვანად მოიაზრებს იმ ამბებს, თუ როგორ და რისთვის დაშორდა დათო ციციოთა, რა მოსწონდა და რით მიიზიდა ბუბა ეშბამ მისი არსება, რატომ დაენანა მანანას გათხოვება მის ძმაცხე და ა. შ. ამ-

გვარ ვითარებაში მკითხველის გარკვევა ავტორისაგან მოითხოვს გუქმობის ადწერას, სულიერი მდგომარეობის ახსნის მეტ სტაბილობას, დასაბუთებას და ადამიანის სულიერი ცხოვრების უფრო ღრმად წვდომას. სიყვარულის ძალის არაცნობიერი, ირაციონალური ბუნება მხატვარ პროზაიკოსს სრულებით არ აძლევს უფლებას არ გამოავლინოს მისი ძირითადი სტიმულები, მისი წარმომშობი მოსალოდნელი თუ მოულოდნელი პირობები და, ბოლოს, მისი განვითარების თუ შეწყვეტის შინაგანი დინებები და არსები.

რატომ ეწოდება რომანს „ოქროს თევზი“? ნათიშვილებს ოჯახში აქვარიუმში მოთავსებული ოქროს თევზი ნაწარმოების დასაწყისში თითქოს შემჩანური ყოფის თავისებური სიმბოლოა. მაგრამ ოქროს თევზი, ავტორის ნებასურვილისა და ფანტაზიის თანახმად, ცოცხალი, მგრძნობიარე და შთაბეჭდილებიანი არსებაა, თითქოსდა მოქმედი პერსონაჟიყაა. მისი „სახის“ განვითარება გვიდასტურებს, რომ რომანში მას აქისრია ბევრად უფრო უანგარო ფუნქცია: ის თითქოს სარკეა ოჯახური ბედნიერებისა თუ სიწმინდისა. იმისდა მიხედვით, თუ როგორი თვალით წარმოგვიდგენს ან უყურებს ავტორი (მასთან ერთად მკითხველი) ამ მრავალფეროვან ოჯახის მორალურ-საზოგადოებრივ სახეს, მის ზედასვლას თუ დაქინებას, ოქროს თევზიც ისეთივე პერიპეტეზა და ფათერაკებს განიცდის.

მკითხველი გასაგები ინტერესით მოვლის არჩილ სულაკაურის რომანის შემდეგი ნაწილის გამოქვეყნებას, რადგან პირველი ნაწილი სრულდება ნათიშვილების ოჯახის ნაწილობრივი დაქსაქსვით და ოქროს თევზის (აქვარიუმის სახლიდან გატანის შემდეგ) სიკვდილით.

* * *

არჩილ სულაკაურის „ოქროს თევზის“ მთავარი გმირი რომ შევადაროთ ნოდარ დუმბაძის რომანის „მზიანი დამის“ მთავარ პერსონაჟს თეიმურაზ ბა-

რამიძეს, მათ შორის სულიერ და ზნეობრივ ნათესაობას შევამჩნევთ, თუმცა მხატვრული მეთოდის მიხედვით ისინი სრულიად სხვადასხვა პლანში არიან შესრულებულნი. მაინც ნოდარ დუმბაძის ძირითადი ზერხი, რომლითაც იმ უხვად სარგებლობს და თავის მხატვრულ მსოფლშეგრძნებას გამოხატავს, როგორც აღიარებულია, არის იუმორი. იუმორი მის გმირებს ეხმარება შეარბილოს თუ შეამსუბუქოს წინააღმდეგობანი და სიძინელები, რომლებიც მათს პირად თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში შეხვედრიან; მეორე მხრივ, უფრო ელასტიურად და გამახვილებით ებრძოლონ ყოველივე მანკიერ მხარეს, რომელსაც კი მათ ირგვლივ მყოფ ადამიანებში აღმოაჩენენ. გმირების თვითკრიტიკულობა და საკუთარი თავის გაკენწვლაც იუმორისტულ ფერებში ხდება, თუმცა ავტორი არ ფიქრობს, რომ ცხოვრების საფუძველს იუმორი შეაღვეს და, ამიტომ ის წყაბერტები, რომლებიც მიზანს არ ასცდენია და მათ ზოგჯერ მიუღიანთ, სრულებით არ ყოფილა იუმორისტული წარმოშობისა და ზოგჯერ ადამიანის ყველაზე ბნელი და უმსგავსო არსებიდან ამოშავალი.

ამიტომ ნოდარ დუმბაძე მთელი სერიოზულობით ეკიდება თავის ამოცანას — ახალგაზრდა სტუდენტი ადამიანის თვალთ შეხედოს ცხოვრების მოუწესრიგებელ მხარეებს და გახადოს ის გამკენწვლავი იუმორის საგანად. მისი პოზიცია, როგორც ზოგიერთი ახალგაზრდა პროზაიკოსისა, კრიტიკულია და გულწრფელად მამხილებელი. ნოდარ დუმბაძესთან ეს კრიტიციზმი იმითაცაა საინტერესო, რომ მან, თითქმის ერთადერთმა, გამახვილა იმ მხარეზე ყურადღება, რასაც თვითკრიტიკულობა ეწოდება და, რაც ასე ძვირფასია ლიტერატურულ ნაწარმოებებში სიმართლის გრძნობის მისაღწევად. „მზიანი ლამის“ ავტორისათვის არ არსებობს იდეალური გმირი. ლიტერატურის და თანამედროვეობის გმირი მასთან იმგვარი მეთოდით არის დახატული, რომ

ჩანს, ის არაა შეუვალი ზოგიერთ არასრულწლოვან ადამიანურ სინუსტიკულად მართლაც, თუმცა ბარამიძე იმისთვის კარგად სწავლობს უნივერსიტეტში, როგორც ეს კარგ სტუდენტს შეეფერება და მოეთხოვება, არც ისეთ ლექსებს წერს, რომ პოეტის სახელი დაიმკვიდროს, არც ისეთი უბადლო მიჯნურია, რომ პირველი სიყვარული ფათერაკებს ააცდინოს და ბოლომდე შეინარჩუნოს და ა. შ.

ერთხელ მისი უახლოესი და მასთან შეზრდილი მეგობარი გურამი თემურს გამოუტყდება კიდევ:

„...ელასში რომ რაიმე დაიკარგებოდა, შეშინოდა, შენი წაღებული არ ყოფილიყო. გაკვეთილს რომ გაეცდნო, შეშინოდა სკოლაში აღარ დაბრუნდებამეთქი. თავერა რომ ქურდობაზე დაიპირეს, შეშინოდა. — შენც დაგიპირდნენ, მეგონა, მასთან ერთად. ათწლედი რომ დაემთავრეთ, შეშინოდა, უმაღლესში არ შემოვამეთქი... მეერ ჩემი შიში რომ არ მართლდებოდა, მრცხენოდა, თან მიხაროდა“.

მაგრამ ეს თანამედროვე ქართველი ახალგაზრდა მკითხველის დიდ სიმპათიას იწვევს. მკითხველს უყვარს იგი და ამასოვრდება კიდევ, თუნდაც იმიტომ, რომ მისი პიროვნების არსებობა საფუძველთა-საფუძველი კაცთმოყვარეობის სითბოთაა გაცხოველებული. მისი რიგიანი ადამიანობა, სიმართლის სიყვარული, ცხოვრებისეულ მოვლენებისადმი პირდაპირ თვალეში ყურება, ბოროტებასთან არშერიგების შინაგანი წყურვილი და სხვა, რალაც ერთ დიდ თვისებას ემყარება, და ეს ბედნიერი, კეთილშობილი თვისება კაცთმოყვარეობაა.

ავტორი არაა წინააღმდეგი, რომ ადამიანის პიროვნება, და ამ პიროვნების შეფასება, ძირითადად, ერთ რალაც დიდ, ფართო, ყოვლის განმპირობებელ ნიშნადღე დაიყვანოს; ეს არსებითი ნიშანი რომანში არის ადამიანის, ნაწარმოებში მოქმედი გმირის პუმანურობა. ავტორის აზრით, თუკი ადამიანის შინაგანი ზნეობრივი დულაბი, პიროვნებისათვის მთავარი და ცენტრალური ფსი-

ქიკური „ბირთვი“, კეთილშობილური და ჰუმანურობის გამომატველია, ის ჰუმანიტად დადებით ადამიანს წარმოადგენს და მით უფრო სინტერესოა, თუ მომხიბვლელობაა, თუკი ცალკეულ უკვე არაპირველხარისხოვან ნაკლთავან დაზღვეული არაა. ეს შეხედულება ლიტერატურულ გმირის რაობის შესახებ ავტორს საკმაოდ აშკარად და ხელშესახებად აქვს ხორცშესხმული „მზიან ღამეში“. ასეთია მისი მხატვრული მეთოდის კიდევ ერთი მხარე.

თემურ ბარამიძე ობლობაში გაზრდილი ახალგაზრდაა; ის რეპრესირებული მშობლების შვილია და მისი პიროვნების ჩამოყალიბებაც ხდება იმ პირობებში და გარემოცვაში, რომელიც მისთვის საკმაოდ ბევრი წუხილის მომგვარელი უნდა ყოფილიყო. 12 წელიწადი იზრდებოდა ის, მშობლებს ზრუნვას მოწყვეტილი, მაგრამ სწორ გზას თუ არ ასცდა, იმიტომ, რომ შინაგანად მისთვის ეს მიუღებელი იქნებოდა. შინაგანი სიკეთე იხსნის მას ნახევრადუპატრონო ბავშვის ფათერაკიანი მომავლისა და სხვადასხვა ცდუნებებისაგან. იქნებ, მისი მშობლებიც მსხვერპლი გახდნენ ისეთივე გარეწარის მავნე საქმოსნობასა. როგორსაც რომანში აბიბო წარმოადგენს? იმიტომ, ჩვენი აზრით, ლიტერატურულად გულუბრყვილოდ გამოიყურება რომანის თავი „არა კაც ჰკლა“, სადაც ავტორი გვიჩვენებს, რომ თემურ ბარამიძემ თავისი კეთილშობილი ქცევით თუ ქესტით, მთლიანად დაუპირისპირდა რა აბიბოს მხაკვრულ კაცობას (მივიღოთ მხედველობაში ისიც, რომ აბიბო თემურის პირადი „მტერიცაა“, მასაც ცინიკურად და მხაკვრულად მოექცა). „სინანულის“ გრძნობა გამოიწვია ამ უკანასკნელში და მას ცრემლები გადმოადინა.

ჩვენ გვესმის, რომ თემურ ბარამიძეს პატარა ქრისტეს როლი უტვირთია: თემურ ბარამიძე სიკვდილის პირს მისულ აბიბოს სადარბაზოში წააწყდება და თავისი ზურგით აიტანს მესამე სართულზე, მის ბინაში, თითქოს ეს მისი ჯვარა

ყოფილიყო. მისი ეს მოქმედება გაუმართლებელი და ზედმეტად ემოციურია. ეს ქრისტიანულ „ქვისტის“ აზრობისათვისაც ზედმეტია, რადგან უნდა ვივარაუდოთ, რომ მას ამგვარი რამ არ შეეცლის. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის მთელ თავის წარსულს, თავის თავს დაკარგავდა, რასაც ის არაფრით არ შეურიგებდა. აბიბო ამგვარი ცომიდან არაა შემზადებული. მისი ცრემლებიც დავრდომილი, სიკვდილის საშიშროების წინ მდგომი კაცის ცრემლებია და არა ჯანმრთელი ადამიანის „გალობანი სინანულისანი“. ასეთი ცრემლების გამოწვევა ძნელი არაა მსგავს შემთხვევაში. იმიტომ ავტორს, უბრალოდ, ხაზი არ უნდა გაესვა ამ გარემოებისათვის, წინა პლანზე არ უნდა წამოეწვია ეს სიტუაცია. ამაშია ამ სცენის ნაკლი.

— არ დაგტოვებ, ძია აბიბო, ნუ გეშინია.

— მაპატიე, ბიჭო, თუ შევიძლია..

მე ტილო დავადე თავზე, აბიბომ ჩემი ხელი დაიჭრა და კოცნა დაუწყო.

— რას შერები, ძია აბიბო! — უთხარი მე და ხელი წაფართვი.

— მაპატიე, ბიჭო, მაპატიე! — მე ხმას არ ვიღებდი.

— მაშინ მომავალი, რატომ არ მკლავ, ბიჭო?..

— მე მკვლედი არ ვარ, ძია აბიბო!

აბიბო მიყურებდა თავისი გამჟღავნებელი ღრუბლი თვალებით, რომლებშიც დღეს პირველად დაეინახე რაღაც და ეს რაღაც ცრემლი იყო. — აბიბო ტიროდა.

ამ სცენის რეალისტური სისრულისათვის ავტორს რაიმე შტრიხის საშუალებით უნდა ეგრძნობებინა მინც, რომ აბიბო თავერას (რომანის ერთერთ მეორეხარისხოვან პერსონაჟს) მეორედაც დაიჭერდა, თუნდაც მსგავსად იმისა — ქრისტე, ხელმეორედაც რომ დაიბადოს, კვლავ ჯვარზე აცმევდნო. თემური აბიბოს სხვაგვარად უნდა დახმარებოდა — გამოეძახა სასწრაფო დახმარების მანქანა, რადგან ზნეობრივი დახმარებისათვის ის უკვე შეუვალე გამხდარა.

თანამედროვე ქართული პროზის გმირებს კიდევ ერთი თვისება აქვთ საზიარო. ეს არის კრიტიკული, მეტად მწვევე დამოკიდებულება საკუთარ სამოქ-

მედო ძალებს, საკუთარი სამოქმედო პროგრამის მიმართ. მათ სურთ არ გაფიზილდნენ, როდესაც თავისი საზოგადოებრივ-სამოქალაქო საბის, ძალის და სულსკვეთების გამოქვავების ეპიდაპირაჟს. უკვე სტუდენტობის წლებშივე ისინი ხედავენ, რომ ეს დრო კარს პოსდგომიათ და შეუფარაჟად, პირდაპირ იწვევს მათ ძნელ, მაგრამ საპატიო ასპარეზზე. ცხოვრება საზოგადოებაში, მისი ინტერესებით, უფრო ხშირად კი — ცხოვრება საზოგადოებისათვის, მისი ინტერესებისათვის—ასეთია ამ პერსონაჟთა დღეები. ამგვარ პერსონაჟთა რიცხვს ეკუთვნის თემურ ბარამიძეც. აქტიურია თუ არა ის საზოგადოებრივ ცხოვრებაში? კითხვის ასეთი ჭიქურ დასმა თუ სასაცილო არა, ოდნავ უხერხული მაინც იქნებოდა. მით უმეტეს, რომ მწერლის მომთხრობელობითი მანერისათვის სრულიად მიუღებელია პრობლემათა ასე ჭიქურ დაყენება და მხატვრულად გაღაჟყვეტაც. მხატვრული ბუნებრიობა, ავტორის აზრით, ისაა, როდესაც მკითხველი „ვერც იგრძნობს“, თუ როგორ დაიბადა ესა თუ ის საკითხი ამა თუ იმ გვირის ცხოვრებაში, როგორ მომწიფდა შემდეგ ეს საკითხი მის ირგვლივ მყოფ გარემოცვაში და თვით მის ფსიქიკაში, და ბოლოს. რა შედეგი, რა ნაყოფი გამოიღო ამ პრობლემის გადაწყვეტა-დაბოლოებაში. ეს შეუძინეველი ბუნებრიობა არა მარტო ავტორის კარგ ლიტერატურულ გემოვნებაზე მეტყველებს, არამედ მისი მწერლობის დამახასიათებელ მეთოდურ საშუალებებასაც წარმოადგენს.

მართლაც, თემურ ბარამიძე ერთი ოდნავ უღარდელი, სამეგობროდ მეტად მსუბუქი, ნაპერწკლიანი იუმორის მქონე ახალგაზრდა კაცია, რომელსაც წინასწარ შემუშავებული პროგრამა ან ცხოვრების მოკლე კონაპექტი არც შეუდგენია და თავშიც არ მოსვლია რომ შეეღგინა. მას არც არავითარი ცირკულარები არ ამოქმედებს, რადგან ის მთლიანი, პრინციპული პიროვნებაა და ეს უკანასკნელი გარემოება ხდება კი-

დეც მის ქცევათა და მოქმედებათა განსჯელ-განმსაზღვრელი. ამგვარ ცხარე, თემური ჯერ სულ ახალგაზრდა 20-22 წლის კაბუტია, და ცხოვრობს იმ ცხოვრებით, რომელიც მის მარტივ სტუდენტურ ბიოგრაფიას შეეფერება. მაგრამ ჩვენ მაინც უფრო პირდაპირ გვსურს ვუპასუხოთ ზევით დაყენებულ კითხვას — რამდენად ქმედითი და აქტიურია ის თავის სამოქმედო წრეში, ირგვლივ მყოფ საზოგადოებაში.

უნდა ითქვას, რომ „შხიანი დამის“ მთავარი გვირი საკმაოდ ენერჯიული, ქმედითი ადამიანია. მისი მოუსვენარი, დაუღალავი ბუნება გოხივრულადაა მომართული. რა უნდა მოესწრო, თითქოს, მას თავის კაბუტურ წლებში ისეთი, რომ აღნიშვნის ღირსი გამხდარიყო; მაგრამ მან ეს მოასწრო. ამის დამადატურებელია რამაზ კორსაველის, მისი სკოლის მეგობრის, ზედმეტახელად თავერას, ციხიდან გამოშვება. თემური ღარწმუნებულია, რომ თავერა დაუბრუნდება უნივერსიტეტს, სწავლას, რიგიან ცხოვრებას, რომ მას უკვე ციხე კი არა, განათლების მიღება გამოასწორებს, და ილწვის კიდევ ამის გასაყვთებლად, მისაღწევად. ჩვენ ვიცით, რომ პირველი ცდები თავერას დასახსნელად კატასტროფით მთავრდება აბიზოს ჩარევის გამო; ვიცით ისიც, რომ, უნებლიეთ, ამ საქმეში მონაწილეობას მიიღებენ უნივერსიტეტის პარტკომის მდივანი და რექტორი. ვიცით ისიც, თემურ ბარამიძეს იმედი ჰქონდა დაჟარგული, რომ თავის ძველ სკოლის ახანავს ვადაზე აღრე ნახავდა განათვისუფლებულს... თავერა, მართლაც, განათვისუფლეს დროზე აღრე და ცხოვრების გზა გაუხსნეს. ვისი დამსახურება იყო ეს პარტკომის მდივნის, რექტორის თუ სხვა კეთილი ნების ადამიანების თუ თემურის? რა თქმა უნდა, ყველა ამათი. მაგრამ ისიც უთუთა, რომ ზნეობრივად ყველაზე დიდი როლი თავერას განთავისუფლებაში, ადამიანის, კეთილ გზაზე დაყენებაში თემურ ბარამიძეს მიუძღვის. მსგავსი აქტი ბევრ ადამიანს მთელ

ცხოვრებაში ეყოფა; მით უმეტეს, ნიშანდობლივია, რომ ადამიანი ამგვარად იწყებს ცხოვრებას.

ხოლო, როდესაც ადამიანი ბუნებით აქტიურია, მისი სინდისიერება მოითხოვს, რომ ის ფიზიკურად და თვითკონტროლის გრძნობით მოეპყრას თავის საქმიანობას. ყოველი მოქმედება, ყოველი მნიშვნელოვანი გადადგმული ნიბიჯი შეიცავს მეტ-ნაკლებ შეცდომას. ამბობენ პოეტები. ბუნებრივია, რომ ადამიანი, რომელიც მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს იღებს, მკაცრად თვითკრიტიკულიც იყოს. ასეთი ცხოვრებისათვის ემზადებიან ა. სულაკაურას გმირი დათო ნათიშვილი და ნოდარ დუმბაძის რომანის გმირი, თემურ ბარამიძე. ამიტომ ვხვდებით მათ ფიქრებსა და შინაგან მონოლოგებში ერთგვარი დაეშვების ნოტებს, ანდა კითხვით ნიშნებს იქ, სადაც ისინი შემდეგში გარკვეული, ცხადი და აშკარა პასუხით შეიცვლებიან. მაგრამ დაეშვება არა მარტო ადამიანური და ბუნებრივია. „დაეშვება ადამიანთა სულში ბედებს შემწყყნარებლობას, ღმობიერებას, ღვთაებრივ სიბრალულს, — ყოველგვარ ფაქიზ სათნოებას... მე გირჩევთ დაეშვებას“, — წერდა ანატოლ ფრანსი.

მოვისმინოთ თემურ ბარამიძის შინაგანი მონოლოგი, თავისებური ვასაუბრება საკუთარ ორეულთან:

„ხოდა, რა მოხდა, ბებო, ასეთი შენს ცხოვრებაში, წლები რომ გემატება და სადარდებელიც გემატება. რატომ გწევს ახლა მზე ასე მწვევედ, რატომ გეშინია ზღვის, რატომ არ გნატრება გულოვო, რატომ ვაღრბი მასთან შეხვედრას, ისეთი რამ მოხდა... საიდან, ბებო, ამდენი ეჭვი და დარდი, საიდან? ნეტავი კაცო ასო წლის იზადებოდეს და შემდეგ წლები აკლდებოდეს და წლებთან ერთად დარდიც, მერე შეხვედრობაც, სმენაც, აზრიც, დედის საშობო რომ უგრძნობი და უღარდელია, ისე უღარდელიც კვდებოდეს. კვალი? რა კვალი, კაცს ვინდა წინ გივლი. ვინდა უკან, კვალი კვალია, თუმურაზ ბარამიძე, რაზე ფიქრობ? არ ვინდა უკლმა ნავალ კაცის კვალი დატოვო? ვაშინ წინ იარე, ბებო. გეშინია? რისი გეშინია?

არაფრისაც არ გეშინია, ვინ გითხრა, რომ გეშინია. ვინ გითხრა, რომ მზე მწვეს, ვინ მო-

გატყუოდა, რომ ზღვა მღორჩობს, ვინ გითხრა, რომ გულოვო არ მიყვარს? ვინ გეუბრება, რომ დარდი გემატება უკლმს? შენ, შენ მითხარი.

შე გითხარი?

ჰო, შენ, თემურაზ ბარამიძე.

შენ მითხარი, რომ ცხოვრების გეშინია... მაგრამ არ გითქვამს რატომ. იქნებ იმიტომ, რომ შენ და დედაშენი ბევრ რამეში ვერ უჯებთ ერთმანეთს? იმიტომ ხომ არა, რომ ღურსენისთანა კაცი შეხვდა ყვავახანში და თავის ჩამჭრალ გულის სარდაფში ჩაგახვდა. ან იმიტომ რომ აბიზომ სულში ჩაგაფურთხა. იქნებ, იმიტომ, რომ თავკრასი არავის სურა. შეიძლება იმიტომაც, რომ დაჯარგე გულოვო...“

ცხოვრებაში მოუწყობლობის გამოუთქმელი სევდა და სკეპტიკური ფიქრები ბუნებრივი ნაწილია ლიტერატურული გმირის ნებისყოფიანი, ქმედითი ნატურისა. ამ მძიმე ფიქრების შემდეგ, თემური მკვრეტელი ადამიანი ან „შინაგანი ემიგრანტი“ კი არ ხდება, პირიქით, მოქმედების გარკვეულად წარმართვის, მისი აწონ-დაწონის შემდეგ, ის გადაწყვეტს ძალას აძლევს თავის დამოკიდებულებას ყველა იმასთან, ვისზეც ახლახან საუბარი იყო მის შინაგან მონოლოგში. ის სულიერად უფრო ახლოს მიდის დედასთან, საბოლოო სუნათლე შეაქვს მის და გულოვოს დამოკიდებულებაში, თავის გრძნობებში ამ ქალისადმი, მტკიცედ უარყოფითად ეკიდება ღურსენის გამოუვალ დემორალიზატორულ ფილოსოფიას, გარკვეულ პოზიციას იკავებს აბიზოსადმი. სწორედ ამ დღიდან უყრის საფუძველს თავერას განთავისუფლების საქმეს და ა. შ. ამ მხრივ, მისა მხნე, ხალისიანი, ვაბედული საქმიანობა აშკარად უპირისპირდება მისსავე სკეპტიკურ განცდებს და განწყობილებებს.

რომანში არის ერთი ადგილი, რომელსაც პრინციპული მნიშვნელობა აქვს ავტორის მსოფლმხედველობის საბოლოო გარკვევისათვის. ეს არის თემურისა და ღურსენის შეხვედრა „ინტურისტის“ კაფეში (თავიდან „ზღვა“). ავტორმა აქ ორი პოლარულად დაპირისპირებული სულისკვეთების ადამიანი შეახვედრა, და თუმცა მწერალი არ

მისი ზნეობრივი და სოციალური ფაქტორები თუ ფუნქცია მხატვრულობის თვალსაზრისით ნაკლები ხარისხის შემცველია. ამ წმინდა სიმბოლოებობის წყალობით სათაური მთელი დატვირთვით ვერ „მუშაობს“ და განყენებულ ხასიათს ატარებს.

ითქვამს, რომ ნოდარ ღუმბაძის მხატვრობას სულს უდგამს მისი მდიდარი და თითქმის დაუმრეტელი იუმორი. მხოლოდ, ამ მხრივ, ავტორს ის საშიშროება ელის, რომ ზოგჯერ ქვეშაობი იუმორი იაფფასიანი ენამახვილობით ან მდარე წარმომავლობის ემპირიული მასალით არ შეცვალოს. ეს მით უფრო გაათავალისწინებელია, რომ საყველ-პურო ენამოსწრებულობა ზოგჯერ მთლანად ცვლის, ადაბლებს მხატვრული იუმორის ღონეს ნაწარმოებში და ამ საერთო ტონიდან თუ ინტონაციებიდან ამოსვლა უკვე ჰირს ხოლმე (ადგილები თავებიდან „პარნასი“, „კიროვის ბაღი“ და სხვ.).

უნდა ითქვას, რომ ავტორი კარგად ფლობს დიალოგის ოსტატობას და დიალოგი მისი მხატვრული ნაწარმოებების ღერძად იქცევა. აი, კიდევ ერთი საიდუმლო იმისა, თუ რატომ არის მისი დიდი მოთხრობები და რომანები ასე სასიამოვნოდ და მსუბუქად საკითხავი.

ეპიზოდურად ნოდარ ღუმბაძე ავლენს ბუნების სურათთა ღრმად შეგრძნების ნიჭსაც. იგი ეკონომიურად, მაგრამ ზუსტი საღებავებით და ნაბაზიყ გეზბატავს, მაგალითად, მზის ჩასვლის პანორამას ბათუმის სანაპიროზე.

„გურამი უცებ ისევ მოვარდა ვიცივით, ნაპირთან მოიბრინა და ჩამავალ მზის ბილიყთან უხარმაზარი ღერჯი პორტენზია დადო. მერე მობრუნდა და ჩემს გვერდით დაჭდა აქომიწებულღი.“

— მზეს ყვავილი მივართვი! — მოთხრა მან და ბედნიერი ღიმილით გამიღმა. მე არაფერი ვუპასუხებ, მხოლოდ თავი დაეუქნიე და ვაეუღიღე... მზეს წვერიდა უჩანდა და სხივი აბლაცის დასალიერიდან გამოწვდილ ოქროს ზღბს გავდა. რომლის მტვეანზე უხარმაზარი ღერჯი პორტენზია ესვენა. მზე ჩავიდა. პინდში ვაქრა ბილიყი და ყვავილიც.

— ნახე, გურამ, მზემ ყვავილი წაიღო! —

ვუთხარი მე. გურამმა ისევ გაიღმა. მზემ წაიღო ყვავილი“.

მარკინოვი

მხატვრული

„მზიას ღამეს“ ახასიათებს მხატვრული წონასწორობის და ზომიერების. კარგი გრძნობა. კომპოზიციურადაც შეკრულია და მოქმედების გაშლაც ლაკონურია. რაც შეეხება მხატვრული კონცეფციის შემდგომ გაღრმავებას თუ გამდიდრებას, ეს ავტორის საპატიო და გადაუღებელი მოვალეობაა.

• • •

რეზო ჭეიშვილს მკითხველი, ძირითადად, იცნობდა ნოველების კრებულით „ზზიანეთი“, რომელშიც მისი რამდენიმე ნოველი, მართლაც, დასამახსოვრებელი და საინტერესო იყო. ნოველები „ლუკა პაჩიოლოს ცხოვრების უკანასკნელი წლები“, „ზზიანეთი“, „მერცხლები“ და სხვები, რომლებიც ამ კრებულიში შევიდა, პროვინციული ქალაქის ცხოვრების ამსახველი საინტერესო ფურცლები იყო. მათში კარგად იგრძნობოდა უდიდესი ცხოვრების მოღუპებული რიტმი, პროვინციული ქალაქის მცხოვრებთა ინტერესების სიფიწროვე, დაბალი დონე და, ამასთან ერთად, ის მცირე ნაპერწკალიც ღამაში ოცნებისა, რომელიც, მაინც, აუცილებელი გამზდარა, რათა ამ ადამიანებს თავის მოუწყობელ არსებობაში რაღაც ხელია მოსაჭიღებელი და პატარა ამოსასუნთქი დარჩენოდათ.

კრებულ „ზზიანეთის“ მოთხრობები ერთეულიან წიგნს წარმოადგენს და შესამჩნევია, რომ ისინი ერთ ძირითად სქემას მიჰყვებიან და იცავენ. ცხოვრების ერთფეროვნება და ერთგვარი უფერულობა მათში უპირისპირდება ცალკეული ადამიანების ილუზორულ ყოფას. ილუზიაც გამონაცლისთა კუთვნილებაა. ეს ადამიანები რაიმე ღირსშესანიშნავი მოგონებებით ან ამბით ცხოვრობენ. ილუზია ასაზრდოებს მათ სულიერ მოთხოვნილებას. ახლახან გამოქვეყნებულ რომანში „ჩემი მეგობარი ნოდარი“ ძირითადი თემა კვლავ პრო-

ვინციული ქალაქის ყოფა-ცხოვრება. ავტორი, ერთგვარად, ავრძელებს თავისი ნოველების ციკლს ამ რომანით, თუმცა შეაქვს მასში ახალი მოტივები. თუკი ხსენებულ ნოველებში რეზო ჭეიშვილი იძლევა ამ პროვინციული ქალაქის თითქმის სულიერად გამოუვალ მდგომარეობას (რომანშიც და ნოველებშიც ის იხსენიება აიას სახელწოდებით), „ჩემი მეგობარი ნოდარი“, ამ მხრივ, დიდ შემოტრიალებას წარმოადგენს, რადგან მასში ავტორმა სხვაგვარად, სულ სხვა პლანში გადაწყვიტა პროვინციული ქალაქის, აიას მომავალი, მისი შემდგომი სრულყოფის სურათი. ერთი სიტყვით, მან ახალ რომანში მოსძებნა ის ხსენა და გამოსავალი, რომლის უპერსპექტივობა აქამდე ასე აცინებდა და სთრგუნავდა მისი მთავარი გმირების სულიერ ცხოვრებას, მათი ბედნიერების განცდას.

მართალია, რეზო ჭეიშვილი თითქმის ყველა თავის ნაწარმოებში რაიონის ნახევრადპატრიარქალური ცხოვრების სხვადასხვა მხარეს აგვიწერს, მაგრამ ის არასოდეს ყოფილა წმინდად ყოფითი მხარეების აღმწერელი მწერალი, ე. წ. „უანრისტი“; ეთნოგრაფიული სიზუსტე და კოლორიტობა მას არ ზღუდავდა. ხომ ნამდვილად კოლორიტულია მისი მოთხრობები და რომანი „ჩემი მეგობარი ნოდარი“, მაგრამ მათში მუდამ იგრძნობა მწერლის განმარტებული მხატვრული ძალა, მოვლენების ფართოდ აღქმის უნარი, რომელიც ავტორის მიერ ცხოვრებისეული ფილოსოფიის განკვრეტის და დაუფლების ნიჭიდან გამომდინარეობს. უამისოდ მისი ნაწარმოებნი ბევრს დაკარგავდნენ და მხატვრობის თვალაზრისითაც გაიფუტებოდნენ. მისი ნოველებისათვის და რომანისთვისაც დამახასიათებელია ნათელი სიმბოლიკა და მსუბუქი გროტესკი; მწერლის რბილ იუმორთან ერთად ისინი შეადგენენ მისი მხატვრობის არსებით მხარეს. ხოლო ლირიკული ძალა, რომელიც, საერთოდ, მის პროზას ახა-

სიათებს, ემოციურად ამდიდრებს მის ნაწარმოებებს.

მარკინული

როგორც ითქვა, რომანში „ჩემი მეგობარი ნოდარი“ შეივსო ახალი მოტივებით, რომლებიც მის უწინდელ მცირე ფორმის ნაწარმოებებს არ გააჩნდათ. ამ მოვლენამ განაპირობა კიდევ, თითქოს, მწერლის მსოფლმხედველობის გაფართოვება. ძირითადი მოტივი, რომელიც ახალიცაა და აუცილებელიც დიდი ფორმის ლიტერატურული ქმნილების სრულფასოვნებისათვის, რომანში „ჩემი მეგობარი ნოდარი“ არის ქალაქში ინდუსტრიული მშენებლობის და რაც მთავარია, „ინდუსტრიული“ სულიანკეთების გაჩენა. მართალია, ეს მოტივი არც ახალია და არც თუ ისე უცნობი ჩვენი ლიტერატურისათვის, მაგრამ ავტორმა, ეტყობა, იმდენად თვალნათლივ (საკუთარი გამოცდილებით) მიაკვლია ამ დიდ მოვლენას, რომ არც უკეთესი გზის გამოხატვა უცდია თავისი გმირების სულიერი გადახალისების მიხედვით, და არც მის ორიგინლობაზე ჩაფიქრებულა. საკუთარი თვლით ნახა, ამ შემთხვევაში, ამჯობინა ყოველგვარ სხვა განმარტებადელ ან უფრო რთულ თვალსაზრისს. ამის შესახებ ჩვენ კიდევ ვისაუბრებთ.

ის, რომ შრომა ზრდის და ავითარებს ადამიანს, ის, რომ შეგნებული შრომა აღრმავებს მის ბუნებას, მის ადამიანურ საწყისებს, — ეს სიბრძნე რეზო ჭეიშვილს ჯერ კიდევ სკოლის მერზიდან დაჰყვა, და სიმწიფეში შესვლისას ღია კარების მტვრევას ის არ დაიწყებდა. ფრანგი მწერალი სენტ-ევგუპერი სასტიკად კენწლავს ფილისტერულად განწყობილ მოქალაქეებს, ამხილებს მათ შეზღუდულობას და დასცინის მათ ამგვარად:

„ჩემთვის უკვე გაუგებარნი ხდებიან ქალაქიერი მატარებელია მგზავრები — წერს იგი. — ისინი თავს ადამიანებად თვლიან და ვერ ამჩნევენ, რომ ჩავვარდ კიანჭველას საქმიანობამდე დაამდბლა. რით აესებენ ისინი თავისუფალ დროს, თავის უაზრო, არაფრისმანის კვირა დღეებს?“

— ასე მკაცრად მიმართავდა მწერალი ყველა იმას, ვინც თავის ენერგიას, პიროვნებას მთელი არსებით არ წირავდა გამაყვითლებელი შრომას, თუნდაც უბრალოდ, მაგრამ აზრიან მუშაობას. ფრანგი მწერალი ხომ ასეთსავე მოთხოვნის იმსახურებდა საკუთარ თავს.

„მანქანა — არ არის მიზანი. თვითმტრინავი მიზანი არაა, არამედ იარაღი. ისეთივე იარაღი, როგორც გუთანი... რაც შეგებება მე, — წერს იგი, — ბედნიერება ჩემმა ხელობამ მომანიჭა. მე თავს აეროდრომების ვლუბკად ვთვლი“.

მწერალი ილწვის, რათა ყოველ საქმიანობას საკუთარი აუცილებლობა და აზრი გამოუნახოს, რათა ადამიანის ცხოვრება შეგნებული გახდეს. ყოველგვარი კუნთური, ფიზიკური სამუშაო დაკავშირებული უნდა იყოს აზრთან:

„ის, ვინც წერაქვით მუშაობს, უნდა ეჭვდეს აზრს წერაქვით მუშაობაში. კატორღელები მუშაობენ წერაქვით — და ეს სამუშაო ამკირებს კატორღელს; მიწის წიაღის მხვერავეც წერაქვით მუშაობს, და ეს სამუშაო ზედავლენს გეოლოგს. კატორღა იქ არაა, სადაც წერაქვით მუშაობენ, — ამბობს ეს ბრძენი მწერალი, — კატორღა იქაა, სადაც წერაქვით მუშაობა მოკლებულია უოველგვარ აზრს“.

რეზო კეიშვილის შეხედულებას შრომის ამაღლების, ინდუსტრიალიზაციის თაობაზე შეიძლება მივუყენოთ ფრანგი მწერლის ეს დებულებები. მართლაც, სანამ ქალაქ აიაში ავტომშენებელი დიდი ქარხანა არ აშენდებოდა, მისი მცხოვრებნი განა არ ეწეოდნენ მუშაობას და არ წევდნენ ერთგულად ცხოვრების ქაბასს. განა გარჯა და შრომა მათთვის უცნობი იყო. მაგრამ მათი ნახევრადნატურალური, ნახევრადკულტარული შრომა ვიწრო ჩარჩოებში იყო მოქცეული, ცხოვრების შენარჩუნების მარტივ კალაპოტში იდგა. ამ ადამიანების შრომა მაღალი საზოგადოებრივი დანიშნულების არ იყო, იმ აზრით, რომ იქ თითქმის არაფერი კეთდებოდა ისეთი, რაც მათი ქალაქის მოთხოვნილებათა გარეშე გასულიყო.

როდესაც აიაში აშენდა სამანქანო ქარხანა, ხოლო მუშა-ხელი ამ ქარხანისათვის, ძირითადად, მის მცხოვრებთა-

გან შეივსო, ყოველი მუშა და ამ მუშის ოჯახი, თუ მახლობელმდებარე მხედველის ვრძნობამ მოიცვა. მათი მხედველობა არა მარტო ის, რომ შეეძლოთ ლითონების დეტალებისათვის „სული ჩადგაო“ და მანქანები ამუშავებინათ, არამედ ისიც, რომ კვალიფიცირებული მუშები გახდნენ და მათი მუშაობა თანამედროვე დონეზე იდგა, მაღალი და ფართო გაქანების შეიქნა.

რომანში არ დაიძებნება იმაზე უფრო პატივსაცემი პიროვნება, ვიდრე ეს იაშა ბაზაძეა, ავტოქარხნის მაღალკვალიფიციური ინჟინერი. იაშა ბაზაძის მოწვევით, ავტოქარხანას ეწვევა რომანის ერთ-ერთი მთავარი გმირი, აიას ახალგაზრდა მკვიდრი, გივი წითლაძე. რომანში კარგად ჩანს, თუ როგორ დიძელ, ქალაქისათვის აუცილებელ საარსებო პირობად გახდომია გივის ავტოქარხნის აშენებისა და მისი შემდგომი გაფართოების პერსპექტივა. გივი მომავალი პროფესია არაფრით არაა დაკავშირებული ქარხნის საქმიანობასთან, მაგრამ შეგნებული აქვს, რომ ქალაქის მომავლისათვის ეს დაწესებულება დიდი, ბედნიერი მნიშვნელობისაა. ავტორს სწორედ ამ პერსონაჟით თვალით აქვს დანახული და დანატული ქარხნის ატმოსფერო:

„გივი ქარხნის ეზოში შევიდა. დაბალი ხეების ხეივანს გაეყვა და ერთი საამქროს უზარმაზარ კარში შეყო თავი. უქნიდან მექანიკური ურეკა კინლამ დაეჯახა, გვერდზე გაბტა, ფეხი რკინაზე დაეცურა და ფეხსაცმელი დაესვარა.“

საამქროში ქოჩობთური ხმაური იდგა. გივის ვეუკვირდა, მის შერთ ამ ხმას უყოფალებას რომ არ აქცევდა. საამქროს სხვადასხვა კუთხეში ვეუბარათელა ღუმელები იდგა. ღუმელებში ცხელი ვარჯარება და შიშინებდა. ზვიდან ძლიერი შრიალი მოისმა. გივიმ აიხვლა და მოუჩვენა, რომ საამქროს სახურავი შეტორტმანდა. სინამდვილეში უზარმაზარი ამწე-დანავგარი დაიძრა და დიდი სიშინის ტვირთი მსუბუქად გაამორწილა.

ზევით, რკინის ჭიხრში, ახალგაზრდა ქალი იჯდა. ქალი მშვიდი, ცნობისმოყვარე თვალებით უცქიროდა სტუმარს. გივი მიხვდა, რომ ქალი მართლად ამ უცნაურ დანადგარს, რაღაცის შერცხვა, ქალს თვალი მოარიდა და გზა განაგრძო. ღუმელოან არხინალ მიმქდარი კაცის დანიხა, მაგრამ მანც შეკრა: ნაპერწყლები

მრავალ ყოფითი ხასიათის ეპიზოდ-ში, რომელთა მონტაჟსაც, სამწუხაროდ, რეზო ჭეიშვილის რომანი წარმოადგენს, ჩანს ეს ძირითადი მაგისტრალური აზრი — ნათელი გზა აღამიანთა ცხოვრების ცივილიზებისა და მორალურად განმტკიცებისა.

ახლა ვკითხოთ, საქმარისია თუ არა ამგვარი კონცეფცია თანამედროვე რომანისათვის? თუკი იგი სავსებით მისაღებია, მაინც საქმარისი არაა. ეს სავსებით სწორი, ისტორიული შეგნებით შემუშავებული სოციალური თვალსაზრისი რომანის იდეურ-აზრობრივი „დატვირთვისათვის“ უქმარია. ბოლოსდა ბოლოს, ავტორის ხსენებული თვალსაზრისი წმინდა ლიტერატურული წარმომავლობის არცაა და მისი სოციოლოგიური მომდინარეობის სათავე ავტორის სხვაზე ნაკლებად არ მოეხსენება.

რა აკლია ძირითადში რომანს? ამაზე ამომწურავი პასუხის გაცემა ძნელია. ჩვენ ვიტყვით, რომანს მთლიანობა აკლია, თუნდაც იმიტომ, რომ მრავალი მისი ეპიზოდი კი არ ავსებს ერთმანეთს, კი არ ეხმარება მთლიანობის მიღწევას. არამედ აქტუალურებს მას. ავტორს სურს, რაც შეიძლება, მდიდრად, მრავალფეროვნად წარმოადგინოს ქალაქის ცხოვრების ამსახველი სურათები, მაგრამ ზოგჯერ ეს სურათები, სცენები და ეპიზოდები ერთი მხატვრული დუღაბით არაა შეკრული და კომპოზიციურ სიმყიდვეს წარმოშობს (რიკრიკაშვილის ოჯახის ისტორია თავიდან „ნიჩიკო რიკრიკაშვილი და მისი მეზობლები“, პეტრე ქაბუციანის საქმიანობა — თავიდან „ათასი წელი, ვითარცა გუშინდელი“ და სხვა...) ეს პატარა საინტერესო ისტორიები, რომლებსაც ავტორი თავის რომანს ურთავს, თავისთავად კარგია; ისინი თითო ნოველის მშვენიერ სიუჟეტებს წარმოადგენენ, მაგრამ მათი, ცოტა არ იყოს, მექანიკური მიტმასნება რომანის მხატვრული ქსოვილისათვის, გვაფიქრებინებს, რომ ავტორი, უკვე გამოცდილი ნოველისტი, ჯერ კიდევ აზროვნებს სწორედ როგორც

მცირე ფორმების ავტორი და არა როგორც რომანისტი. მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ მწერლის ჰიროველი რომანი ყოველთვის ითხოვს ასეთ შეღავათს, და მკითხველიც ასეთ შეღავათზე უნდა წავიდეს..

ესთეტიკურ და ზნეობრივ დაკმაყოფილებასთან ერთად მკითხველს კიდევ მესამე დიდი მოთხოვნილება აქვს — გონებრივი და სულიერი საზრდო. მართალია, გმირები ნაწარმოებისა არ არიან მაღალ ინტელექტუალური ძიებებით გაართულნი, მათი უმრავლესობა ცხოვრებას უყურებს თუ განიხილავს უფრო, როგორც სანახაობას და არა როგორც შინაგანი, მწყობრი აზრის არსებობას. მაგრამ ავტორს, ასეთ შემთხვევაში, მით უფრო სჭირდება თავისი პოზიციის მეტა სიმალლიდან ჩვენება, მკითხველისათვის მეტი სააზროვნო, განმარტებელი მასალის მიწოდება, ჩვენი აზრით, რ. ჭეიშვილის ნოველები მეტი ფილოსოფიურობით, განზოგადების უნარით გამოირჩევიან, ვიდრე ხსენებული რომანი. უნდა ვფარაუდოთ, რომ შემდგომში მწერალი მოახერხებს განზოგადებისაზე გააფართოვოს და გაამდიდროს.

ამასთან დაკავშირებით, არ გვინდა აღვნიშნავი დავტოვოთ ერთი გარემოება: როდესაც ჩვენ ავტორის ნოველებს ვეცნობოდით, გვიზიდავდა როგორც ემოციური, ისე მორალურ-აზრობრივი ნაკადის სიმკვრივე, კონდენსირება. ნოველებში მწერალი აუცილებლობად მიიჩნევდა, რომ თითქმის ყოველი მხატვრული სახე, ფრაზა, თვით ინტონაცია კი ყოფილიყო მაქსიმალურად დატვირთული. გამოკვეთილი და მნიშვნელოვანი. დამამალი არაა, რომ დიდი ფორშია ნაწარმოებს, მის ახალ რომანს, ავტორი ასეთივე განზომილებებით არ მიუღვა. რომანში თბობა ზოგჯერ ზერეულა, ნაკლებად ემოციური და ლიტერატურული „ემპირიზმებით“ გაუფასურებული. ეს მოულოდნელი იყო რ. ჭეიშვილის ნაწარმოებთა მკითხველისათვის. უფრო კანონზომიერი და მისალოდნელი იყო ჩვენთვის, რომ მხატვ-

რული ანტურაჟის მნიშვნელოვნების ის გრძნობა, რომელიც მის ნოველებს ყველა პუნქტში ამშვენებდა, გვენახა მის რომანშიც. ვანა ავტორი ფიქრობს იმას, რომ მცირე ფორმის ნაწარმოებს სჭირდება მხატვრული ძალის მეტი კონდენსირება, ხოლო თანამედროვე ხასიათის რომანს ის, გარკვეულ ფარგლებში, არ სჭირდება? სხვა საქმეა, ამ მხრივ, მეტ-ნაკლებობის საკითხი, მაგრამ უნდა გადაჭრით ითქვას, რომ რომან „ჩემი მეგობარი ნოდარის“ მხატვრობა, მხატვრული ქსოვილი და ემოციური ძალა თუ ქვეტექსტი მკრთალი და ზოგჯერ გაუბრალოებულია ნოველისა და რომანის მხატვრული ძალა ვანა ასეთ მიმართებაში იმყოფება, მაგალითად, ნიკოლორთქიფანიძესთან, კ. გამსახურდიასთან, ფოლკნერთან, სკოტ ფიცჯერალდთან, სენტ-ევსუპერისთან ან ჰემინგუეისთან? რადგან აქ ტალანტის სიდიდე კი არ წყვეტს საქმეს, არამედ პრინციპში ამ ორი ქანრის მხატვრულ მიმართულებაზეა ლაპარაკი, ამიტომ ყოველი დიდი თუ პატარა მწერალი უნდა კიდევ დაემორჩილოს ლიტერატურის ცნობილ პრინციპს.

ყოველი ლიტერატურული გმირი უნდა დაინახოს ფსიქოლოგიური სიღრმით, სულიერ წინააღმდეგობათა კვალიფიციური გაანალიზებით, — ეს მარტივი კეშმარიტებაა და თუკი, ჩვენი მხრივ, ამის მოთხოვნა მწერლისათვის ძნელი არაა, მისი განხორციელება, როგორც ამ რომანის გაცნობა გვიჩვენებს, ჯერჯერობით ჭირს. ჩვენ მიზანს არ წარმოადგენს ამ დიდ საიდუმლოების დაუფლების გზები ვუჩვენოთ მწერალს, ეს გზები მისთვის ფარული არაა. მაგრამ ფსიქოლოგიური მხარე რომანისა, სოციალური აზროვნების სისწორესა და სიღრმესთან შედარებით, იმდენად მკრთალია, რომ საეჭვოა, ისწრაფვას თუ არა ახალგაზრდა პროზაიკოსი ამ არასწორი თანაფარობის, ამკარა სხვაობის გათანაბრებისათვის. თუკი მას, როგორც მწერალს, აღამიანი აინტერე-

სებს, ის სწორედ ამ მხრივ უნდა განაგრძობდეს თავის მხატვრულ ძიებებს, აქეთ ავითარებდეს თავის მხატვრულ ენერჯიას და ხედვის სიმანვილეს. როგორც ითქვა, რ. ჭეიშვილის რომანა „ჩემი მეგობარი ნოდარი“ სოციალური გზნებითაა დაწერილი. მის სოციალურობას კიდევ უფრო აძლიერებს ოცდაჩვიდმეტი წლის მიმამე მოგონებათა შეტანა ნაწარმოებში. როდესაც ურემით დაავადებული ტიტე ვაჩაძე სიკვდილის პირადაა მისული, და მკითხველს, მართალია, უკვე დაეჭვებულს მის სინდისიერებაში (აბა, რითი იქნებოდა მხატვრულად გამართლებული ზურა ტრიპოლსკის მიერ მისი მეთოდური, წარამარა აგდებული ხსენება?), თანაგრძობას უღვიძებს კიდევც მისი სიკვდილისწინა ტანჯვა და ტვივილები, ეცოდება ის, როგორც განწირული ავადმყოფი, მოულოდნელად კანონიერი სიძულვილი უჩნდება მის მიმართ, როდესაც შეიტყობს მისი ბნელი საქმიანობის შესახებ და პირველად ისმენს მისივე პირით ნათქვამს.

„ალბათ, ვკვდები!“ — გაიფიქრა ტიტემ და გაცოფდა. სახე წამოწოთო, ცოლს ხელი ჰკრა და საწოლიდან წამოვარდა. ფეხშიწველი გაეარდა და პალატის კარს ეცა. ცოლმა იყვირა, დერეფანი განათებული იყო და ტიტე რატომღაც უკანვე შემობრუნდა. თავის საწოლს ზელო დასტაცა, ჰაერში აწია და მთელი ძალით ედღელზე მიანარცხა. ბათქაში ხმაურით ჩამოივარა. ტიტემ მეორედ დასტაცა ხელი საწოლს და იღრიალა:

— სიკვდილო, მე სხვას ვკლავდი და შენ მე მკლავ!“.

საინტერესოდ არის განვითარებული რომანში სასიყვარულო ინტრიგა, ნაწვენებია მისი წინააღმდეგობრივი და რთული ბუნება, მაგრამ ფსიქოლოგიური სიღრმე და ამ დიდი გრძნობის კიდევ უფრო ფართო პლანით წარმოსახვა მკითხველის მართებული პრეტენზიაა. რომანი კარგ მომთხრობელობით დონეზე ღვას. ავტორი ფლობს, აგრეთვე, ფრაზას და მისი მხატვრული ენაც წუნდაუღებია.

ნიკო ნიკოლაძის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შეხელულებათა ეპოლუსიის საკითხისათვის

I საკითხის მოკლე ისტორია, აზრთა სხვადა-
სხვაობა თანამედროვე მკვლევართა შორის

ნიკო ნიკოლაძე, რომლის მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა ქართული კულტურის ოქროს ფონდშია შესული, თავის პუბლიცისტურ წერილებში ეხება ჩვენი ჰეგელის საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა მხარეს, — მთელ ჩვენს იმდროინდელ ცხოვრებას. მის ნაწერებში ცოცხლად და უტყუარად არის ასახული საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანესი პერიოდი, — ღირსშესანიშნავი ეპოქა, როცა ძველი, ფეოდალურ-ბატონყმური წყობილება ირღვეოდა და მის ნაცვლად ახალი საქართველო იბადებოდა; როცა ქართველმა ხალხმა გადამწყვეტი ბრძოლა გააჩილა როგორც მეფისა და მემამულეების, ისე ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ნ. ნიკოლაძე მთელი თავისი — ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე თითქმის მუდამ მოკლევანა ცენტრში იდგა და დაუღალავად შრომობდა, იბრძოდა და იღწვოდა თავისი საზოგადოებრივი იდეალების განსახორციელებლად. მისი კალამი ეხმაურებოდა ყველაზე მწვავე ეკონომიურ, პოლიტიკურ, ლიტერატურულ თუ ისტორიულ პრობლემებს, რომელთაც ჩვენს მაშინდელი ცხოვრება დღის წესრიგში აყენებდა. ერთი სიტყვით, ნ. ნიკოლაძის ნაწერებში მთელი ისტორიული ეპოქა მოჩანს და იმ ეპოქის ცხოვრების მაქისცემად გარკვევით ისმის.

აქედან თავისთავად ცხადია, რომ ამ გამოჩენილი მოღვაწისა და მოაზროვნის შეხედულებათა განვითარება-ეპოლუსიის საკითხი უაღრესად დიდმნიშვნელოვანი საკითხია არა მარტო თვით მისი საზოგადოებრივი შეხედულებების არის გამოსარკვევად, არამედ აგრეთვე მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს საზოგადოებრივი მოძრაობისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიის შესასწავლადაც

და, მამასადავ, მთელი ჩვენი იმდროინდელი ცხოვრების ვითარების გასაგებად. ამით აიხსნება ის განსაკუთრებული ინტერესი, რომელსაც საქართველოს ისტორიის მკვლევარები იჩენენ ნ. ნიკოლაძის მსოფლმხედველობისა და ამ მსოფლმხედველობის ეპოლუსიის პრობლემები სადში.

პირველი საბუთია მკვლევარი, რომელმაც დიდი შრომა და ენერჯია დახარჯა ნ. ნიკოლაძის მსოფლმხედველობის შესასწავლად და თანაც დეტალურად დაამუშავა მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებების ეპოლუსიის პრობლემა, განსვენებული პროფესორი სიმონ ხუნდაძე იყო. ამ გამოჩენილმა მეცნიერმა ჯერ კიდევ 1927 წელს გამოსცა კამბიტალური ნაშრომი „სოციალისტური ისტორიისათვის საქართველოში“, რომელშიც ცალკე თავი მიუძღვნა ნ. ნიკოლაძის სოციალისტური შეხედულებების გამოკვლევას. უფრო გვიან, სახელდობრ, 1930 წელს იგი შეუდგა ნ. ნიკოლაძის რჩეული ნაწერების გამოცემას, რომლის პირველ ტომს-წიგმძღვარა ვრცელი გამოკვლევა, სათაურით: „ნ. ნიკოლაძე, ნარკვევი მისი აზრებისა“.

ამ ნაშრომებში (აგრეთვე ზოგიერთ სხვა ნაშრომშიც) ს. ხუნდაძემ დააწვრილებით შეისწავლა ნ. ნიკოლაძის მდიდარი მემკვიდრეობა, ანალიზი გაუკეთა დიდძალ ფაქტურ მასალას და ჩვენთვის საინტერესო საკითხზე გამოთქვა მრავალი, უაღრესად მნიშვნელოვანი და საინტერესო მოსაზრება, რომელთაც უმეტეს შემთხვევებში დღესაც არ დაუარაგეთ თაყიანითი მეცნიერული ღირებულება. სიმ. ხუნდაძემ ნიკო ნიკოლაძე მიიჩნია (გარკვევით ყოყმანის შემდეგ, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი) ქართველი ბურჟუაზიის იდეოლოგად და მკვეთრად გამოიჩინა ერთმანეთისაგან მისი მოღვაწეობის ორი პერიოდი: პირველ პერიოდში

(60-70-იან წლებში) მან ნ. ნიკოლაძე სოციალისტად და რადიკალური მიზნითღებების დემოკრატიად გამოაცხადა, ხოლო მეორე პერიოდში (80-იანი წლებიდან) ბერძენული ლიბერალიზმის ზანაკს მიკეთებდა.

გავეცნოთ ამ საკითხზე მისი მსჯელობის რამდენიმე დამახასიათებელ ნიმუშს.

„ნიკო ნიკოლაძის სახელი დაკავშირებულია იმ თაობასთან, რომელიც ჩვენში ბატონყმობის მისამობის შემდეგ გამოვიდა საზოგადოებრივ და რომლის წინაშე სრულიად ახალი ძირითადი ამოცანები წამოიჭრა გადასაწყვეტად. არცერთს მაშინდელ ჩვენ მოღვაწეთაგან არ უგრძნია ეპოქის სული ისე, როგორც ნიკოლაძემ იგრძნო. არავის არ შემოუტანია ჩვენში იმდენი პარტიკული და ევროპული აზრი (ამ სიტყვის კონტრტრული მნიშვნელობით), რამდენიც შემოიტანა ნ. ნიკოლაძემ.“¹

ასე წერდა ს. ხუნდაძე თავის ნაშრომში „სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში“. როგორც ვხედავთ, მკვლევარი ძალიან შიშველად შეფასებდა აქლეს ნ. ნიკოლაძის მოღვაწეობის პირველ პერიოდს. იგი ნიკოლაძეს თითქმის ყველა გამოჩენილ თურგდაღუღულზე შიშველად აყენებს. მაგრამ ავტორი სულ სხვა შეხედულებასაა ნ. ნიკოლაძის მოღვაწეობის მეორე პერიოდზე. იმავე ნაშრომში იგი ამბობს: „ერთ დროს რევოლუციონერად და სოციალისტურად განწყობილი ქართველი პუბლიცისტი ბოლოს დემორჩილა „ცხოვრების დენას“. საქართველოს მკაცრმა სინამდვილემ თავისი მოთხოვნა: ძველი არწივი ფრთებშეკვეცილი დაეშვა შიშველურ ნიადაგზე: სოციალიზმი ლიბერალურმა აზროვნებამ დაჟფარა, რევოლუციონიზმი — ბერძენული-ომორტუნისტულმა სულიერმა განწყობილებამ: ძველი ფორმის თეორიები და პრინციპები პრაქტიკული პროგრამის შინაარსით იცის: ნიკოლაძის სოციალისტური პრინციპები ჩვენი ცხოვრების პრაქტიკულმა პირობებმა დაამარცხა.“²

ამ ამონაწერებიდან ამჟამად, რომ ჟერ კიდევ 1927 წელს სიმ.ხუნდაძემ გარკვევით დაინახა ორი პერიოდი ნ. ნიკოლაძის მოღვაწეობაში: პირველ პერიოდში ის რევოლუციონერად და სოციალისტად მიიხსნა, ხოლო მეორე პერიოდში — ბერძენული ლიბერალად და ომორტუნისტად. მაგრამ სიმ. ხუნდაძეს არ შეიძლება არ ეგრძნო, რომ მისი ეს თვალსაზრისი მეტისმეტად ზოგადად იყო გამოთქმული და საპირობოდა დაკონკრეტებამ, შეცნირულ დასაბუთებამ. სწორედ ეს ამოცანა დასახა მან მიზნად ნაშრომში „ნ. ნიკოლაძე. ნარკვევი მისი აზროვნებიდან“, რომელიც 1931 წელს გა-

მოქვეყნდა. ამ ნაშრომში ავტორმა ვერცულ განიხილა ნ. ნიკოლაძის მსოფლმხედველობის ევოლუციის პრობლემა და არსებითად იმავე დასკვნამდე მივიდა, რომელიც გამოთქმული იყო ზემოთ უკვე ციტირებულ მის ნაშრომში, ოღონდ ამჯერად მან სცადა თავისი თვალსაზრისი დაესაბუთებია უფრო მეტი კონკრეტული ისტორიული მასალით და სათანადო არგუმენტებით. ქვემოთ ჩვენ დაწვრილებით განვიხილავთ ს. ხუნდაძის თვალსაზრისს და კრიტიკულად გავაჩრევთ მის არგუმენტებს, ახლა კი გავეცნოთ ავტორის მხოლოდ რამდენიმე დასკვნით ხასიათის მსჯელობას, რათა ზოგადი წარმოდგენა მიიღო ექტონით მისი თვალსაზრისის შინაარსზე.

„80-იანი წლების დასაწყისიდან, — ამბობს სიმ. ხუნდაძე, — იწყება მეორე დიდი პერიოდი ნ. ნიკოლაძის აზროვნების განვითარებაში. ის საზოგადოებრივ-სოციალისტური ელემენტები, რომელიც პირველად ახასიათებდა მის მსოფლმხედველობას, თანდათან კარგავს თავის შინაარსს, და ნ. ნიკოლაძე ორივე ფეხებზე ბერძენული საზოგადოებრივ პროგრამის ნიადაგზე დგება. ამ პერიოდიდან ნიკოლაძეში უფრო მეტწველზეა პრაქტიკი მოღვაწე, ვინც მებრძოლი პუბლიცისტი. იგი საქართველოს ბერძენული იდეოლოგი და მებრძობარე გასდა.“³

შემდეგ: „მიუხედავად იმისა, რომ ნიკოლაძე თვითონადაც თვლიდა თავის და „არჩევნებით წესად“ — პარლამენტარობის უკვედა ვენდრეკს, იგი მაინც თავის მოღვაწეობის მეორე პერიოდში არასოდეს არ მისულა რუსეთის თვითმწყობელობის დამხობის ჯადავებამდე და ნაშვილი დემოკრატიული წესწყობილების დაწყების საქმიანობაზე. ამ მხრე იგი ცდილობდა „ოვით-მმართველობაც“ და „დემოკრატიზმიც“ შეეფარებია ზვითმწყობელობის პრინციპთან, ამ უკანასკნელისათვის მიეცა ლიბერალ-კაბიტალისტური შინაარსი. ნიკო ნიკოლაძის ეს ბერძენული-ლიბერალური მსოფლმხედველობა განსაკუთრებული სიძლიერით ნათელი შეიქმნა 1905 წლის რევოლუციის პერიოდში.“⁴

დაბოლოს: „რასაკვირველია, ოქტომბრის გადატრიალებას იგი მტრულად შეხვდა. ნიკოლაძე 1917-21 წლებში მსურვალე თანამშრომლობას ეწეოდა მენშევიერ მთავრობასთან, როგორც ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის წევრი და მეოთხერი. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ იგი ემიგრაციაში მოხვდა და მენშევიერთან ერთად ებრძოდა საბჭოთა ხელისუფლებას. მაგრამ ობექტურში გარემოებამ მის დაინახვა, ერთი მხრე, ქართველი ემიგრაციის გახარწვა და ყოფილი მენშევიერი მთავრობის სრული უნიადაგობა, მეორე მხრე, — საბჭოთა-

1. ს. ხუნდაძე, სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში, ტომი პირველი, 1927 წ., გვ. 182.

2. იქვე, გვ. 212.

1 ს. ხუნდაძე, ნარკვევები, 1941 წ., გვ. 248-249.

2 იქვე, გვ. 326.

წყობილების განმტკიცება და მისი ეკონომიკური აღორძინება; ნიკოლაძემ გადაჭრით უარყო ემიგრაციის საქმიანობა და დაბრუნდა საბჭოთა საქართველოში. რაპავერიველი, საბჭოთა ეკონომიკური ცხოვრების აღორძინებისა და განვითარების ნამდვილი კლასიკურ-სოციალური შინაარსისა და მნიშვნელობის მას არაფერი გაეგებოდა... ნიკოლაძე ბოლომდე დარჩა ბურჟუაზულად მოაზროვნე მწერალი.¹

ასეთია ზოგად ხაზებში სიმ. ხუნდაძის შეხედულება ნ. ნიკოლაძის აზროვნების შინაარსზე და მის ევოლუციურ. ამ შეხედულებას, როგორც ქვემოთ დავინახავთ, შემდგომში მომხრეებიც გამოუჩნდნენ და მოწინააღმდეგეებიც ჩვენ აქ. ცხადია, ვერ შეეხებოთ აქვეა ავტორს, რომლებსაც ნ. ნიკოლაძის მსოფლმხედველობის, ან ამ მსოფლმხედველობის ევოლუციის ირგვლივ აზრი გამოუთქვამს, რადგან ეს ძალიან შორს წაგვიყვანდა; ამიტომ დავკმაყოფილდებით მარტოოდენ დამახასიათებელ მოსაზრებათა განხილვით.

1954 წელს გამოვიდა პროფ. ა. კიციანის ნაშრომი „საქართველოს ისტორია (XIX საუკუნე)“, რომელშიც გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი ნ. ნიკოლაძის მოღვაწეობისა და აზროვნების შეფასებას. ჩვენთვის საინტერესო საკითხზე ხსენებული ავტორი ამბობს: „60-იან წლებში ნ. ნიკოლაძე თავის პუბლიცისტურ წერილებში იცავდა რადიკალურ-დემოკრატიულ ხაზს. იგი ვატყებელი იყო სოციალისტური იდეებით. 70-იან წლებში დაადგა ბურჟუაზული რეფორმიზმის გზას და დაიწყო ერობის, ნაფიცი მსაჯულთა სასამართლოს, ქალაქის თვითმმართველობისა და სხვა ბურჟუაზული რეფორმების პროპაგანდა და მოთხოვნა“.²

როგორც ვხედავთ, ა. კიციანე არსებითად იზიარებს სიმ. ხუნდაძის თვალსაზრისს ნ. ნიკოლაძის შეხედულებათა ევოლუციაზე, ოღონდ ამ ევოლუციის დასაწყისს ვარაუდობს არა 80-იანი წლებიდან (როგორც ეს ს. ხუნდაძეს მიანიდა), არამედ 70-იანი წლებიდან.

სიმ. ხუნდაძის თვალსაზრისს იზიარებს აგრეთვე მკვლევარი გ. აბზიანიძე, რომელმაც დიდი მუშაობა გასწია ნ. ნიკოლაძის მოღვაწეობისა და მსოფლმხედველობის შესასწავლად. წიგნში „ნარკვევები XIX საუკუნის ქართული აზროვნების ისტორიიდან“ (1959 წ.) გ. აბზიანიძეს ნათქვამია აქვს: „60-70-იან წლებში ნ. ნიკოლაძე გვევლინება ქართული საზოგადოების მოწინავე დემოკრატიული ფენების იდეებისა და სტლიკეთების გამომხატველად... 80-იანი და განსაკუთრებით 90-იანი წლებიდან იგი თანდათან სცილდება იმ რადიკალურ-დე-

მოკრატიულ პრინციპებს, რომლებსაც 60-70-იან წლებში ჰადაგებდა და ლტენიერებულს პრობლემაზე დგება“.¹

ნიკოლაძის

დაბოლოს, შეგვიძლია მივეთხოთ მკვლევარ ე. ბახტაძის ნაშრომზე „Очерки по истории грузинской общественно-экономической мысли“. რომელშიც საკმაოდ ვრცელად არის განხილული ნ. ნიკოლაძის მსოფლმხედველობისა და ამ მსოფლმხედველობის ევოლუციის პრობლემა. ამ უკანასკნელ საკითხზე ავტორის აზრა აგრეთვე საკმაოდ ემთხვევა სიმ. ხუნდაძის აზრს. აი, ეს აზრიც:

„В 60-70 годах он выступал как проповедник идей русских шестидесятников, а с 80-х годов Николадзе находится на позициях либеральной буржуазии“.²

ამ ამონაწერებიდან ცხადია, რომ სამივე შემოსხენებული ავტორი თითქმის უკრიტიკოდ იზიარებდა და ემხრობოდა სიმ. ხუნდაძის აზრს მაგრამ, როგორც ითქვა, მომხრეებთან ერთად ს. ხუნდაძეს ამ საკითხში გამოუჩნდნენ მოწინააღმდეგეებიც, რომლებმაც მისი თვალსაზრისი არ ვაიზიარეს.

1940 წელს ნ. ნიკოლაძის მოღვაწეობისა და მსოფლმხედველობის ხასიათის შეფასებას საინტერესო ნაშრომი უძღვნა ქართული საზოგადოებრივი აზრის გამოჩენილი მკვლევარი გერანტი ქიქოძე, ამ ნაშრომში მან პირველად ჩამოაყალიბა ჩვენთვის საინტერესო საკითხზე სიმ. ხუნდაძისაგან არსებითად განსხვავებული თვალსაზრისი. რომელმაც შემდგომი გაერცყლება და განვითარება ჰქონდა სხვა საბჭოთა მკვლევარების ნაშრომებში. გ. ქიქოძის აზრით, ნ. ნიკოლაძე იყო „ევროპული დემოკრატიული აზროვნების „ერთ-ერთი პირველი შედრომე საქართველოში.“ რომელმაც „ბევრი რამ ითვისა შეეცხრაშეცე საუკუნის ფრანგი პოზიტივისტებისა და სოციალისტებისაგან, სენ-სიმონისა, პრუდონისა, ლეი ბლანისა და ოგუსტ კონტის აზროვნებიდან“ რაც შეეხება ნ. ნიკოლაძის შეხედულებათა ევოლუციას, გ. ქიქოძე თუმცა არ უარყოფს მას, მაგრამ ეს ევოლუცია არ მიაჩნია პრინციპული მნიშვნელობის ფაქტად; წინააღმდეგ ს. ხუნდაძის აზრისა, იგი თქვამს, რომ ნ. ნიკოლაძე მოხუცებულბაშიც არსებითად თავისი ახალგაზრდობის დროინდელი დემოკრატიული აზროვნების ერთგული. ე. ი. ძველი ცხოვრების რევოლუციური გზით გარდაქმნის ერთგული დარჩა. მაგრამ როგორია ნ. ნიკოლაძის შეხედულებათა კლასობრივი შე-

¹ გ. აბზიანიძე, „ნარკვევები XIX ს. ქართული აზროვნების ისტორიიდან“ 1959 წ., გვ. 125-128.

² В. С. Бахтадзе, Очерки... 1940, стр. 138.

³ გ. ქიქოძე, რჩული თხულებანი, ტ. 1, 1963 წ., გვ. 183, 185.

¹ იქვე, გვ. 338-339.

² ა. კიციანი, საქართველოს ისტორია (XIX საუკუნე), 1954 წ., გვ. 363.

ნარსი, რომელი კლასის ინტერესებს ემსახურებოდა ეს გამოჩენილი მოაზროვნე? სამწუხაროდ, ამ კითხვაზე ვ. ქიქოძე პასუხს არ გვაძლევს.

1955 წელს გამოვიდა მკვლევარ ვ. ზაქარიაძის წიგნი „ნიკო ნიკოლაძის სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი“, რომელშიც სიმ. ზუნდაძის თვალსაზრისს მოძველებულ თვალსაზრისად არის შინაშეილი და ჩვენთვის საინტერესო საკითხზე დაახლოებით ისეთივე აზრებია გამოთქმული, როგორც ვ. ქიქოძემ გამოთქვა ზემოთ უკვე მოხსენებულ სტატიაში. ვ. ზაქარიაძეც არ უარყოფს, რომ ნ. ნიკოლაძის შეხედულებებმა განიცადეს გარკვეული (მისი სიტყვით, „ზიგზაგებური“) ევოლუცია, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი ფიქრობს, რომ „ყოვლად დაუშვებელია ნ. ი. ნიკოლაძის მსოფლმხედველობისა და იდეოლოგიის ხელოვნურად გაყოფა ორ მექანიკურ შემადგენელ ნაწილად“, რადგან ნ. ნიკოლაძის მსოფლმხედველობა „შეხედულებათა ერთი მთლიანი სისტემაა, ერთი იდეოლოგიაა.“¹ ავტორი აჩვენებს, რომ ნ. ნიკოლაძე იყო გამოჩენილი დემოკრატი და ხალხის ინტერესების დამცველი. ის ამბობს: „ნიკო ნიკოლაძის ამოსავალს წარმოადგენს ხალხი, იგი ვულწრფელად დაინტერესებული იყო ხალხის ეთიკური დიდებით. მისი უკეთესი მომავლია“² აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვ. ქიქოძისაგან განსხვავებით, ვ. ზაქარიაძე არ უვლის გვერდს ნ. ნიკოლაძის შეხედულებათა კლასობრივი ბუნების განსაზღვრის საკითხს; იგი არა ერთხელ გარკვევით მითითებს, რომ ნ. ნიკოლაძე იყო ქართული ბურჟუაზიის იდეოლოგი და „იყავდა ეროვნული ბურჟუაზიის ინტერესებსა“³ მაგრამ როგორღა შესაძლებელი, რომ ბურჟუაზიის იდეოლოგი ნ. ნიკოლაძე ამავე დროს ხალხის ინტერესების დამცველი იყოს და მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე, ვ. ი. იპპარიალიშვილის ეპოქაშიც კი პროგრესულ-დემოკრატიულ პოზიციებზე იდგეს? სამწუხაროდ, ამ რთული კითხვის გამოკვლევას ავტორი სათანადო ყურადღებას არ უთმობს.

ზემოხსენებულ მკვლევარებს ვარდა, სიმ. ზუნდაძის თვალსაზრისის მოწინააღმდეგეთა რიცხვს ეკუთვნის აგრეთვე მკვლევარი ვ. დონაძე, რომელმაც სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა ნიკო ნიკოლაძის ისტორიული შეხედულებების გამოკვლევას. ეს ავტორიც არ უარყოფს, რომ „ნ. ნიკოლაძემ ხანგრძლივი მოღვაწეობის პერიოდში, საქართველოს ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებების ზეგავლენით, ვანი-

ცადა გარკვეული მობრუნება მაიკვნევი“. მაგრამ ეს მობრუნება, მისი აზრით, არ ყოფილა რადიკალური ხასიათისა და „ლიბერალიზმისაკენ გადაზრის მიუხედავად, ნ. ნიკოლაძეში დემოკრატი მანძი არასოდეს არ დაუმარცხებია ლიბერალს“⁴

როგორც ვხედავთ, სამივე ზემოხსენებული ავტორი (ვ. ქიქოძე, ვ. ზაქარიაძე, ვ. დონაძე) აღიარებს ნ. ნიკოლაძის შეხედულებათა ევოლუციის ფაქტს, მაგრამ მათ, წინააღმდეგ სიმ. ზუნდაძისა, მიაჩნიათ, რომ ხსენებულ ევოლუციას არ შეუცვლია ის რადიკალურ-დემოკრატიული მიმართულება, რომელიც დამახასიათებელი იყო ნ. ნიკოლაძის მოღვაწეობის პირველი პერიოდისათვის. აქედან ამჟამად, რომ ეს ავტორებიც ს. ზუნდაძის აკრიტიკებენ, თუ შეიძლება ასე ითქვას, მარცხნიდან: ისინი ძირითადად ეთანხმებიან ნ. ნიკოლაძის მოღვაწეობის პირველი პერიოდის ზუნდაძისებულ შეფასებას, ოღონდ არ იზიარებენ მის შეხედულებას ნიკოლაძის მოღვაწეობის მეორე პერიოდზე; მათ მიაჩნიათ, რომ 80-იანი წლების შემდეგ ნ. ნიკოლაძე ერთგულად იცავს ხალხის ინტერესებს და, მაშასადამე, ვლად პროგრესული დემოკრატი მოღვაწეა.

დაბოლოს, სიმ. ზუნდაძის თვალსაზრისის მოწინააღმდეგეთა შორის არის კიდევ ერთი ავტორი, რომლის შეხედულება ჩვენთვის საინტერესო საკითხზე განსაკუთრებით საყურადღებოა. ეს ავტორი გახლავთ ქართული საზოგადოებრივი აზრის ცნობილი მკვლევარი პროფ. ლ. გორგილაძე, რომელმაც ჩერ კიდევ 1943 წელს გამოაქვეყნა ექვანალ „მნათობის“ ფურცლებზე საინტერესო ნაშრომი „ნიკო ნიკოლაძის მსოფლმხედველობისათვის“⁵ ამ ნაშრომში ავტორი საკმაოდ დაწვრილებით იყვლევს როგორც საერთოდ ნ. ნიკოლაძის მსოფლმხედველობის შინაარსს, ისე კერძოდ ამ მსოფლმხედველობის ევოლუციის პრობლემას. ზემოხსენებულ სიმ. ზუნდაძის მსგავსად, ლ. გორგილაძეც არ უარყოფს ნ. ნიკოლაძის შეხედულებათა ერთგვარი ევოლუციის ფაქტს; მათ მსგავსადვე, ისიც იმ აზრისაა, რომ ნ. ნიკოლაძე „სოციალური“ და „მოხეტიაელობის ემპირი“, არსებითად, ერთიან შეხედულებათა მატარებელია“, მაგრამ ხსენებულ ავტორისაგან განსხვავებით, ის მანძი სულ სხვა მხრიდან (თუ შეიძლება ასე ითქვას, მარჯვნიდან) უდგება:

1 ვ. დონაძე, ნიკო ნიკოლაძის ისტორიული შეხედულებანი, 1962 წ., გვ. 13.
2 იქვე, გვ. 15.

3 შემდეგში ამ ნაშრომის ძირითადი ნაწილი შევიდა იმავე ავტორის წიგნებში „მარქსიზმის ისტორიისათვის საქართველოში“ (პირველი გამოცემა გამოვიდა 1951 წ., ხოლო მეორე — 1956 წ.) და „ქართული საზოგადოებრივი აზრის ენობის ისტორიიდან“ (1961 წ.).

1 ვ. ზაქარიაძე, „ნიკო ნიკოლაძის სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი“, 1955, გვ. 6.
2 იქვე, გვ. 236.
3 იქვე, გვ. 154.
4 იქვე, გვ. 244.

სამ. ზუნდაძის კრიტიკას: მისი აზრით, ნ. ნიკოლაძე 60-იან წლებშიც იმავე ბურჟუაზიულ შეხედულებებს აყენებს, რომლებიც მან 90-იან წლებში უფრო გამოიღადა, პროგრამული სახით ნათავადალი.

პროფ. ალ. გორგილაძის თვალსაზრისი ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა იმის გამო, რომ ავტორი არ ცნობს იმდენ მარტოოდენ დებულებებს წამოყენებით და ცდლობს თავისი მოსაზრებანი მარქსისტულ-ლენინური თეორიით დაასაბუთოს. ამიტომ ამ თვალსაზრისს ჩვენ ქვემოთ დაწვრილებით განვიხილავთ.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ნ. ნიკოლაძის შეხედულებათა ევოლუციის საკითხზე ჩვენს თვალწინ აზრთა სხვადასხვაობის საქმიად კრიტიკურად იშლება. მაგრამ ეს სურათი სრული ვერ იქნება, თუ არაფერი ეთქვით მკვლევართა კიდევ ერთ ჯგუფზე, რომელსაც თქმია ნ. ნიკოლაძის შემკვიდრების შესასწავლად ნაყოფიერი მუშაობა აქვს გაწეული, მაგრამ მისი შეხედულებების ევოლუციის საკითხზე, როგორც ჩანს, შეგნებულად არაფერი აქვს ნათქვამი. ასეთ მკვლევართა რიცხვს უნდა მიაკეთოთ, უმარტველი ყოვლისა, ე. კოტე-ტშვილი. ქართული ლიტერატურის ისტორიის ამ ნიჟერმა მკვლევარმა ჯერ კიდევ 20-იან წლებში სკდა დახატა ნ. ნიკოლაძის, როგორც მოღვაწისა და მოაზროვნის, პორტრეტი, მაგრამ მისი შეხედულებების ევოლუციის პრობლემის განხილვას სავსებით გვერდი აუარა. მისი სიტყვით, ნ. ნიკოლაძე მედამ ფხიზლად იღვა ჩვენი ქვეყნის საღარაოზე, «და გამუდმებით რეკავდა ცხოვრების განახლების იმ დიდ ზარებს, რომლის რეკაც დიდმა ალექსანდრე გერცენმა აწველა».¹

ასევე გვერდს უდის ნ. ნიკოლაძის შეხედულებათა ევოლუციის საკითხის განხილვას მკვლევარი ვ. ზამბახიძე, რომელსაც ნ. ნიკოლაძის პედაგოგიური შეხედულებების საგანგებოდ შესწავლის პატივი ეუფინის. მისი აზრით, ნ. ნიკოლაძე «შეგნებული ცხოვრების დასაწყისიდან უკანასკნელ ამოსუნთქამდე ხალხის და სამშობლოს ბედნიერებაზე მზრუნველი, მისთვის მებრძოლი» იყო.²

დაახლოებით ასეთივე ხასიათისაა პროფ. დ. გამეზარდაშვილის ნაშრომი «ნიკო ნიკოლაძე», რომელიც შესავლის სახით წამოყვარებული აქვს მისივე რედაქტორობით გამოცემულ ნიკო ნიკოლაძის თხზულებათა კრებულის პირველ ტომს. ამ ნაშრომში დ. გამეზარდაშვილი ნიკოლაძეს «გამოჩენილ სამოციანელთა ყველაზე

თვალსაზრისი წარმომადგენელს - ეწოდება» და არა ერთ საღურადღებო მდგომარეობაში მოქცეულს ნ. ნიკოლაძის მოღვაწეობის შემდეგ მისი შეხედულებების ევოლუციის საკითხს არსებითად ისიც არ ეხება.

დაბოლოს, ავტორთა ამ ჯგუფთან უნდა იქნას მოხსენებული ავრთვე პროფ. ვ. მეგრელიშვილი, რომელმაც ერთეული და საინტერესო გამოკვლევა მიუძღვნა ნ. ნიკოლაძის მეცნიერობის შესწავლას. 1960 წელს რუსულ ენაზე გამოვიდა პირველი ტომი ამ ავტორის კამბიანური ნაშრომისა «Грузинская общественно-экономическая мысль во второй половине XIX века». რომელშიც საკმოდ დიდი ადგილი აქვს დათმობილი ნ. ნიკოლაძის სოციალური და ეკონომიური შეხედულებების გამოარკვევას ავტორი დაწვრილებით იხილავს ნ. ნიკოლაძის მოღვაწეობის 60-70-იან წლებში, ანალიზს უკეთებს ამ გამოჩენილი მოაზროვნის მრავალრიცხოვან პოლიტიკურ-ეკონომიური ხასიათის წერილებს და იმ სანაბლიან დასკვნამდე მიდის, რომ ნ. ნიკოლაძე «60-70-იან წლებში რუსეთისა და საქართველოს რევოლუციური დემოკრატიის თვალსაზრისი წარმომადგენელი იყო».²

მაგრამ რაღა აზრისაა მკვლევარი ნ. ნიკოლაძის მეორე პერიოდის (80-იანი წლებიდან) მოღვაწეობისა და აზროვნების? მიანინა თუ არა მას, რომ ნ. ნიკოლაძემ «შემდგომში, საქართველოს ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებების გავლენით, შეიცვალა თავისი თავდაპირველი საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი? სამწუხაროდ, ამ კითხვის პასუხს მის ნაშრომში ვერ ვპოულობთ.

ასეთია ჩვენთვის საინტერესო საკითხზე აზრთა სხვადასხვაობის დაახლოებითი სურათი. რით უნდა იხსნას აზრთა ასეთი სხვადასხვაობა ნ. ნიკოლაძის შეხედულებათა ევოლუციის საკითხზე? ან კიდევ: რით უნდა იხსნას ის ფაქტი, რომ მკვლევართა მნიშვნელოვანი ნაწილი საერთოდ გვერდს უდის ამ უმნიშვნელოვანეს საკითხის განხილვას?

ჩვენი აზრით, ეს გარემოება, უპირველეს ყოვლისა, ნ. ნიკოლაძის მოღვაწეობისა და აზროვნების არსაეპირისი შესწავლით იხსნება: ამ მხრივ ბევრის მოქმედა თუნდაც ის ფაქტი, რომ ნ. ნიკოლაძის ნაწერების ცოტა თუ ბევრად სრული კრებული დღემდე გამოცემულიც კი არ ყოფილა, და მხოლოდ ამჟამად მოკიდა ხელი ამ დიდმნიშვნელოვან საქმეს თბილისის უნივერსიტეტის ფერნალისტიკის კათედრამ. მაგრამ საქმეს მარტო ეს მიზეზი როდი აფერხებს. ჩვენი აზრით, სულაც რომ

¹ ნიკო ნიკოლაძე, თხზულებანი, 1. 1962 გვ. 7.

² Г. И. Мегрелишвили, Грузинская общественно-экономическая мысль во второй половине XIX века, т. 1, стр. 298.

1 ვ. კოტეტიშვილი, «ქართული ლიტერატურის ისტორია», 1959, გვ. 482
2 ელ. ზამბახიძე, «ნიკო ნიკოლაძის პედაგოგიური იდეები», 1957, გვ. 31.

არ გვექონდა სხვა გამოკვლევები, მარტო სიმ. ხუნდაძის მიერ გაანალიზებული მასალებიც საკმარისი უნდა ყოფილიყო ნ. ნიკოლაძის მსოფლმხედველობაზე ძირითადად სწორი, მეცნიერული დასკვნების გასაკეთებლად. მაგრამ საქმე ისაა, რომ ასეთი დასკვნების გაკეთებას ხელს უშლიდა და ახლაც უშლის ზოგიერთი თეორიული და ისტორიული ხასიათის შეცდომა, რომელთა დაძლევა ჩვენს ისტორიოგრაფიას, სამწუხაროდ, დღემდე ვერ მოუხერხებია. ამ შეცდომათა არსი რომ ნათელი ვაზღეს, ჩვენი ფიქრით, აუცილებელია ზემოთ ჩამოთვლილ

სხვადასხვა თვალსაზრისთაგან ავიღოთ ერთ-ერთი უმთავრესი თვალსაზრისით კიხეულობა. სიმ. ხუნდაძისა და ლ. გორგილაძის კვლევებზე კვლავ ვაპარჩიოთ ისინი.

ქვემოთ ჩვენ შევეცდებით ხსენებულ თვალსაზრისთა ანალიზის გზით გამოავლინოთ იმ თეორიულ თუ ისტორიულ შეცდომათა ფესვები, რომლებიც ხელს უშლიან ნ. ნიკოლაძისა და საერთოდ თერგდალეულთა თაობის საზოგადოებრივი შეხედულებების სწორ გაგებას: ამის შემდეგ კი შევეცდებით ვადმოვყოთ ჩვენი საკუთარი შეხედულება სადაო საყიბზე.

2. სიმონ ხუნდაძის თვალსაზრისის ნაკლოვანებანი. ამ ნაკლოვანებათა კრიტიკა.

ვიტყვიო პირდაპირ: დებულება, რომელიც ჩანასახის სახით ვერ კიდევ ა. ჯორჯაძის ნაწერებში ჩამოყალიბდა და რომლის დასაბუთებამს ს. ხუნდაძემ ერთკო გამოკვლევები უძღვნა, სახელდობრ, ის დებულება, რომ ნიკოლაძის ახალგაზრდობის დროს რევოლუციურ-დემოკრატიულმა შეხედულებებმა შემდგომში (80-იანი წლებიდან) პრინციპული ხასიათის ცვლილებები განიცადეს და გადაიქცნენ ძირითადად ბერეუნიული-ლიბერალურ შეხედულებად, — ეს დებულება უდავოდ სწორი და სინამდვილის უტყუარად ამსახველი დებულებაა. ოღონდ, სამწუხაროდ, ეს დებულება დღემდე მეცნიერულად დასაბუთებული და დამტკიცებული არ ყოფილა.

სიმონ ხუნდაძე უდავოდ ნიჭიერი მკვლევარი და გამოჩენილი ისტორიკოსი იყო, საქართველოს ახალი ისტორიის, განსაკუთრებით კი, საზოგადოებრივი აზრის ისტორიის ფაქტებისა და მოვლენების შესანიშნავმა ცოდნამ და აგრეთვე დიდმა ერთდროულად დასაბუთებულ დებულებამ ვაძოვებდა მის შემდგომად განსაკუთრებით დასაფასებელი ისაა, რომ მკვლევარი, — ზოგიერთ ციტატების მოყვარულ ისტორიკოსთაგან განსხვავებით, ყოველთვის მოისწრაფოდა თავისი შეხედულებანი ისტორიული სინამდვილის ფაქტებით დაეხსებებოდა, და მამინაც კი, როცა იგი შეცდომას ეშვებოდა, ცდილობდა არ გასცილებოდა ისტორიული სინამდვილის ფარგლებს, არ დამო-

ტრებოდა ისტორიულ ფაქტებსა და მოვლენებს.

სამწუხაროდ, სიმ. ხუნდაძის თეორიულ კონცეციებს გააჩნდა დასიანნი ნაკლოვანებანი, რომლებიც ძალიან ზშირად ხელს უშლიდნენ ამ გამოჩენილ მეცნიერს სწორად გაეაზრებია მის განყარგულებაში არსებული ფაქტები და მოვლენები.1 ამ ვარემოებით აიხსნება ის ფაქტ, რომ ს. ხუნდაძემ ვერ გაიგო ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის საზოგადოებრივ შეხედულებათა არსი (თუმცა ბევრად წასწია წინ შთი მემკვიდრეობის შესწავლის საქმე); იმავე ვარემოებით უნდა აიხსნას ის ნაკლოვანებებიც, რაც მის ნააზრევს გააჩნია ნიკოლაძის მსოფლმხედველობის შინაარსისა და ამ მსოფლმხედველობის ევოლუციის საყიბზე.

ს. ხუნდაძემ კარგად იცოდა, რომ ამა თუ იმ ეპოქის საზოგადოებრივი მოძრაობისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის რთული პროცესის ვარკვევა შეუძლებელია იმე, თუ მთლურაშმა კლასობრივი თვალსაზრისი არ მოიზარკვა და, უბირველეს ყოვლისა, ხსენებულ ეპოქის კლასთა მდგომარეობა და მოსწარგბენი არ გამოიკვლია, ამტრბ იყო, რომ ნ. ნიკოლაძის (და საერთოდ თერგდალეულების) შეხედულებათა ვარკვევა მან სწორედ იმ ეპოქის საზოგადოების კლასობრივი ანალიზით დაიწყო, რომელშიც თერგდალეულთა ახალი საზოგადოებრივი იდეები ჩამოყალიბდა.

პირველსავე მეცნიერულ ნაშრომში, რომელშიც მე-19 საუკუნის ქართველი ინტელიგენციის სოციალურ-პოლიტიკური იდეალების ვამოკვლევას მიეძღვნა, ს. ხუნდაძემ სცადა მოეხაზა ძირითადი კონტრტრები თავისი თვალსა-

1 აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ს. ხუნდაძეს ხელს უშლიდა არა მარტო მისი საკუთარი თეორიული კონცეფციის ხარკვებო, არამედ ის აუტანელი ატმოსფეროც, რომელიც რაპულების უხამსო შეხედულებების გაბატონების

შედგად მისდროინდელ საქართველოში სუფულა. თუ იმ სიძნელებს გაეითვალისწინებოთ, რომლებიც ს. ხუნდაძეს წინ ეღობებოდა, საკვირველი იქნება არა მისი შეცდომები, არამედ ის უდიდესი წვლილი, რომელიც მან მაინც შეიტანა ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში.

ზრისისა, როგორც საერთოდ ხსენებული ეპოქის ინტელიგენციის ისე, კერძოდ, თერგდალაუელუბის შესახებ, აქვე უნდა ითქვას, რომ შემდგომში მას აღარ შეუძელია თავისი თვალსაზრისის ძირითადი დებულებანი, ოღონდ ცდილობდა მათ გაღრმავებასა და დასაბუთებას, რისთვისაც დიდი შრომა დაჰარჯა, მაგრამ სიჭმე ისაა, რომ უმთავრესი და გადაწყვეტი ნაკლი (ხარვეზი, შედგომა), რომელზეც ქვემოთ გვექნება საუბარი, თავიდანვე დაიხედა მის თვალსაზრისს და არავითარ გმირულ შრომას აღარ შეეძლო შემდგომში ამ თვალსაზრისის მეცნიერული დასაბუთება.

გაუცევროთ რამდენიმე ამოსავალ დებულებას. რომელზეც აშენებულია არა მარტო მისი თვალსაზრისი ჩვენთვის საინტერესო საკითხზე, არამედ არსებითად მთელი მისი ისტორიული კონცეფცია. ნაშრომში „ქართველი ინტელიგენციის პროფილი მეცხრამეტე საუკუნეში“, ს. ხუნდაძე ამბობს:

„მე-60-ე წლებამდე ქართველი ინტელიგენცია ერთ მთლიან ოჯახს წარმოადგენს. ეს თავადაზნაურული ინტელიგენცია, უმთავრესად აღზრდილი თავისი წოდების წიაღში და გაუღწეობილი წოდებრივი ინტერესებით. ამ პერიოდის ინტელიგენციის სოციალ-პოლიტიკური იდეალები არ სცილდება ვიწრო კლასიურ (წოდებრივ) ინტერესებს...“

მე-60-ე წლებში თავადაზნაურთა იდეოლოგიური და მშვიდობიანი განცხობა ახალმა კულტურულმა ნაკადულმა შეარყია: ინტელიგენციის პატრიარქალური ოჯახი დაარღვა და ბრძოლის ველზე ახალი ძალები ახალი სოციალური და პოლიტიკური პროგრამით გამოიღწიეს (დ. კონკაძე, ლ. არღვანიანი, თერგდალაულები). ამ ახალმა ძალამ მნიშვნელოვანი იდეური ბრძოლა გააჩაღა დახვედრული ინტელიგენციის წინააღმდეგ და ახალ აზროვნებას ჩაუეხარა საფუძვლები...“

შკობეველი, რა თქმა უნდა, ადვილად შეამჩნევს, რომ აქ წარმოდგენილი ავტორისეული დახასიათება მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ინტელიგენციისა, როგორც ერთი მთლიანი, პატრიარქალური ოჯახისა, ყალბია (როგორ შეიძლება რეაქციონერ თავადაზნაურებთან ერთ „პატრიარქალურ ოჯახში“ მოკათავსოთ ქართველი ინტელიგენციის ისეთი წარმომადგენლები, როგორც იყვენ. მკვალთაძე, სოლ. დოდაშვილი და ნიკოლოზ ბარათაშვილი?). მაგრამ დეანებობთ თავი ამ საკითხში ავტორის კრიტიკას და მივყევთ მის აზრთა დენას.

როგორია, ავტორის აზრით, იმ „ახალი ძალის“ სოციალური შინაარსი, რომელიც 60-იან წლებში

მში გამოვიდა ბრძოლის ველზე „დახვედრული ინტელიგენციის წინააღმდეგ“ ამ კითხვაზე ს. ხუნდაძე შემდეგ პასუხს გვაძლავს: „ჩვენ აზროვნების მკვლევარნი (კონკაძე, კონკაძე, აბაშიძე, ხახანაშვილი) ამ ბრძოლას თაობათა ბრძოლით ხსნიდნენ... ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს არ არის ვიწროდ გაგებულ იური თაობის ბრძოლა: ეს არის ბრძოლა იური სოციალური ფენის, რომელთაგანაც ერთი წარმავალი იყო, ხოლო მეორეს კი მომავლისაკენ ეჭირა თავალი: ჩვენი ცხოვრების ეკონომიურმა წარმატებამ ღრმა კრიზისი შეიტანა თავადაზნაურულ წოდებაში და გამოიწვია მისი დიფერენციაცია. ეკონომიურ ცხოვრების სიღრმეში მომხდარმა ცვლილებამ ნაწილი თავადაზნაურებისა გადახარა ახალი ეკონომიურ მიმართულებით და ფულის მორევიზი ჩაითრია. ეს მცირე ნაწილი ვერ შეურიგდა არსებულ წყობილებას და ცხოვრების ფონის გაფართოებას მოითხოვდა. ამ ნიადაგზედ აღმოცენდა ქართული ლიბერალიზმი, რომელსაც შეტაკება მოუხდა რეაქციონერი ინტელიგენციის წინააღმდეგელებთან... მოხდა ქართული თავადაზნაურული ინტელიგენციის პატრიარქალური ოჯახის ორ ბანაკად გაყოფა... მოწინააღმდეგე ბანაკებელ დარაზმვა: ერთს მხარეზე დადგა ჯველი თაობა, შეიარაღებული ჯველი ტრადიციებით და ვიწრო წოდებრივი ინტერესებით, მეორე მხარეზე — ახალი თაობა, შემობრტანი ახალი იდეებისა საქართველოში...“

ავტორი აჩვენებულ უბრუნდება აქ გამოთქმულ დებულებებს და ცდილობს დაასაბუთოს თავისი მოსაზრებანი. იგი ვანაგრძობს: „როგორც აღნიშნეთ, ქართველი ინტელიგენციის ორ ბანაკად დაყოფის საჩინოდ ველი სოციალური მიზეზები: ახალი თაობა იყო გამოშავებული იმ ახალი სოციალური ფენისა, რომელიც ჩვენი ცხოვრების სიღრმეში წარმოიშვა მე-19 საუკ. პირველ ნახევარშივე. ქალაქური ცხოვრების განვითარებამ ჩვენში და განსაკუთრებით კი ვორონეცის პოლიტიკამ ძლიერ შეარყია თავადაზნაურთა სოციალური და ეკონომიური ცხოვრება... ამ პოლიტიკამ განსაკუთრებული გავლენა მოახდინა თავადაზნაურთა ეკონომიურ მდგომარეობაზე. თავადაზნაურობამ იგემა ფულის მნიშვნელობა და მას დაუწყო ტრფიალი. შეიქმნა ახალი სოციალური ფენა თავადაზნაურთა წოდებაში, რომელიც ფულის ინტერესს აყენებდა პირველ რიგში... ჩვენ ვფიქრობთ, რომ მე-60 წლების ქართული ლიბერალიზმის სოციალური საფუძვლები უმთავრესად თავადაზნაურთა ამ ახალ ფენაში უნდა ვეძიოთ... მე-60 წლების ქართული ლი-

1 ს. ხუნდაძე, „ქართველი ინტელიგენციის პროფილი მეცხრამეტე საუკუნეში“, გვ. 33-46.

1 ს. ხუნდაძე, „ქართველი ინტელიგენციის პროფილი მეცხრამეტე საუკუნეში“, გვ. 48-50.

შერაღების საუკეთესო წარმომადგენელი არის ილია ჭავჭავაძე".¹

ასე გაუბრალოებულად, ნაკლულად და ახანწორად აქვს გადმოცემული ს. ხუნდაძეს ის დიდი სოციალ-დემოკრატიული ძეგლები, რომელთა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში გასული საუკუნის წინააღმდეგობის მოხდა და რომელთაც საბოლოოდ ასპარეზზე თერგდალეულთა გამოხედავას განაპირობა. მხელი შესაძინევი არ არის, რომ ჩვენი ქვეყნის იმდროინდელი ცხოვრების ხუნდაძისეული ანალიზი სრულიად არადასაყმაოვილებულია და მას მრავალი ხარვეზი ახლავს, მაგრამ მისი უმთავრესი ნაკლი მაინც გლეხობის ისტორიული როლის შეუფასებლობაა. ავტორის მსჯელობიდან ისე გამოდის, თითქმის ფეოდალური წყობილების რღვევისა და ბურჟუაზიული ურთიერთობის გამარჯვების ხანაში ყველაზე მნიშვნელოვანი და თითქმის ერთადერთი საზოგადოებრივი მოვლენა თავდაზნაურული ლიბერალიზმის აღმოცენება ყოფილა. „თავდაზნაურობა ახალი ევროპისკენ გადაბარა“ მან „ფულს დაუწყო ტრფალიო“, — ამბობს ავტორი, და ჰგონია, რომ ამათ ამოიწურება ის უდიდესი ცელილებები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის „ეკონომიური ცხოვრების სიღრმეში“ მოხდარბა ისტორიულმა მოვლენებმა გამოიწვია; გამოდის, რომ ძველი, ფეოდალურ-ბატონყმური წყობილების წინააღმდეგ მებრძოლი ერთადერთი ძალა ყოფილა იმავე გაბატონებულნი, ფეოდალურ-მემამულური კლასის ერთი ნაწილი, სახელდობრ ის ნაწილი, რომელმაც „ფულის მნიშვნელობა იგება“ და „ლიბერალიზმ“ დაიწყო; გამოდის, რომ ფეოდალიზმის დამარცხება და კაპიტალიზმის გამარჯვება იმავე ფეოდალური კლასის „მინაური“ საქმე ყოფილა; იგივე თავდაზნაურობა ყოფილა ახალი საქართველოსათვის მებრძოლიც და პროგრესის მუდრომეც, მაგრამ ესეც ვიკითხოთ: სადღა იყვნენ გლეხები, რომლებიც რეფორმების წინ და თეთი რეფორმების ხანაში სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას ეწეოდნენ ბატონყმური წყობილებისა და მისი დამცველების წინააღმდეგ? სადღა იყვნენ ხელოსნები, ქარგლები, მუშები, წვრილი ვაჭრები და სურთოდ ქალაქის ნახევარი პროლეტარტი და წვრილბურჟუაზიული ელემენტები? დამოღის, სადღა იყვნენ ახლად ფეხადგმული ბურჟუები, რომლებიც აგრეთვე ძველი წყობილების წინააღმდეგი იყვნენ? ერთი სიტყვით, სად იყო ე. წ. „მესამე წოდება“, რომელმაც ყველა ქვეყანაში და მათ შორის საქართველოშიც ფეოდალური არისტოკრატის ძლიერება შეშუსრა?

ისმება კითხვა: ნუთუ ისეთმა ნიჭიერმა მეცნიერმა, როგორც ს. ხუნდაძე იყო, არ იცოდა,

რომ რეფორმების წინ საქართველოში გლეხობა მასობრივად გამოდიოდა ძველი წყობილების წინააღმდეგ და იარაღით ხელმძღვანელობით ებრძოდა როგორც დაქვლანსა და მათსა ისე მის დამცველ მეფის მოაერობას? ნუთუ მან არ იცოდა, აგრეთვე, გლეხობის ბრძოლას რომ ქალაქის ღარიბი მოსახლეობის ბრძოლაც უერთდებოდა და რომ სწორედ რეფორმების ხანაში (1865 წ.) თბილისის ქუჩებში სისხლისმღვრელი შეტაკებები მოხდა მოაერობის ჯარებსა და ქალაქის მშრომელებს შორის, რომელთაც ბურჟუაზიული ელემენტებიც ემხარებოდნენ?

რა თქმა უნდა, მან ყოველივე ეს იცოდა; უფრო მეტიც; იმავე წიგნში, საიდანაც ჩვენ ზემოთ მოყვანილი ციტატები ამოვიწერეთ, ს. ხუნდაძე ლაბარაკობს „გლეხურ რევოლუციებს“, რომლებიც, მისი სიტყვით, მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში ხდებოდა; მაგრამ მას, თავისი უყარვისი, ველგარული მეთოდის წყალობით, აზრადაც არ მოსდის, რომ ეს „გლეხური რევოლუციები“ და აგრეთვე ქალაქის ღარიბი მოსახლეობის ზემოხსენებული მღვდლარება დაუკავშიროს იდეოლოგიურ სფეროში გაჩაღებულ ბრძოლას; იგი ვერ ხედავს, რომ თერგდალეულთა იდეები მშრომელი მასების, პირველ რიგში, გლეხობის სულისკვეთებისა და მისწრაფებების გამომატყულება; რომ „კაკო ყაზლის“ შინაარსი იმ ეკთარების უტყუარი ასახვაა, რომელსაც ადგილი ჰქონდა იმდროინდელი საქართველოს ცხოვრებაში.

მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ავტორის აზრთა მსვლელობას.

აღიარა რა თერგდალეულთა მთელი თაობა თავდაზნაურთა კლასის ნაწილი, მის იდეოლოგიად, ს. ხუნდაძეს არ შეეძლო არ ეგრძნო ის უხერხულობა, რომელშიც მან თავი ჩაიყენა; მას არ შეეძლო არ შეემჩნია, რომ თერგდალეულთა მოღვაწეობა და იდეები, მათი თეორია და პრაქტიკა არ ეტეოდა და არ თავსდებოდა თავდაზნაურული იდეოლოგიის ჩარჩოებში; მას არ შეეძლო არ დავხანა, რომ თავდაზნაურული ლიბერალიზმი, რა ვახვადებულადაც არ უნდა წარმოადგინო მისი როლი ძველი წყობილების „წინააღმდეგ“ ბრძოლაში, ვერ შესცვლის ხალხის წარმომადგენელთა მებრძოლ დემოკრატობას, რომელიც აშკარად გამოსკვირდა თერგდალეულთა ყოველი ნაწარმოებდანი, მათი პრაქტიკული საქმიანობის ყოველი ნაბიჯიდან. თუ „კაკო ყაზლისა“ და „გლეხის აღსარების“ ავტორთათვის კიდევ შეიძლებოდა როგორმე მიეწეებებია „თავდაზნაურთა იდეოლოგიის“ იარაღი (რადგან ისინი შთამომავლობით მაინც ამ კლასს ეკუთვნოდნენ),

ვაკრის შეიღისა და „სოციალისტის“ — ნიკო ნიკოლაძის მოთავეება იმავე თავდაზნაურთა ბანაკში უკვე ნამდვილ კერძოხად გამოიყურებოდა. ამიტომ იყო, რომ ს. ხუნდაძემ ჭერ ე. წ. „ქართული ლიბერალიზმის“ ჩარჩოები გააფაროთო და თავდაზნაურული ლიბერალების თქანში ბერყვაზიული ლიბერალებიც შეასახლა, ხოლო შემდეგ დიდი ხალხით და თითქმის უკრიტკოდ მიიღო გ. წერეთლის მიერ შექმნილი დასების ყალბი თეორია, რომლის შემწეობით ბერყვაზიული ლიბერალიზმ „დემოკრატიული“ მიმდინარეობდა აქცია.

ენახით, როგორც მოხდა ეს უცნაური პეტროპოლიტიზმი.

ჭერ კიდევ თავის პირველ მეცნიერულ ნაშრომში, რომელიც ზემოთ არაერთხელ ვახსენეთ, ს. ხუნდაძე ცდილობს დაარწმუნოს მკითხველი, რომ „ქართულ ლიბერალიზმს 60-70-იან წლებში მხოლოდ მიმდინარეობა ჰქონდა, უფრო რადიკალური და დემოკრატიული, ვინემ იყო ი. ჭავჭავაძის ლიბერალიზმი. ამ ლიბერალურ-დემოკრატიული მიმდინარეობის მეთაურად შეიძლება ჩაითვალოს გ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე და ს. მესხია.“¹ მაგრამ რა განსხვავებაა ამ ორ მიმდინარეობას შორის? მოვესმი-ნით: „თუ ილია ჭავჭავაძის საზოგადოებრივი ფიზიანობის ახასიათებს თავდაზნაურული ლიბერალიზმის შეუღლების ცდა მე-60 წლებს პროგრესულ-რევოლუციონერ აზროვნებასთან, მესხ-წერეთლის ჭგუფი ბერყვაზიული ლიბერალიზმს უკავშირებს იმავე მე-60 წლების რადიკალურ მიმდინარეობას.“²

აქ ჭერ კიდევ საკმაოდ ბუნდოვანად არის გამოთქმული ს. ხუნდაძის დებულებები, მაგრამ ავტორმა შემდგომში არა ერთხელ სცადა შთაი გალრმავება და დასაბუთება. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესო მასალას შეიცავს მისი გამოკვლევები: „სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში“, „ნიკო ნიკოლაძე, ნარკვევი მისი აზროვნებიდან“ და „გეორგი წერეთელი“. გავცნობ ჩვენთვის საინტერესო საკითხზე ამ გამოკვლევაში წარმოდგენილი მსჯელობის ნიმუშებს.

ორტომიან ნაშრომში „სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში“ ს. ხუნდაძემ დიდძალი კონკრეტული მასალის გამოშვებებით დამტკიცა, რომ ჭერ კიდევ 60-70-იანი წლების საქართველოში საკმაოდ ძლიერი უტოპიურ-სოციალისტური ლიტერატურა არსებობდა; ამ ფაქტის აღმოჩენა და დასაბუთება უდავოდ მისი დიდი დამსახურებაა. მაგრამ იმავე ნაშრომში მეტისმეტად რელიეფურად გამოჩნდა აგრეთვე ავტორის თვალსაზრისის სერია-

ზული ნაკლავანბანი, რამაც ეს გამოჩენილი მეცნიერი გამოუვალ წინააღმდეგობა უწიარ-თში გაახვია. აღრმავებს დუ რეფლექტურ კუთხვის დებულებას ქართულ ლიბერალიზმზე, ს. ხუნდაძე იმავე დროს თანდათან ცვლის თავის შეხედულებას ამ საკითხზე. ის ამბობს: „თუ სოციალური სამო ქართული ლიბერალიზმისა საქართველოს შიშობლიერ ნადავზე არსებობდა, მისი იდეოლოგიური პრინციპები ნა-სესხები იყო რუსეთის განმანათლებელ და 60-იანი წლების რადიკალ-დემოკრატიული იდე-ვალების საღაროდან. ისტორიულად ქართული ლიბერალიზმი პირისპირ შეეჭვა საქართველოს ნადავზე საუკუნეების განმავლობაში განმ-ტკიცებულ რეაქციონერ-სოციალისტურ იდეო-ლოგიას. არსებითად ეს იყო ბრძოლა თავდა-ზნაურულ სოციალ-პოლიტიკურ იდეალებსა-და ამომავალ ბერყვაზიულ მისწრაფებებს შო-რის, თავდაზნაურობას, ე. ი. დრომოქმედ კლასსა, და ბერყვაზიას, ე. ი. მომავალ კლასს შორის.“¹

სხვა ადგილას იმავე აზრს ავტორი შემდეგნაირად აყალიბებს: „კაპიტალისტური ურთიერ-ობის შემოჭრამ, სოციალური ცხოვრების დი-ფერენციაციამ გამოიწვია აზროვნების დიფერ-ენციაციაც. იდეოლოგიური სხვადასხვაობის წარმოშობაც. ინტელიგენციის შთლანი თ-ქანი დაირღვა, გაბატონებულ პატრიარქალურ აზროვნებას გამანადგურებელი მახვილი ჩას-ცა ჩვენი ცხოვრების ფონზე აღმოცენებულმა ახალმა აზროვნებამ; თავდაზნაურულ იდეო-ლოგიას თავისებური ელფერი უშემოსილა ბერყვაზიული იდეოლოგია და უპირისპირად ქართული ლიბერალიზმის ფორმით.“²

ძნელი შესაძინევი არ არის, რომ ჩვენი ავ-ტორი იძულებულია თანდათან შესცვალოს ე. წ. „ქართული ლიბერალიზმი“ შინაარსს: იგი სულ უფრო და უფრო მეტად დაპარკობს ბერ-ყვაზიულ აზროვნებაზე და ბერყვაზიულ ლი-ბერალიზმზე, ხოლო თავდაზნაურულ ლიბერა-ლებს თანდათან ივიწყებს; თითქო ილია ჭავჭავა-ძემ კო, რომელიც, ს. ხუნდაძის აზრით, ტოპიერ-ი თავდაზნაურული ლიბერალი იყო, ავტორს არაიწვიათად გამოჰყავს „ბერყვაზიულ ინტე-ლაგენტად“. მაგალითად, აი მისი სიტყვები: „ბერყვაზიულმა აზროვნებამ ჩვენში აღნიშნულ ეპოქაში ორჯერ სცადა თავისი საზოგადოებო პროგრამის წამოყენება: პირველად 1861-62 წლებში, როდესაც ილია ჭავჭავაძის ჭგუფი სა-ზოგადოებო ასპარეზზე გამოვიდა; მეორედ — როდესაც გახვთი „დროება“ დაარსდა (1866 წ.)

¹ ს. ხუნდაძე, „ქართული ინტელიგენციის პრობლემა მეცხრამეტე საუკუნეში“, გვ. 55.

² იქვე, გვ. 61.

¹ ს. ხუნდაძე, სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში, ტ. 1, გვ. 26.

² იქვე, გვ. 59.

წერეთელ-მესხის მეთაურობით.¹ ან კიდევ: „ილიამ კაპიტალიზმის კრიტიკა და „შრომის სუფევის“ თეზის შეითვისა, როგორც ინდივიდუალისტმა და რადიკალურად მოაზროვნე ბურჟუაზიულმა ინტელიგენციამ. აქ ჩვენ წინაშე დგას ბურჟუაზიულად მოაზროვნე პიროვნება, რომელმაც მხოლოდ გარეგნულად შეითვისა „შრომის სუფევის“ პრინციპები. ხოლო არსებითად ამ პრინციპების ქვეშ გულისხმობდა სპარტაკოს შრომის, თავისუფლებაზე აგებულ ბურჟუაზიულ ურთიერთობას“²

ამრიგად, როგორც დავინახეთ, არ მოხერხდა თერგდალეულთა თავისი „ჩაყვება“ თავდაზნაურთა იდეოლოგიის ვიწრო წოდებრივ ჩარჩოებში და ხვენი ავტორიც იძულებული გახდა ეს სახელეოანი მოღვაწენი თანდათან ბურჟუაზიული იდეოლოგიის ბანაკში გადაეყვანა. მაგრამ აქ მის წინაშე აღმოჩნდა ორი შეტად სპირიტუალური ახალი კითხვა: პირველი, არსებობდა თუ არა ჩვენში საერთოდ გასული საუკუნის 60-იან წლებში ეროვნული ბურჟუაზია, როგორც კლასი? მეორე, — ასრულებდა თუ არა რუსეთისა და საქართველოს ბურჟუაზია მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში პიროვნულ, რევოლუციურ და დემოკრატიულ როლს და, მასადაამე, შეიძლება თუ არა ევროპის სხენებელი ბურჟუაზიის იდეოლოგიებს შრომობი ხალხის ინტერესების დამცველები, რევოლუციონერები და სოციალისტები?

პირველ კითხვაზე ს. ხუნდაძე ასეთ გადაჭრილ პასუხს იძლევა: „ჩვენში ბურჟუაზიული კლასი არ ჩამოყალიბებულა და არც არსებულა მე-19 საუკუნის 70-იან წლებამდე“³ ეს ახალი უდავოდ სწორი და მეცნიერულად დასაბუთებული აზრია (ს. ხუნდაძეს, ცხადია, არ შეეძლო სხვაგვარად ეფიქრა, თუცა მას სურდა ისტორიულ სინამდვილეს არ დაშორებოდა). მაგრამ ესეც ვიკითხოთ: როგორაა შეიძლება, რომ არსებებულა კლასმა შექმნას ისეთი მძლავრი საზოგადოებრივი და გონებრივი მოძრაობა, როგორც თერგდალეულთა მოღვაწეობა და აზროვნება იყო?

ამ კითხვის პასუხი სიმ. ხუნდაძემ ვერ იძოვა. „განსაკუთრებული აზრი, იდეა, სოციალ-პოლიტიკური მისწრაფებანი შეიძლება აღმოცენდნენ მხოლოდ და მხოლოდ გარკვეულ ისტორიულ პერიოდში, როდესაც ამისათვის გონივრულად მომზადებულია ნიადაგი, ხოლო სოციალურად არსებობენ საზოგადოებრივი კლასები“⁴

ამ სიტყვებში „რომელიც თვითონ სიმ. ხუნდაძეს ეუთვნის, საესებოთ სწორი და მეც-

ნიერული თვალსაზრისისა გამოთქმული. მაგრამ რა გამომდინარეობს აქედან? ცხადია, აქედან პირდაპირ და აშკარად გამომდინარეობს, რომ დებუტედა, რომ თერგდალეულთა გამოცხადება ქართული ბურჟუაზიის იდეოლოგიად, ე. ი. იმ კლასის იდეოლოგიად, რომლებიც სამოღვაწეო ასპარეზზე მათი გამოსვლის დროს არც კი არსებულა, ყოვლად დაუშვებელია.

მაგრამ ამაზე კიდევ მეტად საყურადღებო და მნიშვნელოვანი ის გარემოებაა, რომ ქართველი ბურჟუაზია (რუსეთის ბურჟუაზიის მსგავსად) მასშინადაც კი, როცა იგი როგორც კლასი ჩამოყალიბდა, არ ეყოფილა არც რევოლუციური და სოციალისტური, არც დემოკრატიული მისწრაფებების გამოცხადებელი, მასადაამე, არ ეყოფილა ხალხის ინტერესების დამცველი. ეს ვარჯად იცოდა ს. ხუნდაძემაც. სწორედ ამიტომ იგი იძულებული გახდა შემოსწინებულ მეორე სპირიტუალურ კითხვაზე უპასუხოთ პასუხი გეცია. აი, როგორ ახასიათებს იგი რუსეთის ბურჟუაზიას: „ყველასათვის ცნობილი ფაქტია, რომ რუსეთის ბურჟუაზია ისტორიულ პირობების გამო არ წარმოადგენდა არსებულ წყობილებისადმი რევოლუციონერად განწყობილ კლასს... ობიექტურმა პირობებმა მთელი რუსეთის ბურჟუაზია აიძულა თავისი პოლიტიკის სასწორი თვითშეზღოვანობისაკენ გადაეხარა და მასში ეძებნა თავისი მოკავშირე ძალა“¹ არსებითად ასეთივე იყო საქართველოს ბურჟუაზია, რომლის შესახებ ს. ხუნდაძე ამბობს: „უკვე ცნობილი ფაქტია, რომ ჩვენში მძლავრი ბურჟუაზიული კლასი არ ჩამოყალიბებულა და რომ ამ ბურჟუაზიის, შემდგარს უმოაგრესად სომხისა და სხვა ტომის ელემენტებისაგან, არ შეეძლო და არც სურდა პოლიტიკური ბრძოლის წარმოება ახალი ცხოვრებისა და ახალი პირობების შესაქმნელად; იგი პასუხრად ეგუებოდა ცარიზმის სახელმწიფოებრივ არტახებს“²

მწელი შესამჩნევი არ არის, რომ აქ ჩამოყალიბებული დებულებებიც უდავოდ სწორი და მეცნიერული დებულებებია, რაც აშკარად მოწმობს ს. ხუნდაძის, როგორც ისტორიკოსის, ღიდ მეცნიერული ადღოს; მაგრამ ამავე დროს საესებოთ აშკარაა, რომ ეს დებულებები საზოლოოდ არღვევენ მისი ავტორის უნიადაგო თვალსაზრისს თერგდალეულებზე. მართლაც, თუ არც რუსეთისა და არც საქართველოს ბურჟუები არ ეყოფიან რევოლუციურად განწყობილი და ცარიზმთან შეხმატობებულად ცხოვრობდნენ, როგორაა შეეძლებოდა მათ წარმოეშათ რევოლუციური და სოციალისტური იდეები და დაეცათ შრომელი ხალხის ინტე-

1 იქვე, გვ. 67.
2 იქვე, გვ. 73.
3 იქვე, გვ. 27.
4 იქვე, გვ. 4.

1 ს. ხუნდაძე, ნარკვევები, 1941 წ., გვ. 322-323.
2 იქვე, გვ. 235.

რესები, ხალხისა, რომელიც ცარიზმის წინააღმდეგ სამკლერო-სასიცოცხლო ბრძოლაში იყო ჩაბმული?

ყოველივე ზემონათქვამიდან ცხადია, რომ ს. ხუნდაძემ ვერ იპოვნა ის სოციალური ძალა, — ის კლასი, რომლის ინტერესებსაც ჩვენი სახელოვანი თერგდალეულები გამოხატავდნენ. ამით აიხსნება, რომ მან ვერ შეძლო თერგდალეულთა მოღვაწეობისა და აზრგუნვის სწორი შეფასება მოეცა.

რაც შეეხება ს. ხუნდაძის ცდებს გადაჭრინა თავისი შემცდარი თვალსაზრისი ე. წ. „დასუბის თეორიის“ შემწეობით, ჩვენ ამ საკითხზე აქ აღარ შეეჩერდებით, რადგან უკვე გვქონდა შემთხვევა დაგვესაუბრებოდა როგორც დასუბის თეორიის სრული უნადავობა, ისე ს. ხუნდაძის მიერ ამ თეორიის დასასაბუთებლად მოშველიებელი არგუმენტების უმწეობა.¹

ჩვენ აქ არაფერს ვიტყვით აგრეთვე ს. ხუნდაძის ცდებზე, გაემარებოდა თავისი თვალსაზრისი ისეთი მარქსისტული ლიტერატურის მოშველიებით, როგორიცაა კ. მარქსისა და ფ. ენგელსის „კომუნისტური მანიფესტი“ და გ. პლენინოვის „მონისტური თვალსაზრისი“, რადგან ეს ცდები სერიოზულ კრიტიკას ვერ უძლებს და მათი მცდარობა უოველი განათლებული მკითხველისათვის ადვილად შესაძინებია.

მაგრამ ჩვენი მიმოხილვა სრული ვერ იქნება, თუ არაფერი ვთქვით ს. ხუნდაძის თვალსაზრისის შეტამორფოზზე საკუთრივ ნ. ნიკოლაძის მსოფლმხედველობის კლასობრივი ბუნების განსაზღვრის საკითხში. ვფიქრობთ, მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ ვეღარც ის, რაც ზემოთ თერგდალეულების მომართ ს. ხუნდაძის თვალსაზრისის ნაკლოვანებებზე იქცევა, პირდაპირ შეეხება და ახასიათებს მის თვალსაზრისს თერგდალეულთა გამოჩენილი წარმომადგენლის ნ. ნიკოლაძის მიმართაც, მაგრამ სურათის მეტი რეალიზურობისათვის ზედმეტი არ იქნება გავეცნოთ ჩვენი ავტორის მსჯელობის კიდევ რამდენიმე ნიმუშს, მიძღვნილთ საკუთრივ ნ. ნიკოლაძის შეხედულებათა კლასობრივი ბუნების გამოჩვევისადმი.

ნაშრომში „სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში“ მოიპოვება სპეციალური თავი, შემდეგ სათაროთ: „ნიკო ნიკოლაძე — სოციალისტი“. აქ თავმოყრილია საინტერესო მასალა, საიდანაც სრულიად აშკარად ჩანს, რომ 60-70-იან წლებში ნ. ნიკოლაძე ქადაგებდა უტოპიურ-სოციალისტურ აზრებს. მაგრამ როგორც კი ნაშრომის ავტორი ნ. ნიკოლაძის შეხედულებათა კლასობრივი ბუნების განსაზღვ-

რის საკითხზე გადადის, მაშინვე იჩენს თავს მისი თვალსაზრისის ნაკლოვანებები და ამ მოთველ ნიხში ემწყვდევს: „სადაც არაა რეალური“.


ნაშრომის ძირითად ტექსტში (გვ. 204-205), ავტორი ხაზგასმით ამბობს, რომ ნ. ნიკოლაძის სოციალისტური იდეები თავდაზნაურული კლასის ინტერესებს ემსახურებოდა, მაგრამ იქვე, სქოლიოში იძულებულია ფაქტობრივად თვითონვე უარყოს ეს შემცდარი აზრი. ამ მისი სიტყვები ნაშრომის ძირითად ტექსტში: „ნიკოლაძის სოციალისტური პროგრესი“ პრაქტიკულად ემსახურებოდა თავად-აზნაურობის ინტერესებს“ (გვ. 204); ან კიდევ: „საქართველოს სინამდვილეში 1876 წ. ნიკოლაძე კლასთა ბრძოლას თითქმის ვერ ხედავს და არ ვრიდება სოციალისტური პრინციპი“ გამოიყენოს თავად-აზნაურობის ინტერესების დასაცავად“ (გვ. 205). ახლა ენახოთ, რას ამბობს ჩვენი ავტორი იმავე (205) გვერდის სქოლიოში:

„ჩვენთვის უდავოა ის დებულება, რომ ნიკოლაძის პრინციპებს იმ პერიოდში სარჩულად არ ედგა თავად-აზნაურების წოდების, როგორც ასეთის, ინტერესების დაცვა. მისი მიზანი უფრო საერთო და ჰუმანიური იყო. მაგრამ... ნიკოლაძეს არ ჰყავდა შესაფერისი სოციალური კლასი, რომ მას დაურდნობოდა და მისი საშუალებით ემოქმედნა. ერთადერთი წრე, ერთადერთი საზოგადოებრივი მოქმედი ძალა თავად-აზნაურობა იყო და ამ წოდებას ქქონდა დაყრბობილი ჩვენი ცხოვრების უოველი მნიშვნელოვანი დარგი და მის გარეშე შეუძლებელი იყო მუშაობა და პრაქტიკული მოღვაწეობა. ნიკოლაძეც იძულებული შეიქმნა, სარბიელის უქონლობის გამო, ამ საზოგადოებრივი ძალი-სათვის მიემართა და იქ შეეტანა თავისი ახალი აზრი“.

ამ მსჯელობაში, რომელიც ვერაერთად კრიტიკას ვერ უძლებს, შესანიშნავად მოჩანს ს. ხუნდაძის თვალსაზრისის, მთელი მის ისტორიული კონცეფციის სისუსტე და მოუწიებლობა. ავტორი ფ. მახარაძის მსგავსად, იმდროინდელ საქართველოში ერთადერთ საზოგადოებრივ ძალად მუქთაბორა თავდაზნაურობა მიანდა, ხოლო ერის ძირითად ნაწილს, სოფლისა და ქალაქის მშრომელებს, რომლებიც ქვეყნის სიმღიდრეს ქმნიდნენ, ანგარიშშიც არ ავლებდა. ამის გამო მას არ შეეძლო გაეგო და ვერც გაიგო თერგდალეულთა პროგრესული შეხედულებების არსი.

ს. ხუნდაძის უთანასწოლი სიტყვა „მისი დაცვობილი კვლევა-ძიების გამო ჩვენთვის საინტერესო საკითხზე გადმოცემულია შემდეგ სიტყვებით: „ნიკოლაძის პროგრამას და აზრს ვენება 60-70-იან წლებში არ ქქონდა ჩვენში მტკიცე დახურდენი სოციალური ბაზა: გლეხობა ჩვენში განუვითარებელი იყო. არც ბდილობდა ნიკოლაძე ამ სოციალურ წრეზე დაყ-

¹ იხ. ჩვენი წერილი „დასუბის თეორიის განდისინჯისათვის“ (წიგნში: „ილია ჭავჭავაძე. პოლიტიკურ-ეკონომიური შეხედულება ნიკოლაძის“, 1957 წ.).



რდნობას; ბურჟუაზია იმ ხანად უმნიშვნელო და, მამასადამე, უაქტივო იყო; ერთადერთ აქტიურ ძალას თავად-ახნაურობა წარმოადგენდა, მაგრამ იგი არ შეიძლება განხილავთ მის სამოღვაწეო ასპარეზად (თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ წოდებასთან შორიდანისათვის ნიკოლაძეს ხშირად სჭირდებოდა დიდ კომპრომისებზე წასვლა). უმთავრესი წრე, რომელზე დაყრდნობასაც ნიკოლაძე ცდილობდა და რომელიც მას მიაჩნდა ცხოვრების მამოძრავებელ ფაქტორად, ეს ახალი თაობის ინტელიგენცია იყო. მაგრამ ამ ინტელიგენციამ ვერ გამართლა თავისი დაპირებანი და იგაც კედ-მოხრალი შეეგუა ცხოვრების მოთხოვნილებებს.¹

ამრიგად, გამოდის მეტად უცნაური სურათი, რომელიც ძალაზე ჰგავს მოვადობებულ წრეს; ახალი თაობა (და მათ შორის ნ. ნიკოლაძე) ისევე ახალ თაობას, ვ. ი. საკუთარ თავს ეყრდნობოდა; მაგრამ რამ წარმოშვა ეს ახალი თაობა? თუკი მას არ გააჩნდა „დასაყრდენი სოციალური ბაზა“, ვ. ი. თუკი არ არსებობდა კლასი, რომელშიც ხსენებული ახალი თაობა წარმოიშვა და რომლის ინტერესებიც მას უნდა დაეცვა; გამოდის, რომ ახალი თაობა საკუთარი თავიდან წარმოშობილა, შემდეგ თვითონვე თავის თავს დაყრდნობია, რადგან მარტო თავისი თავი უცვლია „ცხოვრების მამოძრავებელ ფაქტორად“, მაგრამ, ბოლოს, მინც უნაყოფოდ გამტარა, რადგან „ვერ გაუმართლებია დაპირებანი“, რომელიც საკუთარ თავს მისცა; აღვილი შესაძინებია, რომ აქედან აშკარა იდვალისმამდე დიდი მანძილი აღარ არის, მაგრამ ვულგარულ-მატერიალისტური აზროვნებისაგან სხვაგვარი შედეგი არც იყო მოსალოდნელი.

ს. ხუნდაძის მსოფლმხედველობის ნაკლოვანებანი არ აიხსნება მარტო მისი პირადი თვისებებით, ან მისი, როგორც ისტორიკოსის, მოუზადებლობით. პირიქით, სამართლიანობა მოთხოვს აღვნიშნოთ, რომ ის უადრესად ნიქიერი ისტორიკოსი იყო და შესანიშნავად იცნობდა საქართველოს ახალი ისტორიის ფაქტებსა და მოვლენებს. მაგრამ ამ ნიქიერმა მკვლევარმა ვერ შესძლო გადაეღა ამ ევლვარული აზროვნების საზღვრები, რომელიც მის დროს ფართოდ იყო გავრცელებული რუსეთშიც და საქართველოშიც. ნუ დაგვაიწყდება, რომ ამ დროს მ. პოკროვსკის, ფ. მახარაძის და მათი მიმდევრების შეხედულებანი მეცნიერების უკანასკნელ სიტყვად ითვლებოდა.

ილიას თქმისა არ იყოს, ზოგჯერ ნიქიერ აღამიანს უფრო დაეტყობა ხოლმე თავისი დროების ნდშანი, კარგისაც და ავისაც, ვიდრე მას, ეინც მთელ თავის სიცოცხლეს უნაყოფოდ და უაზროდ ატარებს.

როგორც უკვე ითქვა, პროფ. ლ. გორგილაძემ ჯერ კიდევ 1948 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი „ნიკო ნიკოლაძის მსოფლმხედველობისათვის“, რომელშიც გაკრიტიკებულია ს.მ. ხუნდაძის თეალსაზრისი და ის აზრია გამოთქმული, რომ „ნიკოლაძე როგორც სიკბატეუსი, ისე მოხეტობის ეპოს, არსებითად, პრინციპულად ერთიან შეხედულებათა მატარებელია“, რომ „მის ხანგრძლივ ცხოვრებას შეხედულებათა ერთიანი ძაფი გასდევს“ და რომ უკვე „60-იან წლებში ნიკოლაძე აყენებს იმ ბურჟუაზიულ შეხედულებებს, რომლებიც შემდეგში, 90-იან წლებში პროგრამული სახით ჩამოყალიბდა“.

შემდგომში ავტორმა აჩვენებულ გამოსცა ხსენებული ნაშრომი და დააზუსტა მისი ცალკეული დებულებები, მაგრამ არსებითი ცვლილებები მასში არ შეუტანია. უკანასკნელად იგი ავტორმა ორგანიზალ დაუკავშირა თურგდელულებასაღმი მიძღვნილ თავის სხვა ნაშრომებს და შეიტანა წიგნში „ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან“ (1961 წ.), სადაც ჩვენთვის საინტერესო ადგილი შემდეგ რედაქციით არის წარმოდგენილი;

„ნიკოლაძემ ჩერნიშევსკის გლხევი რევოლუციური დემოკრატიზმი ბურჟუაზიულ-დემოკრატიზმად აქცია. ეს პროცესი იწყება არა 80-იანი წლებიდან, როგორც ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს. ამაყედ უკვე 60-იანი წლებიდან. ამიტომ ნიკოლაძის აზროვნების ევოლუციის ის პერიოდია, რომელიც ნიკოლაძის მსოფლმხედველობაში არჩევს ერთმანეთსაგან სრულიად განსხვავებულ ორ პერიოდს, 80-იან წლებამდე და მის შემდეგ, არ შეიძლება სწორად მივიჩნიოთ. ნიკოლაძის მსოფლმხედველობის ყურადღებით განხილვიდან ჩანს, რომ მთელ მის ხანგრძლივ ცხოვრებას შეხედულებათა ერთიანი ძაფი გასდევს. რა თქმა უნდა, ნიკოლაძის შეხედულებებმა ევოლუცია განიცადეს, ეს ევოლუცია მარცხნიდან მარჯვნივ წავიდა. მაგრამ უკვე მაშინ, 60-იან წლებში, ნიკოლაძე აყენებს იმ შეხედულებებს, რომლებიც შემდეგში, 70-იან წლებში პროგრამული სახით ჩამოყალიბდა.“¹

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ავტორის ეს დასკვნა აშკარად უაღბ წინამძღვრებს ემუარება და იგი არც ისტორიულად, არც თეორიულად სწორი არ არის.

რას გვლასხმობს ჩვენი ავტორი ცნებაში „ბურჟუაზიული დემოკრატიზმი“? ან სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რომელი კლასის იდეოლოგიას ეამოხატავდა, მისი აზრით, ნ. ნიკოლაძე უკვე 60-იანი წლებიდანვე? მისი ნაშრომიდან, ცხადია, რომ ნ. ნიკოლაძე, რომელმაც ე-

¹ ლ. გორგილაძე, „ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან“, 1961 წ., გვ. 117.

¹ ს. ხუნდაძე, ნარკვევები, გვ. 307-308.

თომც „ჩერჩიშვესის გლეხური რევოლუციური დემოკრატიზმი ბურჟუაზიულ-დემოკრატიზმად აქცია“ თავიდანვე ატარებდა ბურჟუაზიულ შეხედულებებს და გამოხატავდა ქართული ბურჟუაზიის ინტერესებს, ე. ი. იყო ეროვნული ბურჟუაზიის იდეოლოგი. საერთოს ამგვარ გაგებას საესებით გვიდასტურებს თვითონ ავტორი, რომელიც არაერთხელ კატეგორიული ფორმით აცხადებს, რომ ბურჟუაზიული დემოკრატიზმი ბურჟუაზიული კლასის იდეოლოგიაა და რომ ჩვენებური ბურჟუაზიული დემოკრატიზმის შეხედულებათა განვითარების (ევოლუციის) მაგალითზე თითქოს შესაძლებელია დავინახოთ თვითონ ქართული ბურჟუაზიის განვითარების გზა. აი მისი სიტყვები:

„ნ. ნიკოლაძე, ვ. წერეთელი და ს. მესხი, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ხანის მოღვაწეები, დემოკრატიული ბურჟუაზიის საუკეთესო წარმომადგენლები და მის შეხედულებათა საუცხოო გამოხატველნი არიან...

ბურჟუაზიულ-დემოკრატიული კლასის შეხედულებათა ევოლუციის მაგალითზე ნათლად შეიძლება დავინახოთ ქართული ნაციონალური ბურჟუაზიის ისტორიული გენეზისი და განვითარება. მათ ასახეს და თავიანთ ბრწყინვალე წარმომებებში რელიეფურად გამოხატეს ქართული ბურჟუაზიის განვითარების გზა. 60-იან წლებში ჩვენში კაპიტალიზმი ისინი იყო ისახებოდა და პირველ საბოლოო დგამდა. მაშინ ჯერ კიდევ არ ჩანდა წინააღმდეგობა ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის. ბურჟუაზიის იდეოლოგები მთელი ხალხის სახელით გამოდიოდნენ. ფეოდალიზმის ნათესებს ებრძოდნენ და საერთო-სახალხო საქმეს აეთუბდნენ.“¹

ამ ამონაწერიდან უდავოდ დასტურდება, უპირველეს ყოვლისა, ის, რომ, ავტორის აზრით, „ბურჟუაზიული დემოკრატია“ იგივე ბურჟუაზიის იდეოლოგიაა და მეტი არაფერი; ამ ამონაწერიდან დასტურდება აგრეთვე, რომ ავტორის რწმენით ქართული ბურჟუაზია თავისი განჯნის დღიდანვე „ხალხის სახელით გამოდიოდა“ და „საერთო-სახალხო საქმეს აეთუბდა“. მაგრამ ძნელი მისახვედრი არაა, რომ არც ერთი და არც მეორე დებულება სწორი არაა.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ ჯერ კიდევ ს. ხუნდაძემ სცადა ნ. ნიკოლაძის (და საერთოდ თერგდალეულების) მოღვაწეობის პირველი პერიოდი ბურჟუაზიულ იდეოლოგიასთან დაკავშირებაში. მაგრამ მისი ცდა მარცხით დამთავრდა: ჩვენ ვუპასუვს ამ მარცხის მიზეზებს: ს. ხუნდაძემ

ქარგად იცოდა, რომ 60-იანი წლების დამდეგს ქართული ბურჟუაზიული კლასი არ არსებობდა; ს. ხუნდაძემ იცოდა აგრეთვე, რომ ჩვენებური ბურჟუაზია, როცა რუსულ კლასად ჩამოყალიბდა (70-90-იან წლებში), მაშინაც არ წარმოადგენდა რევოლუციურ ძალას და ხალხის საქმეს კი არ ემსახურებოდა, ცარიზმის ლაქია იყო. სწორედ ამ ორმა გარემოებამ გამოიწვია მისი თვალსაზრისის კრაბი. მაგრამ რა გამოიმდინარეობს აქედან? აქედან ცხადია, ლოგიკურად გამოიმდინარეობს ის აზრი, რომ თუკი ვინმე კვლავ მოიხსურებდა ნ. ნიკოლაძისა და მისი თანამებრძოლების იდეების დაკავშირებას იმავე ბურჟუაზიასთან, მას უპირველეს ყოვლისა, ამ კლასის წარმოშობისა და ისტორიული როლის საკითხი უნდა გამოეკვლია და, მაშასადამე გადაეცხა ის სიძნელე, რომელიც შეუძლებლად ხდიდა ხიდის გადებას, ერთი მხრივ, თერგდალეულია რევოლუციურ-დემოკრატიულ იდეებსა და, მეორე მხრივ, ქართული ბურჟუაზიის კლასობრივ მისწრაფებებს შორის.

მაგრამ გადალახა თუ არა ეს სიძნელე ლ. გორგილაძემ? სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დამტკიცა თუ არა მან, რომ, ჯერ ერთი, 60-იანი წლების დამდეგს ქართული ბურჟუაზია, როგორც კლასი, უკვე არსებობდა, და მეორეც, — მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ქართული ბურჟუაზია ცარიზმის ლაქია კი არ იყო, არამედ შეუსია და შემამულებების წინააღმდეგ შებრძოლთა ბანაჟი იმყოფებოდა და ხალხის საქმეს აეთუბდა? ენახოთ ეს ამ კონკრეტულ მასალაზე თვალის გადავლებით, რომელიც წარმოდგენილია ავტორის ზემოთ უკვე ხსენებულ წიგნში.

საქართველოში კაპიტალიზმის განვითარებასა და ებრძოვლი ბურჟუაზიის, როგორც კლასის, ჩამოყალიბებაზე ავტორი შემდეგნაირად მსჯელობს: „XIX საუკუნის პირველ ნახევარში კავკასიაში პირვანდელი დაგროვების პროცესი წარმოებს და უმთავრესად სავაჭრო კაპიტალ ტრიალებს, მეორე ნახევარში კი, რეგორმის შემდგომ ხანაში, განსაკუთრებით 70-იანი წლებიდან, იწყება საქარზონ-საფარბოკო მრეწველობის განვითარება.“¹ შემდეგ: „ცხენი და ურემი, ქარანუხი და „ფოშტის ეტლები“ — აი, მოსივლის საშუალებანი საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევარამდე. მიმოსვლის ასეთი პრიმიტიული საშუალებები ძლიერ აფერხებდა ქვეყნის კაპიტალისტურ განვითარებას. 70-იანი წლებიდან მდგომარეობა მკვეთრად იცვლება.“² დაბოლოს:

„ეპკრობა-მრეწველობის განვითარების პროცესში ყალიბდება ახალი კლასი — ეროვნული ბურჟუაზია. იგი დიდ თანხებს აბანდებს

1 ს. მესხის მიუთუთება ნ. ნიკოლაძე — ვ. წერეთლის ჭვუფისადმი გაუტებრობის ნათ. ფა. მაგრამ ჩვენ აქ აღარ გამოუდღებებით ამ საკითხში ავტორის შეხედულებათა კრიტიკას.
2 იქვე, გვ. 101-102.

1 იქვე, გვ. 27
2 იქვე, გვ. 26.

ვაჭრობა-მრეწველობაში და გარკვეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალა ხდება. „საქართველოს კალენდრის“ ცნობით, წლიური ვაჭრობა დ. სარაქინვილის ნაწარმოებისა ორ მილიონზე მეტია. 1901 წლის განმავლობაში გაყიდულია კონიაკი 220,000 მანეთისა, ლიჭორი — 40,000 მან. და სპირტი და მისი ნაწარმოები მილიონ ნახევარი მან.

ამ დროს ეროვნული ბურჟუაზიის გამოჩენილი წარმომადგენლები მეყვანეთის ტიპისა როდი არიან, ისინი ევროპისა და რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში განსწავლულნი, ქველმოქმედ საქმიანობას ეწევიან და როგორც ოფიციალურ, ისე ლიბერალურ წრეში გარკვეული გავლენით სარგებლობენ.¹

ამ ამონაწერებიდან დღესათვის ნათელია, რომ ავტორი არა თუ არ დასაბუთებს 60-იან წლებში საქართველოში ბურჟუაზიული კლასის არსებობის ფაქტს, არამედ არც კი ცდილობს გავიყვინოს თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში უკვე დასაბუთებულ და აღიარებულ დებულებას, რომლის მიხედვით ქართული ბურჟუაზია, როგორც კლასი, ჩამოყალიბდა რევოლუციის შემდგომ ხანაში, სახელდობრ, 70-90-იან წლებში. კეთილი, მაგრამ აქ ხომ კვლავ წამოიჭრება იგივე წყვეტელი კითხვა, რომელმაც ს. ხუნდაძის თვალსაზრისის დასაბუთება გამოიწვია: როგორ მოაჭრება არასებულმა კლასმა თავისი იდეოლოგიის შექმნა? ამ კითხვზე პასუხის გაცემამდე, ცხადია, ავტორის თვალსაზრისის ისევე დასაბუთებელი რჩება, როგორც დასაბუთებელი იყო ს. ხუნდაძის თვალსაზრისი.

მაგრამ მიუხედავად ქვემოთ.

ქართული ბურჟუაზიის ისტორიული როლის შესახებ დ. გორგოლაძე ამბობს: „საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სარბიელად ერთგულნი ბურჟუაზიის სახით ახალი ძალა გამოდის. მაგრამ იგი ზემო საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში რაიმე სერიოზულ როლს არ ასრულებს.“

ქართული ეროვნული ბურჟუაზია გამოდის, როგორც რუსეთის ბურჟუაზიის შემადგენელი ნაწილი, მისი ერთ-ერთი რაზმი. ის წინააღმდეგობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა მათ წრეში, ხელს არ უშლიდა მათ თავიანთი კლასობრივი ინტერესების დასაცავად ერთიანი ფრონტით გამოსულად. ქართული ეროვნული ბურჟუაზია, მიუხედავად თავისი ოპოზიციურობისა, რუს ბურჟუაზიასთან მჭიდროდ დაკავშირებული, მეფის ხელისუფლების ერთგული იყო.²

ამ ამონაწერიდან ცხადზე უცხადესია, რომ ავტორმა არა თუ არ დასაბუთა აზრი, ვითომც ქართული ბურჟუაზია ცარიზმს ებრძოდა და

ხალხის საქმეს აყვებდა, არამედ, პირაქით, მან სრულიად გარკვევით გაიზიარა შენწინაშე რევოლუციის რიგგარეშე წერ კიდევ დიმიტრის წინაშე დასაბუთებული დებულება, რომლის მიხედვით ქართული ბურჟუაზია, რუსეთის ბურჟუაზიის მსგავსად, მეფის ხელისუფლების ერთგული იყო. მაგრამ აქაც ხომ კვლავ წამოიჭრება იგივე უღმომბელი კითხვა, რომელმაც ს. ხუნდაძის თვალსაზრისის კრახი გამოიწვია? როგორ არის შესაძლებელი, რომ ბურჟუაზია მეფის მთავრობის ერთგული ყოფილიყო, ხოლო მის იდეოლოგიას, — ე. ო. მისი ინტერესების დამცველებს, — ხალხის საქმე ეყვებინათ? ეს კითხვა დ. გორგოლაძისათვის ისევე დაუშვებელი აღმოჩნდა, როგორც დაუშვებელი იყო იგი ს. ხუნდაძისათვის.

ზემოთ ზევს უკვე გავიყვინათ ავტორის კატეგორიულ განცხადებას, რომ თითქმის „ბურჟუაზიის იდეოლოგიები მთელი ხალხის სახელით გამოდიოდნენ, ფეოდალიზმის ნაშთებს ებრძოდნენ და საერთო სახალხო საქმეს აყვებდნენ“. მაგრამ, იქნებ, ეს შემთხვევით წამოცდენილი ფრაზაა? სამწუხაროდ, არა, აქ საქმე შემთხვევითობაში არ არის; ავტორი ამ აზრს აბაერთხელ და ხაზგასმით იმეორებს. მავალითად, სხვა ადგილას ის ამბობს: „ბურჟუაზიული-დემოკრატიული დასი თავგამოდებით იცავდა თავისუფლებას, მხურვალედ თანაუგრძობდა გლეხთა მასებს და ენერგიულად ებრძოდა ბატონყმური ჩავერის ყველა და ყოველგვარ გამოყენებას.“

გამოდის, რომ ქართული ბურჟუაზიის იდეოლოგიები ნამდვილი რევოლუციონერები და დემოკრატები ყოფილან, რომლებიც თავგანწირვით იბრძოდნენ შშრომელი ხალხის, პირველ რიგში კი, გლეხობის სოციალური განთავისუფლებისათვის! მაგრამ ეს კიდევ ცოტაა: ავტორი გვარწმუნებს, ვითომც ქართული ბურჟუაზიის იდეოლოგიები (ნ. ნიკოლაძისა და მისი თანამაზრათო სახით) თავგანწირვით იბრძოდნენ აგრეთვე ქართული ხალხის ეროვნული განთავისუფლებისათვის და ხალხთა მეგობრობის აქტიური მქადაგებელი იყვნენ. აი მისი სიტყვები: „ნ. ნიკოლაძე და მისი თანამაზრენი ეროვნული ჩავერის, ცარიტული პოლიტიკის შეუერებელი და მტკიცე მოწინააღმდეგენი იყვნენ. ისინი ვმობენ სხვაზე შესევისა და აობრები ყოველგვარ ცდას და მხურვალედ ესაზრლებიან ქართული ხალხის ბრძოლას ეროვნული თანასწორუფლებიანობისათვის.“

ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი და ს. მესხი კავკასიის ხალხთა მეგობრობის მქადაგებელი არიან. მათ კარგად ესმით ამიერკავკასიის ერების მეგობრობის, ურთიერთმხარდაჭერისა და დახმარების მნიშვნელობა ამ ხალხების ეროვნული და სოციალური აღორძინებისათვის.³

1 იქვე, გვ. 30—31.

2 იქვე, გვ. 31.

10. „მთაბი“, № 11.

1 იქვე, გვ. 101.

2 იქვე, გვ. 109—110.

ჩვენ, რა თქმა უნდა, კარგად ვიცით, რომ ნ. ნიკოლაძე და მისი სახელოვანი მეგობრები გასული საუკუნის 60-70-იან წლებში, პართიკულ, თავგანწირვით იბრძოდნენ შიქსისა და მემამულეების წინააღმდეგ, ხალხის სოციალური და ეროვნული განათვისებულებისათვის. მაგრამ რა შეაშინა აქ ქართველი ბურჟუაზია, რომელიც თავით ავტორის აზრითაც კი ცარიზმის ერთგული ლაქია იყო? განა თანამედროვე მკვლევარისათვის უღავო არ უნდა იყოს ის ბეშპირიტება, რომ რუსეთის ან საქართველოს ბურჟუაზიის იდეოლოგი არ შეიძლება იდეოლოგიის მხარეზე ყოფილიყო და ხალხის საქმე ეგუთებინა?

ჩვენ აქ მივადგებით სადავო საკითხის თეორიულ მხარეს, რომლის მოკლე განხილვას გვირდს ვერ ავუვლით.

ჩვენი ავტორი თავისი წიგნის შესავალ ნაწილში თვითონვე ამბობს, რომ ქართული საზოგადოებრივი მოძრაობის ისტორიის ის იხილვა: „... ნ. ლენინის ნაზრების სინათლეზე“¹ ეს განზრახვა მისასაღებელია, მაგრამ ბუნებრივად ისმება კითხვა: როგორ შევათანოთ ლენინის მოძღვრებასთან მისი შემოთხსენებელი მსჯელობა ქართველი ბურჟუაზიის იდეოლოგთა ისტორიული როლის შესახებ? განა ლენინს ოდესმე უთქვამს, რუსეთის ბურჟუაზია ან მისი იდეოლოგები რევოლუციონერები იყვნენ და ხალხის საქმეს აცუბდნენო? პირიქით, ლენინი მუდამ ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „ბურჟუაზიას, თავისი კლასობრივი მდგომარეობით, არა სურს და არც შეუძლია სურდეს რევოლუცია. მას სურს მხოლოდ მორიგება მონარქიასთან რევოლუციური ხალხის წინააღმდეგ, მას სურს მხოლოდ მიეპაროს ხელისუფლება ან ხალხის ზერი“.

მაგრამ, იქნებ, ლენინი ასე მსჯელობდა ბურჟუაზიაზე როგორც კლასზე, ხოლო ამ კლასის იდეოლოგებზე უკეთესი შეხედულებისა იყო? მოუხსინოთ:

„ბურჟუაზიის ყოველი იდეოლოგი — სულაი-ხორციანად ჩარჩია; ის ფიჭრობს არა რეაქციასა და „ურიადნიკის“ ძალების მოსპობაზე, არამედ იმაზე, რომ მოისყიდოს, მოთაფლოს, მოაღიბოს ეს ურიადნიკი რაც შეიძლება უფრო მეტი მორიგების საშუალებით“².

ასე ახასიათებდა ლენინი რუსეთის ბურჟუაზიის იდეოლოგებს, რომლებსაც იგი „ბურჟუაზიის სწავლულ ლაქებს“³ ეძახდა.

წელიწადისაზედ არ არის, რომ აქედან ლოგოს, უღმობელი კანონით გამომდინარეობს შემდეგი აღტერანტივი: ან ჩვენი სამოციანე-

ლები (და მათ შორის ნ. ნიკოლაძე) რევოლუციონერები და დემოკრატები ვართ, და როგორც ასეთი, პართიკულ, ერთგულად ემსახურებოდნენ მშრომელი ხალხის სოციალური და ეროვნული განათვისებულების საქმეს, ან კიდევ ისინიც ბურჟუაზიის სწავლულ ლაქებს და სულ-ხორციანად ჩარჩები არიან, ხოლო მშრომელი ხალხის ინტერესებთან და რევოლუციურ-დემოკრატიასთან საერთო არაფერი გააჩნიათ. მარქსისტი მკვლევარისათვის ამ საკითხის სხვაგვარი გადაწყვეტა არ არსებობს.

შესაძლოა ავტორმა გვითხრას, რომ ლენინის შემოთხსენებელი აზრები რუსეთს შეეხება, ხოლო ქართველი ბურჟუები და მათი იდეოლოგები სხვაგვარ შეფასებას იმსახურებენო, მაგრამ ასეთი შემოკამათების საფუძველი არ არსებობს, რადგან თავის ნაშრომში ის თვითონვე არაერთხელ გვიდასტურებს, რომ „ქართველი ეროვნული ბურჟუაზია გამოდის, როგორც რუსეთის ბურჟუაზიის შემადგენელი ნაწილი, მისი ერთგუთი რაზმი“⁴ და რომ საქართველოსა და რუსეთში „XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან განვითარებისა და ბრძოლის საერთო პირობები შეიქმნა“⁵ თავი ავიტყუნე, ცხადია, უფლება გვაქვს ლენინის აზრები, გამოთქმული რუსეთის ბურჟუაზიასა და მის იდეოლოგებზე, მათ ქართველ თანამომხმებზეც გაავრცელოთ.

შესაძლოა, ავტორმა გვითხრას, რომ ლენინის შემოთხსენებელი აზრები გვიანდელ ხანას შეეხება, ხოლო 60-იანი წლების ბურჟუაზიასა და მის იდეოლოგიაზე ლენინის აზრი სხვაგვარიაო, მაგრამ ასეთი შემოკამათებისთვისაც არავითარი საფუძველი არ არსებობს. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ლენინი მკაცრად ამბობდა ბურჟუაზიის იდეოლოგებს, დამოუკიდებლად იმისა, 60-იან წლებში მოღვაწეობდნენ ისინი, თუ უფრო გვიან. ამ აზრის დასამტკიცებლად მივეითებთ ლენინის სახელგანთქმულ ნაშრომზე „საგლეხო რეფორმა“ და პროლეტარულ-გლეხური რევოლუცია“, რომელშიც უღელნი სიტხადით არის განსაზღვრული ის უფსკრული, რომელიც ბურჟუაზიის იდეოლოგებს (ლობერალებს) იმდროინდელი რევოლუციონერებისაგან ამორბედა. აი, რა არის ნათქვამი ლენინის ამ ნაშრომში:

„1860-იანი წლების ლობერალები და ჩერნიშევსკი წარმომადგენლები არიან ორი ისტორიული ტენდენციისა, ორი ისტორიული ძალისა, რომელნიც მას შემდეგ დღევანდლამდე განსაზღვრავენ ახალი რუსეთისათვის ბრძოლის შედეგს...“

ლობერალებს უნდოდათ რუსეთი „გავითავისუფლებინათ“ „ზევლანი“, არ დაერღვიათ არც მეთის მონარქია, არც მემამულეთა მიწათ-

¹ იქვე, გვ. 12.

² ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, გამოცემა მეოთხე, ტ. 9, გვ. 294.

³ იქვე.

⁴ იქვე, გვ. 292.

¹ იქვე, გვ. 31.

² იქვე, გვ. 12.

მფლობელობა და ბატონობა, და მხოლოდ ურჩევდნენ მათ „დაეთმოთ“ დროის მოთხოვნილებისათვის. ლიბერალები იყვნენ და დარჩნენ ბურჟუაზიის იდეოლოგებად, ბურჟუაზიისა, რომელსაც არ შეუძლია შეეროგდეს ბატონყმობას, მაგრამ უწინაა რევოლუციის, ეწინაა მასების მოძრაობისა, რასაც შეუძლია მონაქვის დამზობა და შემამულეთა ბატონობის მოსპობა. ამიტომ ლიბერალები სყერდებიან „რეფორმებისათვის ბრძოლას“, „უფლებებისათვის ბრძოლას“, ე. ი. მებატონეებს და ბურჟუაზიას შორის ძალაუფლების კაიოფის... 60-იანი წლების ლიბერალებს ჩერნიშევსკიმ „მოლაუბენი, მკეხარები და სულელები“ უწოდა, ვინაიდან ის ნათლად ხედავდა მათს შიშს რევოლუციის წინაშე, მათს უხასიათობას და უფრმოკრილ მონობას ძლიერათა წინაშე.¹

როგორც ვხედავთ, ლენინი 60-იანი წლების ბურჟუაზიის იდეოლოგებს (ლიბერალებს) ცარჩხის ისეთსავე „ეურმოკრილ მონებად“ სთვლის, როგორადაც ის უფრო გვიანდელი ხანის ბურჟუაზიის იდეოლოგებს სთვლიდა.

ამრიგად, სავსებით აშკარაა, რომ პროფ. ლ. გორგილაძის თვალსაზრისი უნადაგათა არა მარტო ისტორიულად, არამედ თეორიულადაც: ეს თვალსაზრისი არ შეესაბამება და არ გამოხატავს ისტორიულ სინამდვილეს, კერძოდ, არ ითვალისწინებს კლასებისა და კლასთა ბრძოლის ნამდვილ ვითარებას; ამასთანავე იგი შეუთავსებელია ლენინის მოძღვრებასთან ბურჟუაზიისა და მისი იდეოლოგიის ისტორიული როლის შესახებ.

მაშ რას ემყარება ავტორი, როცა იგი ცდილობს თავიანი თვალსაზრისი დაასაბუთოს და თანაც — ე. ი. ლენინის ნააზრების სინათლეზე? ერთადერთი არგუმენტი, რომელსაც ჩვენი ავტორი ემყარება, ესაა ე. ი. ლენინის მიერ 60-იანი წლების ცნობილი ლიბერალური მოღვაწის სკალდინის შესახებ ნათქვამი რამდენიმე გულთბილი სიტყვა ნაშრომში² რა შემკვიდრებობაზე ვამბობთ უარს? მაგრამ გონების დიდი გამჭრიახობა არ არის საჭირო იმის გასაგებად, რომ ლენინი მიერ სკალდინზე ნათქვამი რამდენიმე დადებითი სიტყვა არ გვაძლევს საფუძველს, რუსეთის ბურჟუაზიის იდეოლოგები რევოლუციონერ-დემოკრატებად გამოცხადდნენ, ვერ ერთი, ცნობილია თვით ლენინის კერძო წერილი, საიდანაც გარკვევით ჩანს, რომ „ლენინი, XIX საუკუნის 60-იანი წლების იდეურ-შემკვიდრებობაზე“ რომ ლაპარაკობდა, იმდღე-ბული იყო, ცენზურული მოსაზრებებით, დაემოწმებინა სკალდინი. ნამდვილად კი აღნიშნული „შემკვიდრების“ მთავარ წარმომადგენ-

ლად ლენინი სთვლიდა ნ. გ. ჩერნიშევსკის³ (ლენინი ამ წერილში პირდაპირ მკვეთრად „სკალდინისაგან შემკვიდრებობს“ უწოდებდა).⁴ ხომ არსად არ ვლაპარაკობ... შე მხედველობაში სწორედ ჩერნიშევსკი მყავდაო? მეორეც, — რა არის ნათქვამი ლენინის ზემოთდასახელებულ ნაშრომში სკალდინზე ისეთი, რაც საფუძველს მოკვცემდა გეგმებზე, რომ ლიბერალების თუნდაც ცალკეულ შედარებით უკეთეს წარმომადგენლებს ლენინი რევოლუციონერ-დემოკრატებს უტოლებდა? ლენინი სკალდინს ახსიათებდა მხოლოდ როგორც განმანათლებელს, მაგრამ მას აზრადაც არ მოსვლია სკალდინ-ჩერნიშევსკი-დობროლიტოვის სიმალეზე აყუენა და მისთვის რევოლუციურ დემოკრატობა ებოძებო.

ასეთია საქმის ვითარება ჩვენი ავტორის ამ ერთადერთი არგუმენტის მიმართ, ავტორის სხვა არგუმენტებს კი ჩვენ არ ვცინობთ.

დაბოლოს, არის კიდევ ერთი გარემოება, კიდევ ერთი მხარე სადაო საკითხისა, რომელზეც არ შეგვიძლია ორიოდ სიტყვა არ ვთქვათ: მხედველობაში გვაქვს ავტორის მიერ ბენიერული ტერმინების და ცნებების აშკარა აღრევის ფაქტი. რაც კიდევ უფრო აღრმავებს მისი თვალსაზრისის ნაყოფანებებს.

ზემოთ ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ „ბურჟუაზიული დემოკრატისმის“ ცნებაში ავტორი მხოლოდ ბურჟუაზიის იდეოლოგიას გულისხმობს და მეტს არაფერსა; ეს, ცხადია, დიდი შეცდომაა ის დრო, როცა ვეროპის ზოგიერთი სახელმწიფოთა ბურჟუაზია, მართლაც, გამოხატავდა დემოკრატულ მოსწრაფებებს, დიდი ხანია წავიდა; ამით აიხსნება, რომ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთისა და საქართველოს ბურჟუაზიული იდეოლოგიას თანამედროვე მეცნიერება უწოდებს არა „ბურჟუაზიული დემოკრატისმის“, არამედ „ბურჟუაზიული ლიბერალისმის“. მართალია, როგორც ლენინი გვასწავლის, „ბურჟუაზიული დემოკრატის“ მნიშვნელოვანი ცნება გლეხებსაცა და ლიბერალებსაც მიუდგება, მაგრამ პროლეტარიატის დამოკიდებულება „ბურჟუაზიული დემოკრატის“ ამ ორი ნაირსახეობისადმი აუცილებლად უნდა იყოს არსებითად (ხაზი ჩვენი. 3. რ.) სხვადასხვაგვარი⁵ ლენინის ამ მითითებდან აშკარად ჩანს, რომ რუსეთში „ბურჟუაზიული დემოკრატის“-ორგვარი, ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავებული ნაირსახეობა არსებობდა: ერთი მათგან-

¹ იხ. ე. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 2 — „შენიშვნები“, გვ. 690.

² იხ. იქვე.

³ ამ საკითხზე დაწერ. იხ. ჩვენი ნაშრომი „თერგდალეულია რევოლუციური მოღვაწეობის ისტორიიდან“; 1962 წ., გვ. 57-76.

⁴ ე. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 15; გვ. 457.

¹ ე. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 2, გვ. 128-130.

ნი გლეხობის ინტერესებს გამოხატავდა, ე. ი. ნამდვილი დემოკრატია იყო (სწორედ მას უწოდებენ „ბურჟუაზიულ დემოკრატიას“ ანუ „გლეხურ დემოკრატიას“, რაც არსებითად ერთი და იგივეა), ხოლო მეორე — ბურჟუაზიის იდეოლოგია ანუ ლიბერალიზმი იყო, რომელსაც არა „ბურჟუაზიულ დემოკრატიზმს“, არამედ „ბურჟუაზიულ ლიბერალიზმს“ უწოდებენ, რადგან რუსეთსა და საქართველოში იგი გამოხატავდა ექსპლოატატორული კლასის, — მსხვილი და საშუალო ბურჟუაზიის ინტერესებს. ამასთანავე: როცა კლასობრივ ინტერესებზე ბურჟუაზიის იდეოლოგიაზე, მას „ბურჟუაზიული ლიბერალიზმი“ უნდა ვუწოდოთ, ხოლო როცა გლეხობის იდეოლოგიას აღვნიშნავთ, იგი „ბურჟუაზიული დემოკრატიზმის“ ანუ „გლეხური დემოკრატიზმის“ ცნებებით უნდა გამოვხატოთ.

საინტერესოდ, ჩვენი ავტორი ანაზიზს არ უწევს ამ საყოველთაოდ აღიარებულ ცნებებს და, როგორც უკვე ითქვა, „ბურჟუაზიული დემოკრატია“ ცნებაში თითქმის ყველაზე ბურჟუაზიული კლასის იდეოლოგიას გულისხმობს.¹ უნდა აღვნიშნავთ რა ასეთ არასწორ გაგებას, ავტორი ერთმანეთს უპირისპირებს ცნებებს „ბურჟუაზიული დემოკრატია“ და „გლეხური დემოკრატია“. ყველაფრიდან ჩანს, რომ იგი ამ ორ ცნებას შორის არსებით განსხვავებას ხედავს (თუმცა არსად არ მიუთითებს მათ განმსხვავებულ ნიშნებზე). დავაკვირდეთ, მაგალითად, ავტორის შემდეგ მსჯელობას:

„ნიკოლაძემ ჩერნიშევსკის გლეხური რევოლუციური დემოკრატიზმი ბურჟუაზიულ-დემოკრატიზმად აქცია. ეს პროცესი იწყება არა

¹ სიტყვა „ბურჟუაზიული“ ამ ცნებაში იმით გამოიყენება, რომ მარქსისტული თეორიის საფუძველზე გლეხი იგივე წერტილი მწარმოებელი ანუ წერტილი ბურჟუა.

² საინტერესოა აღინიშნოს, რომ ნაშრომის ერთ ადგილას ავტორი „ბურჟუაზიული დემოკრატიზმის“ ცნებას თითქმის სხვა ასპექტში ხმარობს, ის ამბობს: „ნიკოლაძემ მერყეობს დემოკრატიზმსა და ლიბერალიზმს შუა. 60-70-იან წლებში ნიკოლაძემ დემოკრატი იმარჯვებდა, 90-იან წლებში კი — ლიბერალი“ (გვ. 116). თუ ამ ფრაზას ავტორის პოზიციისა და მისივე ტერმინოლოგიის მიხედვით გავემიჯნავთ, უნდა გვჩანდეს მიზეზები: „ბურჟუაზიის იდეოლოგიურ ბურჟუაზიის იდეოლოგიად იქცა“; ხოლო თუ მას თანამედროვე მეცნიერებაში მიღებული ცნებებით მივუდგებით, მაშინ გაუგებარი იქნება, რატომ აკრიტიკებს ავტორი ს. ზუნდაძის თეორიას: ეს უკანასკნელი ხომ სწორედ ამას ამტკიცებს, რომ ნ. ნიკოლაძის ზოგადი თეორიაში ორი ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავებული პერიოდი იყო?

მაინი წლებიდან, როგორც უკვე ვთქვამთ, მკვლევარი ფიქრობს, არამედ უკვე 60-იანი წლებიდან.¹

„განმანათლებლობას, ბურჟუაზიული კლასის ხით რომ იყო წარმოდგენილი, ერთიან რამდენ რთულ მივიჩნევთ, არამედ მივეუბნებთ იმ საერთოზე, რაც ბატონყმური იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთ ბანაკში აერთიანებდა სხვადასხვა სახის დემოკრატებს. თერგდალეულთა წარმოადგენილი იყვნენ გლეხური დემოკრატები და ბურჟუაზიული დემოკრატები.“²

ეს ამონაწერები ყოველ ექვს ვარჯე მოქმობენ, რომ ავტორი „ბურჟუაზიულ დემოკრატიას“ და „გლეხურ დემოკრატიას“ სხვადასხვა სახის დემოკრატიად მიიჩნევს. მაგრამ რა განსხვავებას ხედავს იგი მათ შორის? ჩვენ უკვე ვიცით, რომ „ბურჟუაზიულ-დემოკრატიული“ მოღვაწენა, ავტორის სიტყვით, თავდადებით იბრძოდნენ ქართველი ხალხის სოციალური და ეროვნული განთავისუფლებასათვის; რაც შეეხება „გლეხურ-დემოკრატიულ“ მოღვაწეთა (ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი და სხვ.) საქმიანობას, ირკვევა, რომ თურმე ისინიც ზუსტად იმავე საქმეს აკეთებდნენ, რასაც „ბურჟუაზიულ-დემოკრატები“, სახელდობრ: „მათ შეძლეს ამადლებულიყვენ თავიანთი ღრობის ამოცანების გაგებაამდ და ლიტერატურული შემოქმედების საყენად გაეხადათ არა მარტო ქართველი ხალხის საერთო-ეროვნული ამოცანები, არამედ სოციალური ბრძოლის ამოცანებიც.“³ ავტორია ვერ გვისახელებს ვერც ერთ ფაქტს, რომელიც გვიჩვენებდეს რაიმე არსებითი განსხვავების არსებობას თერგდალეულთა თაობის გამოჩენილ მოღვაწეთა შეხედულებებში. ეს კი იმის მოქმობდა, რომ 60-იან წლებში ერთ ღრობის ქვეშ იდგნენ როგორც ი. ჭავჭავაძე და ა. წერეთელი, ისე ნ. ნიკოლაძე, ვ. წერეთელი და ს. მესხი, ხოლო მათ შორის არსებითი განსხვავების ძებნა და მათი ურთიერთ დაპირისპირების ცდა ისეთივე ხელოვნური და გამოგონილი ამბავია, როგორც გამოგონილი და უსაფუძვლოა არსებითი განსხვავების ძებნა „ბურჟუაზიულ დემოკრატიასა“ და „გლეხურ დემოკრატიას“ შორის.

ტერმინებისა და ცნებების აღრევა, ავტორის მიერ, ცხადია, შემთხვევითი მოვლენა არ არის; იგი დავაუმბრუნებელია ამ ცნებების შინაარსის, ან სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, განხილული ისტორიული მოვლენების სოციალურ-კლასობრივი დედაარჩის არასწორ გაგებასთან.

ამრიგად, რა მზრიდანაც არ განვიხილოთ ლ.

¹ ლ. ვორცილაძე, „ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან“, გვ. 117.

² იქვე, გვ. 74.

³ იქვე, გვ. 75.

გორგილაძის თვალსაზრისი, — ისტორიული, თეორიული თუ ტერმინოლოგიური, — ყველგან აღმოჩნდა სერიოზული ნაკლოვანებანი და ხარვეზები, რომლებიც ხსენებულ თვალსაზრისს მიუღებელს ხდის. მაგრამ არ იქნებოდა სწორი ვეფხვიჭრა, რომ ეს ნაკლოვანებანი და ხარვეზები თითქოს მარტო ამ ავტორის თვალსაზრისისათვის იყოს დამახასიათებელი. ვფიქრობთ, იქ განხილულ თვალსაზრისში თავი იჩინა ქართული ისტორიოგრაფიის საერთო ნაკლოვანებებმა, კერძოდ კი ჩვენში წინათ გაბატონებული ველგარული შეხედულებების უარყოფითმა ტრადიციებმა. არავისთვის არ შეადგენს საიდუმლოებას, რომ საქართველოში მრავალი წლის განმავლობაში

დაინებით ვრცელდებოდა უხამსო შეხედულებანი თერგდალულებზე; იცემოდა უმრავლეს ტერატურა, სადაც დამახინჯებულად დასტურებული იყო წარმოდგენილი სამოციანელთა ლეაწლი; ერთმანეთს იყო დაპირისპირებული ე. წ. „პირველი“ და „მეორე დასო“; მეცნიერულ არგუმენტაციას არაიშვითოდ სცვლიდა ციტატები და დემაგოგიური გამოსვლები. ცხადია, ამ არასახარბიელო მემკვიდრეობის დაძლევა ადვილი საქმე არ არის და იგი დღესაც ხელს უშლის მკვლევარებს. სამწუხაროა, რომ წარსული შეცდომების ამ უარყოფით გავლენას ვერ ასცდა ისეთი თვალსაზრისი და უდავოდ ნიჭიერი მკვლევარიც კი, როგორც პროფ. ლ. გორგილაძეა.

დასასრული იქნება

პაპი იკუბაძე

საბჭო მოკონიპიკა

რკპ(ბ) კავკასიის

ბიუროს ხელმძღვანელი

საბჭოთა რუსეთისა და მენშევიერ საქართველოს შორის 1920 წ. 7 მაისს დადებული სამშვიდობო ხელშეკრულება, რომელიც გამომდინარეობდა სოციალისტური სახელმწიფოს სამშვიდობო საგარეო პოლიტიკის ლენინური პრინციპებიდან, — ხელშეკრულების დამდებ მხარეებს ავალბდა პატივი ეყათ ამ სახელმწიფოების დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტისათვის, არ მიეღოთ მონაწილეობა სამხედრო ოპერაციებში ან ბლოკებში, რომლებიც მიზართული იქნებოდა ხელშეკრულების დამდები მეორე მხარის წინააღმდეგ; ხელშეკრულება აწესებდა ნორმალურ დიპლომატიურ და ეკონომიკურ ურთიერთობას საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს შორის, ამ დოკუმენტით კიდევ ერთხელ დადასტურდა საბჭოთა მთავრობის მშვიდობის მოყვარული ლენინური საგარეო პოლიტიკა, რომლითაც იგი განუხრავლად ხელმძღვანელობს სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობაში. საბჭოთა სახელმწიფომ მსოფლიოში პირველმა ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა იურიდიულად. (მას სურდა ეს აქტი აღეცა განუხრავლად, რომ მენშევიერი საქართველოს მთავრობის მხრივ ყოფილიყო გადაღმეული საჭირო ნაბიჯი) და ეს მაშინ, როცა კერძო ანტი, ინგლისელი, თურქი და ფრანგი დამპყრობლები საქართველოს მეგობრობასა და მისთან ეფიციენტდნენ, წლების მანძილზე მის ტერიტორიას იყენებდნენ პლაცდარმად საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად და მის დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის პატივს არ სცემდნენ, იურიდიულად არ ცნობდნენ მას.

საბჭოთა ხელშეკრულებით ეორდინას მთავრობა ვალდებულია კისრულობდა დაუყოვნებლივ განეიარაღებინა და საკონცენტრაციო ბანაკებში მოეთავსებინა სამხედრო და სამხედრო-საზღვაო ნაწილები, მეთაურთა შემადგენლობა, თორგვარდიული რაზმები და ჯგუფები, რომლებიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის იმყოფებოდნენ ან შემდეგ გა-

მოვიდოდნენ საქართველოს ტერიტორიაზე და რომლებიც „პრეტენზიას აცხადებენ რუსეთის ან მისი ნაწილის ანდა რუსეთის მოკავშირე სახელმწიფოების მთავრობის რაღაც, და აგრეთვე ის წარმომადგენლობანი და თანამდებობის პირნი, ორგანიზაციები და ჯგუფები, რომელთა მიზანია დაზიანონ რუსეთის ან მისი მოკავშირე სახელმწიფოების მთავრობები“.

ს. ორგანიზაციისათვის, საქართველოს ბოლშევიკებისათვის დიდი მნიშვნელობა ქონდა ხელშეკრულების მე-10 მუხლს, რომლითაც საქართველო ვალდებულია გაანთავისუფლოს სასაქონლისაგან და აგრეთვე შემდეგში სასამართლო ან ადმინისტრაციული წესით დევნიდან ყველა პირები, რომლებიც იღვენებოდნენ საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის ან კომუნისტური პარტიის სასარგებლო მოქმედებასათვის*.

მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობისა მინც იყო ის, რაც ხელშეკრულების საგანგებო დამატებაში იყო ნათქვამი: „საქართველო ვალდებულია იღებს აღიაროს საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი კომუნისტური ორგანიზაციების თავისუფალი არსებობისა და მოქმედების უფლება, კერძოდ, კრებების თავისუფლად მოწყობის უფლება და თავისუფალი გამოცემლობის (მათ შორის ბეჭდვითი ორგანოების გამოცემის) უფლება“.

სამშვიდობო ხელშეკრულების სწორედ ეს ნაწილი იძლეოდა იმის დასტურს, რომ საქართველოში დადგა რევოლუციის მშვიდობიანი

* Борьба за победу Советской власти в Грузии (сбор.) გვ. 564

2 იქვე, გვ. 567.

3 „რუსსრ და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა“, გვ. 16. საფულისხმოა, რომ მენშევიერმა მთავრობამ ხელშეკრულების ტექსტი დიდი დაგვიანებით (1920 წ. 6 ივნისს) და, რაც მთავარია, არა სრულად, დამახინჯებით გამოაქვეყნა (იხ. გაზ. „ერთობა“, 1920 წ. 6 ივნისი № 125).

ვანეთარების პერიაოდი, რომ ახლა, კომუნის-ტური პარტიისა და მისი ბეჭდვითი ორგანიზაციის ლეგალურად არსებობის პირობებში სრულ შენარჩუნებობა იყო შეუძლებელი აფანეების გარეშე გაემარჯვა მუშათა კლასსა და ლაბორბელს.

რკ (ბ) კავკასიის გიეროს, ს. ორჯონიძის ხელმძღვანელობით, უნდა გარდაეყვნა საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების მუშაობა ახალ პირობებთან შესაბამისად. ამ დღის მოცანების განხორციელებაში სერგოს მნიშვნელოვანი დახმარება გაეწია რკ (ბ) ცკ-ის დარეკტავამ, რომელიც ნათელ მსუსხს იძლეოდა ახალი ვითარებით წამოჭრილ ყველა საკორბორტო საკითხზე, დირექტივა საგანგებოდ აფრთხილებდა კაბრველ კომუნისტებს: «Восстан. не ни каких случаях не поднимать такой категорический приказ цeka»¹

ს. ორჯონიძემ შეუდგა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებათა განხორციელებას. 1920 წლის 20 მაისს შეიქმნა საქართველოს კომუნისტური პარტიის დროებითი ცენტრალური კომიტეტი.

პირველი და მწველი ნაბიჯი გადადგმულ იქნა ამიერღან რკ (ბ) ცკ-ის კავკასიის გიეროს ვალუბოდა: განმტკიცებინა საქართველოს კ. დარბაზმა მისი რიგები იდურად და პოლიტიკურად, უზრუნველყო მის მხარეზე საქართველოს მეშენობისა და გლზეხების უმრავლესობის გადმოყვანა და განხორციელებინა სოციალისტური რევოლუცია მშვიდობიანი გზით.

ს. ორჯონიძის მითითებით, საქართველოს კ. დროებითმა ცენტრალურმა კომიტეტმა 1920 წლის 28-29 მაისს თბილისში მიიწვია საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების გაფართოებული პარტიული თათბირი. თათბირმა განიხილა საქართველოში რევოლუციის მშვიდობიანი განვითარების პერიაოდში საქართველოს კომუნისტური პარტიის წინაშე მდგომი საკითხები და დასაბა ღონისძიებანი პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის შემდგომი გასილასათვის.

თათბირმა მალა შეფასება მისცა რუსეთსა და საქართველოს შორის დადებულ სამშვიდობო ხელშეკრულებას. რევოლუცია ხანგასმით აღნიშნავდა, რომ ახალ პირობებშიც - მიზანი უცვლელი რჩება. უნდა შეიცვალოს ბრძოლის ფორმები და მეთოდები. «შეიარაღებული აფანეების ნაცვლად ზედა უნდა გამოყენებოდ ბრძოლის მშვიდობიანი საშუალებები. მალაინად გამოყვეწროთ სისხლით მოპოვებული ლეგალური არსებობის უფლებები»²

ს. ორჯონიძის, რკ (ბ) კავკასიის გიეროს, უშუალო მითითებითა და ხელმძღვანელობით, მაისის თათბირის გადაწყვეტილებებით შეიარაღებულმა კომუნისტებმა, რომლებსაც შეუერთ-

და ხელშეკრულების ძალით ცხებებიდან განთავისუფლებული ათასამდე პარტიული მუშაკი, ენერგიული მუშაობა გაუხადეს საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში მალეობის მოსაქრებად. მშრომელი მსახურის მისამბრობად, ყველან გამოცოცხლა პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა. დაიწყო ბოლშევიკური ორგანიზაციების სწრაფი ტუშით განმტკიცება. ხატარა პარტიის წევრთა ხელახალი რეგისტრაცია, მუშებისა და გლეხების საუკეთესო წარმომადგენლები პარტიულ ორგანიზაციებშიაყენ დაიბრუნ. ყველან იქმნებოდა პარტიული ორგანიზაციები. ქალაქებსა და სოფლებში შეიქმნა ლეგალური პარტიული ორგანიზაციები — სამაზრო, საქალაქო და სადაბო კომიტეტები. მალე გამოსულა იწყეს პარტიის ლეგალურმა განუთებმა. მოგვარდა პარტიული გამომეცხოობის საქმეც.

ვატარებულმა ღონისძიებებმა თვისობრივი გარდატეხა მოახდინა საქართველოს კომუნისტური ორგანიზაციების ცხობრებაში. პარტიკა გაიზარდა და განმტკიცდა როგორც რიებობრივად, ისე ხარისხობრივადაც. მშრომელი მსხუნი საქართველოს კომუნისტური პარტიის მხარეზე დგებოდნენ. მენშევიკების აღსასრული აღოედებოდა. რევოლუციის მშვიდობიანი განვითარების გზა მიზანს უბლოედებოდა. კომუნისტური პარტიის ლეგალიზაცია საქართველოში ათვის ნყოფს მალე მოიტანდა, მაგრამ მენშევიკებმა მალე დაიბნენ, რომ ისინი ვერ გაუძლებენ ბოლშევიკური ორგანიზაციების ლეგალურ, მშვიდობიან მოღაწეობასთან შეკიბებას, და რებრესიები დაიწყეს. დაბეკოთებით შეიძლება ითქვას: რომ რებრესიები არა, რომ ლეგალიზაციის ფაქტიური ლეკილაცია არა, საქართველოს კომუნისტები სულ მალე შესაძლებდნენ მშვიდობიანი საშუალებებით სოციალისტური რევოლუციის განხორციელებას.

სამონელი მაისი დაუდგათ ბნელეთის ძალებს სომხეთშიაც. სამოქალაქო ომის ფრონტებზე წითელი არმიის წარმატებებმა და, რაც მთავარია, აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლება გამარჯვების ამჟამეა სომხეთის მშრომლებმა რევოლუციური ბრძოლას ახალი გაქანება მისცა.

პირველი მაისის დღესასწაულმა განსაკუთრებით ფართო ხანათი მიიღო ერევანში. აქ დემონსტრანტთა უზარმაზარ მსაებს სათაველი სომეხი კომუნისტები ედგნენ. ეს ნამდვილი პოლიტიკური დემონსტრაცია იყო, მიმართული დამნაქური მთავრობის წინააღმდეგ. «მაქო საბჭოთა ვახდა, ახლა ჟერი ერევანზეა», «გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას», — ისმოდა დემონსტრანტების შეკრებებში. პირველი მაისის დღესასწაულზე სომხეთის მუშები და გლეხები სახიმიოდ აცხადებენ თავიანთ მტაკე გადაწყვეტილებას — ბოლო მოუღონ დამნაქეთა სისხლიან ბარბაშს, დაამყარონ საბჭოებან

¹ ცკა, ფ. 85, აღ. 18, საქმე 16, ფ. 9-10.

² ვახ. „კომუნისტი“, 1920, 3 ივნისი, № 1.

ხელისუფლება. ყველასათვის ნათელი გახდა რევოლუციური სიტუაციის მომწიფება სოც. ზემო.

ს. ორჯონიკიძემ ღრმა ანალიზი გაუკეთა პირველი მინისტრის ამბებს სოცხეტში. რკ (ბ) ცუის კავკასიის ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება: დაიწყო შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადება, რადგან რევოლუციური მასების შეჩერება უკვე შეუძლებელია.

მალე სოცხეტის ქაღალეები და სოფლები შეიარაღებული აჯანყების ცეცხლში გაუხვია. ალექსანდრეპოლში აჯანყებულებმა ხელი იკიდეს ქაეშინაში მატარებელი „ვარდან ზორიან“ და დაიკავეს რკინიგზის სადგური. რკ (ბ) ალექსანდრეპოლის კომიტეტმა, კავშირის მითითების საფუძველზე, მოითხოვა საყოველთაო აჯანყების დაუყოვნებლივ დაწყება. ხატისოვის მთავრობა პირველივე დარტყმების შედეგად იძულებული შეიქნა გადაეხდებოდა დამსახურებულ ბიუროს ახლად შექმნილმა მთავრობამ, როგანაინანის მეთაურობით, რევოლუციური ძალების წინააღმდეგ სასტიკი ტერორი გააჩაღა. სოცხეტში მასობრივი დამპყრობა დაიწყო. აჯანყებაში მონაწილეობის დახურება შემოიღეს.

რკბესიებმა ვერ დათრგუნა მასების რევოლუციური აღტყინება. მეტად აჯანყებობა ტალა ფართოდ გავრცელდა მთელ სოხეთში. 7 მაისს, რკ (ბ) კავკასიის ბიუროს მითითებით, შეიქმნა სოხეთის სამხედრო რევოლუციური კომიტეტი: ს. მუსხელიანის, ა. მეღვინაის, ლ. ტერ-სიმონიანის, ა. ნერიჟიანის, ა. ფილიპოვის, მ. სარქიანის, ა. გოგუცის, ა. ტერ-საიანიანის და პ. პეტროსიანის შემადგენლობით. მალე აჯანყებულები აკავებენ ქაღალეს. სოხეთში საბჭოთა ხელისუფლება ცხადდება.

აჯანყების ცეცხლი მალე გავრცელდა სარაჯ-მიშა, ქვეთარსა, ნორ-ბაიანზეთსა, შამშადინსა, იყეანსა და ხანგებურის რაიონებში. სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტებმა ყველგან საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს. მასებმა საყოველთაო აღშფოთების ნიადაგზე წარმოშობილმა ამ მოძრაობამ განადიოხებულ სახალხო აჯანყების სახე მიიღო. აჯანყებულთა მზარებე გადასული წარის ნაწილებისაგან შეიქმნა სოხეთის წითელი ჯარი. სარდალ სარქის მუსხელიანი დაინიშნა.

სოხეთის დამსახური ჯარები, მთელი სოხური კონტრრევოლუციური ძალები ამოძრავდნენ აჯანყების წინააღმდეგ. რევოლუციური მუშების, გლეხებისა და ჯარისკაცების გმირული ბრძოლის შედეგად, მოღალატე დამსახურებამ მთავრობამ, რომელიც ამიერკავკასიის კონტრრევოლუციის, თეთრჯვარდიელთა და უცხოელ დამპყრობთა გაერთიანებულ ძალებს ეყრდნობოდა, შესძლო სისხლში ჩაეხრჩო სახალხო აჯანყება სოხეთში. აჯანყების დამარცხების მიზეზებს ანალიზი გაუკეთეს სოხეთის

კ. კავკასიის ბიურომ. ცხადი გახდა, რომ საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლა სოხეთში წარმატებით შეიძლებოდა დაეწარმებინებოდა მხოლოდ იმ პირობებში, თუ გაუმჯობესებული იქნებოდა პარტიული ორგანიზაციების მუშაობა, მიღწეული იქნებოდა პოლიტიკურა ბრძოლის ლეგალური და არალეგალური ფორმების ღრმადი შეხამება. აჯანყების დამარცხების იმ ერთ-ერთმა სერიოზულმა მიზეზმა — იმ ვარაუდებმა, რომ საბჭოთა რუსეთის წითელ არმიას მაშინ არ შეეძლო (იგი სამხედრო-სასოცოცხო ბრძოლას ეწეოდა თეთრ პოლანელებსა და ტრანკელის ჯარების წინააღმდეგ ხოლო მეთერთმეტე არმია კონტრრევოლუციური ამბოხებას აჭრობდა აზერბაიჯანში) უშედეგო სამხედრო დახმარება გაეწია აჯანყებულთათვის, — კიდევ ერთხელ დაადასტურა ის ფაქტი, რომ პატარა ერების დამოუკიდებლობის მოპოვებისა და შენარჩუნების საქმე მჭიდროდაა დაუკავშირებელი საბჭოთა რუსეთის არსებობასთან, მის წითელ არმიასთან.

რკ (ბ) კავკასიის ბიუროს დასავლეთი კავკასიის კონტრრევოლუციური მთავრობა, შენსევეებმა საქართველოში გააძლიერეს ბოლშევიკების დევნა. 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულებას შენსევეები უხეზად არღვევდნენ. საბჭოთა მთავრობა კი პირნათლად ასრულებდა ხელშეკრულების ყველა პირობას. 1920 წლის 22 ივნისს ცუის პოლიტიბიურომ განიხილა საკითხი კავკასიაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ და მიიღო დადგენილება — „პოლიტიკის შესახებ კავკასიაში“ ამ დადგენილების საფუძველზე მალე შემუშავებულ იქნა ინსტრუქცია რკ (ბ) ცუის კავკასიის ბიუროს და კავკასიის ფრონტის სამხედრო რევოლუციური საბჭოთათვის. ინსტრუქციის უპირველესი მოთხოვნაწყობდა ის იყო, რომ „1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება უნდა შესრულდეს განუხრებლად და ვატარდეს ცხოვრებაში ყველა მისი დეტალში. რუსეთის საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოსთან ურთიერთობაში ურყევად უნდა გაუწიოს ანგარიში ამ ხელშეკრულების დადგენილებებს.“

ფრკმენტი საგანგებოდ აფრთხილებდა კავკასიის ბიუროს და მის ხელმძღვანელებს, რომ „უცუილებლად საჭიროა თავის შეკავება საქართველოს, სოხეთის მთავრობათა წინააღმდეგ აჯანყების მოწყობის ცდებისაგან. განუვმარტოთ ამ რესპუბლიკებში იმ ელემენტებს, რომლებიც მიისწრაფვიან გადატრიალებისაკენ, რომ საერთო პოლიტიკური მოსახრებით, როგორც საერთაშორისო კონიუნქტურის, ისე ჩვენი სამხედრო მდგომარეობის გამო, ისინი არ უნდა შეუღდნენ ახლა თავისი მიზნის განხორციელებას.“

1 ება, ტ. 17, ილწ. 3, საქ. 94, გვ. 7.

ბას. ისინი უნდა დარწმუნდნენ ხელშეკრულების ფარგლებში¹.

დიდ მუშაობას ეწევა კავკასიის ბიურო აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ. ახლა აქ, აზერბაიჯანში, საქირო იყო პარტიული და საბჭოთა მუშაობის სწრაფი ორგანიზაცია ახალი პირობების მიხედვით.

რაკ (ბ) კავკასიის ბიუროს კარგად ჰქონდა შეგნებული აზერბაიჯანში პარტიული და საბჭოთა მშენებლობის საერთაშორისო მნიშვნელობა. „აზერბაიჯანი.—ამბობდა ს. ორჯონიკიძე აზერბაიჯანის კ II ყრილობაზე 1920 წლის 14 ოქტომბერს, — ეს ჩვენი ავანოსტაა აღმოსავლეთში. იმის მიხედვით, თუ როგორ წარვმართავთ ჩვენ აქ საბჭოთა ხელისუფლების მშენებლობას, იმის მიხედვით, თუ როგორ მოექცევა საბჭოთა ხელისუფლებას აზერბაიჯანის გლეხობა, ამის მიხედვით იმსჯელებს საბჭოთა ხელისუფლებაზე, კომუნისტურ პარტიაზე, III ინტერნაციონალზე მთელი ახალი აღმოსავლეთის მუსლიმანური სამყარო“².

ამიტომ იყო, რომ ს. ორჯონიკიძეს მთელი გულისუფრო აზერბაიჯანისაკენ ჰქონდა მიპყრობილი. მაგრამ კავკასიის ბიუროს არ შეეძლო ხელმძღვანელობა შეესუსტებინა ჩრდილო კავკასიის პარტიული ორგანიზაციებისადმი, რომლებიც ახლა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის უღრესად რთულ ღონისძიებებს ახორციელებდნენ. მას ასევე არ შეეძლო შეენელებინა ყურადღება საქართველოსა და სომხეთის კომუნისტური ორგანიზაციებისადმი.

რაკ (ბ) ცუ-ის კავკასიის ბიურომ დიდი მუშაობა ჩაატარა 1920 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო საქმიანობის გადამსწრელად ჩრდილო კავკასიაში. წარმატებით იქნა გატარებული მიწის რეფორმა. მთიელებმა და უმიწაყლო გლეხობამ, ძირითადად, კახაბობის კულაქერი ზედაფენების ხარჯზე მიიღო მიწა, სახნავ-სათესი.

მაგრამ კავკასიის პარტიული ორგანიზაციების მუშაობისადმი ხელმძღვანელობის შემდგომი გაუმჯობესების ინტერესების მოთხოვნად რაკ (ბ) ცუ-ის კავკასიის ბიუროს სტრუქტურული ფორმის გარდაქმნას ახალი ამოცანების შესაბამისად. რაკ (ბ) ცუ-ის პოლიტბიურომ 1920 წლის 18 ივნისს დაავალა ცუ-ის ორგბიუროს გარკვეონ კავბიუროსთან საკითხი მისი შემადგენლობიდან ეიწრო, მუდმივად მომეშვეი კოლეგიის გამოყოფის შესახებ. ამ კოლეგიის შემადგენლობაში, — განმარტავდა პოლიტბიურო, — ყველა საკითხი, რომელიც საქართველოს, აზერბაიჯანს, სომხეთს და ა. შ. შეეხება, უნდა გადაწყდეს ს. ორჯონიკიძის ავტორიტეტული თამადასწრებით³.

პოლიტბიუროს ამ მოთხოვნის საფუძველზე რაკ (ბ) ცუ-ის კავბიუროში შეიქმნა ორგბიუროს და ბაქოს სამეურლები. ამირჯანისკენ და კავშირებულ საკითხებს იხილავდა ბაქოს სამეურელი, რომელსაც ს. ორჯონიკიძე მეთაურობდა. კავბიუროს ასეთმა გარდაქმნამ სერგოს შესაძლებლობა მისცა მეტი ყურადღება დაეთმო ამირჯანისკენის პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობისათვის.

1920 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში აზერბაიჯანის კომუნისტური პარტია, კავბიუროს ხელმძღვანელობით, სწევებს პარტიული და საბჭოთა მშენებლობის დიდმნიშვნელოვან საკითხებს. ს. ორჯონიკიძემ ვ. ი. ლენინის მოთხოვნის შესაბამისად პარტიული ორგანიზაციების მთელი მუშაობა აზერბაიჯანის სახალხო მურერნობის აღდგენის ინტერესებს დაუქვემდებარა.

პირველ რიგში გატარდა მიწის, მსხვილი მრეწველობის, ბანკებისა და სავაჭრო ფლოტის ნაციონალიზაცია. აზერბაიჯანელმა გლეხობამ მიიღო მიწა, რაზედაც საუკუნეობით ოცნებობდა, ზოლო მუშებისა — ფაბრიკები, ქარხნები, ნავთობსარეწები, ბანკები. უპირველეს ყურადღებას ს. ორჯონიკიძე აქცევდა ნავთობის მრეწველობის აღდგენას. ამას მოითხოვდა არამარტო აზერბაიჯანის, არამედ მთელი რუსეთის სახალხო მურერნობის სწრაფი განვითარების ინტერესები.

რაკ (ბ) ცუ-ის კავკასიის ბიუროს ხელმძღვანელობით აზერბაიჯანის პარტიულმა ორგანიზაციებმა მტკიცედ დარბმეს მუშაობა კლასი და გლეხობა და დასარეს ეს უძლეველი ძალა რეპუბლიკის სახალხო მურერნობის აღსადგენად. ენერჯიული ბრძოლის შედეგად მოღწეულ იქნა პირველი წარმატებები ნგრევისა და სილტაქოა ლიკვიდაციის საქმეში. გაიანსკვა საფუძველი ახალი სოციალისტური ეკონომიკისა.

წარმატებები, რასაკვირველია, ბევრად მეტი იქნებოდა, რომ კავკასიის ბიუროს, აზერბაიჯანის კომუნისტური ორგანიზაციების ყურადღება და ძალეები დროდადრო ჩამოშორებულნი არ ყოფილიყო მშვიდობიანი მშენებლობისაკენ. საქმე ის იყო, რომ აზერბაიჯანის კონტრრევოლუციებმა ძალეებმა — მუსავატელებმა, დამხაკებისა და ქართველი მენშევიკების წაქეზებითა და აქტიური დახმარებით, კონტრრევოლუციური ამბოხება მოაწყვეს ვანჯასა, ყარაბახსა, ზაქათალასა და კუბის მაზრებში. ამბოხების ლიკვიდაციისათვის საქირო გახდა შექმნილი აზერბაიჯანის მუშაობა და გლეხთა თავდაცვის საბჭოთა, რომლის მუშაობასაც ს. ორჯონიკიძე წარმართავდა.

მაისის შეარბადებული აჯანყების დამარცხების შემდეგ, სომხეთში გამეფებულმა ტერორმა და რეპრესიებმა ვერ შესძლო შეეჩერებინა და დაეორუნა რევოლუციური მოძრაობა. საბჭოთა რუსეთისა და შეზობელი აზერბაიჯანე-

¹ ცსა, ფ. 17, აღწ. 3, საქ. 94, გვ. 8.

² ს. ორჯონიკიძე, ტ. 1, გვ. 156.

³ ცსა, ფ. 17, აღწ. 3, საქ. 89, ფ. 3-4.

ლი მშრომელების წარმატებებით აღფრთოვანებული სომეხი ხალხი გადაწყვეტი ბრძოლასთვის ემზადებოდა. სომხეთის პარტიული ორგანიზაციები კავებუროს ხელმძღვანელობით სათავეში ჩაუდგნენ ხალხთა ფართო მასებში მზარდ რევოლუციურ მოძრაობას. რკ (ბ) ცკ-ის კავკასიის ბიუროს სეიოიზელ მუშაობას ეწევა სომხეთის პარტიული ორგანიზაციების განსამტკიცებლად. 1920 წლის 13 აგვისტოს კავებურომ მტკიც. ლენინელი ს. ტერ-გაბრიელიანი დანიშნა თავის წარმომადგენლად სომხეთში, ხოლო ცოტა მოგვიანებით — 10 სექტემბერს დამტკიცა სომხეთის კომუნისტური კომიტეტი ი. დოვლათიანის, ა. ნურიჯანიანის, გ. კოსტანიანის, ა. ხანიჯანიასა და ს. ტერ-გაბრიელიანის შემადგენლობით. ცკ-ის წევრობის კანდიდატებად დამტკიცებული იქნენ შ. ამირხანიანი და ვ. შახველიანი. 1920 წლის სექტემბერში ბაქოში ჩატარდა სომხეთის სახელმწიფოებრივი პარტიული ორგანიზაციების კონგრესი, რომელმაც განიხილა ძალადუღებების აღებასთან დაკავშირებული პარტიის პრაქტიკული ამოცანები. ბაქოშივე იწყო ეკონომულა სომხეთის კომუნისტური პარტიის „იზვესტია“ რუსულ ენაზე.

მაღ რევოლუციურ აზიერებებს დაწინაურება მოთვრობამ ავანტიურით უქასუნება მან, რევოლუციური მოძრაობისაგან მსებების ჩამოცილების მიზნით, სექტემბერში ომი წამოიწყო თურქეთის წინააღმდეგ, ანტანტის იმპერიალისტები გულმოდგინედ აშხალებდნენ ამ ომს. იმყოფებდნენ მასში საბჭოთა რუსეთის ჩართვასაც. დაწინაურება ვარაუდო მარტივი იყო: ანტანტის იარაღის დახმარებით მათ განზრახული ჰქონდათ თურქეთის დამარცხება და რევოლუციური მოძრაობის სასტიკი დათრგუნვა ჰეყუნის შიგნით. მაგრამ ანტანტამ უარი უთხრა სომხეთის დახმარებაზე. ახლა ეს თვითონ ეტორდა. თურქეთმა ისარგებლა შექმნილი ვითარებით და სასტიკი დამარცხება აგემა სომხეთის ქარგმს, ბრძოლა ახლა სომხეთის ტერორტორიაზე გაიადდა. თურქეთის ქარგმმა სომეხი ხალხის დაუნდობელი ხოცვა-ჟლეტა დაიწყო.

ომით გამოწვეულმა წგრევამ და სიძაბულებამ გააძლიერა მუშეობისა და გლეგების რევოლუციური გამოსვლები. რევოლუციური სულისკვეთება შეიჭრა დაწინაურ არმიოშიც. ახლთ ეთარებაში, სომხეთის პარტიული ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობის გაძლიერებას მიზნით, ნოემბრის პირველ რიცხვებში შესდგა აზერბაიჯანის კე ცკ-ის პოლიტბიუროსა და რკ (ბ) ცკ-ის კავებუროს ვერობანებულ სტლობა, რომელზედაც განიხილეს საკითხი საქართველოსთან მოლაპარაკებისა და სომხეთში შექმნილი მდგომარეობის შესახებ. მალე აზერბაიჯანის კე ცკ-ის პლენუმის მსჯელობის საგანა ისეც სომხეთში შექმნილი მდგომარეობა გახდა. პლენუმის გადაწყვეტილებებში სომხე-

თის საკითხი აღიარებულა „პირველხარისხოვანი პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხად“. 1 ს. ორჯონიკოძის მიითებებით, სურამბაქოვანის კე და მოთვრობამ თელაშანის დახმარებით აღმოუჩინეს მომე სომეხ ხალხს: ბაქოში აყანებულთა დასამარცხებლად გაემართა სომხეთის მუამბოხეთა პოლცი, რომელიც შედგენილ იქნა მასის აყანეების დამარცხების შემდეგ აზერბაიჯანში ევკეორებელი სომეხი პარტიული საგან: სომხეთის კე განკარგულებში ვიგზაყენენ აგრეთვე სომეხი კომუნისტები, რომლებიც აზერბაიჯანში მოღვაწეობდნენ, პარტიული მუშაეები, იარაღი, ბოლშევიკური ლტერატურა.

შე ნოემბერს ლამით იყვანსა და დილიყანში აყანეებამ იღუთქა. იგი მალე ვაგრცელა მთელ სომხეთში. მთელ რიგ ადგილებში დასაყვლად გავზაწანილი დაწინაყა ქარი აყანებულთა მხარეზე ვადეიდა. ამ ნოემბერს შექმნილი საშედრო რევოლუციური კომიტეტი ა. კასიანის (თავმჯდომარე), ა. ნურიჯანიანის, ა. ტერვალიანის, ი. დოვლათიანის, ა. მრავიანის, ს. ტერ-გაბრიელიანის შემადგენლობით სათავეში ჩაუდგა აყანებულ მშრომელებს და სომხეთში საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადა. ვ. ი. ლენინისა და გ. კ. ორჯონიკიძის სახელზე გავზაწინილ რევკომის დებეშაში ეითებულობთ: „...დილიყანისა და ქარაყანასარაის რაიონების გლეგებმა ააფრიალეს აყანების დროში, სომხეთის კომუნისტურმა პარტიამ შექმნა სომხეთის რევკომი. სომხეთი სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკად გამოაცხადა... აღფრთოვანებული აყანებულები წინ მიიწეოდნენ... სრულა რწმენით, რომ ჩაგრული აღმოსავლეთის განმათავრულელები... წითელი არმია ვაგვიწეეს რეალურ დახმარებას ჩვენ და შიმში ბრძოლაში. სომხეთის ყველა მუშისა და გლეგის სახელით ჩვენ ვთხოვთ სახკომსაბჭოს აღმოგვიჩინოს ეს დახმარება.“

საქკომსაბჭომ, ვ. ი. ლენინის წინადადებით, დუეკონებლოც მიიღო გადაწყვეტილება დახმარება ვაწევის შესახებ.

მალე მთელ სომხეთში საბჭოთა ხელისუფლებამ გაიმარჯვა. სომეხი ხალხის საყენოენი ბრძოლა თაენუფლებისა და დამოცილებალობისათვის ბრწყინვალედ დავეირგვინდა. სომეხი ხალხის ეხოვრებაში ახალი ერა დაიწყო.

რკ (ბ) ცკ-ის კავკასიის ბიუროს ბაქოს საშეულის მეთაურობის დროს ორჯონიკიძე პაჩითადად ბაქოში იმყოფებოდა, მაგრამ სწორად ჩადიოდა ჩრდილოკავკასიაში, როსტოვში, სტავროპოლში. სერგო აქ მართავდა მუშათა კონფერენციებს, რაც დიდ როლს თამაშობდა სხალხო მერსრნეობის აღდგენისათვის საყო-

1 აზერბაიჯანის კე ცკ-ის „იზვესტია“ № 2, 1920 წ.

2 „სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების გაიმარჯება.“ დოკ. კრებული, გვ. 433.

ველთაო სახალხო მოძრაობის გაშლის საქმეში. 1920 წლის აგვისტოს შუა რიცხვებში ს. ორჯონიძემ, პარტიის ცუდ პოლიტიკურს დავალებით, ხელმძღვანელობდა შვიი ზღვის კავკასიის სისამართზე ვრანგელოს მიერ გაღმოსამული დიდი დენსანტის ლეკვადიციის. სერგოძე ასევე დიდი მუშაობა გასწია ინტეგრების, ოსების, უზბეკობების და ჩეჩენების უმარტიო კონფერენციების მოწაზადებისა და ჩატარებისათვის. კავშირის ივლის-სექტემბრის ანგარიშში, რომელიც რკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტს წარუდგინა, ვკითხვლობთ: „უზბეკობის, ინტეგრეთში, ოსეთში და ჩეჩენეთში, აშხ. ორჯონიძის პირადი ხელმძღვანელობით, მოეწყო უზბეკობითა კონფერენციები, რომლებშიც დიდი აწმავლობით ჩაიარა.“¹

სერგოძე ასევე სიტყვებითავე გამოდიოდა პარტიული აქტივის ტერმებზე, თათბირებზე, დაღესტანისა და თერგის ოლქის ხალხთა ურთობებზე.

1920 წლის ოქტომბერში ორჯონიძემ ხელმძღვანელობდა კონტრარევოლუციურს ამბოხების ლეკვიდაციის საქმის დაღესტანსა და თერგის ოლქის კახეთა მთელ რთვ სტანიცებში. მთიულთა დიდი უმარადესობა ერთსელოვნად გამოვიდა ამბოხებულთა წინააღმდეგ. აქ თავი იჩინა იმ უზარმაზარი მუშაობის ნაყოფმა, რისაც რკპ (ბ) ცუდ კავკასიის ბიუროს და პირადად ს. ორჯონიძემ ეწეოდა პარტიის ერთგულ პოლიტიკის სწორი განხორციელების, მიწვისა და სხვა პრობლემების ვრანგერულად გადაწყვეტის საქმეში.

1920 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე აზერბაიჯანსა და სომხეთში წარმოებულ ბრძოლების დროს საქართველოს მენშევიკური მთავრობა მუდამ საბჭოთა ხელისუფლების მტრების მზარზე იდგა და აქტიურად უწყობდა მათ ხელს. მენშევიკური მთავრობა აშკარად არღვევდა 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულების ყველა მუხლს. მან მოლაპარაკება დაიწყო ინგლისისათვის ბათუმის თქარით ვადაცემის საკითხზე. ხოლო საქართველოში, საფრანგეთს უმალდეს კომისარ შევალისთან ერთად, ამუშავებდა აზერბაიჯანსა და სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამხობის გეგმებს.

გორდანიის მთავრობის ანტიხალხურმა, ეროვნული ინტერესების გამცემლურმა პოლიტიკამ, ქართული ხალხის უფროსი თენების მრთხანე პროტესტები და აღმშოთება გამოიწვია. რევოლუციური მოძრაობის მძლავრ აღმავლობას დიდად შეუწყო ხელი საქართველოს პარტიული ორგანიზაციებისადმი კავშირის ოპერტიულიმა ხელმძღვანელობამ, რის შედეგადაც ვანშტკიყდა ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები. „მენშევიკები საგონებელში ჩაეარდნენ, რთცა მუშები და გლეხები მთელი ქვე-

ფობით ეწერებოდნენ კომუნისტურ პარტიაში. მათთვის კომუნისტური პარტიის ქვეყნული არსებობა სასიკვდილო დარტყმის წინაშე მენშევიკურმა პარტიამ რღვევა იწყო. საქართველოში რევოლუციური აფეთქება მწიფდებოდა. „მენშევიკები, — აცხობებდა ორჯონიძემ რკპ (ბ) ცუდ, 1920 წლის დეკემბერში. — ყოველდღიურად კარგავენ ნდობას... აშკარა გაკორტება, მეტი აღარ შეიძლება... ნთემ (გორდანიამ — ა. ორ.) თათბირზე განაცხადა, რომ ქვეყანა უფსკრულისკენ მიექანება, მუშებმა ჩვენსკენ იწყეს მობრუნება, — ამ დღეებში მშვედვების ყრილობაზე გამგეობაში უმეტესობა ბოლშევიკები გავიდნენ.“²

კატასტროფისაგან სსსსს მენშევიკური მთავრობა ბოლშევიკების დენსასა და რეპრესების გამოღერებაში ხედავდა.

ანახლო რეპრესიებით ყორდანი-რამიშვილის მთავრობამ 1920 წლის დეკემბერში მხოლოდ ის შესძლო, რომ საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები აიძულა იატაკქვეშ გადსულოყო. მენშევიკურმა მთავრობამ საქმით საბოლოოდ თქვა უარი სამშვიდობო ხელშეკრულების ნაყისრი ვალდებულებების შესრულებაზე. ასეთ ვითარებაში უკვე შეუძლებელი შეიქნა ძალაუფლების მშვიდობიანი გზით აღება. დღის წესრიგში ისევე შეიარაღებული აქაყებთათვის მზადება დადგა.

ს. ორჯონიძემ და ს. კიროვმა 1921 წლის 2 იანვარს კავშირის სახელით წერილი გაუგზავნეს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრებს, ობიექტურად ახასიათებდნენ ყორდანი-რამიშვილის მთავრობის სავარყო და საშინაო პოლიტიკას. აეტორები სამართლიანად ამხვილებდნენ უტრადლებს იმ ფაქტზე, რომ საქართველო, სამშვიდობო ხელშეკრულების ფაქტური გაუქმების შედეგად, ვადაცემული იყო ბოლშევიკურ მინდობა და ვარეშე კონტრარევოლუციური ძალებისათვის, რომლებიც ეწერგიულად ამხადებდნენ ამბოხებებს, ადგენდნენ გეგმებს ჩრდილო კავკასიასა და განსაყუთობით, აზერბაიჯანსა და სომხეთში შექრისათვის. ორჯონიძემ და კიროვი დამაყერებლად ასახულებდნენ მენშევიკური წყობილების დამხობის აუცილებლობას საქართველოში. მაგრამ ამავე დროს მიუთითებდნენ, რომ საქართველოს მუშებსა და გლეხებს მაშინ არ შეეძლოთ მხოლოდ საყუთარი ძალებით ადლოთ ხელში ძალაუფლება.

ს. ორჯონიძისა და ს. კიროვის წერილი რკპ (ბ) ცუდს პირველსადე პლენუმზე იქნა ვანხილული. პლენუმის დღის წესრიგის საკითხე-აკავშირის განცხადება ვსაბჭოებისათვის სა-

¹ ცუა, ფ. 17, აღწ. 7, საქ. 216/III, ფ. 17, მეორე გვერდზე.

² ცუა, ფ. 85, აღწ. 15, საქ. 63, ფ. 2.

¹ ცუა, ფ. 64, აღწ. 2, საქმე 6, ფ. 102.

ქართველსადმი დახმარების საჭიროების შე-
სახებზე — მიღებულ იქნა გადაწყვეტილება:
საშინაო და საგარეო ვითარების თვალსაზრის-
ით საბჭოთა ხელისუფლების დაყარების სა-
კითხი საქართველოში მოემწიფებლად ჩაით-
ვალოს. კავბიურომ ამ საკითხზე იხელმძღვა-
ნელის რკ (ბ) ცკ-ის წინანდელი გადაწყვე-
ტილებით.1 ხოლო წინანდელი გადაწყვეტილება
მას ავალბდა განუხრებლად გაეტარებინა კავ-
კასიაში მშვიდობიანი პოლიტიკა, არ დაეშვა სა-
ქართველოს შინაურ საქმეებში ძალით ჩარევა.

პლენუმის გადაწყვეტილების შესაბამისად
ორჯონიძემ და კავბიუროს სხვა წევრებმა
მოთვარი ყურადღება მიაქციეს საქართველოს
კომუნისტური ორგანიზაციებისათვის დახმარე-
ბის გაწევას. ადგილზე შეიქმნა მტკიცე პარტი-
ული უწყრდები და პარტიის ორგანიზაციები
რევკომების, სახით. თათქმის ყველა რაიონში
შედგა მებრძოლი რაზმები და აყანყების შტა-
ბები, შექმნილი და ადგილზე მიტანილი იქნა
იარაღი და საომარი საჭურველი. ფართო მუ-
შაობა გაიშალა უპარტიო აქტივის შორის, რათა
გადაწყვეტ მომენტში გარანტირებული ყოფი-
ლიყო მათი მხარდაჭერა. შეიარაღებული აყან-
ყების მომზადების საქმეში ფართოდ იქნა გა-
მოყენებული კომკავშირული ორგანიზაციები.

საქართველოში რევოლუციური სიტუაცია
მწიფდებოდა. მენშვეციური მთავრობა თავისი
არსებობის უკანასკნელ დღეებს თვლიდა. იგი
აძლიერებდა მტრულ საქმიანობას მეზობელი
საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ. წითელი
არმიის შტაბს საკმაო მონაცემები გააჩნდა იმის
შესახებ, რომ „საქართველო აქტიურად ეზზა-
დებოდა საბჭოთა რუსეთთან ომისათვის. ეორ-
დანიას მთავრობა, იმდენს აყარებდა რა ანტან-
ტის დახმარებაზე. „სახალხო გვარდიანზე“ და
სომხეთსა და აზერბაიჯანში მოსალოდნელ აყან-
ყებაზე, ამ რესპუბლიკებში გზავნიდა აგენტებს
ანტისაბჭოთა აგიტაციისათვის.2 იანერის ბოლო
რიცხვებში ვ. ი. ლენინს ვ. ვ. ჩიჩერინმა წა-
რღვიდა მოხსენება, სადაც დეტალურად იყო
აღწერილი სამშვიდობო ხელშეკრულების უხე-
ში დარღვევის ფაქტები, საბჭოთა რესპუბლი-
კებისადმი მენშვეციების მტრული პოლიტიკის
შედეგები.

1921 წლის 26 იანვარს, ვ. ი. ლენინის წი-
ნადადებით, რკ (ბ) ცკ-ის პლენუმმა კვლავ
განიხილა საკითხი „საქართველოს შესახებ“. მიღებული
რეზოლუცია, რომელიც გაყდნითი-
ლი იყო საქართველოს მიმართ მშვიდობიანი
პოლიტიკის სულისკვეთებით, ჩიჩერინს ავალბე-
და მიეღო ყველა ზომა, რათა თავიდან ყოფი-
ლიყო აცდნა საქართველოსთან განხეთქი-
ლება, უფრო დაბეჯითებით მოეთხოვა საქარ-

თველოს მთავრობისაგან სამშვიდობო ხელშეკ-
რულების შესრულება.

საქართველოში შეიარაღებული აყანყების
მომზადების საერთო გეგმაში მნიშვნელოვანი
ადგილი ეტირა აყანყების მომზადებას ლორის
პარაში. ეს ე. წ. „ნეტრალური ზონა“ 1920
წლის ნოემბერში ლიკვიდირებული იქნა. ლორი
მენშვეციებმა, ანტანტის თანხმობით, შეუერთეს
საქართველოს. რკ (ბ) ცკ-ის კავბიუროს
გადაწყვეტილებით, სომხეთის კვ ცკ-მა ლორში
შეიარაღებული აყანყების ხელმძღვანელობისა-
თვის 1920 წლის 20 დეკემბერს გამოიტანა
გადაწყვეტილება კარაკლისში „შეამბოხეთა
შტაბის“ შექმნის შესახებ. „შეამბოხეთა შტაბის“
პასუხისმგებელ ხელმძღვანელად დაინიშნა ძვე-
ლი ბოლშევიკი, პროფესიონალი რევოლუციო-
ნერი — იოსებ გერასიმეს-ჟე ლაზანი. „ნე-
იტრალური ზონის“ ბოლშევიკებმა კავბიუროსა
და პირადად ს. ორჯონიძის ხელმძღვანელო-
ბით ტიტანური მუშაობა ჩატარეს მოკლე დრო-
ში შეიარაღებული აყანყების მოსაწყობად. მთე-
ლი მოსამზადებელი მუშაობა იანერის ბოლოს
დამთავრდა. 2 თებერვალს შეიქმნა მეამბოხეთა
საველე შტაბი, რომელიც შედგებოდა ვარდიაშვილსა
სამხედრო რევკომად. თებერვლის პირველ რი-
ცხვებში მოეწყო ლორის ხელმძღვანელ მუშაკ-
თა ინსტრუქციული-პედაგოგიული თათბირი, თათ-
ბირის მონაწილეებს გააცნეს შეიარაღებული
აყანყების საერთო გეგმა და მისცეს მოქმედე-
ბის ინდივიდუალური კონკრეტული გეგმები.
ადგილზევე დაბრუნებულმა თათბირის მონა-
წილეებმა, მათზე მიმავრებულ სამხედრო მუ-
შაკებთან ერთად, ჩატარეს ადგილობრივი თათ-
ბირები, რომლებზედაც დახუტდა აყანყების
გეგმები. 7 თებერვალს შექმნილმა ლორის სამ-
ხედრო რევკომმა მოაწყო სასოფლო რევკომები,
დაარსა მილიციის თანამშრომლები შტაბში, რომ-
ელსაც ევალბებოდა სოფლებში რევოლუციო-
რი წესრიგის უზრუნველყოფა; დანიშნა ჩეკა
და დამატაცია კომისრები ქარხნებსა და მნიშ-
ვნელოვან დაწესებულებებში.

ამ დროისათვის, როგორც საქართველოში,
ისე ლორში საბოლოოდ მომწიფდა ყველა პი-
რობა შეიარაღებული აყანყების წარმატებისათ-
ვის. ლორსა და საქართველოში კავბიუროს სა-
ერთო ხელმძღვანელობით მომზადებული შეიარ-
აღებული აყანყება მჭიდროდ იყო ერთმანეთ-
თან დაეკავშირებული და, ვით უერთი მთლი-
ანი, მიმართული იყო მენშვეციური დიქტა-
ტურისა და თბილისში მოკლდაებული კონტრ-
რევოლუციური ბანდების ნაშთების წინააღმ-
დეგ. 1920 წლის 7-8 თებერვალს, ლორის სამ-
ხედრო რევოლუციურმა კომიტეტმა წერილობი-
თი მოხსენებით მიმართა რკ (ბ) კავბიუროს,
მოხსენებაში აღწერილია ნეტრალური ზონის

1 ცკა, ფ. 17. აღ. 7, საქ. 216/111, ფ. 17.
2 წაცხა, ფ. 109. აღწ. 5; საქ. 45, ფურც. 15.

1 დოკუმენტს ზუსტი თარიღი არა აქვს.

მეშეებისა და გლეხების აგრესიული მდგომარეობა და ნათქვამია, რომ ლორის მშრომელები საბოლოოდ დარწმუნდნენ მშვიდობიანი გზით ჭაღვრულების აღების შეუძლებლობაში და გააწყვიტეს მოპოვონ იგი შეიარაღებული აჯანყების გზით. სამხედრო რევოლუციური კომიტეტი რკპ (ბ) ცკ-ის კავკასიის ბიუროს სთხოვდა სამხედრო ხელშეწყობებით და სამხარო მასალები დახმარებოდა მას; და, თუ ეს საჭიროა გახდებოდა, მიეშველებინა მისთვის წითელი არმიის სამხედრო ნაწილები, რკპ (ბ) ცკ-ის კავკასიის ბიურომ გაითვალისწინა შექმნილი ხელშეწყობის საშინაო და საგარეო პირობები და ს. ორჯონიძის წინადადებით მიიღო გადაწყვეტილება შეიარაღებული აჯანყების დაწყების შესახებ. დანიშნულ იქნა აჯანყების დაწყების ზუსტი დრო. ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს დირექტურა მიეცათ საბრძოლო მოემზადებინათ პარტიული, კომკავზორული, პროფკავშირული, გლეხთა აქტივი. 1921 წლის 11 თებერვალს დამით ლორში შეიარაღებული აჯანყება დაიწყო. იგი იმთავითვე გახდა სიგნალი საქართველოს სხვა რაიონებისთვისაც. აჯანყების ცეცხლში გაეხვია ბორჩალოს, დუშეთის, გორის, რაჭის, ლეჩხუმის მახრები, მთელი საქართველო.

აჯანყებულებმა, — აცნობებდა ორჯონიძემ კიროს პირდაპირი მკითხვით საუბარში, — ზელთ იგდეს სამი ქართული პოლკი — მე-7, მე-8 და მე-9 და გაათავისუფლეს მთელი ნეიტრალური ზონა. პოლკები უბრაოდენად დანადგნენ. შტაბმა და რევკომმა მიმართა საქართველოს მთავრობას...¹ საოკუპაციო ჯარების სწრაფი განაჩაღება და მათი უმეტესობის უბრაოდენად კაპიტულაცია შედეგი იყო მენშევიერ ჯარებში ბოლშევიკების სისტემატური და თავდადებული მუშაობისა.

12 თებერვალს დღითი აჯანყების შტაბმა და სამხედრო რევოლუციურმა კომიტეტმა რადიოთი «ყველას, ყველას, ყველას!» გადსცეს ცნობა ლორში მენშევიკების წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყების დაწყებისა და მისი წარმატებით დავერგვიანების შესახებ. ორჯონიძემ დაუყოვნებლივ აცნობა ლენინს ლორში შეიარაღებული აჯანყების დაწყება და იქ რევკომის შექმნა. მენშევიერმა მთავრობამ, უბრაოდენად უოვლსა, ლორის წინააღმდეგ დასძრა დიდი სამხედრო ძალები. სპეციალური რაზმები რეგულარულ ნაწილებთან ერთად ველური სისასტიკით უტყველდნენ აჯანყებულებს. მენშევიერი მთავრობა საქმით ამორცხვლებდა ერთდანიას მითითებას ცეცხლთა და მახვილით აღუცავთ მიწისაგან პირისა ლორის მუშების და გლეხების, რომლებმაც გაბედეს ხელი აღმართათ „დამოუკიდებელი“ მენშევიერი საქართველოს წინა-

აღმდეგ. სერგომ 14 თებერვალს დეპუტით აცნობა ვ. ი. ლენინს ლორის აჯანყებულებების შესახებ და რევკომის გადაწყვეტილებების შესახებ აცხადონ საბჭოთა რესპუბლიკების მფარველობის ქვეშ. მეორე დღეს ორჯონიძემ ისევ აცნობა ლენინს, რომ ერთდანიას — რამიშვილის მთავრობას ჯარების დიდი შენატებით გადაყავს აჯანყებულთა წინააღმდეგ, და, რომ ეს ჩვენგანაც მითხოვს დაუყოვნებლივ კონტრ-დარტყმას, სერგოს დეპეშა იმავე დღეს განიხილა რკპ (ბ) ცკ-ის პოლიტბიურომ, მოიწონა კავბიუროს წინადადება და დამტკიცა დეპეშის ტექსტი, რომელიც ორჯონიძეს გამოეგზავნა პასუხად.

მენშევიერი ხელისუფლების წინააღმდეგ მძლავრმა საყოველთაო სახალხო აჯანყებამ ერთბაშად შეარყია ერთდანიას ტახტი.

16 თებერვალს ბორჩალოში ფ. შაბაძის, შ. ორახელაშვილის, შ. ცხაკაიას, შ. ულიაძის, ა. გუგუშვილის, შ. კვიციანიას, ა. ნაზარეთიანის შემადგენლობით შეიქმნა საქართველოს რევკომი, რომელმაც იმავე დღეს დახმარებისათვის მიმართა რსფსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს — ვ. ი. ლენინს. მიმართვაში ვკითხულობთ:

„...საქართველოს მთავრობის დასამარბებლად ისწრაფენა ევროპის რეპუტაციის ძალები. გერმანიანებელი შავი ლაშქრის დაწოლისათვის წინააღმდეგობის გაწევა მხოლოდ შეერთებულ წითელ სოციალისტურ ლაშქარს შეუძლია... ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ... დიდი პროლეტარული რევოლუციის ქვეყანა, არ დავეტოვებს ჩვენ უთანასწორო ბრძოლაში და დახმარებას აღმოგჩენს ახლადშობილ საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას...¹

საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებით, წითელ არმიას დაუყოვნებლივ მიეცა მითითება აჯანყებულთათვის დახმარების გაწევის შესახებ. „რსფსრ საბჭოთა მთავრობა ზუსტად იცევდა საქართველოსთან დადებულ სამშვიდობო ხელშეკრულებას და დიდხანს ეძლიოდა მშვიდობიანი გზით მოეწესრიგებინა მასთან ურთიერთობა... მაგრამ თვით მენშევიერმა მთავრობამ ფაქტიურად გააუქმა 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება და არ ფარავდა, რომ საქართველოს მშრომელთა აჯანყება... იგი ახსობდა ამერიკის და ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტთა დახმარებით...² ახლაც, როცა აჯანყებულები და მის დასახმარებლად წამოსული წითელი არმია წარმატებით უტყვედა მენშევიელების ჯარებს და გამარჯვება გვეს არ იწყევდა, ბოლშევიკები კვლავაც ცდილობდნენ გამოეჩინათ სა-

¹ ციტატა მოგვყავს პროფ. ვ. ესაიაშვილის წიგნიდან: „ვ. ი. ლენინი და საქ. ბოლშ. ორგ.“ გვ. 318.

² საქ. კ. „ისტორიის ნარკვევები, ნაწ. 1, გვ. 472.

კობის ვადპირის მშვიდობიანი გზა. ი. ბ. სტალინი 1921 წლის 16 თებერვალს 21 საათზე პირდაპირ მავთულთ ორჯონიძეს ვადასცემდა: «Если можно расположить к себе левых грузинских меньшевиков путем уступок, как это было в Армении с дашнаками, общей уступки, амнистии и т. д.»¹. ნავარდუცი იყო შემარცხენე მენშევიკების შეყვანა საქართველოს რევკომის შემადგენლობაში ც. შერაც დღეს, 17 თებერვალს 14 საათზე ი. ბ. სტალინი, როცა საქართველოს რევკომის შემადგენლობას ვაეცნო, ორჯონიძეს წერდა: «...საპირო იყო რამდენიმე ადგილის დატოვება ფედერალიზებისა და შემარცხენე მენშევიკებისათვის».²

მენშევიკებისადმი ასეთი დამოკიდებულება სრულიად შეესაბამებოდა ვ. ი. ლენინის დირექტივას, რომელიც მან პირადად ფ. მახარაძეს მისცა მოსკოვში მისი ყოფნის დროს 16 თებერვალს და რომელიც მან შემდგომ ვაიმეორა თავისი 2 მარტის ცნობილ წერილში ორჯონიძისადმი, სადაც ვითხოვლობთ: «...უღირესად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ გამოინახოს მისაღები კომპრომისი ბლოკისათვის ევროპისათვის ან მის მსგავს ქართველ მენშევიკებთან, რომლებიც ჯერ კიდევ აჯანყებამდე ახსოვდებოდნენ მტრულად არ იყვნენ ვანწყობილნი ვარკვეული პირობით საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების აზრისადმი».³ მაგრამ მენშევიკებმა არც ახლა უსმინეს ჯანსაღ აზრს. არც ახლა ათხოვეს ყური ბოლშევიკების საშვიდობო წინადადებას.

სულ რამდენიმე დღეში საქართველოს, ოსეთისა და აფხაზეთის ტერიტორია გაქმენდილი იქნა მენშევიკებისათვის. «თბილისზე საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა ფრიალებს, ვაშარჯოს საბჭოთა საქართველოს» — უღებენ ვ. ორჯონიძემ 1921 წლის 25 თებერვალს ვ. ი. ლენინსა და ი. ბ. სტალინს, ევროპაში — რამიშვილის მთავრობის უკანასკნელი თავშესაფარი ბათუმი ვახდა. აქ, თავისი სიოცებლის უკანასკნელ დღეებში ქართველი ხალხის ინტერესების ვაცემლობის კიდევ ერთი სახიზნლარი აქტი ჩაიდინა ამ მთავრობამ. მან 1921 წლის მარტის პირველ დეკადში ანტანტის სურვილს შესაბამისად, დაღო თურქეთის მთავრობასთან სიდიდემლო შეთანხმება, რომლის ძალითაც ბათუმი, ბათუმის ოლქი, ახალციხე და ახალქალაქი თურქეთს ეძლეოდა.⁴ შეთანხმების

საფუძველზე თურქეთის ჯარი ბათუმში და მის ოლქის დასაყვებლად დაიძრა. ვ. ი. ლენინმა მშობლიური ზრუნვა გამოიჩინა ვაშარჯოს ამ უტყველესი ქართველი მიწაწულზე მისართა და არ დაუშვა მისი დედა საშობლოსაგან ჩამოცილება. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ვ. ი. ლენინის 1921 წლის 9 მარტის წერილი. იგი ჩივრისნაირად წერდა: «Я крайне обеспокоен тем, что турки оттягивают подписание соглашения о Батуме, выигрывая время, пока их войска идут к Батуму. Мы не должны по-зволить им такие оттяжки. Обсудите такую меру: вы прервете нашу конференцию на полчаса для разговора со мной, а Сталин в это время поговорит на чистоту с турецкой делегацией, чтобы выяснить дело и довести до конца сегодня-же!».⁵ 1921 წლის 16 მარტს ხელშეკრულებით ვ. ი. ლენინმა მიიღწია იმას, რომ ბათუმი სამუდამოდ დაბრუნებოდა დედა საშობლოს.

საქართველოს ასე სწრაფად და მინიმალური მსხვერპლით განთავისუფლებაში დიდი როლი შეასრულა კავკასიის ბუროსა და პირადად სერგო ორჯონიძის ხელმძღვანელობით ქართველი კომუნისტების მიერ კარგად მომზადებულმა და განსორცელებულმა შეიარაღებულმა აჯანყებამ.

1922 წლის 18 თებერვალს თბილისში მუშაობა დაიწყო ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების პირველმა — ყრილობამ. ყრილობამ მოიხმინა ს. ორჯონიძის ანგარიში კავბიუროს პოლიტბიუროს მოღვაწეობის შესახებ და დამაკმაყოფილებლად ჩათვალა მისი მუშაობა, ერთსულენად დაუქირა მხარი ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნას.

ყრილობის მიერ არჩეულმა რკპ (ბ) ამიერკავკასიის სახარეო კომიტეტმა შესცვალა რკპ (ბ) კავკასიის ბიურო. ამიერიდან ცენტრალური კომიტეტის ეს სრულუფლებიანი წარმომადგენლობითი ორგანო საჭირო აღარ იყო. რკპ (ბ) ცკ-ის კავკასიის ბიურომ ჩინებულად შეასრულა ყველა ის ამოცანა, რისთვისაც იგი თავის დროზე ვ. ი. ლენინის ინიციატივით იყო შექმნილი.

ჩვენს პარტია, რომელიც ახლა წარმატებით აწევს კომუნისტურ საზოგადოებას, კავკასიის შრავაუროვანი ხალხები, დღიად აფასებენ მტკიცე ლენინელის ს. ორჯონიძის, როგორც კავკასიის ბიუროს ხელმძღვანელის ბრძოლას კავკასიაში მშვიდობის, მშობის და სოციალიზმის დამკვიდრებისათვის.

¹ ცხა, ფ. 558, აღწ. 1, საქ. 1966, ფ. 4.

² იქვე, საქ. 2055, ფ. 1.

³ ლენინი, ტ. 32, გვ. 189-190.

⁴ ცხა, ფ. 558, აღწ. 1, საქ. ფ. 1.

⁵ Ленин, ПСС т. 52, стр. 92.

გუგა ასათიანი

ვეფხისტყაოსანი და ქართული კლასიკური პოეზია

უკვე ორნახევარი საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც ვახტანგ შეექმნე ვეფხისტყაოსნის პირველი გამოცემისათვის დართული შენიშვნებით საფუძველი ჩაუყარა ქართული ლიტერატურული მეცნიერების ერთ უმნიშვნელოვანეს დარგს—რუსთველოლოგიას. შეიძლება ითქვას, რომ პოემის პირველმა კომენტატორმა ერთგვარი გეზიც მისცა ვეფხისტყაოსანთან დაკავშირებულ შემდგომდროინდელ კვლევას. ვახტანგის მიერ შედგენილ „თარგმანში“ ყურადღება უმთავრესად ორი მიმართულებით იყო გამახვილებული: მსოფლმხედველობრივ (ფილოსოფიურ-ეთიკურ) და ფილოლოგიურ (ტიქატუალურ და ლექსიკოლოგიურ) ასპექტებზე.

ქართული რუსთველოლოგია შემდგომ ეპოქებში ძირითადად ამ ორ გზას გაყვა და თავისი განვითარების ყველაზე ინტენსიურ პერიოდებშიც სწორედ ამ მიმართულებით მიიღწია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წარმატებებს.

უცნაურია მხოლოდ ის გარემოება, რომ მთელი ამ დროის მანძილზე ვეფხისტყაოსანი, ქართული სიტყვაყაზმული მწერლობის ეს უმნიშვნელოვანესი ძეგლი, შედარებით იშვიათად იდგა საკუთრივ ლიტერატურული ინტერესისა და დაკავრების ცენტრში.

ჩვენ არ ვიზიარებთ ქართულ მწერლობაში უკანასკნელ დროს გამოთქმულ შეხედულებას, რომ ამ მხრივ საერთოდ არაფერი გაკეთებულა. მაგ-

რამ, მიუხედავად ცალკეული, უდავოდ ღირსშესანიშნავი გამოკვლევებისა, უნდა ითქვას, რომ რუსთველოლოგიის ეს ძირითადი ნაწილი დღეისათვის თავისი განვითარების მხოლოდ დასაწყის სტადიაზე იმყოფება, რადგან ჭერ კიდევ საბოლოოდ არ არის დადგენილი „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული ანალიზის ზოგიერთი ძირითადი წინამძღვარი.

რუსთაველის პოემა ისეთი რანგის ნაწარმოებშია, რომელმაც ბიძგი უნდა მისცეს ლიტერატურათა მთელი თაობების შეერთებულ შრომას, ისევე როგორც ინგლისში შექსპირის დრამატურგიამ, ან გერმანიაში გოეთესა და შილერის მემკვიდრეობამ აუცილებელი გახადა ლიტერატურის თეორეტიკოსთა და მკვლევართა მთელი სკოლების, მრავალრიცხოვანი მიმდინარეობებისა თუ მოძღვრების აღმოცენება.

უპირველეს ყოვლისა, დასაზუსტებელია ის კრიტერიუმები, ესთეტიკური შეფასების ის შენატყვისი მასშტაბი, რის გარეშეც ყოველი განზომილება, რომელსაც ჩვენ პრაქტიკული ანალიზისას მივმართავთ, შეიძლება პროკრუსტეს სარეცლად იქცეს ამ ნაწარმოებისათვის.

ბუნებრივია, როდესაც ქართული მეცნიერების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები ვეფხისტყაოსნის შინაარსს განიხილავენ სპეციფიური თვალსაზრისით, რუსთაველის პოემა, როგორც ეპოქის ინტელექტუალური ცხოვრების სარკე, როგორც „სიბრძნის ზღვა“, მრავალი ასპექტით არის საინტერესო. მისი

საშუალებით შესაძლებელია, დაახლოებით მაინც, დადგინოთ იქნას მეცნიერული ცოდნის ის დონე, რომელიც XII-XIII სს. საქართველოში იქნა მიღწეული.

მაგრამ მიუტევებელი შეცდომაა, როცა ვეფხისტყაოსანში ეძებენ ამა თუ იმ ფილოსოფიური მოძღვრებისათვის სისტემის უბრალო მხატვრულ ტრანსკრიპციას. რადგან რუსთაველის პოემა არის არა განყენებული ფილოსოფიური აზროვნების პოეტურ ენაზე გადატანის შედეგი, არამედ სამყაროს მხატვრული დაუფლების, მისი შემოქმედებით; დაძლევისა და გარდასახვის სრულიად დამოუკიდებელი, გენიალური ცდა.

ვეფხისტყაოსნის იდეები გამომდინარეობენ, უწინარეს ყოვლისა, რუსთაველის მხატვრული, პოეტური მსოფლმხედველობიდან. პოეზია აქ იკავებს ფილოსოფიის ადგილს და მხოლოდ დამხლოდ საკუთარ კანონებს ემორჩილება. ამის გამო პოემის დედააზრი საიუბელია არა ცალკეულ სენტენციებში, არა აფორისტულ სტრიქონებში, არამედ ნაწარმოების დასრულებულ მხატვრულ მთლიანობაში, იმ საბოლოო ესთეტიკურ ზემოქმედებაში, რომელსაც პოემა ახდენს ჩვენზე თავისი განსაკუთრებული „ირაციონალური“, მხატვრული ლოგიკით.

როგორც გენიალური ქმნილება, ვეფხისტყაოსანი ეკუთვნის იმ ნაწარმოებთა რიგს, რომლებშიც, ერთი ფრანგი მოაზროვნის სიტყვით რომ ვთქვათ, „მითოლოგიის ნათელმჭვრეტა და პოეტის ინტუიცია წინ უსწრებს ფილოსოფოსთა ნაზრევს“.

რუსთაველის მხატვრული კრედიტისევე, როგორც პოემის მსოფლმხედველობრივი კონცეფცია, ამოიკითხება არა პირდაპირი მსჯელობის სახით ჩამოყალიბებულ ავტორისეულ დეკლარაციებში (ეს რომ ასე იყოს, ყველაფერი ძალზე მარტივი გახდებოდა), არამედ იმ იღუმალ წესში, რომლის მიხედვითაც ეს ჯადოქრული შთავონ-

ბით ნაგები ხელთუქმნელი შენობა არის წამომართული.

ვეფხისტყაოსნის მხატვრული მსოფლმხედველობის, მისი რთული არქიტექტონიკის გასაგებად ლიტერატურული არითმეტიკის უბრალო კანონები არ გამოდგება. ეს მაღალი პოეტური ხელოვნება თავის გასაშიფრავად მოითხოვს უფრო რთულ და ტყვად კატეგორიებს, იმ „უმაღლეს მათემატიკას“, რომლის ელემენტები ჩვენი საუკუნის ლიტერატურულმა თეორიამ შეიტანა თავის სამეცნიერო არსენალში და რის მეოხებითაც თითქოს თავიდან იქნა ამოხსნილი კლასიკური მემკვიდრეობის უმნიშვნელოვანეს მხატვრულ ქმნილებათა არაერთი სიიდუმლოება.

ეს განცხადება, რომ ლიტონ სიტყვად არ დარჩეს, გავიხსენოთ თუნდაც ის ნამდვილად თვალსაჩინო შედეგები, რომელთაც გერმანელი რომანტიკოსებისა და Sturm und Drang-ის წარმომადგენელთა მემკვიდრეობის შესწავლისას მიაღწიეს ოტო ვალკელმა და მისმა მიმდევრებმა გერმანიაში.

ამ მეცნიერებმა, რომელთაც მხატვრული ანალიზის მთელი რიგი პრინციპები შეგნებულად აითვისეს უახლესი დროის გამოჩენილი ხელოვნებისმცოდნის ველფონის მოძღვრებიდან, თავიანთ ლიტერატურულ ძიებებში ცალკეული პოეტური კომპონენტებიდან აქცენტი გადაიტანეს მათი ურთიერთშეხამისობის რთულ და მრავალსახოვან კანონებზე. ნაწარმოების ე. წ. საერთო მხატვრულ „იერზე“ და სწორედ ამ გზით, მიუხედავად ზოგიერთი მეტოდოლოგიური სიმცდარისა, შესძლეს ნამდვილად ორიგინალური დაკვირვებებით გაემდიდრებინათ თანამედროვე ლიტერატურული მეცნიერება.

შემთხვევითი არ არის, რომ, სხვა გამოჩენილ უცხოელ მეცნიერებთან ერთად, თანამედროვე ევროპული ლიტერატურისმცოდნეობის ერთერთმა მესვეურმა მორის ბოურამაც თავის წიგნში „შთავონება და პოეზია“ სპეციალური პარაგრაფი მიუძღვნა რუს-

თაველის პოემას. მართალია, მისი გ-მოკვლევა ძირითადად პოპულარული მანერით არის დაწერილი, მაგრამ ამ ჩარჩოებშიც კი იმდენი ღრმა და ზუსტი დაკვირვებაა მიმობნეული, რომ რუსთაველოლოგიის წინაშე აქ თითქოს თვალნათლვ იშლება ზოგიერთი ახალი პერსპექტივა.

„ვეფხისტყაოსანი ისეთი ქართული ნაწარმოებია, — წერს ბოურა, — რომელიც აღმოსავლეთსაც და დასავლეთსაც ერთნაირად გასცქერის და მაინც იგი წმინდა ეროვნული ხასიათისაა“.

ეს სიტყვები შეიძლება ეპიგრაფად წამდღვარებოდა ჩვენს წერილს, მაგრამ სიზუსტისათვის უნდა ითქვას, რომ აქ ბოურა საკითხის მხოლოდ ერთ ასპექტს გულისხმობს, კერძოდ, იდეალური საყვარულის კულტს, რომელიც, მისი სიტყვით, „ყველაზე მეტად იყო აკლიმატიზირებული“ რუსთაველისდროინდელ საქართველოში.

საერთოდ, ჩვენი ფიქრით, ბოურა ერთგვარად ზღუდავს ვეფხისტყაოსნის ეპოქალურ მნიშვნელობას, როდესაც საუკუნის ზნე-ჩვეულებებზე და ლიტერატურულ მიდრეკილებებზე წერს. მაინც სიტყვა „ეროვნული“ მას ისეთ კონტექსტში აქვს ნახმარი, რომელიც თავისთავად მოითხოვს აზრის უფრო ღრმა და უფრო მრავალმხრივ განვითარებას.

ვეფხისტყაოსნის ეპოქალური და ეროვნული ხასიათი, მართლაც, აქსიომატურია. მაგრამ, როდესაც ჩვენ ამ საკითხზე ვმსჯელობთ, ზშირად მხედველობაში გვაქვს ისეთი მომენტები, რომლებიც მხოლოდ გამეშვებულ კავშირში იმყოფებიან მხატვრულ შემოქმედებასთან: „ეპოქალურში“ ჩვეულებრივ ვგულისხმობთ ისტორიული რეალიების ანარეკლს, ხოლო „ეროვნულში“ ხასიათების ნაციონალურ წარმომავლობას და განსაზღვრულ ზნეობრივ იდეალებს. მაგრამ ზომ ცხადია, რომ რუსთაველის პოემა, როგორც მხატვრული ნაწარმოები, წარმოადგენს არა მხოლოდ ეროვნულ-ისტორიული

სინამდვილის ანარეკლს, და, საერთოდ არა იმდენად ზუსტი ასახვის შედეგს, რამდენადაც თავისუფალი მთავრობის, შემოქმედების ნაყოფს.

და აი, მთავარი კითხვა, რომელიც რუსთაველის პოემის საკუთრივ ლიტერატურული ანალიზის დროს დგება ჩვენს წინ.

შემოქმედების რა ფორმებში, რა ესთეტიკური ნაირსახეობით, რა კონკრეტული მხატვრული იერით გამოვლინდა ვეფხისტყაოსანში მისი წარმომშობი ერისა და დროის სული.

ასეთი კითხვა საგრძნობლად აფართოებს რუსთაველის პოემის, როგორც ეპოქალური ნაწარმოების, შესწავლისა და შეფასების ჰორიზონტს, რადგან ერთი საუკუნის მასშტაბი ამ შემთხვევაში ამკარად ვიწრობდება.

ვეფხისტყაოსნის საერთაშორისო რეზონანსი, რომელიც ჩვენს თვალწინ სულ უფრო ხელშეშახებ ფორმებს იძენს, გაპირობებულია არა მხოლოდ მისი ავტორის მიერ გამოხატული ზოგადსაკაცობრიო, ე. წ. მარადიული აზრებითა და იდეალებით. მსოფლიო კულტურის საგანძურში ის თავის კუთვნილ ადგილს იჭერს, უწინარეს ყოვლისა, როგორც ორიგინალური პოეტური გენიის, აბსოლუტურად თვითმყოფადი და ამავე დროს უნივერსალური ხასიათის მხატვრული მსოფლმხედველობის გამოვლინება.

რუსთაველის პოემა ისევე, როგორც „გილაგამეში“, „ილიადა“, „შაჰ-ნამე“ და „ღვთაებრივი კომედია“, წარმოადგენს ერთ-ერთ ფაღრესად მნიშვნელოვან გზაჯვარედინს კაცობრიობის ესთეტიკური განვითარების მრავალსაუკუნოვან გზაზე.

თუ ჰეგელის მიერ ჩამოყალიბებულ ხელოვნების ფორმების ყველაზე უნივერსალურ კლასიფიკაციას დავყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ ეს არის გარკვეული ფაზა, ერთი საფეხურთაგანი ამ ევოლუციისა; მაგრამ სწორედ სიტყვა „გზაჯვარედინი“ უფრო ზუსტად გამოხატავს ვეფხისტყაოსნის ად-

გილს და მნიშვნელობას კაცობრიობის მხატვრული გათვითცნობიერების ცხაზე.

როგორც ცნობილია, ჰეგელის ესთეტიკაში ხელოვნების განვითარების მრავალსახოვანი ფორმები კონცენტრირებულია სამ ეპოქალურ სახეობაში. შინაარსისა და ფორმის ურთიერთშეფარდების სამგვარი სტადიის შესაბამისად, აქ დადგენილია სამი ძირითადი საფეხური: სიმბოლიური (ძველი აღმოსავლური ხელოვნება), კლასიკური (ანტიკური) და რომანტიკული (ქრისტიანული).

არსებობს საზოგადოებრივი ხელოვნებისა და სიტყვაკაზმული მწერლობის მთელი რიგი ეპოქალური ნაწარმოებები (უმნიშვნელოვანესნი მათ შორის ჩვენ უკვე დავასახელებთ), რომელთა მხატვრულ შინაარსში ტიპიური, დასრულებული სახით გამოვლინდა ესთეტიკური ევოლუციის თვითეული ამ ეტაპის თავისებურება.

რუსთაველის პოეტური ხელოვნება, ამ თვალსაზრისით, უჩვეულო გამოჩენის წარმოდგენს. აქ თითქოს ერთდროულად მოიპოვება ყველაფერი — ხელოვნების თვითეული ამ ფორმისათვის ნიშანდობლივი თითქმის ყოველი ელემენტი და ამავე დროს არცერთი მათგანი არ გამოირჩევა იმდენად, რომ მას დომინანტური მნიშვნელობა მიენიჭოს.

ამჟამად აღმოსავლური წარმომავლობის სიმბოლიკა აქ ბუნებრივად თანაარსებობს ცოცხალ, კლასიკურ სიზუსტით დასრულებულ სახეობათან, გაბედული პიპერბოლიზმები არ არღვევენ საერთო პროპორციების მკაცრ სისადავეს, ხოლო რომანტიკულ ირონიას მუბთალი საწუთროს მიმართ ასევე ბუნებრივად ცვლის ხილული სამყაროთი ალტაცების წარმართული პათოსი.

თუ ჩვენ თანმიმდევრულად გავყვებით თვითეულ ამ ფენას, რომლებიც პოემაში ხან მომიჯნავე, ხან კი ურთიერთგადამკვეთი ხაზების სახით გვხვდე-

ბა, შესაძლებელია რამდენიმე თითქმის ერთნაირად განვრცობილ კატეგორიულ რიგის დადგენა.

ასე, მაგალითად, ვეფხისტყაოსნის კავშირი აღმოსავლურ კულტურასთან (როგორც უძველესი ეპოქის, ისე შედარებით გვიანდელი დროის ძეგლებთან) შეიძლება ამ თვალსაზრისით განხილულ იქნას, როგორც ერთ-ერთი მკვეთრად გამოკვეთილი ესთეტიკური განშტოება. ხელოვნების დასაწყის, სიმბოლიურ ფორმასთან რუსთაველის პოეტიკა დაკავშირებულია მთელი რიგი, როგორც ადვილად გასარჩევი, ისე თითქმის უხილავი ძაფებით. აქ, პირველ რიგში, უნდა ითქვას ე. წ. ასტრალურ პლანზე. რომელიც მთელ პოემას გასდევს (ამის შესახებ იხ. ვ. ნოზაძის წიგნი „ვეფხისტყაოსნის ვარსკვლავთმეტყველება“ და ა. გაწერელიას გამოკვლევა „რუსთაველის პოეტიკის საკითხები“), ვარდისა და ბუღბუღის, ძვირფასი ქვების, კეთილშობილი მცენარეებისა და ცხოველების სიმბოლიკაზე.

ამ სტერეოტიპული პოეტური ნიშნების დიდ ნაწილს საუფუნეთა სიღრმეში მიყვებათ. ისინი უფლებას გვაძლევენ ვივარაუდოთ, რომ აქ ჩვენს წინ არის არა მხოლოდ უდავო საბუთი ვეფხისტყაოსნის ავტორის თანადროული აღმოსავლური პოეზიის ტრადიციებთან უშუალო ზიარებისა, არამედ ნაციონალურ ნიადაგზე მომხდარი ბევრად უფრო შორეული და ღრმად მდებარე ზოდების თავისებური კრისტალიზაციის შედეგიც. მხოლოდ ორსავე შემთხვევაში ეს დროთა მანძილზე შემუშავებული სიმბოლიური სახეები პოემაში არსებითად გამოყენებულია როგორც ნედლი მასალა, რომელიც შემოქმედების განსაკუთრებულ პრიზმში გადატყდება და სავსებით ორიგინალურ ელფერს იძენს.

დაახლოებით ასეთსავე დამოკიდებულებაშია პოემის სიუჟეტური აღნაგობა აღმოსავლური მითოლოგიის იმ ტრანსფორმირებულ ნამსწერეებთან, რომ-

ლებიც ვეფხისტყაოსნის ზოგიერთი მოტივის პირველ საფუძველს უნდა წარმოადგენდეს. ეს უკვე საკითხის ასპექტია და ჩვენ ნაილუსტრაციოდ მხოლოდ ერთ დამახასიათებელ მაგალითს მოვიტანთ.

„ისკანდერ-ნამეში“ ნიზამის ასეთი ამბავი აქვს აღწერილი: მაკედონიის ზელმშიფეს, რომელმაც მრავალი ქვეყანა დაიპყრო, საბოლოოდ რუსთა ჯართან მოუხდება შერკინება. არა ერთი სახელოვანი მხედარი ელუპება მას ამ ბრძოლაში, რადგან მოწინააღმდეგეთ ყველაზე კრიტიკულ მომენტებში ბრძოლის ველზე გამოყავთ უცნაური არსება, რაღაც ადამიანის მსგავსი ურჩხული, რომელიც თავზარს სცემს და მუარავს ალექსანდრეს ლაშქარს. დაღონებული მეფე ბრძენაკაცებს მოუხმობს რჩევისათვის. ერთი მათგანი ალექსანდრეს უყვება, რომ ასეთი ურჩხულები დედამიწის კიდებზე ცხოვრობენ, ქვეყნელივით ბნელ ადგილას, რომელსაც შშის სხივი არასოდეს ანათებს.

ალექსანდრე მაინც ამარცხებს ამ საზარელ არსებას, მაგრამ არ ჰკლავს მას. პირიქით, ბორკილებს აახსნევენებს და ნადიმზეც მოიპატიყვებს.

ასეთი რაინდული სულგრძელობით გაცოცხლებული ურჩხული რამდენიმე წუთით უჩინარდება და შემდეგ ალექსანდრესთან მოჰყავს მშვენიერი ქალი— ნისტან დარჯიხანი, რომელიც მის პატრონებს ჰყავდათ დატყვევებული.

შემდეგ თავებში აღწერილია ისკანდერისა და ტყვეობიდან დახსნილი ნისტან დარჯიხანის სიყვარულის ამბავი.

როგორც ცნობილია, ნისტან დარჯიხანი სპარსულ ენაზე ქვეყნად ულაშახესს ნიშნავს.

ეს სახელი უცნობი არ არის აღმოსავლური მწერლობისათვის.

ნიზამის პოემაში მისი თავდადასავლის დაკავშირება ადამიანის მსგავს ურჩხულთა სამყაროსთან და მოტაცებისა და ტყვეობის მოტივთან აშკარად მიგვანიშნებს საერთო მითოლოგიურ პირველწყაროზე, რომლის შორეული ეჭო

შემონახულ იქნა XII საუკუნის ორ პოეტურ ძეგლში.

როგორც რუსთაველს, მსგავსი ნიშნებიცაა საც აღმოსავლური მითოლოგიის ეს თავისებური რუდიმენტი გამოუყენებია მხატვრული თვალსაზრისით სავსებით დამოუკიდებელი ამოცანის განსახორციელებლად.

გარდა აღნიშნული მოტივით განსაზღვრული ძალზე შორეული ნათესაობისა, რუსთაველის ნისტან დარჯიხანის სახეს თითქმის არაფერი აქვს საერთო ნიზამის ნისტან დარჯიხანის სახესთან, და თვით ეს მოტივიც ამ ორ პოემაში სრულიად სხვადასხვა მიმართულებით არის ტრანსფორმირებული. თუ ნიზამისთან ურჩხულთა სამყარო სავსებით ინარჩუნებს თავის ზღაპრულ ფანტასტიკურ პირველბუნებას, რუსთაველის პოემაში ქაჯეთის მოტივი უკვე შესაბამისად დემითოლოგიზებულია. ფატმანის სიტყვით, ქაჯნი იგივე კაცნი არიან, ოღონდ „გარქნობისამცოდნენი“.

ვეფხისტყაოსნის პოეტური შინაარსის კავშირი კლასიკურ სამყაროსთან კიდევ უფრო რთული და მრავალსახოვანია.

აქ კიდევ უფრო მკვეთრად უნდა გამოიჩინოს საკითხის ორი მხარე: ერთი მხრივ, ბერძნული მითოლოგიის, მწერლობისა და ფილოსოფიის საერთოდ, ანტიკური კულტურის ცალკეული მოტივების კვალი რუსთაველის პოემაში და მეორე მხრივ (რაც ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია), კლასიკური ესთეტიკის ძირითად პრინციპთა მოქმედება ვეფხისტყაოსნის მხატვრულ სისტემაში.

თუ პირველი ასპექტი შედარებით ნათელია და სავსებით ექვემდებარება ფილოლოგიურ სტატისტიკას, მეორეს ბევრად უფრო რთული კანონზომიერებათა სფეროში გადაეყვართ.

XII საუკუნისათვის ძველი ელინური სამყაროს შემკვიდრება (ბიზანტიური კულტურის ზემოქმედებით გამეშვემებული) ცალკეული მოტივების სახით საკმაოდ ინტენსიურ გავლენას ახდენდა

არა მხოლოდ ქართულ პოეზიაზე, არამედ მთელ აღმოსავლურ მწერლობაზეც. მართალია, რუსთაველთან ეს ნაკადი ბევრად უფრო მკაფიოდ და მრავალრიცხოვანი შეხების წერტილებში მტკიცდება, ვიდრე, მაგალითად, იგივე ნიჟამისთან, მაგრამ ამ მხრივ თვისობრივი სხვაობის დადგენა მაინც ძნელია.

აღმოსავლური პოეზიის ფონზე ვეფხისტყაოსანი მკვეთრად გამოირჩევა არა მხოლოდ ამ მოტივების მეტნაკლებობით, არამედ სამყაროს ესთეტიკური ხილვისა და გააზრების ძირითადი წესის სიახლოვით ხელოვნების კლასიკურ იდეალთან.

სამყარო, ხილული ქვეყანა, რუსთაველისათვის წარმოადგენს შემოქმედი სულის დასრულებულ, შინაგანად ჰარმონიულ, სრულყოფილ განსაზღვრებას სწინამდვილის მყარ, მატერიალურ ფორმებში და ამდენად, პოეზიაშიც, როგორც სულიერი ქმედების სფეროში, იდეის მატერიალიზაცია მიმდინარეობს ამ უმაღლესი ჰარმონიის მწყობრი და ნათელი კანონების შესაბამისად.

მშვენიერება აქ გამოაშკარავებულია თავის ობიექტურ, ხორციელ ფორმაში და პოეზიის ქვეყანაც ყოველი თავისი გამოვლინებით იდეალურისა და მატერიალურის ამ განუყოფელი კავშირის, ამ ურთიერთშესატყვისობის კანონს ემორჩილება. სინათლისაყენ, დასრულებისაყენ, შინაგანი მთლიანობისაყენ ამ ღრმა და ძალღმი მისწრაფებით, ყოველივე ამორფულისა და ნებისმიერად დანაწევრებულისადმი აშკარად გამოვლენილი მხატვრული იდიოსინკრაზიით ვეფხისტყაოსნის ავტორი თანმიმდევრულად ახორციელებს თავის ესთეტიკურ მრწამსს: აბოლონის საწყისი აქ აშკარად იმარჯვებს დიონისეს საწყისზე, ჰარმონია საბოლოოდ ყოველთვის იმორჩილებს ქაოსის ძალებს.

შეიძლება ითქვას, რომ ვეფხისტყაოსანი შუასაუკუნეების ის ერთადერთი მხატვრული ძეგლია, რომელშიც კლასიკური პოეტიკის სული მთელ რივ

შტრიხებში შენარჩუნებულ იქნა თავისი აუმღვრეველი სახით, და ეს სიძველე-რობა ხელშესახებია ჩვენთვის, რომ ამძვე ნაწარმოებში უკვე თვალნათლივ არის გამოხატული რომანტიკული ესთეტიკის არაერთი ძირითადი ნიშანთვისებაც.

რომ ქრისტიანული მსოფლმხედველობა ერთი იმ მთავარ ბურჯთაგანია, რომელსაც ვეფხისტყაოსანი ემყარება თავისი შინაარსით — ეს აზრი უკვე საუკმოდ დამაჯერებლად იქნა დასაბუთებული რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში.

ჩვენთვის მთავარია დავადგინოთ ზემოქმედების ის ძირითადი სფერო, რომლის ჩარჩოებშიც გამოვლინდა ქრისტიანობის გავლენა რუსთაველის პოეტურ სამყაროზე.

უპირველეს ყოვლისა, ცხადია, რომ ისეთი ნაწარმოები, როგორც ვეფხისტყაოსანია, ვერ შეიქმნებოდა რომანტიკული იდეალიზმის გარეშე.

ქრისტიანულ მსოფლგაგებას რუსთაველი მიჰყვება ძირითადად იმ მთავარ ასპექტში, რომლითაც ამ უკანასკნელმა გზა გაიკაფა როგორც თავისი დროის უღრმესმა და უძლიერესმა მოძღვრებამ. ვეფხისტყაოსანი იმ ნაწარმოებთა რიგში დგას, რომელთაც განსაკუთრებით ცხადყვეს რომანტიზმის გაცხოველებული ინტერესი ადამიანის შინაგანი სამყაროსადმი, ხოლო ამ პოემის ძირითად პათოსს იდეალურისკენ, სრულყოფილისაყენ სწრაფვა შეადგენს.

რომანტიკული იდეალიზაცია მკაფიოდ ჩანს ვეფხისტყაოსნის მთავარი გმირების ხასიათებში. როგორც შუასაუკუნეების ვურტუაზული ლიტერატურის პერსონაჟები, რუსთაველის გმირებიც, გარკვეული თვალსაზრისით, იდეალიზებულ სახეებს — სიმბოლოებს წარმოადგენენ. მათ მოქმედებაში სიმბოლურად გამოხატულია სიკეთის, ეთიკური სიწმინდისა და ამაღლების რაინდული იდეალები. და უნდა ითქვას, რომ ამ იდეალებს ისინი საოცარი გრაციოზულობით ასახიერებენ.

ვეფხისტყაოსნის არქიტექტონიკა ძირითადად ეპიკური ჟანრის კანონებს ემორჩილება. მაგრამ პოემაში არის ადგილები, რომლებიც შეიძლება თავისუფლად იქნას მიჩნეული ლირიკულ გადახვევებად. თუმცა ეპიკური ჟანრის მოთხოვნილება ფორმალურად ყოველთვის დაკუთვია, ლირიკული ელემენტი პოემაში, გარდა შესავლისა და დასასრულისა, ჩვეულებრივ რომელიმე პერსონაჟის მონოლოგისა—„წიგნის“, „ანდერძის“, „ლოცვისა“ ან „საუბრის“ სახით შემოდის.

უნდა ითქვას, რომ რუსთაველის პოემაში დიდი ნაწილი ამ თავისებური ლირიკული გადახვევებისა თავისი შინაარსით და ფორმით აშკარად რომანტიკული ხასიათისაა.

რომანტიკული აღსარების შედეგია „წიგნი ნესტან-დარეჯანისა საყვარულთანა“. აქ სიყვარულისა და სიკეთის ქეშმარიტი სამყარო უკვე მკვეთრად არის დაპირისპირებული რეალურ სინამდვილესთან და ციურისკენ ექსტატიური ლტოლვა სოფლის შრომისაგან, აქვეყნიური ყოფისაგან სრულ გათავისუფლებას, „დახსნას“ მოითხოვს.

პოეტური თვალსაზრისით, ეს ჭართული რომანტიზმის, რომანტიკული მსოფლგაგების პირველი მანიფესტია, რომელიც მარცვალივით შეიცავს თავის თავში გურამიშვილისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის მისტიკურ ხილვებს.

ვეფხისტყაოსნის გმირთა ლირიკული სამყარო თავისებურია არა მხოლოდ თავისი შინაარსით, არამედ გამოხატვის განსაკუთრებული სტილითაც.

თუ ეპიკური თხრობა პოემაში, როგორც წესი, ე. წ. „დაბურულ ფორმას“, ემორჩილება, ე. ი. ყოველთვის შინაგანად დასრულებული და ამავე დროს საერთო სიუჟეტურ რეალში გაერთიანებული პერიოდებისაგან შედგება, ლირიკული გადახვევების სტილი ზოგჯერ ე. წ. „გახსნილი ფორმის“ ელემენტებსაც შეიცავს. ემოციური პათეტიზმი აქ ხშირად იწვევს ფრაგმენტულ მანერას. აზრის არათანმიმდევრულ, არასწორ-

ხაზოვან, მთელ რიგ შემთხვევებში წმინდა ასოციაციურ განფიქვრებას ქეშმარიტებისაკენ ლტოლვამ აქცინებულია, ცალკეულ პასაჟებში ამის შედეგად წარმოიშვა ერთგვარი დისპროპორცია მთელსა და შემადგენელ ნაწილებს შორის.

განსაკუთრებით გამოირჩევა ამ მხრივ ვეფხისტყაოსნის შესავალი, რომელშიც პოეტური აზრის განვითარება ისეთი ნახტომებით მიმდინარეობს, ისე მოულოდნელად გადადის ერთი საგნიდან მეორეზე, რომ ზოგიერთი ადგილი, პირველი წაკითხვისას, სრულიად დამოუკიდებელი ფრაგმენტის შთაბეჭდილებასაც ტოვებს ჩვენში. რომანტიკული სტილისთვის დამახასიათებელი პათეტიზმი, რიტორიკული ფიგურები, პლეოაზმები უხვად მოიპოვება ავთანდლის ანდერძსა და ლოცვებში, სადაც ეს სტილი ავტორის ტექსტშიც გადადის და სრულიად შეესაბამება გმირის რომანტიკულ განწყობილებებს.

ვეფხისტყაოსნის სიუჟეტს უაღრესად დრამატიული ამბავი უდევს საფუძვლად, რაც თავისებურ გავლენას ახდენს პოემის მთავარი გმირების სულიერ მდგომარეობაზე. ეს უკანასკნელნი თითქმის გამუდმებით დაძაბულ ექზალტირებულ მდგომარეობაში იმყოფებიან. შესაძლებელია სწორედ ამგვარი შინაგანი მდგომარეობის ხაზგასასმელად აღვრევიანებს რუსთაველი ამდენ ცრემლს თავის პერსონაჟებს.

ეს სისხლნარევი ცრემლის ტბორებიც, რომლებიც „ვეფხისტყაოსანში“ თითქმის ყოველ ნაბიჯზე დგება, თავისებური გამოხატულებაა რომანტიკული ხასიათის უზომობისა, ისევე როგორც პოემის გმირების ესოდენ ხშირი „ბნედევა“ და „ცნობას მიხლომა“.

ამრიგად, რომანტიკული ნაკადი რუსთაველის პოეტურ სამყაროში ისეთივე ღრმა და მძლავრი მდინარეების სახით წარმოგვიდგება, ისევე ვრცლად არის განფენილი პოემის მხატვრულ შინაარსში, როგორც აღმოსავლური სიმბოლი-

კისა და კლასიკური პოეტური აზროვნების ფორმები.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ჩვენ აქამდე შეგნებულად დავანაწევრეთ და ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად განვიხილეთ ეს სამი ძირითადი ფენა რუსთაველის პოეტიკისა, რის გამოც ბუნებრივად შეიძლება წარმოიშვას არასწორი შეხედულება პოემაში მათი განცალკევებული ან ეკლექტიკური ნაერთის სახით არსებობის შესახებ: სინამდვილეში კი ჩვენთვის მთავარია სწორედ ის, რომ რუსთაველის პოეტური ხელოვნება თავის მთლიანობაში აბსოლუტურად მოკლებულია ეკლექტიზმის ნიშნებს; რადგან აქ ჩვენს წინ არის შინაგანად საგსებით მთლიანი და თვითმყოფადი გენიის მიერ განხორციელებული ჭეშმარიტი სინთეზი, მხატვრული აზროვნების პოლუსური ფორმებისა.

სამი პარალელური რიგი, რომელსაც ჩვენ აქ შევეხეთ მხოლოდ პირობითად, ანალიზის შედეგად გამოირჩევა პოემაში. პრაქტიკულად კი მათი შემადგენელი ელემენტები ვეფხისტყაოსანში ერთგანუყოფელ მთლიანობას ქმნიან და ეს მთლიანობა იმდენად მყარია, რომ სწორ შემთხვევებში მისი პირობითა დანაწევრებაც კი უღარეს სირთულეებთან არის დაკავშირებული.

ასე, მაგალითად, სიმბოლიკა, ამ სიტყვის ფართო გაგებით, რუსთაველთან იმდენად რთული პოეტური სისტემის სახით წარმოგვიდგება, გამოხატვის იმდენად მრავალსახოვან ფორმებს და საშუალებებს მოიცავს, რომ ზოგჯერ ამ ტიპის ერთი და იგივე კომპონენტი შეიძლება თავისი წარმოშობით დაკავშირებულ იქნას სრულიად სხვადასხვა ესთეტიკურ ფორმებთან. განსაკუთრებით ეს ეხება საკუთრივ სიმბოლიურ (ე. ი. აღმოსავლური წარმომავლობის) ფორმებს და გვიანდელ რომანტიკულ სიმბოლიკას.

მაგალითად, ვარდი, როგორც სიმბოლო, ვეფხისტყაოსანში აშკარად ატარებს აღმოსავლური პოეტიკის ნიშანს, მაგრამ, როგორც ვიცით, ვარდის აღე-

გორიული გააზრება ტიპიური შოველენაა აგრეთვე დასავლეთის რაინდული პოეზიისათვისაც (გავიხსენოთ თუნდაც ვიომ დე ლორისის „ვარდის რომანი“).

კიდევ უფრო რთულ ასპექტში კლინდება რუსთაველთან ხელოვნების კლასიკური და რომანტიკული იდეალებისა და შესაბამისი მხატვრული ფორმების ურთიერთკავშირი.

ამ განუყოფელი ერთიანობის მსოფლმხედველობრივი საწყისი ფორმულირებულობა პოემის პირველ სტროფშივე:

რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით
ძლიერითა,
ზეჯარდმო არსნი სულითა ყვნა ზეცით
მონაბერითა,
ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს
უთვალავი ფერითა,
მისგან არს ყოვლი ხელმწიფე სახითა მის
შეერთა.

სული, რომელიც სამყაროს არსს წარმოადგენს, რუსთაველისთვის ზეცით მონაბერია, ის არის შემქმნელი ქვეყნად „ყოვლისა ტანისა“, ყველა სიკეთის და სილამაზის, მაგრამ ქვეყანა მშვენიერია არა მხოლოდ თავისი ციური შინაარსით, არამედ იმიტაც, რომ „ჩვენ, კაცთა, მოგვცა“ და „გვაქვს უთვალავი ფერითა“.

„უთვალავი ფერის“, როგორც სამყაროს ერთერთი ძირითადი ნიშანთვისების, აქცენტირება პოემის დასაწყის სტროფში (გრამატიკული აქცენტი აქ სრულიად აშკარაა) უბრალო შემთხვევითობას არ წარმოადგენს.

თვითონ ქართული სიტყვა „სამყარო“, რაც ნიშნავს მყართა ქვეყანას, ე. ი. იმას, რაც მყოფობს. არსებობს (ე. ი. სიცოცხლის ჭეშმარიტ არსთან არის დაკავშირებული) და ამავე დროს მყარია, ნივთიერია, თითქოს აშკარად შეიცავს ჩანასახში ამ ორი ურთიერთსაპირისპირო და ამავე დროს ურთიერთგამსჭვალავი ცნების ერთიანობას.

ზეცა, რომელმაც თავისი უკვდავ სული შთაბერა და სიცოცხლით აღავსო

„ზეგარდმო არსთა“ ქვეყანა, გამუდმებით იხმობს ვეფხისტყაოსნის გმირებს. როგორც შეყვარებულ ავთანდილს მზისთვის, რუსთაველსაც თვალი ვერ მოუწყვეტია იდუმალ გზებით მოარულ ციურ სხეულთა სამყოფელისათვის. მაგრამ ვეფხისტყაოსანში არანაკლებ ძლიერი მიზიდულობა აქვს ადამიანის ირგვლივ ვეფხივით გართხმულ ხილულ ქვეყანასაც.

ეს უთვალავი ფერით საცხე სამყარო ასევე გამუდმებით უხმობს და უყვიის თავის გზებზე, რუსთაველის გმირებს, ასევე თვალისმომკრებლად კამყაშებს. ფერისცვალობით, „მზიან-ჩრდილებით“ შიშულ-შავი აღმებით იტაცებს ადამიანის მზერას. ძოწ-ძარბალიტის, სტავრის და ოქსინოს, ვახაფხულზე ქვეყნად დაღვრილი სიმწვანისა და ცრემლით დათრთვილულ ვარდების ციციკი თითქოს წილს უღებს ციურ მნათობთა შორეულ ციავს. და ეს დაუშრეტელი, საყოველთაო მიწიერი სხივოსნობა თითქოს მართლა იმას ნიშნავს, რომ „ჰგავს თუ ცა მოდრკა ქვეყანად“ და დედამიწამაც „ვით მზემან, დაყვნა მჭრეტელთა თვალნი ნათლისა ჩენასა“.

როგორც აღვნიშნეთ, სწრაფვა იდეალურისკენ, სრულყოფისკენ, ციურისკენ წარმოადგენს რუსთაველის პოემის ძირითად პათოსს. ცალკეულ მომენტებში იდეალური აქ უკვე დაპირისპირებულია მატერიალურთან, როგორც აბსოლუტური სინათლე, აბსოლუტური სიკეთე და მშვენიერება. ეს რომანტიკული დუალიზმი განსაკუთრებით სუბიექტურ ასპექტში იჩენს თავს და ამა თუ იმ პერსონაჟის გარკვეულ სულიერ მდგომარეობასთან არის დაკავშირებული.

მაგრამ თუ პოემის იდეურ-მატერულ შინაარსს მთლიანობაში განვიხილავთ, აქ უკვე სხვა სურათი გაიშლება ჩვენს წინ.

იდეალური რუსთაველთან სინამდვილეში არსად არ რჩება კონკრეტული. ემპირიული განხორციელების გარეშე.

პირიქით, აქ იგი თანმიმდევრულად მატერიალიზებულია.

რომანტიკული და კლასიკური ფლაგაგების სინთეზი, როგორც პარმონია სულიერსა (რომელიც უკვე აშკარად ამკლავებს თავის აბსოლუტურ ბუნებას) და ხორციელს შორის, რუსთაველის პოეტურ ხელოვნებაში მრავალსახოვანი მხატვრული ფორმებით არის რეალიზებული.

დავიწყეთ უბრალო ილუსტრაციით: თუ, მაგალითად, ნესტან-დარეჯანის წერილის დამოუკიდებლად განვიხილავთ. ეს უკანასკნელი თავისი შინაარსით, რომანტიკული განწყობილების ტიპიურ ნიშნად შეიძლება ჩაითვალოს.

მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ პოემის ეს თავი („წიგნი ნესტან-დარეჯანისა საყვარელთანა“) გარკვეულ მიმართებაშია ნაწარმოების მთელ კონტექსტთან. ეს არის მხოლოდ ერთი ნაწილი, ერთი შტრიხი იმ მთლიანობისა, რომელსაც ამ შემთხვევაში ნესტან-დარეჯანის ხასიათი წარმოადგენს. მართალია, ნესტანის სახე, ისევე როგორც ვეფხისტყაოსნის სხვა მთავარი გმირების სახეებიც, ვეფხისტყაოსანში უთუოდ იდეალიზებულია და გარკვეულ სიმბოლურ აზრსაც შეიცავს პოემის ჩანატიქრის მიხედვით. მაგრამ თავის კონკრეტულ მოქმედებაში, თავისი შინაგანი ბუნების პრაქტიკულ გამოვლინებებში ეს ხასიათი ბევრად უფრო ფართო და მდიდარია, ბევრად უფრო ცოცხალ, მიწიერ თვისებებში არის გახსნილი, ვიდრე ეს შეიძლებოდა რომანტიკული იდეალის უბრალო განსახიერების შედეგად ყოფილიყო მიღწეული.

გავისვენოთ ხასიათის როგორ სიმტკიცეს, რა ძლიერ ვნებას, რა მძვინვარე ქალურ ბუნებას ამკლავებს ნესტანი ტარიელთან პირველი შეხვედრისას.

ქვე წვა, ვით კლდისა ნაპარსა ვეფხი
პირ-გამეხებული.

სწორედ სატრფოს ამ განარსებულ სახეში გაიხსნა ტარიელისთვის პირვე-

ლად მისი ბუნება, რამაც მას ვეფხის ტყავი აარჩევინა თავისი დაკარგული სიყვარულის ნიშნად.

„ვლაცა მიიხრა: „რას გუებნა მტყუანსა და შენ მუხთასა“.

დაიკურად რად მოვლიორდი? მე დაეწევე ამით აღსა“...

აეთი სტილი სრულიად უცხო იყო კურტუზული ლიტერატურის პერსონაჟთა გალანტური მეტყველებებისათვის. აქ ლაპარაკობს ქალის შიშველი ვნება, რომელიც ნამდვილი ვეფხური დაუნდობლობით გამოიჩინევა, როცა მის სიყვარულს წინააღმდეგობები ელობება. „მიპარვით მოკალ სასიძო“ — ურჩევს თავის სატრფოს ახალგაზრდა ქალი და ეს სიტყვები ნაკარნახევია არა სასოწარკვეთით მოცული გონების წამიერი დაბნელებით, არამედ მოქმედების ზუსტად გათვალისწინებული გეგმით.

ნესტანის ხასიათს აქ არაფერი აქვს საერთო ქალური სათნოების ქრისტიანულ იდეალთან. მისი საქციელი აქ იმ იმპულსებით არის გამოწვეული, იმ მძაფრი და ღრმა ენებების საწყაროს განეკუთვნება. რომელიც ახალ დროში სტენდალმა აღწერა თავის „იტალიურ ქრონიკებში“.

ენების სიმძაფრე აქ განაპირობებს პრაქტიკული მოქმედების რადიკალიზმს, რომელიც ცივი გონების ჩარევანაც მოითხოვს, რათა დასახული მიზანი წარმატებით იქნას მიღწეული, და ნესტანი საკმაოდ ვერაგულ გზას ირჩევს თავისი საწაღელის ასასრულებლად.

ჩემი ყოლა ნურა ვინდა სიყვარული, ნუცა ნდობა,
ამით უფრო მოგეცემის სიპართლისა შენ მოხლობა,
ქმნას შეფემან ველმოტებით შემოხვეწა, შემოკველობა.

ქაჯთა ტყვეობაში მოხვედრილ ნესტანში, როდესაც მისი სული უკვე ეზიარა ნამდვილ ტანჯვას და უსასოობას, ვნების სიმძაფრეს თანდათან ძლევს უფ-

რო ღრმად გაცნობიერებული, სპონლოოდ მომწიფებული გრძნობა მისი სიყვარული აქ უფრო ქალღმერთის სურათის წარმოდგენის სათუთი. თუ თავის დროზე იგი ტარიელისაგან კატეგორიულად მოითხოვდა ფათერაკთან დაკავშირებულ საგმირო მოქმედებას, ახლა გულწრფელად ევედრება მას, თავი აარიდოს უაზრო ზიფათს.

ნუთუ ესენი გვგონენ სხვათა მებრძოლთა წესითა?
ნუცა მე მომელავ ჳირითა, ამისგან უარესითა,
შენ მკედარსა ვნახავ, დაეწვი, ეთა აბელი კვესითა:
მოგშორდი, დამთვე გულითა, კლდისაჲა უმავგრესითა.

ნესტანის ქალურ ნდობას არ დაუკარგავს თავისი სიძლიერე, მაგრამ მათ შეემატა სევდანარევი სინაზის, მზრუნველი გრძნობის ელფერი. ტარიელი მისთვის ისევ საოცნებო მიჯნურია და ამავე დროს ახლობელი, უსაზღვროდ ძვირფასი ადამიანიც.

როგორც ვხედავთ, აქ არის არა მხოლოდ ხასიათი, არამედ მისი ბუნებრივი, მხატვრულად კანონზომიერი განვითარებაც.

ნესტანისა და ტარიელის სიყვარულის ამბავს. თუ მას ზოგადი სიმბოლური ხასიათის სქემად წარმოვიდგენთ, შუასაუკუნეების ლიტერატურაში შეიძლება რამდენიმე საგულისხმო პარალელი მოეძებნოს.

დანტეს „ღვთაებრივი კომედიის“ მთარგმნელმა გამოჩენილმა ქართველმა მწერალმა კონსტანტინე გამსახურდიამ ერთმანეთს დაუკავშირა ქაჯეთის ციხისა და ჯოჯოხეთის მოტივი. მისი აზრით, ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს ადამიანის ქვეყნელში ჩასვლასთან დაკავშირებული მითოსის თავისებურ პოეტურ განვითარებასთან. ისევე როგორც დანტე მხოლოდ ჯოჯოხეთისა და სალსინებლის გავლის შემდეგ აღწევს იმ მაღალ სფეროებს, სადაც მას სათაყვანებელი ბეატრიჩე ეგებება, ტარიელისთვისაც ნესტანთან შეერთება შესაძლებ-

ბელი ხდება მხოლოდ ბნელეთის ძალებთან პირისპირ შეხვედრისა და შერყინების შედეგად.

ასეთ პარალელს, რასაკვირველია, ეფრო პოეტური ჰიპოთეზა უდევს საფუძვლად, ვიდრე მეცნიერული დაკვირვება. მაგრამ დანტესა და რუსთაველის შეპირისპირება სხვა უფრო არსებითი ასპექტითაც არის შესაძლებელი.

აკადემიკოსი ალ. ბარამიძეს თავის მონოგრაფიაში „შოთა რუსთაველი და მისი პოემა“ გაზიარებული აქვს რამდენიმე საბჭოთა და უცხოელი ლიტერატორის თითქმის ერთსულოვანი მოსაზრება, რომელიც ამ ორი პოეტის ჰუნანობითი იდეალების თავისებურებას ეყრდნობა. იმ თვალსაზრისით სხვაობა აქ ზუსტად არის დადგენილი. ჩვენთვის მთავარია აქცენტის გადატანა საკუთრივ ესთეტიკური იდეალების სფეროში.

თუ „ახალ ცხოვრებაში“ ბეატრიჩე, რომელსაც ავტორი ადრე სიცოცხლით სავსე, მშვენიერ ქალწულად გვიხატავს, შემდეგ თანდათან კარგავს თავის კონკრეტულ, ადამიანურ თვისებებს და საბოლოოდ იმ იდეალიზებული, მიწიერი შინაარსისაგან სრულიად განწმენდილი სახით წარმოგვიდგება, როგორც ის „სამოთხეში“ არის აღწერილი.

თუ აქ ყველაფერი მხატვრულ აბსტრაგირებას. სიმბოლოდ ქცევას ემსახურება. — ვეფხისტყაოსანში ნესტანის სახე თავის განვითარებას დიამეტრალურად საწინააღმდეგო მიმართულებით აღწევს.

ისევე როგორც თინათინი, ნესტანიც რუსთაველთან დასაწყისში ციური მნათობის დარად გამოიყურება, ემპირიაში დანტეს წინაშე გამოცხადებულ ბეატრიჩეს მსგავსად, მისი სახეც „მზის მოწუნარე ნათელში“ არის გახვეული.

ტარიელთან შემდეგი შეხვედრებისას ჩვენ მას უფრო ახლო მანძილზე, უფრო ფართო პლანით ვხედავთ. მაგრამ მისი სახე კვლავ იდეალებით არის მოცული, „ოდენ ტკბილად შემომხედნის ვითამცა რა შინაურსა“ (სი-

მბოლიკის თვალსაზრისით აქ აღსანიშნავია მწვეანე ფერიც. რომელიც უფრო ლავს ნესტანის გამოჩენას (ერთგორც მკვეთარი მუსიკალური თემა).

შეიძლებადა რუსთაველს აქ დაესვა წერტილი ნესტანის დაბნაობებისათვის, რადგან სიუჟეტის სიმბოლიური სქემის გასავითარებლად იდეალებში ეს რომანტიკული შარავანდედი სრულიად საქმარისი იყო. მაგრამ სწორედ ამ მომენტიდან პოემის ეს ერთერთი ძირითადი სახე თანდათან ცოცხლდება და მკაფიო კონტურებს იძენს. ნესტანის ყოველი გამოჩენისას ჩვენ მის ხასიათში ახალ, მოულოდნელ თვისებებს აღმოვაჩენთ.

სიმბოლო თანდათან თავისუფლდება აბსტრაქტული სამოსლისაგან და ინდივიდუალური შინაარსით, ცოცხალი შტრახებით გამდიდრებული დასრულებულ მხატვრულ სახედ იქცევა.

დაახლოებით ანალოგიურია ვეფხისტყაოსანში სხვა მთავარი სახეების განვითარებაც.

უკანასკნელ დროს ქართულ რუსთაველოლოგიაში გამოითქვა აზრი, რომ რუსთაველის მთავარი პერსონაჟები არ წარმოადგენენ ლიტერატურულ ხასიათებს. ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით, რის გამოც მიზანშეუწონელია, მაგალითად, ავთანდილისა და ტარიელის სახეების ურთიერთდაპირისპირება. ასეთი შეხედულება უთუოდ საყურადღებო თეორიული წინამძღვრიდან გამომდინარეობს. მართლაც, შემოქმედებითი ჩანაფიქრის თვალსაზრისით პოემის ორივე ეს სახე რომანტიკული ეპოქისათვის დამახასიათებელ ერთგვაროვან პრინციპზეა აგებული ტარიელიცა და ავთანდილიც რუსთაველისათვის, უწინარეს ყოვლისა. რაინდული სულის იდეალურ განსახიერებას წარმოადგენენ. ასეთია ორივე ამ სახის ძირითადი ესთეტიკური მოდელი, რაც, აღნიშნული თვალსაზრისის მიხედვით, ხასიათების იდენტურობას უნდა იწვევდეს. მაგრამ აქ თავისთავად სწორი თეორიული წინამძღ-

ვარი აშკარა წინააღმდეგობაში ექცევა ლიტერატურულ ფაქტთან. რადგან მეოთხედილოგოგონად იგი არასაკმარისია ვეფხისტყაოსნის მხატვრული სპეციფიკის გარკვევისათვის.

ცხადია, აქ საქმეს ვერ შევლის მტკიცება, რომ ტარიელი და ავთანდილი ხასიათის სხვადასხვა თვისებებს კი არ ამკლავებენ პოემაში, არამედ მხოლოდ სხვადასხვანაირად მოქმედებენ. რადგან ისინი ავტორის მიერ განსხვავებულ სიტუაციებში არიან ჩაყენებულნი. ასეთი არგუმენტი უსაფუძვლოა თუნდაც იმ ცნობილი ქეშმარიტების გამო, რომ ვეფხისტყაოსნის კატეგორიის ნაწარმოებში სიტუაციის შერჩევა უბრალო შემთხვევითობაზე არ არის დაქვემდებარებული.

ჩვენ მიერ განხილულ თვალსაზრისში გამორჩენილია შემოქმედებით პროცესის ერთი მთავარი, საკვანძო მომენტი, რომელშიც განსაკუთრებით თვალნათლივ მკლავდება რუსთაველის პოეტური ხელოვნების თავისებურება.

აქ მთავარია ის, რომ ძირითადი მოდელის, ლიტერატურული ჩონჩხის პრაქტიკული, მხატვრული ხორცშესხმისას რუსთაველი არსებითად შორდება რომანტიკული სიმბოლიკის პრინციპებს, ან უფრო სწორად: საოცრად აფართოებს მის ჩარჩოებს და ამ ახალ ფარგლებში თვისობრივად ახალი, ორიგინალური ესთეტიკური იდეალის განხორციელებას აღწევს.

რომ ავთანდილისა და ტარიელის თავგადასავალი პოემის ძირითადი მხატვრული კონცეფციის თვალსაზრისით სიმბოლურია, ამ აზრის აქცენტირება უთუოდ ერთ-ერთი ძირითადი წინაპირობა უნდა იყოს ვეფხისტყაოსნის ესთეტიკური ანალიზისას. მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ მხატვრული განხორციელების პროცესში ვეფხისტყაოსნის მთავარი პერსონაჟები, თითქმის გამოუკლებლივ, კონკრეტულ სახეებად, ხასიათებად, ცოცხალ ინდივიდუალებად იქცევიან. და, რაც მთავარია, ეს თავისებური მხატვრული კა-

ნონომიერება თავს იჩენს არა მხოლოდ ერთ კერძო სფეროში, მისი მოქმედებით გაპირობებულნი ვეფხისტყაოსნის პოეტის ერთ-ერთი ყველაზე არსებითი, გამსაზღვრელი ნიშანთვისება.

რუსთაველის პოეტურ სამყაროში საერთოდ პირობითი სიმბოლოები, იდეალური, გადატანითი მნიშვნელობის შემცველი ნიშნები თითქოს თვალნათლივ ცოცხლდებიან, ახალ სულს იღვამენ, ახალი, სრულყოფილი არსებობისათვის იღვიძებენ.

იდეალური, განყენებული აქ გამუდმებით მიილტვის თავისი ხორციელი განსახიერებისაკენ, მატერიალურისკენ, ხოლო მატერია ასევე გამუდმებით იტრება იდეალთა სფეროში და თავის ცოცხალ, თბილ ფორმებს კარნახობს მათ.

როდესაც, მაგალითად, რუსთაველი ამბობს:

რა ვარდმან მისი ყვაილი ვაბზოს,
დაამკნაროსა,
იგი წვაა და სხვა მოვა ტურფასა
საზღნაროსა,

— ეს მისთვის მხოლოდ დიდაქტიკური ალეგორია როდია, ეს არის უმძაფრესი პოეტური შთაგონებით მოპოვებული, შემოდგომის მზისა და ნაწვიმარი მიწის სუნთქვით გაქლენილი ცოცხალი პოეტური სახე, რომელსაც ვარდა გადატანითი მნიშვნელობისა, თავისი საკუთარი, დამოუკიდებელი მხატვრული სიცოცხლეც გააჩნია.

როდესაც თავისი ქვეყნიდან ტარიელის საძებრად მეორედ წამოსულ ავთანდილს ამითთან საუბრის დროს აღმოხდება:

პატრონი ჩემი გამზრდელი, ღმრთისაგან
დიდად ცხოველი
შობოლური, ტბილი, მოწყალე, ცა
წყალობისა მთოველი,

ეს სიტყვები აქ წმინდა სიმბოლიკურ ფუნქციას როდი ასრულებენ. მათში გამოხატულია სამშობლოდან გადახვეწილი ადამიანის უშუალო განცდაც, შობილოურ გარემოსადმი გამძაფრებული, გამაბვილებული სიყვარული.

გავიხსენოთ როგორ აღწერს რუსთაველი ავთანდილის წასვლას ველანშა-როს:

მოწურვილ იყო ზაფხული, ქვეყნით ამოსვლა
 ვარდის ფურცლობის ნიშანი, ღრო შათის ^{შვენიისა,}
 პაემანისა,
 აბლს ევალება მზისაგან, შექდომა ^{სარატანისა,}
 სულთქმნა, რა ნახა უვავილი მან, უნახავან ^{ხანისა,}
 ავრგვინდა ცა და ღრუბელნი ცროდეს
 ვარდთა აკოცა ზავითა, მითვე ვარდისა ^{ბროლისა ცვარითა;}
 დარითა,
 უბრძანა:
 „ვიპყრებ თვალითა, ვულ-ტყილად ^{შემგებდვარითა,}
 მისად სანაცვლოდ მოვილხენ თქვენთანა ^{სიუბარითა.}“

აქ დახატულ სურათში თითქმის ყოველი სახე ფარულ, გადატანით აზრსაც შეიცავს და თუ ჩვენ ამ ხაზს გავყვე-ვით, შეიძლება სიმბოლური მეტყველე-ბის მთელი რიგი ფორმების დადგენა-აქ გამოყენებულია ასტრალური სიმ-ბოლიკაც, ფერათა სიმბოლიკაც, ან თუ ეპიტორ ნოზადის ტერმინოლოგიას მივ-მართავთ, ვარსკვლავთმეტყველებისა და ღერთამეტყველების ფორმები.

მაგრამ ამავე დროს პოემაში აღწე-რილ მთელ ამ სურათს თავისი უშუალო მხატვრული აზრიც აქვს. ავთანდილი აქ ცოცხალ ყვავილებს ეალერსება დიდი ხნის უნახავ ცოცხალ ვარდებს კოცნის და გარდა მდღევარე წინათგონობისა, რომელიც სატრფოსთან მოახლოებუ-ლი პაემანის მოლოდინით არის გამოწ-ვეული, მის სულს ბუნების განახლების ცოცხალი სურათიც ალაღებს.

ავრგვინდა ცა და ღრუბელი ცროდეს
 ბროლისა ცვარითა.

— ეს სახე აქ გვიჩვენებს სულიერი მდგომარეობის გამომხატველი პირობი-თი ნიშანიცა და ამასთან ერთად გა-ზაფხულით აღორძინებული ქვეყნის, სტიქიონური მოვლენის პოეტურად

აღეკვებული, უაღრესად ზუსტი და უშუალოთ ასახვის შედეგად ^{ქვეყნისა} ამ თვალსაზრისით რუსთაველს ^{მოქმე-მა,} რომელიც მკვიდრად არის დაკავში-რებული შუასაუკუნებრივ, რომანტი-კულ მსოფლგანცდასთან, ამავე დროს მკაფიოდ გამოირჩევა თავისი ეპოქის ლიტერატურულ ფონზე უაღრესად თვითმყოფი პოეტური სისტემის სახით. თუ მაგალითად იმავე დანტესთან ალგორული მეტყველების ფორმებს ძირითად მომენტებში აბსოლუტური ხასიათი ენიჭებათ, „ვეფხისტყაოსანში“ ეს ხერხი ხშირად მხოლოდ შეფარდე-ბითია.

„ღვთაებრივი კომედიის“ შესავალში უსიერ ტევრიდან გამოსულ დანტეს სამი ცხოველი ზედება გზაზე — ლომი, ძუგველი და ვეფხი.

როგორც ბნელი ტყე, ისე სამივე ეს მტაცებელი აქ მხოლოდ პირობითი ნი-შნებია, რომლებიც აღამაინური ყოფი-სა და ხასიათის სხვადასხვა აბსტრაგირე-ბულ თვისებებს გამოხატავენ. საინტე-რესოა, რომ ვეფხი დანტესთან ავბორ-ცობას განასახიერებს. რუსთაველისათ-ვის ვეფხი როგორც სიმბოლო სრუ-ლიად სხვა შინაარსის გამომხატველი ნიშანია, მაგრამ მთავარია არა ეს.

ვეფხისტყაოსანში სულდგმულთა სა-მყარო, ისევე როგორც საერთოდ მთე-ლი ობიექტური სინამდვილე, ორ ძირი-თად მხატვრულ ასპექტში არის გახს-ნილი. ესაა დამხმარე, სიმბოლიური ფონი მთავარი მოქმედებისა და ამავე დროს ეს არის თავისთავადი მხატვრუ-ლი სინამდვილეც, დამოუკიდებელი პოეტური ინტერესის საგანიც.

ამის მკაფიო მაგალითია „ვეფხის-ტყაოსანის“ ერთ-ერთი უმნიშვნელოვა-ნესი მეტაფორული სახე — ვეფხიც, რომელიც აქ პირველ რიგში სიმბო-ლურ ფუნქციას ასრულებს, მაგრამ გარკვეულ კონტექსტში ამასთან ერთად ცოცხალი, თავისთავადი სახითაც გვე-ლინება.

ასე გამოიყურება იგი კვრიოდ ტა-რიელისაგან ლომ-ვეფხის დაზოცვან

ეპიზოდში. მართალია ვეფხის სახეს აქაც შენარჩუნებული აქვს თავისი მთავარი პოეტური ნიშანი — ნესტანთან მსგავსება. მაგრამ სიმბოლიკა როგორც ხერხი, აქ აშკარად უკანა პლანზე იხვევს და უშუალო პოეტურ წარმოსახვას უთმობს ადვილს:

გამოპრინდა ვეფხიან გული, — დედათამცა
გამოპრინდეს!
ლომი მეღვრად გაეკიდა, იგი ვერვინ
დაამწვიდნეს...
ხრმალი გავტყორცნე, გარღვივერ, ვეფხი
შევიპყარ ხელითა,
მის გამო კაცმა მომინდა, ვინ მწვაფს
ცეცხლითა ცხელითა;
მიღრინვიდა და მაწყუნდა ბრკყალითა
სისხლთა მღერელითა,
ვეღარ გავუძელ, იგიცა მოკვალ გულითა
ცხელითა...

სიმბოლოს ცოცხალ სახედ ქცევა, როგორც თავისებური მხატვრული კანონზომიერება, ერთერთი ქვაკუთხედი არუსთაველის პოეტიკისა. რომანტიკული მიდრეკილება აბსტრაგირებისკენ აქ, როგორც წესი, განხაევებულია, შინაგანად გაწონასწორებულია კლასიკური ლტოლვით იდეის თანმიმდევრული, სრული მატერიალიზაციისაკენ.

ამ თვალსაზრისით საესეებით მართალია მორის ბოურა, როდესაც იგი შუასაუკუნეების დასავლურ ლიტერატურასთან, კერძოდ ფრანგულ რომანტიზმთან შედარებისას ხაზგასმით აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის ავტორისთვის დამახასიათებელ რეალობის გრძნობას.

„აქ ერთმანეთს უპირისპირდება — წერს ბოურა, — არუსთაველის საღი დამოკიდებულება კაცობრიობის მიმართ და ფრანგების ტენდენცია, ყველაფერი აბსტრაქციად და ალეგორიად აქციონ. მართალია თავად არუსთაველი თავის პოემას „ალეგორიულს“ უწოდებს, მაგრამ იგი ისე საფუძვლიანად ამუშავებს თითოეულ თემას, რომ ჩვენ უშუალო წარმოდგენების მიღმა არასოდეს ვეძებთ სხვა აზრს“.

ბოურას მოსაზრება ზუსტ დაკვირვებას ეყრდნობა, მაგრამ თვით შედარება

აქ ცალმხრივია, რადგან უწრადღებურ ცენტრში მხოლოდ განმასხვავებელი ნიშანი დგას. საკმარისია ვეფხისტყაოსანს „სხვა კუთხით შევხედოთ და ეს კონტრასტი მაშინვე დაკარგავს თავის აბსოლუტურ მნიშვნელობას.“

თუ არუსთაველის პოეტურ სამყაროს კლასიკური ხანის ნიმუშებს შევუპირისპირებთ, აღმოჩნდება, რომ ბოურას მიერ აღნიშნული სხვაობა შინაგანი ნათესაობის მარცვალზე არის აღმოცენებული.

ვეფხისტყაოსნის სახეებს უკვე აშკარად ეტყობათ კლასიკური წარმოდგენებიდან რომანტიკულ სფეროში გადასაცვლების, მათი თავისებური გადანერგვის ნიშანი.

არუსთაველის პერსონაჟები, მიუხედავად ხასიათების ეპიკური მთლიანობისა, რაც მათ კლასიკურ ეპოსთან აკავშირებს, პიროვნების სულიერი ცხოვრების ასახვის თვალსაზრისით უკვე სრულიად ახალ საფეხურს მოასწავებენ. ხასიათის შემადგენელ პლასტებად დანაწევრება აქ უკვე სახეზეა და მხატვრის ახალ შემოქმედებით ამოცანას განაპირობებს.

ავთანდილის ოდისეა, რომელიც ზოგიერთი გარეგანი ნიშნებით, — ფათურაქებით, ცთუნებებით. — ჰომეროსისა და ვირგილიუსის გმირთა თავგადასავალს ეხმარება, არსებითად ახალი ხასიათის შინაგანი მოძრაობით არის გამდიდრებული.

სხვათა შორის უნდა ითქვას, რომ გონების პრიმატი ავთანდილის სახეში მხოლოდ შეფარდებითია; საერთოდ ხასიათის კლასიკური ერთგვაროვნება აქ ძირფესვიანად არის დარღვეული.

ავთანდილი ძალზე ზშირად იწვევს ირაციონალურისაკენ, ძალზე ზშირად ნებდება საკუთარი სულის ქვეცნობიერ ძალებს, ძალზე ადვილად გადადის ექსტაზში და სპირიტუალურ კავშირს ამყარებს ცასთან. შეიძლება ითქვას, რომ ასეთი რომანტიკული „გადავარდნები“ მას უფრო ზშირად ემთხვევა ვიდრე ტარიელს.

ავთანდილის ხასიათში არა ნაკლები როლდენობით მოიპოვება იმ ამოფეთქებული ნივთიერების მარაგი, რომელსაც თითქოს ყოველ წუთში შეუძლია საბოლოოდ მოწყვიტოს მისი ალტინებული სული მიწიერ მიზიდულობას.

ბასრი ინტელექტით დაჯილდოებულ რაინდში ეს მძაფრი სულიერი ძვრები ხშირად იწვევს შინაგანი დრამატიზმის შეგრძნებას. და მაინც ავთანდილის ხასიათი მთლიანია. სწორედ ეს „ერთიანობა“, რომელსაც ბოურა რუსთაველთან შენიშნავს, განუყოფლად აკავშირებს ვეფხისტყაოსანს კლასიკური პოეზიის იდეალებთან.

ავთანდილის ხასიათის ჰარმონიული მთლიანობა თვალნათლივ არის გამოვლენილი მის მოქმედებაში, რომელსაც ყოველთვის მიზანშეწონილი, გონიერად მოტივირებული, დასრულებული ხასიათი აქვს.

შინაგანი კიდილის, გადავარდნის, ექსტატიური აღმადრენის ენერჯია აქ როგორც წესი თავის ბუნებრივ გამოსავალს პრაქტიკულ, რეალურ ქმედებაში პოვებს და სწორედ ამ გზით ადემკატურ ფორმაში განხორციელებული, დასრულებული მთლიანობის სახით არის წარმოდგენილი.

მთლიანობა, შინაარსისა და ფორმის სრული ჰარმონია ერთიანად გამსჭვალავს „ვეფხისტყაოსნის“ მთელ მხატვრულ ქსოვილს. იგი გამოხატულია როგორც სანებებისა და მეტაფორული სისტემის, ისე სიუჟეტური კომპოზიციის ზუსტ სიმეტრიებში.

კლასიკური ზომიერებისა და სისადავის დახვეწილი გრძნობა ვეფხისტყაოსანში გამუდმებით აწესრიგებს როგორც ნაწარმოების ძირითად ფაბულურ სტრუქტურას. ისე მისი უმცირესი შემადგენელი ნაწილების ჰარმონიულ წყობასაც.

შავრამ ეს ჰარმონია, ეს მთლიანი, თავის თავში დასრულებული, სადა და ნატივ კონტურებში გახსნილი, მკვიდრად ნაგები შენობა ამავე დროს გამდიდრებულია შინაგანი პერსპექტივის

საოცარი, თითქოს უსასრულობაში გატყორცნილი სიღრმით.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ვ. მ. ჯ. „დამსუფთავებული და გახსნილი ფორმის ელემენტთა თანაარსებობა ვეფხისტყაოსანში“. როდესაც რომანტიკული სტილის ნიშნებზე მოგვიხდა საუბარი, საინტერესოა პათი ურთიერთშეფარდების, ურთიერთდამოკიდებულების ძირითადი წესის დადგენა.

თუ ჩვეულებრივ (განსაკუთრებით ეპიკური თხრობისას) რუსთველური სტროფის ჩარჩოებში მოქცეულია თავისუფლად გაშლილი პერიოდი, რომელიც როგორც შინაარსით, ისე სტრუქტურით არსებითად ერთგვაროვან მთლიანობას წარმოადგენს, პოემის ლირიკულ ნაწილებში მეტყველების მწყობრ მდინარებას. ხშირად ცვლის თავისებური ტუხილი სტილი. არა მხოლოდ ტაეპი, არამედ ცალკეული სტრიქონებიც კი ზოგჯერ ხაზგასმით დანაწევრებულია. აზრის განვითარება აქ თითქოს წყვეტილ ხაზს მისდევს. ასეთი სტილით ჩვეულებრივ გამოხატულია პერსონაჟის სულიერი აფორიაქება, ან განწყობილების თავისებური კონფლიქტური ელფერი.

ასეთია, მაგალითად, ცნობილი სტროფი, სადაც ავთანდილი თავის სიუჟეტურ ნაბუჯურ ალტკინებით უმტიციებს სიყვარულით ამბილებს იდეას:

წაგიკითხავს, სიყვარულსა მოკიქულნი
რაგვარ წერენ?
ვით იტყვიან, ვით აქებენ? ცან,
ცნობანი შეაყერენ.
„სიყვარული აღგამალღებს“ ვით
ევეანნი ამს ძღერენ,
შენ არ სჯერხარ, უსწავლენი კაცნი
ვითმცა შეაყერენ!

სტრიქონის ორ დამოუკიდებელ კომპონენტად დაშლა, აზრის სწორხაზოვანი მდინარების ნაცვლად პუნქტირული, წყვეტილი მანერის გამოყენება, რაც შინაარსის ემოციურ სიმძაფრეს ამლიერებს, შეიმჩნევა ნესტან დარეჯანის წერილშიც. მაგალითად

შენ საყვარელო, ნუ სკმუნავ ჰუმნეითა
 ამისთანითა,
 ჩემი სიქვა: სხვათა მიხედვით იგი
 ალვისა ტანითა,
 არამ სიცოცხლე უშენოდ!
 ვარ აქამდისცა ნანითა,
 ან თავსა კლდეთა ჩავიქცევ, ანუ მოვიკლავ
 დანითა.

— დაძაბულობა აქ თავის ზენიტს მესამე სტრიქონში აღწევს, რომელიც თითქოს შუაზეა გაწყვეტილი პათეტიკური მახვილით.

აშკარა ემოციურ კონტრასტზე არის აგებული შემდეგი სტროფი ნესტანის წერილიდან:

მე სიკვდილი აღარ მიძიძის,
 შემოგვედრებ რადგან სულსა,
 მაგრამ შენი სიყვარული ჩაივლიან,
 ჩაშრია გულსა;
 მომგონოს მოშორებვა, მემატებს
 წაღლი წაღლსა;
 ნუცა მტარ და ნუცა მივლოვ, ჩემო,
 შენთვის დაკარგულსა!

აქ სიძიძილისა და ნუგეშის მოტივი ნებისმიერად ცვლის ერთმანეთს, განწყობილება ორი საპირისპირო ემოციური ნაკადისაგან შედგება. შინაარსის ერთგვაროვანი თანმიმდევრობა აშკარად დარღვეულია, რადგან იგი წინააღმდეგობრივ სულიერ მოძრაობებს გამოხატავს. პოეტური მეტყველების ალოგიზმი ამ სტროფში გაპირობებულია ქვეცნობიერი იმპულსების უაღრესად ძალუმი მოქმედებით.

მაგრამ რუსთაველის სტროფში ეს შინაგანი წინააღმდეგობა საბოლოოდ მაინც ყოველთვის დაძლეულია. ურთიერთსაპირისპირო, დისონანსური ელემენტები აქ პოეტური კონტრასტის პრინციპით უთანხმდებიან ერთმანეთს და მთლიან ემოციურ გამმას ქმნიან.

ეს უჩვეულო პარამონია თავის პოეტურ გამოხატულებას პოეებს რუსთაველის სტროფის დასრულებულ მთლიანობაში, რომელიც ყოველთვის მკვიდრად არის შეკრული და ფოლადისებური ნაჭედობით გამოირჩევა.

ვეფხისტყაოსნის სამყაროს მხატვრული დაპყრობისა და დაუფლების კლა-

სიკური ნიმუშია. შეიძლება ითქვას, რომ „დაუფლება“, რომელსაც აქ შემოქმედი პოეტური მხატვრული ინტუიციის გზით აღწევს, თანაბრად განვრცობილია ორ სიბრტყეში:

ვეფხისტყაოსნის ერთნაირად მასშტაბური ნაწარმოებია, როგორც ადამიანის გარემომცველი ობიექტური რეალობის, ასევე მისი სუბიექტური ცხოვრების წვდომის თვალსაზრისითაც.

ქვეყანა, რომელსაც რუსთაველი წარმოსახავს, დასრულებულია თავის თავში, მაგრამ არამც და არამც არ არის შეზღუდული. ადამიანი ლაღად გასცქერის სამყაროს და მის გარშემო. ყოველ მხრივ გრანდიოზული სივრცეები იშლებიან. სინამდვილე რუსთაველთან მოცულია მთლიანად. ადამიანი აერთიანებს ყველაფერს. ის თითქოს ყოველთვის მშობლიურ, შინაურ გარემოცვაში იმყოფება. აქ ყველაფერი მისია, მზეც და ბალახიც, ვარდისფურცლობის ნიშანი ისევე გასაგები და ახლობელია მისთვის, როგორც ეტლის ცვალება მზისაგან...

რეალური სამყაროს მთელი დაუსაბამო მშვენიერება თითქოს ერთი ბეჭდის რგოლშია მოთავსებული და განუყრელად თან სდევს, ძვირფასი გზნებით ათბობს და ეალურსება წუთისოფლის მსწრაფლმავალ სტუმრებს.

ქვეყანა, რომელსაც რუსთაველის გმირები საკუთარი სულის სიღრმეში ატარებენ, არანაკლებ დიადი და უსასრულოა. სივრცეები აქაც თვალწვდენლად იშლებიან. და ადამიანი უკვე განცდიერებით ჩასცქერის მის თვალწინ განზნეილ ახალ უფსკრულთა სიღრმეს. მან უკვე იგრძნო საკუთარი „სურვილთა დიადობანი“, უკვე მიხვდა, რომ მისი ნდომის გარდღევალობა, მისი სწრაფვა მარადიული სინათლისაკენ განუზომლად აღემატება ჩვეულებრივი, მიწიერი არსებობის შესაძლებლობებს.

ნესტანისა და ავთანდილისათვის ეს ტრაგიკული შეუსაბამობა მთელი შინაგანი სისავესით იხსნება სულიერი აღ-

მაგრებით გამოწვეული ნათელხილვის წუთებში:

ღმერთსა შემეღრე, ნუთუ კელა დამსხნას
 სოფლისა შრომასა,
 ცეცხლსა, წყალსა და მიწასა, პაერთა
 თანა ძრომასა,
 მომცეს ფრთენი და აღფრინდე, მიეხვედე
 მას ჩემსა ნდომასა,
 ღღისით და ღამით ვახვედიდე შინსა
 ელვათა ერთომასა.

ვეედრება ჩესტანი თავის სატრფოს. ხოლო თინათინის მიჯნური ხანდახან შხის სინათლესაც გაუბრძის, რათა დამეულ სიმარტოვეში პირისპირ დარჩეს თავისი სიყვარულით აღზევებული სულის წინაშე.

აჲ ვერ ვიყვი მაშინდელსა მე მის
 უმისა ნუბარსა,
 რას უბნობდის, რას მოთქმოდის, რას
 ტურფასა, რაზომ ვერასა.

გვაუწყებს რუსთაველი თავისი გმირის სულიერი მდგომარეობის შესახებ და ამ სიტყვებიდან მცირე მანძილი და რჩება ქართული რომანტიზმის ცნობილ სტრიქონებამდე:

ნამდვილი ტრფობა ვინა რას სიტყვათ
 ემბედეს ვერ კპოევებს
 რათა ვამოსთქვას თვის გრძნობა და
 მისთვის ოხრავს, მღუმარებს...

მაგრამ ვეფხისტყაოსანში საბოლოოდ მაინც აღდგენილია თანხმობა ადამიანის სუბიექტურ სამყაროსა და მის გარემომცველ ობიექტურ სინამდვილეს შორის. რუსთაველის გმირთა ყველაზე ამაღლებული წაილი, ყველაზე რომანტიკული იდეალები აქ, ამ ქვეყნად პოეებენ თავიანთ განხორციელებას: სულისმიერი სინათლე და პარმონია აქ ძლევს უკუნეთისა და ქაოსის ძალებს, მშვენიერება აქ საბიერდება ცოცხალ, სრულყოფილ სახეებში.

ვეფხისტყაოსანში მიღწეული პარმონია ესთეტიკური თვალსაზრისით უკვე შესამჩნევად განსხვავდება ხელოვნების კლასიკური იდეალისაგან.

ეს არის თვისობრივად ახალი, სრულიად განსაკუთრებული თანხმობა, რო-

გელიც კლასიკური და რომანტიკული იდეალების პარმონიულ ურთიერთგვამართების ხელოვნება.

გეგმობილია

როგორც ცნობილია, რუსთაველის პოეტური მემკვიდრეობა ქართული მწერლობის კლასიკური ხანის კანონზომიერი დაგვირგვინებაა. აქ უკვე საბოლოოდ გაფორმებული, დახვეწილი სახით წარმოგვიდგება მხატვრული მსოფლმხედველობის ის თავისებური ფორმა, რომელიც საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა ქართველი ხალხის მატერიალურ და სულიერ კულტურაში. ხელოვნების არსებითად განსხვავებული ფორმების ურთიერთგადამკვეთი მოქმედება თვალნათლივ გამოვლინდა უკვე წინა ეპოქების მხატვრულ ძეგლებში, მაგრამ ეროვნულ ნიადაგზე მათი საბოლოო შერწყმა, კემპარიტი სინთეზი — შესაძლებელი იყო მხოლოდ ისეთი ტიტანური შესაძლებლობის ხელოვანისათვის, რომელიც ქართულ კულტურას მისი ოქროს ხანის დასასრულს მოევიდნა.

რუსთაველის მხატვრულ სისტემაში გენიალური უბრალოებით არის გადაჯვარედინებული პოლუსური უკიდურესობები — წარმართული და ქრისტიანული, აღმოსავლური და ევროპული, ანტიკური და შუასაუკუნეებრივი, კლასიკური და რომანტიკული ფორმები.

ეს უჩვეულო პარმონია გამოხატავს ქართული შემოქმედი გენიის თავისებურებას, რომელმაც თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურზე სწორედ ამ უნივერსალური სახით გამოავლინა საკუთარი თვითმყოფლობა.

სწორედ ამის გამო ვეფხისტყაოსანი, როგორც ვაზის ჯვარი, როგორც ეროვნული იდეალის სრულქმნილი განსახიერება, ჩვენ წარმოგვიდგება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გზაჯვარედინად ეპოქების მსოფლმხედველობრივი და ესთეტიკური განვითარების მრავალსაუკუნოვან გზაზე.

ბრიგოლ მრბელიანის უხრობი წერილები

როგორც ცნობილია, ილია ორბელიანი 1842 წელს ტყვედ ჩაიგდო შაჰილმა. იმავე წლის 11 ივნისს გრ. ორბელიანი თბილისიდან ქუთაისში სწერდა ზაქარია ორბელიანს: „მე ხვალ ვაპირებ წასვლას ალექსანდროპოლში, სადაც უნდა მივიღო მესამე ბატალიონი ჩვენი პოლკისა; სწორედ ვითხრა ბევრი ვებეჭეუნი სიმბირსკისა, რომ არ გამგზავნოს, მაგრამ არ ჰქნა. ღმერთო, როდის იქნება, რომ ერთი ბინადრად ვიყოთ ჩვენს ოჯახში, — ილიკოს ანბავი, ახი ილიკოს ანბავი შემატყობინე, აქ ძალიან ცუდი ხმები ისმის, მითომ ხაროში პუუნადეთ, მაგისმა მწუხარებას ხრულუბით დამაბერა“ და სხვ. (გრ. ორბელიანი, წერილები, ტ. 1, 1936 წ., გვ. 56) ილია ორბელიანის ტყვეობაზე სწუხს გრ. ორბელიანი 4 ივლისს გამოგზავნილ წერილშიც.

ზაქარია ორბელიანისადმი ვაგზავნილი ამ ცნობილი წერილების ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენს გრ. ორბელიანის უცნობი წერილი (საქ. ცენტრალური სიხტორიო არქივის საგანგებო მნიშვნელობის საქმეთა ფონდი, საქმე 176), რომელიც გამოგზავნილია ზაქარიაშადმი პირველ აკვისტოს ალექსანდროპოლიდან. წერილი უთარიღოა, მაგრამ მასში მოყვანილი ამბების მიხედვით 1842 წლით უნდა დათარიღდეს.

აი, ეს წერილიც:

უსაყუარლესო ძმო ჩემო ზაქარაე!


ამ წიგნს გწერ და არ ვიცი, მანდ მოგისწრება თუ არა, რადგანაც აქ შევიტყუე, რომ შენ ოტ-პუსკში მოველიან ქალაქსა; მაგრამ მაინც გწერ და აი მიხევი: — ერთმა ჩვენმა აფიცურმა, ვალხოვსკიმ მომწერა, რომ მითომ სნაქსაროვ გამოტყვეულებულს, და მასუკან ილიკაც, მაგრამ საბარალო ჩვენი ძმა კიდევ დაუბერათ. შენ იფიქრე, თუ ეს მართალია, რა ტანჯვას მიაყენებენ, სნაქსაროვის ჩავის სულ მაგანე ამოიყრიან. ღმერთო, ეს რა უბედურებაა! შენი ჭირიმე, მომწერე დამწერილებით ამის გარემოება, ნურას დამიხმალავ, თუ იცოდე რამე. —

ქალაქში სამი თუ ოთხი დღე დაგრჩით აქ წამოსვლანე, — და აი შენის სახლის ანბავი. პრიკაზში შევიტყუე, რომ მოუთხოვინათ საქმეში მონაწილას ჩვენ რომ შეგართვით არხა. — და პრიკაზსაც კარგად წარუდგინეთა და ეხლა ვნახოთ რა გამოვა. — მე არ ვიციოდი, ილიაა დოვერანოსტი ვინა ჰქონდა და ან სად იყო, რომ იმის ძალით ფული ამეღო და შემეტანა პრიკაზში. ახლა თუ მალე არ მოხვალ, ძალუას მოსწერე და გამოუგზავნე დოვერანოსტი, ან ჩვენს დისწულს ტატოს. მე ჩემი წილი სამის თვისა შემომეხარჯა აქ წამოსვლანედ, მაგრამ ნუ გეშინიან, ფული მზადა მაქვს პარკში, მერწმუნე მართალს გეუბნები, პარკში ძვეს—რა წამს მოხვალ ქალაქში, მაშინვე მოგვია მზად ზედ დამატებით და ან თუ გინდა, პირდაპირ

ვაგზავნი პრიკაზში, როგორც მომწერ. ზენა მოსავალი ძალიან კარგათ არის ღვითი. ვატრახილამაც მამუკასაგან ნარტუქები უნა ამოტრანათ კოდაზე, მგონია ბევრი უნდა მოგვიიღეს წელსა. — შენი პოდაპოლკოვნიკობა რა ვასაკვირველია იმისთვის, ვისაც მაიორის ეპოლეტები მხარზე ჰკიდია და სტანისლავესკი ყელზე. — სტოლის ფულსა რომ მომცემენ, ალბათ, მაშინ მერწმუნე, რომ უკარავებულად მოგივა 150 რუბ. წელიწადში. აქამდისინაც მოხდებოდა ესა, თუ რომ შენ ხელი გავემართა ჩემთვის და ეს მამაძალი ფოხდემგება მოგეპოვებინა ჩემგან. ამას წინათ ოთხი თემანი წაიღო, მაგრამ იმდენი ვაიჩე, რომ ის ეყოფოდა სარგებლად. როცა შენ მოხვიდე, შენი ულავუცხენი აქ გამომიგზავნე შესანახავად. იფიქრე, ეხლა ხომ ძვირობაა, აქ სამან ქერი, ესე იგი ორ ჩეტურტზე მეტი იყიდება ექვს აბაზად და ამას იქით უფრო გაიადდება ახალს მოსავლანე. მაინაც ეკონომია დარჩება და შენი ცხენიც კარგად გასტუქებული და მოვლილი იქნება. — რას იტყვი ამაზე. — აქ ოცთა ხელი გავიმართე. ყუღფილამ დრმები მოღის ჩვენს მამულზე. შვიდიოლდ-რვა თემანი ავკარ, მეტი ვერა. ვერ მოუწერარ კარგს დროს — ქარაიანი დაბრუნებულყო, თორემ გავეთლებოდი. — ვერგერთან ორს სოფელში ჭირი გამოჩნდა, მაგრამ ღვითი კარგის მოვლით სხვაგან არსად არის იქაც მალე გაქრება.

ახლა ქალაქის ანბავი მოგახსენო: გოლოვი-
ნის? ცოლი თავისი ქალით ბორჯომის წყალზე
ერთს. იქვე სკალონის ცოლი და ბუისოვისა:
ეგრეთვე ნინა, მანანა და ელენე¹⁰ — ამით
ფერდები სტყავთ (. . .)

სხვა რაღა მოგწერო, არა ვიცი რა ამბე შე-
ტი. — რაღა გეხვეწო, რომ იღბს ამბავი წერი-
ლად მომწერო.
1 აგვისტოს.
ალექსანდრაპოლით.



1. ზაქარა — ზაქარია ორბელიანი — (1806-1848) მომდევნო ძმა გრ. ორბელიანისა.
2. გოლბოვსკი — ვ. დ. გოლბოვსკი, რუსი გენერალი, კავკასიის ომების მონაწილე, რომლის ზენაეც თბილისში თავს იყრიდნენ გადმოსახლებული დეკაბრისტები. 3. სნაქაროვი — რუსი პოლიტიკოსი, შამილიან ტყვეობაში იმყოფებოდა ილია ორბელიანთან ერთად. 4. ილია — ილია ორბელიანი — (1814-1853) უმცროსი ძმა გრ. ორბელიანისა. 5. შანშევი — ივანე შან-შევი, მოვილე გრ. ორბელიანისა. 6. შამუტა — შამუტა ორბელიანი, სამხედრო პირი, 1832 წლის შეტყმულების მონაწილე. 7. გოლოვინი — კავკასიის მთავარმართებელი 1837-1842 წ. 8. ნინა — ნინო ჭავჭავაძე-გრიბოედოვისა. 9. მანანა — მანანა მირმანოვის ასული ერისთავი-ორბელიანი-სა. 10. ელენე — ელენე ორბელიანი, ზაქარია ერისთავის მეუღლე.

. . .

გრ. ორბელიანის წერილების I ტომში, რომელიც 1936 წ. გამოიცა ა. გაწერდლიას რედაქ-
ციითა და შენიშვნებით, შეხუდია ილია ორბელიანისადმი მიწერილი ერთი საყურადღებო წე-
რილი, რომელშიაც გრივად ორბელიანი გაცხადებს ახსენებს პაქი-მურადისაგან ნობ-ბიქეს მო-
ტაცების ამბავს და ამავე დროს დასძენს: „ჩემო საყვარელო ძმო ილიკო! ამასწინად, შგონია,
მოგწერე პაქი-მურადისაგან ნობ-ბიქეს შობარვა, რომლისა გამო ჩამიხდა ჩემი წამოსვლა“ და
სხვ. (გრ. ორბელიანი, წერილები, ტ. I, 1936 წ., გვ. 138). აღნიშნული წერილი დათარიღებუ-
ლია 1846 წლის 29 დეკემბრით. საქ. ცენტრალური საისტორიო არქივის საგანგებო მისივნე-
ლობის საქმეთა ფონდში (საქმე № 176) იხსნება გრ. ორბელიანის მიერ ამავე ჯუნგუთიდან
1846 წლის 23 დეკემბერს ილია ორბელიანისადმი გამოგზავნილი ის უცნობი წერილი, რომელ-
საც გულსიმბობდა გრ. ორბელიანი ზემოთ მოყვანილ წერილში. ამას ადასტურებს ის ფაქტიც,
რომ სწორედ ამ უყანასწელში დაწერილებითაა მითხრობილი პაქი-მურადისაგან ნობ-ბიქეს
მოტაცება და გრ. ორბელიანის უშუალო დამოკიდებულება ამ შემთხვევასთან. მოგვყავს ეს
წერილი

ჩემო საყვარელო ძმო ილიკო!
სრულიად შხად ვიყავ წამოსახლებულად, რო-
დესაც ჩემის უბედურებისაგან მოხდა საყვირ-
ველი საქმე, რომლისა გამო ჩემი წამოსვლა
ჩამიხდა.

სოფლის ნაწილი, რომელშიაც შემოვიდა და
გავიდა მტერი და თოფი არავინ ესროლა, ერ-
თიანად ამოსწყვიტონ სხვათა სამაგალიათოდ.
მაგრამ ჯერ უნდა არავინ მივლენ.

13 ამ თვეს, შუალამის მესამე საათისა, პაქი-
მურადი თავის პარტიით ორას ორმოც კაცამდის
ჩემად მოადგა ჯუნგუნისს. აბრეკებმა ხანჯლე-
ბით მოკლეს აუარებელი და ეს პარტია შემო-
ვიდა სოფელში, მოადგა ნობ-ბიქეს სხლსა, შე-
ვიდნენ შიგ, მოიტაცეს ბიჭე და გავიდნენ სოფ-
ლიდამ ასე, რომ ერთმა სოფლის კაცმა ხმა არ
გასცა მტერსა, რომელიცა ერთიე ვერ გავი-
დოდა სოფლიდამ ცოცხალი, ათს კაცს რომ
თოფი ესროლა.

საწყალი ნობ-ბიჭე ჰყავთ ზუანდის სიხლოვეს,
სადღე ახლა დასახლებულან ხუნძახელნი.
ჯერ არ ვიცი, პაქი-მურადის ფიქრი რა აქვს,
დაახსენებებს თავსა თუ არა? — შეილები კი
ცოცხალნი არიან აქა, გადურჩნენ ამ საშინელს
განსაცდელსა. — ასე მოხდა, და ჩემი წამოსე-
ლა ამ საძაგელმა შემთხვევამ ჩამიხდა.
ახლა მე ვიცი, ამ ქალის მოტაცებას შე და-
მპარალებენ და არა ამ ორგულს, მუხანათს,
ყოვლის სიბილწით აღვსილს ხალხსა.

გამოვარდი ფეხშიშველი ჩემის ნოჭრებით.
შეუტევი ყვირით, თოფის სროლით, მაგრამ ერ-
თი კაცი ჯუნგუთული არ გამომყვა: შევკრიბე
ბატალიონი, გამოვდეგ არაქნის ჩასვლამდის,
მაგრამ ვერა გავაწყვრა, ვეღარ მივეწვი.

პაქი-მურადს თანამემწედ ჰყვანდა მუხალე
ნობ-ბიქისა, რომელიცა არის და პაქი-მურადის
ცოლისა. ამან გულო კარი ოთახისა, და ამან
ღამის ყარაულები დაითოგა, და თვითდა გაპ-
ვეა თან მტრედებსა. — ბიქის კარზედ იმ და-
მეს მაინც კი იყვნენ თორმეტნი კაცი, რი-
მელიცა ასე წახდნენ, ასე შეშინდნენ, რომ არ
ათ თოფი ესროლეს, არც კი დაიყვირეს, რომ
ყვირილზე მაინც დროზე მივშველებოდი ჩე-
მის ნოჭრებითა, თორემ მე არც კი ვიციოდი, სად

შენ ამ ხალხის სიმურაღე და ორგულობა
ნახე, შენ ამ ხალხის უსეინდისობა და უნამუ-
სობა გასანყე.

ახა ახლა სეტყვის ვინ მოყვალს თავსა და ვინ
შესწირავს ნიციოცხლსა? ვეუბნებო, რომ ის
12. „მნათობი“, № 11.

რა იყო, ანუ ვის იტაცებდნენ, ასე დახმებულნი იყვნენ ყოველნი. —

ენიან ბებუთოვი წაიდა გუშინ ოტრიადიო აპოქრისაყენ, პიანიტა ზუხუმის მოწერილობით, რომ დიდი ჯარი შეყრილა სალტაშის აპოქრისაზედ მისასვლელად; შე რამდენჯერაც დავარწმუნე, რომ არსად არის მათი ყრილობა, მაინც კი წავიდა ამისთანა სიცივეში და თოვლში. — რასკეტრეულია, ეხლა ჩვენს კარზედ ისინიც უნდა მოგროვდნენ, და ასე უდროოდ უნდა ერთი ეკსპედიცია გაეყოფნენ, რომიღამაც რეზულტატი არა იქნება რა.

ზაქარა დარჩა შერის ნახალნიკად, და მე — ამ მყარას ჯენგენისს. გუშინ დაბრუნდა ჩემგან ნოხ-ბიქესთან გაგზავნილი ჯაშუშნი; დიდი ხეყნა შემოუთვლია ჩემთვის, რომ ნუ დამიფიქვებო, შენის მეტი, ჩემი იმედი არაეინ არისო განთავისუფლებინათვის.

დღეს უგზავნი ჩაი-შაქარს, ნიჭხავ-პერანგა, თულუტხა, ახალუსს, სიცივერქედებმა; მაწყული თურმე. —

დანიელ სულთანთანც¹ გავეზავნე კაცი, ნამუსში ჩავაგდე, რომ ეს ხომ დედა არის, უნდა თავი გამოიღოს იმის გამოხსენისათვის, მაგრამ ეხლა შინ არ არის, ჩაჩანშია წასული, სადაც შამილას ჩაუბარებია რაღაც ჯარი მოპირდაპირედ ჩვენის ოტრიადისა, რომელიც მითომ ჰკადავს სადაღც ტყესა.

სხვებზე მშვიდობით ჩემო ილიკო, ლმერთი იყოს შენი მფარველი; არ ვიცი, ეხლა როდის შეღირსება შენი ნახვა.

შენი ძმა
პრ. ორბელიანი.

23 დეკემბრის 1846
ჯენგენით.

1. **პაჩი-მურადი** — (1814-1852), შამილის უმამაცესი ნაიბი. აგარის მმართველი. 2. **ნოხ-ბიქე** — ახმედ-ხანის ქვრივი (ახმედ-ხანი მართავდა აგარისს 1840-1842 წ.წ., მტრულ ურთიერთობაში იყო პაჩი-მურადთან). ნოხ-ბიქე მოიტაცა პაჩი-მურადმა 1846 წ. 13 დეკემბერს, ტყვეობიდან გამოიხსნეს 1847 წ.

(იხ. აგრეთვე გრ. ორბელიანის ქვთევან ორბელიანისადმი მიწერილი წერილი, გრ. ორბელიანის წერილები, 1936 წ. ტ. I, გვ. 134.) 3. **ბებუთოვი** — ვასილ იოსების ძე ბებუთოვი (1791-1858 წ.წ.), ინჟანტერის გენერალი. მონაწილეობა მიიღო მთიულებისა და თურქების წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში. 1829-30 წლებში მართავდა ნახჭევანისა და ერევნის გუბერნიებს. 4. **დანიელ სულანი** — სიძე ახმედ-ხანისა და ნოხ-ბიქესი, შეუღლე მათი ასულის — ბაბა-ბიქესი.

ბრიგოლ ორბელიანის დაბადების თარიღისათვის

დაბეჭდვით შეიძლება ითქვას, რომ გრიგოლ ორბელიანის დაბადების თარიღი ჭეშაყ არაა დადგენილი. უფრო ზუსტად თუ ვიტყვი, დადგენილი კია, მაგრამ რატომღაც საჭიროდ არ მიიჩნიათ ამა თუ იმ გამოცემაში ამ სწორად დადგენილი თარიღის მითითება. ასეთი ვანცხადების საფუძველს იძლევა გამოცემლობა „განათლების“ მიერ დასტამბული მე-9 კლასის სახელმძღვანელო „ქართული ლიტერატურის ქრესტომათია“, რომელიც 1966 წელს გამოიცა. გრიგოლ ორბელიანის დაბადების თარიღზე მკვლევარები თავიდანვე ვერ შეთანხმდნენ. ამის თაობაზე ორბელიანის შემატთან და ქართული პლუტარქე — იონა მეუნარგია სწერდა: „ნამდვილად არავინ არ იცის, რა დროს დაიბადა გრიგოლ ორბელიანი. სრულ მის ნამსახურობის სიაში ის არის დანიშნული დაბადებულად 1800-ში, მისთა თანამედროვეთაგან კი რამდენიმე ამბობენ, რომ ის არის დაბადებული 1804 წელში... სიტყვა კვეთით ი. მეუნარგია განაგრძობს, „ამრიგად გრიგოლ ორბელიანი უნდა იყოს დაბადებული 1800-ს (იხ. „მომხმე“, 1904 წ. № 2 გვ. 58). გრიგოლ ორბელიანის დაბადების წელს 1799 წელი, „ლტოპის გრების“ შემდგენელმა ბ. ესაქმე მიიჩნია. პოეტის ნამსახურობის ნუსხაში აღნიშნულია, რომ: „გრიგოლ ორბელიანს 1821 წლის 7 ივნისს შეესრულდა 22 წელი“. იბნათ, ეს ვახდა საბაბი იმისა, რომ ბ. ესაქმე პოეტის დაბადების წლად 1799 წელი გამოაცხადა. კიბა ახაშიძეს გრიგოლ ორბელიანის დაბადების წლად 1801 წელი მიიჩნდა „ეტიუდები“, (ტ. 1 გვ. 33) ალ. ხახანაშვილი პოეტის დაბადების თარიღად ხან 1800 წელს ასახელებდა („ქართული სიტყვიერების ისტორია“ 11, გვ. 24, ხან 1804 წელი („Очерки“ მე-10 გვ. 24). 1910 წელს „ნაკადლის“ № 10-ში გვ. 40 გამოქვეყნებულ წერილში ა. ხახანაშვილი წერს: „წელიწადი, რომელსაც ავთენებენ გრიგოლ ორბელიანის დაბადებას, აქამდის არ არის გამოჩვენებული, სამხედრო სამსახურის მოწმობით, იგი დაიბადა 1800 წელს. ხოლო თანამედროვეთა მოსახრებით, 1804 წელს“. ამ საკითხებზე ია ვეალაქე ამავე აზრისაა: „გრიგოლ ორბელიანის დაბადების წელი ნამდვილად არ არის გამოჩვენებული, მაგრამ მკვლევარების

იზრით, იგი დაბადებულია ან 1800, ან 1804 წლებში“. („ანთოლოგია“ 111, გვ. 252) მ. ზანდუკელს, კ. კაპანელს და ზ. ჭიჭინაძეს ა. შანიძეს, ა. ბარამიძეს, ი. აბულაძეს გრიგოლ ორბელიანის დაბადების თარიღად 1800 წელი მიიჩნიათ (იხ. პირველის — „ახალი ქართული ლიტერატურა“, გვ. 174; მეორესი — „ქართული სული ესთეტიკურ სახეებში“, გვ. 255; მესამის — „ნ. ბარათაშვილი, ალ. ქავთაძე და გრიგოლ ორბელიანი“, 1886 წ. გვ. 40) ბოლო სიაშია კი „ქართული ლიტერატურის ქრესტომათია“ 1966 წ. გვ. 275.

ვახტანგ კოტეტიშვილსაც 1800 წელი მიიჩნდა გრიგოლ ორბელიანის დაბადების თარიღად (იხ. მისი „ქართული ლიტერატურის ისტორია“ XIX სთქ. გვ. 82).

1959 წლამდე აკაკი გაწერელიც 1800 წელს სთვლიდა პოეტის დაბადების თარიღად (იხ. 1951 წელს „საბჭოთა მწერლის“ გამოცემული „გრიგოლ ორბელიანი“, აკაკი გაწერელის შესავალი წერილით, რედაქციით და შენიშვნებით). 1959 წელს იმავე „საბჭოთა მწერლის“ გამოცემულ გრიგოლ ორბელიანის თხზულებათა სრულ კრებულში მკვლევარს პოეტის დაბადების თარიღი მართებულად ვაუსწორებია, და მიუთითებს, რომ გრიგოლ ორბელიანი დაიბადა 1804 წლის 2 ოქტომბერს ქ. თბილისში. ამასვე იმეორებს მკვლევარი თავისი რჩეული ნაწერების მეორე წიგნში, რომელიც 1965 წელს გამოსცა „ლიტერატურა და ხელოვნება“.

ამრიგად, გრიგოლ ორბელიანი 1800 წელს დაიბადა. — ეს პირველად ფორმულირების, დოკუმენტების ნამსახურების სიისა და მოწმობების საფუძველზე დაასვენა პოეტის პირველმა ბიოგრაფმა იონა მეუნარგიამ და მანვე დაუდო სათავე ამ თარიღს. 1933 წელს აწ განსვენებული სახალხო პოეტი და მკვლევარი იოსებ ვრიშაშვილი მუზეუმებსა და არქივებში სხვა მასალების ძიების დროს წაწყო იონა ვრიგოლ ორბელიანის ბიძების იოსებისა და ვიორჯი ორბელიანების წერილებს, რომლებსაც ლაშქრიდ მყოფ ძმებს ზურაბს (იგივე დიმიტროს, პოეტის მამას), ასლანს და სოლომონს სწერენ: „... ჩვენ ანბავს მოიხსენებ, მშვიდობით ვახლავართ. ჩემი რძალი ღვთით მშვიდობით მორჩა და

ვაგი ჰყავს და გრიგოლ დავარქვით. დღეს რომ ამ თვის ცხრა არის, დღეის სწორია რომ დაწვეა, და მოვილოცამ. ღმერთმა მშვიდობით და ადრე გვაჩვენოს თქვენი თავი... ღვინობისთვის, თ. ქკს-ურებ" ე. ი. 1804 წლის 9 ოქტომბერი)

შეორე ძმის — ვიორჯის ბარათში ზურაბისადმი ვკითხულობთ: „ზურაბ მომილოცავს ჩემი რძლის შორჩენა. შენმა ვაზარდამ ასეთი ბიჭი გყავს, რომ ეხლაე ვკობს. ღმერთმან ვაზარდოს. სახელათაუ გრიგოლ დავარქვით... ოქტომბრის და „ქკს ურებ (1804 წლის 11 ოქტომბერი). ამ საბუთებს მკვლევარი ი. გრიშაშვილი საქართველოს ცენტრალურ არქივში წასწყდომია, მაგრამ პუბლიკაციის დროს არ მიუთითებია ფონდი, საქმე, განყოფილება და მათი ნომრები.

ამ საბუთებს ხელმოყრედ მიაკვლია აწ განხეხებულმა მკვლევარმა სოლომონ ცაიშვილმა, კვლავ გამოაქვეყნა ისინი და მიუთითა კიდევ, რომ წერილები ინახება საქართველოს ცენტრალური ს. ს. არქივის ძველი საბუთების განყოფილებაში: იხსნებ ორბელიანის წერილის № 9284, ვიორჯი ორბელიანის წერილის № 6292. ორივეს აქვს ოთხეუთხიანი ტიფურული ხელრთვა ბარათების ავტორებისა.

გრიგოლ ორბელიანის დაბადების თარიღი თვითონ იხსნებ გრიშაშვილსაც შეეცდომით ჰქონდა მიუთითებელი (იხ. მისი „სიათნოვა“, გვ 52)

1947 წლის № 130 ზეგადიდის გაზეთ „მებრძოლში“ დაიბეჭდა შ. მესხიას წერილი, რომელშიაც ავტორი მხარს უჭერს ი. გრიშაშვილის მიერ უტყუარი დოკუმენტებით დადგენილ თარიღს.

ამრიგად, ი. გრიშაშვილის მიერ აღმოჩენილი და ს. ცაიშვილის მიერ ხელმოყრედ მიგნებული და მიუთითებელი დოკუმენტების პუბლიკაციის

შემდეგ, უდავოდ დადგენილ კვლევით დადგინდა უნდა ჩაითვალოს, რომ გრიგოლ ორბელიანი დაბადებულია 1804 წლის 2 ოქტომბერს.

რაკი სიტყვამ მოიტანა, იმსაც დაესძებო, რომ მე-9 კლასის სახელმძღვანელო „ქართული ლიტერატურის ქრესტომათიაში“, აუცილებლად უნდა გასწორდეს კიდევ ორი უსწორო თარიღი, რაც გრიგოლ ორბელიანის მოღვაწეობას და განსვენების ადგილს ეხება.

აღნიშნულ სახელმძღვანელოში 275 გვერდზე გამოქვეყნებულია ბიოგრაფიული ნარკვევი გრიგოლ ორბელიანზე, სადაც ვ. ვკითხულობთ: „1861 წ. მიიღო გენერლის ხარისხი, ხოლო 1860-62 წ. წ. ასრულებდა მეფის ნაცვლის მოვალეობას“.

უნდა აღინიშნოს, რომ ესეც სამწუხარო შეცდომაა, რადგან გრიგოლ ორბელიანმა გენერლობა 1848 წელს მიიღო. ამის თაობაზე ილია ორბელიანისადმი გაგზავნილ წერილში 1849 წლის 3 იანვარს თვითონ გრიგოლ ორბელიანი წერს: „ჩემო სიცოცხლე ძმომ ილიკო! იარანალიც შევიქნენ: მე და გადღევსკი ერთმანეთს სულ ვაშე პრეფოსსზოდიტელსტვოს ვეძახით და გვაქვს დიდი ყოფა“. გრიგოლ ორბელიანს გენერალ-მაიორობა ებოძა 1848 წლის დასასრულს, გერგებლის შემოგარენისა და თვითონ აულის აღებისათვის. 1862 წელს კი მას ებოძა ინფანტერიის გენერლის ჩინი. ამავე ქრესტომათიაში 276 გვერდზე შეცდომითაა მიუთითებელი, თითქოს გრიგოლ ორბელიანი დასაფლავებული იყოს ქაშვეთის ეკლესიის გალაყანაში (თბილისში), სინამდვილეში გრიგოლ ორბელიანი დაკანცხლებულია თვითონ ქაშვეთის ეკლესიის თაღებქვეშ და არა გალაყანაში.

მესტაგმეთა ღინასტია გრძელდგა

ვინც კი ვიორგი ნატროშვილის სამწერლო და ჟურნალისტურ მოღვაწეობას იცნობს, უთუოდ ბუნებრივად ჩათვლის იმ ამბავს, რომ მწერლის მიერ გამოქვეყნებულ კრებულებს — მოთხრობებს, ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებს, ნარკვევებს, გვერდში ამოუდგა ახალი, ტანმომტრო წიგნი, რომლის სადად, მაგრამ საკმაოდ ეფექტურად გაფორმებულ ყდას აწერია სათაური-გამოცანა: „თეთრი ხნული, შავი თესლი“...

წიგნი ავტორმა თავის ძველ მეგობრებს, სტამბის მუშებს მიუძღვნა და, მოთხრობის წინ წამძღვარებული შენიშვნით რომ ეისარკებოთ, — იგი „ახალგაზრდა მკითხველებს მოუთხრობს, თუ როგორ იბადება მათი წიგნი“; მაგრამ წიგნის დაბადება წარმოდგენილია იმ აღამაინთა გარეშე, რომლებიც ისევე არ ჩანან წიგნის კითხვის დროს, როგორც თეატრალური წარმოდგენის დროს გრიმიორები, სცენის მუშები, გამნათებლები, სუფლიორები და მთელი ის დიდი ნაწილი თეატრის კოლექტივისა, რომელთა გარეშე შეუძლებელია თუნდ ერთი სცენის ნახვა. ამიტოვად წინა ბლანზე სწორედ სტამბის მუშების ცხოვრებაა წამოწეული.

ამზე შენიშვნიდან ვგებულობთ, რომ „თეთრი ხნული, შავი თესლი“ რვა მოთხრობის შეიცავს (ეფიქრობთ, ამ შემთხვევაში რვა კორექტორულა შეცდომაა, წიგნი ცხრა თავისგან შედგება). თითოეული თავი ცალკე მოთხრობაა, რომელიც განდათ საბავშვო გაზეთისა თუ ჟურნალისთვის, მაგრამ წიგნს საერთო ხერხემალი აერთიანებს და ერთ მთლიან სიუჟეტში ვადმოგვეყვამ, თუ როგორ ცხოვრობდნენ სტამბის მუშები წინათ — დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე, რევოლუციის წლებში და სამამულო ომის დროს... დაბოლოს, მათ დღევანდელ შთამომავალთა, მესტაგმეთა ღინასტის გამგებლებელთა ცხოვრებასაც ეცნობა მკითხველი.

ქარგა შესანიშნავადაა მოფაქრებული. ერთი ოჯახის ცხოვრება ისე მიმდინარეობს, რომ მკითხველი საკუთარი ოჯახის წევრებივით ცნობს მოთხრობის თვითველ გამარს, დაწყე-

ბულს პაპა სულხანიდან და დამთავრებულს პატარა ჟენაშერთი, რომელიც უპველად მამა-პაპათა მიერ განმტკიცებული ტრადიციის შეუარცხენელი გამაგრებელი იქნება.

კარგი იქნება, თუ რამდენადმე დეტალურად განვიხილავთ მოთხრობას.

პაპა სულხანს, ძველ მესტაგმეს, უკვე პენსიაში გასულს ვეცნობით. ალბათ, წისკვილის ქვა არ დასტრიალებია თავზე, თორემ სხვა ყველაფერი უნახავს მას...

სწორედ ჟენაშერის ხნის თუ იქნებოდა, როცა ობოლი ბიჭი მეზობელმა თბილისში ჩამოყვანა და, რაჟი წერა-კითხვაც იცოდა, დუქანში მისსარებულად ვერ გაიშვტა, ცემით ამოხდიან სულსო, და მიიყვანა საამყინძო სახელოსნოში, რომელიც ვიღაც გადამთივლ ავანტურისტს — რამზეი ბონელოს გვეუთენოდა.

ბონელოს ცხოვრებას ასოციაციით გ. წერეთლის „პირველ ნაბიჯთან“ ვადავუვართ. უკანასკნელი რამდენიმე სიტყვით მოგვეთხრობდა საქართველოში შემოჭრილ, გამადიდრების სერვილით შეპყრობილ უცხოელთა ცხოვრებაზე და უურადლების ცენტრი ქართული ბურჟუაზიის წარმოქმნაზე ვადაქონდა (ვაიხსენოთ ბახვა ფულაეა); გ. ნატროშვილმა კი სულ სხვა კუთხით შეხედა ამ პერიოდს და, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული საკითხი მოთხრობაში ჩართულ ამბად არის გამოყენებული, შექლებიხდა გვარად სწორედ იმ ადგილს ვაუსვა ზახი, რომელიც ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში შედარებით მკრთალად გამოიყურება.

ბონელოს მსგავსი საქმისნებით იმ დროს სავსე იყო საქართველო, რადგან იგი ისეთ ადამიანთა რიცხვს ვეუთენოდა, რომლებიც მთელ შროფლოის მოსდებოდნენ ფულოს საშოვნელად“. შედარებით მდიდრები კონცენსიებს იღებდნენ, ხე-ტყეს, მარგანეცს, ქვანახშირს და სხვა წიალისეულს ეზიდებოდნენ გემებით; ბონელოს მსგავსნი კი ან ლიმონათის ქარხნებს ხსნიდნენ და ან, აი, „ასეთ სახელოსნოებს აწყობდნენ“.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ წიგნში რეალურ პიროვნებებს — ფარმაცუტ ზემელსა და ივკვილ მებაფე ლონგვსაც ეხეუდებით... სწორედ მათი პირდაპირი მამა იყო ბონელი, რო-

შელსაც ყველა ჭურისა და ხელობის კაცთან გაიტეხა პერი. ხშირად შეიკიდებდა ხოლმე გაჭირვებულ კაცს, რომ კეთილი სახელი ფედრაციონ მოხვედრა და მერე ის ფედრაცი ადვილად ეფინება — აქაოდა, სიყვით ამანე მერტი მაქვს დათესილიო.

აი, ასეთ კაცთან მოეწყობა სამუშაოდ თორმეტრიდგ წლის ობოლი სულხანი, რომელსაც, სახელისონში მუშაობის გარდა, კვირაში ორჯერ ბაზარში უნდა ევლო ბონელისთან ერთად და ნავაჭრი მის ბინაზე მიეტანა.

ობოლს ყველა თავში უტყაპუნებსო, ნათქვამია, და არც ბონელი აყლებდა ხელს სულხანს, მაგრამ ბონელის გვერდით იდგნენ კეთილი ადამიანები, რომლებიც მარად ცოცხალნი დარჩნენ პაპა სულხანის სხოვნაში. ესენი იყვნენ სულხანის შგავსინი ღარიბი მუშები, დიდძალი მსხლის გამყიდველი გლეხი, რომელმაც მსხლის არჩევის ნებაც კი არ მისცა სახელოსნოს ძუნწ პატრონს, ობოლ შევირდს კი დაუფრებლად თავსო უბე და ვიბეები უფასოდ და უთხრა: — „წაიღე, ბიჭო, ხეზე მაქვს დაკრეფილი, ღეთის მოცემულია“.

არანაკლები სიმპათიით არის დახატული ძია სანდრა, რომელიც სულხანს მფარველ მამობილად მოველინა და, როცა ნაბეჭდი ფურცლების გაფუჭებით განარსებებულმა ბონელი ობოლ ბიჭუნ მოინდომა ჭაჭრის ამოყრა, ვერ მოითმინა და სილა გააწაწა სახელოსნოს პატრონს. ბონელი დაეცა, ძია სანდრა სცემდა, ელატამ სარდაფის კარი ჩაეკეტა. მერე სანდრომ თვითონ წამოაყენა ნაეცემი პატრონი და უთხრა:

— ჩივილი არ გაბედო, რაც მერგება, არა ვთხოვ. ამაში გამიბარე, მივდივარ... ჩივილი კი არ გაბედო-მეთქი, თორემ... შენ თვითონვე იხანებ!

ჩაქიდა ხელი სულხანს და წაიყვანა. მოთბობაში ეპიზოდურად, მაგრამ საქმაოდ დამყარებლად გვხვდება მე-19 საუკუნის ჩვენნი განმანათლებელი მოღვაწეებიც: ჭავჭავაძე, ვაჟა-ფშაველა, სოფრომ შგალობლიშვილი და სხვები.

არერთი მწერლის მოთბობიდან და მოგონებიდან გვახსოვს ილია ჭავჭავაძე, ერის სიბრძნე და თავცაი. აღსანიშნავია, რომ გ. ნარტროშვილის მეორ მეთაღ შეამხეჭდავად დახატული სახე ილიას კიდევ ერთი ახალი პორტრეტი იმ შეუვსებელ გაღვრებაში, რომელიც მომთავლინებ კიდევ პუერს ელის ჩვენნი მწერლებისა და მხატვრებისგან...

მთელი ღამის მუშაობით დაღლილ ილიას ახალი გახეთი შემოტრანა სულხანმა „ივერიის“ რედაქციაში. გათენება ვერ შეეძინა ბრძენ კაცს, ჩაუჭრალი ღამის შუქი შესაბარლად ციმციმებდა აისის ბარქიან სხივებში. „ილიამ ჩამოართვა გახეთი, გაშალა, ერთი კი ჩაათვალიერა, მერე ბიჭს ხელი მოხვია და უთხრა:

— შენ ის ახალი შევირდი იქნები, სულხანი, აგრე?

შევირთლმა ბიჭმა თავი დაუქნია:

— პოდა, ჩემო სულო, — განაგრისო ილიამ: — მე და შენ ქვეყნის ვალი დღეს მოხდლი გვაქვს. ახლა ეუდი არ იქნება, ცოტახანს თვალი მოვატყუთო!

ბიჭი სიხარულით აღარ იყო. გული თითქოს აღარ ეტეოდა საგულეში, გახარებული დაეშვა ქვემოთ, უნდოდა ეს სიხარული ყველასათვის გადაეცა, ყველასთვის გაეზარებინა.

ილიას გარდაცვალების შემდეგ, სულხანი რევოლუციურ წრეში ხედება, შრიფტს აპარავს სტამბიდან და ბოლოს ამ „ქურდობისთვის“ ციმბირშიც „უტრეს თავა“.

რევოლუციის შემდეგ სულხანს ხელმძღვანელად ნიშნავენ და აქვე უსწრებს მის პენსიაში გახვლის დრო.

რამდენიმე სიტყვა სულხანის ომში დაღუპულ შვილზე, ზაქროზე. ზაქროს ცხოვრება ავტორის მისთვის დამახასიათებელი ოსტატობითა აქვს დახატული, და არ შეეცდებით თუ ვიტყვით, რომ „ყამიშ-ბურუნში“ გამოყენებული ლიტერატურული ხერხი ამ მცირე თავშიც კი საქმაოდ ვრცელდ და მოხერხებულად გადმოცემს მწერლის სათქმელს.

პაპის ოთხნი ჭარისკაცის სურათი ჰკიდა. ეს ზაქროს პორტრეტი. და აი, ერთ კვირა საღამოს გაოცებულმა ეტანშერმა შენიშნა, რომ პაპა სურათს ელაპარაკება.

ბურანში წასულ სულხანს ეჩვენება, რომ ოთახში ზაქრო შემოდის. ქათათა პერანგი წითლად დალაკვლიდა. აევირდება მამა და ხელავს, რომ ის ლაქა ღვინისა კი არა, ვიშე, სისხლისა, და ის პატარა შავი წერტილი მკერდზე, პაპაროსის ცეცხლით კი არ არის ამოწვარი, ნატყვიარია.

გამიშდა ბერიკაცი. ბიჭს კი ველარც ხედავს, მარტო იმ ბერიკაცს დასწერება და ძლივსა ბუბუბუბებს:

— დახეთ, სად დაუმიწნებია იმ ძალიშვილს, შიგ გულში მოუხვედრებია“.

შემდეგ მამა-შვილის დაძაბული დიალოგი-ბიდან ვეუბლომთ ყველა იმ ამბავს, რაც სულხანის ოჯახს ზაქროს წერალებიდან თუ მისი მეთიურების გამოგზავნილი ბარათებიდან შეუტყუია... რაც ზაქროს თანამებრძოლებს მოუყოლიათ დაუბრუნებელი შვილის ოქანისთვის, თუმცა არც ერთი სიტყვა ამის შესახებ არ მიივანინებებს და არც იყო საჭირო, რომ შეენიშნებინა.

გადაჭარბებული არ იქნება იმის თქმა, რომ მწერალთაგან დღემდე თითქმის არავის შეუშინვია უბრალო ტყვიის ორმხრივი როლი ადამიანის ცხოვრებაში. ტყვია თითქოს ცხოვრებასაც კი ჰგავს, — დაგზადებს, გასწავლის, გაცხოვრებს და... თუ მისი გამოყენება ვერ შესძელი ბოლომდე, მუხანათურად გიმტყუნებ და დაგლუპავს. ვ. ნარტროშვილმა კარგად შეამ-

მნი ავს ამბავი და სრულიად ბუნებრივია, თუ იგი სწორედ მესტამბის თვალთ დაგვანახა. კარგად იცის სულხანა ტყეის ფასი; მთელი სიცოცხლე სეირანი ზეღში, გვიმოც იცის, ფერიც, ფილტვებიც საესე აქვს მისი მტვრით... მაგრამ ის კეთილი ტყეია იყო, წიგნებს ბეჭდავდა, თვალს უხედა ხალხს...

იმავ კეთილი ტყეით გავზავნა ფრონტზე შეილი. სულხანა ისევ იყოფა, რომ ცეცხლის ზაზზე დაბეჭდილი ორიოდ ქართული სტრუქტონი არანაკლებ მკრელი/არალი იყო მტრისთვის, ვიდრე ქვეშების კურვი; და როცა ვაუკირდა ძველი მესტამბის შეილს, არ დაანება შრიფტი მტერს, წყალში ჩაყარა და ამით განრისხებულმა ფაშისტმა ავტომატის ჯვრით მოაყვლა იგი. „ჰოდა, მაშინ იხელთა დრო... — უყვება ზაქრო, — იმავ წუთს წაიქეცე, თვალთ დამიბნელდა. ვე- გდე აგრე უპატრონოდ, ტბის პირას. მერე სამო- დლოდ დამმარხეს უირიმელმა მეთევზეებმა“. არც ზაქროს სიტყვები ჰგავს წუწუნს; იგი ვულახდლი აღიარებაა, რომ მოასწარეს ვაქეკოს და მიმულიშვილური მოვალეობის შესრულების დროს გავმირეს.

ბერეკაცო ისევ ნატყეიარს ავირდებმა... ვიი, რომ სანტყარი ზაქროც იმავ ტყეით განუ- მირეს, რომელსაც მთელი თავისი ცხოვრება ელოიავებოდნენ სულხანი და მისი შეილები! აქვე უნდა ეუსევედროთ ავტორს. ერთი ამბავი, თუ ზაქროს ცხოვრებას მკითხველი ამ

ორიოდე გვერდიდანაც საკეთაროვით აღიქვამს, იგივე არ შეიძლება ითქვას მერე შეილზე, გურამზე; მითუმეტეს, რომ იმან წიგნსა მისს ვალ თავში გვხვდება და მაინც მტრად შეხედუ- ლად, უცხოდ რჩება მკითხველისათვის.

კარგად არიან დახატულ-დასრულებული ისეთი ემიზოდერი გმირები, როგორცაა ჟუ- ნის დედა ნუნუ, ნატო ბებია, პატარა ილია, ძია სანდრო, რამშიუ ბონელო, თენგიზ ლაფა- ნიძე, მიტო ზელაშვილი და სხვები. მკითხვე- ლი თვითველ მათგანს ისე სცნობს, როგორც ახლობელ ნაცნობს, ანდა სადღაც შეხვედრილ უცხო პიროვნებას. განსაკუთრებით განიცდის იგი მიტო ზელაშვილის ოჯახურ დრამას; რაც შეეხება თენგიზ ლაფანიძეს, იგი ნამდვილად ჩვენ თანამედროვე ახალგაზრდაა და ზოგიერ- თი თავისი უცნაური ქვევითაც კი ახლოა მკითხველთან, გულწრფელ ღიმილს იწვევს და თა- ნაგრძობას იმსახურებს... ტყეილად არ გაბ- ლდა იგი სულხანის ჩრეული და საყვარელი ოსტატი!

გიორგი ნატროშვილის ახალი წიგნი — „თე- თრი ხნული“, „შავი თესლი“, უდავოდ საუკეთეს- სო საწუქარია, როგორც სასკოლო ასაკის ბავ- შეებისა და მოსწავლეებისათვის, ისე მოზრდი- ლეებისათვისაც. და, ვფიქრობთ, მისი გამოცემით გამოიმეძობა „ნაკადული“ მკითხველის მად- ლობას დაიმსახურებს.

ჯავახი მავლიშვილი

„საქართველოს მოამბე“

ქართული ეტრნალისტიკისა და საზოგადოებ- რივი აზროვნების განვითარების ისტორიაში ეტრნალი „საქართველოს მოამბე“ უდიდესი როლი შეასრულა. როგორც სამართლიანად აღი- მინნა ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში, იგი პირველი ეტრნალია, რომელიც ცარიზმისა და ბატონყმობის მშენებარების პერიოდში ქართვე- ლი ხალხის სამსახურში ჩადგა და იქცა როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, ასევე ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლის ცე- ნტრად.

„საქართველოს მოამბის“ უდიდესი მნიშვნე- ლობა იმაშიც მდგომარეობს, რომ მისი საბე- ლოვანი რედაქტორი (ი. ჭავჭავაძე) და თანამ- შრომლები არსებითად რევოლუციურ-დემოკრა- ტიული მსოფლმხედველობის გამოამატელები იყვნენ და ამჟამად მოითხოვდნენ არსებელი სისტემის რევოლუციურ გარდაქმნას და დემო- კრატიული წყობილების დამყარებას.

მიუხედავად ხანმოკლე არსებობისა, „საქარ- თველოს მოამბე“ შესწლო საქმიოდ მკვეთრად

გამოეხატა თავისი შეხედულებანი, როგორც ლიტერატურისა და სახალხო განათლების, ასევე პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური სა- კითხების ირველად.

კონკრეტული ლიბერალური ჯგეფის წინა- აღმდეგ წარმოებულ პრინციპულ ბრძოლაში „სა- ქართველოს მოამბე“ მოამბერბა ანტირეალის- ტური ტენდენციების განადგურება ქართულ მწერლობაში, კრიტიკული რეალიზმის გან- მტყეება და გაბატონება, ახალი, სასაუბრო სა- ლიტერატური ენის დამკვირდება, ეროვნულ- განმთავისუფლებელი მოძრაობის გაღვივება და ბაიონემური ურთიერთობის მოსასპობად მტყეე ნიადავის მომზადება.

„საქართველოს მოამბეს“ ბევრი სხვა დამსა- ხურებაც მიუძღვის ქართველი ხალხის ინტე- ლაბტუალურ ცხოვრებაში, მაგრამ აქ უველა მათგანზე არ შეიქრებოთ.

„აღ. კალანდაძის შრომა — „საქართველოს მოამბე“ — მიზნად ისახავს ამ ეტრნალის მო- ნოგრაფიულ შესწავლას. უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ეტრნალისტიკის ისტორიაში ეს პირ- ველი ცდაა.

სარეცენზო ნაშრომში ლაპარაკე „საქარ- თველოს მოამბის“ გამოცემის ორგანიზაციისა და

ალექსანდრე კალანდაძე, „საქართველოს მო- ამბე“, საბჭოთა საქართველო, 1964 წ.

ტენიერ პირობებზე, გახსნილია ფსევდონი-
მები და ანონიმები; ავტორი ცალკე გვესაუბრე-
ბა „საქართველოს მოამბის“ თითოეული თან-
მშრომლის შესახებ და გვიხატავს მათ პირ-
ტრეტებს. განხილულია ჟურნალში დაბეჭდილი
ორგანიზაციური პოეტური და პროზაული ნაწ-
არმოებები, მხატვრული თარგმანები, საბავშვო
ლიტერატურის საკითხები, ლიტერატურულ
კრიტიკის ნიმუშები, პუბლიცისტური წერილები,
პოლემიკური ხასიათის სტატიები; ყურად-
ღება ეთმობა აგრეთვე „საქართველოს მოამბის“
და რუსული რევოლუციური-დემოკრატიული
პრესის ურთიერთობის საკითხს. მონოგრაფია
მთავრდება „საქართველოს მოამბის“ დახურ-
ვის მიზეზების ახსნა-განმარტებით.

ა. კალანდაძის დიდი მუშაობა გაუწევია
და ბევრი საინტერესო მასალათვის მიუგნია.
ხშირ შემთხვევაში ავტორის მსჯელობა მართე-
ბულ, ლოგიკური და დამაჯერებელია.

ნაშრომში უდავოდ საყურადღებოა თავები:
„ფსევდონიმები“ და „ანონიმები“. ავტორი სწო-
რად შენიშნავს, რომ „საქართველოს მოამბის“
ფსევდონიმები და ანონიმური ნაწარგები ავ-
ტორთა ვინაობის დადგენა დღეს საკმაოდ ძნე-
ლია, რადგან კავკასიის საცენზურო კომიტეტის
იმ პერიოდის არქივი არ შენახულა და არც
ჟურნალის საქმეებია გადარჩენილი.

ა. კალანდაძის ფსევდონიმებისა და ანონი-
მების გასაზრებლად მეტად საინტერესო მუშაო-
ბა ჩატარებია და ბევრი მათგანი სწორად
აიჭურსნია. განსაკუთრებით მისასალმებელია ის
გარემოება, რომ ავტორის გულმოდგინე კვლე-
ვის შედეგად ი. ჰაუკვაიხის მემკვიდრეობას
შეემატა რამდენიმე ფრიალ საყურადღებო წე-
რილი.

ავტორი ცალ-ცალკე წერდება „საქართველოს
მოამბის“ თითოეულ თანამშრომელზე. ესენი
აიხან: დავით უიფიანი, პეტრე ნაკაშიძე, ვახტანგ
თულაშვილი, სულხან ბარათაშვილი, მიხეილ
უფიანი, ლევან ჯანდიერი, ივანე ბერიძე, ვიორ-
კო ორბელიანი, ესტატე მაღალაშვილი, გიორგი
ჩიქოვანი და მიხეილ ჩიქოძე.

მართალია, ასეთი პორტრეტების წარმოდგე-
ნა კარგი საქმეა, მაგრამ სარეზონიო ნაშრომში
მათი შეტანა იმ სახით, როგორც ეს ავტორს
აქვს, უადვილოდ მიგვაჩნია, რადგან არღვევს
თემის საერთო არქიტექტონიკას.

წიგნის მომდევნო განყოფილებაში — „მხ-
ატვრული ლიტერატურა“ — განხილულია „სა-
ქართველოს მოამბეში“ დაბეჭდილი პოეტური,
პროზაული და დრამატული ნაწარმოებები და
ლერმონტოვის, ვრამოდოვის, პუშკინის, შენიეჟის
და პავლოვის ნაწარმოებთა თარგმანები.

ა. კალანდაძე მართებულად აღნიშნავს, რომ
„საქართველოს მოამბის“ ლიტერატურულ
კრიტიკა საკმაოდ გამოკეთილ შეცნობილ ეს-
თეტიკას ემყარება და ჟურნალის საერთო იდე-

ური პროფილის შესაბამისად, მას მტკიცე მი-
მართულება აქვს“ (გვ. 192) **კრიტიკის**
მიუხედავად იმისა, რომ **საქართველოს მო-
ამბის**“ ესთეტიკისა და ხელოვნების ფილოსო-
ფიის საკითხები საკმაოდ არის გაშუქებული
ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში, სარეცენ-
ზიო შრომის ის ნაწილი, რომელიც ლიტერატუ-
რის კრიტიკის საკითხებს ეხება, მიიღწევა იმსახე-
რებს ყურადღებას, რადგან სრულყოფილად
არის წარმოდგენილი ლიტერატურის თეორიის,
ისტორიის და კრიტიკის ის პრობლემები, რომ-
ელთაც ასახვა ჰპოვეს „საქართველოს მოამბე-
ში“.

ნაშრომში ყურადღებას იპყრობს თავი —
„პუბლიცისტიკა“. ა. კალანდაძე ეხება პუბლი-
ცისტიკის თითქმის ყველა ეპოქას, რომელმაც
თავი იჩინა ჟურნალში და არცყვეს მეცნიერული
თეორიისა და პუბლიცისტიკის ურთიერთ კავ-
შირს.

ავტორის აზრით, „საქართველოს მოამბის“
პუბლიცისტიკაზე მსჯელობის დროს ანგარიში
უნდა გაეწიოს იმ გარემოებას, რომ ჟურნალს
აქრძალული ჰქონდა პუბლიცისტური სტატიე-
ბის ბეჭდვა, ამიტომ რედაქცია ოსტატურად
იყენებდა ე. წ. ჟურნალისტურ მოგვარების
ხერხს: — არსებითად სწერდნენ პუბლიცისტუ-
რი ხასიათის წერილებს, მაგრამ აქვეყნებდნენ
მათ პოლემიკური წერილების, ფელეტონების,
პამფლეტების, დრამატული სცენების, ხოლო
ზოგჯერ სარედაქციო განცხადებების სახით.

ჩვენ ვიზიარებთ ავტორის შეჯასრების, რომ
ამ რუბრიკაში დაბეჭდილი წერილები ძირითა-
დად განხილულ უნდა იქნას, როგორც პუბლი-
ცისტიკის ნიმუშები.

ნაშრომში ვრცლად არის განხილული სოცია-
ლური უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლის
საკითხი „საქართველოს მოამბეში“ დაბეჭდილ
პუბლიცისტურ წერილებში. ე. თულაშვილის,
დ. უფიანის, გ. წერეთლის და კ. ლორთქიფა-
ნიძის წერილების მიმოხილვის საღუფრებზე
ა. კალანდაძე ასკვნის, რომ „სულემიან ის
მკვლევარები, რომელთა აზრით, „საქართველო
მოამბის“ პუბლიცისტებმა თითქმის ვერ მოახე-
რებეს ბატონყმობისა და სოციალური უსამართ-
ლობის წინააღმდეგ ვაბედული გალაშქრება“
(გვ. 259).

ა. კალანდაძემ ისიც გვიჩვენა, რომ „საქა-
რთველოს მოამბე“ აქტიურად ეხმარებოდა
გაბოქის ყველაზე მოწინავე იდეებს, რომლებიც
დასავლეთ ევროპიდან და რუსეთიდან შემო-
დიოდა საქართველოში.

ინტერესთი ფიქთება ავტორზე თავი —
„ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეები პუბ-
ლიცისტიკაში“ (გვ. 269-289).

მართალია, „ციხკარმა“ მნიშვნელოვანი რო-
ლი ითამაშა ნაციონალური აღორძინებისათვის
ბრძოლის საქმეში, მაგრამ „საქართველოს მო-

ამბეშ" ახალი და უფრო გაბედული სიტყვა თქვა ამ სფეროში.

სარეცენზიო შრომაში ვრცელი მასალის ანალიზის შედეგად, ნახევრებია, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საქმეში „საქართველოს მოამბეშ" ახალ მიმართულებას დიდი სთავა, რაც გამოიხატა იმით, რომ „ეროვნული და სოციალური განთავისუფლების საკითხები აქ მკიდრად გადაეყვანა ერთმანეთს და რუსეთის რევოლუციურ-განმათავისუფლებელ მოძრაობას დაუკავშირდა, ოცნებისა და თვითრეული განსჯის სფეროდან იგი აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობისა და პრაქტიკული მოქმედების სარბიელზე გამოვიდა" (გვ. 269).

ნაშრომში მოკლედ არის აგრეთვე განხილული „საქართველოს მოამბეშ" და რუსული რევოლუციურ-დემოკრატიული პრესის ურთიერთობის საკითხიც; კერძოდ, ევრნალის დამოკიდებულება „სოერემენიკთან", „რუსკოე სლავოსთან" და „ესკასთან".

ნაშრომში ვრცელი ადგილი ეთმობა მსჯელობას იმ პოლემიკას შესახებ, რომელიც წარმოებდა „ციცკარსა" და „საქართველოს მოამბეშ" შორის. ნაშრომის ამ ნაწილში ილ. კალანდამ ავითარებს იმავე თეაღსაზრისს, რაც ადრე გამოთქვა შრომაში „ივანე კერესილიძე", და აღნიშნავს, რომ პოლემიკა „ციცკარსა" და „საქართველოს მოამბეშ" შორის არ წარმოადგენდა იმ იდეურ ბანაკს შორის არსებული ბრძოლის გამოხატულებას. ცხადია, ეს შეხედულება სწორი არ არის. ზენს სამეცნიერო ლიტერატურაში დიდიხანია დადგენილია, რომ „ციცკარი" და „საქართველოს მოამბეშ" ორი დამატარებლად საწინააღმდეგო იდეოლოგიის გამოხატველი ჩვეულის ორგანოებს წარმოადგენდნენ.

ნაშრომის დასასრულს ილ. კალანდამ გვესაუბრება „საქართველოს მოამბეშ" გამოცემის სიძნელეებსა და ამ ევრნალის დახურვის მიზეზებზე. აქ ავტორმა საკმაოდ საინტერესო მასალები წარმოგვიდგინა და, ვინაშემამხილურად დაკვირვების შედეგად, ნათლად გვიჩვენა მრავალი წინააღმდეგობით აღსაყვებ ვაზა, რომელიც „საქართველოს მოამბეშ" გაიარა, და საყვებით ნათლად გვიმარტა ევრნალის დახურვის მიზეზები.

დასკვნა, რაც ნაშრომს ახლავს, მოკლეა, მაგრამ მასში ძირითადი დებულებების სახით მაინც წარმოადგენილია „საქართველოს მოამბეშ" უდიდესი დამსახურება ქართული ხალხის ინტელექტუალურ ცხოვრებაში.

ასეთია სარეცენზიო შრომის საერთო ხასიათი, გვაქვს რამდენიმე შენიშვნაც:

1. პირველყოლისა, უნდა აღნიშნოთ, რომ ის მეთოდი, რომელსაც ავტორი იყენებს ასეთი ხასიათის ნაშრომისათვის ხელსაყრელი არ არის. უყუთესი იქნებოდა, რომ წიგნში მასალა განხილულიყო ცალკეული პრობლემები-

სა და არა ცალკეული ავტორების ან წიგნების მიხედვით.

2. ილ. კალანდამ აღნიშნავს, რომ მისი მიზანია დადგინოს „საქართველოს მოამბეშ" როლი ქართული ლიტერატურის, სოციალდემოკრატიული აზროვნების და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარებაში (გვ. 8).

ავტორს უნდა მოეხსენებოდეს, რომ „საქართველოს მოამბეშ" როლი ქართული ლიტერატურის, სოციალდემოკრატიული აზროვნების და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში გარყვეული აქვთ მ. გუგუშვილს („ქართული ევრნალისტიკა" ტ. 1), ვ. გავრიძეს („საქართველოს მოამბეშ"), მ. ზანდუკელს („ახალი ქართული ლიტერატურა" ტ. 11), ს. ზუნდაძეს, პრ. რატანასა და სხვ.

3. ნაშრომის მეთერთმეტე გვერდზე ვკითხულობთ: „1857-1861 წლებში „ციცკარსა" ხელი შეუწყო ხალხის დაბალ ფენებში ქართული წიგნის გავრცელებას... სოციალური უსამართლობისა და საზოგადოებრივი ცხოვრების მთელი რიგ მანკიერებათა წინააღმდეგ ხმა აღიშმა. 1857-1861 წწ. „ციცკარსი" დაიბეჭდა „სალაბოს ფურცლები", „სურამის ციხე", „სოლომონ ისაკიჩ მყვლანაშვილი", დ. გურამიშვილის, ნ. ბარათაშვილის, რაფ. ერისთავის, ი. ჭავჭავაძის, ავ. წერეთლის, ნ. ნიკოლაძის და სხვათა წიგნები და ლექსები. ერთი სიტყვით, „ციცკარსი" შეაჩეო მკითხველი კამათს, აზრთა გაცვლა-გამოცვლას, ბრძოლას და ა. შ."

როგორც აქედან ჩანს, 60-იან წლებში ქართული საზოგადოებრივი აზრი საკმაოდ ამორჩავებული და მრავალი მნიშვნელოვანი საკითხი დაუყენებია გადასაჭრელად.

მომდევნო გვერდზე (გვ. 12) ავტორს თითქოს ავიწყდება ეს უდავოდ სწორი დებულება და წერს: „60-იანი წლების დასაწყისში ქართული საზოგადოებრივი აზრისა და ლიტერატურის განვითარებაში კარგად იგრძნობა შერბობრება, მოღრუბება, დაზარტება. ნაკადი შედეგად დროთა ვითარებაში იგი შეიძლება დაპოხებულყოფი".

ეჭვირობთ, ეს ორი დებულება ერთმანეთს არ ეთანხმება.

4. იმ პრიციპულ ლიტერატურულ და ენობრივ საკითხებს, როგორიცაა შავალითად, სენტრიმენტალურ ნაწარმოებთა თარგმნის უსარგებლობა, უნის გახალბურება და ქართული ორთოგრაფიის გამარტივება, რომლებსაც ი. ჭავჭავაძემ „ორიოდე სიტყვაში" შეეხო, თავისი ისტორია აქვთ. ნაშრომიდან კი ისე გამოდის, თითქოს ილიამ პირველმა დააყენა ეს საკითხები.

ილიაზე ოთხი წლით ადრე, ჭერ კიდეც 1857 წელს, ნიკ. ბერძენიშვილიმა გაზეთ „კავკაზში" მკაცრად გალაშქრა სარდიონ ალექსი-

მეხნიშვილის წინააღმდეგ იმის გამო, რომ მან ფრანგული ენიდან თარგმნა XVIII საუკუნის სტრუქტურალისტი შერლის — მარშონტელის „მეუღდაბნო“, რადგან ეს ნაწარმოები არ უპასუხებდა ხელოვნების იმდროინდელ მოთხოვნილებას, არ უპასუხებდა რეალისტურ ტენდენციებს.

ილიაზე 8-10 წლით ადრე პლატონ იოსელიანმა გ. ერისთავს „გაერის“ წინასიტყვაობაში, ხოლო შემდეგ გ. დვანიძის მიერ რუსულიდან გადმოკეთებული პეისის („დაქორავებული სახლი კუკიაში“) და ზ. ანტონოვის კომედიის („ქმარი ხელი ცოლის“) განხილვის დროს, ავტორებს მოუწონა სალიტერატურო ენის გამარტივება და კატეგორიულად მოითხოვა ლიტერატურულ ენის დაახლოება ხალხურ მეტყველებასთან.

ქართული ორთოგრაფიის გამარტივების საკითხი ილიას პირველს არ წამოუყენებია. ვერ კიდევ 1855 წელს პროფ. დ. ჩუბინაშვილმა თავის შრომაში, «Краткая грузинская грамматика» აღნიშნა, რომ «Следующие буквы: Ш, А, Ф, Т, З, К, Ф — внесены в алфавит без особенной надобности светскими писателями, редко употребляются и могут быть заменены другими».

ამავე აზრს ავითარებს დ. ჩუბინაშვილი 1857 წელსაც.

ავტორი ვაღდებული იყო ენცენებინა, თუ თავის წინამორბედებთან შედარებით, ილიამ რა სიახლე შეიტანა ამ საკითხების გადაწყვეტაში, და თუ ეს ამას გვიჩვენებდა, მაშინ მკაფიოდ გამოისახებოდა ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარების სურათი ზემოხსენებულ საკითხებთან დაკავშირებით.

5. ალ. კალანდაძემ ძალიან კარგად იცის, რომ სალიტერატურო ენის გახალსტრების საკითხი ილიამ ვერ კიდევ „ორიოდ სიტყვაში“ წამოაყენა. 121-ე გვერდზე ეს კეთილშობილი „სალიტერატურო ენის გახალსტრება ძურნაღის რედაქტორმა, საპროგრამო წერილშივე (ლაპარაკია წერილზე „საქართველოს მოამბეზე“) გამოაცხადა შწერლობის წინსვლისა და მისი საზოგადოებრივი ზემოქმედების უპირველეს პირობად“.

ეს ვარაუძობა მკითხველს უფოოდ დააბნევს. იგი ვერ გაიგებს, ბოლოს და ბოლოს სად დაროდის დააყენა ილიამ ზემოხსენებული საკითხები?

„ორიოდ სიტყვაში“ და „პასუხში“ ილიამ მკვეთრად დააყენა ეს საკითხები, ხოლო წერილში „საქართველოს მოამბეზედ“ მოგვცა ადრე წამოყენებული თვალსაზრისის შემდგომი განვითარება. სასურველი იყო, რომ ავტორის სწორედ ეს განვითარების პრაქსის ემკვეთებინა.

6. ნაშრომის 149-ე გვერდზე ალ. კალანდაძე წერს: „ზარათაშვილის შემოქმედებაში რეალი-

ზმთან მიახლოების გააღვირვებულ ტენდენციას გამოხატავს მისი ერთ-ერთი უკანასკნელი ლექსი „მადლი შენს გამჩენს“ (პასუხი). უნდა შევნიშოთ, რომ ასეთი ნაწარმოებების შემდეგ, როგორცაა „ბედი ქართლისა“ და „საფლავი მეფის ირაკლისა“, ზარათაშვილის შემოქმედებაში ამ ლექსის მიჩნევა რელიზმთან მიახლოების გააღვირვებულ ტენდენციის გამოხმატველად უხერხულია.

7. ალ. კალანდაძე იხილავს რა წერილს „ბელინსკის აზრი შეილებს აღზრდაზე“, რომელშიც მაქსიმე ლანჩიძე ძირითადად ბელინსკის ორ რეცენზიას ვერცდნობა, დაასკვნის: „ამ წერილში სრულად გამოვლინდა „საქართველოს მოამბის“ რედაქციის თვალსაზრისი საბავშვო ლიტერატურის პრინციპულ საკითხებზე და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული საბავშვო შწერლობის განვითარებაში“ (გვ. 230).

ამ წერილში რომ ერთგვარად შეუწყო ხელი ქართული საბავშვო შწერლობის განვითარებას, ეს უდავოა, მაგრამ, რომ იგი სრულად გამოხატავდეს ეურნალის აზრს საბავშვო ლიტერატურის პრინციპული საკითხების შესახებ, ეს კი მეტად საეჭვოა, რადგან თვით ბელინსკიმ ვერ შესძლო ზემოხსენებულ ორ რეცენზიაში სრულად გამოეხატა საბავშვო ლიტერატურის მრავალი პრინციპული საკითხი, და როგორ შეეძლო ეს მოეხერხებინა ზემოხსენებულ სტატიაში მაქსიმე ლანჩიძის, თუნდაც ამ ფსევდონიმს ილიაც უფოდილოდ ამოფარებულა?

ბელინსკი ძალიან კარგად გრძნობდა, რომ ორი რეცენზია საბავშვო ლიტერატურის პრინციპულ საკითხებს ვერ ამოსწერავდა და ამიტომ მას დასჭირდა დაეწერა მთელი სერია წერილებსა, ცხადია, „საქართველოს მოამბეს“ რომ დასცლოდა, უფოოდ დაბეჭდივდა ანალოგიური ხასიათის წერილებს, სადაც შეიძლება სრულად გამოვლინებულყო ეურნალის თვალსაზრისი ამ აქტიური საკითხის ირგვლივ.

8. ვერ ვგვიზიარებთ ავტორის დებულებას, თითქმის ქართული ეურნალისტყის ჩახახება-განვითარება უშუალოდ იყოს დაკავშირებული ნაციონალური აღორძინებისათვის პროქლასთან (გვ. 260). როგორც ცნობილია, პირველი ქართული პერიოდული ორგანი 1819 წელს წარმოიშვა, და ამ დროისათვის კი ნაციონალური განმათავისუფლებელ ბრძოლზე ლაპარაკი არ შეიძლება.

ალ. კალანდაძის „საქართველოს მოამბე“ სერიოზული გამოკვლევაა, რომელიც დაწერილია პირველად წყაროებზე დაფრტვობით. იგი დად დახმარებას გაუწევს ყველას, ეიცი ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის საკითხებით არის დაინტერესებულა.

3. გავრინდაშვილის ლექსების კრებული

მარკინაშვილი

1915 წელს დაარსდა ერთნაღი „ციხფერი ყანწები“, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ჩვენი საუკუნის ახალი პოეზიის შექმნასა და განვითარებაში.

ვალერიან გავრინდაშვილი „ციხფერი ყანწების“ ერთერთი დამაარსებელთაგანი და „მეოცნებე ნიამორების“ რედაქტორი იყო. მის ნატიფ ლექსებსა და ესეებში სრულად აირეკლას ლიტერატურული პროცესი, რომელიც ქართული ლირიკის მოდერნიზაციის ნიშნით მიმდინარეობდა და „ციხფერ ყანწელთა“ დაჯგუფებასთან იყო დაკავშირებული.

აქ ერთი რამ უნდა აღინიშნოს: ჩვენში წინათაც და ახლაც „ციხფერ ყანწელთა“ შემოქმედებს ქართული სიმბოლიზმის პოეზიის უწოდებენ და განიხილვენ მას, როგორც დეკადენტურ მიმდინარეობას. მაგრამ პარადოქსი ის არის, რომ ამ ლიტერატურულ დაჯგუფების წამყვან პოეტებს (მაილი იაშვილი, ტიციან ტაბაძე, კოლაუ ნადრობე, ვალერიან გავრინდაშვილი) ამ პერიოდში თითქმის არცერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოები არ შეუქმნიათ წმინდა სიმბოლისტური პოეზიის თვალსაზრისით. მხატვრული ღირებულების მქონე ის ლექსები, რომლებიც თვითთვლამ მათგანმა ევროპული და რუსული მოდერნისტული პოეზიის გავლენით შექმნა (მათ შორის რამდენიმე შედევრიც იგულისხმება) სიმბოლისმისათვის დამახასიათებელ მსოფმეგრძნებას მხოლოდ ელემენტების სახით აქვდავენებენ და ამიტომ მათი დეკადენტური პოეზიის ნიშნებად მიხედავ გაუმართლებელია. რაც შეეხება მოცულობით მნიშვნელოვან დანარჩენ პროდუქციას, მასში მეტრულად სიხალდით არის გამოვლენილი დეკადენტური მსოფმეგრძნელობის ზოგიერთი ელემენტი, მაგრამ ისე, რომ ლექსის მთლიან სტრუქტურაში იგი უშუალო განცდის ნიშნით ვერ შემოდის. ეს ლექსები მხატვრულ ექსპერიმენტის, ხელოვნურობისა და მათი ავტორების პოეტური ტემპერამენტთან შეუსაბამობის შთაბეჭდილებას სტრუქტურულ და აქვდავენად მოკლებულნი არიან ჰუმორისტ მხატვრულ ღირებულებას. მათი შეფარდებითი ღირებულება დღეისათვის ფორმისმიერი და სტილური ასპექტების მოდერნიზაციით განისაზღვრება და სწორედ ეს არის „ციხფერყანწელთა“ როგორც ლიტერატურული მიმდინარეობის, ისტორიული დამსახურება XX საუკუნის ქართული პოეზიის წინაშე.

„ციხფერ ყანწელებმა“ აღადგინეს ქართული პოეტური მეტყველების ტრადიციული სტილი-

სათვის დამახასიათებელი ზოგიერთი ნიშანდანიშნა განსაკუთრებით შეეხება რითმის, პოეტური ხმების შრის, ლექსის ესთეტიკურ კულტურას. მათ უწვევლოდ გააფართოვეს თემატური რაღი ქართული ლირიკისა და ის ევროპული და რუსული თანადროული პოეტური კულტურის მიღწევებს აზიარეს. და თუმცა ამ მხრივ ერთგვარ გადაბარბებას ქონდა ადგილი, მან დადებითი როლი შეასრულა ქართული პოეზიის განვითარებაში, რაღი შინაზრდილო, პროვინციული, უმარტო ნატურალიზმისა და გამოფიტული ეპიგონობის წინააღმდეგ იყო მიმართული. მერის თქმით შეიცვალა: „ციხფერ ყანწელებმა“ დროშოქმული ფორმებისა და გაცვეთილი თემების ბალასტიკაგან გაწმინდეს ახალი ქართული ლირიკის გზა და ნიადაგი შეუშენდეს „მიწისათ დაბრუნების“ ბრწყინვალე პოეზიას. ისინი თავად იყვნენ თავიანთი დიდი პოეზიის წინამორბედები.

ვალერიან გავრინდაშვილმა თავისი პირველი წიგნის — „დაისების“ — შემდეგ ლექსების რამდენიმე კრებული გამოაქვეყნა, მაგრამ მათში შეკრებილი ლექსები, ისევე როგორც მათი გამოცემის დონე 1926 წ. გამოცემებს თუ არ ჩავთვლით, არ შეესაბამებოდა მისი პოეზიის ნამდვილ სახეს. თქმა არ უნდა ყოველ პოეტს გააჩნია უფერული, შედარებით სუსტი, ან, უბრალოდ, უხვირო ლექსები, რომლებიც სხვადასხვა დროს, სხვადასხვა მიზეზების გამო დაწერილა, ან გამოქვეყნებულა, კრებულში მოხვედრისას ასეთი ლექსები უფერულბეზ, თარგნავენ და ავიწროებენ მკითხველზე ემოციური ზეგავლენის სფეროს, ხოლო ზოგჯერ აბუნდოვანებენ, ხასიათსა და აღნაგობას უკარგავენ ავტორის ღრმა პოეტური ხილვებისაგან მიღებულ ერთიან შთაბეჭდილებას.

1964 წელს გამოცემული ვალერიან გავრინდაშვილის კრებულის შემდგენელმა და რედაქტორმა შალვა დემეტრაძემ უმნიშვნელო ღმსების საჩვევლა ბალახისაგან გაწმინდილი და ამიტომ ბუნებრივი აღნაგობით გამოჩენილი პოეზია წარმოვიდგინა. დასაინაი მხოლოდ, რომ ლექსებს შექმნის თარღები არა აქვს მიწერილი და, რომ აქვე არ არის წარმოდგენილი პოეტის მშვენიერი თარღმანები და ბრწყინვალე ესეები. წიგნის პირველ ნაწილში მკვეთრად გამოიჩინება „დაისებიდან“ შერჩეული ლექსები და შე ვფიქრობ, აქვდავენდა ისინი ამავე სახელით გავრითიანებულყვენენ, მით უმეტეს, რომ „დაისები“ (1919) ვალაკტიონის „არტიტულ უკავილობთან“ (1919) და კოლაუ ნადრობის „ბლადახინთან“ (1920) ერთად, ფაქტურად XX საუკუნის ქართული ლირიკის პირველი კრებულა. ვალერიან გავრინდაშვილის ახალ წიგნში პოეტის მხოლოდ მნიშვნელოვანი

ვალერიან გავრინდაშვილი, ლექსები. შემდგენელი და რედაქტორი შალვა დემეტრაძე. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1964.

ლექსებია შეკრებილი და ეს გაკეთებულია მათი პოეტური ღირებულების მიხედვით, შერჩევის ერთადერთი სწორი კრიტერიუმით, რაც შემდგენელის ასეთსავე თვალსაზრისზე და პოეტურ გემანზე მეტყველებს:

ჩემი ლექსები ცხენებით ვაჭრილან ველად...
ენიმე ზომ უნდა დაიფრეს, სახლში
მოღვნოს,
ვიღდა გამოვა თვალმაღალი ძმად და
დამცველად.
რომ წამოიყვანს შინისაყენ ჭოგს ამოღვნის...

ვალერიან გაფრინდაშვილის პირველი ლექსებიდან გარდასული სურნელის მსგავსი რაღაცნაირი სიმპირტაჟი და განუყოფლობა აღიპერება. დრომ სიმწეავე დაუკარგა იმ ლიტერატურული ბრძოლების ატმოსფეროს, რომელიც პოეტის ამ პერიოდის ლექსების რეალურ ფონს წარმოადგენდა და ახლა მათში გამკლავებული ხილვები ანტიკვარული ნივთების უცნაური მომხიბველობით ბრწყინავენ. თანადროულობის შექმნე მათ დაკარგეს თავიანთი ღირებულების ნაწილი, მაგრამ ამავე დროს შეიმოსეს უტოლობისა და სიმეფის კეთილშობილი იერი, რომელიც მოულოდნელი ნიუანსით ცხოველყოფლობას ანიჭებს მათ:

ვარ მოწყენილი, ვით ზამთარში ნახი
ბედურა...
ვით შემოდგომის ღამეებში თეთრი ვერსალი.
შენს სილამაზეს ჩემი ტრფობა ესაფხებრა.
ვარ მოწყენილი, ვით ზამთარში ნახი ბედურა.
მე განშორების ცივი თოვლი დიდხანს
მეხებრა.
ვტიროდი ხარბად — მარტობით
ნაალერსალი.
ვარ მოწყენილი, ვით ზამთარში ნახი
ბედურა,
ვით შემოდგომის ღამეებში თეთრი ვერსალი.

ლექსების ამ ციკლში უხვად გვხვდება ვასტული საუკუნის ფრანგული პოეზიიდან შეგნებულიად მოხმობილი რემინისცენციები, რომლებიც უპირატესად საგნებისა და საკუთარი სახელების გადმოიწერებაში ვლინდება (მაგალითად, ბოდლერი: ლედი მაკეტრი, რემპო: საღამოთა საფირონი, ოფელია — ვეება შროშანი, ლაფორტი: რომ დაიჭირო ამღვრეულ წყალში დალილა, ევა და ჯიკონდა, მორის როლინა: მტრული სამართლებები და სხვ). მაგრამ პოეტი ეთხოვება ასეთი ხილვების „ფატა-მორგანას“ (მირაჟის სახესხვაობა, რომლის დროსაც პორიზონტის მიღმა მდებარე საგნების ძლიერ სახეცვლილი და მსწრაფლ ცვალებადი გამოსახულება აღიჭრის ხოლმე):

დიდხანს ვთავი ბოგემა სარკის
მე — საიქოს მთვარით ნაბურთი
და მომენტრა ცის, უფრო ვარკის
მზე ოქროსფერი და უღამური.

პოეტი ერთხანს კიდევ „ფანტასმაგორიული“ ხილვების რაკლში ტრიალებს, თუმცა მათში უკვე ძალუმად არის შეკრებილი რეალური მთაბეჭდილებების ნაკადი. სარკეში აღანდული სინამდვილიდან პოეტს მზერა თანდათანობით რეალურ ყოფიერებაზე გადაქვს. მისი მშვენიერი „წუმწუმების სიმღერა“, „მზესუნთხისა ვაიციღველი“ და „ზღვა“ ნათლად მეტყველებს ამაზე. „ზღვა“ შედეგია. დღეს შესაძლოა ამ ლექსში გახსნილმა სამყარომ ისეთი განცდები აღგვიძრას, რომლებიც ყველაზე უკეთ იქნება თანადროულ განწყობილებას შეესაბამებოდეს. მაგრამ როგორც არ უნდა იკითხებოდეს მასში გამკლავებული ალგორითა, ერთი ცხადია, — იგი პოეტის შინაგან სამყაროში მომზდარი ფერისცვალების გამოშხატეულია...

ზღვას ენატრება იყოს პატარა,
ვით უნახესი ჩიტი კოლბობი.
თავის თავი ვარსკვლავს ადარა,
ცაზე რომ ბრწყინავს დაუბრკოლებლიც.

ზღვას მოწყენია თავის სიმძიმე,
ბუმბერაზობა, გრიგალი, მები.
ნახა სიზმარში ტბა მოციმციმე
და ჩინელ ქალის მტკივანი ფეხი.

ზღვას აღარ უნდა თავის სისრულე,
თითქო წებრებლა გულზე მოვა:
უღონო ტრფობით აწ დაისრულა —
სურს ბუმბუცის თვალში განმარტოება,

რომ ჭინძისთავის იგრძნოს სინახე,
და თავის სმენით გაიყვეს ნაკადულს,
რომ საქანელას მსუბუქ რკინახე
ჩამოეციდოს, როგორც კაცადუ...

„მე არა მჭერა არაფრის, რაც მეტად დიდია ზომით ან რაც მეტად ზევია. ქალები შობენ აღამიანებს და არა ციკლოპებს. გიგანტურია მხოლოდ არათრგანული ბუნება, არყოფნის კოსმოსური სივრცეები, სიკვდილის სიციბილე“, — წერდა პასტერნაკი ერთ თავის წერილში. პასტერნაკი პიტომეც ვახსენე, რომ მან დიდი ექსპრესიით თაოგმანა ეს ლექსი რუსულად. ვალერიან გაფრინდაშვილმა „უფრო მიიზიდა პასტერნაკი, ვიდრე თვით მისთვის დიდად საუვარულმა ტიცთან ტამბაქმე და პაოლო იანვილმა. მას ახასიათებდა თვისებები, რომლებიც ახლო ენათესავებოდა რუს პოეტს.“ (ე. ეტკინდი. პოეზია და თარგმანი. 1963. გვ. 93). „ზღვა“ ასე მთავრდება:

მაგრამ მოვიდა ამალით ქალი, თავის სახელი წყალზე დაწერა. ნიღაბიანი, როგორც გრივალის, იღიშებოდა ის აღმაცვრად.

ტალღა ავირდა მჩქეფარე სვეტად, ტალღა — აფთარი და ეიფელი: თავისი თავი ზღვამ გაიშვრა, გაჰყვა დედოფალს, როგორც შლიფიფი...

ზღვისა და ქალის ეს ალუგორია ასოციაციების დიდ სიმრავლეს იწვევს და ურთიერთ დაპირისპირებულთა მრავალნაირობას გულისხმობს, ამ დაპირისპირებაში უსასრულო და უდაბური მარცხდება. იგი ნაზისა და ადამიანურის სამკაულად იქცევა და ამაშია მისი არსებობის გამართლება. ეს უცნობი და უცნობი ქალი ზნობად ჩნდება ელენთან გაფრინდაშვილის ლექსებში და თითქმის ყოველთვის იღუმალისა და ზნეობრივი ღირებულებით დატვირთულ სიმბოლოდ გვევლინება. პირველად მის აღრინდელ ლექსებში ივლევს „უცნობი ქალი“, „უცხო ქალწული, ენახავი, ნაცნობი მაინც“. ბავშვობის მოგონებებში იგი უცნაურობის ბერუსითაა მოცული: „მასთვის ზორანი ლავჯარდისფერი, ზედ ვაშლიდ ქოლგით უცნობი ქალი“. „მწესმზირას გამყიდველის“ სიცხიან ზნანებაში იგი მოულოდნელი შემთხვევითობის იღუმალებით შემოიჭრება:

ერთხელ მის გობზე ქალს ხელთათმანი სწრაფლ დაუვარდა: სურჩელით საესე — ქალი არ იყო მისი ფაქმანი, ყურები ჰქონდა ვარდების მსგავსი.

ბოლოს იგი პოეტური შთაგონების სახეს შეიძინავს, როგორც „ღურთვალა ქალი“ და ხელშესახებად გვაგვრძობინებს პოეტის აღსაზრების სიწრფელს:

მე იქ, მომიხილავ ხეივანებს შორის მიყვარდა ქალი და პოეზია...

1923 წლის დასაწყისში, ვაზეთ „ლაშარის“ პირველ ნომერში, ვალერიან გაფრინდაშვილი წერდა: „თუზისი ვიანესლავ ივანოვისა (როგორც თეორიული განმარტება სიმბოლიზმისა realibus ad realiore-რეალურიდან უფრო რეალურისადმი) განზორციელდა ქართულ პოეზიაში.“

1914 წლიდან ქართული პოეზია დაშორდა რეალობას და „ციხფერ ყანწელებმა“ მივიღო რვა წელი გამოაცხადეს ფანტასმაგორიის და შივის ელტი. ეს აქტიულობა საჭირო იყო, რომ პოეზიას გადაეღაზა ეთნოგრაფიისა და სინამდვილის ეიწრო ნაპირები. ქართული პოეზიის უდაბნო აივსო მოჩვენებებით და ეპოტიური სიტყვებით.

დაიწყო რეაქცია. პოეზია 1922 წელში მეტი სინარულით და მადლობით ესალმება რეალურ

ქვეყანას. პოეტები ბრუნდებიან ელისეის მენდერებიდან, პოეზიის ელიზთმედიან და როგორც ელიზარი იბობენ თაქიანთ, გაქიწულ სხეულს სინამდვილის მზეზე. სინამდვილის სუხიანი ქარის შემდეგ მომიხილვია ბარის თბილი ნიაფი.

ეს არის დაბრუნება მიწასთან...“

მე დავიღალე ოცნების გზებზე, და უსახლარო შენთან ვბრუნდები. მეტად ბასრია ჰაერი მთებზე, მეტად ბრწყინავენ იაგუნდები.

„ცრუ ზეტაილის“ შემდეგ პოეტი პოელობს „ადგილის დედას“. ეს არის დედაბუნებად სუბლიმირებული სამშობლო. პოეტის სული კვლავ უბრუნდება „პირვანდელ კერას“, უშუალო განცდის სისადავეს, სიცოცხლის პირველ-ყოფილ სიბრძენს. სიკვდილისაგან ხსნაც აქია. აქ არის „მთელი საიდუმლო და ნეტარება“.

პოეტი „დაბმული ცხენითი ეტარების შორ იალაღებს“, სადაც მას „ტყე ელოდება როგორც საუდარი, სანიარებლად სპეტაკი წყარო“.

ჩვენ არ გვხვდება ზანგი პატარა და არ ვპყრია მიზინო ხელში, ტყემ ბილაკები შემოგვატარა და იყო მხოლოდ ალვის ხე ელჩი.

რა ლამაზია ტყეში საუდარი და საფლავები ზავით მოცული, ნაძვი — სირემის ბაიარხტარი და გრილი წყარო მითი ჩამოსული...

წაბლის ხეების მწვანე ზღაპარი ჩვენ მოგვესალმა დიწვი შრიალით. აქ არის ჩვენი თავმესაფარი, ეშარა ამაო, ცრუ ზეტაილი.

(„გასეირნება ტანისკარში“).

„მიწასთან დაბრუნების“ შემდეგ ვალერიან გაფრინდაშვილის პოეზიაში საგრძობლად იცვლება ხილული სამყაროს ხედი და შინაარსიც: მეწამული დაისების დეკორაციულ ლანსა და საფირონს ოქროს ზეინი და იმპრესიონისტული პლენერი ცვლის, ხოლო ქალაქის ფანტასტიკური ხედებს ფეროვანი შემოღგომის რეალისტური სურათები, მაგრამ მსოფლშეგვრძენების ამგვარ ფერისცვლებებს არ დაფრღვევია მისი პოეტური განცდისა და თეოთაბედვისათვის ნიშანდობლივი მედიტაციური ბუნება. მედიტაციურობა პოეტის შთაგონებისათვის დამახასიათებელი თვისებაა. მის ლექსებში იგრძნობა რალაცნარი შინაგანი დახვეწილობა, როგორც თემების შერჩევამო, ისე სავგებსა და მოკვანებისადმი დამოკიდებულებაში. მათში გამოსლპვიის განათლებული, ინტელიგენტი აკაცის დამსხრალი ტემპერამენტიდან და კარგი აღზრდიდან მომდინარე თავდაპირილობა და გულწრფელობა. მისი ლექსებისათვის უცხოა პათე-

ტიური მქუხარება, დაუცხრომლობა, მრავალსიტყვაობა. მათში გამლენებელი ხილვები კრისტალურად გამჭვირვალე და პროპორციული აღნაგობის მქონეა. მის პოეზიაში მგრძობა ბელობა ძუნწად არის წარმოდგენილი, სამაგვიროდ. ზილული სამყარო, სავნები და პეიზაჟები უხეი ფერადოვნებით არის გამოსახული. მას შეეძლო გაემეორებინა ტოფოლი გოტიეს სიტყვები; მე იმათგანი ვარ, ვისთვისაც არსებობს ზილული სამყარო. პარანსული სიხუსტე და მკათო პლასტიკური კონტური უაღრესად ნიშანდობლივია ვალერიან გაფრინდაშვილის ლირიკული კომპოზიციებისა და პოეტური სიტყვებისათვის.

ვალერიან გაფრინდაშვილი პარწინდა ურბანისტიკა და თუშეკა ერთ ლექსში აცხადებს: „წუეულიმც იყოს დიდი ქალაქი, ჩემი სამშობლო არის სოფელი“, ამან არ უნდა შეგვატდინოს. მისი ურბანისტიკა სათავეს იღებს „ციხფერულანწულა“ მინიფესტიდან და მის ლექსებში ევროპეიზმის დანერგვისა და ეთნოგრაფიულ-პროვინციული ფსიქოლოგიის დამლევის ნიშნით ეთარდება. ამავე ასპექტში უნდა განვიხილოთ პოეტისათვის შინაგანად მახლობელი, თუატრსა და მუსიკასთან დაკავშირებული შთაბეჭდილებების ნაკადიც, რომლებიც ზუსტი და დამაყრებელი სახეებით ცნაურდება: „და ეს საყრავი წეროა ნაზი, ისერის ნისკარტით ბგერებს ვარეულს“, ან „და ორკესტრიდან ამოდის ლერწად მაღალი ია მაღალ ღეროზე“. აქეთ პოეტებს განსაკუთრებული სიტყვები და გამოთქმები, რომლებშიც მათი მსოფლშეგრძნების სპეციფიკური თელათახედვა ცნაურდება. ისინი პირველი ლექსებიდანვე უცვლელად გასლვევენ მთელ მათ პოეზიას. ვალერიან გაფრინდაშვილისათვის ასეთი სიტყვა-ორიგინტირებია:

ნანტალინი, შლეიფი, საფირანი, ცხერო, ნილაბი, მანახელი... მათში თითქოს პოეტის შემოქმედების ძირითადი ტენდენციები დაკრისტილებული.

ვალერიან გაფრინდაშვილი დრამატული პასუხისმგებლობით განიცდიდა პოეტის ზეედრსა და დანიშნულებას. ბევრ ლექსში ღრმა სერიოზულობითა და მტკივნეული შთაგონებით არის ახსნილი „ან შთანრებული მისი დამოკიდებულება პოეზიისადმი. ამ დამოკიდებულების შთაგონი აზრია ცხოვრების ისეთ ლექსად კონდენსირება, რომლის შემდეგ საჭირო აღარ იქნება ცხოვრება, რადგან ლექსი თვითგამოხატვის სახესებაა, აღამიანური ცხოვრების სრული თვითგამოხატვაა. („ისეთი ლექსი დაწერო მინდა, რომ არ დამჭირდეს კიდევ ცხოვრება“). ამიტომ დაქებებს პოეტი გულმოდგინედ „უცვლედ სიტყვას უოფნის ვიწრო არეზე“ („და მე რითმებში, ვით ნემსის უწნწი, ვაქვრენდი სახეს, რომ ჩემი ლექსით გადაშელაბა ცხოვრება ურჩი“). პოეზიას იგი ზეგარდმო შთაგონებდა. „ციხ გახსნილ თალებთან ზიარებდა“ ვანიცდიდა და დღესასწაულივით ელოდებოდა ამ წუთს, რომ საყუთარი სულის ფსყერზე ჩაძირული „განძების ყუთი“, ბოლოსდაბოლოს, გაეხსნა და შიგ მთელი ბუნების საიდუმლოება ეპოვა...

ვალერიან გაფრინდაშვილის ლექსების ახალი კრებული თვალნათლივ გვაცხადებს პოეტის მიერ აღმოჩენილ საიდუმლოებათა მნიშვნელობას. ამ წიგნით ჩვენს თვალწინ კვლავ დგება სახე პოეტისა, რომელიც „ლექსით ზომავდა თავის კაცობას“, რომელსაც „დიდ კალმისობას მუდამ ერჩია ჩემ შთაგონებით დამწერი ბელი“.

თამაზ ჩხანავლი

რამდენიმე შენიშვნა


ახლახან გამოქვეყნდა ავტორთა ჯგუფის მიერ შედგენილი მეტად საჭირო წიგნი „ლიტერატურისმცოდნეობის ტერმინთა მოკლე ლექსიკონი“. ამ ლექსიკონის ავტორები არიან მკვლევარები, მეცნიერმუშაეები— ა. აღანი, ბ. დობორჯინიძე, მ. დუღრჩავა, ნ. კოლოკავა და ა.

ლიტერატურისმცოდნეობის ტერმინთა მოკლე ლექსიკონი, „ნაკადლო“, 1966.

ხინთიბიძე. წიგნის საერთო რედაქცია ვაკუთენის პროფ. მ. დუღრჩავას.

უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ლექსიკონის საჭიროებას დიდი ხანია ვგრძობენ მხატვრული ლიტერატურის შესწავლით დაინტერესებული მკითხველები, ლიტერატურის მეცნიერების ყველა პრაქტიკოსი მუშაი.

ეს წიგნი რამდენადმე კანონდებს წარმოადგენს იმ ტერმინებისას, რომლების ვაგება-



ხმარებაში ჯერ კიდევ არსებობს აზრთა სხვაობა. ეს კი ხელს უშლის ქართული ლიტერატურის მკვლევარების შემდგომი ამაღლება-განვითარების საქმეს.

ჩანს, ავტორთა კოლექტივმა ნამდვილად ნაყოფიერად იმუშავა და კარგი შედეგიც მივიღეთ. ავტორებმა, ლიტერატურისმცოდნეობის გამოყენებით, შესძლეს დაედგინათ ძირითად ტერმინთა განმარტებები: საილუსტრაციო მასალა შეტანილად სწორადაა შერჩეული.

„ლიტერატურისმცოდნეობის ტერმინთა მოკლე ლექსიკონი“, შედგენილია საშუალო სკოლის უფროსი კლასების მოსწავლეთა და ლიტერატურის მოყვარულთათვის. ამიტომ იგი ლიტერატურის თეორიის მხოლოდ რამდენიმე ძირითად, ყველაზე მეტად გავრცელებულ ტერმინთა ახსნას ასახავს მინდა. ცხადია, ასეთი ლექსიკონი, ზემოხსენებულ პირთა ვარდა, დიდ დახმარებას გაუწევს სხვა დარგების მუშაკებსაც.

ლექსიკონს, დადებით მხარეებთან ერთად, გააჩნია ზოგიერთი ნაკლოვანება.

წიგნის დასაწყისში აღნიშნულია, თითქმის ჩვენში არ არსებობდეს ასეთი ტიპის პოპულარული ლექსიკონის შედგენის ტრადიცია. ეს განცხადება რამდენადმე გადაქარბებულად მიგაჩნია იმიტომ, რომ ჯერ კიდევ ადრე შეიქმნა და რამდენჯერმე გამოიცა ლიტერატურულ ტერმინთა მრავალი ლექსიკონი რუსულ ენაზე, ხოლო 1957 წელს მკითხველებმა მიიღეს ა. კილაიასა და ო. შუმინაის მიერ შედგენილი „ლიტერატურულ ტერმინთა ლექსიკონი“, ცნობილი მკვლევარის აკაკი ვაწარელის რედაქციით. იგი საკმაოდ სრული იყო როგორც საკითხების შერჩევა-განმარტებით, ისე თავისი მოცულობით.

შამუკა ბარათაშვილის „ქაშნიკი“ ძალზე მოკლედ არის განმარტებული: „ქაშნიკი ეწოდება შამუკა ბარათაშვილის წიგნს ქართული ლექსწყობის და ხასიათის შესახებ“ (გვ. 158) ასე, ორ ბჭყარშია განმარტებული მ. ბარათაშვილის ეს შესანიშნავი წიგნი, სხვა არავითარი ცნობა არაა მოცემული. არც ისაა აღნიშნული, რომ მ. ბარათაშვილი მოღვაწეობდა მე-18 საუკუნეში და მან პირველმა ჩაუყარა საფუძველი ქართულ ლიტერატურისმცოდნეობას, ლიტერატურის თეორიის მეცნიერული კვლევა-ძიების საქმეს.

საჭირო იყო წიგნის სათაური „ქაშნიკი“ წინწკლებში ჩასმულიყო.

ქართულსა და რუსულ ლექსიკონებში წიგნების სათაურები ყოველთვის წყვეტილად იყენებულა.

ლექსიკონში სიტყვა „არაფიონი“ წინწკლების ვარსება არასრულყოფილადაა განმარტებული რუსთაველური ლექსი (გვ. 120) აქ საილუსტრაციოდ მოტანილია შოთას პოემის მხოლოდ ერთი სტროფი.

ისიც აღსანიშნავია, რომ გავრცელებული რუსთაველურის ნაცვლად ავტორები წერენ ფორმას: რუსთველური.

რუნული ლექსი (გვ. 120) განმარტებულია ასე, რომ არც ერთი მავალით არაა მოტანილი. თანაც, თუ რუსთაველური ლექსი ოთხ ბჭყარშია განმარტებული, რუნული ლექსის ახსნას ათი ბჭყარი უჭირავს (!).

სტილის განმარტებაში დასაწყისშივეა აღნიშნული, რომ სტილი მახვილწვეტიანი ჯოხი იყო (გვ. 13), მაგრამ არაა მითითებული, რომ ჯოხის მეორე თავი მომრგვალებული იყო, რომ მახვილწვეტიანი თავით ნაწერი მეორე ბოლოთი ესწორებინათ და საბოლოოდ დაეხვეწათ.

წიგნში საკმაო ადგილი აქვს დათმობილი ფურტირების განმარტებას (გვ. 145), ავტორები წერენ: „ფურტირების შემოქმედებითი თვალსაზრისის მიხედვით, მხატვრული აზროვნება ალოგიური, ანტირეალური უნდა იყოს“. ე. განმარტება ჩვენ არ მიგაჩნია სწორად. შეიძლება „ლექსიკონის“ შემდგენლებს ფურტირების უფრო ზუსტი განმარტება მოეცათ.

მავე გვერდზე აღნიშნულია, რომ 1924 წელს გამოვიდა ქართული ფურტირების ორგანო ეურნალი „N₂SO₄“. ესაა და ეს. ლექსიკონში არაა განმარტებული, თუ რა გზით წარიშართა ქართული ფურტირების მომავალი, ნახსენებიც კი არაა მათი სხვა ორგანოები, ეურნალი-ვახუთები, თუნდაც ეურნალი „მემარცხენეობა“ (1927-1928 წლ.), არაფერია ნათქვამი არც მათი მოღვაწეობის შესახებ 30-იან წლებში.

არა გვგონია, რომ ლიტერატურისმცოდნეობის ტერმინები იყოს „სახარბა“, „ოთხთავი“ (გვ. გვ. 97, 122). ჩვენი აზრით, ეს ტერმინები არ უნდა მოქცეულიყო ამ ლექსიკონში.

დასასრულს, კიდევ ერთ გარემოებაზე გვინდა მივაპყროთ „ლექსიკონის“ ავტორთა ყურადღება.

საქმე იმაშია, რომ ყოველი ლექსიკონი ადვილად გამოსაყენებელი უნდა იყოს პრაქტიკოსი

მუშაებისათვის. ლექსიკონის მეცნიერულ-იდეურ მხარეებთან ერთად, ესეც უპირატესი მოთხოვნაა, მკითხველი რომ უფენებს ასეთ წიგნებს.

სამწუხაროდ, ეს წესი აქ სამდენადღე დარღვეულია და აი, ფაქტებიც.

„ლექსიკონის“ მეორე გვერდიდანვე იწყება და წიგნის ბოლომდე გრძელდება მითითება „იხ.“ ამა თუ იმ სიტყვის საქმენელად. ეს მითითება და სხვა გვერდზე მკითხველის გაგზავნა (იხ.) შეიძლებოდა თავიდან აგვეცოლებინა ნაწილობრივ მაინც. მართალია, ლექსიკონი მოკლეა, მისი სიტყვარი ძალზე მცირეა, მაგრამ ზოგჯერ შემთხვევაში აძლენი მითითება მაინც არ იყო საჭირო და არც სასურველი. ეს მითითება წიგნს მწელად გამოსაყენებელს ხდის, 162 გვერდიან წიგნში იშვიათია ისეთი გვერდი, საიდანაც სხვაგან არ გზავნიდნენ მკითხველს საჭირო ცნობების მისაღებად. ლექსიკონის მიზანია განმარტოს ტერმინები, თანაც ისე, რომ

იგი ადვილად იქნას მოძებნელი და არა ისე, რომ უცნობი აიხსნას უცნობივე წიგნში ძალიან ხშირია, თითქმის ყოველგვერდზე სხვაგანადაც ითხი, ზუთი, ექუსი, შვიდი და რვა „იხ.“.

ზოგჯერ ერთსადამიამე ტერმინზე 2-3ჯერ არის მითითება. ეს კიდევ არადერი: ამდენ შრომას გასწევს ადამიანი, როცა იცის, რომ მიზანს მიაღწევს, იპოვის განმარტებას, მაგრამ... თუ ვერ აპოვა?

აი, საოცრებაც სწორედ ესაა: მხატვრული ენა (გვ. 132) წიგნში სხვაგან იხილეთო, ჩვენც გულმოდგინედ ვეძიეთო. მაგრამ ვერ ვიპოვეთ.

ასევე ვერ ვიპოვეთ სალიტერატურო ენის განმარტება, თუმცა შეხუთე გვერდზე ატორები გვთხოვენ — სხვაგან ეძიეთო.

ყოველივე ზემოთქმულს ისიც ემატება, რომ წიგნში ზოგჯერ არეულია შრიფტი. სხვა გვერდებზე მითითებანი ხან გამოყოფილია სხვა შრიფტით, ხან არა.

პავლე ხმალავაძე



ՄՃԼՈ 80 ՎՅՅ.

684/6

ИНДЕКС
76128

ՀԱՅԿԱՅԻՆ
ԵՐԵՎԱՆԻ

„М Н А Т О Б И“

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО „ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВНЕБА“